

თეიმურაზ მიზეშანი

დასავლეთ საქართველოს
ქართველ მთიელთა
ეთნოგენეზის, განსახლებისა და
კულტურის ისტორიიდან



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989

ნაშრომში გაშუქებულია ერთ-ერთი ქართველური ტომის — სვანების ეთნოგენეზის, განსახლებისა და სულიერი კულტურის დღემდე ჩაკლებად შესწავლილი საკითხები უძველესი დროიდან ადრეშუასაუკუნეებამდე.

ისტორიული წერილობითი წყაროების, ტოპონიმიკური და ეთნოლინგვისტური მასალების ურთიერთშეჭერების საფუძველზე მოცემულია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სვანური ტომების მოძრაობის არეალები და ქრონოლოგიური ჩარჩოები.

წიგნი დააინტერესებთ ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს.

რედაქტორები: გ. ლორთქიფანიძე

ა. ონიანი

რეცენზენტები: მ. ჩართოლანი

ი. კვიციანი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989

0503020906

M

M—608(06) 89

ISBN 5—511—00338—7

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას აღმოსავლეთისა და დასავლეთის უძველესი ცივილიზაციების სინამდვილეში უჩანს ფესვები, რამეთუ ქართველთა წინაპარი ტომების კულტურა ძველი შუამდინარეთისა და საბერძნეთის გზაშესაყართან ყალიბდებოდა. ამიერკავკასია და მცირე აზია, რომელიც ქართველთა და მათი მონათესავე ხალხების განსახლების არეალს წარმოადგენდა, თავისებური შემოქმედებითი ჩაქვით კრავდა შუმერისა და კრეტა-მიკენის კულტურულ წრეებს. ცხადია, რომ ასეთ ძლიერ კულტურულ გარემოცვაში მყოფ ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებებს კულტურული განვითარების მეტი საშუალება ეძლეოდათ, „ისტორია სხვა არაფერია, თუ არა თანამიმდევრული ცვლა ცალკეული თაობებისა, რომელთაგანაც თითოეული იყენებს ყველა წინამორბედი თაობის შიერ გადმოცემულ მასალას, კაპიტალს და საწარმოო ძალებს“¹. ძველი მცირე აზიის ცივილიზებული ქვეყნების ზეგავლენის კვალი დღემდე შეიმჩნევა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის სფეროში. ამის დადასტურებაა თუნდაც ძველი მცირე-აზიური რელიგიური კულტების (შუმერული, ხეთური, ურარტულ-ხურიტული და სხვა მოწინავე ხალხების), ლექსიკური ერთეულების დღემდე შემონახვის ფაქტი ქართველი ხალხის მეხსიერებაში.

მეორე მხრივ, აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქართული პოლიტიკური გაერთიანების, ე. წ. აია-კოლხეთის ისეთი მაღალი კულტურულ-ეკონომიკური დონე, რომელიც ჯერ კიდევ კრეტა-მიკენის აყვავების ხანაში (ძვ. წ. II-1 ათასწლეული) ზღაპრული სიმდიდრისა და ფუფუნების მხარედ გვეკლინება. ამის მაგალითებად ჩაითვლება თუნდაც ბერძნული მითები პრომეთეზე და აია-კოლხეთზე (ოქროს საწმისზე). ორივე

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, გერმანულ იდეოლოგიდან, თბ., 1948, გვ. 53.

ეს მითი საქართველოსთანა დაკავშირებული, რაც, ჩვენი აზრით, მეტყველებს, ერთი მხრივ, იმდროინდელი ძველი აღმოსავლეთისა და, მეორე მხრივ, საბერძნეთისა და საქართველოს შორის ეთნოკულტურული კავშირების არსებობის შესაძლებლობაზე. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ ასპექტშია გაშუქებული ერთ-ერთი ქართველური ტომის — სვანების ისტორიის, განსახლებისა და კულტურის საკითხები. „...ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი, ყველა რელიგიური და სამართლის სისტემანი, ყველა თეორიული შეხედულებანი, რომელსაც ადგილი აქვს ისტორიის მსვლელობაში, მხოლოდ მაშინ შეიძლება გაგებულ იქნეს, როდესაც შესწავლილი იქნება თითოეული სათანადო ეპოქის ცხოვრების მატერიალური პირობები და პირველნი ამ მატერიალური პირობებიდან იქნებიან გამოყვანილნი“². ამასთანავე, ისტორიული მეცნიერება სწავლობს ცალკეული ქვეყნებისა თუ ხალხების ისტორიას ცალკეულ ეტაპებზე. ასეთი შესწავლის გზით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების ზოგადი კანონები³.

არაერთი მეცნიერული ჰიპოთეზა არსებობს იმის შესახებ, თუ როგორი თანამედროვე ხალხი შეიძლება ჩაითვალოს შუმერების მონათესავედ. ამის დადგენა კი უალრესად დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემაა. ეს საკითხი მეცნიერებაში ჯერაც გადაუწყვეტელია. იყო ცდები შუმერებთან ქართველთა მონათესაობის დამტკიცების შესახებ. ამით თავის დროზე დაინტერესებული იყვნენ ნ. მარი, მ. წერეთელი და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით უკეთესი შედეგების მიღწევა შეიძლებოდა, დღემდე იგი მაინც ვერ მოხერხდა. ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ შუმერული ლექსიკური ერთეულების ანალოგიებს უმთავრესად ქართულ სალიტერატურო ენაში ეძებდნენ, რაც, ცხადია, ნაკლები ეფექტის მომცემი იყო, ვინაიდან სალიტერატურო ქართული, როგორც ნებისმიერი სამწერლობო ენა, დროდადრო განიცდიდა რეფორმაციას, ამიტომ იგი თანდათანობით უფრო სწრაფი ტემპით შორდებოდა ძველ ქართულ სამეტყველო ენას. დღეს

² კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1932,

გვ. 241.

³ ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 30.

სპეციალისტებისათვის ცნობილია, თუ როგორ უხვადაა დალექილი ქართული ენა უცხოური, ნასესხები ტერმინებით, რომლებმაც დროთა განმავლობაში შეცვალეს ძირძველი იბერიული სიტყვები. ზოგიერთი უცხოური სიტყვა ქართულმა ისე გაითავისა და შეისისხლნორცა, რომ მათი უცხოურობა ბევრს შეიძლება ეუცხოოს კიდევ. ესენია: ძველირანული, სპარსული, არაბული, თურქული, ბერძნული, ლათინური, სომხური და ა. შ. ამიტომ იმისათვის, რომ საერთო ქართული ფუძე-ენის ორგანიზმი წარმოვაჩინოთ, საჭიროა სვანურისა და ზანურის ლექსიკური ფონდების დეტალური შესწავლა, რაც დიდი ხანია სპეციალისტთა კვლევის საგანს წარმოადგენს. შესაძლებელი ხდება არაქართული სიტყვების ზანურ-სვანური შესატყვისების დაძებნა, რაც ძირითადად ძველი ქართული ლექსიკის წიაღში პოულობს ახსნას, ნაწილიც ძველი მცირე აზიის ცივილიზებული ხალხების ენის კუთვნილებას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, დღემდე არ გაგვაჩნია სვანური, მეგრულ-კანური განმარტებითი და ქართულ-ზანურ-სვანური სრული შედარებითი ლექსიკონები. არაფერს ვამბობთ ქართულ-ზანურ-სვანური დიალექტების ლექსიკონების შესახებ. მცირე გამონაკლისის გარდა, ამ მიმართულებით ცოტაა გაკეთებული. ამ ლექსიკონების გამოცემა და მათი ანალიზით მიღებული შედეგი ერთხელ კიდევ ცხადყოფდა ბეცნიერულ ჭეშმარიტებას სვანურ-ზანურის ქართული ფუძე ენიდან გამოყოფის რეალობის თაობაზე, რაც საკმარისი იქნებოდა იმიტომ, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა გვექონოდა ქართველური ენების დიფერენციაციის შესახებ.

ჩვენი აზრით, ქართული ენის ძველი ლექსიკის მთლიანად შესწავლა გაჭირდება, ვიდრე ამ მიმართულებით ზანურ-სვანური არ იქნება სათანადოდ გამოკვლეული, რადგან ძირძველი ქართული ძირითადად ზანურ-სვანურში ინახავს თავს, რამეთუ ზანურ-სვანური საერთო ქართული ფუძე-ენის განაყარია. როგორც ცნობილია, სვანური ენის გამოყოფას საერთო ქართული ფუძე-ენიდან ათარიღებენ დაახლოებით ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასაწყისით, ზანურისა კი ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისით (იხ. ქვემოთ). ეს ფაქტიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზანურ-სვანურში უფრო შეურყვნელად უნდა იყოს შემონახული საერთო ქართული ფუძე ენის ლექსიკური ერთეულები, ვიდრე ქართულ სალიტერა-

ტურო ენაში, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში განვითარების ფართო პერსპექტივები გააჩნდა. ამდენად, ძველი ქართული ლექსიკის გადარჩენაში ზანურ-სვანურმა ენებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

თუ ანგარიშს გავუწევთ ქართველური ტომების გეოგრაფიული განლაგების ფაქტს, მაშინ ადვილი წარმოსადგენია ისიც, რომ ზანური დიალექტის, შემდეგ კი ენის ჩამოყალიბება ხდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქართული (მესხური), ხოლო ჩრდილოეთიდან სვანური ენების მჭიდრო კონტაქტების პირობებში. ეს აშკარად ატყვია ზანური ენის ლექსიკას.

ვაპოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერების თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ფუძემდებლური გამოკვლევა ამ მხრივ აღნიშნული საკითხის ახალი კუთხით დანახვის საშუალებას იძლევა⁴.

ჯერ კიდევ ნ. მარი შენიშნავდა, რომ „На ее (ე. ი. სვანეთის — თ. ბ.) изучение теперь возлагается не без основания добрая часть надежд при решении очередных задач в нашей научной области, а с их решением в значительной степени связаны крупнейшие культурно-исторические вопросы Передней Азии“⁵.

სვანების ისტორიის მნიშვნელობა, ნ. მარის აზრით, მხოლოდ წინა აზიით როდი შემოიფარგლება. იგი სვანების ბასკებთან ნათესაური ურთიერთობის საკითხს თავის მეცნიერულ გამოკვლევაში არაერთხელ დაუბრუნდა⁶.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის და ძველი ისტორიის რიგი საკითხების სრულყოფილად გაშუქება შეუძლებელია მისი ცალკეული ტომების წარმომავლობის, თავდაპირველი განსახლების არეალის, სულიერი და მატერიალური კულტურის მთელი რიგი ასპექტების სათანადოდ შესწავლის გარეშე.

⁴ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, I-II, Тб., 1984.

⁵ Н. Я. Марр, Из поездок в Сванию (летом 1911—1912 гг.), XV, т. II, в. I, Спб., 1913, с. 34.

⁶ Н. Я. Марр, დასახ. ნაშრომი, გვ. 113; მისივე, ИР, т. I, Л., 1933, с. 169; მისივე, ИР, т. IV, Л., 1937, 3-52; შდრ. А. И. Робакидзе, Сванети, Тб., 1984, с. 3-5.

სეპების უძველესი ისტორიით ბევრი მკვლევარი დაინტერესებულია, მაგრამ მონოგრაფიულად მისი შესწავლა არავის უცდია. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის შესწავლის დროს მკვლევრები ხშირად მიმართავენ სვანურ ლინგვისტურ ფოლკლორულ თუ ეთნოგრაფიულ მასალას იმდენად, რამდენადაც მასში დღემდე შემორჩა უძველესი ზოგადქართული სინამდვილის ამსახველი ფაქტები. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხში სვანური ენის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული.

არსებობს მოსაზრება, რომ მუშქები ინდო-ევროპელი ხალხი უნდა იყოს და არაფერი საერთო ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან, კერძოდ, მოსხებ-მესხებთან არ აქვთ⁷.

ასეთი მოსაზრება ემყარება შემდეგ გარემოებას: მცირე აზიის ისტორიაში ძვ. წ. XII—VIII საუკუნეებს ჩვეულებრივ „ბნელ ხანას“ უწოდებენ. „ზღვის ხალხების“ შემოსევამ დასავლეთიდან ქარიშხალივით გადაუარა მცირე აზიას. ძვ. წ. XII საუკუნის შემდგომ დასავლეთი და ცენტრალური მცირე აზია მრავალი ახალი ტომის სამშობლო ხდება. ამ დროიდან მოყოლებული, მცირე აზიაში განუწყვეტელი ნაკადით მოედინებიან ბალკანურ-თრაკიული მოდგმის ინდო-ევროპული ტომები: ფრიგიელები, თრაკიელები, სომხების ინდო-ევროპელი წინაპრები, მიზიელები, ბითინიელები, ეოლიელები, იონელები და დორიელები ბერძნები. მუშქების ინდო-ევროპული წარმომავლობის თეორია საფუძვლად დაედო იმ გარემოებას, რომ ძვ. წ. VIII ს.-ის ბოლოს ასურულ წყაროებში მოხსენიებულ „მუშქების მეფე მითასს“ იცნობს ძველი ბერძნული ტრადიცია. იგი მას ეძახის „ფრიგიის მეფე მიდასს“. აქედან გავრცელდა ოვალსაზრისი, რომ მუშქები ინდოევროპელი ფრიგიელები

⁷ ВДИ, 1953, № 3, с. 94; И. М. Дьяконов, Хетты, фригийцы и армяне: Преднеазиатский сборник. Вопросы хеттологии, М., 1961, с. 355, 357; С. Т. Еремян, Племенное объединение армян в стране Арме-Шуприа. Историко-филологический журнал, 1958, № 3, с. 73-74; И. М. Дьяконов, Малая Азия и Армения около 600 г. до н. э., ВДИ, 1961, № 2, с. 58.

არიან⁸. ამის გამო მუშქებს ფრიგიელებთან აიგივებენ, მუშქები და ფრიგიელები ერთ ტერიტორიაზე, ერთ სამეფოდ იგულისხმებიან.

მუშქების ინდოევროპული წარმომავლობის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქმული აქვთ აკადემიკოსებს: ივ. ჯავახიშვილს⁹, ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილს. ასევე უცხოელ ორიენტალისტებს — ვ. კავენიასს, ე. აქურგალს და სხვებს¹⁰.

მუშქებისა და მოსხების იგივეობის პრობლემა მონოგრაფიულად დაამუშავა ნ. ხაზარაძემ¹¹.

ი. დიაკონოვი 1981 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში კატეგორიულად უარყოფს მუშქებს და მესხებს შორის რაიმე კავშირის არსებობას და ამტკიცებს, რომ „აღმოსავლეთის მუშქები“ სომეხთა წინაპრებია¹².

მაგრამ ი. დიაკონოვი ვერ იძლევა დამაჯერებელ პასუხს მისსავე დასმულ კითხვებზე: თუ მუშქები სომეხთა წინაპრები იყვნენ, რატომ არ იხსენიებენ მათ ურარტული წარწერები? ან რატომ არ

⁸ გ. მელიქიშვილი, ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი, სინ, ტ. I, თბ., 1970, გვ. 319—321.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 227; მისივე Основные историко-этнографические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи, ВДИ, 1934, № 4; მისივე, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 402 (სადაც აღნიშნულია, რომ ლეკები თუშებს „მოსეკებს“ უწოდებენ. მოსოქ-მუსუქის იდენტურობა კი ეჭვს არ უნდა იწვევდეს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, თუშებში ორი ეთნოკური ღენა ჩანს: წანურ-სვანური და ვეინახური, შემდგომ მთლიანად ქართველები).

¹⁰ ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1943, გვ. 29; გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 312—321; E. Cavagnac, Muschki et pygienes, SA, t, CCXII 1953, გვ. 140; E. Akurgal, Physische Kultur, Ankara, 1955, გვ. 113; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 105—112; იხ. მისივე წერილები, ეურნ. Вестник древней истории, 1962, № 1 და 1963 № 2; გ. მელიქიშვილი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შიამზე, 1961, № 3.

¹¹ ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორია ეთნო-პოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბ., 1984, გვ. 127—195.

¹² Н. М. Дьяконов, Малая Азия, с. 58.

არის კვალი სომხური ენის ადგილობრივ ონომასტიკონში, კერძოდ, სადინასტიო სახელებში, რომელიც ცნობილია XI—VII საუკუნეების წარწერებში? ¹³

ი. დიაკონოვი უარყოფს მუშქების ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან რაიმე კავშირის არსებობას, მაგრამ თავისი დებულების დასამტკიცებლად არ გააჩნია რაიმე სარწმუნო არგუმენტი, გარდა იმისა, რომ „აღმოსავლეთ მუშქების“ განსახლებას ტერიტორია უფრო ახლოსაა სომეხთა ადგილსამყოფელთან, ვიდრე ქართველ ტომთა საცხოვრებელ ადგილთან.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ „აღმოსავლეთ მუშქების“ აღრინდელი საცხოვრებელი ადგილი დღევანდელ სომეხთა განსახლების ტერიტორიასთან უფრო ახლო იყო, ვიდრე ქართველებსა, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ფაქტად ვერ გამოდგება. რაც შეეხება, სომეხი ხალხის ფორმირების პროცესში მუშქების ეთნიკური ელემენტის მონაწილეობას — გასაზიარებელია, მაგრამ მთლიანად მუშქების ეთნიკური მასა, რომ მხოლოდ სომეხთა ეთნოსუბსტრატია იყოს, არადამაჯერებლად გვეჩვენება.

ს. ერემიანიც ცდილობს მუშქები სომეხებს დაუკავშიროს, ოუმიცა იგი საკუთრივ სომხური ენის მატარებლად თვლის არა ფრიგიელ (მისიელ) მუშქებს, არამედ ტიგლათფლისერ I-ის მიერ მოხსენებულ ურუმეილებს, რომლებმაც ძვ. წ. XII ს. მუშქებთან ერთად შექმნეს ერთი გაერთიანება — უძველესი „მუშქების სამეფო“ ზემო მესოპოტამიაში ¹⁴.

ამგვარად, აზრთა სხვადასხვაობას ძირითადად იწვევს ერთი საკითხი, არიან თუ არა ფრიგიელები და მუშქები ერთი და იგივე, კერძოდ ინდოევროპული მოდემის ხალხი. გ. მელიქიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ანტიკური ტრადიცია (ჰეროდოტე და სხვ.) დაეინებით ამტკიცებს, რომ ფრიგიელები მცირე აზიაში ბალკანეთიდან გადმოსახლდნენ. ბევრი მკვლევარი ფრიგიელთა გადმოსახლების თარიღად სწორედ ამ ქარიშხლიან ხანას, ძვ. წ. XIII—XII სს. მიიჩნევს. ამიტომაც ასე ადვილად იქნა გაზიარებული მოსაზრება, რომ „მუშქები“, რომელთა შემოტევის მოგერიება უხდებოდა ტიგლათფლისერ I-ს, სწორედ ეს ახლად შემოსული ფრიგიელე-

¹³ იქვე, გვ. 58—59.

¹⁴ С. Т. Еремян, დასახ. ნაშრომი, გვ. 73—74.

ბი უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც გვიან ხანაში „მუშკების სამეფო“ და „ფრიგიის სამეფო“ სინონიმებს წარმოადგენდნენ“¹⁵.

კავკასიის ხალხების ისტორიით გატაცებული ზოგიერთი მკვლევარი მრუდე სარკეში წარმოგვიჩენს სვანების, ამ ერთ-ერთი სისხლხორცეული ქართველური ტომის წარმოშობის საკითხს. უფრო მეტიც, სვანებს თვლიდნენ რაღაც „გამოუცნობი წარმოშობის ტომად“, რითაც ქართველი ხალხის ისტორიაში ჩაუხედაობას უფრო ასაბუთებდნენ, ვიდრე ხალხის ჭეშმარიტ ისტორიის ცოდნას. ასე მაგალითად, რეიტენფელსი სვანებსა და ჩერქეზებს გენეტიკურად ერთმანეთს უკავშირებდა¹⁶. ოპკელი, ეყრდნობოდა რა მითს ქართველთა ეგვიპტური წარმოშობის შესახებ, სვანთა თავდაპირველ სამშობლოდ ნილოსის ნაპირებს მიიჩნევდა¹⁷. სხვა ავტორები ქართველი და საერთოდ კავკასიის ხალხების წარმომავლობას სპარსეთს ან თურქეთს უკავშირებდნენ¹⁸.

სვანების წარმოშობის შესახებ არასწორ ფაქტებზე დაყრდნობით წარმოშობილი ილუზიისაგან თავი ვერ დააღწია შემდგომი ხანის ზოგიერთმა მკვლევარმაც. თვით კავკასიის ხალხების მცოდნე პ. უვაროვაც კი სცოდავდა, როცა წერდა: „ქართველები სვანებში ქართულ ტომს ხედავენ, მაგრამ მათ შორის ნათესაობა ვერაფრით ვერ მტკიცდებაო“¹⁹.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მიმდევრები ცდილობდნენ ქართველი ხალხის გათიშვას, რათა იოლად განეხორციელებინათ მასზე გაბატონების ამოცანა. ამ მიზნით იყო ნაკარნახევი ზოგიერთი მეცნიერის ქადაგება, თითქოს სვანები, მეგრელები,

¹⁵ გ. მელიქიშვილი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, სს, ტ. I, გვ. 319.

¹⁶ Осетины глазами русских и иностранных путешественников, Орджоникидзе, 1967, с. 22.

¹⁷ Н. Гамрекелов, Сванетия в ее прошлых судьбах. «Кавказ», 1873. № 110.

¹⁸ А. Дейчман, Несколько слов о Кавказе в сельско-хозяйственном отношении. ЗКОСХ, год второй, кн. I, Тиф., 1856, I; Письма Х к Булгарину. «СА», 1828, № 10, с. 229; Ф. Черксы, Казаки и Адехе. РВ, т. 48, М., 1863, с. 847.

¹⁹ Посадка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию г-р. Уваровой, МАК, X, М., 1904, с. 27.

ფშავები, ხევსურები და ა. შ. ქართველები არ არიანო. მათ წისკვილზე ასხამდა წყალს ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი უცხოელი მოგზაური, რომელთა ყალბ ცნობებს დღესაც ყოველგვარი კომენტარების გარეშე აქვეყნებენ²⁰. ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის პედაგოგი ვ. ი. ტეპცოვი იმდენად გაუტაცნია რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომ სვანეთის სხვადასხვა საზოგადოებებში იგი რუსულ ტიპებს ხედავს, ქართულზე კი სიტყვაც არ წასცდენია. ასე მაგალითად, მულახელ გლეხს უდარებს მალროსს, ხოლო მესტიელს — იაროსლავის გუბერნიის რუსს²¹ და ა. შ.

ასეთი ცრუმეცნიერული არგუმენტაციის საფუძველზე ცარიზმის მონებლები სვანეთის სკოლებში ქართულის მაგივრად რუსულ ენაზე სწავლებას უფრო შესაძლო ვარიანტად თვლიდნენ. მაგრამ მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ყოველთვის ფხიზელ დარაჯად ედგა ერის კულტურული წინსვლის საქმეს.

კრატიკულად მოაზროვნე მეორე მიმდინარეობა სვანებს ქართული წარმოშობისად თვლიდნენ. ესენი იყვნენ შარდენი, გიულდენშტედტი, კლაპროტი, დიუბუა დე მონპერე, გ. მერცბახერი.

აღნიშნულ საკითხს ვახუშტი ბატონიშვილითა და დ. ბაქრაძით დაწყებული, ქართველ მეცნიერთა საუკეთესო წარმომადგენლები მტკიცე არგუმენტების საფუძველზე ღრმამეცნიერულ დონეზე განიხილავდნენ, რის შედეგადაც სვანთა ქართულმა წარმომავლობამ საერთო აღიარება პოვა.

მეცნიერებაში არსებობს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ წარსულში დასავლეთ საქართველოში სვანური ტომების განსახლება გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიას მოიცავდა. ამას აღიარებენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი, გ. მელიქიშვილი, თ. მიქელაძე და სხვ. ასეთი მოსაზრებისათვის არსებობს მდიდარი მასალა წერილობითი წყაროე-

²⁰ კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (ტომის რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, გ. გელაშვილი), თბ., 1981; შდრ. თ. მიხეილაძის, საინტერესო ცნობები საქართველოზე (რეცენზია), „წიგნის სამკარაო“, 25.XI. 1981, № 22.

²¹ СМЛОМПК, вып. X, 1890, отд. I, с. 42.

ბისა და ტოპონიმების სახით. წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ გამოვლენილი ახალი მასალა აღნიშნული დებულების სისწორეს კიდევ უფრო ცხადყოფს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღესაც ზოგიერთი მკვლევარი არამცთუ არავითარ ანგარიშს არ უწევს წარსულში სვანთა ფართო განსახლების შესაძლებლობას, პირუტყუ, ეპეკვეშ აყენებს იმასაც, იყო თუ არა დღევანდელი სვანეთის ტერიტორია ყოველთვის სვანებით დასახლებული. ასე მაგალითად, შ. ინალ-იფა სვანეთის ერთ-ერთ მყინვარის სახელწოდებას „შხარა“, აფხაზური წარმოშობისად მიიჩნევს²². თუ აფხაზურად „შხარა“ მთას ეწოდება, როგორც ამას ავტორი წერს, მაშინ რატომ არ უნდა გაეწიოს ანგარიში იმასაც, რომ „შხარ“ სვანურად დაღარულს ნიშნავს (ე. ი. ზეავებისაგან დაღარული). შ. ინალ-იფა სვანეთის ერთ-ერთი მდინარის სახელწოდება „ფაშგუაშ“-ის ამოსავლად თელის აფხაზურ „ბას“-ს,²³ მაშინ როცა ეს ჰიდრონიმიც სუფთა სვანური წარმოშობისაა და ნიშნავს 'ღია ხეობას' (სიტყვისაგან „ფაშგ“). ლეჩხუმიც თურმე აფხაზთა განსახლების არეალს წარმოადგენდა²⁴; უფრო მეტიც, უშგულის ერთ-ერთი სოფლის სახელი „უიბიანი“ (რომელიც სვანურად 'ზედა უბანს' ნიშნავს, იქვეა ქვედა უბანი „ჩიბიანი“) წარმოსდგებაო აფხაზური გვარისაგან „უიბა“²⁵. მაგრამ რა უწყობთ იმ ფაქტს, რომ „უიბე“ სვანურად 'ზედას' აღნიშნავს?

ასევე საფუძველს მოკლებულია ვ. კვარჭიას მტკიცება იმის შესახებ, თითქოს შორეულ წარსულში დღევანდელი სვანეთის ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხს უნდა ეცხოვრა²⁶.

²² Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми, 1976, с. 386.

²³ იქვე, გვ. 387.

²⁴ იქვე, გვ. 388, იმეორებს: Литературная энциклопедия, т. I, 1930, с. 19.

²⁵ იქვე, გვ. 386.

²⁶ В. Е. Кварчия, Об абхазских этнонимах аиарс «осстни», асоп иа «сван», в сб.: «Вопросы Кавказской филологии и истории», Нальчик, Сухуми, 1965, с. 79.

ამიერკავკასიის ხალხების ისტორიაში ერთ-ერთ ურთულეს და დღემდე მწვავე სადისკუსიო პრობლემას წარმოადგენს ჰენიოხთა ეთნიკური ვინაობის გარკვევის საკითხი.

ქველევართა ერთი ნაწილი აღიარებს რა ჰენიოხთა სვანურობას, შ. ინალ-იფა ამის პასუხად დასძენს, თუ ჰენიოხები სვანები იყვნენ, მაშინ აფხაზეთის ტოპონიმიაში რატომ არ შეიმჩნევა სვანთა განსახლების კვალი? ²⁷

სინამდვილეში, როგორც ქვემოთაც დავრწმუნდებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ათეულობით სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი აღმოჩნდა (იხ. თავი V).

სხვათა შორის, თავის დროზე ს. ჯანაშია შენიშნავდა: „აფხაზეთი დარწმუნებული არიან, რომ „აფს-უა“ — აფხაზი და „აფს“-ნგ — აფხაზეთი დაკავშირებულია სიტყვა აფსგ-სთან (სული), რომ აფსნგ, ამრიგად „სულის ქვეყანას“ ნიშნავს. მაგრამ ეს შეცდომაა, სათანადო ფუძეების შემთხვევითი გარეგნული მსგავსების ნიადაგზე აღმოცენებული“ ²⁸.

მასკარტის აზრით, აზგების ხალხში უნდა ვგულისხმობდეთ არა მარტო აფხაზებს, არამედ მთელ ლაზთა სამეფოს, სამეგრელოს, სვანეთს ²⁹.

ნ. მარის მოსაზრებით, ხალხი, რომელიც სვანური ტომებისაგან შედგებოდა, თავდაპირველად არ ატარებდა „სვან“ სახელწოდებას, არამედ მისი ეთნიკური სახელწოდება იყო „აბასხი“ ³⁰.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ტერმინი „ებზე“, რომელსაც ყარაჩა-ბალყარლები დღემდე ხმარობენ სვანთა სატომო სახელად. ყარაჩა-ბალყარლები ძირითადად ყივჩაღური წარმოშობის ხალხია. ყივჩაღები კი ამიერკავკასიის ხალხებსაც კარგად იცნობდნენ. ჩანს ეს ტერმინიც იმ შუასაუკუნეების სინამდვილიდან მოჰყვება ყივჩაღური მოდგმის ყარაჩა-ბალყარელთა მეხსიერებას.

²⁷ Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы, Сухуми, 1965, с. 79.

²⁸ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 68.

²⁹ Н. В. Пигулевская, Сирийский источник VI в. о народах Кавказа, ВДИ, № 1, 1939, с. 109.

³⁰ Н. Я. Марр, Из поездок в Сванию (летом 1911—1912 гг.), XV, т. II, в. I, СПб, 1913, с. 32, 34.

ს. ჭანაშვიას ე ბ ზ ე აბაზგიიდან წარმოშობილად მიაჩნდა³¹ (აბაზგია-აბაზა-ობეზი-ებზე). ობეზ-ი შუა საუკუნეების უცხოურ წყაროებში დასავლეთ საქართველოს, ზოგჯერ მთელი საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა³².

ს. ჭანაშვია იმასაც შენიშნავდა, რომ „საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, წინ უსწრებდა სვანურ-ზანური მოსახლეობა“³³.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა სვანური ენის საკითხშიც. ზოგიერთი ავტორი სვანური ენის ქართულთან ნათესაობას უარყოფდა³⁴, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ მათ არ გააჩნდათ ის ცოდნა, რის საფუძველზეც აღნიშნული დებულების ასე თამამად წამოყენება შეიძლებოდა.

კავკასიური ენების შედარებითმა შესწავლამ, რომელსაც საფუძველი ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა³⁵, მეცნიერულად დაადასტურა, რომ სვანური ენა ქართულის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენს. სპეციალისტების აზრით, სვანური ძვ. წ. XIX—XVIII საუკუნეებში უკვე დამოუკიდებელი ენა იყო, მაშინ, როცა ქართულ-ზანურ ენათა ერთობა ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლომდე გრძელდებოდა³⁵. ამგვარად ეს თარიღები კიდევ უფრო უკან იქნა დაწეული.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველ ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალ საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურს, ან სვანურს შტოს. ამის გამო ქართულ ენაკი-

³¹ ს. ჭანაშვია, შრომები, ტ. III, გვ. 300.

³² იქვე, გვ. 300.

³³ იქვე, გვ. 15.

³⁴ А. И. Стоянов, Образцы сванской народной поэзии, СМОМПК, X, Тиф., 1980, с. 12, 23.

³⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.

³⁶ «Вопросы языкознания», 1959, № 2, с. 120; Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. М., 1964, с. 17.

ლოკაუების შესწავლას ჩვენი ერის უძველეს წარსულის შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდევ ყოველთვის“³⁷.

ნ. მარის აზრით, სვანური ენა მესხურის განაყარია. სვანურ-მეგრულ-ჭანურ ენაზე ითარგმნაო „св.- Писание; текст которого грузиновался“³⁸. იგი თვლიდა, რომ თამარ მეფის დრომდე სვანური ენა ჯერ კიდევ ატარებდა მესხურ ელფერს³⁹. ნ. მარისავე სიტყვით, სვანებისა და აფხაზების ძირეული ეთნიკური ფენა მოსხებიდან მომდინარეობს⁴⁰.

ნ. მარი, ისევე როგორც ივ. ჯავახიშვილი, ქართველური ტომების სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიგრაციის თეორიას აღიარებდა. ამ მიგრაციის დროს სვანებს, ნ. მარის თქმით, სამხრეთიდან ჩრდილოეთში კულტურულ მონაპოვართან ერთად გადაჰქონდათ გეოგრაფიული სახელებიც⁴¹. ეს ფაქტი ტოპონიმიკური ძიების დროსაც დადასტურდა (იხ. თავი V).

აღნიშნული ფაქტის აღიარება წარსულში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სვანთა განსახლების რეალურ შესაძლებლობაზე მეტყველებს, რომელთა საწყის თარიღად სვანური ენის საერთო ქართველური ფუძე-ენიდან გამოყოფის დრო უნდა იქნეს მიჩნეული.

ივ. ჯავახიშვილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პირველ ბინადარ ქართველურ ტომად სვანებს მიიჩნევდა, რომელთა განსახლების არეალი შემდგომ თანდათან განიცდის შევიწროებას აქ ახალი ქართულ-ზანური შტოს გამოჩენისა და დამკვიდრების გამო⁴². დასავლეთ საქართველოს ბარში სვანთა განსახლებას აღიარებდა ს. ჯანაშია⁴³. ნ. ბერძენიშვილი ხმარობდა ტერმინს „ხობის სვანე-

³⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, ტფ., 1908, გვ. 20; მისივე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 106.

³⁸ Н. Я. Марр. К дате эмиграции москхов из Армениии в Сванетию, Петроград, 1916, с. 1690. ?

³⁹ იქვე, გვ. 1690.

⁴⁰ იქვე, გვ. 1690.

⁴¹ Н. Я. Марр. Из поездок в Сванию, с. 31.

⁴² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 405.

⁴³ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, 15, 146.

თი“. მას სამეგრელოს ბარში სევანთა განსახლება დასაშვებად მიაჩნდა უძველესი დროიდან იქ ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბების დაწყებამდე⁴⁴.

გ. მელიქიშვილი არაერთხელ დაუბრუნდა დასავლეთ საქართველოს ბარში სევანთა განსახლების საკითხს და ამასთან დაკავშირებით არაერთი ფაქტიც გამოავლინა. მეცნიერის მტკიცებით, რადნიც აუზში სევანთა განსახლებას ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. VIII საუკუნეშიც⁴⁵. პომეროსის ცნობებზე დაყრდნობით, გ. მელიქიშვილი ასკვნის, რომ ფაზისა (დღევ. ფოთი) და კაეკასიონის მთებს შორის ძვ. წ. V ს. სევან-ჰენიოხების მოსახლეობაა სავარაუდებელი⁴⁶. სხვა მკვლევრებისაგან განსხვავებით, გ. მელიქიშვილი თანმიმდევრულად ავითარებს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სევანთა განსახლების შესაძლებლობის თეორიას.

წარსულში კოლხეთის ბარში სევანური ეთნიკური ერთეულის არსებობას იზიარებს არქეოლოგი თ. მიქელაძეც. იგი ზოგიერთ ტოპონიმზე საყურადღებო დაკვირვებასაც გვთავაზობს⁴⁷. მიუხედავად ამისა, თ. მიქელაძე როგორც კოლხური, ისე პროტოკოლხური კულტურის შექმნაში სევანთა როლს რატომღაც გამოორიქხავს⁴⁸.

თ. მიქელაძე განიხილავს კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ეთნოგონიის, არქეოლოგიის და საზოგადოებრივი წყობის ისტორიის საკითხებს და აღიარებს, რომ ამ ტერიტორიაზე ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან ენობრივად ერთგვაროვან მოსახლეობასთან გვაქვს საქმე⁴⁹.

ავტორის აზრით, ქართველური ენების დიფერენციაცია ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის უკვე დასრულებული იყო, ე. ი. ავტორი იმ აზრისაა, რომ ზანურ-ჭანური საერთო ქართულ ფუძე-

⁴⁴ ბ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII,

⁴⁵ Г. А. Меликишвили, Наименование города Фазиса и вопрос об этническом составе населения древней Колхиды, ВДИ, 1956, № 1, с. 85-86.

⁴⁶ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 309.

⁴⁷ თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 10—14.

⁴⁸ იქვე, გვ. 20, 72, 184 და სხვ.

⁴⁹ იქვე, გვ. 3-4.

ენას გამოცემა არა ძვ. წ. VIII საუკუნიდან, როგორც აქამდე აღიარებდნენ, არამედ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის⁵⁰.

სვანების საკითხთან დაკავშირებით მეცნიერი წერს, რომ ისინი რიონის აუზის უძველეს მოსახლეობად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ როდის მოვიდნენ ისინი აქ, ამის თქმა ძნელია. იქვე მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ სვანური ტომები ძველი მცირე აზიის რეგიონიდან არიან, რომლებიც ხეტებს ემეზობლებოდნენ, ან შესაძლოა მათ წინ უსწრებდნენ კიდევაც. თ. მიქელაძე წერს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველური ენებიდან პროტოხეთური ელემენტი მხოლოდ სვანურმა შემოინახა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სვანური ტომების პროტოხეთებთან კონტაქტების დროს, ე. ი. ძვ. წ. III ათასწლეულში სვანური ენა საერთო ქართული ფუძე-ენიდან გამოყოფილი უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ ეს პროცესი სვანთა ისტორიულ კოლხეთში დამკვიდრებისას უნდა დასრულებულიყო⁵¹.

ავტორის სიტყვით, სვანების შემდეგ კოლხეთს სამხრეთიდან შემოსული ზანურენოვანი ხალხი ეუფლება.

თ. მიქელაძე ასკვნის: ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის ქართულ-ზანური ერთობა დაშლილია, რაც ნათლად აირეკლა განსხვავებულ არქეოლოგიურ კულტურაში გამოხატულ ზანური (კოლხური) ერთობის დამოუკიდებლობაში.

თ. მიქელაძე ძვ. წ. II-I ათასწლეულის კოლხეთის არქეოლოგიაში გამოყოფს ოთხ პერიოდს: პროტოკოლხური, ძველი კოლხური, შიდა კოლხური და გვიან კოლხური.

პროტოკოლხური კერამიკა, მისი აზრით, ძვ. წ. XV საუკუნის დასაწყისამდე უნდა ყოფილიყო გამოყენებაში. პროტოკოლხურ კულტურამდელ ნივთიერ ძეგლებს იგი სვან-ჰენიოხთა ტომებს მიაკუთვნებს. ე. ი. გამოდის, რომ სვანთა განსახლებას კოლხეთის ტერიტორიაზე ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. XV საუკუნის დასაწყისამდე. ამის შემდეგ, ავტორის აზრით, იწყება კოლხური კულტურის განვითარება.

„სვან ტომთა თანდათან გაწევა ჩრდილოეთისაკენ ამ კულტურ-

⁵⁰ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

⁵¹ იქვე, გვ. 72, 184.

რის მატარებელთა მოწოლის შედეგი უნდა იყოს და ამ პროცესის დაწყების ქრონოლოგიურ მიჯნად აღნიშნული კულტურის ვაჭენის ხანაა მისაჩნევი“⁵².

თუ ანგარიშს გავუწევთ გ. მელიქიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რიონის აუზში ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს. სვანური მოსახლეობა უნდა არსებულებოდა, ნ. ბერძენიშვილის დებულებას „ხოზის სვანეთის“ შესახებ ადრეფეოდალურ ხანაში, წერილობითი წყაროებიდან პლინიუსის (ახ. წ. II ს.) ცნობას „მდინარე ხოზი სვანეთზე მიედინებაო“, ბტოლემეაიოსის (ახ. წ. II ს.) უწყებას დღევანდელი გაგრის ზონაში „სუანო-კოლხების“ განსახლების თაობაზე, ხოლო ახ. წ. VII ს. „სომხეთის გეოგრაფიაში“ დაცულ მითითებას გაგრასა და ადლერს შორის სვანური ეთნიკური ერთეულის არსებობის შესახებ, მაშინ კოლხეთის კულტურის შექმნაში სვანური ტომების როლის უარყოფა ნაკლებ სარწმუნოა. პირიქით, რამდენადაც სვანური ტომების განსახლებას კოლხეთის ტერიტორიაზე ხანგრძლივი ისტორია უნდა ჰქონდეს (და ამას თვით თ. მიქელაძეც აღიარებს), სავარაუდოა კოლხეთის კულტურის განვითარებაში მათი აქტიური მონაწილეობა.

წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალა მოწმობს, რომ სვანები ლითონის წარმოების ერთ-ერთი უძველესი ტრადიციის მქონე ხალხია. მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამ საკითხში ალბათ მეტ სინათლეს შეიტანს.

ამგვარად, ქართულმა საბჭოთა ისტორიკოსებმა გარკვეული შუქი მოჰფინეს წარსულში აღმოსავლეთ შვეიზდვისპირეთში სვანური ტომების ფართო განსახლების შესაძლებლობის საკითხს. წინამდებარე ნაშრომი ამ საკითხის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობის დროს გამოყენებული, შეჯერებული და გაანალიზებულია ძველ აღმოსავლური (შუმერულ-აქადური, ასურული, ხეთური, ურარტული), ძველებრაული, ძველებერძულ-რომაული, სომხური და ქართული წერილობითი წყაროები, ასევე ტოპონიმიკური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა. გათვალისწინებულია უახლოესი არქეოლოგიური მონაპოვარი და საკვლევი საკითხის ირგვლივ არსე-

⁵² თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 184, 185.

ბული სპეციალური ლიტერატურა. მოცემულია დასავლეთ საქართველოს ბარში სვანური ტომების განსახლების ტერიტორიის თანდათანობით შემცირების, ეთნიკური ასიმილაციისა და ინფულტრაციის მიზეზები და პირობები. საგანგებო თავი ეძღვნება სვანეთში დღემდე შემორჩენილი ძველი მცირე აზიის კულტურული განვითარების მაღალ დონეზე მყოფი ზოგიერთი ხალხის რელიგიური კულტების გადმონაშთების არსებობას.

სვანთა ეთნოგენეზის საკითხისათვის

ერთ-ერთი უძველესი ქართველური ტომის — სვანთა ეთნიკური ისტორიის შესწავლა პირველ ყოვლისა მოითხოვს ანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში სვანური ტომების განსახლების არეალების დადგენას. მაგრამ ამ რთული პრობლემის გადაწყვეტამდე საჭიროა სვანთა სატომო სახელის „მუშვან“ ტერმინის გენეზისის საკითხის გამოკვლევა.

სვანები თავიანთ თავს უწოდებენ „მუშვან“-ს, ხოლო თავიანთ კუთხეს „შვან“-ს.

სვანთა ტომის აღსანიშნავად ეს ტერმინი პირველად სტრაბონთან (ჰე. წ. 64—ახ. წ. 24 წწ.) გვხვდება ტრანსკრიპციით — სოან.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ არაფერი თქმულა იმის შესახებ, ატარებდა თუ არა რომელიმე ქართველური ტომი ასეთ სახელს სტრაბონამდე. არც სხვა სვანური ტომების ვინაობის საკითხია ზუსტად დადგენილი, ამ თვალსაზრისით მხოლოდ მოსაზრებებია გამოთქმული თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსების მიერ.

„მუშვან“ ეთნონიმის წარმომავლობით ვახუშტი ბატონიშვილით დაწყებული არაერთი მკვლევარი დაინტერესდა.

ვახუშტი ბატონიშვილი სვანეთის მხარის სახელწოდებას შემდგენიარად ხსნიდა: „ოდეს ვერლარა იტევდა ძურძუკეთი კაცთა მეფემან საურმაგ აჰყარა მუნიდამ და მისცა აჟა სავანე და დასხნა სულნი დიდძალნი. ამის გამო იწოდა სვანეთი“¹.

¹ ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV), თბ., 1973, გვ. 650—651.

იგივე აზრი აქვს გატარებული ნ. დადიანსაც². მისი აზრით, ოდესღაც, კერძოდ ძვ. წ. III—II სს. მიჯნაზე, მეფე საურმაგის დროს სვანეთის ტერიტორია ძურძუკების (ჩეჩენ-ინგუშთა წინაპრების) სამოსახლო გამხდარა და ამიტომ მიიღო მან ასეთი სახელი. ცხადია, რომ ასეთი დებულება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საკმარისია მოვიტანოთ XI ს. ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ერთი ცნობა:

„მაშინ ფარნავაზ... მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ“³.

ფარნავაზი (ძვ. წ. III ს.) მამა იყო საურმაგისა და ჯერ კიდევ მის დროს სვანეთი თურმე საერისთაოს წარმოადგენდა. ამ ცნობის მიხედვით, სვანეთი და ეგრისი მდებარეობს ეგრის წყალსა და რიონს შუა ზღვიდან მთამდე, ე. ი. დღევანდელ სვანეთ-სამეგრელოს ტერიტორიაზე, სადაც ძურძუკთა ნაკვალევის ნასახიც არსად ჩანს. მიუხედავად ამისა, ვ. ბატონიშვილის მოსაზრებას ანჯარიში უნდა გაეწიოს, რადგან იგი რომელიღაც ძველ ცნობას უნდა ეყრდნობოდეს.

როგორც აღვნიშნეთ, დღევანდელი სვანეთის ტერიტორიაზე ძურძუკთა ჩამოსახლება ყოვლად შეუძლებელია. თუ ძურძუკთა დასახლება სვანეთის ტერიტორიაზე მაინც მოხდა, აქ უნდა იგულისხმებოდეს იმიერკავკასიის მთიანეთი, დღევანდელი ყარაი-ბარყარეთის ტერიტორია, სადაც ანტიკური ხანიდან სვანთა განსახლება დასტურდება⁴. ეს დასაშვებიც არის, რადგან ძურძუკები აღნიშნულ ადგილებთან უფრო ახლოს ცხოვრობენ, ვიდრე, ვთქვათ, იმიერკავკასიის სვანეთთან.

„მუშევან“ ტერმინთან დაკავშირებით მსჯელობა გრძელდება გასული და მიმდინარე საუკუნის მკვლევართა შორისაც. ასე მკვლევართად, კ. სანიელი წერს, რომ სვანები არიან ცალკე შტო მეგრული ტომისა, უწინდელი მათი სახელი არისო „სონი“, „წანი“, რომე-

² ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანიძის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 30—152.

³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24.

⁴ თ. შიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986.

ლიც გამოდისო ქართული სიტყვიდან „ჭანი“. მისივე სიტყვით, „სვანეთი“ წარმოსდგება სიტყვისაგან „სავანე“, აქედან „შუანი“, „შუანეთი“, ანუ ქვეყანა შუა ხალხისა⁵. რ. გორდელაძესაც ჰგონია, რომ სვანეთი წარმოსდგება სიტყვისაგან სავანე⁶. მ. ჯანაშვილი ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფიის“ კომენტარების დროს გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სვანეთი და შუანუნდა წარმოსდგებოდეს ქართული სიტყვისაგან შუა ადგილი⁷.

საკვლევი ტერმინის ასეთი ეტიმოლოგია უცნაურადაც კი გვეჩვენება, რადგან სვანეთს არავითარი შუა ადგილი არ უკავია.

რუსი მოხელე კ. ბოროზდინიც ამ მხარის სახელწოდებას ქართულ სიტყვა სავანეს უკავშირებს⁸.

5. მარის მიხედვით, სვანთა ადრინდელი სატომო სახელებია აბასხი და წანარი⁹.

გ. კლიმოვი, როცა მუშავან//შუან ტერმინს ეხება, მიდის იმ დასკვნამდე, რომ მას საერთო ქართველური ფორმა უძვეესო საფუძვლად¹⁰, რაც ჩვენი არგუმენტებითაც დასტურდება.

ვ. კვარციას მოსაზრებით, „მუშან//შუან“ ტერმინები მომდინარეობს აფხაზური „აშგუა//ას-უა“-საგან. „აშგუას“ აფხაზები აბაზინელებს უწოდებენ. ვ. კვარციას სიტყვით, შორეულ წარსულში დღევანდელ სვანეთის ტერიტორიაზე აფხაზურ-აბაზინური მოდგმის ხალხს უნდა ეცხოვრა, რომლებმაც შემდგომ აქ მოსულ სვანებს დაუმკვიდრეს სახელი „მუშან“, ხოლო მხარეს „შუან“, რომ თითქოს აქ დარჩენილი აბაზინელთა ნაწილი ქართიზაციის პროცესს დაუქვემდებარდა¹¹.

⁵ გაზ. „ივერია“, 1877, № 74.

⁶ გაზ. „ივერია“, 1888, № 142.

⁷ ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1904, გვ. 316.

⁸ კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, თბ., 1934, გვ. 168.

⁹ ნ. მარი, Из поездок в Сванию. Христианский Восток, т. II, вып. I, СПб, 1913, с. 32.

¹⁰ Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, с. 37.

¹¹ В. Е. Кварчия. Об абхазских этнонимах аиарс «осетин», асо-ап на «сван», в сб.: «Вопросы Кавказской филологии и истории», Нальчик, 1982, с. 49.

ვ. კვარკია რატომღაც არ უწევს ანგარიშს იმ ისტორიულ რეალობას, რომ აბაზინელები წარსულში დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, კერძოდ, მდ. ბზიფსა და ტუაფსეს შორის, საიდანაც იმიერკავკასიაში მათ მიგრაციას ადგილი ჰქონდა XIII—XVIII საუკუნეებში¹². ჩრდილოეთ კავკასიაში აბაზინელები დაესახლნენ ლაბის, ურუპის, ზელენჩუკისა და ყუბანის სათავეებში. სვანეთის ტერიტორიაზე სვანთა მოხსენება კი პირველი საუკუნეებიდან გვხვდება, ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა დღევანდელი აფხაზეთის შავი ზღვისპირეთამდე სვანთა განსახლება დასტურდება. სვანურ-აბაზინური ეთნიკური ინფილტრაციის, თუ ენობრივი შეხვედრების ობიექტადაც აფხაზეთის შავი ზღვისპირეთი უნდა ჩაითვალოს.

არც ერთ ამ ავტორთაგანს მხარის გეოგრაფიული და ეთნიკური სახელის სუბსტრატი სვანურ ენობრივ სამყაროში არ უძებნია.

„მუშნი“ და „მუშან“ სვანურად ნიშნავს 'სვანს'. სვანური ხალხური ეტიმოლოგია ამ ტერმინს ასე განმარტავს: ოდითგანვე სვანი ხალხის უპირველეს და უმთავრეს საქმედ შენება და მშენებლობა ითვლებოდა. ხალხის რწმენით აქედან მომდინარეობს მათი სატომო სახელიც „მუშნი“, რაც სვანურ ენაზე 'მშენებელს' ნიშნავს¹³.

თუ ასეთი ხალხური ეტიმოლოგიის გამართლება შეიძლება, მაშინ უპირველეს ყოვლისა ანგარიში უნდა გაეწიოს სვანეთში სამშენებლო საქმის მდიდარ ტრადიციებს, სადაც ყოველი ხეობა, სოფელი თუ უბანი კოშკების ტყეებით, ციხე-სიმაგრეებით, სალოცავებითა და ქვიტკირის სახლებით შუა საუკუნეების მკვიდროდ დასახლებულ ქალაქებს მოგვაგონებენ.

მაგრამ ეს გულუბრყვილო ხალხური ეტიმოლოგიაა და მეცნიერული კრიტიკის გარეშე ვერც მას გავიზიარებთ.

მეზობელი ხალხებიდან სვანების აღმნიშვნელი სატომო სახე-

¹² Л. П. Лавров, Абазинцы (Историко-этнографический очерк), КСС, т. I, М., 1955, с. 9; Е. П. Алексеева, Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии. М., 1971, с. 196; Я. А. Федоров, Историческая этнография Северного Кавказа, М., 1983, с. 99-100, об. агарофев, Народы Кавказа, т. I, М., 1960; Е. Н. Данилова, Абазинцы, М., 1984, с. 21.

¹³ „სვანი“ ბალსქვ. დიალექტზე იქნება „მუშნი“, ხოლო ბალსხემოურ დიალექტზე — „მუშან“.

ლებია: მეგრულში — შონი, აფხაზეთში — ა-შან-უა, ქართულში — სვანი, ყარაჩა ბალყარელებში — ებზე, აღილელებში, ყაბარდოელებში, ჩერქეზებში, ინგუშებში — სონა¹⁴.

შონი//ა-შან-უა//სვანი//სონა ტერმინები იმის ამოსავალი წყაროა, რომ მუშან//მუშნი ეთნონიმის ძირია შან//შონ, ხოლო მუშან//მუშნი პრეფიქსია.

სწორედ შვან//შონ არის უძველესი და თავდაპირველი საწყისი ფორმა მუშან//მუშნი ეთნონიმისა, რომელიც სვანთა სატომო სახელად გვევლინება უძველესი დროიდან დღემდე. ამასთანავე მჩაბის სახელწოდების დღემდე შემორჩენილი ფორმა „შუან“ საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ განსახილველი ეთნონიმის თავდაპირველი სახე, კერძოდ, მუშვან//მუშნი კი არა, არამედ მუშუან//მუშუნი უნდა ყოფილიყო ის სუბსტრატი, რომლის ნიადაგზეც ოდნავ ტრანსფორმირებული სახით დღემდე მოაღწია ამ ეთნონიმმა.

რა შეიძლება ითქვას „სვან“ სახენაცვალ ფორმაზე?

უნდა აღინიშნოს, რომ სვანური შ-ს შესატყვისი ქართულში არის ს ბგერა. მაგალითად:

ქართ. სპა, მე დავლიე, შევსვი

მეგრ. შუ, შვვ, ქოშუ.

სვან. შ(ვ), მი-შვ-ა.

ქართ. სვანი, სუანი

მეგრ. შონი

სვან. შუან, მუ-შუან (მუ-შუან)

ქართ. სვენება

მეგრ. შვან (ამოიოხრა)

სვან. შვემ-შუმ (დასვენება)

ქართ. (ს) თაველი (თავთავი)

სვან. შდა, შტა

ქართ. (ს)თავი

სვან. შდუგვ, შტუგვ.

ამგვარად, ქართველთ შონ, შუან, სავსებით ლოგიკური სონ, სუანად აულიათ.

ცნობილია, რომ ძველბერძნულ ანბანში შ ბგერა არ არსებობს.

— ¹⁴ Кабардино-русский словарь, М., 1957, с. 330; А. И. Ронданидзе, Сванети, Тб., 1984, с. 6.

მის მაგიერ ხმარობდნენ ს-ს. ამიტომ საფიქრებელია, რომ სტრა-
ბონისეული სვანთა აღმნიშვნელი სატომო სახელი იყოს არა ს ო ა ნ,
არამედ შ ო ა ნ, ე. ი. ისე, როგორც დღემდე შემოგვრჩა სვანურში,
მეგრულში და აფხაზურში.

როგორც ს. ჯანაშია შენიშნავდა, სვანების შესახებ ალბათ სტრა-
ბონამდეც არსებობდა ცნობები¹⁵, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღ-
წევიათ, ან სხვა სატომო სახელებით იწოდებიან უცხოელ ავტორ-
თა შრომებში.

როგორც აღვნიშნეთ, ადიღეელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები
და ინგუშები სვანებს დღემდე უწოდებენ სონას. ჩვენი აზრით, ეს
ბერძნულ-ქართულის ზეგავლენით უნდა იყოს გამოწვეული, არადა
მაშინ ეს ტერმინი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსაზღვე ერთ-
ერთი ქართველური ტომის ს ა ნ ი ს ასოცირებული ფორმაა¹⁶. ს. ჯა-
ნაშიას თქმით: „ქართველ ტომთაგან უძველესია უეჭველად სვანი
და ჭანი“¹⁷. სვანები და სანიგები ჯერ შავი ზღვისპირა ზოლში მო-
სახლეობდნენ, ხოლო უფრო გვიან მათ ქაშაგების მეზობლადაც კი
ვხვდებით. ეს ცნობა თამარის ისტორიკოსს ეკუთვნის. როდესაც
ვარდან დადიანი გიორგი რუსს მიემხრო, მან „შეყარა ყოველი
სუანეთი და აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუე-
რი და არგვეთი. მომრთველმან სანიგთა და ქეშიგთაგან აფიცა რუ-
სისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათვის დიდებულნი და ლაშ-
ქარანი ქუეყნისანი“¹⁸. გეოგრაფიულადაც სანები სვანების ტერი-
ტორიის მახლობლად ცხოვრობდნენ¹⁹. საყურადღებოა, რომ „ზან“
ფუძე ყაბარდოულში სვანურიდან შესულადაა მიჩნეული²⁰.

საინტერესოა, რომ ყაბარდოელებში სონა სვანთა ეთნარქოსად
არის წარმოდგენილი. აი, როგორი გადმოცემა ჩავიწერეთ ამასთან
დაკავშირებით ყაბარდო-ბალყარეთში: „ქაშაგი და სონა ძმები ყო-
ფილან. მათ კავკასიონის უმაღლესი მწვერვალით ღმერთამდე ასვ-
ლა გადაუწყვეტიათ, მაგრამ გზის არჩევაში სხვადასხვა აზრისა ყო-

¹⁵ შდრ. სანი-სანიგი-სანიკი.

¹⁶ შდრ. სანი, სანიგი, სანიკი.

¹⁷ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 2.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 49.

¹⁹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ღასახ. ნაშრომი, გვ. 14.

²⁰ იქვე, გვ. 12.

ფილან. საბოლოოდ, რომ ვერ შეთანხმებულან, გზას ცალ-ცალკე გასდგომიან. სონა მწვერვალებისაკენ წასულა, ქაშაგი ბარისაკენ დაბრუნებულა. სონა მთებში დარჩენილა და იქ გამრავლებულა. მის ქვეყანასაც შემდგომ ეწოდა სონა. ქაშაგი ბარში დასახლებულა. ამის შემდეგ ბალყარლები მათ შესახებ ამბობენ: „ებზენე თაუთიი, მააზ, ჩერქეზენ სუუთიი მაგ“²¹. ე. ი. სვანებს კლდეებიც ვერ აკავებენ, ჩერქეზებს კი წყალიო.

ეს გადმოცემა მრავალმხრივ არის საყურადღებო. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ეთნონიმი სონა.

„ქაშაგს“ სვანები დღემდე უწოდებენ ყაბარდოს, ხოლო „ქაშ-გარს“ — ყაბარდოელებს და არა ჩერქეზებს, როგორც ეს გადმოცემაშია ნათქვამი. გადმოცემაში ქაშაგისა და სონას ძმებად აღიარება შორეულ წარსულში ამ ორი ხალხის ახლო ნათესაურ კავშირურთიერთობაზე მიგვანიშნებს. ეს მით უფრო სავალისხმოა რომ ხალხის მეხსიერებამ იგი დავიწყებას არ მისცა და საუკუნეების მიღმიდან დღემდე მოიტანა.

XVI—XVIII სს. რუსული წერილობითი წყაროებიც სვანებს „სონას“ უწოდებს, ხოლო სვანეთს „სონსკაია ზემლიას“²². მხოლოდ ერთჯან, კერძოდ ნიკონის მატიანეში (XVI ს.) სვანთა დასახლებებს ჩრდილოეთ კავკასიაში ეწოდებათ „სონსკიე ი მშანსკიე კაბაკი“²³.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე „ებზე“ ტერმინთან დაკავშირებით. როგორც აღვნიშნეთ, სვანების სატომო სახელად ბალყარლები და ყარაჩაელები დღემდე ხმარობენ ტერმინს „ებზე“. ამ საკითხზე საგანგებო მსჯელობა გვაქვს სხვა ნაშრომში²⁴. როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ეთნონიმ „ებზეს“ ამოსავალ სუბსტრატს წარმოადგენს ტერმინი აბასხი, აბაზგი, რომლისგანაც წარმოსდგება შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს (ზოგჯერ მთელი ქართველობის) აღმნიშვნელი ტერმინი „ობზუი“²⁵. „ობზუის“ სახენაცვა-

²¹ ჩაწერილია ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, ბახსანის რაიონის სოფ. ელ-ზრუსში, 75 წლის ფაშა ქურდანოვისაგან 1970 წლის 13 ივლისს.

²² თ. მიბჩუანი, დასახ. ნაშრომი.

²³ Полное собрание русских летописей, т. 13, 2-я, с. 371.

²⁴ თ. მიბჩუანი, დასახ. ნაშრომი, თავი I.

²⁵ ს. ჭანაშია, გერმანული ლიტონგის გადმოცემისათვის ქართულში, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 300.

ლი ფორმაა „ებზე“²⁶. ყარაჩაელები და ბალყარლები სვანების უშუალო ჩრდილო კავკასიელი მეზობლები არიან. ის ფაქტი, რომ ყარაჩაელები და ბალყარლები მხოლოდ სვანების მიმართ ხმარობენ ტერმინს „ებზე“, მრავლისმეტყველია და მასში შორეული წარსულის რეალური ვითარების ანარეკლი ჩანს.

იგი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სვანთა ფართო განსახლებაზე მიგვანიშნებს შორეულ ისტორიულ წარსულში, რამეთუ ყარაჩა-ბალყარლებს ეს ცნობა ყივჩაღებისაგან აქვთ მიღებული. როგორც ცნობილია, ყარაჩაელთა და ბალყარელთა ფორმირების პროცესში ყივჩაღებს ერთ-ერთი უმთავრესი როლი ეკუთვნია.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ საუკუნეების განმავლობაში აღებული ტერმინი განიცდიდა ტრანსფორმაციას: აბასხი, აბაზგი, ობეზი, ებზე. ეს კი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ როგორც ნ. მარი შენიშნავდა აბასხი/აბაზგის ქვეშ იგულისხმებიან სვანებიც^{26ა}. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი ხდება, თუ რატომ უწოდებენ ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები სვანებს „ებზეს“.

როდესაც დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირა ზოლის ტერიტორიაზე ანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში სვანთა წინაპარი ტომების განსახლების საკითხს ვეხებით, მაშინ წერილობით წყაროებთან, ტომონიმიკურ მასალასთან და ხალხურ გადმოცემებთან ერთად საჭიროა ჩრდილოეთ კავკასიის აღნიშნულ ხალხებში სვანების მიმართ „ებზე“ სატომო სახელის ხმარების გათვალისწინება, რომელიც აბასხი/აბაზგი-იდან მომდინარეობს.

იმ ტერმინთა შორის, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ და სვანთა სატომო სახელებადაა ცნობილი, შესაძლოა ყველაზე ძველი მუშან/მუშნი ეთნონიმი იყოს. ამჭერად ჩვენი კვლევის ინტერესსაც ამ ტერმინის გენეზისის საკითხის დადგენა წარმოადგენს.

როგორც ირკვევა, ძველი სუფიქსები -ქი, -ხი (-იხ), -გი (-იგ), -კი (-იკ) შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთიმეორეს ცვლიან. აღნიშნული სუფიქსები ახლავს მთელ რიგ ქართველურ ტომთა სა-

²⁶ „ებზე“ ტერმინთან დაკავშირებით არსებული მოსაზრებების მიმოხილვა იხ. З. В. Папаскири, У истоков грузино-русских политических взаимоотношений: 75., 1962, с. 116—123.

^{26а} ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32, 34.

ხელებსაც. მუშ-ქი ეთნონიმის სასენაცვალი ფორმებია მუსკი და მოსო-ხი (მოს-ხი, მეს-ხი). ასევე ერთმანეთს ცვლიან -ხი (-ის), -გი (-იგ), -კი (-იკ) სუფიქსებით.

ამას ასაბუთებს ის გარემოება, რომ აბას-ხი, აბაზ-გი და აბას-კი ტერმინები ერთი და იმავე ფუძიდან მომდინარეობენ.

ამრიგად, შინაარსობრივად ერთი და იმავე მნიშვნელობის სუფიქსებია: -ქი, -კი, -ხი, -გი (შდრ. სანი-გი, სანი-კი).

ვიდრე ამ სუფიქსების მერმინდელი შინაარსობრივი სახენაცვალი ფორმის საკითხს შევეხებოდეთ, მივმართოთ ცნობილ მკვლევართა მოსაზრებებს. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ უძველესი ხანის მცირე აზიაში და ურარტუში გვხვდება სახელწოდებები სუფიქსებით (-ანდა, -ს/ს) -ოს, -ახი, -ეხი, -უხი, -ხა, -აინი, -უნი და ა. შ.), რომელნიც, ისევე როგორც კავკასიის სხვა მხარეების ტოპონიმიკაში, მრავლად იჩენს თავს საქართველოს ტოპონიმიკაში. ამით ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა მ უ შ ქ ე ბ ი ს ა და მ ო ს ო ხ ე ბ ი ს მცირეაზიურ წარმომავლობას და უარყოფდა მათ ინდოევროპულობას²⁷.

ამასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი წერს: „მეტად არაღამაჯერებელია ანალოგია საქართველოსა და მცირე აზია-ურარტუს უძველეს სახელებს შორის დაბოლოებათა მიხედვით. ეს სუფიქსები ადვილი შესაძლებელია სულ სხვადასხვა წარმოშობისანი იყვნენ, ან, რადგანაც სამხრეთში მათი ენობრივი კუთვნილება თითქოს უფრო აშკარაა (ხური-ურარტული ან ანატოლიურ-ინდოევროპული ფენების კუთვნილება ჩანს), ივ. ჯავახიშვილის მიერ მოტანილი ქართული ანალოგიები უფრო არაქართულენოვანი ეთნოსის ბეჭედების შესახებ მსჯელობისათვის შეიძლება გამოდგეს (ესენი იყვნენ სამხრეთ კავკასიის უძველესი მცხოვრებნი?), ვიდრე ქართველთა ეთნოგენეზისათვის“²⁸.

როდესაც ზ. ჭუმბურიძე ტერმინ კოლხი-ს განიხილავს, წერს: „კოლხი (კოლხა) შეიცავს სატომო სახელთა მაწარმოებელ დ-ბო-

²⁷ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 250.

²⁸ გ. მელიქიშვილი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკვლევი, სინ, ტ. I, თბ., 1970, გვ. 324.

ლოებას ხა, რაც დაახლოებით უდრის დღევანდელ ქართულში სა-
დაურობის აღმნიშვნელ ელ სუფიქსს (ფიქრობენ, რომ იგივე ხ გა-
მოიყოვანა სატომო სახელებში მე ს ხ ი, ჯ ა ვ ა ხ ი, ტ ა ო ხ ი, ჰ ე ნ ი-
ო ხ ი და სხვ.). ამგვარად, კოლხი ნიშნავს „კოლას მცხოვრებს“,
„კოლაელს“²⁹.

გ. მელიქიშვილის სიტყვით, „ხი“ კუთვნილების აღმნიშვნელი
უპარტული სუფიქსია³⁰.

თუ ეს ასეა, მაშინ -ქი, -კი, -გი სუფიქსებიც კუთვნილების
აღმნიშვნელი სუფიქსებია, რადგან, როგორც ზემოთ დავინახეთ,
შინაარსობრივად ისინი ერთიმეორეს ცვლიან (მუშქი, მუსკი,
მოსხი-მესხი, აბასხი, აბაზგი, აბასკი).

აბლა კი გვანტერესებს, არსებობს თუ არა თანამედროვე ქართ-
ველურ ენებში ისეთი სუფიქსი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი
ძველი სუფიქსების ან რომელიმე მათგანის შინაარსობრივად შემ-
ცვლელი იყოს.

თუ ზემოთ ჩამოთვლილ სატომო სახელებში აღნიშნული სუფიქ-
სების (-ქი, -კი, -ხი, -გი) სემანტიკური განვითარების გზას დავა-
კვირდებით, შევნიშნავთ, რომ მათი შეცვლა -ან სიფიქსითაც დას-
ტურდება. მაგალითად, ერთი ძირისაგან ნაწარმოები ტერმინებია
აბას-ხი, ბას-ხი და ბას-ი-ან-ი. ასეთ შემთხვევაშიაც სუფიქსთა შე-
ცვლას საფუძვლად უდევს შინაარსობრივი თვალსაზრისი და არა
ფონეტიკური მიმსგავსების ფაქტი.

აბას-ხი, ბას-ხი და ბას-ი-ან-ის მაგალითით ისიც დასტურდებ-
ა, რომ -ან სუფიქსით არა მარტო -ხი სუფიქსის შეცვლაა დასა-
შვები, არამედ დანარჩენ სუფიქსებისაც, რომელთაც თვით -ხი სუ-
ფიქსი ცვლის. ეს სუფიქსებია: -ქი (მუშ-ქი), მოსო-ხი (მესხი), -კი
(მუშ-კი, მოს-ხი), -გი (აბას-გი, აბას-ხი, აბას-კი).

ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით წერდა: „სამართლია-
ნი უნდა იყოს ნ. მარისეე აზრი, რომ ამ „მასხი“-სა, ან „ბას-ხი“-
საგან არის წარმომდგარი საგეოგრაფიო სახელები „ბას-იანი“, „ფაზ-

²⁹ ზ. ჰუმბურდიე, რა გქვია შენ? თბ., 1966, გვ. 70.

³⁰ გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეო-
ბის ექველესი გაერთიანებანი, სინ, ტ. 1, გვ. 382—383.

იან-ო“, „ფაზი-სი“ და მთა „მთას-ისი“³¹. უფრო მეტიც, ივ. ჯავახიშვილს „მესხი“ სვანურ გაპოთქმად მიაჩნდა³². სვანურში მართლაც გვხვდება სიტყვა „მესხ//მესხულ“, რომელიც 'ფიცხს' ნიშნავს.

როგორც ნ. მარა ვარაუდობდა, „აბასხ“ ეთნონიმში შესაძლოა მართლაც იკულისხმებოდნენ სვანები. სვანურად ბასხ//ბასყ ჰქვია 'მარწყვს'. სხვათაშორის ბალახის (თუ ბალახოვანი მცენარის) მაწარმოებელი სიტყვის ეთნონიმად გადაქცევის ფაქტებიც გვხვდება. მაგალითად, უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროებში მე-2 საუკუნიდან მე-11 საუკუნემდე მოხსენიებიან წ ა ნ ა რ ე ბ ი. წ ა ნ ა რ ე ბ ი ქართველურ ტომადაა მიჩნეული. ეთნონიმ „წანარ“-ს მკვლევრები სვანური ენის მეშვეობით ხსნიან³³. სვანურად „წწნი“, ერთგვარი ბალახის სახელია, ხოლო -არ და -ერ მრავლობითობისა და წარმომავლობა-ვინაობის აღმნიშვნელი სუფიქსებია სვანურში. „წწნი“ სიტყვისაგან ნაწარმოები ტოპონიმები გვხვდება სვანეთის ტერიტორიაზე და საერთოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (აცანა/აწანა ცწწ/წწწ, წანწრ...).

საინტერესოა, რომ დემერიევიც ეთნონიმს „ბაცბი“ უკავშირებს ინგუშეთში ბალახის აღმნიშვნელ სიტყვას - ბ ა ც ბ ი ა ი .

თუ აბასხი/აბაზგის თავდაპირველი ფორმაა ბასხი/ბასგი, რომელიც ბასიანი ტერმინის სუბსტრატსაც უნდა წარმოადგენდეს, მაშინ ა-პრეფიქსი, როგორც ჩანს, აფხაზურ-ადიღურ ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა (შდრ. აფხაზ. სვანეთი — ა-შან-უა და სხვ.).

აბასხი/აბაზგის ტრანსფორმირებული სახე ბ ა ს ი ა ნ ი გეოგრაფიული ცნების სახით დღემდე შემოგვრჩა. ბ ა ს ი ა ნ ი ეწოდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ ადგილს, ბასიანი დღემდე ჰქვია ერთ-ერთ მთას ზედა რაჭაში; სვანეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთ გადასასვლელს ბ ა ს ი ს გადასასვლელს ეძახიან. ზასიანი ერქვა დღევანდელ ზედა ბაღყარეთსაც, სადაც ანტიკური ხა-

³¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 401—402; ნ. მარა, История термина «абхаз», ИАН, 1912 с. 697—704.

³² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 401.

³³ ნ. მარა, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 34; ს. კაკაბაძე, О племени Цанар, Бюллетень К. И. А. И, № 1-3, 1928, с. 5.

³⁴ Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика кавказских языков, 1963, с. 55.

ნიდან გვიან შუა საუკუნეებამდე სვანთა განსახლება დასტურდება³⁵. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ადგილის სახელად, სადაც ბასიანი გვხვდება, წარსულში ყველგან სვანთა განსახლების კვალი დასტურდება. ანტიკურ ხანაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ადვილს ეწოდება ბასიანი, სვანთა განსახლების შესახებ მსჯელობა ქვემოთ გვექნება. რაც შეეხება ზედა რაჭას, იგი XV საუკუნის ბოლომდე სვანეთის ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენდა³⁶. ზედა რაჭაში დღემდე შემორჩენილი სვანური არქიტექტურული სტილის კოშკები, უხვადაა შემონახული სვანური წარმოშობის ტოპონიმები (ვიორა, გლოლა, ღები, რაჭა და სხვ.).

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ბასიანი“ ტერმინის მატარებელნი სვანთა წინაპრები შეიძლება ყოფილიყვნენ. ბასიან სახელწოდების წარმოქმნას ქსენოფონტესთან (ძვ. წ. V—IV სს.) მოხსენიებულ ფასიანების კოლხურ ტომსაც უკავშირებენ³⁷.

ფასისი//ფაზისი ფოთის ადრინდელი სახელწოდებაა. იგივე სახელს ატარებდა მდინარე რიონიც. აღსანიშნავია, რომ მკვლევრები „ფაზის“ ტერმინსაც სვანურ ნიადაგზე ხსნიან³⁸. სვანურად „აისსენება — აგრეთვე თვით ჰიდრონიმი „რიონი“. სვანურად „რივენ“ წყალუხვ მდინარეს ჰქვია³⁹ (იხ. ქვემოთ).

ბ. მარი, როდესაც კავკასიის აბორიგენული მოსახლეობის ენათა ნათესაობას და, კერძოდ, ქართულ-ადიღურ ენობრივ შეხვედრების საკითხს ეხებოდა, წერდა: „ეს ფენა, როგორც გამორკვეუ-

³⁵ თ. მიბჩუანი, დასახლებული ნაშრომი.

³⁶ პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 31—34.

³⁷ თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 126; ქსე, ტ. II, თბ., 1977, გვ. 219.

³⁸ თ. მიქელაძე, დაახ. ნაშრომი, გვ. 124—125; შდრ. ს. ჯანაშია, ფასილი, შრომები, ტ. II, გვ. 271—282; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 184; გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 50-68; Г. А. Мелникшвили, Наименование города Фасиса в вопросе этническом составе населения древней Колхиды, ВДИ, 1966, № 1; მისივე, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, სინ, ტ. I, თბ., 1970, გვ. 341.

³⁹ შდრ. გ. მელიქიშვილი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, სინ, ტ. I, გვ. 350.

ლია, უკავშირდება მოსხების ეთნოსს (>მასკუტებს//მასაგეტებს), ან მოსოხებს, საკუთრივ მოშოხებს (<მოშხებს, მოსხებს), ან მესხებს და მეხებსაც კი (<mehg), თუ დავასახელებთ ამ ტერმინის ყველა სპირანტულ სახესხვაობას. აფხაზთა სახელწოდებაში (a-basg//abazg). დღემდეა შემორჩენილი ეს ეთნიკური სახელი, სვანებმა კი, მეორე შემადგენელი ფენის ეთნიკური ბუნების გავლენით, მოასწრეს შეეცვალათ თავისი სახელწოდება, სრულიად დაკარგეს რა ხსოვნა მოსოხებთან თავიანთი ნათესაობის შესახებ“⁴⁰.

ნ. მარის სიტყვით, მოსოხების ტომში სვანებიც იგულისხმებიან. როგორც ნ. მარი აღნიშნავს, რომელი და ბერძენი მწერლები სვანებს მიუთითებენ დაახლოებით იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ, «но были ли в этом районе сваны уже тогда мъшаны с мосхами?»⁴¹.

ამ კითხვაზე ნ. მარი ასეთნაირად პასუხობს: მესხები უფრო გვიან I საუკუნეებში მდ. მტკვრის სათავეების სამხრეთ ნაწილში ბინადრობდნენ «конечно в качестве пережитков. И здесь они в первые века по Р. Х. являются уже мъшанами с сонскими (>сванским) племенем, причем соответственно и носят двойное название (<сон — месхов). На их язвк, еще там, значит мъшаный с мингрело-чанским, и было как теперь намечается, переведено св. Писание, текст которого впоследствии постепенно грузиновался»⁴².

ნ. მარის დაკვირვება, რომ თამარ მეფის დროსაც კი სვანური ენა ჯერ კიდევ ატარებდა მესხურ ელფერს, საგულისხმოა. თუ გადავხედავთ სვანეთის ტოპონიმიკურ მასალას, იქ ისეთ გეოგრაფიულ სახელებსაც აღმოვაჩინეთ, რომელთა ახსნა მხოლოდ ძველი ქართული ენის მეშვეობით თუ შეიძლება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დღევანდელი სვანურით. აი, ეს ტოპონიმებიც:

⁴⁰ Н. Я. Марр, К дате эмиграции мосхов из Армении в Сванию, ИАН, 1916, I, с. 1689.

⁴¹ იქვე, გვ. 1689. მაგრამ ვერ გავიზიარებთ „მოსოხ“ ტერმინიდან „ლაშხ“ ტოპონიმის მიღების ვერსიას. „ლაშხ“ ტოპონიმში ლა- პრეფიქსის ჩამოცილების შემდეგ რჩება ფუძე „შხ“, რომელიც „შიხ“ სვანური სიტყვის შეკვეცილი ფორმაა, უფრო ზუსტად, ლა- პრეფიქსის დართვის შემდეგ „შიხ“ ფუძეში ი ბგერა ეწიროვდება გ-დ. ამგვარად, „ლაშხ“ სვანური სიტყვაა და ნიშნავს „სანახშირეს“, ე. ი. სადაც ნახშირს ხდიან (ალბათ სამკვდლოებისათვის).

⁴² იქვე, გვ. 1689.

„ისინი“ — სახნავი ლენჯერის სას. საბჭოს ტერიტორიაზე. საბას განმარტებით ეს სიტყვა აღმა მიმავალს ნიშნავს.

„წ“ — ერთ-ერთ უბანს ჰქვია სოფ. იელიში. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ იგი ასეა განმარტებული: „ღება“, ან კიდევ: „ქუან//ქონება“, ყოფნა, განღება, „დავრდომა“, დაღება, ცემა, გღება. სიტყვა „ღება“ ამ ლექსიკონის ავტორის მიხედვით იგივეა რაც „აღება“. ეს უქანასკნელი კი ასეა განმარტებული: წაკიდება, შენთება; „ალტყინება“. იქვე მოტანილია ასეთი მაგალითები: „აღუღვეს ცეცხლი ქალაქსა“, „აღუღგა ცეცხლი ლამპარებასა მას“; „ალატყინა ცეცხლი ლამპარებასა შინა“ და სხვ.

საბას ეს სიტყვა ასე აქვს ახსნილი: აც — „ნაკუეთი აძეს“, ხოლო აცს — „ზედ აძეს“. წცის მოპირდაპირე მხარეს, ენგურის გაღმა, ძველი ციხე სიმაგრეთა ნანგრევებია, რომელთაც ჰქვიათ „სანგ-ჭუარ“ (სიმაგრეები) და „ნატყლუარ“ (შენაღები, ე. ი. სისხლით). გაღმოცემის მიხედვით აქ სვანებს შორეულ წარსულში სასტიკად დაუპარცხებიან თათრები. ამ ადგილებში ნაპოვნია ქვის დისკოები და ისრის წვეტები⁴³.

ბ ლ — ქედი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა საბატონო (სადაღეშქელიანო) და „თავისუფალ“ სვანეთს. საბას განმარტებით „ბაალ“ ეს არის: „ბომონი, გინა მპყრობელი“, ან კიდევ: „ირბელ ინროლ; ეწყო, ღმერთი“. ბომონი კი სვეტია, რომელსაც ხატზე ან კერპზედ აღმართავდნენ.

ბ ე ტ ლ ა ნ ნ ე რ — ადგილია სოფ. წვირმიში. -ერ ცნობილი სვანური სუფიქსია, მაგრამ გაურკვეველია ბეტლანი. რადგან აქ არის ნაეკლესიარო, შესაძლოა ეს იგივე „ბეთლემი“ იყოს, თუმცა ასეთი სახელდების ეკლესიები სვანეთში არ გვხვდება.

საბას განმარტებით სიტყვა „ბეთლემი“ ეს არის „სახლი პური-სა“, ან „სახლი ცხოვრებისა“, „გინა სიწმინდისა“.

⁴³ ძნელია იმის დადგენა, თუ ვინ დაამარცხეს სვანებმა აქ — თათრები, მონღოლები თუ სხვა ვინმე, მაგრამ ბრძოლა რომ აქ გრანდიოზული უნდა ყოფილიყო, ამაზე გაღმოცემების გარდა მეტყველებს ციხე-სიმაგრეთა ნანგრევების არსებობა და ზემოთ დასახელებულ ადგილთა სახელები.

ბარში — სოფელია ეცერის სას. საბჭოში. საბას განმარტებით „ბარში“ სიციხის ადგილს ნიშნავს. ბარში მართლაც არის საბჭო ადგილი.

ბაძგნიერ — სახნავ-სათიბის სახელია ლენჯერის სას. საბჭოში. ამ ტოპონიმშიც მხოლოდ -ერ სუფიქსი გაიგება სვანურად. საბას განმარტებით „ბაძგნიერ“ — ეკლიანი ჭყორნალი“.

ზარღაშ — სოფელია მულახის სას. საბჭოში. „ზარღაშ“ ძველქართულად 'ობობას' ნიშნავს (ი. აბულაძე), ხოლო — ამ სვანურში ნათ. ბრუნვის აღმნიშვნელია (შდრ. ქოლაშ, ვიჩნაშ, შარაშ, კერაშ და სხვ.).

დიმოლაშ — ტყეს ჰქვია სოფ. უშგულში. აღებული ტოპონიმის ძირია „დიმ“, რომელიც გაუგებარია სვანურისათვის. -ოლ კნინობითის ფორმაა სვანურში, — ამ კი სუფიქსი (იხ. ჴემოთ). ძველქართულში არსებობს სიტყვა „დიმი“, რომელიც „ღაინს ჰგავს, ლარია“ (საბა).

ეცერ — სოფელია ბალსქვემო სვანეთში. ტოპონიმი ნაწარმოები უნდა იყოს ქართული სიტყვისაგან „ეწერი“, რომელიც ნ. ჩუბინიშვილს ასე აქვს განმარტებული: „ხშირი ჭალა ველდგან-ნისლოვანი“. ასეთია ეცერის ბუნებრივ-გეოგრაფიული ვარაუდობა. იგი მოხსენიებულია XIII ს. სვანეთის სულთა მატრიანეში.

დოლ — სოფლისა და მდინარის სახელწოდებაა ბეჩოს სას. საბჭოში. სვანურში ეს სიტყვა არ არსებობს. ქართულში „დოლი“ ეს არის: 1. დაფი, 2. ხორბალი, 3. ბატკნის მოგების დრო. ამ შემთხვევაში იგი დოლის პურის გაგებით უნდა იყოს ნახმარი, მოთუშეტეს, რომ სვანებში არსებობს გამოთქმა „დოლა დიარ“ (დოლის პური). დოლის პური ეს არის ძირითადი ხორბლეული, თესავენ შემოდგომით, თავთავი იცის ფხიანი, მარცვალი მსხვილი, პური გამოდის კარგი ღირსების“.

გულიერ — სახნავ-სათიბ ადგილს ჰქვია ლენჯერის სას. საბჭოში. ტოპონიმი ასე დაიშლება: გული-ერ, სადაც -ერ სვანურია, ხოლო „გულიერ“ საბას განმარტებით „მომცრო ტრედია ველური“. ასევე განმარტავს მას ნ. ჩუბინაშვილიც.

დანარ — სათიბია ლენჯერში. ტოპონიმი ასე დაიშლება: დან-

⁴⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1953, 1207.

არ. „არ“ სვანურია, სიტყვის ძირი „დან“ საბას განმარტებით ეს არის „განმსჯელი, გინა სჯა“. ამგვარად, „დანარ“ წარსულში ნიშნავდა ადგილს, სადაც მსჯელობა, ბჭობა იმართებოდა. საყურადღებოა, რომ სვანების მიერ ბჭობის ადგილის სახელწოდებად დღემდე შემორჩა „ლახორ“.

„ლახორ“ სვანური სიტყვა არ ჩანს, რადგან ამ ტერმინში ძირია „ხორ“, რაც ბერძნულია და ნიშნავს ქვეყანას, ტომს, ხალხს. ლა — სვანური მაწარმოებელი სუფიქსია, ქართულში სა-ს ბადალი. ამდენად ლახორ ჩანს ნიშნავს სახალხო, სატომო ადგილს, ე. ი. ხალხის თავშესაყარს.

როგორც ჩანს, ძველქართული (მესხური) „დანარ“ (ანუ სონ-მესხური, როგორც ნ. შარი ამბობს) დროთა განმავლობაში შეცვალა ბერძნულმა „ხორ“ სიტყვამ, რომელმაც თავში ლა-პრეფიქსი დაიმატა. ასე დაიშვილდა ადგილი სვანურ სამეტყველო ენაში მეორე ბერძნულმა „სტარუნ“ სიტყვამაც, ნაცვლად ქართული ჯვარისა⁴⁵ და ა. შ.

გოხარ — სათიბის სახელია ლენჯერში. ტოპონიმის ძირია „გოხ“-ი, ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით „გოხი კლდე ქვიტყირის მსგავსი“. ე. ი. „გოხარ“ — კლდოვან, ქვიან ადგილს ერქვა.

გუგაშ — მომალლო ადგილს ჰქვია სოფ. უამიშში (მულანის სას. საბჭო). ტოპონიმი ნაწარმოები ჩანს ქართული სიტყვისაგან გუგა, რაც საბას განმარტებით სახედველს ნიშნავს. ასევე განმარტავს მას ნ. ჩუბინაშვილიც. როგორც ჩანს, ტოპონიმი ნანაოესაობითი სახელი უნდა იყოს. -აშ სვანური სუფიქსია.

ამგვარად, გუგაშ გადასახედს ნიშნავს, რაც კიდევაც ესადაგება მის მდებარეობას.

გალზაგარ — მთას ჰქვია ლენჯერში. „გალი“ საბას განმარტებით უშტო ხეა. „ზაგარ“ სვანურია და ნიშნავს 'ზაგარას' ან ზეგანს.

ამგვარად „გალზაგარ“ ნიშნავს 'შიშველ გორას'.

კაბარჯ — სახნავს ჰქვია სოფ. უშგულში. შესაძლოა ეს ტოპონიმი ნაწარმოები იყოს ქართული სიტყვისაგან „კაპარქი“, რაც

⁴⁵ ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბ., 1957, გვ. 320—322.

საისრეს, ისრების ჩასადებს აღნიშნავს. ახლა ძნელია იმის დადგენა, თუ რატომ ეწოდა ამ ადგილს ასეთი სახელი, ჯერჯერობით კი ამ ტოპონიმს სხვა ახსნა არ მოეპოვება.

კ 5 ლ — სოფელს ჰქვია მესტიის რაიონში. ტოპონიმი უნდა ნიშნავდეს კლდოვან ადგილს⁴⁶. „კალწმ“ ჰქვია, აგრეთვე სოფელს ეცერის სას. საბჭოში⁴⁷, ხოლო „კალ“ — მთას ლენჯერის სას. საბჭოში. ყველა ეს ადგილი ქვიანი და კლდოვანია.

კ ვ ა რ თ ხ ი ლ დ — სათიბს ჰქვია ლენჯერის სას. საბჭოში. „კვართხი — პერანგი ანუ ჯუბა“ (ნ. ჩუბინაშვილი). -ლდ სვანურში კნინობითობის გამომხატველი ფორმანტია მსგავსად -ოლ ელემენტისა.

ლ ა ი ლ ა შ — მწვერვალის სახელწოდებაა სვანეთში. „ლაილა“ სვანურად დედალ ცხვარს ჰქვია, მაგრამ არა გვგონია, რომ მწვერვალს აქედან მიეღოს ეს სახელი. შესაძლოა ეს იყოს ქართული სიტყვა „ლაინა“, რაც, საბას განმარტებით, ერთგვარი ფრინველია, რომელიც „ღალღასა ჰგავს“. ტოპონიმის ტრანსფორმაცია უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: ლაინა—ლაინაშ—ლაილაშ. ე. ი. ტოპონიმი ნიშნავს საღალღე ადგილს (შდრ. სამერცხლე, საშევარდნე, საბუე და ა. შ.).

ლ ა ლ ი ა შ — მთას ჰქვია ლენჯერის სას. საბჭოში. ტოპონიმის ძირია „ლალა“, რაც სვანურად არ აიხსნება. ქართულად „ლალი“ წითელი ქვაა. -აშ სვანურა სუფიქსის დამატების შემდეგ, ეს გეოგრაფიული სახელი ასე გაიგება: ადგილი, სადაც ლალი (ანუ წითელი ქვა) გვხვდება.

ლ ა ს ო ლ — მთისა და ხეობის სახელია იფარის სას. საბჭოში, ამ ხეობით ზემო სვანეთიდან ქვემო სვანეთში გადადიოდნენ. შესაძლოა იგი მომდინარეობდეს ქართული სიტყვისაგან „ლასლასი“ (ლას-ლასი). -ლ დაბოლოება სვანური ფორმანტია. „ლას-ლასი“ საბას განმარტებით არის „უღონოდ სიარული ან ფრენა“.

⁴⁶ ჯ. ლომაშვილი, რას ნიშნავს სიტყვა „კალა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 20. III. 1974. სვანურში „კალ“ ტოპონიმს განმარტება არ მოეძებნება. სვანურში არის „კალ“ სიტყვა, რაც კალის ნიშნავს, მაგრამ აქ ა მოკლედ ითქმის, თან უმლაუტიანია.

⁴⁷ რომელიც მოხსენებულია XIII ს. სვანეთის სულთა მატეანეში.

სევანურში არსებობს სიტყვა „ლასიმ“, რაც თავშესაფარ ადგილს ნიშნავს, მაგრამ თუ ამ სიტყვისაგან წარმოიშვა აღნიშნული ზეობისა და მწვერვალის სახელი, მაშინ ზემოთ მოცემული ინტერპრეტაცია არასწორია.

ლ ა ტ ლ ი — სოფლის სახელია, რომელიც „ლატალის“ სახელითაა ცნობილი. ტოპონიმი ასე დაიშლება: ლა-ტალი, ე. ი. ფუძეა „ტალა“, რაც საბას განმარტებით არის „მოგზაურთ დარაჯა ღამით“.

ლატალი ბალსზემო სევანეთის (ე. წ. „თავისუფალი სევანეთის“) პირველი სოფელია მის დასავლეთის საზღვარზე, საიდანაც მას ბალსქვემო ანუ საბატონო (სადადეშქელიანო) სევანეთი ესაზღვრება. იგი როგორც სასაზღვრო სოფელი მართლაც ასრულებდა გუშაგის, დარაჯის როლს და გარკვეულ ანგარიშსაც უწევდნენ „თავისუფალი სევანეთის“ დანარჩენი სოფლები (საზოგადოებები)⁴⁸. ხანდახმულთა გადმოცემით, ლატალი და უშგული (უკიდურესი აღმ. სოფელი ზემო სევანეთში) საიმედოდ კეტავდნენ შემოსასვლელ ზეკარებს და „თავისუფალ სევანეთში“ გაბატონების მოსურნეთათვის მრისხანე და აუღებელ ბასტიონებს წარმოადგენდნენ თავიანთი ციხე-კოშკებით.

ლ ა ღ ა მ — სოფელია დაბა მესტიიაში. ლა-აქაც სევანური პრეფიქსია. ფუძე-სიტყვა „ღამ“ ალბათ ქართული სიტყვა ღამე-ს უნდა გულისხმობდეს, რადგან სევანურში მას ახსნა არ მოეძებნება. ე. ი. ლაღამ — დასაღამებელი ადგილი, ანუ ღამის გასათევი ადგილი (?).

ლ ა ყ ვ ა შ — მთაა იფარის სას. საბჭოს ტერიტორიაზე. ამ ტოპონიმის ძირია „ლაყვა“, რომელიც საბას განმარტებით არის „წვიმის გუბე“.

ლ ე ტ ი რ — სათიბს ჰქვია უშგულში. ამ ტოპონიმში ლე- სევანური მაწარმოებელი პრეფიქსია (შდრ. ლემსია, ლენჯერი, ლეტკერი და ა. შ. ყველა ზემო სევანეთშია). „ტირ“ ამ ტოპონიმის ძირია და იგი საბას მიხედვით ნიშნავს — „აჭირვოს“.

სევანურში ხეთური ელემენტების არსებობით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

მ ა ნ ი ა შ — ადგილის სახელია ლეებრაში (დადვანების უბანი).

⁴⁸ ასე ერქვა ამ სოფელს XIII ს-შიც (იხ. პ. ინგოროყვა, სევანეთის საისტორიო ძეგლები, XIII).

საბას განმარტებით „მანაშ“ ეს არის ერთგვარი მცენარე, რომელსაც ეწოდება „შავი მკადი“. სვანები „მანაშ“-ს ეძახიან ქევას, რომლის პური მართლაც შავია.

მარმანი — სათიბს ჰქვია ეცერის სას. საბჭოში. შესაძლოა იგი მოქვინარობდეს ძველქართული სიტყვისაგან „მარმარა“, რაც მარმარილოს აღნიშნავდა.

ნაშე ნაკ — სოფელ ღვებრას ტერიტორიაზე მდინარის სანაპირო რიყეს ჰქვია. „ნაშე“ სვანებისათვის გაუგებარია. „ნაკ“ სვანურად 'ვაკეს' ეწოდება. „ნაშე“ საბას განმარტებით არის „წყლის რიყე ფიჩხაგანაროვანი“. ამ რიყეს გასწვრივ მართლაც არის ნაძვის ტყე, და ჯაგნარი. ამიტომ ამ ადგილს ზუსტად შეესადაგება სახელწოდება — „რიყე ფიჩხ-ჯაგნაროვანი“. სხვათა შორის ეს რიყე-ადგილი აღნიშნული სოფლის ტერიტორიაზე ერთადერთ გამონაკლის ვაკეს წარმოადგენს, ალბათ ამიტომაც შეარქვეს „ნაშე ნაკ“.

ოგა (ოგამ, ოგამიერ) — სათიბია სოფ. წვიმრის ტერიტორიაზე. „ოგა ეს არის სასანთლეთა ტაშტთა და სურათთა, თასთა ქუეშ გასაუფენი“ (საბა).

ობვლ — ადგილია სოფ. ღობრაში. ტოპონიმი ასე დაიშლება: რობა-ალ, ამ ტოპონიმში „რობა“ საბას განმარტებით „ხელგობს“ ნიშნავს. ალ//არ სვანური სუფიქსია. აღნიშნული ადგილი მართლაც რომ შესაფერისია ამ სახელწოდებისათვის.

როკოლარ (როკო) — საძოვრებს ჰქვია სოფლებში; მუყალი, წვირმი, ცხუმარი. ამ ადგილებისათვის დამახასიათებელია დაბალი, ფართოფოთლოვანი მცენარეების არსებობა. ტოპონიმი დაიშლება ასე: როკო-ოლ-არ, სადაც ძირია „როკო“, რომელიც სვანურ ენაზე არ აიხსნება. -ოლ კნინობითის ფორმაა სვანურში (შდრ. ჰვერ — ჰვეროლ (მერცხალი), ტარო — ტაროლ...). -არ ცნობილი სვანური სუფიქსია. ხოლო „როკო“, საბას განმარტებით, არის „ხის შტოს ძირი“. ეს ადგილები მართლაც დასერილია მცენარეთა ძირებით, ამიტომ მათი სახნავად გამოყენება შეუძლებელია.

სალნშარ — კლდეს ჰქვია ენგურის ხეობაში. ტოპონიმი ასე დაიშლება: სალი-იშ-არ, სადაც ტოპონიმის ძირია „სალი“, რაც სვანურად არ აიხსნება, ხოლო საბას განმარტებით, ეს არის „მალაღლი ტინი კლდე“. სალნშარის კლდეებიც სწორედ ასეთია: -იშ და -არ სუფიქსები სვანურია.

ს ე ნ ე კ — ერთ-ერთი უბანის სახელია დაბა მესტიაში. გადმოცემის მიხედვით, ამ უბანში მცხოვრებნი გადმოსულნი არიან სამეგრელოს სენაქიდან. საბას განმარტებით, „სენაქი“ ეს არის „მცირე სახლაქი“.

ს ა რ ე კ — სათიბს ჰქვია ლენჯერის სას. საბჭოში. „სარეკი“ არის „ნადირთ მოსალაღავი“ (საბა).

ს ა რ ო ლ დ — მთას ჰქვია სოფ. ადიშიში. ტოპონიმი ასე დაიშლება: სარო-ოლდ. სიტყვის ძირია „სარო“, ხოლო -ოლდ ელემენტი სვანურში. აგრეთვე, კინობითობის აღმნიშვნელია (შდრ. ხიშკილდ — ნასოფლარი ლენჯერის ტერიტორიაზე). ს ა რ ო საბას განმარტებით ერთგვარ ხეს ან ბალახს ჰქვია.

ს კ შ რ ე შ — სამლოცველო ადგილს ჰქვია სოფ. კალაში. ამ ტოპონიმის ძირია „სკარე“ (-ეშ სვანური სუფიქსია). „სკარე“ ძველქართული სიტყვა უნდა იყოს, რომელიც „ესე არს ფეხედი რკინა გააწყოზილი მწუადთა შესაწუავი“ (საბა. გვ. 322).

ს უ რ შ ი ლ დ ა შ — კლდეს ჰქვია ხაიშსა და დიხს შორის. ტოპონიმს თუ სვანურ -ლდ კინობითის აღმნიშვნელ ნაწილაკსა და -აშ სუფიქსს ჩამოვამორებთ, დარჩება ფუძე სიტყვა „სურმი“, რომელიც საბას განმარტებით არის „სხვათა ენა. მოსავდომის სურმას ქართულად საოლავე ეწოდების და სამკურნალო საოლავეს — კოლლური“. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით „სურმა“ ეს არის „ანთიმონი, ანუ საგრეპელი, სალოცავი“. საგრეპელი მისივე განმარტებით არის „წარბთ საღებავი“.

ტ ი ტ ა — სოფელს ჰქვია ჭუბერის სას. საბჭოში. საბას განმარტებით „ტიტა არის ერთგვარი ბალახი“.

უ ს გ ვ ი რ — სოფელია ეცერის სას. საბჭოში. XIII საუკუნის სვანეთში არსებობს სოფელი „უსგურ“, სადაც ცხოვრობენ შემდეგი გვარები: ნათობანი, კვბანი, კერკველიანი, მანასელიანი⁴⁹.

„სუანეთის სულთა მათიანეში“ სოფლების ჩამოთვლა იწყება ბალსქვემო სვანეთის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფლ-დან (ლალვერიდან) და მიჰყვება ზემოთ, ენგურის ხეობის სათავეებისაკენ. „უსგურ“ ყველაზე ბოლო, XXIII სოფლადაა დასახელებული. ასე მაგალითად, უშგულის შემდეგ მოდის: უდაშდ, ჩეშით და უსგურ. აქ საინტერესო ისიც არის, რომ მესტიის შემდეგ

⁴⁹ ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, XXIII.

გი სოფლების (მულახი, წურემი, ზეგენა, უშქულ) მოსახლეოა გვარები აღნიშნულ მათიანეში არაა მოცემული. ხოლო უშგულის შემდეგ დასახლებულ უდაშდის, ჩეშითის და უსგუტრის სოფლების მცხოვრებთა გვარები ფიქსირებულია.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ჩვენი აზრით ამისათვის ორა მიზეზი უნდა არსებობდეს: პირველი — მესტიის ზედა სოფლებს წარმომადგენლებს, ეტყობა, მონაწილეობა არ მიუღიათ ამ კრებაში; მეორე — აღნიშნულ სოფლებს შესაძლოა არ ჰყავდათ მღვდელმოსახურნი, რომელთაც ისინი უნდა წარმოედგინათ სასულიერო „ყოვლად წმიდა და უბიწო კრებაზე“.

უშგულის შემდეგ დასახლებული სოფლების მონაწილეობა ამ კრებაზე იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათ სასულიერო მოძღვარნი ემსახურებოდნენ. ეს საკითხი ყურადღებას საჭიროებს.

ამგვარად, ეცერის „უსგვირ“ და უშგულის სექტორში მდებარე „უსგურ“ თუ ერთი და იმავე წარმოშობის ტოპონიმებია, მაშინ მათი სვანურობა უეჭველია, რადგან „უსგურ“ სვანურად უვაშლოს ნიშნავს. უშგულის ტერიტორია მართლაც არის უვაშლო, მაგრამ ეს არ ითქმის ეცერის მხარეზე. ამიტომ „უსგვირ“ შეიძლება მომდინარეობდეს ძველქართული სიტყვიდან „უსკურა“, რაც „ესე არს ილეკროთაგან ჯამნი ხუთნი, ანუ მეტ ნაკლები ერთსა ლანკანსა ზედა, ღეროიანად ქმნული სხვადასხვა საქმელთათეს“ (საბა).

ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით „უსკურა“ ეს არის „ლანკანი მეტალისა, შუაზედ ღეროებდასხმული დასადგმელად ჯამთა, სსუადასხუა საქმელთათვის“.

ფ ი ჩ ე ა რ — ერთ-ერთ უბანს ჰქვია ლატალის სას. საბჭოში. ტოპონიმში გამოიყოფა სვანური სუფიქსი -არ. დარჩენილი ფუძესიტყვა „ფიჩვ“ ძველქართულად არის „მატყლის ფარდაგი“ (საბა). ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით კი „ფაჩვ“ არის „ფლასი, საგები ნაბადი ან ფარდაგი ცუდი“.

ფ უ ხ ე ა რ — ადგილის სახელწოდებაა სოფ. კალაში. იგი მოგვაგონებს ძველქართულ სიტყვას „ფუხალი“, რომელიც ერთგვარ ხეს ერქვა. ანალოგიურად უნდა აიხსნას „ფუხერ“ — ადგილის სახელწოდება სოფ. ღვებრაში.

ქ ა შ უ ე თ ი — სოფელია ლენჯერის სას. საბჭოში. „ქაშოეთი“ ეს არის „კორცის დარღვევა წყლულებითა“ (საბა).

ქორმლაშ — ადგილის სახელწოდებაა უშგულში, ლენჯერში, მუქალში, კალასა და ზარდლაშში. საბას განმარტებით „ქორი“ ეს არის „სახლზედ სახლი აგებული“. — ლდ და — აშ სვანური ფორმანტებია. ამგვარად, აღნიშნული ტოპონიმის ძირია „ქორ“, რაც სვანურში ღღემდე ეწოდება სახლს. იგი ადრე მხოლოდ სახლის ზედა სართულს აღნიშნავდა, ამას ისიც ადასტურებს, რომ სახლის ქვედა სართულს სვანურში „მაჩვიბს“ ეძახიან.

ყვანა — სოფელია ფარის სას. საბჭოში. ყვანა „მუცლის ტარების სენი“ (საბა). ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით ყვანა არის „სატალი, მუცლის ფაღარათობა“.

ცხარვაშ — მკავე წყლისა და მისი მდებარეობის ადგილია სოფ. ლენჯერში, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე. შესაძლოა ტოპონიმი მომდინარეობს ქართული სიტყვიდან „ცხარე“. ცხარვაშის მკავე წყალი მართლაც რომ განთქმულია მთელს სვანეთში (თუმცა ამჟამად მასში უბრალო წყალი იპარება და „ცხარვაშის“ ძველი დიდება ამის გამო შებღალულია!)⁵⁰. ეს მკავე წყალი სვანურ ხალხურ სიმღერაშიაც იხსენიება.

ჭოლაშ — სოფელია მულახის სას. საბჭოში. „ჭოლაური“ ერთი რიგი ხმალიაო, გვაუწყებს საბა. გადმოცემის მიხედვით ჭოლაშში ადრე დიდი სამკედლო ყოფილა, სადაც ალბათ ხმლებიც იქედებოდა.

ქერაშ — ადგილია სოფ. ლახირში. ამ ტოპონიმში — აშ სვანური სუფიქსის ჩამოცილებას შემდეგ გვრჩება „კერ-ი“, რაც საბას განმარტებით არის „სასანთლე რტოები“.

ქვედა — ერთ სახნავ-სათიბს ჰქვია ლენჯერში. ძველქართულად „ქვედა“ ხის უროს ნიშნავს (საბა).

ჭარვაშ — სათიბსა და ხეობას ჰქვია ლენჯერ-ლატალის ტერიტორიაზე. ამ ტოპონიმშიც — აშ სვანური სუფიქსი გამოიყოფა, რომლის შემდეგაც რჩება ფუძე-სიტყვა „ჭარი//ჭარი-ი (-აშ სვ. სუფიქსის დართვის შედეგად ხდება ი ხმოვნის შეკუმშვა). საბას განმარტებით „ჭარი“ ეს არის „ჭართ შერისხვა“.

ჭარაშის ხეობაში ზაფხულში ხარებს უშვებენ გასასუქებლად, ვიდრე შემოდგომის საქუშაოები არ დაიწყება.

⁵⁰ ჩვენი აზრით, წინანდელთან შედარებით ამ მკავე წყალს მდებარეობა შეეცვლია აქვს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჰარაშის ხეობასთან არის დაკავშირებული ჩვენს მიერ სვანეთში ჩაწერილი უაღრესად საინტერესო გადმოცემა, რომელიც არგონავტების მითის სვანურ ვარიანტს წარმოადგენს⁵¹ (იხ. ქვემოთ).

რასაკვირველია, ზემოთ მიმოხილული ძველქართული წარმოშობის ტოპონიმების ნუსხა სრული არ არის, მითუმეტეს, რომ ამ მიმართულებით ჩვენი კვლევის სფეროში არ შეგვიტანია ქვემო სვანეთი, მაინც იგი იმის ნათელ დადასტურებად მიგვაჩნია, რომ სვანური ენის ლექსიკური მარაგი ძველი ქართულით უფრო მდიდარი იყო ვიდრე იგი დღეს არის. აკი სვანი ხანდაზმულები ამბობენ ხოლმე: დღეს ძველი სვანური ენა მივიწყებას არისო მიცემული. როგორც ჩანს, ამ ძველ სვანურში იგულისხმება ძველი ქართული, ანუ როგორც ნ. მარი ამბობდა მესხურ-სვანური ენა, რომელიც დღემდე მხოლოდ სვანეთის მიწა-წყალმა შემოინახა⁵².

მოსონიკი ყოველთვის ერთი ფორმით როდი გვხვდება ისტორიულ წყაროებში. მისი სახენაცვალი ფორმებია: მოსინიკი, მოსინი, მოსენი⁵³, მოსინები, მოსენები, მოსენოაკი, მოსენოაკო, მოსინოაკები, მოსენიკები, მოსენოაკები.

თუ დავაკვირდებით, ზოგიერთ მათგანში დავინახავთ ჩვენთვის საძებარ ეთნონიმს მუშან//მუშნი. ასეთ ფორმებად მიგვაჩნია, კერძოდ, მოსინი, მოსენი და მოსსენი.

ჩვენს მოსაზრებას ის ამართლებს, რომ ხსენებულ ტერმინებში ბერძნებს შ ფონემის მაგივრად უნდა ეხმარათ ს ბგერა, რადგან შ როგორც აღვნიშნეთ ბერძნულ ანბანში არ არსებობს. ამიტომ ჩვენს მიერ მოსინი ეთნონიმისაგან გამოყოფილ და ხაზგასმულ ფორმებში ს-ს მაგივრად თუ შ ასოს ჩავსვამთ (როგორც ეს სინამდვილეში უნდა ყოფილიყო), მაშინ მივიღებთ: მოშინი//მოშენი//მოშშ-

⁵¹ თ. მიბჩუანი, ჰარაშის საიდუმლოება, გაზ. „ახალი სვანეთი“, 1979, №59, 60, 19 და 22 მაისი.

⁵² აღნიშნულ ტოპონიმებზე მუშაობისას გამოყენებული გვაქვს: სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, თბ., 1949, ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

⁵³ შდრ. მოშნი//მუშნი — ბალს ქვემოურ დიალექტზე — სვანი.

ვნი. ამ ტერმინებისაგან მუშან//მუშნი ეთნონიმის მიღება არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მითუმეტეს, რომ როგორც ზემოთ დავრწმუნდით ო, უ, ე ხმოვნები ერთმანეთს ცვლიან.

მოსინიკ ტერმინის სახენაცვალი ფორმების არსებობით ისიც დასტურდება, რომ აღებული ეთნონიმი ალვილად კარგავს -კი (-იკი) სუფიქსს, რომლის შემდეგაც რჩება — მოსინი, ანუ იგივე მოშინი//მოშნი. ეს ფაქტი კი გვაფიქრებინებს, რომ -კი (-იკი) სუფიქსის გარეშეც შესაძლებელი ხდება აღებული ხალხის (ტომის) სახელის ცნობა. ამ შემთხვევაში ისეთი წარმოდგენა იქმნება, რომ -კი (-იკი) სუფიქსი შესაძლოა მრავლობითობის აღმნიშვნელიც იყოს.

მოშინი//მოშენი ეთნონიმში, რომლის მერმინდელა ფორმაა მუშან//მუშნი, მო//მუ, ჩანს, პრეფიქსებია. ეს ცხადი ხდება იქიდან, რომ სტრაბონი მო//მუ პრეფიქსის გარეშე იხსენიებს სვანებს — სოანეს, სადაც -ეს ფორმანტი ბერძნული დანართაა. მო//მუ პრეფიქსი გარეშე იხმარება სვანთა სატომო სახელი მეგრელებში — შონი, აფხაზებში — ა-შან-უა. ამ ფაქტით ისიც დასტურდება, რომ სტრაბონი სვანების აღმნიშვნელ ტერმინში შ-ს მაგივრად ხმარობს ს-ს.

თუ მოშინი//მოშენი და მუშან//მუშნი ტერმინებს მო//მუ პრეფიქსებს ჩამოვაცილებთ ფუძეში დაგვრჩება შ-ნი//შენი და შვან//შენი. აქედან მომდინარეობს სვანთა მხარის სახელწოდება შან//შუან//შვან.

თ. მიქელაძეც მოსინიკი ეთნონიმში ხედავს სვან სახელს. მეცნიერი ამასთან დაკავშირებით წერს: „არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ $\mu\sigma\text{-}\sigma\alpha\nu\text{-}\kappa\iota$ სახელი გადმოსცემდეს სვან სახელს, ანასთან, თუ ორი სიგმა მართლაც უცხო ბგერის გამოხატვის ცდაა — ამ სახელის სვანურ ვარიანტს: გავიხსენოთ სვან ცნების აღმნიშვნელი ქვემოსვანური ფორმა მუ-შენ-ი. ყოველ შემთხვევაში, ქართველური წარმოება $\mu\sigma\ \sigma\alpha\upsilon\ \kappa$ ტერმინისა აშკარაა“. თ. მიქელაძე იქვე განაგრძობს: „მოსინიკების სამხრეთით ბინადრობა არ უნდა იყოს შემადგერხებელი გარემოება ასეთი ვარაუდისათ-

ვის, რადგან არის მასალა, რომელმაც შეიძლება სვანების სამხრეთიდან მოსვლა დაგვიდასტუროს“⁵⁴.

როგორც ჩანს, მოსინიკების სვანური ტომი დროთა განმავლობაში ზანური ტომების ნიადაგზე ასიმილაციას განიცდის. როდესაც მოსინიკები ევროპელთათვის ცნობილი ხდებიან, ისინი, ჩანს, უკვე მეგრულ (ზანურ) ეთნიკურ წრეს ეკუთვნიან. მოსინიკები, აგრეთვე მელითონე ხალხი ყოფილან; კერძოდ, თითბერის წარმოებით ცნობილი. ალბათ ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თითბერს მეგრულ-ჰანურად ჰქვია „თუთაფერი“ (ე. ი. მთვარის ფერი)⁵⁵, ხოლო ევროპის მთელ რიგ ხალხთა ენებში მას ეძახიან *messing*-ს⁵⁶, რომელსაც უკავშირებენ ეთნონიმ მოსონიკ-ს.

ისმის კითხვა, სვანური ენის მეშვეობით ხდება თუ არა შესაძლებელი შან//შუან//შვან სიტყვის ახსნა?

ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი ვარაუდები: რაპველები რომელიდაც ლითონს უწოდებდნენ შანარ-ს. სვანურში კა ლითონების შემდეგი სახელებია ცნობილი ჰენარ, ჰნარ, ჰანარ, ბერეუ, ჩეა, ვერცხლ (ვარჩხილ), ვოქრ (ოქრ)⁵⁷.

⁵⁴ თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967, გვ. 138; ივ. ჯავახიშვილი, „კე“ და „ხი“ სუფიქსების შესახებ შემდეგ წერდა: „ამ შემთხვევაში კე ჩვეულებრივი ეროვნების აღმნიშვნელი საკვეცია ისეთივე როგორც ზემოაღნიშნული „ხი“ არის“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1959, გვ. 405); გ. მელიქიშვილს მოსინიკები ჩრდილოეთ კოლხეთის მხარეებიდან გადმოსახლებულად მიაჩნია, სადაც გვხვდება კოშკებისმაგვარი საცხოვრისები (კერძოდ სვანებში), თუმცა, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ამაში მტკიცედ დარწმუნება შეუძლებელია (იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 80).

⁵⁵ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 80.

⁵⁶ იქვე, გვ. 80; იხ. გ. კვიციანი, უცხოელი მეცნიერებმა უძველესი ქართველი ტომების მელითონების შესახებ, თბ., 1976, გვ. 38—40.

⁵⁷ მ. ჩართოლანი, სამეცნიერო სესია მიძღვნილი სვანეთის სამეცნიერო კომპლექსური ექსპედიციის 10 წლის მუშაობის შედეგებისადმი (1972—1981), მოხსენებათა თეზისები, თბ., 1981, გვ. 24.

შანარ//შანარ შესაძლოა ის ტერმინებია, საიდანაც წარმოსდგება სატომო სახელი შვანარ (სვანები) და მუშან (სვანი)⁵⁸. შანარ ტერმინში -არ მრავლობითობისა და ვინაობა-სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსია. შან ძარი გადმოსცემს ჩვენთვის საძებარეთონიმს შვან//შტან (შდრ. აფხ. ა-შან-უა, მეგ. შონ-ეთი). ე. ი. შვან//შტან—(სვანეთი) ხსენებული ლითონის სახელს უკავშირდება. მაშინ მუშან (სვანი) იმავე ცნების მომცველია, რა შინაარსიც აქვს ტერმინს ხალიბი (ხალიტუ, ხალდები//ხალდია). ამგვარად, მუშან ამ შემთხვევაში ნიშნავს მელითონეს. საინტერესოა, რომ სვანურ ტომებად ნავარაუდევ ხალხთა სახელები ყველა ლითონების სახელებს ან მელითონეობას უკავშირდება (ესენია: ტიბარენები, მოსინიკები, ხალდები, სვანები).

სკვლულისხმოა, რომ მოსინიკ ტერმინისაგან ადვილად მიიღება ეთნონიმი მისიმიან. ამ შემთხვევაში ო ბგერა იცვლება ი-თი, უფრო სწორად ო ხმოვნის რედუქცია (დავიწროება) ხდება ი-ლ და ნაცვლად მოსინიკისა ვდებულობთ მისინიკი-ის. ამავე დროს, მყლერი ნ და მ ბგერების სუბსტიტუციის (შენაცვლების) შედეგად მისინიკი გადმოიცემა ფორმით მისიმიკი. ბოლოს -კი (-იკი) დაბოლოება იცვლება -ან სუფიქსით, რომლის შედეგადაც ვდებულობთ ტერმინს მისიმიან. ამის ანალოგიურია შემდეგი ფაქტი: ლანჩუთის რაიონის სოფ. კაპრუანში ერთ დაბლობ ადგილს ლაზნაურა ეწოდება. ტოპონიმი ასე დაიშლება: ლა-ზნა-ურ-ა. ამ ტერმინში ლა- სვანური პრეფიქსია. ლა- პრეფიქსის დართვის შემდეგ ფუძემ განიცადა ა ხმოვნის რედუქცია (ზანა > ჳანა). მისი თავდა-

⁵⁸ „ჩეა“ შეიძლება იყოს ზანური „ჩე“ (თეთრი) სიტყვისაგან წაწარმოები. შესაძლოა სვანურში არსებული სიტყვა „მახვი“, აგრეთვე მელითონეობას უკავშირდებოდეს. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება. ბერძნულში რკინის ცნებასთანაა დაკავშირებული ტერმინი *μαχί* (*მაჯი*). რომლის ფუძის შემცველი ბერძნული სიტყვებია *Μαχ-αι-δι* მახვილი, დანა *Μαχ-η* ბრძოლა, შეიძლება არხნას იბირიულ-კავკასიური მასალით. მაგ. ქართ. ხუნძურში გიხვოება სიტყვა „მანშელ“, რომელიც ხელობას აღნიშნავს, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი წარსულში მელითონეს ან მჭედელს ერქვა. სვანურში „მახვი“ ოჯახის, თემის, გვარის თუ ტომის უფროსს აღნიშნავს, რაც შესაძლოა წარსულში დასლოებით ისეთივე შინაარსის მქონე იყო, როგორც იგი დღემდე შემორჩა ხუნძურში (ა. უ რ უ შ ა ძ ე, ბერძნული ენის ისტორიის საკითხი, კრებ: *Историко-филологические разыскания*, I, Тб., 1980, с. 222).

პირველი ფორმა კი უნდა ყოფილიყო ლაზანა (ურ-ა). -ურ ქართიზაციის შედეგად მიღებული ფორმანტია. თვით ლაზანა მიღებულია მისი უფრო ძველი ფორმისაგან ლაზიკა, სადაც ლაზიკოვკე სვანური პრეფიქსია⁵⁹.

ბ. მარი თვლიდა, რომ თვით სახელწოდება „ლაზი“ წარმოსდგება მეგრელების სვანური სახელისაგან „ზანი“, „ლა-ზანი“ („სანთა ქვეყანა“)⁶⁰.

ეს ფაქტი იმის მანიშნებელია, რომ -იკ (-იკი) -კა ელემენტები შემდგომ -ან სუფიქსმა შესცვალა. და ეს მოხდა იქ, სადაც სვანური მოსახლეობის განსახლებას უნდა ჰქონოდა ადგილი, რაზედაც მიგვანშნებს თვით ლ ა ნ ჩ ხ უ თ ტობონიმის სვანური წარმომავლობაც⁶¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, -ხი, -კი სუფიქსების -ან ით შეცვლა შინაარსობრივი თვალსაზრისით გაპართლებას პოულობს.

ამგვარად, მოსონიკი, მუშან, მისიმიან ტერმინების წარმოება-განვითარების სემანტიკური გზა განვიხილეთ ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ნიშან-თვისებების გათვალისწინებით.

ბ. კეკელიძე შიდა ქართლში ძვ. წ. IV—III საუკუნეებში სვანურენოვან მესხთა ტომის არსებობას ვარაუდობდა⁶².

სავსებით მართალია თ. მიქელაძე, როცა წერს, რომ „სვან და მესხ ტომთა საკითხი ურთიერთკავშირშია განსახილველი“⁶³.

ამგვარად, მოსინიკი, მისიმიან და მუშან ერთი ეთნოსუბსტრატის მქონე ტერმინებია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ბერძენი ავტორი დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ანუ ისტორიული სვანეთის ტერიტორიაზე მოსხებს მოიხსენიებს. ასე მაგალითად, სტრაბონი,

⁵⁹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 405.

⁶⁰ Н. Я. Марр, Из поездки в Турецкий Лазикстан, II, «Известия Академии наук», 1910, с. 607.

⁶¹ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 146; შდრ. აღ. დლონტი, ისევ ტობონიმების შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 1974, № 6 (8 იანვარი).

⁶² ბ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიული ქრონ. საკითხები, მიმოხილველი, I, თბ., 1926, გვ. 13.

⁶³ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

რომელიც, ცხადია, ემყარება წინამორბედთა ცნობებს, დასავლეთი-დან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ასეთი თანამიმდევრობით ჩამოთვლის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ხალხებს: ზიგები, ჰენიოხები, კერკეტები, მოსხები, კოლხები⁵⁴. სტრაბონის ეს ცნობა ბერძნულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც ოდესღაც რეალურად არსებულ ვითარებას გამოხატავდა. მოსხები ამ ცნობის მიხედვით დაახლოებით მდ. რიონის ზემო წელში ლოკალიზდებიან.

ბერძნულ წყაროებში მოხსენებულ მოსხებში რომ დღევანდელი ლეჩხუმლების წინაპრებიც შეიძლება იგულისხმებოდნენ, ამის ერთ-ერთ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ლეჩხუმის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმი მცხეთა⁵⁵. „მცხეთა“ და „მცხეთა“ ერთი წარმოშობის გეოგრაფიული სახელებია.

ამგვარად, სევანთა სატომო სახელი „მუშტან“ ნაწარმოები უნდა იყოს ერთგვარი ლითონის სახელისაგან „შან“. თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ მუშტან//მუშან მელითონეს უნდა ნიშნავდეს, რამდენადაც აღნიშნული ტერმინის თავსართი მუ- მაწარმოებელი პრეფიქსია.

⁵⁴ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 120.

⁵⁵ თ. მიქელაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 22.

თ ა ვ ი ი

კავკასიის ზოგიერთი ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის

1. ჰენიოხები

ჰენიოხთა ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა მიერ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი. მეკლევართა ერთი ნაწილი მათ სქანთა წინაპრებად მიიჩნევენ (გ. ორბელი, გ. მელიქიშვილი, თ. მიქელაძე და სხვ.), მეორე ნაწილი აფხაზთა წინაპრებად (დ. გულია, ზ. ანჩაბაძე). რიგი მეცნიერებისა ჰენიოხებს შეგრელ-ლაზებად მიიჩნევს (ივ. ჭავჭავიძე, ს. ჭანაშია, პ. ინგოროყვა, მ. ინაძე, ნ. ხოშტარია, ალ. გამყრელიძე, აკ. ურუშაძე და სხვ.)¹. ჰენიოხებში გულისხმობენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ზოლში მოსახლე სხვადასხვა ტომებსაც, ე. ი. ტერმინ „ჰენიოხს“ კრებითი სახელის მნიშვნელობას ანიჭებენ (გ. მელიქიშვილი, ლ. ი. ლაეროვი და სხვ.). გამოითქვა მოსაზრება, რომ ჰენიოხები ეთნიკური სახელი კი არ არის, არამედ ამ სახელით ბერძნები მიმართავ-

¹ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 401; ს. ჭანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, „შრომები“, III, თბ., 1954, გვ. 8, 20 და სხვ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 122, 124 და სხვ.; მ. ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები), „მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის“, ნაკვ. 32, გვ. 13—21; მისივე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეც. განყ-ბის, მოამბე, 1960, № 2, გვ. 145—162; ნ. ხოშტარია, ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 36...; ალ. გამყრელიძე, ამიანე მარტელი, „გეორგია“, I, თბ., 1961, გვ. 89; აკ. ურუშაძე, ჰენიოხების შესახებ, თსუ „შრომები“, 96, 1963, გვ. 243—248.

დნენ პროფესიონალ მზიდავეებს, რომლებიც მოვაჭრეებს ემსახურებოდნენ შავიზღვ-სპირეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის დროს².

ქენიოხებს მერმინდელ სანიგებადაც მიიჩნევენ (ი. ორბელი, გ. მელიქიშვილი, ზ. ანჩაბაძე)³. ზ. ანჩაბაძე სანიგების ქვეშ გულსხმობს ჯიქ-საძებს⁴. ადრე ასეთი მოსაზრება ა. დიანკოვ-ტარასოვმა წამოაყენა⁵.

ჩვენი მიზანია, წერილობითი წყაროებისა და დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში უხმარი მასალის შუქზე ქენიოხებში სვანური ეთნოკლრი ელემენტის გამოვლენა.

შველევართა აზრით, ქენიოხები იგივე იგანიეხები არიან⁶. ურარტული ცნობების მიხედვით იგანიეხი მოიხსენიება იმ ტომთა შორის, რომელნიც დიაოხს ზურგს უმაგრებდა ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლაში. გ. მელიქიშვილის სიტყვით, უფრო გვიან ალბათ სწორედ იგანიეხის შთაჰომავალნი იწოდებიან ბერძნულ-რომაულ წყაროებში ქენიოხებად⁷.

ურარტული ცნობების მიხედვით მეფე არგიშდმა (ძვ. წ. VIII ს.) დახარკა დიაოხის ქვეყანა, დაიმორჩილა იგასი (იგანიეხის) ქვეყნის მეფეც, მაგრამ მის ტყვედ წაყვანას მოერიდა⁸.

საყურადღებოა, რომ „შესაქმეთა“ წიგნში ტომთა ასეთი სახელებია ჩამოთვლილი: კაინანი, ჰენოხი, მეთუსალი, ტუსკები (თუ-შები?). ი. ჯავახიშვილის აზრით, ესენი ქართველთა ან კავკასიელთა ეთნოკლრებია⁹. ბიბლიური გადმოცემით, მას შემდეგ რაც ძმის, ჰა-

² ნ. კევერელი-კობაძე, Дорожные сооружения древней Абхазии, Сухуми, 1955, с. 30—55.

³ И. Орбели. Город близнецов «Дноскурнас» и племя возниц «Кенцохов» — ЖМНП, № XXXIII, 1911, с. 214; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 91; З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, М., 1964, с. 134.

⁴ З. В. Анчабадзе, Указ. раб., с. 173.

⁵ А. И. Дьячков-Тарасов, Гагры и их окрестности, 1903, с. 43.

⁶ Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи. М., 1960, с. 260 (შემდეგში УКН); მისივე, К истории древней Грузии, с. 93, 115, 210, 214, 223.

⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970, ტ. I, გვ. 377.

⁸ УКН, 128. В I.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 136.

ბელის მკვლევლობისათვის ღმერთმა კაინი დასწყევლა და ჯანოვენა, ახალ ადგილზე გადასახლებულმა კაინმა კვლავ პინადარ ცხოვრებას მიჰყო ხელი: „და დამკვდრა ქუეყანასა ნაიდს წინაშე ედემისა“ (IV, 16) და „აღაშენა ქალაქი და უწოდა ქალაქსა სახელი ძისა თვისისა ენოხ“ (IV, 17)¹⁰. იგივე ენოხ დაბადების პირველ წიგნში, კერძოდ „შესაქმეთა“ წიგნის V თავში დაცული ნუსხის მიხედვით წარმოგვიდგება კაინანის შვილიშვილის შვილად¹¹. ამ მონაცემების მიხედვით ჰენიოხი მომდინარეობს ბიბლიური პერსონაჟის სახელისაგან, რომელიც შემდეგ ქალაქის, უფრო მოგვიანებით ალბათ ტომის სახელად იქცა, მსგავსად ისეთი სახელებისა, როგორიცაა ქართლოს, კახოს, ჰეროს, ეგროს და ა. შ. მაგრამ არის თუ არა ერთმანეთის იდენტური ბიბლიის ჰენოხ-ენოხ. ურარტული წყაროების იგანიეხი და ბერძნულ-ლათინური წყაროების ჰენიოხი? გ. მელიქიშვილის აზრით, როგორც აღვნიშნეთ, იგანიეხები შესაძლოა მერმინდელი ჰენიოხები იყვნენ¹². ურარტულ წარწერებში იგანიეხი იხსენიება, როგორც ქვეყანა ჩილდირის ტბის რაიონში. არგიშდ I-ის წარწერაში ვკითხულობთ: «Область (?) города Макалтуни страны Игани я пощадил» (УКН, ст. I, с. 212). ე. ი. არგიშდს ეს ქვეყანა არ გაუნადგურებია (იქვე, გვ. 213). იგანიეხი იხსენიება მეფე სარდურ II-ის (არგიშდის ძის) წარწერაშიც: «Бог Халди выступил (в поход) со своим оружием (?) победил Рашуни, царя страны Руишнани, победил он Диуцини и ганиехи, царя страны Этиухи, поверг их перед Сардурн, сыном Аргишти» (УКН, с. 28).

აქ საყურადღებოა მეორე ფაქტაც, წყაროს მიხედვით დიუცინი იგანიეხელი ეს არის ეთიუხის ქვეყნის მეფე. ე. ი. ქვეყანას, რომელსაც მართავდა იგანიეხელი მეფე ერქვა ეთიუხი. ქვეყნის ასეთი სახელწოდება დღევანდელი სვანური ენის მეშვეობით ახსნას ექვემდებარება. ეთუ//ათუ სვანურად 'ცხელს' ნიშნავს. თუ ამ სიტყვას

¹⁰ დაბადება, ნაწილი პირველი, თავი IV, ტფ., 1884, გვ. 8; ნ. ხაზარაძე, აღმოსავლეთ შტორე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებანი, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978, გვ. 15.

¹¹ დაბადება, ნაწილი პირველი, თავი V, გვ. 9.

¹² Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 93, 115, 210, 214, 223.

ურარტულ -ხი სუფიქსს დაეუმატებთ, მისი შინაარსი დაანლოებით გადმოიცემა ასე: ცხელი ქვეყანა, ან თბილი მხარე (შდრ. იაპონია — მზის ამოსვლის ქვეყანა, იერუსალიმი — მშვიდობის ქალაქი, ჩილე — ცივი და ა. შ.).

სარდურ II-ს ეკუთვნის სხვა წარწერაც, სადაც ვკითხულობთ: „წავედი მე სალაშქროდ იგანის ქვეყანაზე. ღმერთი ხალდი წავიდა სალაშქროდ თავისი იარაღით, გაამარჯვა მან კაპურინზე, იგანის ქვეყნის მეფეზე“¹³. ამის შემდეგ იგანიეხზე ცნობები არ გაგვაჩნია. ძვ. წ. V—IV სს. ცნობები ჩნდება ჰენიოხეზე, რომლებიც ცხოვრობენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. მათი მოხსენიება წყაროებში ახ. წ. II ს-მდე გრძელდება.

ურარტოლოგ პ. უშაკოვის აზრითაც ურარტუს მეფეების არგინდისა და სარდურის წარწერებში მოხსენიებული იგანის ქვეყანაში უნდა იგულისხმებოდეს იმ ტომთა პოლიტიკური გაერთიანება, რომლებსაც ბერძენი მწერლები ჰენიოხებს უწოდებდნენ¹⁴. პ. უშაკოვის აზრით, ჰენიოხები (იგანიეხი) ურარტული ცნობების მიხედვით ძვ. წ. IX—VIII სს. ცხოვრობდნენ დაახლოებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ მოსაზრებას მართლაც რომ საფუძველიც გააჩნია. ამ მხრივ საყურადღებოა ბერძენი მწერლის ჰერაკლიდე პონტოელისადმი (ძვ. წ. IV—III სს.) მიწერილ შრომაში „სახელმწიფოთა შესახებ“, დაცული ერთი ცნობა ფაზისელთა სახელმწიფოს შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „ფაზისის გაყოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები... მერე კი მილეტელები“¹⁵. ეს ცნობა იმით არის საყურადღებო, რომ ძვ. წ. IV—III საუკუნეების ავტორი ფაზისის გაყოლებით უძველეს, ანუ თავდაპირველ მოსახლეობად მიიჩნევს ჰენიოხებს. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ჰენიოხებს ფაზისის გაყოლებით უცხოვრიათ იქ მილეტელ მოახალშენეთა გამოჩენამდე. მილეტელები აღნიშნულ ტე-

¹³ იქვე, გვ. 286—287.

¹⁴ П. Ушаков, К походам урартийцев в Закавказье, ВДП, 1946, № 2, с. 38.

¹⁵ Miuler, Fragment Nustericorum graecorum II Parisus 218; Л. И. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, Л., 1978, с. 34.

რიტორიაზე თავიანთ კოლონიას აარსებენ ძვ. წ. VI საუკუნემდე. ე. ი. ვიდრე აქ კოლხთა სამეფო შეიქმნებოდა. კოლხთა სამეფო კი მხოლოდ ძვ. წ. VI ს. შეიქმნა და იარსება ძვ. წ. II ს-მდე. აქედან დასკვნა: ჰენიოხთა ჩრდილოეთის რაიონებისაკენ წაწევა უნდა გამოეწვია ჯერ მილეტელი ბერძნების კოლონიზაციას, ხოლო შემდეგ კოლხთა სამეფოს შექმნასა და გაძლიერებას.

საინტერესოა, რომ ძვ. წ. V—IV სს. ისეთი ცნობილი ავტორები, როგორც ჰეროდოტე და ქსენოფონტე იყვნენ, არც ერთ სიტყვას ჰენიოხებზე არ გვაწვდიან. მათთან არც ივანიეხის შესახებ გვხვდება რაიმე ცნობა. საგულისხმოა, რომ იგივე ავტორები — ჰეროდოტე და ქსენოფონტე არსად არ იხსენიებენ აგრეთვე სვანებს. ისმება კითხვა, რა სახელებით იხსენიებიან ამ დროს სვანური ტომები? ჰეროდოტე ჩამოთვლის შემდეგი სახელწოდების ქართველურ ტომებს: კოლხები, მარები, მაკრონები, მოსინოაკები, მოსხები, სასპეირები, ტიბარენები, ქალიბები (ხალიბები). ანგარიშგასაწევი ის ფაქტი, რომ ჰეროდოტე კოლხეთში ნამყოფი იყო¹⁶.

ქსენოფონტე (დაახ. 435—358) იხსენიებს შემდეგ ქართველ ტომებს: კოლხები, მაკრონები, სანები, სასპეირები, ტაოხები, ტიბარენები, ფასიანები, ხალდები, ხალიბები. ყოველად შეუძლებელია, რომ ამ დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სვანური მოსახლეობა არ ყოფილიყო. მაშინ გაუგებარი ხდება, თუ საიდან გაჩნდნენ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ესოდენ დიდ სივრცეზე ვანსახლებული, მრავალრიცხოვანი სვანური ტომები. ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი ტომი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის შავიზღვისპირა ზოლში მოსახლეობს. საყურადღებო ამ შემთხვევაში ისიც არის, რომ მათი განსახლების ჩრდილო საზღვარი აღწევს მდ. ფაზისამდე (რიონამდე), ე. ი. დღევანდელ ფოთის სექტორამდე. ფაზისის ჩრდილოეთით თუ ვინ მოსახლეობს, ამის შესახებ ჰეროდოტე და ქსენოფონტე არაფერს გვაუწყებენ. მით უფრო საგულისხმოა ზემოთ ნახსენები ჰერაკლიტე პონტოელისადმი მიწერილი შრომა, სადაც ნათქვამია, რომ ფაზისის (რიონის) გაყოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები.

რადგან ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს მიერ ჩამოთვლილ ქარ-

¹⁶ ჰეროდოტე, ისტორია, ტ. I, თბ., 1975, გვ. 10.

თველ ტომებში სვანები არ იხსენიებიან, მიგვაჩნია, რომ სვანები იგულისხმებიან იმ ჰენიოხებში, რომლებიც ამ დროს მდ. ფაზისის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ.

ამჟერად შევეხთ იმ ავტორთა ცნობებს, რომლებიც უშუალოდ მიგვითითებენ ჰენიოხებზე, მათი განსახლების ტერიტორიაზე. ესენი I—II სს. ბერძენი და რომაელი მწერლებია. ამ დროს ჰენიოხები ფიქსირდებიან უკვე დღევანდელ სოხუმსა და სოკს შორის მდებარე ტერიტორიაზე. ე. ი. რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ფაზისის გაყოლებით მდებარე ტერიტორიიდან, ჰენიოხები გადაადგილდნენ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ამასთანავე მათი ამ ხნის განმავლობაში ჩრდილოეთით გავრცელების არეალებს უნდა შეადგენდეს ზემო იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ზემო და ქვემო ავანეთისა და კოდორის სათავეების ტერიტორია.

როგორც აღვნიშნეთ, ჰენიოხებს ფაზისის გაყოლებით უცხოვრიათ დაახლოებით ძვ. წ. VIII—VII სს. კოლხეთის სამეფოს შექმნამდე (ძვ. წ. VI ს). ტერიტორია მდ. რიონიდან გაგრამდე დღემდე ინახავს ათეულობით სვანური წარმოშობის ტოპონიმებს, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე ოდესღაც მოსახლე ხალხის სვანურენოვანებაზე მიგვანიშნებს. ეს ტოპონიმები ამ ტერიტორიაზე მოსახლე სვან ჰენიოხებს უნდა დაეტოვებინათ. როგორც აღვნიშნეთ, ძვ. წ. I და ახ. წ. I—II სს. ბერძენი და რომაელი ავტორები ვეაწყვილიან ცნობებს ჰენიოხების შესახებ. განვიხილოთ ისინი, რათა განვსაზღვროთ აღნიშნულ პერიოდში მათი განსახლების ტერიტორია.

ჰენიოხების შესახებ რამდენიმე ცნობას იძლევა სტრაბონი (ძვ. წ. 64—ახ. წ. 24). იგი ჰენიოხების განსახლების ადგილს შენდგენაირად განსაზღვრავს: მისი ცნობით სავრომატები ცხოვრობენ ჰირკანიისა (კასპიის) და პონტოს ზღვებს შორის კავკასიამდე. იბერიის და ალბანეთის ოლქამდე. შემდეგ მისი ცნობით ცხოვრობენ სკვითები, ახალეები, ჯიქები და ჰენიოხები¹⁷. თითქმის იგივეს იმერებს მეორე ადგილასაც, სადაც ჩამოთვლის ახალეებს, ჯიქებს, ჰენიოხებს, კერკეტებს და მაკროპოგენებს (გრძელწვერიანები)¹⁸.

¹⁷ Страбон. География, М., 1964, с. 129.

¹⁸ იქვე, გვ. 468.

მისი სიტყვით ამ ოლქებს ზემოთ ძვეს ფთიროფაგების ხეობა. ამ შემთხვევაში სტრაბონის მიხედვით ჰენიოხები სოხუმამდე მოსახლდებენ. ამას ადასტურებს მისივე ცნობა, სადაც წერს, რომ „ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს კოლხეთი, რომელიც კავკასიისა და მესხეთის მთების ძირში ძვეს“¹⁹.

შემდეგ სტრაბონი წერს, რომ სინდის ოლქისა (აზოვთანაა) და გორკიპის (აზოვთანაა) შემდეგ მოდისო ახაელების, ჯიქების და ჰენიოხების დასახლება, რომელიც მთიანია და უნავსადგურო. სინდიქესა და გორკიპის შემდეგ ზღვასთან არის აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპირო, მეტწილად უნავსადგურო და მთიანი.

ესენი ცხოვრობენ ზღვაზე მეკობრეობით. ჰენიოხები ფლობენ ზღვას²⁰. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ჰენიოხებში კოდორის სათავეებში მოსახლე მისიმიანებიც იგულისხმებიან. ეს მხარე ზღვიდან მოშორებულია და ამდენად უნავსადგურო.

ამის შემდეგ სტრაბონი ყურადღებას ამახვილებს ახაელებზე, რომლებიც საბერძნეთის ახვიდან არიან, იასონის არმიიდან. სტრაბონის სიტყვით, ჰენიოხეთში დასახლებულან ლაკონელები²¹. ე. ი. ჰენიოხეთი გარკვეული ტერიტორიის სახელწოდებაა, იგი მნიშვნელოვანი ეთნოპოლიტიკური ერთეულია.

სტრაბონის ცნობით, ჰენიოხებს განაგებენ ე. წ. „სკეპტუხები“, რომლებიც ემორჩილებიან ტირანებს და მეფეებს. ასე მაგალითად, ჰენიოხებს ჰყავდათ ოთხი მეფე. საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც მითრიდატე პონტოელი ბოსფორში გარბოდა, გაიარა ჰენიოხების მიწა-წყალზე. მისი ცნობით, მითრიდატეს ჰენიოხთა ქვეყანაზე გავლა გაუადვილდა, მაგრამ ჯიქების ქვეყანაზე კი გაუძნელდა მათი „სიმკაცრისა და ველურობის გამო“, თუმცა ზღვის გაყოლებით მაინც შესძლო ახაელებში შეღწევა²². ეს ცნობა იმის მოწმობად მიგვაჩნია, რომ ჯიქები ზღვასთან უფრო ახლო ცხოვრობდნენ ჰენიოხებთან შედარებით და ისინი ცხადია თავიანთ მიწა-წყალზე არავის ატარებდნენ. ასეთ შემთხვევაში თუ ისინი სიმკაცრეს იჩენდნენ, ეს სულაც არ ნიშნავს მათ ველურობას.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე, გვ. 470.

²¹ იქვე.

²² იქვე, გვ. 471.

სტრაბონის ცნობით ჰენიოხებს ჰყავდათ ოთხი მეფე. ეს ფაქტი იმ ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ ჰენიოხებში სხვადასხვა ხალხი უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, აქ ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ „სკეპტუხები“ ტომთა ბელადები უნდა იყვნენ და არა მეფეები. ჰენიოხებს კი 4 მეფე ჰყავთ და არა 4 სკეპტუხი²¹. ამ საკითხს დაეუბრუნდებით ბოლოს, როცა სხვა ავტორთა ცნობებსაც მიმოვიხილავთ ჰენიოხების საკითხთან დაკავშირებით.

შემდეგ ცნობაში სტრაბონი ჰენიოხების განსახლების შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის: სინდის ნავსადგურიდან 400 სტადიის მანძილზე ცხოვრობენ ე. წ. ბატეები. ამის შემდეგ არტემიდორი ასახელებსო კერკეტებს (სადაც არისო ნავსადგური და სოფელი) სიგრძით 850 სტადი, შემდეგ ახეილები (აქეილები) — 500 სტადიზე; შემდეგ ჰენიოსთა სანაპირო 1000 სტადიზე; შემდეგ დიდი პიტეუნდა (ბიჭვინთა) სიგრძით 360 სტადიზე დიოსკურიამდე (გვ. 471).

ბერძნული სტადია უდრის 177,6 მ-ს. თუ კილომეტრებში გადავიყვანთ ამ სტადიებს, მივიღებთ: ბიჭვინთასა და სოხუმს შორის დაახ. 64 კმ-ია. ბიჭვინთიდან დასავლეთით 1000 სტადიაზე განსახლებული არიანო ჰენიოხები. 1000 სტადია უდრის 177,6 კმ-ს. ე. ი. ამ შემთხვევაში ჰენიოხები გაგრასა და სოქს შორის კი არ თავსდებიან, არამედ უფრო მეტ სივრცეზე, კერძოდ, გაგრასა და ტუაფსეს შორის. მკვლევარები რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ იმ ფაქტს, რომ სტრაბონი, როცა ჰენიოხებზე ცნობებს იძლევა, საკუთარ თავს წინააღმდეგობაში აგდებს. ზემოთ მოტანილ მის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ჯერ ცხოვრობენო აქაელები, შემდეგ ჭიქები, ჰენიოხები, კერკეტები და მაკროპოგონები (გვ. 468). მეორე ცნობაშიაც ასეთსავე თანამიმდევრობას იცავს. ამ ცნობების მიხედვით ჰენიოხები სადღაც სოხუმამდე უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო ზემოთ მოტანილ ცნობაში იგივე სტრაბონი უკვე პირუკუ გვთავაზობს მისივე თავდაპირველ ცნობას და წერს, რომ შავიზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჯერ ასახელებს კერკეტებს, შემდეგ აქაელებს და ჰენიოხებს ბიჭ-

²¹ იქვე.

ვინთამდე, მაშინ როცა პირველ ორ ცნობაში დასავლეთიდან სამხრეთის მიმართულებით ჩამოთვლის: აქაელებს, ჯიქებს, ჰენიოხებს, კერკეტებს და მაკროზოგონებს. სტრაბონი იქვე შენიშნავს, რომ მითრიდატეს ომების ისტორიკოსები, რომელნიც დიდ ნდობას იმსახურებენო, პირიქით, ჯერ ასახელებენ აქაელებს, შემდეგ კი ჯიქებს, ჰენიოხებს, კერკეტებს, მოსხებს, კოლხებს და მათ შემოთ მცხოვრებ ფთიროფაგებსა და სოანებს (გვ. 471).

რაშია საქმე? საქმე ისაა, რომ სტრაბონი არა მარტო ჰენიოხების განსახლების ადგილს ცვლის, არამედ კერკეტებისაც. კერკეტებს ჯერ ასახელებს სადღაც სოხუმამდე (დასავლეთიდან), ხოლო შემდეგ ცნობაში იგივე კერკეტებს მოიხსენიებს ჩრდილო დასავლეთით სოჰამდე. მაგრამ სტრაბონი მესამე ცნობაში არ იხსენიებს ჯიქებს. იქნებ კერკეტების ქვეშ ჯიქებს გულისხმობს? თუმცა აქაც შეუსაბამობაა, რადგან წინა ორ ცნობაში დასავლეთიდან სამხრეთის მიმართულებით სტრაბონი ჯერ ასახელებს აქაელებს და მერე ჯიქებს, მესამე ცნობაში კი ჯერ ასახელებს კერკეტებს და შემდეგ აქაელებს.

გავყევით ისევ სტრაბონის ცნობებს ჰენიოხებზე. სტრაბონი წერს, რომ კავკასიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს მისი სამხრეთი მხარეები — ალბანიის, იბერიის, კოლხებისა და ჰენიოხების ქვეყნები წარმოადგენენო (გვ. 479). ამ ცნობაში საინტერესო ისიც არის, რომ სტრაბონი კოლხების ქვეყნის შემდეგ ასახელებს ჰენიოხების ქვეყანას. თუ ანგარიშს გავუწევთ იმას, რომ სტრაბონის ერთ-ერთი ცნობის მიხედვით ჰენიოხები მოსახლეობენ ბიჭვინთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, მაშინ გამოდის, რომ კოლხეთის ტერიტორია ბიჭვინთამდე აღწევდა. ეს ცნობა იშითაც არის საინტერესო, რომ სტრაბონი ამ შემთხვევაში ჰენიოხების ქვეშ გულისხმობს ყველა იმ ტომს, რომლებიც კოლხების შემდეგ ცხოვრობენ. ცხადია, ეს გამორიცხავს ვარაუდს იმის შესახებ, რომ ჰენიოხებში ვიგულისხმოთ მხოლოდ რომელიმე ერთი ხალხი, ერთი ეთნიკური წრე.

სტრაბონი იქვე განაგრძობს, რომ კავკასიაში მცხოვრები ხალხები თავს იყრიანო დიოსკურიაში. აქ ისინი ძირითადად მარილი-სათვის ჩამოდიანო (გვ. 479). და ბოლოს სტრაბონი ასეთ ცნობას გვაწვდის: შავი ზღვის მთელი სანაპირო ექვემდებარებაო რომის

იმპერიას, თუ მხედველობაში არ მივიღებთო აქაელებს, ჯიქებს და ჰენიოხებს (გვ. 771).

როგორც ცნობილია, ძვ. წ. 65 წ. საქართველოს რომაელი სარდალი პომპეუსი შემოესია. მან როცა ქართლის მეფე არტაგი დაამარცხა, თავისი ჯარით კოლხეთში გადავიდა მითრიდატე პონტოელის ხელში ჩაუდგების მიზნით. მითრიდატე VI ძვ. წ. 66 წ. პომპეუსს ვერ გაუშკლავდა და თავს გაქცევით უშველა. მითრიდატე ჯერ კოლხეთში გადაიხვეწა, სადაც ზამთარი დიოსკურიაში გაატარა, ხოლო შემდეგ პონტოს მეფემ ახალი ჯარის შეგროვების მიზნით ჩრდილოეთისაკენ გასწია²⁴. პომპეუსმა დაამარცხა მითრიდატეს მომხრე სომხებიც და ალბანელებიც. კოლხებს პომპეუსისათვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. პომპეუსმა კოლხეთიც რომაელების მიერ დამორჩილებულ ქვეყნებს მიათვალა²⁵. რომაელებმა კოლხეთში თავიანთი მმართველი დააყენეს. ამასობაში მითრიდატემ ბოსფორი ხელთ ჩაიგდო. მითრიდატე ოცნებობდა რომის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებაზე, ჩრდილოეთიდან იტალიაში შეჭრაზე და სხვ. მაგრამ 63 წელს მისი ვაჟის, ფარნაკის, მიერ მოწყობილ აჯანყების შედეგად ძალაუფლება დაკარგა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა (სინ. I, 502). მიუხედავად იმისა, რომ პომპეუსს უსათუოდ აინტერესებდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისაკენ გამავალი გზები, მითუმეტეს, რომ იქ ეგულებოდა მითრიდატეც, მაინც წასვლა ვერ შესძლო. ჩვენი აზრით მას ამ შემთხვევაში გზა გადაულობეს აქაელებმა, ჯიქებმა და ჰენიოხებმა, რომლებიც რომის იმპერიას არ ექვემდებარებოდნენ.

ამგვარად, სტრაბონის ცნობები ჰენიოხების შესახებ ძალიან საინტერესოა, თუმცა ჰენიოხების განსახლების ადგილის განსაზღვრა ზუსტად მაინც ვერ ხერხდება.

ვნახოთ, თუ რა ცნობებს იძლევიან სხვა ბერძნები და რომაელი ავტორები ჰენიოხების შესახებ.

²⁴ სინ. I, გვ. 502—504.

²⁵ იქვე. გვ. 504—505; პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები (პომპეუსი), თბ., 1957, გვ. 99—145.

ჰერაკლიტე მიტილენელი (ძვ. წ. V—IV სს.) იუწყება, რომ „კერკეტების ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ქარიმატები, ქვემოთ — ჰენიოხები, ზემოთ კი — კორაქსები“²⁶.

ფსევდო-სკილაქს კარიადნელი (ძვ. წ. IV ს.) ჰენიოხებს აქეელების შემდეგ ათავსებს. ჰენიოხების შემდეგ კი კორაქსებს ასახელებს თავის „პერიპლუსში“²⁷.

ჰენიოხების შესახებ ჯერ კიდევ არისტოტელე (ძვ. წ. 384—322) თავის „პოლიტიკაში“ (VIII, 3, 4.) წერდა, რომ ისინი კაცის მკვლევლები არიან და ავაზაკურ ხასიათის ცხოვრებას ეწევიან. თუ სად ცხოვრობდნენ ჰენიოხები არისტოტელეს დროს, ამის შესახებ მას არავითარი ცნობა არ მოჰყავს. მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ბერძენი მეცნიერი ინფორმირებული იყო ჰენიოხების საკითხთან დაკავშირებით. ცხადია, ჰენიოხები ბერძენებსა და რომაელებს მკაცრ წინააღმდეგობას უწევდნენ და ამიტომაც მათ კაცის მკვლევლებს, კაციჭამიებსა და ავაზაკებს უწოდებდნენ, რაც გადაჭარბებულად გვეჩვენება.

ჰენიოხებს იხსენიებს რომაელი ფილოსოფოსი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე სენეკა (დაახ. ძვ. წ. 4 დაახ. წ. 65 წ.). სენეკას სიტყვით ჰენიოხები ცხოვრობენ „არასტუმართმოყვარე კავკასიის ციცაბო კლდეზე“. პომპონიუს მელა, რომელიც ცხადია ძველ წყაროებს ეყრდნობოდა, სხვა ტომებს შორის ასახელებს ჰენიოხებსაც. ჩრდილოეთიდან სამხრეთით ასეთი თანამიმდევრობით: ...კერკეტები, აქაიელები, ჰენიოხები, ფთიროფაგები, კორაქსები, კოლიკები, ტორეტიკები, მელანხლენები. მისი სიტყვით ჰენიოხების მიწაზე მდებარეობს დიოსკურია (Op, cit, I, 19, 110—111).

პლინიუსი (23/24-79) როცა ციხე აფსარს ახსენებს, დასძენს, რომ ამ ადგილებში „მთებს იქით“ არისო იბერია, ხოლო ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენო ჰენიოხები, ამპრეტები, ლაზები (სინ. I, 526). ამ ცნობის მიხედვით ჰენიოხები განსახლებული არიან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რადგან აფსაროსი მდინარე ჭოროხის სახელწოდებაა, და, მაშასადამე, აფსარის ციხეც ამ ადგი-

²⁶ ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 278.

²⁷ იქვე, გვ. 289.

ლებშია საგულველი. საქმე ის არის, რომ პლინიუსის ორიენტირია აფსარის ციხე, ე. ი. აქიდან შავიზღვისპირა ზოლის გაყოლებით ჩამოთვლის ჰენიოხებს, ამპრეეტებს და ბოლოს ლაზებს, როცა პირუკუ უნდა ჩამოეთვალა — ჯერ ლაზები, მერე ამპრეეტები და ბოლოს ჰენიოხები. მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწორია პლინიუსი? პლინიუსი იმასაც გვაცნობებს, რომ ჰენიოხებს გაუძარცვავთ უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტი — ბიჭვინთა (NH, VI, 16; სინ, I, 539).

იოსებ ფლავიუსი (ახ. წ. 37—95 წწ.) თავის „იუდეველთა ომში“ აღნიშნავს, რომ ჰენიოხები და კოლხები, ტაერები და ბოსფორელები, საერთოდ პონტოსა და მეოტიდის გარშემო მცხოვრები ხალხები, რომლებიც წინათ საკუთარ მბრძანებლებსაც არ სცნობდნენ, ახლა მორჩილებაში იმყოფებიან 3000 პოპლიტისა და 40 სამხედრო ხომალდის ძალითო (Bel-jud, II, 16,4)²⁸. ამ ცნობაში საინტერესო ის არის, რომ ჰენიოხები უკვე რომაელთა მორჩილებაში იმყოფებიან. პლინიუსი და იოსებ ფლავიუსი ერთი დროის ავტორები არიან, მაგრამ ცნობები ჰენიოხების შესახებ სხვადასხვაა. შესაძლოა, რომ ჰენიოხებს მართლაც გაეძარცვათ პიტიუნტი, თუ კი იგი რომაელთა ხელში იყო.

ოვიდიუსი (ძვ. წ. 43—ახ. წ. 18 წ.), რომელი პოეტი, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე გაატარა გადასახლებაში, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა შავიზღვისპირეთს. მას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ქართველი ტომების შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვება. პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის „პონტოსიდან გამოგზავნილ წერილებში“ მოხსენიებული არიან ჰენიოხები და აქაელები (IV, 10), როგორც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი, რომელნიც თავიანთი გაბედული თავდასხმებით შიშის ზარს სცემდნენ არა მარტო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს, არამედ ჩრდილოეთის მხარეში მოგზაურ მეზღვაურებსაც. ამავე

²⁸ ბერკენი მწერლები საქართველოს შესახებ (თარგმანი, გამოკვლევა და საძიებელი თ. ყაუხჩიშვილისა), თბ., 1983, გვ. 58.

წერილში ჩამოთვლილია შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა სახე-
ლები, მაგალითად, პ ე ნ ი უ ს ი (რომელსაც სანიგთა და ჰენიოხთა
სახლვარზე მომდინარედ თვლიან), ჰიპანისი, პალისი, ფაზისი და
სხვ.²⁹ საჭიროა დადგინდეს, თუ რომელ მდინარეს ეწოდება პ ე ნ ი-
უ ს ი. ამ შემთხვევაში უფრო ხელმოსაყიდი ცნობა ჰენიოხების
განსახლების ადგილის განსაზღვრებისათვის არა გვაქვს.

გ ა ი უ ს ვ ე ლ ე ი უ ს პ ე ტ ე რ კ უ ლ უ ს ი (ძვ. წ. I ს-ის მეო-
რე ნახევრისა და ახ. წ. პირველი ნახევრის მოღვაწე) თავის „რომის
ისტორიაში“, რომლის მხოლოდ ნაწილმა მოაღწია, საინტერესო
ცნობებს გვაწვდის პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ. ავ-
ტორის ცნობით პომპეუსმა გამარჯვებით განვლო მიდია, ალბანია
და იბერია, შემდეგ თავისი ჯარი მოაბრუნა იმ ხალხებისაკენ, რო-
მელნიც პონტოს მარჯვენა უკიდურეს ნაწილში ცხოვრობენ, ე. ი.
კოლხების, ჰენიოხებისა და აქაელებისაკენ³⁰. ამ ცნობის მიხედვით
კოლხების შემდეგ ჰენიოხებოს განსახლება იწყება, მაგრამ საღამ-
დე იგულისხმებიან კოლხები, ამის ზუსტი დადგენა მისი ცნობებით
ძნელია.

გ ა ი უ ს პ ლ ი ნ ი უ ს ს ე კ უ ნ დ უ ს ი (23—79 წწ.) ანუ პლი-
ნიუს უფროსი, ცნობილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, სამხედ-
რო პირი და მწერალი. იგი ვეზუვის ვულკანის ამოხეთქვის (იროს-
დაიღუპა. პლინიუსის ცნობით ტრაპეზუნტამდე სანაპიროზე მდინა-
რეა — პაკსიპესი, იმის იქით კი სან-ჰენიოხთა ტომი ცხოვრობს³¹.
იგი იქვე განაგრძობს, რომ ტრაპეზუნტიდან 140.000 ნაბიჯზე მდი-
ნარე აბსაროსია იმავე სახელწოდების ციხე-სიმაგრით. ეს ციხე-სი-
მაგრე მდ. აბსაროსის შესართავშია. იმ ადგილებში მთებს გადაღმა
იბერიაა, სანაპიროზე კი — ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ ი, ამპრეტებო, ლახები;
მდინარეები აკამპსეონ, ისისი, მოგრუსი, ბათისი, კოლხთა ტომები,

²⁹ ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ (ლათინური ტექსტი თარ-
გმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრე-
ლიძემ), თბ., 1973, გვ. 21.

³⁰ იქვე, გვ. 24.

³¹ იქვე, გვ. 31.

ქალაქი მ.ტიუმი, მდინარე პერაკლეონი იმავე სახელწოდების კონცხითა და პონტოს ყველაზე სახელგანთქმული მდინარე თაზისი³².

როგორც ვხედავთ, პლინიუს უფროსის ცნობით, რომელიც ცდილობს სხვა ავტორებთან შედარებით მთელ რიგ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჩამოთვლით უფრო დააკონკრეტოს თავისი ნათქვამი, ვამოდის, რომ ჰენიოხები ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ან მის მიმდებარე მთებში. უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენი ავტორები აბსაროსს უწოდებდნენ მდ. ჭოროხს, ზოგჯერ ეს მდინარე აკამფსიის სახელით იხსენიება. პლინიუსი კი ორივე ამ სახელს ხმარობს. შესაძლოა, ერთ მათგანში ჭოროხს გულისხმობდეს, ხოლო მეორეში მის შენაკად მდ. აჭარისწყალს. მდ. ისისი მკვლევარების აზრით არის ნატანები³³. მაგრამ ჩვენი აზრით ეს არის არა ნატანები, არამედ მდ. კინტრიში, რომელიც ჭოროხის შემდეგ გვხვდება, ხოლო მოგროსი უნდა იყოს ნატანები და არა სუფსა³⁴. რადგან ისისი (კინტრიში) არის მდ. ნატანები. სუფსა უნდა იყოს პლინიუსის ბათისი, რომლის შემდეგ იწყება კოლხთა ტომები. საგულისხმოა, რომ პლინიუსი ჰენიოხებს, ისევე როგორც სხვები, კოლხთა ტომად არ მიიჩნევს, მაშინ, როცა მისი სიტყვით ჰენიოხები კოლხეთის ტერიტორიაზე ფიქსირდებიან.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს მდინარის სახელწოდება ბ ა თ ი ს ი (სუფსა). რამდენადაც ბერძნულში ასო შ არ არსებობდა და მის ნაცვლად ცხადია — ს — ს ხმარობდნენ, ამდენად ამ მდინარის ნამდვილი სახელი უნდა იყოს ბ ა თ ი შ ი, რაც ახლოს დგას სვანურ წარმოთქმასთან ბ ა ჩ ი შ - ქ ე ი ა ნ ი. ეს მით უფრო საყურადღებო ჩანს, რომ ბათიშთან (სუფსასთან) მდებარე ადგილს ჰქვია სვანური სახელი ლ ა ნ ჩ ხ უ თ („ლანჩხუთ“) — საკენჭე³⁵. ნიშანდობლივია, რომ მკვლევრები ბ ა თ უ მ ი ს სახელსაც სვანურ სიტყვა „ბაჩ“-ს (ქვა) უკავშირებენ³⁶.

³² იქვე.

³³ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, პიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 22.

³⁴ შდრ. იქვე, გვ. 22.

³⁵ ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 146.

³⁶ მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, კვლავ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, უერ. „ჭოროხი“, № 2. 1983, გვ. 84—87.

მდ. ჰერაკლიუმი უნდა იყოს სუფსასა და რიონს შორის მდებარე მდინარე ფიჩორი, რომელიც პალიასტომის ტბას ასაზრდოებს და იქვე ერთვის შავ ზღვას. იქ მართლაც არის პატარა კონცხი, რომელიც ორი ათასი წლის წინათ ალბათ უფრო თვალსაჩინო იყო.

საინტერესოა, რომ პლინიუსის მეორე ცნობის მიხედვით ჰენიოხები დღევანდელი სოხუმის დასავლეთით მოსახლეობენ. მისი ცნობით ფაზისს უერთდება სხვა მრავალი სიდიდის მდინარე, მათ შორის გლავკოსი. მის შესართავში უსახელო კუნძულებია აბსაროსიდან 70 000 ნაბიჯზე. მერე სხვა მდინარეა — ქარიენტი, სალტიების ტომი, ძველები რომ ფთიროფაგებს ეძახდნენ და სხვა სანები. მდინარე ხობისი კავკასიონიდან სვანებზე ჩამოდის. შემდეგ როანია, ეგრიტიკის მხარეს, მდინარეები სიგანია, თერხოსი, ასტელფოსი, ქრისოროსი, აბსილების ტომი, ციხე-სიმაგრე სებასტოპოლისი 100000 ნაბიჯზე ფაზისიდან, სანიკების ტომი, ქალაქი კიგნოსი, მდინარე და ქალაქი პენიუსი; მერე ჰენიოხების სახელმრავალი ტომები³⁷.

მართალია, პლინიუსი გეოგრაფიული ობიექტების განსაზღვრისას უშვებს მთელ რიგ უზუსტობასა და შეუსაბამობას, მაგრამ ეს ცნობები მაინც მნიშვნელოვან პირველწყაროდ უნდა ჩაითვალოს. ჩანს, რომ პლინიუსი მრავალ სხვადასხვა წყაროთი სარგებლობდა.

გავაანალიზოთ პლინიუსის ზემოთ მოტანილი ცნობები. ქარიენტი (ხარიენტი) არის მდ. ხობი, ხოლო ხობზე მოსახლე სალტიები, იგივე ფთიროფაგები, სვანთა ერთ-ერთი ტომი უნდა იყოს. სხვა ავტორებთან ფთიროფაგები ყოველთვის სვანებთან ერთად იხსენიებიან. ფთიროფაგი ამ ტომის ბერძნული სახელწოდებაა და ქართულად გირჩის მკამელს ნიშნავს (სვ. „გუგულია გიმბაშ“), რომელსაც შეუმწვარს ან შემწვარ მზესუმზირასავით მიირთმევდნენ. საყურადღებოა მეორე გარემოებაც, კერძოდ, პლინიუსი ერთ ადგილას წერს: სალტიები (ფთიროფაგები) და სხვა სანებიო. ე. ი. გამოდის, რომ სალტიები და მთელი რიგი სხვა ტომების საერთო სახელი სანებიო იყო. ამ შემთხვევაში სანებ ქვეშ სვანური ტომებიც უნდა ვიგულისხმოთ. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ სალტიების განსახლების ტერიტორიაზე (ხობის რაიონი) დღემდე

³⁷ ტაციტუსის ცნობები... გვ. 32.

გვხვდება სვანური წარმოშობის ტოპონიმები (შღრ. „ხობისი სვანეთზე მიედინებაო“, — პლინიუსი);

საგულისხმოა, რომ პლინიუსი ერთგან სანიკებს სებასტოპოლის (სოხუმი) დასავლეთით ასახელებს. ნუთუ სანები და სანიკები ერთი და იგივე ტომი არ უნდა იყოს? ზოგიერთი ავტორის ცნობებით სანიკები ცხოვრობენ ჰენიოხთა განსახლების ტერიტორიაზე. სანიკები იგივე სანაგებია. პლინიუსი ერთგან სანიკების ტომის შემდეგ ასახელებს ქალაქ კიგნოსს, მდინარეს და ქალაქ პენიუსს; მერე ცხოვრობენო „ჰენიოხების სახელმრავალი ტომები“.

ეს საინტერესო ცნობაა. ჯერ ერთი, პლინიუსი, პენიოხებში ხედავს სახელმრავალ ტომებს, ე. ი. „ჰენიოხი“ კრებითი სახელია მსგავსად ტერმინისა „კოლხი“. ისევე, როგორც კოლხებ ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ სხვადასხვა ეთნიკური მოდგმის ხალხი, ასევე უნდა გვესმოდეს პენიოხებიც. მაგრამ შესაძლოა კოლხებ ქვეშ თავდაპირველად იგულისხმებოდნენ მხოლოდ ზანური მოდგმის ტომები, ხოლო როდესაც ეს კოლხები დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო გაერთიანებას ჩაუდგნენ სათავეში და პოლიტიკური ჰეგემონობა დაამყარეს არაზანურ ეთნიკურ სამყაროზეც ამ რეგიონში, მაშინ ცნება „კოლხები“ გასცდა მის ეთნიკურ საზღვრებს და იგი საერთო სახელად იქცა მთელ დასავლეთ საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიამდე — თებერდის ხეობისა და ყუბანის სათავეების ჩათვლით. ცხადია, ამ დროს კოლხებქვეშ სხვადასხვა ეთნიკური ერთეულებიც იგულისხმებიან. კოლხების ძლიერების დაქვეითების შემდეგ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ანტიკური ხანის ავტორთა ნაშრომებში სხვადასხვა სახელის მატარებელი ტომები ფიგურირებენ, თუმცა ზოგიერთი ამ ტომთაგანი მექანიკურად ისევ ატარებს სახელს „კოლხი“ (შღრ. პტოლემეაიოსის „სუანო-კოლხები“).

იგივე შეიძლება ითქვას პენიოხებზე, რომელთა სახელი, ისევე, როგორც ერთ დროს ალანთა სახელი ჩრდილოეთ კავკასიაში, გაბატონებული იყო მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ. წ. II ს-დე. მართალია პენიოხებს კოლხებივით სახელმწიფო გაერთიანება არ შეუქმნიათ, მაგრამ პოლიტიკური ჰეგემონობა მთელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხთა სამეფოს შექმნამდე მათ ხელში უნდა ყოფილიყო. ამ დროს პენიოხებ ქვეშ შესაძლოა სხვადა-

სხვა ეთნიკური ერთეულებიც იგულისხმებიან, მაგრამ მათში რიცხობრივი უპირატესობა ერთ რომელიმე ეთნიკურ წრეს უნდა კუთვნებოდა. კოლხთა სამეფოს შექმნა, ჩვენი აზრით, ჰენიოხთა ტომობრივი გაერთიანების დასუსტებასა და დაშლას იწვევს. ეს მიზეზი საფუძვლად ედება ჰენიოხთა გაერთიანებიდან ზოგიერთი ტომის გამოყოფასა და ცალკე სახელწოდებით მოხსენიებას, რაც ანტიკური ხანის ავტორების ცნობებითაც დასტურდება. მაინც ახ. წ. მეორე საუკუნემდე ტერმინი „ჰენიოხი“ გარკვეულ ტერიტორიაზე, კერძოდ, სამხ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდ.-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თავს ინარჩუნებს; თუმცა ძალიან სუსტად. ამის მაუწყებელი ის არის რომ ამ დროს ჰენიოხების განსახლების ტერიტორიაზე (მაგ. გაგრასა და სოჰას შორის) ხან ჰენიოხებს უწოდებენ ამ რეგიონში მცხოვრებ ყველა ტომებს, ხანაც ისინი საკუთარი სახელებით იხსენიებიან (სანიგები, ჭიქები — ზიქები, აქაელები, კერკეტები...).

ამ დროს ისეთი შთბეჭდილება იქმნება, რომ თუ „სანიგი“ „ჰენიოხ“ ტერმინის შემცველია, მაშინ ჭიქები, აქაელები და კერკეტები ჰენიოხებქვეშ არ უნდა იგულისხმებოდნენ. მაშასადამე, ჰენიოხებში ისინი მექანიკურად არიან ნაგულისხმევი.

როგორც ჩანს, მდ. ჭოროხის მიდამოებიდან ან სოჰამდე მოსახლე ჰენიოხები კოლხეთის სამეფოს შექმნის (ძვ. წ. VI—II სს.) შედეგად შუაზე გაიხლიჩნენ, შიდა კოლხეთის, ანუ ცენტრალური აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჰენიოხები ამ სამეფოს შემადგენელი ნაწილი გახდნენ, ნაწილმა ჰენიოხებისა წაიწიეს ჩრდილოეთის მიმართულებით (დღევანდელი დას. იმერეთის, რაჭის, ლეჩხუმის, სვანეთისა და კოდორის სათავეებისაკენ). ჩრდილოეთ ჰენიოხეთში უნდა შესულიყო მდ. კოდორის ხეობიდან აფხაზეთ-სამეგრელოს მთის ზოლი მთლიანად, რომელიც დღემდე ატარებს სვანურ სახელს — ლ ა კ ა დ ა (სანაჯახე).

ამგვარად, ჰენიოხთა ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით წაწევა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხური ტომების შემოჭრასა და მათ მიერ ერთიანი სამეფოს შექმნას უნდა გამოეწვია.

მართალია, პლინიუსი გეოგრაფიული ობიექტების განსაზღვრისას ყოველთვის ზუსტი არ შეიძლება იყოს, მაგრამ ეს მასზე ყო-

ველთუ-ს არ ითქმის. იგი გარკვეულ სიზუსტეს იცავს მდინარეების ასეთი თანამიმდევრობით ჩამოთვლის დროს: როანა (როონი), სიგანია (ენგური), თერხოსი (ოქუმი), ასტელფოსი (ლალიძგა), ქრისოროსი (კოდორი), რომლის შემდეგ ასახელებს აბსილების ტომს. აბსილები მართლაც ცხოვრობდნენ მდ. კოდორის ქვედა წელზე.

პლინიუსი ეხება ლეგენდას დიოსკურიის დაარსების შესახებ კასტორისა და პოლუქსის მეეტლეთა მიერ და დაასკენის: თითქმის დადასტურებულად უნდა ითქვას, რომ მათგან არის წარმოშობილი ჰენიოხთა ტომი (VI, 16). ამ საკითხში პრობერძნული ორიენტაცია ძველი ბერძენი ავტორების სუბიექტურ ინტერესებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ჰენიოხ-იგანიეზ ტერმინები წყაროებში ამ ხალხის ბერძენთა ცნობამდე იყო ცნობილი, თუმცა ამის შესახებ ქვემოთ.

პლინიუსი დიოსკურიის შემდეგ 70.000 ნაბიჯზე ასახელებს ქალაქ ჰერაკლეონს. ეს ჰერაკლეონი ჩრდილოეთის მხარეს იგულისხმება და არ უდგება ზემოთ ფაზისის სიახლოვეს მოხსენებულ ჰერაკლეონის სახელის მქონე მდინარესა და კონცხის ლოკალიზაციას (VI, 12). ამ მიდამოებში მცხოვრებლებად პლინიუსი თვლის აქაელებს, მარდებს, კერკეტებს, მათ იქით სერებს და კეფლოტომებს. კომენტატორების სიტყვით „კეფალო“ ნიშნავს „თავით კვეთიებს“, „თავების მომკრელებს“, მაგრამ რომელ ხალხს უწოდებს ასე პლინიუსი, არაა დადგენილი³⁸. სერების სახელს ივ. ჯავახიშვილი სარმატების სახელს უკავშირებს და დაახლოებით სოჭა-გაგრისა და ბიჭვინთის შუამდებარე მიწა-წყლის მფლობელებად თვლის³⁹.

ჩვენი აზრითაც, დიოსკურიიდან ზღვით აღნიშნული მანძილი დაახლოებით 100 კმ-ს უდრის, რადგან 70-ათასი ნაბიჯი ეს არის 70 რომაული მილი. ე. ი. პლინიუსის ჰერაკლეონი საძებარია, სადღაც ადღერის სექტორში.

პლინიუსი ერთგან ასეთ ცნობას აძლევს: „მათ შემდეგ, — ე. ი. ვალებისა და სუავების შემდეგ, — თვით პონტომდე ჯერ ჰენიოხთა მრავალი ტომია, მერე კი აქაელთაო“⁴⁰. აქ საინტერესო კვლავ ის

³⁸ იქვე, გვ. 34.

³⁹ იქვე, გვ. 35; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

⁴⁰ ტაციტუსის ცნობები... გვ. 37.

არის, რომ ჰენიოსებქვეშ პლინიუსი გულისხმობს მრავალ ტომს, ამათანავე, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სუავეების ქვეშ მკვლევრები სვანებს გულისხმობენ⁴¹. „ვალები“ შესაძლოა დვალები იყონ. პლინიუსის ცნობის მიხედვით სუავეები მოსახლეობენ დაახლოებით დღევანდელ ბალყარეთის ტერიტორიაზე, სადაც ანტიკური ხანიდან სვანთა განსახლებაა დადასტურებული⁴². ამდენად, დვალებისა და სვანების ურთიერთმეზობლობა დასაშვებია.

მარკუს ანეუს ლუკანუსი (39—65 წლები ახ. წ.), ცნობილი რომაელი პოეტი, რომლის ბიძაც იყო ფილოსოფოსი სენეკა. მისი ნაწარმოებია 10 წიგნიანი პოემა „ფარსალი“, ანუ „სამოქალაქო ომი“, რომელშიაც აღწერილია იულიუს კეისრისა და პომპეუსის ბრძოლა.

ერთი ნაწილი ამ პოემისა წმინდა ისტორიული ხასიათისაა და იგი. პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის ამბავს ეხება. პოეტი მეორე წიგნში პომპეუსს ალაპარაკებს თავისი ძღვევამოსილი ომების შესახებ მითრიდატე ევპატორის წინააღმდეგ და აღნიშნავს: ქვეყნის ყველა მხარეს მივწვდი, ჩრდილოეთით თვით ფაზისის ცივ ტალღებამდეც მივედი (II, 585), და მერე: მე გამიცნეს შეუპოვარმა ჰენიოსებმა და საწმისის გატაცებით ცნობილმა კოლხებმამო (III, 591-2). ავტორის ცნობით, პომპეუსი გაუცნიათ შეუპოვარ ჰენიოსებს. უნდა ვიფიქროთ, რომ პომპეუსს ჰენიოსებთან ბრძოლა ჰქონია, რომელიც ვერ მოიგო, რითაც მისი ლაშქრობა კავკასიაში დამთავრდა. სხვანაირად ჰენიოსების პომპეუსისეული დახასიათება წარმოუდგენელია, რადგან ჰენიოსები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პომპეუსის მოწინააღმდეგე მითრიდატეს ხელშემწყობნი ჩანან. ამის დადასტურებაა აპიანეს (ახ. წ. II ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ სხვა ხალხებთან და ტომებთან მითრიდატეს მოკავშირეების რიცხვში იყვნენ ჰენიოსებიც: „მოკავშირეები მას შეუერთდნენ, წინანდელი ჯარის გარდა, ხალიბები, არმენიელები, სკვითები, ტავრები, აქეე-

⁴¹ ტაციტუსის ცნობები. გვ. 27.

⁴² თ. მიზიჩუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986.

ლებზე; ჰენიოხები, ლევკოსირებნი და ისინი რომლებიც ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებულ ამადონების მიწაზე, მდინარე თერმოდონტის მახლობლად“⁴³.

ყირამისაკენ მითრიდატემ ხმელეთით იარა, რადგან ზღვა რომაელების მიერ იყო ჩაკეტილი, ამ გზაზე შემხვედრი ტომები მან ზოგი შიშით, ზოგიც ნებით შემოიერთა, როგორც აპიანე გვაცნობებს, მათთან კავშირის მიზნით მითრიდატემ თავისი ქალები ცოლად მიათხოვა მათგან ყველაზე ძლიერებს. აპიანე იქვე წერს, რომ „ლტოლვილი და უბედურებაში მყოფიც კი, იგი თავის მიმართ პატივისცემასა და შიშს იწვევდა. მან ახლოს ჩაუარა ჰენიოხებს, რომლებმაც იგი მეგობრულად მიიღეს, ხოლო აქეელები აიძულა გაქცეულიყვნენ და სდია მათ...“⁴⁴ ცხადია, რომ სოქსა და სოხუმს შორის მოსახლე ჰენიოხები მითრიდატეს მიმართ კეთილგანწყობილებას იჩენდნენ, ხოლო მოწინააღმდეგე აქეელები, როგორც ჩანს ძალით დაუმორჩილებია. ეს კვლავ იმის დადასტურებაა, რომ ბოფორის საქმეფოსაკენ რომაელ სარდალს, პომპეუსს, გზა ჰენიოხებმა გადაუკეტეს.

კორნელი ტაციტუსი (ახ. წ. 50—117 წწ.) ანტიკური სამყაროს ისტორიოგრაფიის უდიდეს წარმომადგენელს თავისი ანალების II წიგნში ასეთი ცნობა მოაქვს ჰენიოხებთან დაკავშირებით: „ამ დროს ვონოხმა, რომლის წაყვანის ამბავი კილიკიაში უკვე მოვიხსენიე, მოისყიდა მცველები და სცადა გაქცეულიყო არმენიაში, მერე ალბანებთან, ჰენიოხებთან და თავის ნათესავ სკვიორის მეფესთან“⁴⁵.

როგორც ვხედავთ, ტაციტუსი იხსენიებს ამიერკავკასიის ისეთ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულებს, როგორიც იყო სომხეთი (არმენია); აზერბაიჯანი (ალბანია) და ჰენიოხეთი, რომლის ქვეშ ჩვენი აზრით იგულისხმება დასავლეთი საქართველო.

ფლავიუს არიანეს (დაახ. 95—175 წწ.) თხზულება „პერიპლუსი“ სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესწავ-

⁴³ აპიანე, მითრიდატეს ომები, 69; ВДИ, 1948, № 3, გვ. 284; გ. გოზალაშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965, გვ. 338—339.

⁴⁴ აპიანე, მითრიდატეს ომები, გვ. 102; გ. გოზალაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 374—375.

⁴⁵ ტაციტუსის ცნობები..., გვ. 51.

ლაპარაკის ერთ-ერთი პირველწყაროთაგანია, მითუმეტეს, რომ ტრაპაზონიდან დიოსკურიამდე მთელი ეს სანაპირო ხაზი თავისი ფეხით განვლო. არიანეს ცნობით ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე) მოსახლეობენ კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები (მთიანეთში), სანიგები, ძილქები⁴⁶. საყურადღებოა, რომ არაანე არსად არ იხსენებს სვანებს და ეს ჩვენი აზრით იმიტომ. რომ ისინი მის მიერ დასახელებულ ტომებში იკლავისხმებიან. მაგრამ კონკრეტულად აღნიშნულ ტომთა რამელ სახელქვეშ შეიძლება გვეგულისხმა სვანები? ზართალია არიანე უშუალოდ გვაუწყებს იმის შესახებ, რომ ტრაპეზუნტსა და მდ. ჰოროხს შორის მოსახლეობენ ჰენიოხები, მაგრამ როცა ის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს ჩამოთვლის, მაშინ ცხადი ხდება, რომ ჰენიოხები მას ეგულება, სადღაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მახლობლად. რადგან ის სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ასეთი თანმიმდევრობით ჩამოთვლის მათ: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ძილქები.

თუ ეს ასე არ არის, გამოდის, რომ არიანეს, რომელმაც მანძილი ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე თავისი ფეხით გაიარა, არსად უნახავს სვანური ტომები, მაშინ როცა დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე ამ ტერიტორიაზე ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ხალხად წარმოგვიდგება (იხ. სტრაბონის ცნობები სვანებზე). მისი ცნობით ჰენიოხებს და მაკრონებს ერთი მეფე ჰყავთ, სახელად ანქიალე. მეფის სასახლე მდ. პრიტანიდთან ყოფილა მოთავსებული. ეს მდინარე არის სამხრეთ შავიზღვისპირეთში, ტრაპეზუნტის აღმოსავლეთ მხარეში. არიანეს მიხედვით ამ მიდამოებში ფიქსირდებიან მაკრონები, ჰენიოხები, სამხრეთით მათ ემეზობლებიან სანები, ჩრდილოეთიდან ძიდრიტები, დასავლეთიდან კოლხები (იხ. არიანეს რუკა)⁴⁷. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით არიანეს ამ ცნობასთან დაკავშირებით წერს: „თუ მდინარე პრიტანეს მდებარეობა ათენიდან დაშორებულობის მანძილის მიხედვით ვი-

⁴⁶ ფლავიუს არიანეს მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (თარგმანი, გამოკლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭელაძისა), თბ., 1961, გვ. 11.

⁴⁷ იქვე, იხ. რუკა.

ვარაუდეთ, მაშინ მაკრონების და ჰენიოხების მეფის, ანქიალეს სასახლე დაახლოებით ახლანდელი ვიწეს მახლობლად უნდა ვიგულისხმოთ. თუ ეს მცდარი არაა, მაშინ მდ. ოფითგან მოყოლებული ჰანების მიწა-წყალი ყოფილა, ხოლო ვიწეს ჩრდილო აღმოსავლეთით მაკრონების და ჰენიოხების თემი ყოფილა... ანონიმიდან ირკვევა, რომ მაკრონების და ჰენიოხების მიწა-წყალი მდინარე ოფის და არქაბეს წყლის ხეობათა შორის ყოფილა მოქცეული და დასავლეთ საზღვრად ოფის ხეობა, ხოლო აღმ. საზღვრებად აქაბეს ხეობა უნდა მივიჩნიოთ“⁴⁸.

არიანე თავისი თხზულების მეთვრამეტე თავში ავბობს: „მაკრონებისა და ჰენიოხების გვერდით ძიდრიტებია, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომები არიან“⁴⁹. ნ. კეპელმაძის აზრით აქ ლაპარაკია იბერიის მეფე ფარსმან მეორეზე, რომელიც მეორე საუკუნის მოღვაწეა. ამ დროისათვის იბერია მართლაც ძლიერების ხანაში შედის, ხოლო მესამე საკუნისათვის აყვავებას განიცდის⁵⁰.

მ. ინაძე ჰენიოხების განსახლებასთან დაკავშირებით ავბობს, რომ ფაზისის გაყოლებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები, შემდეგ კი მილეტელები. ჰენიოხები IX—VI-II საუკუნეებში გავრცელებული არიან შავი ზღვის აღმ. სანაპიროს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში. V—IV საუკუნეებში ისინი მოსახლეობდნენ კავკასიონის ქედის უკიდურეს ჩრდილო კალთებთან მდებარე ზღვის სანაპირო ზოლში ბიჭვინთამდე სოჭისა და ადლერის რაიონებში⁵¹.

როგორც აღვნიშნეთ, არიანეს ცნობები მით უფრო ყურადსაღებია, რომ მან იმპერატორ ადრიანეს დავალებით პირადად იმოგზაურა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში 131 წლის ახლო ხანებში. საგულისხმოა, რომ არიანე ჰენიოხებს ათავსებს სადღაც მდ. ჭოროხის რაიონში. შემდეგ ჩამოთვლის ძიდრიტებს, ლაზებს, აფსილებს, აბასკებს, სანიგებს. სანიგების მიწაზე არისო სებასტოპოლისი (დღ. სოხუმი), რაც იმაზე მიგვანიშნებს,

⁴⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბ., 1950, გვ. 264--265.

⁴⁹ არიანეს მოგზაურობა... გვ. 22.

⁵⁰ იქვე, გვ. 22.

⁵¹ მ. ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 16.

რომ ადრე ამ ტერიტორიაზე მოსახლე ჰენიოხების მაგივრად არიანე ასახელებს ჰენიოხთა საერთო სახელწოდების ქვეშ შემავალ ერთ-ერთი ტომის თუ ტომთა გაერთიანების სახელს—სანიგებს. ამის დასტურის იცი არის, რომ არიანე სოქსა და სოხუმს შორის ჰენიოხებს კი არ ასახელებს, არამედ სანიგებს. მისი წინამორბედი ავტორები სანიგების ნაცვლად ამ ტერიტორიაზე ჰენიოხებს იხსენიებენ. ე. ი. ადრე სანიგები ჰენიოხთა გაერთიანების ქვეშ იგულისხმებოდნენ. მაშასადამე, სანიგებიც სახელმრავალ ტომად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა გამორიცხული არაა დროის გარკვეულ ეტაპზე მათი ასიმილაცია ერთ რომელიმე ეთნიკურ წრეში.

ეს სანიგები იგივე სანიკებია, რომელთაც აღნიშნულ ტერიტორიაზე იხსენიებს პლინიუსი (24—79 წწ.). სოქსა და სოხუმს შორის იხსენიებიან სხვა ტომებიც, რომლებიც ჰენიოხებქვეშ იგულისხმებოდნენ, შემდეგ ხშირად სანიგებქვეშ ან ცალკე არიან დასახელებულნი. ჰენიოხთა ერთი ჯგუფი, თუ გაერთიანება, პლინიუსისა და არიანეს ცნობებით ტრაპეზუნტსა და მდ. ჭოროხს შორის ფიქსირდება.

აკად. გ. მელიქიშვილის სიტყვით „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო“, სადღაც დღევანდელ რიზესა და ათინას რაიონში იყუფებოდა⁵². არიანე ტრაპეზუნტის მეზობლად იხსენიებს სანებს, ე. ი. ჭანებს — მთებში მცხოვრებ თავისუფალ მთიელ მოსახლეობას და მათ შემდეგ „მახელონების (მაკრონების) ჰენიოხების“ სამთავროს.

არიანეს ქსენოფონტეს დრილები (უგულადესი ტომი) სანებად მიაჩნია, რომელთა გვერდითაც, მისივე ცნობით, ცხოვრობენ მაკრონები და ჰენიოხები, რომელთა მეფეა ანხიალე. ჰენიოხები არიანეს ცნობით მართლაც ცხოვრობენ რიზესა და ათინას რაიონში. ამას ადასტურებს მისი ასეთი ცნობაც: „ათენიდან წამოსულებმა გავიარეთ მდინარე პრიტანიდი, რომელთანაც გაშენებულია ანქიალეს სასახლე და ეს მდინარე დაშორებულია ათენიდან

⁵² გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ. წ. პირველ საუკუნეში, ლაზთა სამეფოს წარმოქმნა და განმტკიცება, სინ, I, გვ. 545; მისივე. К истории древней Грузии, с. 370, 387, 392.

40 სტადიონით“. ამ მდინარიდან ჰოროხის შესართავამდე არიანე 255 სტადიონს ითვლის⁵³. აკად გ. მელიქიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ეს სამთავრო ჰანური ვაერთიანება უნდა ყოფილიყო. „მხალხონები — მაკრონებია, ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრები ჰანური მოსახლეობა, ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ ი კ ი მთიელი ჰანები ჩანან, რომელნიც ეტყობა, ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე ბარში ჩამოვიდნენ და სათავეში მოექცნენ ამ გაერთიანებას. გ. მელიქიშვილი იმოწმებს პლინიუსსაც, რომელიც აღნიშნავს, რომ მდ. პიქსიტს იქით (რომელსაც არიანე ასახელებს „მასელონებისა და ჰენიოხების სამეფოს“ მიწა-წყალზე) ცხოვრობენ ს ა ნ ი ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ ი⁵⁴. მთიელ მოსახლეობათა შორის, რომლებიც I—II სს. ბარში შეიძლება ჩამოსახლებულიყვნენ, გ. მელიქიშვილი, აფშილებთან, აბაზგებთან, ზოგიერთ სვანურ ტომსაც ვარაუდობს⁵⁵.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული „მასელონებისა და ჰენიოხების სამეფოს“ მოკავშირენი იყვნენ მეომარი მთიელი ჰანები, რომლებიც ტრაპეზუნტელებს ავიწროებდნენ და რომაელებს აღთქმულ ხარკს არ უხდიდნენ.

სავულისხმობა, რომ ერთ-ერთ სვანურ სიმღერაში „გივერგილა“, ლაპარაკია სვან მონადირე გივერგილაზე, რომელსაც კარავი ჰანიეთის შუაგულში უდგია⁵⁶.

საყურადღებოა, რომ „ჰან“ სვანურად ერთგვარ ლითონსაც ჰქვია. ჩვენი აზრით, სვანურში ცნობილი ლითონების სახელებიდან ტომთა სახელების წარმოშობა ამ ხალხებში მეტალურგიის განვითარებულობაზე მეტყველებს. ცხადია, უპირველესი მეტალურგები უფრო მთიან ადგილებში ცხოვრობდნენ. მეტალურგიის განვითარების უმთავრეს რეგიონს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ სვანეთისა და რაჭის ტერიტორია, ცენტრებით — ჭუბერი და წედისი⁵⁷. მთიი ოქროს საწმისის შესახებ სწორედ ამ მხარეში ლითონის წარმოება-დამუშავე-

⁵³ ე. არიანეს მოგზაურობა..., გვ. 36—37; ს ი ნ, I, გვ. 547.

⁵⁴ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 547.

⁵⁵ იქვე, გვ. 556.

⁵⁶ სვანური პოეზია, თბ., 1939, გვ. 184.

⁵⁷ იხ. უ. ჩართოლანი, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1973; პასიე, სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1977.

ბის ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ბარადან მთიან მხარეში მოსახლეობის გადანაცვლებაც ძირითადად ლითონის მოპოვებასა და მეტალურგიის განვითარებასთან უნდა იყოს განპირობებული. ამ მხრივ საყურადღებოა ისიც, რომ რაჭაში რომელიღაც ლითონის სახელწოდებად იხმარებოდა ტერმინი შან⁵⁸.

აკად. ა. შანიძე ტოპონიმ რაჭა-ს ხსნის სვანური სიტყვიდან: „რაჭა“, ე. ი. რატისეული, რატის სამფლობელო⁵⁹.

ტოპონიმი რაჭა შეიძლება აიხსნას სხვანაირადაც. თუ კი ამბროლაურის რაიონი ოდესმე დასახლებული იყო ჭანებით, ხოლო მის მეზობლად ონის დღევანდელი რაიონი სვანურენოვანი ხალხით, მაშინ იმ სვანებს ჭანების დასახლებისათვის შეიძლებოდა ეწოდებინათ „ლაჭან“ ე. ი. საჭანო (შდრ. საზანო, სამეგრელო, საქართველო, სამცხე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საქართველო პრეფიქსის შემცველია სვანური ლა-). მხარის ასეთმა სახელწოდებამ ქართიზაციის შედეგად დროთა განმავლობაში მცირე ტრანსფორმაცია განიცადა და ლაჭან ტოპონიმი საბოლოოდ ქართულ მეტყველებაში დამკვიდრდა ფორმით რაჭა. აღნიშნული ტოპონიმის ასეთი სახეცვლილება ქართული ენისათვის დასაშვებ-ა. მითუმეტეს, რომ ლ და რ ნარნარა ბგერების ერთმანეთში მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა.

სვანები, რომ ოდესღაც ჭანიეთის ტერიტორიის მკვიდრნი იყვნენ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ზემო სვანეთის სოფ. აღინში ყოველი წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში აღინიშნება რელიგიური დღესასწაული „ლიჩანიშ“, რომლის ამოსავალი უნდა იყოს „ჭან“ ტერმინი. ე. ი. თავდაპირველად უნდა გეჰქონოდა „ლიჭანიშ“, რომელიც დროთა განმავლობაში გადაკეთდა ლიჩანი-იშ-ად; ლიჭანი-იშ//ლიჩანი-იშ ნიშნავს ჭანიობას, რაც სვანთა ჭანური წარმომავლობის მაუწყებლად გვენიშნება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც განვიხილავთ მხარის სახელწოდებას ლაზიკა. მეცნიერის სიტყვით ესეც სვანური წარმოშობისაა და მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფი-

⁵⁸ მ. ჩართოლანის საველე მასალებიდან.

⁵⁹ ა. შანიძე, ხალხური ეტიმოლოგია ლიტერატურაში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1979, № 4, გვ. 86—88.

ლიყო ლა-ზანი-კა⁶⁰. ე. ი. ზანურ ენობრივ სამყაროში შემორჩა სვანური პრეფიქსი ლა-, რაც გამონაკლისი შემთხვევა არ არის მეგრულ ტოპონიმიაში.

ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე არიანეს ცნობით მანძილი უდრის 2260 სტადიონს⁶¹.

ამგვარად, არიანეს ცნობები ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე, სადაც მან თვითონ გაიარა ეს მანძილი, სარწმუნოდ გვეჩვენება. დიოსკურიის შემდგომ მოსახლე ხალხებზე ის მოკლე და ზოგად ცნობებს იძლევა და ცხადია ეყრდნობა წინამორბედ ავტორთა ჩვენებებს.

აპიანე ალექსანდრიელი (დაახლ. 90—170), რომელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ტომით ბერძენი, ავტორი 24 წიგნად დაწერილი „რომის ისტორიისა“, რომლის XII წიგნი მითრიდატეს ომების ისტორიას ეხება და შეიცავს ცნობებს საქართველოს შესახებ. ამჯერად ჩვენ მივმართავთ მის მხოლოდ იმ ცნობებს, რომლებიც ჰენიოხებს შეეხება. აპიანე წერს: „ხოლო მითრიდატე, რამდენადაც მას რომაელები მრავალჯის ჰყავდა გამოცდილი, ფიქრობდა, რომ ეს ომი, ასე უსაბამო (დაწყებული) და სასწრაფოდ წარმოებული, განსაკუთრებით შეურიგებელი იქნებოდა; იგი დაფიქრებით მოეკიდა მთელ სამზადისს, რადგან (ჰიანჩდა), რომ ახლა გადაწყდებოდა ყველაფერი. ზაფხულის დარჩენილი (დრო) და მთელი ზამთარი ხე-ტყეს ამზადებდა, ხომალდებს აგებინებდა, იარაღს (იმარაგებდა) და ზღვის გაყოლებით 2000000 მელიმნი პური მოიმარაგა, უწინდელი ძალების გარდა მას მოკავშირეებად შეემატნენ: ხალიბები, არმენიელები, სკვითები, ტავრები, აქეელები, ჰენიოხები, ლეკოსირები და ისინი, რომელთაც: მდინარე თერმოდონტთან ეგრეთწოდებული ამძიონთა ქვეყანა უჭირავთ. ამდენი შეემატა მის პირვანდელ (ძალებს) აზიის მხარეებიდან, ხოლო როდესაც ის გადავიდა ევროპაში, მას (შემოჟეროდნენ) სავრომატთაგან სამეფო (ტომები), იაძიგები და კორალები.

⁶⁰ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, ტ. 1, გვ. 405.

⁶¹ ფლავიუს არიანეს მოგზაურობა..., გვ. 51.

თრაკიელთაგან ის ტომები, რომლებიც ცხოვრობენ ისტროსთან. როდოპესთან ან ჰაიმოსთან...“⁶².

აპიანე ჰენიოხებზე შემდეგ ასეთ ცნობას გვაწვდის: „მან (მითრიდატემ, — თ. მ.) გადაიარა მეომარი და მის მიმართ მტრულად განწყობილი სკვითური ტომები, ზოგან დარწმუნებით და ზოგან ძალით; მაინც ასე პატივცემული და საშიშარი იყო ის, ლტოლვილი და უბედურებაში მყოფი. ჰენიოხებმა ის (კარგად) მიიღეს. მათ (ქვეყანას) რომ ჩაუარა, ხოლო აქეელები კი გააქცია და მისდია“⁶³.

შემდეგ აპიანე გვაწვდის ცნობას პომპეუსის, როგორც გამარჯვებული სარდლის, რომში ტრიუმფით შესვლის შესახებ. ამ ტრიუმფში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ხალხები, მათ შორის ჰენიოხეთიდანაც: „იგი ჯერ 35 წლის კაცი, თავისი ბრწყინვალე სახელის გამო, როგორც მანამდე არავის (ღირსებია), ტრიუმფით შევიდა (ქალაქში). ტრიუმფი ორ დღეს გაგრძელდა. ამ (მსვლელობაში მონაწილეობდნენ) მრავალი ხალხები პონტოდან, არმენიიდან, კაპადოკიიდან, კილიკიიდან, მთელი სირიიდან, ალბანთაგან, ჰენიოხთაგან, აქეელთაგან, რომლებიც სკვითებში არიან, და აღმოსავლეთის იბერიიდან“⁶⁴.

დიონისოს პერიეგეტის (I—II სს.) გეოგრაფიული ხასიათის პოემაში „დასახლებული სამყაროს აღწერილობა“ დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ ჰენიოხები და ძიგები პელაზგური წარმომავლობის ტომები⁶⁵. ჰერიეგეტი ჰენიოხების განსახლებას ასე განსაზღვრავს: სავრომატები, სინდები, კიმერიელები, ევქსინის პონტოს მახლობლად მოსახლე კერკეტები, ტორეტები, აქეელები და შემდეგ „ცხოვრობენ მომიჯნავე მიწის მპყრობელი, პელასგური ქვეყნის ნაშიერი ჰენიოხები და ძიგები“⁶⁶.

⁶² აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცემა და შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა), თბ., 1959, გვ. 143—144.

⁶³ იქვე, ვ. 196.

⁶⁴ იქვე, გვ. 223—224.

⁶⁵ ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 82, 124.

⁶⁶ იქვე, გვ. 124—125.

ახ. წ. IV ს. რომაელი პოეტი ავენუსი წერს, რომ ჰენიოხები და ძველები პონტოს სანაპიროზე პელასგთა სამეფოდან მოვიდნენ⁶⁷.

ახ. წ. V ს. ანონიმი მწერლის ცნობები ძირითადად არიანეს ცნობების განმეორებას წარმოადგენს. იგი წერს, რომ „კოლსესუს ზემოთ მაქელონები და ჰენიოხები ცხოვრობენ. ამათი მეფე ანქიალეა“⁶⁸. ანონიმი იქვე წერს, რომ „ჰენიოხთა ტომი შერეულია“. შემდეგ არიანე იქვე განაგრძობს: „ჰენიოხების ზემოთ ეგრეთ წოდებული კასპიის ზღვაა, მას გარშემო ჰყავს შემოხვეული ბარბაროსთა ტომები, რომელნიც ცხენის ხორციით იკვებებიან. მის ახლოს მიდიელთა საზღვრებია“⁶⁹.

ამ შემთხვევაში ანონიმს, როგორც ჩანს, მსედველობაში ჰყავს ტრაპიზონის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით მოსახლე ჰენიოხები. აქ ბიჭვინთა-სოქას შორის მოსახლე ჰენიოხებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ანონიმი შემდეგ ასეთ ცნობას იძლევა: „მაქელონთა და ჰენიოხთა მეზობლად ძიდრიტები ცხოვრობენ, ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან“⁷⁰. ეს არიანეს ცნობის ბრმად გამეორებაა, რადგან ფარსმანის არიანეს დროს (ახ. წ. II ს.) ცხოვრობდა და არა ანონიმის დროს (ახ. წ. V ს.).

ანონიმი ბოლოს დაასკვნის: „ამრიგად, აქაიდან ძველ ლაზიკამდე და შემდეგ მდინარე აქეუნტამდე წინათ ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანქლიანები, მაქელონები, კოლხები, ახლა ძიქები ცხოვრობენ“⁷¹.

ე. ო. ანონიმი გარკვევით ამბობს, რომ აქაიდან ძველ ლაზიკამდე დასახლებული ტომები ცხოვრობდნენ წინათ და არა მის დროს. გასარკვევია მხოლოდ, თუ სად მდებარეობდა ძველი აქაია და ძველი ლაზიკა.

⁶⁷ ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 125.

⁶⁸ ფ. არიანეს მოგზაურობა..., გვ. 85—88.

⁶⁹ იქვე, გვ. 89.

⁷⁰ იქვე, გვ. 93.

⁷¹ ნ. ლომოური — კლავდიოს პტოლემეოსის, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 44.

იმის გარკვევის მიზნით თუ რომელ ეთნიკურ წრეს ეკუთვნიან. ჰენიოხები, ერთ-ერთ ამოსავალ პუნქტს მათი განსახლების ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელების სწორი ახსნა წარმოადგენს. (ჭოროხიდან გაგრამდე შავიზღვისპირა ზოლში დღემდე შემორჩენილია ათეულობით სვანური წარმოშობის ტოპონიმი, მაშინ, როცა ამ ტერიტორიაზე ანტიკური თუ ადრეული შუა საუკუნეებიდან სვანურენოვან ტომებს არასოდეს უცხოვრიათ. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოდესღაც ამ ტერიტორიაზე სვანურენოვან ხალხს უცხოვრია. ეს ხალხი სხვა არაეინ არ უნდა იყოს, თუ არა ჰენიოხები, როგორც ამას ანტიკური ხანის ავტორები გვიდასტურებენ.

საგულისხმოა, რომ არიან (ახ. წ. II ს.), რომელმაც დიოსკურიამდე იმოგზაურა, დიოსკურიის შემდეგ ჰენიოხებს არ ასახელებს. ყოვლად შეუძლებელია ისეთი ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების ასე უცბად გაქრობა, როგორც ჰენიოხები იყვნენ, მაკრამ ამ დროისათვის „ჰენიოხ“ ტერმინი განიცდის დასუსტებას და მის ნაცვლად ხმარებაში შემოდის ს ა ნ ი გ ი.

გაგრა-ბიჭვინთის სექტორში მეორე საუკუნეში პტოლემეაიოსი ასახელებს სუანო-კოლხებს⁷², რომლებიც ადრე ალბათ ჰენიოხების სახელქვეშ იგულისხმებოდნენ. ახ. წ. VII ს. „სომხური გეოგრაფიის“ ავტორი დასავლეთიდან ბიჭვინთამდე მოსახლე ხალხებს შორის ასახელებს სვანებსაც⁷³. ცხადია, რომ ესენი არიან ადრე ჰენიოხებად სახელდებული ხალხები. უფრო მეტიც, სვანებში დღემდე ფართოდაა გავრცელებული გადმოცემა იმის შესახებ, რომ, სადღაც სოჭის მახლობლად არისო დიდი ქვა. ამ ქვაზე, გადმოცემის მიხედვით, სვანურ ენაზე არისო წარწერა: „ამავ გუშგვეი ლი“ (აქამდე ჩვენაო). რასაკვირველია, რომ გადმოცემას რეალურ ფაქტად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზი უთუოდ რეალურ სინამდვილეში იღებს სათავეს.

დიოსკურიის დასავლეთით მოსახლე ჰენიოხებში რომელიღაც სვანური ტომიც უნდა იგულისხმებოდეს, ამიტომ სწორია გ. მე-

⁷² ნ. ლომოური, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44.

⁷³ К. П. Патканов. Из нового списка географии приписываемой Моисею Хоренскому, ЖМНП, март, 1883, с. 29.

ლიქიშვილის მოსახრება იმის შესახებ, რომ ჰენიოხებში ჩრდილოეთ კოლხეთში მოსახლე სვანური მოსახლეობაც უნდა მივიჩნიოთ⁷⁴.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჰენიოხთა პოლიტიკური გაერთიანება უნდა არსებულიყო აქ მიღებული მოსვლისა და კოლხეთის სამეფოს შექმნამდე (IV—III სს. ბერძენი მწერლის ჰერაკლიდეს მიხედვით), მაშინ უფრო თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჰენიოხებში იგულისხმებიან სვანური ტომები.

? მ. ინაძის აზრით ჰენიოხთა გაერთიანების ძლიერება უნდა იყოს ასახული მითში არგონავტების ეაში ლაშქრობის შესახებ⁷⁵. აქვე უნდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ძველად სვანეთში მიწის ღეთაებას ეწოდებოდა აია⁷⁶ (იხ. ქვემოთ). აქვე გავიხსენოთ ის, რომ გ. მელიქიშვილი ეყრდნობა რა ჰეროდოტეს ცნობებს, ამბობს, ფაზისსა და კავკასიის მთებს შორის არსებობდა რომელიღაც დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეული — სვან-ჰენიოხებისა. სწორედ ეს სვან-ჰენიოხები უნდა იყონ პროტოკოლხური კულტურის შემქმნელი ტომები — ეს კულტურა კი II—I ათასწლეულით არის დათარიღებული. ვ. ალენის აზრით „ჰენიოხ“ ტერმინი უნდა მომდინარეობდეს მხარის სახელწოდებისაგან აია, აია-ს ქვეყანა და ა. შ.

მითს ოქროს საწმისის შესახებ სტრაბონი ენგურის ხეობას უკავშირებს. სვანეთში ჩვენს მიერ ჩაწერილი გადმოცემა ოქროს საწმისის შესახებ, ამ ფაქტს კიდევ უფრო ნათელს და დამაჯერებელს ხდის.

მ. ინაძემ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ ძვ. წ. VII ს-ის დამდეგამდე ბერძენ მწერლებთან (პომპროსი, ჰესიოდე), რომელთაც

⁷⁴ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 86; მისივე: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 63 და შმდ..., მისივე, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ძვ. წ. II—I საუკუნეებში, სინ, I, გვ. 481, მისივე, Наименование города Фасиса и вопрос об этническом составе населения древней Колхиды, ВДИ, 1966, № 1, с. 86—87.

⁷⁵ მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

⁷⁶ თ. მიბჩუანი, პარაშის საიდუმლოება, გაზ. „ახალი სვანეთი“, 1979, № 59, 60, 10 და 22 მაისი.

დაცული აქვთ აღნიშნული მითის ფრაგმენტები: არსად სახელწოდება „კოლხი“, „კოლხიდა“ არ არის მოხსენიებული⁷⁷. ამ სახელწოდების მაგიერ ისინი ხმარობენ ტერმინს „აია“⁷⁸. მაშასადამე, აია ჰენიოხთა ღვთაება უნდა ყოფილიყო. კოლხეთში მდებარე აია ჰენიოხების აქ განსახლების დროინდელი უნდა იყოს. ამ ღვთაების სახელს ხედავენ სვანურ მეტყველებაში შემონახულ გამოთქმაში აია მიშლაღელ, რაც აიას კვირადღეს ნიშნავს⁷⁹. აია ძველად სვანეთში მიწის ღვთაებად ითვლებოდა⁸⁰. საგულისხმოა, რომ კოლხების ქვეყნის სახელი აია მიწათმოქმედების ღვთაების სახელწოდებადაა მიჩნეული⁸¹.

როგორც ცნობილია „კოლხი“ და „კოლხეთი“ პირველად გვხვდება ეგვიპტოსთან, რომელსაც VIII ს-ის მიწურულსა და VII ს-ის დასაწყისში უნდა ეცხოვრა⁸². სწორი გვეჩვენება მ. ინაძის აზრი იმის შესახებ, რომ სახელწოდება „კოლხი“ და „კოლხიდა“ მითში არგონავტების შესახებ შეტანილი უნდა იყოს მერმინდელ ხანებში, იმის გამო, რომ ახლა იმ ქვეყანას, სადაც არგონავტების ლაშქრობის მითში მოთხრობილი ამბავი გათამაშდა, ბერძნები უკვე კოლხეთის სახელწოდებით იცნობდნენ⁸³. მ. ინაძის აზრით ჰენიოხთა ვრცელ პოლიტიკურ გაერთიანებისათვის ბოლო კოლხთა სამეფოს უნდა მოელო⁸⁴.

2 ძვ. წ. VII ს. დასასრულსა და VI ს. დასაწყისში არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება კოლხების მატერიალურ კულტურაში არსებითი ცვლილებები, რომელიც გამოწვეულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მათი მიგრაციის პროცესის მიზეზით⁸⁵.

⁷⁷ მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

⁷⁸ Г. А. Меликишвили, Папри Урагту, с. 371.

⁷⁹ Г. Читая, Земледельческие системы и пахотные орудия в Грузии, Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952, с. 103.

⁸⁰ Г. А. Лордкипанидзе, Колхиды в VI—VII вв. до н. э., Тб., 1978, с. 120.

⁸¹ თ. შიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 85.

⁸² მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

⁸³ იქვე, გვ. 15.

⁸⁴ იქვე, გვ. 15.

⁸⁵ გ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

ძვ. წ. VI ს. დასაწყისიდან მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გაბატონდნენ კოლხები და თავიანთი პოლიტიკური გაერთიანების ქვეშ მოაქციეს აქ მოსახლე სხვა დანარჩენი ტომები. ამიტომ არის, რომ პეროდოტე (ძვ. V ს.) აქ მხოლოდ კოლხებს მოიხსენიებს. ამ დროისათვის ჰენიოხების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, შავი ზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და ნაწილიც ისტორიული კოლხეთის მთიან ზოლს გაჰყვა და საბოლოოდ იქ დაიდო ბინა.

ჰენიოხები ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ჩნდებიან მას შემდეგ, რაც კოლხეთის სამეფო შეიქმნა. პირველი ცნობა მათი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთში განსახლების შესახებ ეკუთვნის ძვ. წ. V ს. ეს არის ძვ. წ. V ს. ლოგოგრაფოსის ჰელანიკე მიტილენელის უწყება ჰენიოხების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ კერკეტების, კორაქსებისა და სხვათა გვერდით⁸⁶. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰენიოხები ამ ტერიტორიაზე ძვ. წ. V ს. უფრო ადრე არიან დასახლებული და ამას არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს⁸⁷. აღნიშნულ ტერიტორიაზე ჰენიოხების განსახლების შესახებ უფრო ზუსტი ცნობები გააჩნია ძვ. წ. IV ს. ავტორს ფსევდო სკილაქს კარიანდელს. ამ ცნობების მიხედვით ჰენიოხები მოსახლეობდნენ კოლხების, კოლუებისა და კორაქსების ჩრდილოეთით⁸⁸. კოლხების, კოლაებისა და კორაქსების ქვეშ მკვლევართა უმრავლესობა მეგრელთა წინაპრებს გულისხმობენ, ანუ ყველა მათ აერთიანებენ კოლხების ცნების ქვეშ. ჩვენი აზრით კი, კოლხებქვეშ იგულისხმებიან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვა ქართული ეთნიკური ერთეულებიც.

ფსევდო სკილაქს კარიანდელის ცნობებით⁸⁹ ჰენიოხები ცხოვ-

⁸⁶ მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

⁸⁷ თ. შიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 183, 184, 185, 190.

⁸⁸ ფსევდო სკილაქს კარიანდელი, ფრაგ. 76, 77 და 78.

⁸⁹ ეს უნდა იყოს არა VI—V სს. მოღვაწე ფსევდო სკილაქს კარიანდელი, რომელიც ლოგოგრაფოსთა უფროსი თაობის წარმომადგენელი იყო, არამედ ძვ. წ. IV საუკუნის რომელიღაც გეოგრაფოსი, ვისაც ჩვეულებრივ ფსევდო სკილაქსის სახელით მოიხსენიებენ (იხ. აკ. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 47—48).

რობდნენ, სადღაც სოკისა და ადღერის რაიონში ბიჭვინთამდე, რადგან ამ დროისათვის, სხვადასხვა ავტორთა ცნობებით, დიოსკურია კოლხეთის მიწაწყალზე მდებარეობს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ძვ. წ. V—IV საუკუნეებში კოლხეთის სამეფო უკვე ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს და მისი სამეფოს საზღვრებიც უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ე. ი. ამ დროს კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, სადღაც ბიჭვინთის სექტორამდე აღწევდა. ჰენიოხებიც ამ დროს ბიჭვინთის სექტორამდე ფაქსირდებიან: ძვ. წ. I და ახ. წ. I სს., როცა უკვე კოლხეთის სამეფო დაეცა; ჰენიოხები ზემოთ აღნიშნული ავტორების ცნობების მიხედვით განსახლებული არიან თვით დიოსკურიაშიც. ეს ფაქტი იმათ უნდა აიხსნას, რომ კოლხეთმა ამ დროისათვის თავისი უფლებები დაკარგა აღნიშნულ რაიონში (ბიჭვინთა-დიოსკურიას შორის) და იქ მოსახლე ტომები კვლავ ჰენიოხთა პოლიტიკური გაერთიანების ქვეშ მოექცნენ. დიოსკურიასა და ბიჭვინთას შორის მოსახლე ჰენიოხები, რომლებიც კოლხეთის სამეფოში შედიოდნენ სვანურ ტომთა გაერთიანება უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლხეთის საზღვარი ბიჭვინთამდე ვერც მიაღწევდა. ამ ფაქტის შესახებ მეტყველებს ახ. წ. II ს. მოლვაწის პტოლემეაიოსის ცნობა იმის შესახებ, რომ სწორედ ბიჭვინთასა და დიოსკურიას შორის ცხოვრობენ სუანო-კოლხები⁹⁰. ამაზე მეტყველებს ამ რაიონის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი სვანური წარმოშობის ტოპონიმები.

რაც შეეხება ბიჭვინთასა და ადღერს შორის მოსახლე ჰენიოხებს, მაშინ აფხაზურ-ადიღეური ტომები უნდა იგულისხმებოდნენ, თუმცა არ არის გამორიცხული შესაძლებლობა აქაც რომელიღაც სვანური ეთნიკური ჯგუფის არსებობისა, რადგან როგორც აღვნიშნეთ ახ. წ. VII ს. „სომხეთის გეოგრაფიაში“ დატული ცნობის მიხედვით ბულგარლებსა და პონტოს ზღვას შორის ცხოვრობენ შემდეგი ხალხები: გარშები, კუტები და სვანები ქ. პიტიუნდამ-

⁹⁰ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი... გვ. 44.

დე (დღევ. ბიჭვინთა). ე. ი. ამ შემთხვევაში რომელიღაც სვანური მოსახლეობა მოიხსენიება დღევ. ბიჭვინთის დასავლეთით, უფრო სწორად ბიჭვინთასა და ადღერს შორის.

ბ. ლომოური საერთოდ გამორიცხავს ჰენიოხების განსახლების შესაძლებლობას კოლხეთის ტერიტორიაზე⁹¹.

თ. ყაუხჩიშვილი ექვეს ქვეშ აყენებს ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებას. თითქოს ჰენიოხი, როგორც ტომობრივად, ისე ენობრივად იყოს ჰანი⁹². თ. ყაუხჩიშვილის აზრით ჰენიოხებში მართალია, რომელიღაც დასავლეთ ქართული ტომი იგულისხმება, მაგრამ კონკრეტულად თუ რომელი, ამისაგან მკვლევარი თავს იკავებს⁹³. თ. ყაუხჩიშვილი ამასთანავე დასძენს, რომ სამხრეთისა და ჩრდილოეთის ჰენიოხები ერთი ტომის წარმომადგენლები არიან. ჩრდილოეთიდან მათი მიგრაცია სამხრეთისაკენ I—II სს. უნდა მომხდარიყო⁹⁴.

ახ. წ. I ს. ბოლოსათვის ხმარებიდან ქრება ტერმინი ჰენიოხი და მის ნაცვლად ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა ტომთა სახელები გვხვდება.

სვან-ჰენიოხთა დიდი ნაწილი ცხადია კოლხეთის მეგრულმა ეთნიკურმა მასამ შეირწყა. მაგრამ ჰენიოხებმა აღმ. შავიზღვისპირეთში მიწის სამეტყველო ენაში დატოვეს ყველაზე უტყუარი კვალი სვანური ტოპონიმების სახით. აქვე შევნიშნავთ, რომ სანებსა და ჰანებქვეშ მხოლოდ ზანური ეთნიკურა წრის აღიარება ყოველთვის გამართლებას ვერ პოულობს.

საინტერესო არის თვით სახელწოდება ჰენიოხი. ჰენიოხების სახელწოდება ბერძენი ავტორების აზრით ბერძნულ ნიადაგზეა წარმოშობილი, რომ მათ ეს სახელი ჰქვიათ კასტორისა და პოლიდეკეს მეეტლეებისაგან. თითქოს და ისინი აქ მოვიდნენ ია-

⁹¹ Н. Ю. Ломоурн «О политики фаншцев» Гераклида, ВДИ, 1964, с. 173.

⁹² ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის, უფრ. „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1975, № 1, გვ. 119—120.

⁹³ თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკურ წყაროების მიხედვით, უფრ. „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1980, № 4, გვ. 74.

⁹⁴ იქვე, გვ. 75—76.

ზონთან ერთად ლაშქრობის დროს და ამ ადგილებში დასასლდნენ თავისიანებისაგან მიტოვების შემდეგ. ასე მოგვითხრობს მითი⁹⁵. იგივე ბერძენი ავტორები კასტორისა და პოლიდეკეს უკავშირებენ დიოსკურიის დაარსებას. იგივეს იმეორებს ხარაქს პერგამონელი (ახ. წ. II—III სს.). მისივე სიტყვით, ჰენიოხები და ძიგები ძალზე პირქუში ტომები, როგორც ისტორია ამბობს, პელასგთა ჩამომავალნი არიან. ხარაქსის გადმოცემით, არგონავტები ევქსინში 'მეტურდნენ რამდენიმე ხომალდით. ზოგიერთი მათგანი გზას ასცდა. ერთ-ერთ ხომალდზე იყვნენ ტინდარიდების ანუ დიოსკურების მეეტლენი (ჰენიოხები), რომელთაგანაც სახელი მიიღეს ჰენიოხთა ტომებმა და ტინდარიდებმაც⁹⁶. (ხარაქს პერგამონელი გეოგრაფიული პუნქტების მდებარეობის განსაზღვრაში დიდ უზუსტობას იჩენს. მას მეტეს ზღვა (აზოვის ზღვა) და ქ. დიოსკურია ერთ არეალში მდებარედ შიანია)⁹⁷. ზოგიერთმა მკვლევარმა ეს კიდევ გაიზიარა. უფრო მეტიც, რადგან კასტორი და პოლიდეკე ტყუპები იყვნენ, ალბათ ამის ასოციაცია არისო სოხუმიდან აღმოსავლეთით მდებარე ადგილის სახელწოდება ტყუბუნი, რასაც ქართულ „ტყუპს“ უკავშირებენ⁹⁸. არც ერთი და არც მეორე სწორი არ გვეჩვენება. ამ შემთხვევაში ისევ სვანურ ენას უნდა მივმართოთ. მკვლევრები ერთხმად აღიარებენ ცხუმ ტოპონიმის სვანურობას. სვანურია ლეჩქოფი (ვაობიანი), ლაკადა, მთის ზოლი მდ. კოდორის ხეობიდან აღმოსავლეთით, მერხელი (ვინჭრიანი) და სხვა მრავალი. სვანური სიტყვიდან ~~ტყუბულ~~ უნდა იყოს ნაწარმოები ტოპონიმი ტყუბუნი. „ტყუბულ“ სვანურად 'სოკოს' ჰქვია. ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ტყიბული (ზემო იმერეთში...ათეულობით სვანური ტოპონიმი გვხვდება).

ბერძენი ავტორებისათვის არ იყო გასაკვირი თავიანთ ახალშენებში მთელი რიგი ადგილებისა და ტომთა სახელების ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირება, ამას მათი პოლიტიკური მოტივი განაპირობებდა, მაგრამ დღეისათვის ასეთი ვერსიების უკრიტიკოდ მიღება არასწორი გვეჩვენება.

⁹⁵ არიანეს მოგზაურობა..., გვ. 75, 89 და სხვა ავტორები.

⁹⁶ ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 447—448.

⁹⁷ იქვე, გვ. 447.

⁹⁸ З. В. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 152 (იქვე იხ. ლიტერატურა);

ჰენიოხების სვანჯრობის უარყოფის მიზნით, ისტორიოგრაფიაში გაჩნდა ასეთი განცხადება: თუ ჰენიოხები სვანები იყვნენ, მაშინ რატომ არ ჩანს მათი განსახლების კვალი აფხაზეთის ტოპონიმიკაში? ⁹⁹

აფხაზეთის ტერიტორიაზე ათეულობით სვანური გეოგრაფიული სახელი გამოვლინდა. თუ ჰენიოხების ეთნიკური ვინაობის გარკვევის საკითხში საქმეს მხოლოდ ეს აფერხებდა, მაშინ იგი აშკარად გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ არაფერი ეთქვათ იმ მრავალმხრივ საყურადღებო წერილობით ცნობებზე, რომელიც ანტიკური ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სვანური ტომების განსახლების შესაძლებლობას გვიდასტურებენ.

„ჰენიოხ“ ტერმინი თუ კი მომდინარეობს იგ ა ნ ი ე ხ სახელისაგან, მაშინ მისი ბერძნული წარმომავლობა წარმოუდგენელია, რადგან იგანიეხი გვხვდება ურარტულ წყაროებში ძვ. წ. VIII ს-დან. შეუძლებელია იმ დროისათვის ურარტულში ეს ტერმინი ბერძნულიდან შესულიყო. ჰ ე ნ ო ხ ტერმინი გვხვდება ბიბლიის ტექსტშიც (იხ. ზემოთ).

ჩვენი აზრით, ჰ ე ნ ი ო ხ ტერმინი აღნიშნავდა ერთ-ერთ ქართველ ტომს, როგორც ურარტული ცნობების მიხედვით, ასევე ბიბლიის მიხედვით და შემდგომ ბერძნულ-ლათინური ცნობები ამავე სახელწოდებით იცნობენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლეთ ქართველურ ტომთა გაერთიანებას.

შესაძლოა „ჰენიოხ“ ტერმინი მომდინარეობდეს სვანური სიტყვისაგან „ჰ ე ლ“. აქედან ჰ ე ნ ი ო ხ (ჰელიოხ) ცეცხლის კულტის მატარებელ ხალხს უნდა ნიშნავდეს. რადგან „ჰელ“ სვანურად ნიშნავს ცეცხლის ძლიერ გამოწეშქს, ცეცხლის ელვარებას (იხ. „სა-ნიცები“). ჰენიოხების განსახლების ტერიტორიაზე შემდგომ ს ა ნ ი გ ე ბ ი გვევლინებიან.

2. ს ა ნ ი ვ ე ბ ი

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ხანის ეთნიკური რუკა იმდენად ჭრელია, რომ ძნელია ზუსტად განისაზღვროს ანტიკური

⁹⁹ შ. დ. И н а л - и п а, Абхазы, Сухуми, 1965, с. 79.

ხან-ს წყაროებში დასახელებულ ზოგიერთ ტომთა თუ ხალხთა ეთნიკური ვინაობის საკითხი. თუმცა აღნიშნულ რეგიონში ეთნონიმთა სიმრავლე შესაძლოა სულაც არ გულისხმობდეს ეთნიკურ მრავალგვარობას. ყოველ შემთხვევაში ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებისაღმ მიუყვართებელი, სწორი პოზიციიდან მიდგომა, ამასთანავე ადგილობრივი მასალის უცხოურთან შედარება და მისი სწორი ანალიზი პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

ერთ-ერთ ასეთ რთულ პრობლემას წარმოადგენს სანიგების ეთნიკური ვინაობის საკითხი.

სანიგების ეთნიკური ვინაობის გარკვევის საკითხში სამი ძირითადი მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ სვანებად მიიჩნევს (ი. ორბელი, დ. გულია, გ. მელიქიშვილი). გ. მელიქიშვილი პენიონებში სვანებს გულისხმობს, სანიგ ტერმინი კი ჰენიონ ეთნონიმიდან მომდინარედ მიაჩნია; მეორე მოსაზრებით სანიგები ზანებია (ნ. მარი, ს. ჯანაშია და სხვ.), მესამე კონცეფციით სანიგები საქები უნდა იყონ (ლიაჩკოვ-ტარასოვი, ზ. ანჩაბაძე). მოკლედ შევეხთ იმას, თუ რა უდევთ საფუძვლად ამ მოსაზრებებს.

როგორც ს. ჯანაშია შენიშნავდა, დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა განსახლებას წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობის არსებობა სვანებისა და მეგრულ-ქანების სახით¹⁰⁰. ს. ჯანაშია ზან, წან, სან ტერმინებს ერთი ბუდიდან მომდინარედ მიიჩნევდა. საგულისხმოა ისიც, რომ იპოლიტე კაპრელი (III ს.) სანებს სანიგებთან აიგივებს. იგივეს იმეორებს III—IV სს. მოლვაწე ვესევი კესარიელი¹⁰¹.

ეს არის ძირითადი ამოსავალი სანიგთა ზანური წარმომავლობის სავარაუდოდ.

გადაკარბებულად გვეჩვენება ზ. ანჩაბაძის აზრი, თითქოს სანიგთა მეგრულ-ქანურ თეორიას რეალური საფუძველი არ გააჩნია¹⁰². ზან, ჰან, წან ტერმინთა ერთი ბუდიდან წარმომავლობა ქართველური ენების ბუნების გათვალისწინებით სწორედ რომ არ არის სა-

¹⁰⁰ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 15.

¹⁰¹ გეორგიკა, ტ. I, თბ., 1961, გვ. 32.

¹⁰² З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, М.,

ფუძველს მოკლებული. უფრო მეტიც, ამ ბუდეს უნდა ეკუთვნოდეს სვან ტერმინიც. აქ გასარკვევია ის, თუ როდის იყვნენ სანები (სანიგები) სვანურენოვანნი და როდიდან ზანურენოვანნი. უფრო სწორად, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ანტიკური ხანის (I—II სს.) ავტორები (პლინიუსი, არიანე, მემნონი) სანიგებს ასახელებენ სადღაც დღევანდელ სოსუმსა და აღლერს შორის, ისინი ზანურ ეთნიკურ წრეს ეკუთვნოდნენ თუ სვანურს?

თუ პ. ინგოროყვას მიერ ინტერპრეტირებული ტოპონიმების მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ მეცნიერი ძირითადად ქართული ფუძეების მეშვეობით ხსნის, ზანური კი მწირად აქვს წარმოდგენილი, სვანური საერთოდ დაკვირვების მიღმა რჩება, მაშინ როცა დასავლეთ შავიზღვისპირა ზოლში ათეულობით გეოგრაფიული სახელის ამოცნობა შესაძლებელია სვანური ენის მეშვეობით (იხ. თავი V).

ამგვარად, კატეგორიული განცხადება, რომ ჰენოხებსა თუ სანიგებში არ შეიძლება სვანური ტომებიც ვიგულისხმოთ, რადგან მათი განსახლების ტერიტორიაზე სვანური წარმოშობის ტოპონიმები არ გვხვდება, სინამდვილეს არ შეეფერება.

რა შეიძლება ითქვას სანიგების საქმებთან მიმართების საკითხში? თუ ანტიკური ხანის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ზანური ტომების გავრცელებას ადგილი ჰქონდა, სამაგიეროდ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის შავიზღვისპირეთში უფრო სვანურ და ჩერქეზულ ტომთა განსახლების უპირატესობა შეიმჩნევა. მაგრამ დროის ყველა მონაკვეთში მათი ასეთი სიზუსტით განლაგების დასაბუთება ძნელია, რადგან საწინააღმდეგო არგუმენტებიც არსებობენ. მაინც სანიგების საქმებთან დაკავშირება ექვსის საფუძველს უფრო იძლევა, ვიდრე რწმენის, და აი, რატომ: ჯერ ერთი, არ არსებობს არც ერთი წერილობითი, არც ერთი უცხოური თუ ადგილობრივი ავტორის ცნობა ანტიკურ ხანაში დღევანდელ ბიჭვინთასა და აღლერს შორის საქმების განსახლების შესახებ. საერთოდ ასეთი სახელწოდების ტომი ანტიკური ხანის წყაროებში არ ფიგურირებს;

მეორე — ფონეტიკური თვალსაზრისით, სანიგ-სადი ტერმინების იდენტურობა დაუსაბუთებელია;

მესამე — ძიგები (ჯიქები), რომლებიც წყაროების მიხედვით ახ. წ. პირველ საუკუნეში ჩნდებიან დაახლოებით აღლერ-სოქის რაი-

ონში, ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებულად ითვლებიან¹⁰³. მათი აქ ჩამოსახლებამდე ანტიკური ხანის ავტორები აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთში იხსენიებენ სანებს, სანიკებს, მოსინიკებს (მოსანიკებს).

შედარებით უფრო რეალური საფუძველი მოეპოვება სანიგების ერთ-ერთ სვანურ ტომად აღიარების ვერსიას.

საგულისხმოა, რომ სანიგები I—II საუკუნეებში ფიქსირდებიან იქ, სადაც ცოტა ხნის წინ უცხოელი ავტორები ჰენიოხებს ასახელებენ, ე. ი. აღლერსა და ბიქვინთას შორის. ამან განაპირობა ის თვალსაზრისიც, რომ სანიგები და ჰენიოხები ერთი და იგივე ეთნიკური ერთეულია. უფრო მეტიც, ტერმინი „სანიგი“ ჰენიოხი-დან ნაწარმოებ ეთნონიმად მიიჩნეეს (გ. მელიქიშვილი). ლოგიკურად ეს თითქოს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ „ჰენიოხი“ ადგილობრივი წარმოშობის ტერმინი არ უნდა იყოს. შესაძლოა იგი უცხოელთა მიერაა შერქმეული რომელიმე ადგილობრივი ეთნოპოლიტიკური გაერთიანებისათვის.

მაგრამ „ჰენიოხ“ ტერმინი თუ მაინც და მაინც ადგილობრივი წარმოშობისაა, მაშინ მისი ახსნა შესაძლებელი უნდა იყოს რომელიმე ადგილობრივი — ქართველური ენის მეშვეობით. ჩვენი აზრით ასეთ შესაძლებლობას მხოლოდ სვანური ენა იძლევა. სვანურად „ჰელ“ ჰქვია ცეცხლის ძლიერ გამონაშუქს, ცეცხლის ელვარებას, ძლიერ გამოსხივებას. საგულისხმოა, რომ ბერძნულში ჰელიოზი მზეს, მზის ღვთაებას, მზის ელვარებას გულისხმობს. ხომ არ არის ურთიერთკავშირში ეს ორი სიტყვა, რომლისგანაც შეიძლება მომდინარეობდეს ჰენიოხი, რომელიც კავკასიური სამყაროსათვის ცნობილი სუფიქსი „ხი“-თი გაფორმდა? (შდრ. ტაოხი, კოლხი, დიაოხი, სანიხი...). თუ ჰელ-ჰელიოზ ტერმინიდან ეთნონიმი ჰენიოხი წარმოსდგა, მაშინ ლ მორფემა შეცვლილია ნ ბგერით, რაც ადვილად შესაძლებელია. ხოლო ფუძე-სიტყვამ დაიმატა დაბოლოება „ოხი“ (შდრ. ტა-ოხი, დია-ოხი).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სვანურად „ჰელ“ ქართულ „აღს“ (აღ) არ ნიშნავს. ამ უკანასკნელის სვანური შესატყვისია „მლამ“.

¹⁰³ Г. А. Мелкишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 45, 55, 82...

თუ სვანური ჰელ ბერძნული ჰელიოსის გავლენითაა გაჩენილი, ან ორავე მომდინარეობს რომელიღაც მესამე ენობრივ საზღვაროდან, მაშინ აქედან მიღებული სახელწოდება ჰელიოზი//ჰენიოზი 'სნივოსანს', 'შზიურს', ხოლო ჰენიოხეთი — 'შზიანეთს', მზის ქვეყანას უნდა ნიშნავდეს. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია, რომ ჰომეროსის პოემებში დასახელებულია კუნძული „აიაია“, საიდანაც მზე ამოდის („სადაც ჰელიოსი აღმასვლას იწყებს“). ჰომეროსის აიაია-ში, მკვლევართა აზრით, აია-კოლხეთი იგულისხმება. მახლობელი აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ხალხების წარმოდგენაში აია ცისა და დედამიწის, მზისა და სინათლის, ან კიდევ მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ღვთაებად ითვლებოდა. დროთა განმავლობაში აია თავის ფუნქციებს იცვლიდა.

საყურადღებოა, რომ აია სვანეთშიც მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ქალ-ღვთაებად ითვლებოდა და წელიწადში ერთხელ ივლისის თვეში მასთან დაკავშირებული რიტუალიც სრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით გ. ჩიტაია წერს: „კვირა ითვლებოდა მიწის ღვთაების დღედ, რაც კარგად ჩანს სვანური სტყუათმეხამებისაგან აია-შიშლადედ, რომელიც აიას კვირა დღეს აღნიშნავს, სადაც აია მიწათმოქმედების ღვთაების სახელია“¹⁰⁴.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ძველ ბერძნული ტრადიციის მიხედვით კოლხეთში თავდაპირველ მოსახლეობად ჰენიოხები არიან მიჩნეული, რომ ისინი ფაზისში (დღევ. ფოთში) მიღეტულ მოახალშენეთა მოღწევამდე ცხოვრობდნენ (ე. ი. ძვ. წ. VI ს-დე). ასეთ ცნობას იძლევა V—IV სს. მოღვაწე ჰელანიკე მიტილენელი.

წყაროების მიხედვით ჰენიოხები ერთდროულად მოიხსენიებიან, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ისე ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დასახლებულ რეგიონში გვხვდებიან აგრეთვე სანები (სამხრეთში) და სანიგები (ჩრდილოეთში). ესეც შეიძლება იმის დასტურია, რომ ჰენიოხებში მართლაც სანები (სანიგები) იგულისხმებიან¹⁰⁵.

¹⁰⁴ Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952, с. 103.

¹⁰⁵ შტრ. გეოგოგია, ტ. I, თბ., 1961, გვ. 31—32, 154; მ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნოკურა წედგენილობის საკითხისათვის. საქ. მეც. აკად. საზ. მეზ. გან-ის მოამბე, № 20, 1960, გვ. 148—156.

ბერძნული ტრადიციის თანახმად ჰენიოხების წინაპარი იყო დიოსკურების მეეტლე რეკასი. ეს ფაქტი ბევრის მეტყველოა და იგი შეიძლება სათავეს ძველი მცირე აზიის სინამდვილეში იღებდეს, როცა უნდა მომხდარიყო ინდოევროპულ და ქართულ ფუძენების დაშლა, ხალხთა მიგრაციების დაწყება. შესაძლოა ამაზე მიგვანიშნებდეს ხარაქს პერგამონელის (II—III სს.) გადმოცემა იმის შესახებ, რომ ჰენიოხები და ძიგები პელაზგთა ჩამომავლები არიანო.

როგორც ცნობილია, მეგრელ-ქანები თავიანთ თავს მარგალს (მეგრელს) უწოდებენ. ამ სატომო სახელით არიან ისინი ცნობილი ქართველთაათვისაც. სვანები კი მათ ღღემდე ეძახიან ზანებს („ზანარ“). სვანებისთვის უცხოა ტერმინი მეგრელი. ზანები, რომ მეგრელთა წინაპრებს ეწოდებოდათ ამას ტოპონიმიკური მასალაც ადასტურებს (მდრ. ზანა-ცხაკაიას რ-ში, ზანავი — ადიგენის რაიონში, ზანავი — ბორჯომის რ-ში და ა. შ.).

„მეგრელი“ სვანთა გაგებაში კინობითი სახელია, რასაც ვერ ვიტყვით ეთნონიმზე ზანარ (ზანები). ამასთანავე ისმება კითხვა, თუ ქართველი უძველესი დროიდან იცნობდნენ ზანებს, რატომ ეს სახელი არ შემორჩა მათ მეხსიერებას, ან სვანურში რატომ ვერ გაიკაფა გზა ტერმინებმა კოლხი და მეგრელი (ეგრისელი)?

რამდენადაც ძვ. ბერძნულში შ და ზ ბგერები არ არსებობს. ამიტომ საფიქრებელია, რომ მათ მიერ ნახმარი ხანი (სანები, სანიგები) ერთ შემთხვევაში გულისხმობს ზანებს (ზანი), ხოლო მეორე შემთხვევაში სვანებს, შოანებს (სვანებს, სოანებს, სვენებს). ძველი ბერძენი ავტორების მიერ შ და ზ ბგერების ნაცვლად ს-ს ხმარება ქმნის იმ გაუგებრობას, თუ რომელ სანებში შეიძლება ვიგულისხმოთ ზანები და რომელში სვანები.

მართალია, სტრაბონი წერს სოანებს, რაც შოანებს (სვანებს) გულისხმობს, მაგრამ პტოლემეაიოსი წერს სანო-კოლხებს. მკვლევრები სანებში სვანებს გულისხმობენ და ა. შ. ე. ი. ხანი ერთ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც ზანი (ა. ჩიქობაევა), ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც შანი (სვანი), აქედან მუშან (სვანურად „სვანი“).

სხვათაშორის, სვანურ-მეგრული შ ქართულშიც ს-დ გადადის (სვან. შვან, მეგრ. შოან, ქართ. სვანეთი; სვან. აშირ, მეგრ. ოში,

ქართ. ასი და სხვ.). ამიტომაც ფეოდალურ საქართველოს წილში წარმოშობილ გვარებს სანაია, სანიკიძე, სანაძე... თავში ქართული ს უზით ზ-სა და შ-ს მაგივრად (არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ გვარი „შანიძე“ ადგილობრივი შანი (-სანი) ეთნონიმისაგან მომდინარეობდეს).

X—XI სს. ერთ-ერთ სვანური ხატის წარწერაში: „ერთობილნი სანნი და ხევი ლატალისა“ (იხ. ქვემოთ), ცხადია, იგულისხმებიან „ერთობილნი სვანნი“ და სვანეთის ერთ-ერთი თემი ლატალი, სადაც ინახებოდა ეს ხატი (შდრ. სანნო-კოლხოძე-პტოლემეაიოსის). საქმე იმაშია, რომ ეს წარწერა ქართული მართლწერის ნორმების პრინციპს იცავს.

ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს ბერძნულ „სან-ში“ თავიღური ბგერა ყოველთვის ს-დ უნდა იკითხებოდეს (ს. ჭანაშია...).

მესამე შემთხვევაში „სანი“ გაგებული უნდა იქნეს, როგორც ქანი (ს. ყაუხჩიშვილი)¹⁰⁶.

ამგვარად, სანებში უნდა იგულისხმებოდნენ ზანები, კანები და სვანები.

ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტსაც, რომ ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ავტორები კოლხებსა და სანებს (სანიგებს) ერთდროულად; ერთმანეთის პარალელურად იხსენიებენ. კოლხებზე ქვეშ ძირითადად ზანური ტომები იგულისხმებიან. თუ ეს ასეა, მაშინ სანები კოლხები არ არიან, ე. ი. მათში შანები იგულისხმებიან (ე. ი. სვანური წარმოებით „მუ-შანები“).

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ანტიკური ხანის (I—II სს.) ავტორები (პლინიუსი, მემნონი, არიანე) სანიგებს ათავსებენ, სადაც დღევანდელ ბიჭვინთსა და აღლერს შორის, სადაც სვანთა ეთნიკური ერთეულის განსახლება წერილობითი წყაროებითაც აშკარად დასტურდება. ასე მაგალითად, ახ. წ. II ს. ავტორი, ცნობილი გეოგრაფოსი კლავდიოს პტოლემეაიოსი, სადაც დღევ. გაგრის სექტორში ასახელებს „სუანოკოლხებს“¹⁰⁷.

¹⁰⁶ შდრ. გეორგიკა, ტ. II, გვ. 120 (პრ. კესარიელი სანებს კანებთან აიგივებს).

¹⁰⁷ მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

აღნიშნულის გამო თ. ყაუხჩიშვილი შემდეგს წერს: „ცალკე დგას სუანოკოლხების საკითხი, რომელთაც მხოლოდ პტოლემაიოსი ასახელებს დაახლ. ჰენიოხებსა და მდ. კორაქს (ბზიფს) შორის, ე. ი. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. დაახლოებით ამავე ადგილას არიანეს და სხვა ავტორებს სანიგები ჰყავთ მოხსენებული. თვით სახელწოდება „სუანოკოლხები“ აშკარად ორი, ჩვენთვის ნაცნობი სახელისაგან შედგება — „სუანი“ (სვანი) — ზოგ მკვლევარს უჩნდება სურვილი ამ სიტყვაში სან-ძირი დაინახოს — და „კოლხი“ პაპე და გ. მელიქიშვილი მაგ., მეორე კომპონენტს სრულიად უარყოფენ და „სუანოკოლხებს“ აიგივებენ სვანებთან“... მე პირადად ეს ორმაგი სახელები ასე მესმის: „სუანოკოლხები“ ნიშნავს კოლხ სვანებს, ე. ი. იმ სვანს, რომელიც კოლხია, ე. ი. ტომით სვანია, მაგრამ ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც კოლხიდაში შედის“¹⁰⁵.

ვფიქრობთ, რომ თ. ყაუხჩიშვილი მართალია. ამაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს, კერძოდ ახ. წ. VII ს. „სომხეთის გეოგრაფიაში“ დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ სადღაც ადლერსა და ბიჭვინთას შორის აბაზებთან ერთად მოსახლეობენ სვანები¹⁰⁶. აქ საყურადღებოა ისიც, რომ ავტორი ხალხების ჩამოთვლას მოჰყვება დასავლეთიდან. გამოდის, რომ სვანები ცხოვრობენ არა ბიჭვინთაში, არამედ მის დასავლეთით, ე. ი. იქ სადაც ფიქსირდებიან ჯერ ჰენიოხები და შემდეგ სანიგები.

თვით ტოპონიმი გავრა მომდინარეობს სვანური სიტყვიდან გაკრა, რაც 'ნიგვზნარს' ნიშნავს. ეს სახელწოდება სავსებით შეეფერება ამ ადგილს. უფრო ზუსტი განმარტება ამ ტოპონიმისა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება (იხ. თავი V).

ამგვარად, ზემოთ დასახელებული ორი წერილობითი წყარო, რომლებიც II—VII საუკუნეებს ეკუთვნიან, სვანთა რომელიღაც ეთნიკურ ჯგუფს ასახელებს სანიგთა განსახლების ტერიტორიაზე, რაც ერთხელ კიდევ განამტკიცებს სანიგების სვანურობის აღიარებულ თეორიას.

¹⁰⁵ თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ღველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 161.

¹⁰⁶ ЖАМНП, март, 1983, с. 29.

აფხაზეთის სახალხო პოეტი, მწერალი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე დ. გულია, რომელმაც 1925 წელს გამოაქვეყნა „აფხაზეთის ისტორია“ ორ ნაწილად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგს წერდა: «Санны (сашиги, суани, нынешние свани), родственное племя абасгов, до р. Хр., долгое время и после р. Хр. жили около Дноскурни, т. е. в Абхазии, в нынешнем Гумистинском уезде»¹¹⁰.

ალბათ ეთნონიმ ჭიქი-დან უნდა იყოს ნაწარმოები სვანური სიტყვა „ლგ-ჭიქე“ (ჩაფსკვნილი), სადაც ლგ სვანურში მაწარმოებელი პრეფიქსია. ეს ფაქტი ოდესღაც სვანთა და ჭიქთა ტერიტორიალურად ახლომეზობლობის მაუწყებელია, რის შესახებაც სწორად შენიშნავს დ. გულია.

საყურადღებოა დ. გულიას მსჯელობა ტერმინ შვან-შოან-ის თაობაზეც. დ. გულიას სიტყვით უბიხურად (აფხაზთა მონათესავე ტომი იყო) სიტყვა აშოგე 'ზღვას' ჰქვია. აფხაზები სვანებს უწოდებდნენ აშოანს (აშოუას), რომლის ძირიც უნდა იყოსო უბიხური აშოგე. ამგვარად, ასკვნის დ. გულია, სვანი (აშუა) უბიხურად ნიშნავსო 'ზღვის ადამიანს', ზღვისპირეთელს. დ. გულიას სიტყვით იგივე ტერმინს ხმარობენ აფხაზები აბაზინელების აღსანიშნავადაც. «И действительно, оба этн народа в древности жили на берегу моря» (Там же. с. 102).

მართლაც, ანტიკური ხანის ავტორების ცნობებში, აბაზა იხსენიება აფხაზეთის ზღვისპირეთში, რომელთა იმიერკავკასიაში გადასვლას აღვილი ჰქონდა XIII—XVIII სს.¹¹¹.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ VII ს. „სომხეთის გეოგრაფიაში“ აღლერსა და ბიჭვინთას შორის მცხოვრებ ხალხებს შორის დასახელებული არიან სვანები, მაგრამ არ იხსენიებიან სანიგები, რაც ჩვენი აზრით იმას ნიშნავს, რომ სანიგებს ქვეშ თავიდანვე იგულისხმებოდნენ სვანები.

ფუჟე-სიტყვა სანი, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, რომ შანი შეიძლება იყო (აქედან მუშანი — სვანი) ამაზე მიგვანიშნებს ზემოთ ნახსენები სვანეთის ერთ-ერთი საეკლესიო საბუთი, კერძოდ ლაპილის (სოფელია ლატალში) მთავარანგელოზის ხატის წარწერა, რო-

¹¹⁰ Д. Н. Гуля, Собр. Соч., т. 6, 100—101.

¹¹¹ Е. Н. Данилова, Абазиины, М., 1984, с. 21.

მელსაც დ. ბაქრაძე X—XI სს-ით ათარიღებს. ამ ხატზე ასეთი წარწერა ყოფილა: „...ერთობილნი სანნი და ხევი ლატალისა და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაჭილი“¹¹². ეს ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სვანთა სანნად აღნიშვნის ტრადიცია ძველთაგანვე არსებულა.

ბერძნული წყაროების სანი ტერმინის კანონზომიერი მეგრული წარმოებაა შონი (სვანი). როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეგრულში ქართულ-ბერძნული ს შ-დ გადადის, ხოლო ა-ო-დ (მაგ.: ასი-ოში, სმა-შვა და სხვა).

ათხაზურში სანი იწარმოა ფორმით ა-შან-უა (სვანი).

სანი-გი, სანი-კი, სანი-ხი ისეთივე წარმოებისაა, როგორც აბას-ხი, აბაზ-გი, ბასხი, ბასი-ანი. როგორც ვხედავთ, სუფიქსები გი, ხი, კი და ან ერთმანეთს ცვლიან, ე. ი. შინაარსობრივი თვალსაზრისით ისინი ერთმანეთის იდენტურია. აღსანიშნავია, რომ ან სუფიქსი დღემდე შემორჩა სვანეთში.

რამდენადაც გი, ხი, კი სუფიქსების შეცვლა ან-ით დასტურდება, მაშინ შესაძლოა სანიგი-ს სახენაცვალი ფორმა იყოს სანიანი, იგივე სვანური შანიანი (მეგრ. შონი), ანუ მუ-შანიანი (ე. ი. სვანელი, წარმოშობით შანი-შონი-სვანი). ამ შემთხვევაში „შანიან“ ტერმინმა ჩვეულებრივ დაიმატა სვანურისათვის დამახასიათებელი მაწარმოებელი სუფიქსი მუ/მგ, მი (შდრ. სვან. მგ-ზან-მეგრელი, მუ-შან-სვანი, მირცხელ-არცხელელი. არცხელი სოფელია სვანეთში).

ანალოგიური წარმოებისად უნდა მივიჩნიოთ ბერძენი ავტორების მიერ ოდნავ ტრანსფორმირებული მოსინიკი (მუშანიკი — მუშანიანი, რადგან კი-ან-ს და მისიმიანი (მიშიმიანი), სადაც მართალია კი-ს ნაცვლად უკვე — ან ქართველური სუფიქსი გვაქვს, მაგრამ ფუძე „სიმი“ სან (შან)-ის დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს. ამ ფუძე-სიტყვის დამახინჯების მიზეზიც სწორედ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ იგი ადგილობრივი, ქართული (სვანური) წარმოშობისაა, რაც უცხოელთა მიერ არასწორი ფორმით იქნა გადმოცემული.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა იპოლიტე რომაელის (ახ. წ. III ს.) ცნობა, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „სავნებო, ეგრეთწოდებული სანიგები, რომლებიც გადაჭიმული არიან

¹¹² ЗКОРГО, т. 6, 1864, с. 86.

ვიდრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის აფსაროსი (და სე-
ბასტოპოლისი), ჰიპსოსის ნავსადგური და მდინარე ფაზისი“¹¹³.

როგორც ჩანს, იპოლიტე რომაელის ცნობა მომდინარეობს ძვე-
ლი ტრადიციიდან, როცა პენიონების განსახლება მოიცავდა აფსა-
როსიდან (თანამედროვე გონიო, კოროხის შესართავი) სებასტოპო-
ლისამდე (დღევ. სოხუმი) ტერიტორიას.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა სანიგების მეორენაირი
სახელწოდება ს ა ვ ე ბ ი, რომელსაც იპოლიტე რომელი ხმა-
რობს. იგი ფონეტიკური წყობით ახლოს დგას ტერმინთან ს ვ ა ნ ე-
ბ ი.

ბერძენი და რომაელი ავტორები სატომო სახელ „სვანებს“ სხვა-
დასხვა ფორმით გადმოსცემენ. ასე მაგალითად, სტრაბონი სვანებს
„სოანებს“ უწოდებს, კლავდიოს პტოლემეაიოსი „სანანებს“, იპო-
ლიტე რომელი „სავნებს“.

იპოლიტე რომაელის „სავნებ“-ში სვანები რომ უნდა იგულისხ-
მებოდნენ, ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ ერთ-ერთი
სვანური თქმულების მიხედვით ოდესღაც ზემო სვანეთის სოფელ
ლახირში მცხოვრებთ, აგრეთვე ეწოდებოდათ „სავნები“¹¹⁴.

სვანეთში მცხოვრები სავნები იგივე სანიგები უნდა იყონ, ამა-
ზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ აქ XIII ს. ცხოვრობს გვარი
სანიგიანი¹¹⁵.

ხომ არ არიან სვანები თუ სანიგიანები სვანეთში დასავლეთ სა-
ქართველოს შავიზღვისპირეთიდან შედარებით გვიან გადასული
სვანთა ერთ-ერთი ტომი?

XII—XIII საუკუნეებში სანიგები ქაშაგთა (ყაბარდოელთა) მე-
ზობლადაც მოიხსენიებიან¹¹⁶.

აღნიშნულ საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში სვანთა გარკ-
ვეული ნაწილის განსახლება მეცნიერულად დასაბუთებულია¹¹⁷.

დ. მუსხელიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო
მოსაზრებას გვთავაზობს. მეცნიერი წერს: „თუ ჩვენ გავიხსენებთ,

¹¹³ გეორგიკა, ტ. I, თბ., 1961, გვ. 20.

¹¹⁴ სვანური პროზაული ტექსტები, თბ., 1939, გვ. 21—23.

¹¹⁵ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

¹¹⁶ „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, ქც, I, გვ. 49.

¹¹⁷ იხ. თ. მ ი ბ ჩ უ ა ნ ი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986.

რომ არიანესთან აფსილებს და აბასკებს ჩრდილო-დასავლეთით. ემესობლებოდა სანიგთა ტომი, ხოლო სომეხ გეოგრაფთან კი აღ-
 ხაზთა ჩრდილო-დასავლეთ მეზობლად სვანები გვევლინებიან. მა-
 შინ მოსაზრება, რომ „სომხური გეოგრაფიის“ სვანები იგივე სანი-
 გები უნდა იყვნენ, სავსებით რეალური გახდება“¹¹⁸. თუ რამ გა-
 მოიწვია და როდის მოხდა მათი ადგილის გადანაცვლება დასავლე-
 თის მიმართულებით, ამის შესახებ დ. მუსხელიშვილი ასეთ პასუხს
 იძლევა: „ბუნებრივია, თუ ამ მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესს
 ჩვენ ევროსის სამეფოს წარმოშობას დავუკავშირებთ, რისი ერთი
 მნიშვნელოვანი ეტაპიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, II ს-ის მეო-
 რე ნახევარში უნდა დამთავრებულიყო“¹¹⁹.

ამგვარად, თვით ის ფაქტი, რომ I—II სს. უცხოელი ავტორები
 ზღინიუსი, არიანე, მემნონი ადლერსა და სოხუმს შორის ასახლე-
 ბენ სანიგებს, ხოლო მათი თანამედროვე კლავდიოს პტოლემეაიოსი
 სანიგების ნაცვლად ხმარობს ტერმინს „სუანოკოლხები“, ამასთა-
 ნავე VII საუკუნის „სომხეთის გეოგრაფიაში“ აღნიშნულ ტერი-
 ტორიაზე სანიგების ნაცვლად ისევ სვანები არიან დასახლებული,
 ჩვენი აზრით სანიგთა სვანური წარმოშობის სასარგებლოდ
 მეტყველებს.

8. წ ა ნ ა რ ე ბ ი

წანარების ვინაობისა და ლოკალიზაციის საკითხს არაერთი
 მკვლევარი შეეხო, მაგრამ იგი დღემდე სადისკუსიო პრობლემად
 რჩება.

მკვლევართა აზრით, წანები, ცანები, აცანები და წანარები ერთი
 ფუძე-სიტყვიდან ნაწარმოები ტერმინები ჩანს¹²⁰. აღსანიშნავია,
 რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება მთელი რი-
 გი გეოგრაფიული სახელები, რომელთაც საფუძვლად მოცემული
 ტერმინები უძვეთ. აი, ესენიც: ქვემო სვანეთის ერთ კუთხეს ეწო-
 დება ცაან, ხოლო იქ მოსახლე სვანებს ცაანარ (ე. ი. ცანელები);

118 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, კვ. 98—99.

119 იქვე, გვ. 99.

120 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 15.

იმავე ლენტეხის რაიონის ხელედის ს/საბჭოში შემავალ ერთ სოფელს წანაშ ჰქვია, ხოლო ზემო სვანეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ გადასასვლელსა და მყინვარს წ ა ნ ე რ ე წოდება. ცან, წან ერთი წარმოშობის ძირებია. ც და წ ბგერების მონაცვლეობა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელია (შდრ. ეცერი-ეწერი, ცანაშ-წანაშ და სხვ.) -არ და -ერ მრავლობითობისა და წარმომავლობა-ვინაობის აღმნიშვნელი სუფიქსებია სვანურში (მაგ., უშ-გულ-უშგულწარ, ლეჩხუმ-ლეჩხუმწარ, ე. ი. უშგული-უშგულელები, ლეჩხუმი — ლეჩხუმელები და ა. შ.)¹²¹.

ამდენად, წანარ ნიშნავს წანელებს, ე. ი. წან ტოპონიმი და არა ეთნონიმი. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ტოპონიმი წან, რომლისგანაც წარმოიშვა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ეთნონიმი წანარ?

ლანჩხუთის რაიონში ერთ სოფელს აცანა ეწოდება. „აცანას“ გურიიში ერთგვარ ბალახს ეძახიან და აღნიშნული სოფლის სახელიც აქედან წარმოშობილად მიაჩნიათ.

ჩვენი აზრით „ცაიშ“ ტოპონიმის თავდაპირველი ფორმაც „ცანიშ“ უნდა ყოფილიყო, სადაც -იშ, აგრეთვე სვანური სუფიქსია¹²².

გეგეპკორის რაიონის ნახუნაოს ს/საბჭოში ერთ უბანს „ეცანე ცანათი“ ეწოდება. იგი „ცან“ ტერმინის ასოციაციას იწვევს.

წანი//ცანი სვანურად ყანაში ნამარგვლ ბალახს ჰქვია (ჭ. გვასალია). სხვათაშორის ბალახის აღმნიშვნელი სიტყვის ეთნონიმად გადაქცევის ფაქტებიც გვხვდება. საინტერესოა, რომ ი. დეშერიევი ეთნონიმს „ბაცბი“ უკავშირებს ინგუშეთში ბალახის აღმნიშვნელ სიტყვას: «Термин бацой (т. е. бацыйцы) восходит к основу буц «трава». Бацой—это те которые живут на альпийских пастбищах, там где есть буц. Срав. «бацалахъ»—«в траве»¹²³.

„წან, ცან (აცან)“ ეთნონიმებს შეიძლება გვერდით მოვუყენოთ „ქან“-სახელიც, რადგან ჰ-წ-ც თანხმოვანთა მონაცვლეობაც ბუ-

¹²¹ წანარების საკითხზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის გულწრფელ მადლობას მოვასწენებ აწ განსვენებულ პროფ. მ. ქალდანს.

¹²² მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ (-შ) სუფიქსის საკითხისათვის, ქართულ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1963.

¹²³ Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков, 1963, с. 55.

ნებრივი მოვლენაა ქართველური ენებისათვის¹²⁴. ამასთან ერთად, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ძველი სვანური ხალხური პოეზიის ენაში ნახსენებია ჭან ტოპონიმი, როგორც სვანი მონადირის გივერგილას სამშობლო:

„კარულ, ლია-ვადა, ჭიგან
ჭან-გულ, ლია-ვადა, ისგა...“
კარავი, ლია-ვადა, გედგა
ჭან-გულ, ლია-ვადა, შიგა...“¹²⁵.

ე. ი. სიმღერაში ნათქვამია, რომ გივერგილას კარავი ედგა ჭანი ერთის შუაგულში. ცხადია, რომ „ჭანი“ და „წანი“ ერთმანეთს ვერ დაშორდებან. ს. ჭანაშიას სიტყვითაც, წანი, ზანი და ჭანი ერთ ბუღეს ეკუთვნიან¹²⁶.

აღსანიშნავია, რომ „ჭანგა“ მეგრულში ერთგვარი ბალახის სახელია. აქედან წარმოსდგება ტოპონიმი „ჭანგანი“¹²⁷, რომლის თავდაპირველი ფორმა ალბათ „ჭანგანი“ იყო.

ზემოთ ხსენებულ სვანურ სიმღერაში („გივერგილა“) საყურადღებოა კონტექსტში გარეული მისამღერი სიტყვა „ლია-ვადა“. „ლია“-საბზს განმარტებით არის „საფლობი ტალახი“. ალბათ აქედან მომდინარეობს სოფლის სახელი ლია (წალენჯიხის რ-ნი). აღნიშნული მისამღერის მეორე კომპონენტი „ვადა“ სვანურია და, ნატვრას ნიშნავს. ე. ი. სიტყვა გაიგება ასე: 'გივერგილა ლიას ნატვრა', ანუ იმ სოფლის ნატვრა, რომელიც გივერგილას სამშობლოა. კარგი მონადირე ყოველთვის იყო სოფლის, ხალხის იმედი და იგი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა.

ტოპონიმიკური მასალის გარდა, არავითარი წერილობითი ცნობა არ გავაჩნია წანარების დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების შესახებ.

ზ. სვანეთის სოფ. ადიშში წმ. გიორგის ეკლესიაში ყოველი წლის ივლისის პირველ რიცხვებში იხდიან რელიგიურ დღესასწა-

¹²⁴ ს. ჭანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

¹²⁵ სვანური პოეზია, თბ., 1939, გვ. 184.

¹²⁶ ს. ჭანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

¹²⁷ ი. სიხარულიძე, ვაკე-იმერეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მასალებიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, 1982, გვ. 119.

ულს, რომელსაც ეწოდება „ლიჩანიშ“, ე. ი. ჩანიშობა, ანუ როგორც ე. ვაბლიანი ფიქრობს — ჭანიშობა¹²⁸. ეს ფრიად საყურადღებო ფაქტია. აღნიშნული დღესასწაული, ანუ ლოცვა ეძღვნება ვაჟიანობას, ვაჟიშვილების დაბადებას, მომრავლებას.

ნიშანდობლივია, რომ „ჭანიშობა“ სვანებმა სახალხო დღესასწაულად აქციეს. ჩვენი აზრით, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათ ოდესღაც უცხოვრიათ ჭანიეთში, ადრინდელი სამშობლოს არდავიწყების მიზნით დაუწუნებიათ ლიჩანიშ/ლიჭანიშ ანუ ჭანიშობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დღესასწაული იციან მხოლოდ ადიშელებმა და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ადიშიდან გათხოვილ ქალებსა და მათ ოჯახებს. მაგრამ ჭანიეთი, რომ ოდესღაც მხოლოდ ადიშელთა წინაპრების დასახლების ადგილი არ იყო, ამაზე მიგვანიშნებს მთელ სვანეთში ფართოდ გავრცელებული სიმღერა „გივერგილა“, რომლის ავტორობასაც მულახელები ჩემულობენ.

აფხაზური ფოლკლორული მასალის მიხედვით აწანები ეწოდებათ ჭუჭებს, რომლებსაც აფხაზთა აქ განსახლებამდე უცხოვრიათ აღნიშნულ ტერიტორიაზე¹²⁹. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური გადმოცემების მიხედვით აწანები შორეულ წარსულში აქ მოსახლეობდნენ, ამ ეთნონიმიდან მომდინარე არც ერთი ტოპონიმი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გუდაუთის რაიონში ერთი სოფლის სახელწოდებას — „წანი-გვართა“, რაც აფხაზურად ნიშნავს „მრავალი ერთად“.

აფხაზური გადმოცემების მიხედვით აწანები პატარა ფიზიკური არსებანი იყვნენ, და იმდენად პატარები, რომ მათი თვალთ დანახვაც კი შეუძლებელი იყო. გადმოცემათა სხვა ვარიანტის მიხედვით, აწანების აშენებული უნდა იყოს კელასურის კედელი და ე. წ. „აწანგუარები“ ქვის გალავნები აფხაზეთის ალპურ ზონაში¹³⁰.

„აწანებმა“ არ იცოდნენ რა იყო ცეცხლი, ჭამდნენ უმ ხორცს,

¹²⁸ ე. ვაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, გვ. 46.

¹²⁹ Ш. Д. Инал-ипа, Памятники абхазского фольклора, Сухуми, 1977, с. 156.

¹³⁰ იქვე. გვ. 59, 118.

არ სწამდათ ღმერთი, რის გამოც ეს უკანასკნელი განრისხდა. ცი-
დან ბამბით ჩამოთოვა, მას ცეცხლი გაუჩინა და „აწანები“ გაღა-
ბუგა¹³¹.

აფხაზური „აწანები“ არიან იგივე ქართულში არსებული ე. წ.
ჭინკები (მეგრ. „ჭიჭკე“, სვან — „შაშშარ“), ადიღური „სსიები“,
ოსური „ბცენტა“ და ა. შ.¹³².

ჭინკებზე განსაკუთრებით მდიდარი მასალა გაგვაჩნია სვანურ
პროზაულ ტექსტებში¹³³.

აფხაზურ-სვანური გადმოცემები ჭინკებზე (იმავე „აწანებზე“,
„შაშშარზე“) სიუჟეტურად საოცრად ჰგავს ერთმანეთს. თუ აფხა-
ზური გადმოცემის მიხედვით „აწანები“ თვალითუხილავი არსებანი
არიან, სვანური გადმოცემების მიხედვითაც „შაშშარ“ ჭიანჭველებ-
ზე პატარებია. აფხაზური გადმოცემების მიხედვით „აწანები“ გვიმ-
რის წვეროზე აღიოდნენ და ტოტებს ჰკრიდნენ. სვანური გადმოცე-
მების მიხედვითაც „შაშშარ“ გვიმრაზე აღიოდნენ და ტოტებს
ჰკრიდნენ და ა. შ.¹³⁴.

იგივე წარმოდგენა აქვთ ჭინკებზე სხვა ხალხებსაც.

ამგვარად, ჯუჯების ნორმალური ადამიანის ფიზიკური მონაცე-
მების მქონე ხალხად მიჩნევა წარმოუდგენელია. გარდა აფხაზური-
სა აწან//წან//ცან//წან-არ-ები არცერთ ხალხში ჭინკებად არ იგუ-
ლისხმებიან. ამდენად ფოლკლორული მასალის გულუბრყვილოდ
გაზიარება მეცნიერული ლოგიკის ნორმებს ეწინააღმდეგება.

წანარები მეომარი მთიელი ხალხია და ცხოვრობენ არაგვისა და

¹³¹ П. А ль б о в, Ботанико-географические исследования в Запад-
ном Закавказье в 1883 году, ЭКОРГО, т. XV, I, Тип., 1894, с. 156.

¹³² შ. ნ ა დ ა რ ა ი ა, წვიმის პატარა ღვთაებები — მესეფენი და ჭინკები,
კრებ.: სამეგრელო, თბ., 1979, გვ. 132—147.

¹³³ სვანური პროზაული ტექსტები (ბალსქვემოური კილო), თბ., 1957, II,
გვ. 304—305; (ლენტეხური კილო), თბ., 1967, III, გვ. 70; (ბალსხემოური კი-
ლო), თბ., 1939, I, გვ. 18—19.

¹³⁴ Ш. Д. И н а л - и п а, დასახ. ნაშრომი, გვ. 156 და ზემოთ მითითებული
სვანური პროზაული ტექსტების სათანადო ადგილები.

დარიალის ხეობაში, შემდგომ მკვლევართა აღიარებით VIII—IX სს. კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებაში მათ მთავარი როლი უნდა ეთამაშათ¹³⁵.

პირველად წანარები მოიხსენიება კლავდიოს პტოლემეაიოსის (ახ. წ. II ს.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“. იგი ასეთ ცნობას იძლევა: „პონტოს გასწვრივ ცხოვრობენ ახაიელები, კერკეტები, ჰენიოხები და სვანო-კოლხები, ალბანიის იქით ს ა ნ ა რ ე ბ ი“¹³⁶. პტოლემეაიოსის „სანარები“ მკვლევართა აზრით, „წანარებია“, რადგან ბერძნულში ც და წ ბგერები არ მოგვეპოვება, ბუნებრივია მათ ნაცვლად ხმარობდნენ ს-ასოს, პტოლემეაიოსის ცნობაში ისიც არის საყურადღებო, რომ იგი აღნიშნული ხალხის სატომო სახელს წერს სვანური ტრანსკრიპციით — „წანარ“-ები, სადაც ძირია „წან“, ხოლო დაბოლოებაა -არ, რომელიც სვანურში მრავლობითობისა და წარმომავლობა-ვინაობის აღმნიშვნელი სუფიქსია. როგორც აღნიშნული იყო „წანი“ სვანურში ნამარგვლ ბალახს ჰქვია. ამდენად, აღებული ეთნონიმის (ე. ი. „წანარ“) ფუძე-სიტყვაც და დაბოლოება -არ სუფიქსიც სვანურ ენაზე აიხსნება. ეს ფაქტი ამ სახელის მატარებელი ხალხის ეთნიკური ვინაობის გარკვევის საშუალებას იძლევა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში „წანარეთის ხევია“ მოხსენიებული. ეს ცნობა VI ს. 30—40 წლებს უნდა ეხებოდეს. მასში ნათქვამია: „და ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლსა შინა, სპარსნი განძლიერდეს და ერთი და სომხითი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს, და ერთი დიდი კარი ოვსეთსვე და ორნი დვალეთს და ერთი პარკუანს დურძუკეთისასა და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს და სხუად ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა კვესა და მორჩილება დასდევს მისი“¹³⁷.

¹³⁵ მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 141.

¹³⁶ ნ. ლ ო მ ო უ რ ძ, კლავდიოს პტოლემეაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ. კრებ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

¹³⁷ მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1, თბ., 1963, გვ. 94—95.

შემდეგ წყარო, სადაც „წანარები“ მოიხსენიებიან, ეს არის VII ს. სომხური ანონიმური გეოგრაფია. ანონიმი გეოგრაფი წერს, რომ კავკასიის მთასთან „...ბინადრობენ რაკველები, დვალები, ...ოსები, წანარები. სადაც მდებარეობს ალანთა კარი და მეორე კარი, რომელიც წელქანად იწოდება იმევე სახელწოდების ტომის (შესაბამისად). შემდეგ არიან თუშები, ხუნძები... ქისტები, შემდეგ ცხვატელნი, გუდამაყარელნი, ღურძუქნი, დიდოელნი, ლეკნი“¹³⁸. წანართა ტომის სახელი მოცემულია წანარ-(ქ)-ის ფორმით¹³⁹.

ამ ცნობით დასტურდება, რომ წანარებს თერგისა და არაგვის ხეობებში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ.

სომხურ საისტორიო მწერლობაში წანარების შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით თომა არწუნის (IX—X სს.) თხზულებაში („არწუნთა სახლის ისტორია“), რომელშიც წანარებს ცალკე თავი აქვთ დათმობილი — „წანართა თავგადასავლის შესახებ“. თომა არწუნის ცნობით, წანარები ცხოვრობენ ჩრდილოეთის მხარეში, ჩქვეყანაში, რომელსაც წანაკი ეწოდება. ისინი დამკვიდრებულნი არიან მთის სიმაგრეებში, უზრუნველად და მშვიდად გარეშე მტრების (საფრთხისაგან). სამეფო ხარკი და გადასახადი მათვე რჩებათ, მხოლოდ თავიანთი სურვილისამებრ თავის გამგებლად ერთ კაცს აყენებენ. ისინი შეთანხმებითა და ერთსულოვნად ცხოვრობენ ურთიერთ შორის. ტომი ტომთანაა დამკვიდრებული ერთმანეთისაგან მოშორებით. მათ ახლოს არის კავკასიის მთა, სადაც დამკვიდრებულნი არიან ტომები, რომლებიც ენებს მიხედვით განიყოფებიან 72 ტომად და ცხოვრობენ წინამძღოლის გარეშე“¹⁴⁰.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ცნობის მიხედვით წანარები ფლობენ კავკასიონის იმეგრ და ამიერ კალთებს დარიალის ხეობის სექტორში. ამ ცნობით, ისინი აღნიშნულ რეგიონში მოსახლე სხვა ხალხებზეც მბრძანებლობენ. მთელ მათ განსახლებას ეწოდება „წანა-

¹³⁸ С. Т. Еремян, Армения по Ашхарацуцу, Ереван, 1963, с. 101.

¹³⁹ საინტერესო არის, რომ აღნიშნულ წყაროში „რაკველებიც“ მოიხსენიებიან. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ყველაზე აღრიხდელი ცნობა მათ შესახებ სწორედ ამ წყაროშია დაცული.

¹⁴⁰ ე. ცაგარეიშვილი, თომა არწუნისა და ანონიმი ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ. მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, IV, თბ., 1975, გვ. 270.

კი“, ე. ი. წანარეთი. — კი (ქ) დაბოლოება სომხური ენისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს (შდრ. ანონიმური გეოგრაფიის („წანარ-(ქ)-ი“). ეს იმას ნიშნავს, რომ მათი დასახლების მხარეს ეწოდება „წანა“ (შდრ. „წანერ“ და „ცანა“ — სვანეთში).

საგულისხმოა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ყარაჩა-ბალყარეთის ტერიტორიაზე, თითქმის მდ. თერგამდე ანტიკური ხანიდან სვანთა განსახლება დასტურდება. იქ მოსახლე სვანები წყაროებში მოიხსენიებიან „სონ“-თა და „შშან“-თა სახელწოდებით¹⁴¹. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ისეთი მკვიდრი მოსახლეობა, როგორც ადიღეელები და ყაბარდოელები არიან, სვანების მიმართ ხმარობენ ტერმინს „სონა“¹⁴², რაც ჩვენი აზრით „წანა“ ეთნონიმის იდენტურია.

წანარების შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული იოანე დრასხანაკერტელის (IX—X სს.) „სომხეთის ისტორიაში“. აღნიშნული ავტორის ცნობით, სუმბატმა (დაიმორჩილა) გუგარელნი და წანარნი ალანთა კარამდის და მათი მცველი კარის სიმაგრე თავად აიღო“¹⁴³.

იგივე სომეხი ავტორი გვაწვდის მეორე ცნობასაც იმის შესახებ, რომ „წანართა დიდი ქორეპისკოპოსი ალანთა კარის ახლოს გუგარეთის ნაწილს ფლობდა“¹⁴⁴.

ეს ცნობაც წანართა განსაკუთრებულ პრიორიტეტზე მეტყველებს. წანარების შესახებ ცნობას გვაწვდის X ს. სომეხი ისტორიკოსი უხტანესი: „ურიცხვია სახელი თითოეული გვარისა, რომლებიც მის გარშემოა, და სხვა გვარებისა ქალაქ თბილისის გარშემო, რომელთაც ეწოდებათ წანარეთი, ჭავახეთი, თრიალეთი“¹⁴⁵.

¹⁴¹ თ. მიზიუანი, დასახ. ნაშრომი.

¹⁴² Кабардино-русский словарь, М., 1957, с. 330.

¹⁴³ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (თარგმანი, გამოკვლევა და საძიებელი ეკუთვნის ე. ცაგარეიშვილს), თბ., 1965, გვ. 64.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 233—234.

¹⁴⁵ უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 65.

ამ ცნობის მიხედვით, წანარეთი ფართო გეოგრაფიული ცნების აღმნიშვნელია, მასში ჩანს იგულისხმებიან აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები მთლიანად.

XIII ს. სომეხი ავტორის ვარდან დიდის მიხედვით, წანართა ტომის პირვანდელი ადგილსაცხოვრისი კავკასიის მთის ძირას მდებარეობდა და მათ ქვეყანას წანარქი ანუ წანარეთი ეწოდებოდა¹⁴⁶.

VII ს. ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში დაცული ცნობის მიხედვით წანარები მოსახლეობენ წილკნის ანუ წელქანის კარის მიდამოებში. IX—XIII სს. ცნობების მიხედვით, ირკვევა, რომ წანარების განსახლება ალანთა კარის მიდამოებში ლოკალიზდება, მაგრამ მათი გავლენა იგულისხმება გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე. წანარების თავდაპირველი საცხოვრისი თუ კავკასიის მთის ძირას მდებარეობდა (ვარდან დიდი), შემდგომ საუკუნეებში, კერძოდ X ს. უხტანესის ცნობით, თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია მთლიანად წანარეთად არის დასახელებული. ჩვენი აზრით ეს იმის მაუწყებელია, რომ წანართა ტომმა პოლიტიკური ჰეგემონობა მოიპოვა მეზობელ ხალხებზე.

წანარები, რომ მათ მეზობელ ხალხებზე ბატონდებიან, ამაზე მეტყველებს არაბი ავტორის, მასუდის (X ს.) ცნობა, რომელსაც ვ. ფ. მინორსკი ასე თარგმნის: „სასაზღვრო ციხე-სიმაგრე ტფილისსა და უკვე ზემოხსენებულ ციხე-სიმაგრე ალანთა კარს შორის მდებარეობს წანართა სამეფო, რომლის მეფესაც ეწოდება ქორისქუსი... ისინი ქრისტიანები არიან, მაგრამ პრეტენზია აქვთ, რომ თავიანთი თავი წარმოშობით არაბებს დაუკავშირონ... ამ ქვეყანაში ისინი ბატონობენ ადგილობრივ ხალხებზე. წანარეთის სამეფოს იქით მდებარეობს შაქი“¹⁴⁷.

ამ ცნობაში საინტერესოა ისიც, რომ წანარები ქრისტიანები არიან. თუმცა იმავე X ს. სპარსულ ანონიმურ წყაროში, ნათქვამია, რომ წანარები წარმართები იყვნენ¹⁴⁸. ამავე ცნობით, წანარების

¹⁴⁶ Всеобщая история Вардана Великого, Перевел Н. Эмш, М., 1861, с. 126.

¹⁴⁷ В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда X-XI веков, М., 1963, с. 210-211.

¹⁴⁸ «Худуд ал-алам», Рук. Туманского, Введение и указатель В. Бартольда, Л., 1930, с. 33 а.

განსახლების ტერიტორია, ისეთივეა, როგორც ამას მასული განსაზღვრავს, თუმცა ისიც ნათქვამია, რომ მათი ქვეყანა გადაჭიმულია 20 ფარსახი მანძილის სიგრძეზე¹⁴⁹.

რამდენადაც სპარსული ანონიმური წყარო მასულის ცნობებს უნდა ემყარებოდეს, ამდენად, უფრო სარწმუნო არაბი ისტორიკოსის უწყება უნდა იყოს. ანდა ეს იმაზეც მიგვანიშნებს, რომ წანართა ვარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ წარმართული რელიგიის მიმდევარი იყო.

წანარებში რომ აღმ. საქართველოს მთიანეთის (შესაძლოა ნაწილობრივ პარსიაც) მოსახლეობა იჯულისხმებოდა, ამაზე მიგვანიშნებს ბიზანტიელი მწერლის კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობა, რომელიც X ს. შუა ხანებს განეკუთვნება. კონსტანტინე პორფიროგენტი, როცა ჩამოთვლის ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს, ასახელებს წანარებსაც: „აღბანიის ერისთავს; კრევატადთა ერისთავს, ანუ ეგრეთწოდებულ კრევატასს; კედონიის ერისთავს; წანარიის ერისთავებს, — ერისთავს შირვანიისას, რომელიც მდებარეობს ალანიასა და წანარიას შუა“¹⁵⁰.

საინტერესოა, რომ ისეთ დიდ პოლიტიკურ ერთეულს, როგორიც აღბანეთი იყო, ერთი ერისთავი ჰყავდა, წანარებს კი რამდენიმე. როგორც ჩანს X საუკუნისათვის ეთნონიმი „წანარ“ უკვე კრებით სახელად არის ქცეული.

წანარების შესახებ საგულისხმო ცნობები მოგვეპოვება „ქართლის ცხოვრებაში“. ლეონტი მროველი წერს: „მაშინ უკვე წამოდგა წინაშე ასიმიისა მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, რომლისა მამის ძმა მოეკლა წანართა და მკვლელნი მისნი განერივნეს მშვიდობით პაპასა არჩილისსა, ადარნასე მეფესა“¹⁵¹.

ქართლის ერისმთავარი არჩილ სტეფანოზის ძე VIII ს. მოღვაწეა. იგი არაბებმა აწამეს იმისათვის, რომ არ უარყო ქრისტეს რჯული და არ მიიღო დიდება და პატივი არაბებისაგან. ასიმი მამ-

¹⁴⁹ იქვე, გვ. 33ა.

¹⁵⁰ გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 292.

¹⁵¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 246.

მადიანია, მან თავი მოჰკვეთა ქართლის მეფეს. როგორც ჩანს ამ ასიშის ბიძა წანარებს მოუკლავთ. ამ ცნობიდან ჩანს, რომ წანართა ორიენტაცია ქართლის მეფის მხარეზეა.

მემატიანე იქვე შემდეგსაც გვაუწყებს: „მას ეამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისამ, რომელ-იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან. და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსანამდე“¹⁵².

ამ ცნობის მიხედვით წანარები კახეთის მთავრის მხარეზე იბრძვიან. ამ ცნობიდან ისიც ჩანს, რომ აშოტ კურაპალატის დროს (IX ს. პირველი ნახევარი) მთიულეები სხვა ხალხია, წანარები კი-დეც სხვა. ე. ი. საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან.

წანარების შესახებ ცნობას ვხვდებით სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, რომელიც VI—XI საუკუნეებს მოიცავს. სუმბატ დავითის ძე, ეხება რა აფხაზთა და ქართველთა მეფე გიორგი I-ს ბერძენ ბასილ კეისარს შორის ბრძოლის ამბავს, წანარებთან დაკავშირებით წერს: „...გარდავიდა გიორგი თრიალეთად, და მოადგა ბასილიცა თრიალეთადვე. და რა ეახლნეს ერთმანეთსა, კუალად განძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიყვანნა წანარნი და შაქნი“¹⁵³.

ამ ცნობის მიხედვით წანარები ქართველთა და აფხაზთა მეფე გიორგი I-ის მხარეზე იბრძვიან ბერძენთა კეისრის წინააღმდეგ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

როგორც დავინახეთ, წერილობით ისტორიულ წყაროებში წანარები მოიხსენიებიან II—X საუკუნეებში. ისინი ქართველი მეფე-მთავრებისათვის გარკვეულ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

¹⁵² იქვე, გვ. 252—253.

¹⁵³ იქვე, გვ. 383.

უახლოესი ავტორებიდან წანარების ვინაობისა და ლოკალიზაციის საკითხი ყველაზე სრულყოფილად თ. პაპუაშვილმა დაამუშავა. მკვლევარო მიმოიხილავს, რა წანარებზე არსებულ წერილობით ცნობებსა და სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებებს, მათი განსახლების ტერიტორიას ასე წარმოგვიდგენს: „ამგვარად, ზემოთ მოტანილი წერილობითი წყაროების შესწავლისა და მათი ურთიერთ შეჭერების საფუძველზე ნათლად იკვეთება ის არეალი, სადაც „წანარეთის ჯევი“ და აქედან გამომდინარე თვით წანარები უნდა ვივარაუდოთ. ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ წანართა ადგილსამყოფელს დარიალის კარისა და მისი მიმდგომი მთიანეთის რაიონით შემოვფარგლავთ“¹⁵⁴.

ჩვენი აზრითაც, თ. პაპუაშვილი სწორი უნდა იყოს წანართა განსახლების ტერიტორიის განსაზღვრების საკითხში. თუმცა წყაროებში იმის ანარეკლიც არის, რომ თავდაპირველად წანარების განსახლების არეალში დარიალის კარის სექტორში იმიერკავკასიის ტერიტორიის გარკვეული ნაწილიც უნდა იგულისხმებოდეს, ხოლო X საუკუნისათვის, ჩანს, წანარეთის ცნებაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ბარისპირა ზოლიც შედიოდა. ამაზე მიგვანიშნებს თომა არწუნის (IX—X სს.) ცნობა იმის შესახებ, რომ წანარები ცხოვრობენ ჩრდილოეთის მხარეში, ანდა იოანე დრასხანაკერტელის (IX—X სს.) უწყება იმის შესახებ, რომ სუმბატმა დაიმორჩილა გუგარელნი და წანარნი ალანთა კარამდის, ე. ი. დარიალის ხეობამდე. მასუდის (X ს.) ცნობით წანარები უკვე ბატონობენ ადგილობრივ ხალხებზე და მათ სამეფოს იქით მდებარეობს შაქი. მაშასადამე წანართა ცნება სამხრეთის მიმართულებით უფრო შორს წაწეული ჩანს. ამას ადასტურებს უხტანესის (X ს.) ცნობაც, რომელიც თბილისის გარშემო მცხოვრებ გავარებს შორის ასახელებს მხოლოდ სამ პოლიტიკურ ერთეულს: წანარეთს, ჯავახეთს და თრიალეთს. ჯავახეთი და თრიალეთი თბილისის სამხრეთით მდებარე მხარეებია. თბილისის ჩრდილოეთით მდებარე მხარედ მხოლოდ

¹⁵⁴ თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

წანარეთი აქვს დასახლებული. ე. ი. წანარეთი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნიკური გაერთიანების მომცველი ტერმინია ამ შემთხვევაში. მაგრამ წანართა ძირითადი მოსახლეობის ადგილი უნდა ყოფილიყო დარიალის ხეობის რაიონი, საიდანაც ისინი უტევდნენ ბარს, სამხრეთის რაიონებს და იქვემდებარებდნენ კიდევ¹⁵⁵.

აღბათ ეს ჰქონდა მხედველობაში მ. ბროსეს, როდესაც ის წანარებში გულისხმობდა მოსახლეობას, რომელიც გავრცელებული იყო მდ. მტკვარზე, არაგვის შესართავს ქვემოთ, ნუხის ჩრდილოეთით, კერძოდ ელისუს რაიონში, ხოლო აქედან აღმოსავლეთის მიმართულებით ვიდრე დერბენდამდე¹⁵⁶.

ი. მარკვარტიც წანარების განსახლებას ფართო ტერიტორიაზე განსაზღვრავს, კერძოდ თბილისის ჩრდილოეთით მთებში¹⁵⁷.

წანარების განსახლების შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქმუ-

¹⁵⁵ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 43; С. Какабадзе, О племени ЦАНАР, საისტორიო კრებული, 1928, წ. III, გვ. 100—104; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137—150; დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, თბ., 1966, გვ. 103—105; Minorsky, *Hindūdi ō Alam*, 1937, წ. გვ. 144; მისივე, *caucasica*, IV, BSOAS. 1953, Vol. XA part. 3, გვ. 506; მისივე, *История Ширвана и Дербенда*, М., 1963, გვ. 210—211; С. Джанашия, К критике Монгея Хоренского, მას. საქ. და კავკ. ისტ., 1937, წ. 6, გვ. 50; გ. გვასალია, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან (ცხავატი, წილკანი, წანარნი), კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, თბ., 1971; მისივე, არაგვის კარი (დარიალანი), კრებ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976; თ. მიბჩუანი, წანარები, გაზ. „ახალი სენენთი“, 27.03.82 წ.

¹⁵⁶ M. Brosset, *Sur les Dzanars*, Collection d'historiens arméniens, I, SPB, 1876, გვ. 609-613.

¹⁵⁷ J. Marguaret, *Osteuropäische und ostasiatische streifzüge*, Ethnologische und Historisch-Topographische studien, zuz geschicht des 9. und 10. jahrhunders(t) (öca 840-940). Darmstadt, 1961, გვ. 200, 42.

ლი აქვს ს. ერემიანს, რომლის აზრითაც წანარები მოსახლეობდნენ მდ. თერგის სათავეებში, წანარეთის ხევში, რომელიც დარიალის ხეობას უნდა გულისხმობდეს¹⁵⁸.

ასეა თუ ისე, ჩვენთვის მაინც მთავარია წანარების ეთნიკური ვინაობის გამორკვევა, რომელიც დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

წანარების ვინაობის შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებანი: ნ. მარი ეთნონიმ „წანარ“-ს სევანურ ნიადაგზე ხსნიდა. მისი აზრით, აღნიშნული ეთნონიმის ფუძეა „წან“, ხოლო -არ სევანურში მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი. ნ. მარი ამის შემდეგ ცდილობს წანართა ნაკვალევი მოძებნოს მთელ შიდაკავკასიონის ჩრდილო ნაწილში. ამ მიზნით ის ყურადღებას აქცევს ტოპონიმს „ერწო“, რომელიც მას „წან“-ის სახესხვაობად მიაჩნდა, ხოლო „ერ“ პრეფიქსს ადგილის აღმნიშვნელად თვლიდა. ე. ი. „ერწო“ მისი დასკვნით ნიშნავდა „წანართა ქვეყანას“¹⁵⁹.

ნ. მარმა ჯერ კიდევ 1913 წელს წანარები სევანთა ერთ-ერთ ტომად მიიჩნია უალრესად საგულისხმო ეთნო-ტოპონიმიკური მასალის ნიადაგზე¹⁶⁰.

წანარები სევანურ წარმოშობისად მიიჩნია ს. კაკაბაძესაც, რომელიც, აგრეთვე, ეთნონიმ „წანარ“-ს სევანურ ნიადაგზე ხსნიდა¹⁶¹. შაგრამ ს. კაკაბაძე იმასაც აღნიშნავდა, რომ თითქოს აღმ. საქართველოს ქართველები წანარებს უწოდებდნენ სევანებს. რასაკვირვე-

¹⁵⁸ С. Т. Еремян, «Расселение горских народов Кавказа по Птоломее и Армянской географии» VII в., «Труды VII международного конгресса антропологических и этнографических наук», т. 8, М., 1970, с. 405. ს. ერემიანის აზრით, წანარების განსახლების ტერიტორია, ყაზბეგის რაიონსა და მდ. თერგის ზემო დინების აუზში მოიცავდა 945 კმ-ს. იხ. С. Т. Еремян. Армения по Ашхарацуму, Опыт реконструкции карты на современной картографической основе, Ереван, 1963 (იარ. არმ. ენ.).

¹⁵⁹ Н. Я. Марр, К истории передвижения ифетических народов с юга на север Кавказа. «Известия императорской Академии наук», 1916, с. 1397—1398.

¹⁶⁰ Н. Я. Марр. Из поездок в Сваншю. X. В., т. II, вып. I, СПб., 1913, с. 32.

¹⁶¹ С. Н. Какабадзе. О племени ЦАНАР, с. 111, сн. I.

ლია, რომ ქართველები წანარებს უწოდებდნენ სვანთა ერთ-ერთ ტომს, რომლებიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მოხვდა თურგის სათავეებსა და დარიალის ხეობაში, რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებში ალბათ ქართიზაციის პროცესს დაუქვემდებარდა. ამასთანავე, ს. კაკაბაძე მართებულად მიუთითებს, რომ ოსები და გადამთიელები ჩრდილოეთ და ამიერკავკასიაში მოსახლე სვანებს უწოდებდნენ სონებს¹⁶².

ვფიქრობთ, ს. კაკაბაძე სწორია, როცა წანარებს და სონებს სვანებად მიიჩნევს, მაგრამ უმართებულოდ მიგვაჩნია მისი აზრი, თითქოს ქართველები სვანებს საერთოდ წანარებს ეძახდნენ. მაშინაც კი, როცა VII—X სს. წერილობითი წყაროები წანარებს იხსენიებენ, შესაძლოა მათში სვანური ენა უკვე მივიწყებასაა მიცემული და მთლიანად ქართიზირებულნი არიან. ქართიზებული წანარების სვანებთან გაიგივება არაა სწორი. ასევე საეჭვოდ გვეჩვენება ს. კაკაბაძის მოსაზრება იმის შესახებაც, რომ წანარებში მიღებული ტიტული „ქორიკოზი“ უკავშირდებოდეს სვანურ „ქორა ხოშა“-ს (ოჯახის უფროსი)¹⁶³.

ნ. მარისა და ს. კაკაბაძის მიერ გამოთქმული დებულება წანართა სვანური წარმომავლობის შესახებ ახალი ფაქტებითა და დაკვირვებებით განმტკიცებას მოითხოვს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხაზი უნდა გავესვათ ნ. ბერძენიშვილის საინტერესო დაკვირვებას. მეცნიერი, როდესაც ქსნის ხეობისა და წანარეთის დაწინაურებას ესება, იმოწმებს სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ იბერიელთა უპრავლესობა მთაში ცხოვრობდა. „ასე რომ იმ დროიდან და შემდეგ აქ უწყვეტლივ იბერიელები არიან... რომ ქსნის, არაგვის, ივრის, ლიახვის ხეობები სწორედ ამ იბერიელების მიერ დასახლებული ქვეყნებია (ამ მხრივ შესასწავლია ამ ხეობათა ტოპონიმიკა...)“¹⁶⁴. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ნ. ბერძენიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ტოპონიმიკის შესწავლას.

ნ. ბერძენიშვილი იქვე განაგრძობს: „ეს ძველი იბერული მოსახლეობა თავის თავს ქართველს არ უწოდებს და თავის ქვეყანას

¹⁶² Т. Ш. Минчуани, Указ. раб.

¹⁶³ С. Н. Какабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 111, სქ. 1.

¹⁶⁴ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 423.

ქართლში არა სცნობს. ხომ არ არის ეს მოვლენა იმის გადმონაშთი-
გამონაძახი, რომ იბერიელნი სხვა იყვნენ და ქართი სხვა, რომ ქარ-
თნი უფრო გვიან მოვიდნენ, ბარის იბერიელთა ადგილი დაიჭირეს,
ხოლო მთიანეთი იბერთა გადაურჩა მათ?.. ეს ქართვები ამ იბერი-
ელთ მონათესავე ტომია. როდის ხდება ეს პროცესი, საიდან მოი-
წვევენ ქართვები, ეს საძიებელია, მაგრამ ქართვები რომ „მოდიან“, ეს
ტრადიციითაც რომაა გადმოცემული, ეს ყველაფერი კრიტიკულად
შესასწავლია და დასადგენი“...¹⁶⁵.

სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიელთა უმრავლესო-
ბა მთაში ცხოვრობდა და მასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილის
შემოთ მოტანილი მოსაზრება საყურადღებოა, მით უფრო, რომ
აგივე სტრაბონი, როცა სვანებზე ცნობებს გვაწვდის ერთგან წერს:
„Некоторые называют их (ე. ი. სვანებს თ. მ.) иберицами“¹⁶⁶.

თუ წანარები სტრაბონის ხანაში (ძვ. წ. 64—ახ. 24) სვანურ ეთ-
ნიკურ წრეს ეკუთვნოდნენ, მაშინ მისი ცნობა მათ იბერომაზე წა-
ნარებზეც უნდა ვრცელდებოდეს, მითუმეტეს, რომ სტრაბონის
ცნობით სვანები „ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავ-
კასიონის მწვერვალები“¹⁶⁷.

შემდგომ წანარები თანდათან „ესახლებიან მთიდან კახეთის
(შემდგომი დროის კახეთის) დაბლობში და ამისდა კვალად წაი-
რეთ იც თანდათან იცვლის ტერიტორიას, ფართოვდება აღმოსავ-
ლეთისაკენ“¹⁶⁸.

სვანეთში, მესტიასა და მულახს შორის მდებარე საულელტეხი-
ლო მთას ეწოდება კახჯრ, ხოლო სვანური თქმულების გმირი კა-
ხან ჰარაშის ხეობაში (ლატალ-ლენჯერის ტერიტორიაზე) კლავს
ურჩხულს, რომელიც დიდ ზარალს აყენებდა მოსახლეობას, თქმუ-
ლების მიხედვით ეს ურჩხული შემოხვეოდა მუხას, რომელზედაც
ოქროს წიგნი იღო¹⁶⁹. აღსანიშნავია, ისიც, რომ სვანი კახიანები
და ქურდიანები თავიანთ წარმომავლობას კახეთს უკავშირებენ.

¹⁶⁵ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 423—424.

¹⁶⁶ Странон. География, М., 1964, с. 473.

¹⁶⁷ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 19;

¹⁶⁸ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

¹⁶⁹ თ. მიბჩუანი, ჰარაშის საიდუმლოება, გაზ. „ახალი სვანეთი“, 19.22.V. 1979, № 59, 60.

სხვათა შორის „ქურდიან“ გვართან დაკავშირებით საყურად-
ღებოა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება. მეცნიერის სიტყვით, „ქურ-
დოვანიძე, ქურდიანი, ქურდთა, ნაქურდვეი“ შეიძლება ნაწარმოე-
ბი იყოს სატომო სახელისაგან „ქურდნი“. ეს ქურდნი ერთ-ერთი
ტომი იყო (იბერიულ-კავკასიური) და ისტორიულ ხანაში (ჩვენ
თვალწინ) დებედას ხეობიდან შაქი-შამახიის მიდამოებში გადაიწ.
ასეთივე ძვირფასი დასკვნების გაკეთების უფლებას მოგვცემდა და-
სავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის გათვალისწინება“¹⁷⁰.

როგორც ჩანს, ქურდთა ტომი წანართა განსახლების ტერიტო-
რიაზე მოსახლეობდა და შესაძლოა ზოგჯერ ისინი წანართა სახელ-
ქვეშ იგულისხმებიან.

დასახლებული ფაქტები სვანეთსა და კახეთს შორის რაღაც ეთ-
ნიკური ურთიერთობის სინამდვილეზე მიგვანიშნებს. ამ საკითხთან
დაკავშირებით ივ. ჭავჭავიძისა და რომელიღაც საგულისხმო მო-
ნაცემები აქვს მხედველობაში, რამაც მას ასეთი აზრის გამოთქმის
უფლება მისცა: „სვანებს თავდაპირველად შეეკვლია ახლანდელზე
შეტი მიწა-წყალი უნდა სქეროდათ და მრავალი სხვა საბუთიც სვა-
ნეთსა და კახეთს ერთმანეთს უახლოებს... მაგრამ რა საზღვრები
ქონდა სვანეთს VIII—XII სს., სამწუხაროდ არ ჩანს“¹⁷¹.

როცა საუბარია ერთმანეთისაგან ასეთ დიდ მანძილზე დაშორე-
ბულ მხარეების სიახლოვეზე, მაშინ ბუნებრივია ისმება კითხვა:
სვანეთი დასავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს, კახეთი
კი აღმოსავლეთის, მაშ, სად ვეძიოთ მათ შორის საკომუნიკაციო
გზები და ურთიერთსამოკავშირეო ტერიტორია?

ასეთ ტერიტორიას წარმოადგენდა იმიერკავკასიის მთის ზოლი
მდ. ყუბანის სათავეებიდან მდ. თერგის სათავეებამდე. აღნიშნულ
ტერიტორიაზე დადასტურებულია სვანთა განსახლება ანტიკური
ხანიდან გვიანშუასაუკუნეებამდე¹⁷².

როგორც ჩანს, იმიერკავკასიის ამ მთის ზოლში მოსახლე სვან-
თა ერთ-ერთი ტომი გადმოდის დარიალის ხეობაში, და გარკვეულ
პოლიტიკურ ერთეულად იქცევა აღმოსავლეთ საქართველოს მთია-

¹⁷⁰ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

¹⁷¹ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, 83-51.

¹⁷² Т. Ш. Мнбчуани, დასახ. ნაშრომი.

ნეთში. ესენი არიან წანარები. როგორც იმიერკავკასიის მთის ზოლში მოსახლე სვანები გაითქვიფნენ ბარიდან მთისაკენ მოწოლილ იმიერკავკასიის ხალხებში, ასევე მთაინთქნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან ბარისაკენ წამოწეული წანარები ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობაში. ამ სვანურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა თავისი კვალი დატოვა ხსენებული ტერიტორიის ტოპონიმიკაში, გვარსახელებში, წერილობით წყაროებში, მატერიალურ კულტურაში, ხალხის მეხსიერებაში — ფოლკლორში.

ამ უკანასკნელი ხანის გამოკვლევებით დასტურდება სვანური ტოპონიმების არსებობა დარიალისა და არაგვის ხეობებში¹⁷³, სადაც ადგილი ჰქონდა წანართა დასახლებას.

თვით ხეობის სახელწოდება არაგვი, მხოლოდ და მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით შეიძლება აიხსნას. სვანურად „არა-გვი“ ნიშნავს რვა გულს („არა“-რვა, „გვი“-გული).

„არაგვი“ ისეთივე ტიპის ტოპონიმთა რიგს ეკუთვნის, როგორიც არის ცხრაძმითი, ცხრაძმა (მღ. მღ. ლიახვისა და ქსნის სათავეებში) ცხრაძმისხევი, ცხრაძმულა, ცხრაწყარო და სხვა.¹⁷⁴

თერგის სათავეებში მდებარე სოფ. ტყარშეტის ტერიტორიაზე ერთ საძოვარსა და სათიბს ჰქვია „კაჩა“. ტოპონიმი სვანურ სიტყვა „კაჩ“-ს მოგვაგონებს, რაც ნიშნავს ფერდობს, დამრეცს, აღმართს.

ადგილობრივნი „კაჩაჲ“-ს ეძახიან წვივის ძვალს¹⁷⁵, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი სვანურ ენაზე ახსნა უფრო შეეფერება აღნიშნული ადგილის გეოგრაფიულ გარემოს, ვიდრე დაუკავშიროთ წვივის ძვალს.

როგორც ვ. ითონიშვილი წერს, კაჩაჲს ტერიტორიაზე მიუთი-

¹⁷³ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 25, 46, 47, 57, 63, 64, 66, 67, 76, 77, 130, 158, 164, 171.

¹⁷⁴ არის მოსაზრება, იმის შესახებ, რომ Aragwi და Rioni ერთი ფუძისაგან წარმოშობილი ინდოევროპული ტოპონიმებია, იხ. Л. Ю. Асатнани, К этимологии грузинских гидронимов Rioni i Aragwi, тб.: «Ономастика Кавказа», Орджоникидзе, 1980, с. 96—101.

¹⁷⁵ ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

თებენ ნასახლარების არსებობაზე¹⁷⁶, რაც მისი წარმოშობის სეანურ ვერსიას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

სხვათა შორის თვით ხსენებული სოფლის სახელი „ტყარშეტი“-ს პირველი ნაწილი „ტყარ“ სვანურად ნიშნავს შედარებით ვრცელ, გაშლილ ადგილს (სვან. „ტყარ-ადგილ“).

თერგის სათავეების სოფ. ხურთისის ტერიტორიაზე ერთ საძოვარს ჰქვია „ლაღმუთი“¹⁷⁷, რაც ახლოს დგას დაბა მესტიაში ერთი სოფლის სახელთან — „ლაღამ“.

იქვე მესობელი სოფლის ფხელშ-გორისციხეს ტერიტორიაზე საძოვარსა და სათიბს ეწოდება „ბაჯა“¹⁷⁸. სვანურად „ბაჯ“ ორ მთას, ორ კლდეს, ან მოპირდაპირე გორებს შორის მდებარე ადგილს ჰქვია.

სოფელ გველეთში ერთ საძოვარ ადგილს ჰქვია „ღაბა“¹⁷⁹. ამ ტოპონიმთან დაკავშირებით ვ. ითონიშვილი წერს: „თუ რატომ ეწოდა ამ ადგილს დაბა, ხალხური მასალა ამაზე პასუხს არ იძლევა. იმის თქმაც ძნელია, თუ რა კავშირშია ეს ტოპონიმი ვახუშტის მიერ დაბად წოდებულ სოფ. გველეთთან, საიდანაც დღევანდელი „ღაბა“ კილომეტრითაა დაშორებული“¹⁸⁰.

როგორც ცნობილია, სვანურში „ღაბ“ ყანას ეწოდება. ივ. ჭავჭავაძის აზრით, დასახლებულ ადგილს თავდაპირველად „სოფელი“ ეწოდებოდა, ხოლო VIII ს. მოყოლებული ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა და დაბას უდრიდა. მეცნიერი იქვე წერს: „როდესაც „ღაბა“ და „სოფელი“ ერთსა და იმავე დროს იხმარებოდა, ჰქონდათ რაიმე განსხვავება მათ, თუ ერთსა და და იმავეს აღნიშნავდნენ, არ ჩანს“¹⁸¹.

ამგვარად. ქვეყანას „სოფელი“ ეწოდებოდა, სოფელს „ღაბა“, ხოლო VIII ს-დან შემოდის ხმარებაში „ქუეყანა“¹⁸².

ჩვენი აზრით, გველეთის „ღაბა“ იმ შინაარსის მომცველი უნ-

¹⁷⁶ იქვე, გვ. 86.

¹⁷⁷ იქვე, გვ. 16.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 18.

¹⁷⁹ იქვე, გვ. 34.

¹⁸⁰ იქვე, გვ. 144.

¹⁸¹ ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 14—15.

¹⁸² იქვე, გვ. 6.

და ყოფილიყო, როგორც ის განიმარტება სევანურ ენაზე. რადღან საყველევ ობიექტში არც სოფლის და არც დაბის კვალი არ დასტურდება.

ღარიალის ხეობაში, სოფ. ქოსელის ტერიტორიაზე ერთ საძოვარსა და სახნავს ჰქვია „კაჩა“¹⁸³. ტოპონიმს ახსნა არ ახლავს. სევანურად „კაჩა“ ჰქვია გაცვეთას, გაცვეთილს, ხრიოკ ადგილს.

ერწო-თიანეთის ტოპონიმიდან საყურადღებოა: ბაჩალი, დოლოშა, იორი, ლარეები, ლიჩანური, ხაიშო, ხოშარა.

„ბაჩალი“ ნასახლარს ჰქვია მდ. იურის სათავეებში (არტნის სას. საბჭო). მისი ეტიმოლოგია უცნობია¹⁸⁴. „ბაჩარ“ სევანურად ქვეან ადგილს ნიშნავს. ერთნაირი ფონეტიკური შედგენილობა ამ სიტყვებისა მათ იდენტურობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

„დოლოშა“ დუშეთისა და თიანეთის საზღვარზე ჰქვია მთას, საძოვარს, ტყეს¹⁸⁵. „დოლოშა“ ისეთი წარმოებისაა, როგორც სევანურისათვის დამახასიათებელი პატრიონიმული სახელები: გეგიშა (გეგიაწა), ბედაშა (ბედიანთ), ბაპშა (ბაპიანთ) და ა. შ. ეს მით უფრო საკულისხმოა, რომ მსგავსი წარმოების ტოპონიმი არც ხევში და არც ერწო-თიანეთში არ დასტურდება. ამიტომ შესაძლოა „დოლოშა“ მართლაც იყოს პატრიონიმული წარმოშობის ტოპონიმი. მაშინ აღნიშნული ტოპონიმი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი მოსახელე მთა. ტყე, საძოვარი ოდესღაც ეკუთვნოდათ „დოლოშა“ ოჯახს. ანალოგიური შინაარსის ტოპონიმებია (არა სევანური წარმოების): „დოლიანთ დეღე — საძოვარი, სახნავი (სოფ. დულუზაურები)“, „დონდუანთ ახო“ — სახნავი, საძოვარი (ს. ნადოკრა)¹⁸⁶ და ა. შ.

„იორი“ — ერწო-თიანეთის მთავარი მდინარე. იორის ეტიმოლოგიით არაერთი სპეციალისტი დაინტერესებულა, მაგრამ მისი წარმოშობა დღესაც გაურკვეველია¹⁸⁷. „იორი“ სევანურად ორს ნიშნავს. სხვათა შორის ვახუშტი ბატონიშვილი ამ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიას ორს უკავშირებს. ამ კონცეფციამ საკმაოდ გავრცე-

¹⁸³ ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

¹⁸⁴ გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმი, თბ., 1980, გვ. 78—79.

¹⁸⁵ იქვე, გვ. 95.

¹⁸⁶ იქვე.

¹⁸⁷ იქვე, გვ. 114—116.

ლებაც ჰპოვა. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა, რომ ამ მდინარემ სახელი მიიღო გაორების გამო, ვინაიდან ერთი სახელი აქვს ორ მდინარეს, იორს და მცირე ალაზანს¹⁸⁸.

ვ. ბატონიშვილი სწორი უნდა იყოს, ოღონდ მოცემული ჰიდრონიმი უკავშირდება არა ქართულ „ორს“ არამედ სვანურ „იორი“-ს. ვფიქრობთ, რომ თავდაპირველი სახელი ამ მდინარისა იყო „იორი ჰალაჲ“ (ორი მდინარე), მსგავსად ისეთი გეოგრაფიული სახელები-სა როგორც არის: „ორხევი“ — სოფ. თიანეთის რ-ში, „ორწყალნი“ — ადგილი ს. გველეთში (თერგის სათავეები), ან „იორი ლუცნესგა“ (სვან. ორწყალს შუა) — სოფ. აფხაზეთის სვანეთში (გულრიფშის რ-ნი) და ა. შ. რამდენადაც დროთა განმავლობაში „ჰალა“ („ჰალაჲ“) ხმარებიდან ამოვარდა, მდინარეს სახელად შერჩა მხოლოდ „იორი“ — ე. ი. სვ. ორი.

თუ ჩვენი მოსაზრების გაზიარება შეიძლება, მაშინ ამ მდინარეს ეს სახელი უნდა მიეღო წინართა სვანურენოვანი ტომისაგან. მანამდე იგი ალბათ სხვა სახელს ატარებდა, თუმცა გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მდ. იორის უფრო ძველი სახელწოდება უნდა ყოფილიყო **ჰერწუხი**, რაც „ჰერების სალოცავ წყალს“ უნდა ნიშნავდეს¹⁸⁹.

„ხაიშო“ სოფელია თიანეთის ჩრდილო-დასავლეთით (ახალსოფლის სას. საბჭო). ეტიმოლოგია გაურკვეველია¹⁹⁰. გ. ბედოშვილის აზრით, იგი ნახურ-შო მაწარმოებლიან სახელთა რიცხვს შეიძლება ეკუთვნოდეს (შდრ. ლიშო, ჭანიშო, ხარტიშო, ჭეშო, აფშო...). მაგრამ ტოპონიმის ფუძე „ხაი“ გაუგებარი რჩება. ზემო სვანეთში ერთ სოფელსა და ენგურის ხეობის გარკვეულ ტერიტორიას, აგრეთვე ეწოდება „ხაიშ“, რაც ალბათ მომდინარეობს სვანურა სიტყვიდან „ჭანიშ“ — ე. ი. ადგილი, სადაც მხოლოდ ხარებს უშვებდნენ. სვანეთში ასეთი ადგილები სხვაც ბევრია, თუმცა ეს ტოპონიმი ერთადერთია.

„ხოშარა“ ნასოფლარს ჰქვია თიანეთის რაიონში. მისი ეტიმო-

¹⁸⁸ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით), თბ., 1941, გვ. 88).

¹⁸⁹ გ. ბედოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

¹⁹⁰ იქვე, გვ. 209.

ლოგია გაურკვეველია. ამ ტოპონიმთან დაკავშირებით გ. ბედო-
შვილს ასეთი შინაარსის ძველი ხალხური ლექსი მოჰყავს:

„შვილო ნუ ჩახვალ ხოშარას,
ხოშარა ეკლიანია;
ჩახვალ და ვედარ ამოხვალ,
იქით ამოსვლა ძნელია“ 191.

სვანულად „ხოშა“ დიდს ნიშნავს. -რა, -არ, -ერ სვანურში მრავ-
ლობითობის ძველი ფორმაა (მ. ქალდანი). ამდენად „ხოშარა“ სვა-
ნურად ნიშნავს უფროსთა, დიდებულთა სამფლობელოს.

აღნიშნულ რეგიონში სვანურ-ზანური ტოპონიმებას გავრცე-
ლების შესახებ საყურადღებო დაკვირვებები აქვს ჯ. გვასალიას.
მისი აზრით სვანური წარმოშობის ჩანს სახელწოდება „ისროლი“,
სადაც ფუძეა „ისრა“, რაც სვანურად ისლს ნიშნავს. სვანურისავე
კუთვნილებად მიაჩნია „ფაჩური“ და „ლაფაჩი“, რომელთა ფუძე
„ფაჩ“ სვანურად ცაცხვის სახელია. ლაფაჩი ქართულად ითარგმნე-
ბა, როგორც საცაცხვე. მკვლევარს სვანური წარმოშობისად მიაჩ-
ნია, აგრეთვე, „კოჯორი“ — დიდი ლიახვის სათავეებში (როკის
ხეობა). „კოჯ“ სვანურად ნიშნავს კლდეს, — ორ სუფიქსია, რაც
ეკვივალენტია სვანურში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი
არ/ერ სუფიქსისა 192.

ჯ. გვასალია საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს ტოპონიმ
„საცხუმეთის“ შესახებ, რომელიც VII ს-ის სომხური გეოგრაფი-
ის მიხედვით პატარა ლიახვის თემს მიეკუთვნება. საცხუმეთი ასე
დაიწოდება: „სა-ცხუმ-ეთ-ი, სადაც „ცხუმ“ ფუძეა, ხოლო სა-ეთ
აღგილის სახელწოდების ქართული მაწარმოებლები. „ცხუმ“ სვა-
ნურში რცხილას ნიშნავს 193. საცხუმეთის ოლქის ბოლოში გვაქვს
ტოპონიმი ცხინვალი (ქრცხინვალი), რომელიც ქართულ რცხილა-
დან წარმოშობილი ჩანს. მაშასადამე, წერს ჯ. გვასალია, გვაქვს ერ-
თმანეთის გვერდით არსებული ერთი და იმავე შინაარსის ქართუ-
ლი და სვანური ტოპონიმები. მისივე სიტყვით ქართულ-სვანურის
მიხედვით ჩანს ნაწარმოები ტოპონიმი ლარგვისი. მისი ძველი
ფორმაა „ლარგუ“. ლარგვისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთიან

191 იქვე, გვ. 213.

192 ჯ. გვასალია დასახ. ნაშრომი, გვ. 165—166.

193 იქვე, გვ. 166.

ფერდს ეწოდება „ლაგური“. ამ ტოპონიმში „ლა“ სვანური პრეფიქსია. ჯ. გვასალიას აზრით, ფუძე „გურ“ სვანურად ნიშნავს შუა ადგილს¹⁹¹.

შემდეგ ჯ. გვასალია წერს: „მთიულეთ-გუდამაყარში მთებსა და საძოვრებს ჰქვია „სონთი“ („სონთა“, „სონთიანთი“). თუ გავიხსენებთ, რომ მთბულური კილოსათვის დამახასიათებელია ვა კომპლექსის შეცვლა ო-თი, მაშინ აღნიშნულ ტოპონიმებში ადვილად შეგვიძინავთ სვანთა ტომობრივ სახელწოდებას. სვანები სვანეთს უწოდებენ შტან-ს. თრუსოს ხეობას ოსურა მოსახლეობა ხევს უწოდებს შანას. ხევშივეა მთა შუანა. კლავჯოს პტოლემეაიოსი მდინარე თერგს უწოდებს „სონი“-ს¹⁹². ასეთივე საყურადღებო მოსაზრებები აქვს მკვლევარს აღნიშნულ ტერიტორიაზე ზანური ტოპონიმების საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, სვანურ-ზანური ტოპონიმების დღემდე არსებობა აღნიშნულ, რეგიონში, რომელიც შიდა ქართლამდე ვრცელდება, წინართა ეთნიკური ვინაობას ერთ-ერთ განმსაზღვრელ არგუმენტად უნდა მივიჩნიოთ, რამეთუ მატერიალური კულტურის მსგავსებასთან ერთად. ქართულ-ზანურ-სვანური ტოპონიმოკური შეხვედრები მხარს უჭერენ სიტყვათა წარმოქმნის საფუძველზე მიღებულ დასკვნას უძველესი ქართველური ტომების კავკასიონზე ლოკალიზაციის შესახებ¹⁹³. ჯ. გვასალიას მოსაზრებით, შესაძლებელია შიდა ქართლი მიმდებარე მხარეებით წარმოადგენდეს იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინარე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად¹⁹⁷.

როგორც თ. მიქელაძე შენიშნავს: „...თვით ქართლის ზოგ ტოპონიმშიც კი მოისმის სვანურის გამოძახილი. ასეთთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს სახელწოდება კოჯორი, რომელშიც თავს იჩენს სვანური კლდის აღმნიშვნელი სიტყვა კოჯ“¹⁹⁹. „კოჯორ“ ჰქვია ერთ ადგილს ახმეტის რაიონშიც.

გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე სვანური ელემენტის შემ-

¹⁹¹ იქვე, გვ. 166.

¹⁹⁶ იქვე, გვ. 168.

¹⁹¹ იქვე.

¹⁹⁷ იქვე.

¹⁹⁸ თ. მიქელაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.

ცველა ტოპონიმების არსებობა გარდაბნელ წანართა სვანურენოვანობის დადასტურებად მიგვაჩნია. თუმცა ანალოგიური ხასიათის ტოპონიმების გავრცელების არეალი მხოლოდ გარდაბნის რაიონით არ შემოიფარგლება.

ჩვენი აზრით, სვანური ელემენტი ჩანს ტოპონიმში „ლაგოდეხი“ (ლა-გოდე-ხი), სადაც ლა- სვანურ პრეფიქსს მოგვაგონებს. „ლაგოდა“ სვანურად საგოდებელს ნიშნავს. ამ ტოპონიმის სიძველეზე უნდა მიგვანიშნებდეს მასში-ხი ძველი სუფიქსის შემონახულობა.

არანაკლებ საგულისხმოა გეოგრაფიული სახელი „უჯარმა“, „უჯარმის ხევი“. ამ ტოპონიმის სვანურ ნიადაგზე ახსნა ადვილად ხერხდება. სვანურად „უჯარ“ გველნარ ადგილს ნიშნავს, ანუ იგი სვანურად ისევე უღერს, როგორც ქართულში გეოგრაფიული სახელი გველეთი, მაგრამ სვანურის თვალსაზრისით არაფერს გვეუბნება ტოპონიმის დაბოლოება -მა.

გველეთი დღემდე ეწოდება ადგილს თერგის სათავეებში, სადაც წანარები მოსახლეობდნენ. შესაძლოა წარსულში ამ ადგილსაც „უჯარმა“ ერქვა, რომელიც შემდგომ პირდაპირ იქნა თარგმნილი. აქედან უჯარმის ხეობაში აღნიშნული ტოპონიმის გადატანა, წანართა იქ მიგრაციით შეიძლება აიხსნას. შესაძლოა -მა სუფიქსი წანართა დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმანტი იყოს.

უჯარმა აღნიშნული ადგილის ძველი სახელწოდებაა. პირველად უჯარმა მოიხსენიება ლეონტა მროველის მიერ, მირიან მეფის დროს, ე. ი. IV ს.,¹⁹⁹ თუმცა იმავე ავტორის ცნობით, ციხე-ქალაქი უჯარმა ააშენა მირიანის წინამორბედმა მეფემ ასფაგურმა²⁰⁰. უჯარმაში იჯდა ვახტანგ გორგასალიც.

ლეონტი მროველი XI ს. ნწერაში, მის დროს უჯარმა ცხადია ამ სახელს ატარებდა, მაგრამ გარდა მროველის ცნობისა, ჩვენ სხვა წყარო არ გავაჩნია, იმის შესახებ, ერქვა თუ არა მას ეს სახელი IV ს-ში.

მართალია, პტოლემეაიოსი I ს-ში წანარებს ალბანიის იქით მოიხსენიებს, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ისინი მაინც-დამაინც უჯარმის ხევიში ვიგულისხმოთ.

¹⁹⁹ ქც. I, გვ. 71.

²⁰⁰ იქვე, გვ. 59.

არანაკლებ საინტერესოა გეოგრაფიული სახელი „ქსანი“. სვანურში ერთ-ერთ ბალახს ჰქვია „მექსანი“²⁰¹. ქართულში ამ ბალახს ეწოდება მამულა, черныбыльник, бонилюк, забудки, полиция обихновенная Artemisia vulgaris L. მხვ. სურო; მთ. სერნა, საფეკენელა, სურო-ბალახი; თუშ. ჯორკუდა, ფურთკუდა; ხევს., ერწო, ავშანი²⁰²; გურ. მურალა ბალახი, აბზინდა; აჭ. გიაუროთი; მეგრ. ოშაშურია, აბზინდა, სენ. ვოქსოლა, მექსანი²⁰³.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ბალახის სვანურ სახელწოდებაში მე — მაწარმოებელი პრეფიქსი ჩანს. სვანურში მე-პრეფიქსი მართლაც არსებობს, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს (მეზან—ზანელი (მეგრელი), მექრთველ — ქართველი, მერაჭ — რაჭველი, მეკალ—კალელი, მემაღან—მულახელი და ა.შ.).

როგორც ვხედავთ, სვანურში მე-პრეფიქსი სადაურობის აღმნიშვნელი ფორმანტია და შინაარსობრივად ქართულ-ელ სუფიქსს უტოლდება.

ძნელია იმის თქმა, თუ რატომ ატარებს ეს ბალახი ასეთ სახელს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მასში ჩანს ტერმინი „ქსანი“, აღმ. საქართველოს მთის მდინარის სახელწოდება, რომლის სათავეებშიაც წანართა განსახლებას ჰქონდა ადგილი.

ყოველივე ამის შემდეგ არ შეიძლება კვლავ არ გაგვახსენდეს დიდი ივანე ჭავჭავაძის სიტყვები: „სვანებს თავდაპირველად უმეკველია ეხლანდელზე მეტი მიწა-წყალი უნდა სჭეროდათ და მრავალი სხვა საბუთიც სვანეთსა და კახეთს ერთიერთმანეთს უაზლოებს“.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ შორეულ წარსულში წანართა სვანური ტომის გარკვეული ნაწილი სვანეთში, კერძოდ ენგურის ხეობაში არ დაბრუნებულყო, ისევე როგორც ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე სვანთა ნაწილობრივ გადმოსვლას ამიერკავკასიის სვანეთში — დღევანდელ მესტიისა და ლენტეხის რაიონებში²⁰⁴. ამ თვალსაზრისით საყურადღე-

²⁰¹ ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 167.

²⁰² გავიხსენოთ, რომ ერწო-ს ნ. მარი „წანარ“-ს უკავშირებდა (იხ. ზემოთ)

²⁰³ ა. მაყაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

²⁰⁴ თ. მიბზუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1996.

ბოა ბ. ნიქარაძის მიერ 1887 წელს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული სვანური გადმოცემა უშგულში თუშების ოდესლაც მოსახლეობის შესახებ. აი, ეს გადმოცემა: „თავისუფალ სვანეთში, უშკულ-ს საზოგადოებაში არის ერთი ადგილი, სოფლის მახლობლად, რომელსაც დღემდე ორი სახელი აქვს: „თუშრენამზიგე“ (თუშების ნამოსახლარი), ან „თუშრე ზუგვარ“ (თუშების გორები). აქ ძველად თუშები ცხოვრობდნენ თურქე და ყველანი ერთ თემს (გვარეულობას) შეადგენდნენ. ეს თემი ისეთი უკუღმართი და კუჰატიანი ყოფილა, რომ სოფლელებისათვის თავი მოუბეზრებია. უშკულს განუჩრახავს მათი ღალატი, ამოწყვეტა. ამგვარი განზრახვა უშკულელებისა თუშების ნათესავ ქალს გაუგია და შეუტყობინებია მათთვის. თუშებს შეშინებიათ ამოწყვეტისა. აბარებულან ერთ ღამეს ქალიან-ბავშვიანად და საქართველოს კეისართან²⁰⁵ მისულან, რომლისთვისაც სამოსახლო ადგილი უთხოვიათ. საქართველოს კეისარს რომ დაუნახავს მამაცი და მოსულის ტანის თუშნი, სიამოვნებით მიუღია მათი თხოვნა და დაუსახლებია თავის საკეისროს იმ კუთხეში, საიდგანაც მტრების შემოსევის შიში ჰქონდა ხოლმე, ე. ი. იქ, სადაც დღეს არიან დაბინავებულნი; ახალ სამშობლოში თუშები გამრავლებულან და კეისრის საყვარელნი და უძლეველნი მეომარნი გამხდარან“²⁰⁶.

რა გარემოება შეიძლება ასახულიყო ამ გადმოცემაში? როგორც აღვნიშნეთ, დღევანდელ თუშების განსახლების ტერიტორიაზე ოდესლაც წანართა მოსახლეობა ბინადრობდა. ჩვენთვის გაურკვეველ პერიოდში წანართა ერთი ნაწილი, რაღაც მიზეზის გამო შესაძლოა დაბრუნდა ზ. სვანეთში, თვისტომთა შორის ნახა თავშესაფარი. უშგულელებმა თუშების ისტორიული მხარიდან დაბრუნებულ სვან-წანარებს (რომლებმაც უკვე სვანური ენა იქნებ არც იცოდნენ) თუშები უწოდეს, ხოლო მათ დასახლებას თუშების სა-მოსახლო, ან თუშების ზეგანი, გორები²⁰⁷. თუშებში ასიმილირებულ

²⁰⁵ სვანები „ხელმწიფეს“, „მეფეს“ კეისარს უწოდებდნენ, მათ შორის საქართველოს მეფეებსაც, გარდა თამარისა (ბ. ნიქარაძის შენიშვნა).

²⁰⁶ ბ. ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 148—149.

²⁰⁷ საქიროა ამ ადგილებში არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოების წარმოება.

თუშ-წანარებსა და უშგულელებს შორის ჩანს ვერ აეწყო მეზობლობა, რის გამოც თუშები (სვან-წანარები) ისევ დაუბრუნდნენ თავიანთ კუთხეს, რამაც ალბათ საქართველოს მეფის ჩარევის აუცილებლობა გამოიწვია.

გადმოცემა გადმოცემაა, მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზი რომელიღაც რეალური ვითარების წიაღში უნდა ვეძიოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წანართა ეთნიკური ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ნ. მარი მათ სვანურ წარმოშობისად თვლიდა. იმავე აზრის იყო ს. კაკაბაძე (იხ. ზემოთ). ა. გენკო კი მათ ვეინახურ ეთნიკურ წრეს აკუთვნებდა²⁰⁸. ვ. ბარტოლდმა წამოაყენა დებულება წანარების ჩრდილო დაღისტნის ხალხებთან გენეტიკური კავშირის შესახებ²⁰⁹. ვ. მინორსკიმ „წანარ“ ეთნონიმი ვეინახური წარმოშობის ტერმინად მიიჩნია²¹⁰. წანარების სვანური წარმომავლობის ვერსიას იზიარებს ჯ. გვასალია²¹¹. ა. ნოვოსელცევმა ვარაუდი გამოთქვა წანარების ვეინახური წარმოშობის შესახებ, აგრეთვე არ გამორიცხავს მათ ნათესაობას თუშებთან²¹².

ნ. ვოლკოვა, როცა წანარებზე მსჯელობს, ეყრდნობა კლასრატის უაღრესად საინტერესო ცნობებს, რომლის მიხედვითაც ოსები მოხვევებს უწოდებდნენ „წონა“-ს, ხოლო დარიალსა და კობს შორის მდებარე რაიონს „სონა“-ს ან „სენა“-ს²¹³. პენრიხ-იფლუს კლასრატმა (1783—1835) ორჯერ იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში—1807 და 1808 წლებში. ამავე წლებში იყო საქართველოშიც.

²⁰⁸ А. Н. Генко. Из культурного прошлого Ингушей, «Вестник Коллегии востоковедов при Азиатском музее АН СССР», т. V, 1930, с. 706.

²⁰⁹ «Худуд ат-Алам» ..., с. 33а.

²¹⁰ В. Ф. Минорский. Указ. раб., с. 210-211. Стр. 100.

²¹¹ ჯ. გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 59, № 3, 1970, გვ. 753; მისივე, მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, კავკასიის ეთნოგრაფიული კვებულები, III, თბ., 1971; მისივე, არაგვის კარი (დარიალანი), ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976.

²¹² А. П. Новосельцев и др... Пути развития феодализма, М., 1972, гл. 40.

²¹³ Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 126—127.

საინტერესოა, რომ ნ. ვოლკოვას 1970 წელს ოსების სოფელ კობში ჩაუწერია ტოპონიმი „სონეა“ — ყაზბეგის მთის ძველი სახელწოდება. „სონე“-ს ყაბარდოელები სვანებს უწოდებენ²¹⁴. ნ. ვოლკოვა წანარების ეთნიკური ვინაობის განსაზღვრისას კონკრეტულ ვერსიას თავს არიდებს და მათ იბერიულ-კავკასიურ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხად თვლის.

ა. მკრტუმიანის აზრით, წანარები ვეინახური ტომია²¹⁵.

თ. პაპუაშვილი უარყოფს წანარების სვანურობას, რომლის დასაბუთებაც ცდილობს შემდეგი ფაქტებით: მას მოჰყავს XII ს. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორიაში“ მოტანილი ერთი ცნობა, რომელიც ასეთი შინაარსისაა:

„ზოგიერთი ვინმე კაცნი ხალდებისა, გამოსულნი თავიანთი სამშობლოდან, მოვიდნენ გარდმანში და მიმართეს გარდმანს იშხანს— „დაგვითმე ჩვენ ნაწილი იმ ჯვრისა, რომელიც ირაკლისაგან გაქვს მიღებული, ხოლო ჩვენ მივიღებთ ქრისტეს რჯულს და გავბდებიო შენი მსახურნი“. ეს კიდევაც აღსრულებულ იქნა. ბაღდადის ამირამ, შეიტყო რა ეს ამბავი, დაემუქრა მათ; და ისინი შეშინებულნი გაემართნენ კავკასიის მთის ძირას. ქრისტეს შემწეობით, რომელიც მათ ირწმუნეს, ისინი დაეპატრონნენ მთელს იქაურ მეზობელ მხარეებს, ისე რომ ერთი მათგანი, სახელად დავითი, შეუკავშირდა რა ძოროგეტის მეფეს, სამეფო ტახტზეც კი ავიდა. ამ (ხალდეებმა) თავიანთ მხარეს უწოდეს წანარქი იმ საფუძველზე, რომ მასში მათ შეიცივნეს თავიანთი პირვანდელი ადგილსაცხოვრისი. და რადგანაც ისინი (ე. ი. ხალდები) ლაპარაკობდნენ ქართული ენით, ამიტომ გარდმანის იშხანმა მოიწვია მათთვის ქორეპისკოპოსი“²¹⁶.

²¹⁴ იქვე, გვ. 126—127.

²¹⁵ А. Г. Мкртумян, К вопросу об образовании феодального княжества Кахети, «Историко-филологический журнал», Ереван, 1976, № 1, с. 231; Его же, Этнический состав населения центрального Кавказа в IX—XI вв. «Историко-филологический журнал», Ереван, 1976, № 4, с. 172-173.

²¹⁶ თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39—40.

წანართა ხალდეველთა წრიდან გამოსულობის ვერსია მათ სვანურ წარმომავლობას უფრო უჭერს მხარს. ადგილის სახელად „ხალდე“ დღემდე გვხვდება მხოლოდ სვანეთში და ლეჩხუმში, რომელიც წარსულში აგრეთვე სვანურენოვანი იყო²¹⁷. სვანების ძველ ხალდეველების ეთნიკურ წრესთან მიმართების შესახებ — ზემოთ ვვაქვს საუბარი და ამდენად ამაზე აქ მსჯელობას არ გავაგრძელებთ. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ერთ ფაქტზე. არსებობს სვანური ხალხური სიმღერა: „იავ ქალდი“, რომელიც შორეულ წარსულში სვანთა ქალდეაში მოსახლეობის ფაქტზე მიგვანიშნებს. აი ეს ტექსტიც:

„იავ ქალდი და ბებუცია,
 სოფელ ქალდეში შუშპარია,
 შუშპარს დაბლა ქვიანია,
 ქვიანს დაბლა მზიანია.
 ჩოლურს უკან უნარი აქვს.
 ლეინობის სტველია,
 კათხა ჩაგვიწყებნია,
 ელოცა მელიცა,
 ეხლა რაჟაც ჩვენია,
 ჩიტიც მოგვიწველია“ და სხვ.

ეს ლექსი-სიმღერა სვანთა ტომის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობარს მოგვაგონებს. როგორც ტექსტშია ნათქვამი, როცა სვანები ქალდეში ცხოვრობდნენ, მაშინ იქ შუშპარი იყო, ე. ი. ამ ცხოვრებას ეთაყვანებიან. შემდეგ მათ ცხოვრება მოუხდათ ელო-მელოში, ე. ი. ზღვისპირეთში, სადაც ბლომად ჰქონდათ ლეინო. სწორედ ამ დროს ისინი ესახლებიან რაჟაშიც, ე. ი. ითვისებენ მთიან მხარესაც („ეხლა რაჟაც ჩვენია-ო). სიტყვა „რაჟა“, ცხადია, შემდგომ უნდა იყოს ტექსტში გაჩენილი.

„ჩიტიც მოგვიწველიაო“ ნიშნავს, იმას, რომ სვანებს თავიანთ ცხოვრების გზაზე ბევრი გასაჭირი შეხვედრიათ, ცხადია, რომ დღევანდელი სვანეთის ან თუნდაც რაჟის ტერიტორიაზე მათი დასახლება, იმ დროს ალბათ ამ მიუვალი და ვიწრო ხევ-ხუეებისა თუ მაღალმთიანი ადგილების ათვისება საამური ცხოვრების შედეგი არ იყო. მაგრამ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სვანთა კოლონიზაციას ადგილი ჰქონოდა მათი ძლიერების გარკვეულ

²¹⁷ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

პერიოდში, ასევე ალბათ ადგილი ჰქონდა სვანების მიერ ყოფილი მიწა-წყლის დაბრუნების ცდას, ამაზე მიგვანიშნებს ე. წ. „ხარკი სასვანო“. ან კიდევ სვანების მიერ ქუთაისისა (XIV ს.) და ეგრისის (XI ს.) დარბევა და ა. შ.²¹⁹.

თ. პაპუაშვილის აზრით, რადგან ვარდან დიდი ამბობს, რომ წანარები ლაპარაკობდნენ ქართული ენით, ამდენად გარკვეული ხდება მათი ენობრივი კუთვნილების საკითხი²²⁰.

რასაკვირველია, რომ ვარდან დიდის დროს (XIII ს.) წანარები უკვე ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ამის შესახებ სხვა აზრი არც შეიძლება არსებობდეს. ვარდან დიდს წარმოდგენილიც შეიძლება არ ჰქონდა, რომ რამდენიმე საუკუნის წინათ წანარები სვანურენოვანი იყვნენ. დაუჩერებელია, რომ ვარდან დიდის ცნობები ეხებოდეს ანტიკურ ხანაში წანართა ისტორიულ ვითარებას.

თ. პაპუაშვილი იმოწმებს ნ. ვოლკოვას, რომელიც ამბობს, რომ წანარები ლაპარაკობდნენ იბერიულ-კავკასიურ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ ენაზე²²⁰. მას არ უცდია წანართა ისტორიული განსახლების ტერიტორიაზე დღემდე შემონახული გეოგრაფიული სახელების ახსნა სვანური ენის მეშვეობით, არც თვით ეთნონიმ „წანარ“-ის ეტიმოლოგიის სვანურ ვერსიას აქცევს ყურადღებას. ყოველივე ეს იმის მოწმობად მიგვაჩნია, რომ წანარები იბერიულ-კავკასიურ, ჯგუფის იმ ენას ეკუთვნოდნენ, რომელ ენაზედაც იხსნება თვით ეს ეთნონიმი და მისი მატარებელი ხალხის მიერ დატოვებული გეოგრაფიული სახელების გარკვეული რაოდენობა.

თ. პაპუაშვილის აზრით, წანარების ქართულენოვანება იმიტაც დასტურდება, რომ გარბანის ეპიგრაფიკული ძეგლი ქართულენოვანია²²¹. სვანეთში ბევრი ქართულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი შემოინახა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხის სასაუბრო ენა სვანური არ ყოფილიყო. ასეც რომ არ იყოს IX—X სს., რა დროსაც გარბანის ეპიგრაფიკული ძეგლი ეკუთვნის, წანარები ძირითადად უკვე ქართულენოვანი იყვნენ. თუ „წანარნი“ და „წანარეთი“ ეწოდებოდა არა მხოლოდ კახეთის მთიელებს, არამედ მთელ კა-

²¹⁹ ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, გვ. 16.

²²⁰ თ. პაპუაშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 46—47.

²²⁰ იქვე, გვ. 47.

²²¹ იქვე, გვ. 47. სოფ. გარბანი ყაზბეგიდან სამხრეთის 8 კმ-ზე მდებარეობს.

ხეთს²²², ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ წანართა წინაპარნი სვანურენოვანნი არ ყოფილიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და კახეთში დღემდე მოღწეული სვანური ელემენტის შემცველი ტოპონიმების არსებობა.

სწორედ იმ დროიდან, როდესაც წანართა პოლიტიკური ძლიერების ხანა იწყება, მათში სვანური ენის ქართიზაციის პროცესიც ჩქარდება და მათ მიერ შექმნილ რაიმე სპეციფიკური მატერიალური კულტურის²²³ შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია, მათი პოლიტიკური გაძლიერება კი იწყება დაახლოებით VII—VIII საუკუნეებიდან, ხოლო მათი განსაზღვების ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლები განეკუთვნებიან უფრო გვიანდელ ხანას.

თ. პაპუაშვილი წანარებს ჰანურ-მეგრულ ეთნიკურ წრეს მიაკუთვნებს²²⁴, თუმცა იქვე აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ „წან“-ებში („წანარ“-ებში) საკუთრივ ჰანები ან ზანები ვიგულისხმოთ. ჩვენი აზრით, „წან“-ი იყო ერთერთი ტომთაგანი ჰანურ-მეგრული განშტოებისა. თუ როდის ჩნდება „წან“-ების (წანარების) ეთნიკური ელემენტი ჩვენთვის საინტერესო რეგიონში..., ამის ქრონოლოგიურად განსაზღვრა ფრიად ძნელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით ფაქტ „წან“-ების გამოყოფისა ჰანურ-მეგრულის ძირითადი მასიდან საკმაოდ ძველ დროში უნდა მომხდარიყო. კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ პტოლემეაოსის (II ს.) ცნობას (იხ. ზემოთ), მაშინ წანარები „წან“-ები ანტიკურ ხანაში უკვე ცენტრალური კავკასიონის (დარიალის კარი და მისი მიმდგომი ზოიანეთი) რაიონში უნდა ვეგულისხმოთ. ამის შემდეგ წანართა ისტორიული ბედ-იღბალი სხვა გზით წარიმართა: ისინო ცხოვრობენ აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობის გარემოცვაში, განიცდიან ამ უკანასკნელთა ენის ძლიერ გავლენას. ყოველივე ეს კი იწვევს მათს სრულ მოწყვეტას ჰანურ-მეგრული ეთნიკური სამყაროსაგან“²²⁵. იგივე ითქმის წანარების სვანური ეთნიკური ცნა-

²²² იქვე, გვ. 49.

²²³ იქვე, გვ. 54.

²²⁴ იქვე, გვ. 46.

²²⁵ თუ ვინ შესძინა ამ ეთნონიმს -არ სუფიქსი (რომლის მოხსენებასაც თ. პაპუაშვილი რატომღაც ერიდება), ამას ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ობის საკითხთან დაკავშირებითაც²²⁶. მაგრამ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა „წინართა“ გაერთიანებაში ქანერ-პეგრული ეთნიკური ელემენტის არსებობისა, თუკი ამას ტოპონიმიკური მასალაც დაადასტურებს.

სავულისხმოა, რომ ტოპონიმი „ალაზანი“ დასტურდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც — აჭარაში. ქვ. აჭარაში ერთ ტყიან ადგილს „ალაზანი“ ჰქვია²²⁷.

ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ფაქტიც, კერძოდ ანტიკური ხანის რომაელი ავტორი ვალ. ფლაკუსი თავის არგონავტიკაში კოლხეთის ტერიტორიაზე მდინარე ალაზანს ასახელებს: „...და არავის არ სმენია ალაზნის ნაპირების შესახებ“ (VI, 101).

მდინარე ალაზანი რომელ ლიტერატურაშიც გვხვდება, კერძოდ, პლინიუსის (24—79 წწ.) „ბუნების ისტორიაში „ოკაზანის“ სახელწოდებით (VI, § 26).

ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე მდინარე ალაზნის დასახელება მკვლევართა გაკვირვებას იწვევს, რადგან ასეთი სახელწოდების მდინარე დღეს მხოლოდ აღმ. საქართველოში (კახეთში) გვხვდება. ჩვენ კი გვგონია, რომ ანტიკური ხანის ის ავტორები, რომლებიც კოლხეთშიაც ასახელებენ მდინარე ალაზანს, არ უნდა ცდებოდნენ. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ დღევანდელი ჩოხატაურის რაიონის ფარცხმის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, მიკროტოპონიმის სახით დღემდე შემოგვრჩა სახელწოდება ალაზანი. ასეთ სახელს ატარებს აქ ერთ-ერთი წყარო. შესაძლოა შორეულ წარსულში ალაზანი ერქვა კოლხეთის რომელიმე მდინარეს. ეს მოსალოდნელია უფრო იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ სახელწოდების მატარებელი ობიექტია, ე. ი. ჩოხატაურის რაიონი. მართალია ჩოხატაურს ჩამოუდის მდინარე, მაგრამ მისი სახელწოდებაა გუბაზოული. ამ მდინარის სახელწოდებაში აშკარად ჟღერს ახ. წ. VI ს. ლაზიკის ცნობილი მეფის გუბაზის სახელი. როგორც ცნობილია გუბაზი (თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი) ლალათით მოკლეს ბიზანტიელებმა. შესაძლოა ეს მკვლევლობა მოხდა გუბაზოულთან, რომელსაც მანამდე

²²⁶ თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

²²⁷ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 12.

ალაზანი ერქვა, ხოლო ამის შემდეგ გუბაზ მეფის სახელის უკვდავ-საყოფად გუბაზოული უწოდეს.

ალაზან ტერმინში, ჩვენი აზრით, იმალება „ლაზან“ (ლაზიკა), რაც სვანური გაგებით საზანოს (სამეგრელოს) ნიშნავს²²⁸.

შესაძლოა კოლხეთიდან იყოს კახეთში გადატანილი მდინარის სახელწოდება ალაზანი, მით უმეტეს, რომ ორავეთაგან იგი პიდრო-ნიმის სახით გვხვდება.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ წანარების შესახებ არსებული წერილობითი წყაროები, ეთნო-ლინგვისტური და ტოპონიმოკური მასალა, ასევე სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები, რაც უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

წანარების განსახლების თავდაპირველ ტერიტორიად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი უნდა ჩაითვალოს. ისინი, როგორც ჩანს, პენიოხთა გაერთიანებაში შედიოდნენ და მათი ჩრდილოეთისაკენ, კერძოდ ცხენის წყლის სათავეებში გადანაცვლება დაახლოებით ძვ. წ. VI—V საუკუნეებიდან უნდა მომხდარიყო, როდესაც კოლხეთის სამეფოს შექმნასა და გაძლიერებას პენიოხთა გაერთიანების დაშლა უნდა გამოეწვია.

შესაძლოა სვანური ტომებიდან წანარები პირველნი დაეუფლნენ სვანეთის ტერიტორიას და პირველნივე გასცდნენ ცენტრალური კავკასიონის წყალგამყოფ ქედს, რომლის შემდეგაც, მთლიანად თუ არა, მათი დიდი ნაწილი იმიერკავკასიის მთის ზოლს დაეუფლა მდ. მდ. ყუბანისა და თერგის სათავეებს შორის, რასაც შემდგომ „სონთა“ და „მშანთა“ მიწა-წყალი ეწოდებოდა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს სტრაბონის (ძვ. წ. 64—ახ. წ. 24) ცნობა იმის შესახებ, რომ სვანები „ფლობენ... ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები“ და მენანდრეს (ახ. წ. VI ს. მეორე ნახევარი) ანალოგიური უწყება: „ეს (სვანეთი) ერთი იმ ტომთაგანია, რომელმაც კავკასიის გარშემო ცხოვრობს“²²⁹.

თერგის სათავეებში და დარიალის ხეობაში წანარები სწორედ ჩრდილოეთ კავკასიიდან უნდა შემოსულიყვნენ.

თ. პაპუაშვილი იქვე შენიშნავს, რომ ეთნოგენეტიკურ გადმო-

²²⁸ თ. მიბჩუანი, ალაზანი, ურ. „დროშა“, 1986, № 5, გვ. 22.

²²⁹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 19, 126; გეორგიკა, ტ. III, გვ. 221.

ცემებში წოვა-თუშების წინარე სამშობლოდ მიჩნეულია ადგილი ვაბუა, რომელსაც უკავშირებენ ინგუშური წარმოშობის ტერმინს — „ვაპი“. თუ როდის ჩნდებიან ვაპი-ელები ამიერკავკასიაში, ეს ჭერჭერობით გაურკვეველია. თუმცა როგორც ფიქრობენ, მათი გამოყოფა ვეინახთა დანარჩენი მასიდან საკმაოდ ძველ დროში უნდა მომხდარიყო“²³⁰. შესაძლოა ვეინახთა აღნიშნული ჯგუფის მიგრაცია სწორედ საურმაგის ხანას (ძვ. წ. III—II სს.) უკავშირდებოდეს²³¹.

ამ შემთხვევაში ნათელი ხდება ლეონტი მროველის უწყების არსი იმის შესახებ, რომ საურმაგმა თავისი დედულების დურძუკების (ჩიჩენ-ინგუშთა წინაპრების) ერთი ნაწილი სვანთა ტერიტორიაზე დასახლა (ქც, 1, 27). ამ სვანეთში უნდა იგულისხმებოდეს წანარეთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი და არა ენგურისა და ცხენის წყლის სვანეთი. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ანტიკური ხანიდან იმიერკავკასიის მთიანი ზოლი ყუბანსა და თერგს შორის სონებით (სვანებით) იყო დასახლებული (ალ. რობაქიძე, რ. ხარაძე, ლ. ლავროვი; თ. მიბჩუანი).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და კახეთში წანართა გავრცელებას მათში სვანური ენის ქართიზაცია და საერთოდ მათი ქართლის ეთნიკურ პროდუქტად გადაქცევა უნდა განეპირობა.

ამდენად, სვანურმა ტომებმა ქართული ეთნოსის ფორმირების პროცესში ძირითადი ინგრედიენტის როლი შეასრულეს (ა. რობაქიძე).

თუ ქართული ენის დაშლის საწყისი პერიოდი ძვ. წ. III ათასწლეულით განისაზღვრება, როგორც ამას სპეციალისტები ფიქრობენ, მაშინ არა გვეგონია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თითქმის შიდა ქართლამდე და ნაწილობრივ კი კახეთის ტერიტორიაზე, სვანური წარმოშობის ტოპონიმების არსებობა დიფერენ-

²³⁰ თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

²³¹ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი გადმოცემა უშგულში ოდესღაც თუშების მოსახლეობის შესახებ, შეიძლება მართლაც აქ რომელიღაც ვეინახური ეთნიკური ჯგუფის არსებობაზე მიგვანიშნებდეს და არა თუშებში ასიმილირებულ წანარებზე.

ციაშდელი ქართული ენის ნაყოფი იყოს, მით უმეტეს თუ აღნიშნულ მონაკვეთზე რელიქტის სახით ზანური ელემენტაც ვლინდება.

წანარები, როგორც მეომარი მთიელი ხალხი, საქართველოს მეფე-მთავრებსათვის გარკვეულ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ:

წანარების ქართველური ტომი კახეთის სამეფოს შექმნის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური ფორმირების პროცესში მის სისხლხორცეულ ელემენტად იქცა.

4. მისიმიანები

ქართველი ერის ისტორიაში მისიმიანებმა სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს. მართალია, მათ, თავიანთი არსებობის მანძილზე, მხოლოდ ერთხელ გაიღვეს ისტორიის არენაზე, მაგრამ მაშინაც ისეთი ძლიერი იყო ეს გაელვება, რომ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული ქვეყნის — ბიზანტიის ხელისუფალთა განგაში გამოიწვია.

კოდორის ხეობის მთიანეთში მცხოვრებ თავისუფლების მოყვარე მისიმიანებს ახ. წ. VI საუკუნეში ბრძოლა მოუხდათ ბიზანტიის იმპერიის მრავალრიცხოვან ჯარებთან. მამულის შენარჩუნების წყურვილით ანთებული თითქმის მთელი ტომი ერთი კაცივით შეაკვდა უზარმაზარი სახელმწიფოს ძლიერ სამხედრო ძალას. ამის უტყვი მოწმეებია მათ ნაფუძარზე შემორჩენილი ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები და ძვალთშესალაგები.

ისევ მისიმიანთა ღირსეულ მტერს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ დაგვიტოვა ამ გმირული ბრძოლების მუწყებელი უაღრესად საგულისხმო ცნობები. სწორედ ამ უწყებებით იქცნენ მისიმიანები ისტორიის კუთვნილებად. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მისიმიანთა მცარე ნაწილი გადაურჩა, რომელმაც დამოუკიდებელი ეთნიკური სახით დღემდე ვერ მოაღწია, მაგრამ სამაგიეროდ გადაარჩინეს მამული, ის მიწა-წყალი, სადაც მათი სისხლით მონათესავე ხალხის სიცოცხლე დღესაც გრძელდება. ამ კუთხეს დაღს უწოდებენ (ალბათ თვით მისიმიანების აქ ბინადრობის დროიდან), ხოლო იქ მცხოვრებთ სვანები დალარს (დალელებს) ეძახიან. იქნებ მაშინაც

ასე განხილვენი მისიმიანებს, თუმცა ბიზანტიური წერილობითი წყაროებია მათ ფუსტელებსაც უწოდებენ. და ღ და ფუსტ ღვთაებების რწმენა დღემდე შემონახეს სვანებმა, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ჭეშმომთ, ახლა კი იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ მისიმიანები.

ავათია სქოლასტიკოსის (VI ს.) ცნობით მისიმიანები „კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ“²²². როგორც ავათია სქოლასტიკოსი გვაცნობებს, მათ ბიზანტიელებთან ბრძოლაში დაკარგეს 5 ათასი მამაკაცი, ამდენი ქალი და ამაზე მეტი ბავშვი²²³. მისიმიანებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს VI ს. შუა წლებში ბიზანტია-ირანის, იმდროინდელ მსოფლიოში ყველაზე უძლიერესი სახელმწიფოების ომში, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

მისიმიანთა აჯანყება 555 წელს მოხდა. მართალია, ამ ბრძოლაში მისიმიანთა ტომის უმეტესობა გაწყდა და აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი, სამაგიეროდ ბიზანტიელებმა ამის შემდეგ ვერ გაბედეს მისიმიანთა სოფლებში რაზმების ჩაყენება, პირი იბრუნეს და ცენტრალურ ევრისში დაბრუნდნენ. მისიმიანები კი კვლავ ძველებური ცხოვრების აღდგენა-განახლებას შეუდგნენ.

საუკუნეების განმავლობაში მისიმიანთა გადარჩენილი ნაწილი ისტორიის ავანსცენიდან ისე გაქრა, რომ არსად ამის შესახებ ერთი წერილობითი ცნობაც არ შემონახულა. VIII საუკუნის შემდეგ ისტორიულ წყაროებში მისიმიან-ფუსტელები არ მოიხსენიებიან. ამიტომ დღემდე დაუდგენელია, თუ რა ბედი ეწია ამ ხალხს. შეიძლება მხოლოდ დავუშვათ: ა) მისიმიანების გადარჩენილი ნაწილი არაბთა შემოსევების დროს განადგურებულ იქნა; ბ) არაა გამორიცხული მათი გადასახლება იმერკავკასიაში, მეზობელ ყუბანის სათავეებში, რააც ხელს უწყობდა ქლუხორის ადვილად გადასასვლელი უღელტეხილი. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ ყუბანის სათავეებში სვანთა განსახლება შუა საუკუნეებში მეცნიერულად დადგენილია (ლ. ლავროვი, რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, თ. მიბჩუანი). ნაწილიც შესაძლოა ზემო სვანეთის ახლო მდებარე, ქუბერის ხეო-

²²² გეორგიკა. III, 1936, გვ. 86.

²²³ იქვე, გვ. 174.

ბაში გადასახლდა; გ) შესაძლებელია მისიმიანებს აქტიური როლი შეესრულებინათ აფხაზი ხალხის ფორმირების პროცესში.

მისიმიანების საკითხით არაერთი ისტორიკოსი დაინტერესებულა, ცდილა მათი ეთნიკური ვინაობის გაგებას და გარკვეული მოსაზრება გამოუთქვამს, მაგრამ იგი მკვლევრებს შორის დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. მკვლევართა უმეტესობა (ს. ყაუხჩი-შვილი²³⁴, გ. მელიქიშვილი²³⁵ და სხვ.) მისიმიანებს ერთ-ერთ სვანურ ტომად მიიჩნევენ. მეორე მოსაზრებით მისიმიანები აფხაზური ტომი უნდა იყოს (შ. ინალიფა²³⁶ და სხვ.). მესამე მოსაზრებით მისიმიანები სვანურ-მეგრული ნარევი ტომია (პ. ინგოროყვა)²³⁷. ზ. ანჩაბაძე 1964 წელს გამოცემულ წიგნში მისიმიანების სვანურ ტომად მიჩნევას შესაძლებლად თვლის²³⁸, ხოლო 1976 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში წერს, რომ მისიმიანები რომელ ეთნიკურ ჯგუფსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ, ისინი საბოლოოდ აფხაზებში უნდა გათქვეფილიყვნენ²³⁹. ე. ი. ზ. ანჩაბაძე უფრო მისიმიანთა სვანური წარმომავლობის თეორიას იზიარებდა, ამასთანავე, ნაწილობრივ გასაზიარებელია მისი მოსაზრება შემდგომში მათი აფხაზურ ნიღადავზე ასიმილირების შესახებ.

მისიმიანების ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ ისეთ ეთნო-ლინგვისტურ მასალაზე, რომელიც მეცნიერულ მიმოქცევაში ან არ ყოფილა, ან არ მოპყლია სათანადო რეაგირება.

ისტორიული მისიმიანეთი, რომელსაც სვანები ამჟამადაც ღალს ეძახიან, თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით აჭარისა და ლათის ს/საბჭოების ტერიტორიებს მოიცავდა. ხელმეორედ სვა-

²³⁴ ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, ტფ. 1936, გვ. 277—280.

²³⁵ Г. А. Мелликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 65, 92, 100, 384.

²³⁶ Ш. Д. Иналифа, Вопросы этно-культурной истории Абхазов, Сухуми, 1976, с. 227—234.

²³⁷ პ. ინგოროყვა, გორგი შერჩულე, თბ., 1954, გვ. 144—145.

²³⁸ З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, М., 1964, с. 188.

²³⁹ З. В. Анчабадзе, Очерки этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976, с. 45.

ნების აქ გადმოსახლება ხდება მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან²⁴⁰. სევანებს მაშინ აქ დახვდათ ისეთი სევანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელები, როგორცაა თვით მხარის სახელწოდება და ლ, ცალკეულ ადგილთა სახელები: გენწვიშ, ლათა, ფუსტა, ლაკადა და სხვ. ამ გეოგრაფიულმა სახელებმა უცხო, აფხაზურ ენობრივ სამყაროში საუკუნეებს გაუძლეს და მისიძიანების დროიდან დღემდე მოაღწიეს.

განვიხილოთ ეს ტოპონიმები: გენწვიშ — სოფელია აჭარის ს/საბჭოში, ტოპონიმი დაიშლება ასე: გენწვიშ. ამ გეოგრაფიულ სახელში ფუძეა „გენწვ“, რომელიც „გენჭვ“ სევანური ს-ტყვის ოდნავ სახეცვლილი ფორმაა. „გენჭვ“ სევანურად ანწლს ჰქვია. ხოლო -იშ ცნობილი სევანური სუფიქსია. გენჭვიშ//გენწვიშ ნიშნავს ანწლიან ადგილს. სოფელ გენწვიშში ანწლი მართლაც გავრცელებული მცენარეა, რომლისგანაც სევანები რახს ხდიან იმ მიზნით. რომ იგი რევმატიული დაავადების საწინააღმდეგო სამკურნალო თვისების მქონე სასმელია.

ხანდაზმულები ახლაც ამბობენ, სევანებმა ჯერ კიდევ აქ გადმოსახლებამდე იცოდნენ, რომ გენწვიშში უნდა დასახლებულიყვნენო.

ლათა ს/საბჭოს სახელია და მდებარეობს წებელდის ზემოთ. ყოფილი ისტორიული მისიძიანეთის ტერიტორიაზე. ლათაში სევანებს ჩასახლება ხდება უფრო გვიან, კერძოდ მიმდინარე საუკუნის 30—40-იან წლებში. მათ იქ დახვდათ ქართული, სომხური... მოსახლეობა. სოფელს ასეთი სახელი ჰქონდა სევანების იქ დასახლებამდე. ამჟამად სევანური მოსახლეობა იქ ყველაზე ნაკლებია. ლათა სევანური წარმოშობის ტოპონიმა და ნიშნავს გასაყოფან გამყოფ ადგილს.

ლათას ტერიტორიაზე მდებარე ერთ სოფელს კადარ ჰქვია. „კადარ“ სევანურად „მშრალს“ ნიშნავს. საერთოდ ლათის ტერიტორია და კერძოდ კი კადარ მართლაც რომ გორაკებიანი და მშრალი ადგილია.

ისმის კითხვა: ხომ არ მომდინარეობს ამ ტოპონიმიდან ჰიდრო-

²⁴⁰ ე. უბილაევა, დალის ხეობა (ნარკვევი), ლიტერატურა და ხელოვნება, 1948, 18 იანვარი, გვ. 3-4.

ნიმი კოდორი? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართულ-სვანურა აზანურში (მეგრულ-ქანურში) ო-დ გადადის (მაგ. ქართ. ასი სვან. აშირ, მეგრ. ოში და სხვ.), მაშინ კოდორი სვანური კადარ სიტყვის ზანიზებული ფორმა შეიძლება იყოს. ისტორიული თვალსაზრისით ეს ფაქტი ანგარიშგასაწვეია თუნდაც იმიტომ, რომ კოდორის ხეობაში მოსახლე აფსილები და მისიმიანები ლაზიკის სამეფოში შედიოდნენ.

დარენი. ადრეშუასაუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში, კერძოდ, მენანდრე პროტიქტორის ცნობის მიხედვით, სადღაც მდ. ბზიფისა და კოდორის სათავეებს შორის დასახლებულია უღელტეხილი. რომელსაც დარინი ჰქვია. მისივე ცნობით „სვანეთი“ და „მისიმიანეთი“ ერთი და იგივე ცნებებია. ასე მაგალითად, ალანეთიდან (ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიიდან) მისიმიანეთზე (ე. ი. ამიერკავკასიანზე) თურქი ელჩების მოგზაურობის თაობაზე მენანდრე შემდეგს წერს: ალანიაში რომ მოვიდნენ, ალანთა წინამძღოლმა საროდიმ ურსია ზემარქეს (რომელიც იყო ბიზანტიის ელჩი თურქეთში), და მის კაცებს, „არ წასულიყვნენ მისიმიანთა ქვეყანაზე მიმავალი ვზით, რადგან სვანეთის (ხაზგასმა ჩვენა — თ. მ.) მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებულიო“²⁴¹. ამ კონტექსტში მენანდრეს სიტყვებია: „არ წასულიყვნენ მისიმიანთა ქვეყანაზე მიმავალი ვზით, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებულიო“. ნიშნავს იმას, რომ მისიმიანეთი იგივე სვანეთია. ე. ი. მისიმიანეთის ქვეყნის ანუ იმავე, სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებული. მენანდრეს მოწმობით „მისიმიანეთი“ და „სვანეთი“ ერთმანეთის სინონიმებია. იგი ერთ შემთხვევაში მისიმიანეთს წერს, ხოლო მეორე შემთხვევაში — სვანეთს.

აქლა რაც შეეხება დარინის გზას. მენანდრე იქვე განაგრძობს: „შინ დაბრუნება უმჯობესია ეგრეთწოდებული დარინის გზითო... ზემარქე დარინის გზით მივიდა აფსილიაში: მისიმიანთა გზა მან უარჰყო, დასტოვა ის მარცხნივ: ამ გზით საფრქვებელი იყო, რომ საეს დაესხმოდენ სპარსელები“²⁴².

²⁴¹ გეორგიკა, III, თბ., 1936, გვ. 236.

²⁴² იქვე, გვ. 236—237.

„მისიმიანთა გზა“ დღევანდელ ქლუბორის უღელტეხილს უნდა გულისხმობდეს, ხოლო დარინის გზა მის დასავლეთით მდებარე რომელიღაც გადასასვლელია.

ტოპონიმი დარინი დღემდე არ არის ახსნილი. ჩვენი აზრით, იგი ძველი ქართული (სვანური) სიტყვაა და ნიშნავს საგუშავოს. ამას შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს: სვანურში არის სიტყვა „ლადრენი“, რაც ჩასასაფრებელ ადგილს აღნიშნავს. ეს ტერმინი ასე დაიშლება: ლა-დრენ-ი, სადაც ლა- პრეფიქსია, დაბოლოება ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო ფუძეა „დრენ“, რომელშიაც ლა-პრეფიქსის დართვის შედეგად მოხდა დ-სა და რ-ს შორის ა ხმოვნის რედუქცია, შეკვეცა. თუკი ფუძეში ამ ხმოვანს აღვადგენთ, გვექნება „დარენ-ი“. დარენი წარსულში საერთო ქართული სიტყვა უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია, რომ შ. რუსთაველს თავის გენიალურ პოემაში ერთგან გამოყენებული აქვს სიტყვა „სადარნო“. ქაჭეთის ციხეზე იერიშის წინ ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა ას-ასი კაცი იაწლეს:

„სამთვე სამად გაიყვეს, თვითმან თვითო კარები;
თანა ჰყვა კაცო სამასა, ყველაი გმირთა დარები,
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები,
გათენდა, გაჩნდეს, მიპართეს, თავის-თავ ჰქონდა ფარები“ (სტრ. 1398).

„სადარნო“ ამ კონტექსტშიც ჩასასაფრებელ ადგილს ნიშნავს. სვანური ლადრენ-ის შესავსად სადარნო დაიშლება ასე: სა-დარნ-ო, სადაც ძირა „დარნ“, რომელშიაც სა-პრეფიქსის დართვის შემდეგ რ და ნ ხმოვნებს შორის შეკუმშულია ე ხმოვანი.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიხედვით ტარელი, ავთანდილი და ფრიდონი მალულად ჩასაფრდნენ, რათა მოულოდნელად მიეტანათ მტერზე იერიში. „მას ღამათ უქმნეს სადარნო“ ნიშნავს, რომ მათ ღამით დასადარაჭებელი ადგილი მონახეს, ანუ შექმნეს სადარაჭო, საგუშავო პუნქტი.

ამგვარად, პოემაში ლადასტურებული „სადარნო“ და სვანური „ლადრენი“ ერთმანეთის იდენტურია.

ბერძენი ავტორის მიერ ნახმარი ტერმინი „დარინი“ სვანური „დარენ“-ის მისიმიანთა დიალექტურ ფორმად უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, ზიხანტიელი ავტორების მიერ საღდაც კოდორის

სათავებში უღელტეხილის სახელწოდება დარენი ქართული (სვანური) წარმოშობის უნდა იყოს და ნიშნავს სადარაჯოს, საგუშაგოს. თუ არა ქართულ (სვანურ) ენაზე მრლაპარაკე ხალხს, სხვას ვის შეეძლო ასეთი სახელის შერქმევა ამ უღელტეხილისათვის? ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს მისიმიანთა სვანურენოვანობა-მთანა კონტროლს ემორჩილებოდა და გეოგრაფიული სახელებიც ზე. ცხადია, რომ კოდორის სათავეებში ყველა უღელტეხილი მისი-ადვალობრივი მოსახლეობის მიერაა შერქმეული.

აქვითა სქოლასტიკოსი მისიმიანეთში ასახელებს ციხე-სიმაგრე ძახარს. ბიზანტიელებსა და მისიმიანებს შორის ბრძოლა ხდება სწორედ ძახარის ციხესთან²⁴³, რომელსაც თავისი შეუვალობის გამო „რკინისას“ ეძახიან.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ტოპონიმის ბერძნულ წარმოებაში აშკარად ჩანს სვანური სუფიქსი -არ, რომელიც სვანურ გეოგრაფიულ სახელებს ახლავს, ხოლო თვით ფუძე იმდენად დამახინჯებულია, რომ ძნელია მისი მნიშვნელობის ქართველური ენების მეშვეობით დადგენა. შესაძლოა „ძახარ“-ის მაგიერად მას „ჯახარ“ რქმეოდა. ჯ ასო ბერძნულში არ არის და ამიტომ მის ნაცვლად ალბათ ძ ბგერა იხმარეს. „ჯახ“ სიტყვა სვანური ენის მისიმიანური დიალექტი შეიძლება იყოს (მდრ. ქართ. ჯახანი, დაჯახ-ება). მაშინ „ჯახარ“ ნიშნავს საბრძოლო ადგილს, სადაც მოხდა მტერთან შეჯახება. ამაზე მიგვანიშნებს -არ სუფიქსიც.

ამ ძახარ თუ ჯახარ ტოპონიმიდან უნდა იყოს ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ჩხალთა (სოფლის სახელია ისტორიულ მისიმიანეთში). ჩხალთაში ერთ კლდეზე (მდ. საკენისა და აძგარას შესართავთან) ახლაც დგას ძველი ციხის ნანგრევები. ტოპონიმი „ჩხალთა“ აფხაზური ენის სამყაროში უნდა ჩამოყალიბებულიყო ძახარ//ჯახარის ნიადაგზე. სადაც რ შეიცვალა ლ-თი და სვანური -არ აფხაზურ-ადილუჯრი თა- სუფიქსით.

ლაკადა ჰქვია მთის ტყიან ზოლს მდ. კოდორის ხეობიდან ენგურამდე. ლაკადას ეძახის მას ადგილობრივი აფხაზი და მეგრელი მოსახლეობა. მათი განმარტებით ლაკადა მას იმიტომ ჰქვია, რომ ტყიანი მხარეა. ლაკადა მართლაც არის ტყიანი მხარე და მისი სვა-

²⁴³ გეორგიკა, III, გვ. 164, 166, 170, 171—172, 174

ნური სახელწოდებაც ამის გამომხატველია. ლაკადა სვანურად სანაჯახეს ნიშნავს. იგი ასე დაიშლება: ლა-კადა, სადაც ლა — სვანური მაწარმოებელი პრეფიქსია, ხოლო კადა სვანურად ნაჯახს ჰქვია.

ასეთ ვრცელ ტერიტორიას რომ სვანური სახელი დღემდე შემორჩა, ჩვენი აზრით, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ძველი ბერძენი ავტორების ცნობების სისწორეს ანტიკურ ხანაში შავი ზღვის სანაპირომდე სვანური ტომების განსახლების შესახებ, მით უფრო, თუ დასავლეთ საქართველოს ბარის სვანური წარმოშობის სხვა გეოგრაფიულ სახელებსაც გავითვალისწინებთ.

სქიომარის ციხე, რომელსაც მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრებაში“ თეოდოს განგრელი (VII ს.) ასახელებს²⁴⁴, უნდა იყოს იგივე ალანეთის მახლობლად მდებარე სხემარისი (იქვე, გვ. 45, 46, 51, 54 სქოლიო 6). სქიომარიც და სხემარისიც ორივე ალანეთის მეზობლად მდებარე ციხეებია. ალანეთის მეზობლად უფრო მისიმიანეთი უნდა მივიჩნიოთ, რადგან სწორედ მისიმიანეთიდან გადადიოდნენ ქლუხორის ხელსაყრელი უღელტეხილით ალანეთში. სქიომარისი//სხემარისი მდებარეობდა ან მისიმიანეთის ტერიტორიაზე ან ყუბანის სათავეებში, იმ ადგილას, სადაც ამჟამადც ერთ აულს ხუმარი ქვია (ქ. კარაჩაევსკიდან 5 კმ-ზე). გ. ზარდალიშვილს იგი ქართველური წარმოშობისად მიაჩნია²⁴⁵. ლ. ლავროვი მას ზემო სვანეთის ერთ-ერთი სოფლის ცხუმარის სახელწოდებას უდარებს²⁴⁶. აღსანიშნავია, რომ, ნიკონოვის მატიანის მიხედვით, 1562 წელს ხუმარის ტერიტორიაზე დასახელებულია „МШАНСКІЕ И СОНСКІЕ“. „მშანსკიე“ და „სონსკიე“ ეთნონიმების ქვეშ რუსულ წყაროებში სვანები იგულისხმებიან. პირველი მომდინარეობს სვანთა სვანური სახელწოდებისაგან — „მუშვან“ და მეორე „სონა“-დან²⁴⁷. სონა-ს სვანებს უწოდებენ ადიღეური ტომები (ყაბარდოელები, ჩერქეზები), ინგუშები²⁴⁸.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ყუბანის სათავეებში სვანთა გან-

²⁴⁴ გეორგიკა, IV, 1941, გვ. 42.

²⁴⁵ თსუ, ტ. 36, 1949, გვ. 147—148.

²⁴⁶ КСИЭ, X, М. Л., 1950, с. 78.

²⁴⁷ ПСРЛ, т. 13, 2-я, с. 371.

²⁴⁸ А. И. Робакилдзе. Сванети, Тбилиси, 1984, с. 6.

სახლება ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეებიდან დასტურდება, რასაც მთლიანად ეძღვნება ჩვენი მონოგრაფიული გამოკვლევა²⁴⁹. აღნიშნულ ტოპონიმზე მუშაობისას ქართველურა ენების ცნობილმა მკვლევარმა, აწ განსვენებულმა მ. ქალდანმა დაგვიდასტურა მისი ცხუმარ სვანური სიტყვიდან წარმომავლობა. მისი აზრით, საწყისი ც ბგერა უცხო ენათა გარემოცვის შედეგადაა დაკარგული. ხოლო დაბოლოება -ისი ბერძნულის გავლენითაა გაჩენილი. ე. ი. ხუმარი-ს თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ცხუმარ, რაც სვანურად რცხილნარს ნიშნავს.

სქიომარ შეიძლება მომდინარეობდეს, აგრეთვე მეორე სვანური სიტყვისაგან „სგიმარ“, რაც მკვლევარს ადგილს აღნიშნავს (სვან. „სგიმ“ — მკვლევარს, ხოლო -არ მრავლობითობა-წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსია). „სგიმარ“ სვანეთშიაც არაერთ ადგილს ჰქვია.

ამგვარად, სქიომარ//სხუმარის გეოგრაფიული სახელის ახსნა სვანური ენის მეშვეობით შესაძლებელია, ოღონდ დასაკონკრეტებელია მისი ადგილმდებარეობა.

დალ კოდორის სათავეებში მთელი ხეობის სახელწოდებაა, ე. ი. ის მოიცავს მთლიანად ისტორიულ მისიმიანეთს. მისიმიანეთიდან ზემო სვანეთში გადასასვლელს „დალია თანად“ (დალის უღელტეხილი) და „დალია კოჯარ“ (დალის კლდეები) ეწოდება. დალი სვანურ ლეზგებთან პანთეონში ნადირობისა და მონადირეთა მფარველ ქალღვთაებადაა ცნობილი. მკვლევართა აზრით, იგი მატრიარქატის ხანის რელიგიური კულტების რიგს განეკუთვნება. ამდენად, ამ ხეობის სახელწოდება დალ უძველესი დროიდან უნდა მომდინარეობდეს. დალის კულტის მატარებლები არიან ღვთაების სვანებიც.

მისიმიანებისათვისაც რომ დალი ერთ-ერთი უმაღლესი და უმთავრესი ღვთაება უნდა ყოფილიყო, ამაზე მიგვანიშნებს თვით მათი განსახლების ტერიტორიის სახელწოდება, რომელმაც ღვთაება მოაღწია.

დალი ეწოდებოდა ამ მხარეს სვანების იქ ხელმეორედ ჩასახლებაამდე. ე. ი. მიმდინარე საუკუნის დასაწყისამდე. ამაზე მეტყვე-

²⁴⁹ თ. მიხუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1966.

ლებს ლიულიეს ცნობაც, რომელიც XIX ს. 50-იან წლებს ეკუთვნის²⁵⁰. ლიულიე ამ მხარეს დალ-ს უწოდებს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება სხვა წერილობითი ცნობების დამოწმებაც, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ესეც საკმარისია იმის დასასაბუთებლად, რომ ქართული (სვანური) ღვთაების დალის სახელს ატარებს ისტორიული მისიმიანეთი არა XX საუკუნის დასაწყისიდან, როცა იქ ხელმეორედ ჩნდება სვანური მოსახლეობა, არამედ უძველესი დროიდან. ამ კუთხის ასეთი სახელი მისიმიანთა სვანურობის ხელშეუვალი არგუმენტია, მით უმეტეს რომ დალ ტერმინი უცხოა აფხაზურისათვის. შ. ინალ-იფა დალ ტოპონიმთან დაკავშირებით არაფერს ამბობს.

ფუსტა მისიმიანეთში ადვილს ერქვა. აქედან ფუსტას ციხე. ფუსტას მისიმიანეთში ასახელებს თეოდოსი განგრელი²⁵¹. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.) მას ქალაქს უწოდებს, ხოლო იქაურ მცხოვრებლებს ფუსტელების სახელით იხსენიებს²⁵². ეპიფანე ერთ ადვილას წერს: „...მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა. ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში. იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს, მრავალნი დამოდღვრეს და წავიდნენ აბაზგიაში. დიდ. სებასტოპოლისში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღვთის სიტყვა“²⁵³ (ხაი ჩვენია, თ. მ.).

ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ცნობით იმ მხარეში, სადაც არის სებასტოპოლისი, აფსარის ციხე და ჰისოს ნავსადგური. „მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები“²⁵⁴.

ჩვენი აზრით, ფუსტელების ქვეშ მისიმიანეთში არსებული ქ. ფუსტას მცხოვრებლები იგულისხმებიან. ს. ყაუხჩიშვილის აზრითაც „ძველი ფუსტის მხარე უნდა იყოს დაახლოებით მისიმიელ-

²⁵⁰ Л. Я. Люлье, Общий взгляд на страны, занимаемые черкесами, абхазцами и другим смежным с ними народами, ЗКОРГО, 1870. IV, с 181.

²⁵¹ გეორგიკა, IV, I, გვ. 44—45.

²⁵² იქვე, გვ. 57—58.

²⁵³ გეორგიკა, VII, გვ. 113.

²⁵⁴ გეორგიკა, VII, გვ. 113—114.

თა მხარეში ან მის მეზობლად; შეიძლება უფრო მიახლოვებით გვეთქვა — ფუსტა უნდა ყოფილიყო სოხუმის რაიონის მეზობელ მხარეში“²⁵⁵.

ფუსტას ციხეში მოათავსეს ანასტასი აპოკრისიარი²⁵⁶. ფუსტას ციხე და ფუსტელები არაერთჯერის მოიხსენიება ბერძნულ წყაროში²⁵⁷.

ამ ადგილს ამჟამადაც ფუსტა ეწოდება (აფხაზები მას აფუსტას ეძახიან). ათონსა და გუდაუთას შორის ერთი მდინარე, რომელიც სათავეს სადღაც მთებში იღებს, აკრეთვე ფუსტას (ანუ აფუსტას) სახელწოდებითაა ცნობილი.

ფუსტის სვანურ ღვთაებათა პანთეონში ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი უკავია. კავკასიის ხალხებიდან ფუსტის სახელობის ეკლესიები მხოლოდ სვანეთში გვხვდება, კერძოდ, მესტიის რაიონის სოფელ ლეხთაგში, უშგულში, მულახში, ლენტეხის რაიონის სოფელ ფაყში და ა. შ.

„ფუსტ“ სვანების გაგებით არის უფალი, ბატონი, ქვეყნის გამგებელი, მთავარი²⁵⁸. სვანური ფუსტის წარმომავლობაზე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა გ. მელიქიშვილმა. მისი აზრით, ძვ. წ. II ათასწლეულში მცირე აზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის (შემდგომში ხეთების სამეფოს დედაქალაქის) ხატუსასის მმართველის ფუსტის სახელი ასოციაციას იწვევს სვანურ ღვთაებასთან ფუსტ²⁵⁹.

აღსანიშნავია, რომ მთავარ ღადეშქელიანებს სვანები ფუსტის ეძახდნენ. მეფის, ბატონის, მთავრის, აღმნიშვნელად სვანების მიერ ფუსტ ტერმინის ხმარება შესაძლოა მართლაც მეტყველებდეს მისი ხეთური ტრადიციიდან მომდინარეობაზე, მით უმეტეს, რომ სვანურში ბატონის აღმნიშვნელი სხვა სიტყვა არ არსებობს. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში, ჯერ კიდევ სვანთა შორეულ წინაპრებში ფუსტი ისე გაკულტდა, რომ უფლის სინონიმად იქცა (იხთავი VII).

²⁵⁵ გეორგიკა, VII, გვ. 114.

²⁵⁶ გეორგიკა, IV, I, გვ. 44.

²⁵⁷ იქვე, გვ. 51, 52, 54, 45, 57.

²⁵⁸ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 131, 135

²⁵⁹ В Д И, № 1, 1965, с. 8-9.

ყოველი წლის მაისის თვეში ქვემო და ზემო სვანეთში ფუსტის სახელობის ეკლესიებში გვიანობამდე აღნიშნავდნენ ამ ღვთაებისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულს. ამ დღისათვის ხალხი მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა. ეკლესიებში იკვლებოდა საგანგებოდ მოვლილი ხბოები. ხალხი ამ დღეობას ძველ დღესასწაულს უწოდებდა (მორწმუნეები ფუსტობის დღესაც აღნიშნავენ).

მაშასადამე, მისიმიანებს გააჩნდათ ფუსტის სახელობის ციხე-ქალაქი, სადაც, ცხადია, ამ ღვთაების სახელობის სამლოცველო უნდა არსებულებოდა, ე. ი. ისინი ამ კულტის მატარებლები იყვნენ, მსგავსად ზემო და ქვემო სვანეთის მცხოვრებლების.

ფუსტას ტერიტორიაზე ნანახია გვიანანტიკური ხანის სამარხები და ნამოსახლარები.

ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ნათელს ხდის მისიმიანთა ეთნიკური ვინაობის საკითხს და მას ანგარიში უნდა გაეწიოს. საესებით მართალია პროფ. შ. ინალ-იფა. როდესაც წერს: «Топонимы называют «языком земли». Его же можно назвать и архивом земли»²⁶⁰.

თუ ეს ასეა, მაშინ ცხადი ხდება, რომ მისიმიანების ენა ეს ის ენაა, რომელზედაც დღემდე მეტყველებენ მისი განსახლების ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები.

რაც შეეხება მისიმიანთა ერთ-ერთ აფხაზურ ტომად მიჩნევის საკითხს, საამისოდ მოშველიებული არგუმენტები მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს. მიემართოთ ფაქტებს: აგათია სქოლასტიკოსი ერთგან მიუთითებს, რომ აფსილებსა და მისიმიანებს ყოფის ერთნაირი წესები აქვთო, თუმცა კონკრეტულად არ ვიცით რა აქვს მხედველობაში ბერძენ ავტორს. თუ ზოგადი ხასიათის ეს ცნობა ამ ხალხების ეთნიკურ ნათესაობაზე მიუთითებს, როგორც ამას შ. ინალ-იფა ფიქრობს²⁶¹, მაშინ როგორღა გავიგოთ XVII ს. იტალიელი მისიონერის ა. ლამბერტის შემდეგი სიტყვები: «Про алапов и зизов я отдельно ничего не скажу, потому что у

²⁶⁰ Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, с. 373.

²⁶¹ იქვე, გვ. 227.

ИХ ТАКИЕ ЖЕ ОБЫЧАИ КАК У ИХ СОСЕДЕЙ СВАНОВ !! 232.
ე. ი. ალანები, ჯიქები, სვანები და აფხაზები XVII ს. ერთი და იგივე ხალხია? გარდა ამისა, ბიზანტიურ წყაროებში არის ვითითება იმის შესახებ, რომ მისიმიანები და აფშილები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს ეკუთვნიან.

შ. ინალ-იფა გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თუ მისიმიანები სვანები იყვნენ, ასეთი ძლიერი ხალხის აყრა აფხაზებმა როგორ შესძლესო (იქვე, გვ. 233).

ჯერ ერთი, არავითარი საბუთი არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ მისიმიანები თავიანთ ღედა-ბუღიდან აფხაზებს აეყარათ; მეორე, თუკი მისიმიანები აფხაზებმა აყარეს, მაშინ ეს ისევე მათ არააფხაზურობაზე მეტყველებს; მესამე, მისიმიანებას უმეტესი ნაწილი ბიზანტიელებმა ამოწყვიტეს. ნაწილიც შესაძლოა ტოვებს მტერთა მუდმივი თავდასხმების ადგილს. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მისიმიანთა აყრა საბოლოოდ არაბეზმა გადაწყვიტეს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შესაძლოა მისიმიანთა ვარკვეული ნაწილი აფხაზებში იქნა ასიმილირებული. და თუკი გვარი მარშანია მისიმიანიდან მომდინარეობს, ეს მისიმიანთა აფხაზურობაზე კი არა, მარშანიას მისიმიანურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს²⁶³. რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ იწოდებოდნენ სვანები სხვადასხვა სატომო სახელებით, როცა მათ სტრაბონი სოანებს უწოდებსო (იქვე), უნდა განვმარტოთ, რომ სტრაბონის სოან იგივე შოან, შონ, შუან-ს ნიშნავს. რამდენადაც ბერძნულში შ ბგერა არ არსებობს, ამდენად ბერძნები შ-ს მაგივრად ხმარობდნენ ს-ს. სტრაბონი ისე უწოდებს სვანებს როგორც მეგრელები შონი-ს და აფხაზები ა-შანუა-ს, თვით სვანები — მუშვან-ს. სწორედ ამ მუშვან-ის ბერძნულ ნიადაგზე ოდნავ სახეცვლილი ფორმაა მიშიმიანი. ან რა გასაკვირია, თუ ბერძნებმა ავტორებმა ქართული სატომო სახელის არაზუსტი ტრანსკრიპცია მოგვეცეს? ასეთი ფაქტები განა ცოტაა დადასტურებული? ასეთ შემთხვევაში რატომ არ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ იმავე სტრაბონის (ძვ. წ. 64, ახ. წ. 24) ცნობით კავკასიაში სვანები „თითქმის საუკეთესონი არიან სი-

²³² С М О М П К, 1913, вып. 43.

²³³ Ш. Д. Инал-Ипа, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 233.

მამაკისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ (ყველაფერს) და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურის შემოთ არის: ჰყავთ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკისაგან შემდგარი, და როგორც ამბობენ ჰკრებენ ლაშქარს 200 000 (კაცის რაოდენობით). მართლაც მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არა ორგანიზებული... სხვა ტომები რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან“²⁶⁴.

სტრატონის ეს ცნობა თანდათან პოულობს გამართლებას და იგი სულაც არ არის ზღაპრული ხასიათის, როგორც ეს ზოგიერთს აქამდე ეგონა. ყოვლად შეუძლებელია მისიმიანეთი არ ვიგულისხმოთ სტრატონის სიტყვებში: სვანებს „უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის შემოთ არის“.

თითქმის იმავეს წერს მენანდრე (VI ს.): „ეს (სვანეთი) ერთი იმ ტომთაგანაა, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს“²⁶⁵.

რაოდენ გაზვიადებულიც არ უნდა გვეჩვენოს ეს ცნობები, ისინი რომელიღაც ისტორიულად არსებულ სინამდვილეზე მიგვანიშნებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ ანალოგიურ ცნობებს არ გვაწვდიან აფხაზურ ან სხვა რომელიმე ტომებზე? პირიქით, ბერძენი ავტორი წერს, რომ სვანებთან შედარებით „სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან“.

რაც შეეხება აფსილებისა და მისიმიანების ენას, ამის შესახებ შემოთაც მივუთითებ ბერძნული წყაროს ცნობა, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, შ. ინალ-იფა ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, მაშინ ბიზანტიელები აფსილებს რატომ აგზავნიდნენო მისიმიანებთან ელჩების სახით. განა ელჩები მაინცღაშაინც სვანები უნდა ყოფილიყვნენ? ან რატომ არ შეიძლება მისიმიანებსა და აფსილებს ერთმანეთის ენა სცოდნოდათ, ან ორივესათვის ქართული ან მეგრული ენა ყოფილიყო საერთო. განა ეს ახლაც ასე არ არის? ან იქნებ ბერძნულიც იცოდნენ, რომელსაც მაშინ ფართო რეზონანსი ჰქონდა. დღევანდელი სვანების დიდმა ნაწილმა ჩინებულად იცის მეგრული, აფხაზეთის მკვიდრმა ბევრმა სვანმა — აფ-

²⁶⁴ თ. ყაუხჩიშვილი. სტრატონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 19.

²⁶⁵ გეოგრაფიკა, III, გვ. 221.

ხაზური და ა. შ. მათ შორის ხდება ქორწინების აქტები, დანათესავება და დამოყვრება, რასაც ალბათ ღრმა ისოტრიული ტრდიციები გააჩნია. ეს ფაქტი საუკუნეების განმავლობაში განამტკიცებდა მათ მეგობრობასა და კეთილმეზობლობას, დროთა განმავლობაში ხელს უწყობდა ინფილტრაციისა და ასიმილაციის პროცესებსაც.

შ. ინალ-იფა წერს, რომ მისიმიანებისათვის დამახასიათებელი იყო ხის სახლები, სვანები კი ქვის სახლებში ცხოვრობდნენ (იქვე). სვანებისათვის დამახასიათებელია, როგორც ქვის, ისე ხის სახლები. ამას ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ადგილმდებარეობა განაპირობებდა.

იქვე შ. ინალ-იფა ეხება ტოპონიმებს და დასძენს, რომ აღნიშნული რაიონის მთელი ტოპონიმოკა დაკავშირებულია აფხაზ აზორაგენებთან და არგუმენტებად მოჰყავს გადმოცემა: „მთები ეკუთვნინათო მარშანიებს“²⁶⁶. იქვე შენიშნავს, რომ მარუხი ნიშნავსო „მარშანიას მთას“, ხოლო „მსიბისთა“ მისიმიან ტერმინთან ახლოს დგასო. მკვლევარს, მისიმიანეთის აფხაზური წარმომავლობის დამადასტურებელი სხვა ტოპონიმები არ მოჰყავს.

მარუხი თუ მარშანიას მთას ნიშნავს და მსიბისთა მისიმიანიდან მომდინარეობს, ეს აფხაზურში მისიმიანური ელემენტის არსებობაზე მიგვანიშნებს და არა მათ აფხაზურობაზე.

ისტორიულ მისიმიანეთის ტოპონიმოკა ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ (იხ. თავი II), რაშიაც დიდი დახმარება გავვიწიამ. ქალდანმა. იქ ათეულობით გეოგრაფიული სახელი სვანური ენის საფუძველზე იხსნება. აქიდან რამდენიმე ტოპონიმზე ზემოთ გვჭონდა მსჯელობა. ყოველივე ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

სხვა ყველაფერს რომ თავი ავარიდოთ, თუ მისიმიანები სვანურენოვანი არ იყვნენ, მაშინ საიდან გაჩნდა მათი განსაჯლების ტერიტორიაზე ის სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელები, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ?

მისიმიანთა სვანობა აშკარად ჩანს იმ წერილობით წყაროებშიდანაც, რომელიც ეხება VI საუკ. ირან-ბიზანტიის დავას სვანეთის გამო. არა გვეგონია, ირან-ბიზანტიის ბრძოლა VI საუკუნეში ყოფილიყო მხოლოდ ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებს შორის

²⁶⁶ Ш. Д. Инал-Ипа, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 234.

მდებარე სვანეთისათვის. ამ სვანეთს არც ტერიტორიით და არც სტრატეგიული თვალსაზრისით არ შეიძლება მიენიჭოს ის მნიშვნელობა, რასაც იმდროინდელ სვანეთს ირანი და ბიზანტია ანიჭებდნენ. ამ დიდი იმპერიების საცილობელი უნდა ყოფილიყო მისიმიანეთიც, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა.

დასავლეთ კავკასიის სექტორში, სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის, უძველესი დროიდან ქლუხორის უღელტეხილი (რომელსაც ბერძენი ავტორები მისიმიანეთის გზას უწოდებდნენ) ყველაზე მთავარი საკომუნიკაციო გზა იყო. ამასთანავე ცხადია, რომ იგი მისიმიანთა (სვანთა) კონტროლს ექვემდებარებოდა (ამაზე მეტყველებს თუნდაც სვანური წარმოშობის ტოპონიმი „დარინი“—იხ. ზემოთ). ეს გარემოება სვანეთის სტრატეგიულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდიდა.

ე. ი. იმ დროისათვის ცნება „სვანეთი“ მთლიანად მოიცავდა რიონის, ცხენისწყლის, ენგურისა და კოდორის სათავეებს, რომ არაფერი ვთქვათ დასავლეთ საქართველოს ბარში ჯერ კიდევ არსებულ სვანურ მოსახლეობაზე.

ამგვარად, მისიმიანების ეთნიკური ვინაობის საკითხის გარკვევისათვის ზემოთ მოტანილ მასალას ერთ-ერთი გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. მისი იგნორირება ისტორიული სინამდვილის ფალსიფიკაციად უნდა ჩაითვალოს.

თ ა ვ ი III

მგრიისნსა ღა სვანეთის სპარისთაო

ძე. წ. VI ს. დასავლეთ საქართველოს ბარში ჩამოყალიბდა კოლხეთის სამეფო, რომლის ცენტრს ფაზისი (დღევ. ფოთი) წარმოადგენდა. კოლხეთის სამეფოს შექმნაში ძირითადი როლი ზანურ ტომებს უნდა შეესრულებინათ. ჩვენი აზრით, თვით ტერმინი „კოლხი“ ქართულ-სვანური „კალ“ („კალო“) სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს. ამდენად მისი თავდაპირველი ფორმა „კალხი“ (შდრ. ძველადნოსავლური წყაროების „კილხი“) უნდა ყოფილიყო. რამდენადაც ქართულ-სვანურ ა ბგერას ზანურში ო ცვლის, ამდენად „კალხი“ ტერმინი მეგრულ-ჭანურში უნდა დამკვიდრებულიყო ფორმით „კოლხი“, აქედან, საყოველთაოდ გავრცელებული სახელი „კოლხები“ და „კოლხეთი“. ზემოთ გვქონდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ -ხი ძველი სუფიქსი შინაარსობრივად -ან სუფიქსს უტოლდება. -ან სუფიქსი ადრე საერთო ქართული მოვლენა იყო, მაგრამ დღემდე იგი მხოლოდ სვანურმა სპეციფიკურ ენამ შემოინახა. ნაშასადავსე, თუ „კალხი“ („კოლხი“) სიტყვაში -ხი-ს ან-ის მნიშვნელობით ვიკულისხმებთ, მაშინ მისი სახენაცვალი ფორმა იქნებოდა „კალანი“ (შდრ. კოლაელნი-კალაელნი; კოლა-კალა). სვანურად „კალ“ კალოს ეწოდება. აქედან მომდინარეობს ზემო სვანეთში ერთ-ერთი სოფლის სახელი კალ. კალ ნიშნავს სწორ ადგილს. მართალია, სოფელი კალა ციცაბო მთის ფერდობზეა გაშენებული, მაგრამ მას აქვს ვაკე ადგილიც. როგორც ჩანს, თავდაპირველად მხოლოდ ამ ადგილს ერქვა კალ, რომელიც შემდგომ მთელი ხეობის სახელად იქცა. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ „კალ“ სახელი დასავლეთ საქართველოს ბარიდან იყოს სვანეთში გადატანილი. ზემოთ ამის არა ერთი მაგალითი გვაქვს დასახელებული.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელი „კალ“ მომდინარეობდეს თურქული სიტყვისაგან „ყალა“ (სიმაგრე). ჯერ ერთი, რომ ამ სოფლის სახელია „კალ“ და არა კალა. მეორეც, „კალ“ სევანურად კალოს, ვაქეს, სწორ ადგილს ნიშნავს. რაც შეეხება თბილისში ადგილის სახელწოდებებს „ნარი ყალა“ და „ხოშა ყალა“, ამ შემთხვევაში იგი მართლაც არის თურქული სიტყვა და ნიშნავს მცირე სიმაგრეს (ციხეს) და დიდ ციხეს (სიმაგრეს). თუმცა საგულისხმოა, რომ „ხოშა“ სევანურია და დიდს ნიშნავს, ე. ი. დიდი ციხე. სხვათა შორის, თბილისის ტერიტორიაზე სევანური წარმოშობის სხვა ტოპონიმებიც გვხვდება, რაც საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

ივ. ჯავახიშვილიც „კოლხი“ ტერმინში „კორა“ და „კოლ“ ძირს გამოყოფდა. რ-სა და ლ-ს ერთმანეთში მონაცვლეობას ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდა¹. ამ შემთხვევაშიაც „კორა“ და „კორ“ ქართულ-სევანური გამოთქმის ზანურ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს.

ამგვარად, კოლა (ქართულ-სევანური კალო) ნიშნავს ვაქე ან სწორ ადგილს, ხოლო „კოლხი“ ამ ადგილის მცხოვრებთა აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ეს ტერმინი, როგორც ჩანს, ფუნქციონირებს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა სევანური ქართულის მხოლოდ დიალექტს წარმოადგენდა. ე. ი. ასეთი სახელი რომელიღაც ზანურ ტომს მიღებული აქვს მანამ, ვიდრე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შეიქმნებოდა ე. წ. კოლხეთის სამეფო.

ამგვარად, „კოლხი“ ქართული წარმოშობის უნდა იყოს.

კოლხთა სამეფოს შექმნის შემდეგაც (ძვ. წ. VI ს.) სევანური ტომების განსახლება რომ ფაზისამდე აღწევდა, ეს ჩანს ჰეროდოტეს ცნობებიდან (იხ. ზემოთ). ძვ. წ. I საუკუნიდან კოლხეთის სამეფოს გაძლიერებასთან დაკავშირებით ფართოდებოდა მისი სახელმწიფო საზღვრები, რის გამოც დასავლეთ საქართველოს ბარის სევანურენოვანი მოსახლეობა თავისი განსახლების ტერიტორიით თანდათან ექცევა მის შემადგენლობაში, მაგრამ, როგორც ისტო-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 405.

რიული წყაროებიდან ჩანს, ფაზისის ჩრდილოეთით ზღვიდან კავკასიონის მთებამდე ანტიკური ხანის მთელ მანძილზე სვანებმა თავიანთი სატომო გაერთიანება შეინარჩუნეს.

რ ძვ. წ. III საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ბარში ზღვისპირეთამდე სვანთა განსახლებას რომ ადგილი ჰქონდა, ამაზე სტრაბონის ცნობაც მიგვანიშნებს. სტრაბონი (ძვ. წ. 64 და ახ. წ. 24) წერს: „სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ (ყველაფერს) და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არ-ს“².

ცხადია, რომ სტრაბონი ეყრდნობოდა სვანებზე არსებულ ადრინდელ ცნობებსაც. ს. ჯანაშიას აზრით, სვანების სტრაბონისეული აღწერა, უეჭველია, სტრაბონზე უფრო ადრინდელ ხანას, ძვ. წ. I ს. პირველ ნახევარს ან კიდევ უფრო ძველ, მთელი საუკუნით ან საუკუნე ნახევრით ადრინდელ ხანას ასახავს³. მაშასადამე, სტრაბონი გვამცნობს სვანების მდგომარეობას ძვ. წ. II—I საუკუნეებში.

სტრაბონის ზემოთ მოტანილი ცნობა სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ სვანები ვინმეს ხელისუფლების ქვეშ ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი, პირუკუ, ამ ცნობის მიხედვით ისინი თვითონ ბატონობენ მათ ირგვლივ მოსახლე ხალხებზე, სვანების კონტროლქვეშ იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოს ზეკარები (გადასასვლელები, უღელტეხილები), რაც იმაზედაც მეტყველებს, რომ მათ ამ დროს შეეძლოთ იმიერკავკასიის მთის ზოლის თავისუფალი ადგილების ათვისება. ეს ახალი გამოკვლევებით კიდევაც დადასტურდა.

კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ ძვ. წ. II—I საუკუნეებში ისტორიულ არენაზე სვანების გამოჩენა ბუნებრივიცაა, რადგან ადრე მთელ დასავლეთ საქართველოს და მისი მოსახლეობის აღმნიშვნელად, ბერძენი და რომაელი ავტორები ხმარობდნენ ტერმინებს „კოლხეთი“ და „კოლხები“.

სვანური მოსახლეობა სტრაბონის დროს სამხრეთით შავი ზღვის სანაპირომდე აღწევდა, ხოლო ჩრდილოეთით იმიერკავკასიის მთის-

² თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 17, 126.

³ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 117—118.

წინეთამდე (დღევანდელ ყარაჩა-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის სექტორში)⁴. სწორედ ამ ფაქტს ადასტურებს სტრაბონის ცნობა იმის შესახებ, რომ დიოსკურიის ზემოთ სვანებს ეპყრათ კავკასიონის მწვერვალები. სტრაბონის ცნობების მიხედვით სვანები ამ დროს ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი ჩანან: „ჰყავთ მათ ბასილევსი და საბუო 300 მამაკაცისაგან შემდგარი, და როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს (200 000 კაცის რაოდენობით)“ (იქვე). თუკი სვანური ტომების განსახლებას ჰქონდა ადგილი ზღვისპირეთის იმერკავკასიის ბარამდე (და ეს სტრაბონის ცნობების მიხედვით ასე ჩანს), მაშინ მათი სიმრავლე გასაკვირი არაა. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს იმას, რომ სვანები სტრაბონის ცნობებით თავიანთ მეზობლებთან შედარებით მეტ ტერიტორიას ფლობენ და უფრო ძლიერი არიან: „სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან“. სტრაბონი თავის ცნობებში არაფერს ტოვებს საკოკმანოს. მისი ცნობით, სვანები კავკასიის ხალხებიდან ყველაზე დიდ ტერიტორიაზე არიან განსახლებული; მისივე ცნობით, ისინი რაოდენობითაც ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან და სიძლიერითაც სხვებს აღემატებიან. ამას თუ ტომონიშებსა და სხვა ისტორიულ წყაროებს დაეუმატებთ, ყველაფერი სტრაბონის ცნობების სისწორეს ადასტურებს (ამაში ქვემოთაც დავრწმუნდებით).

ასეთ დიდ ტერიტორიაზე განსახლებული ესოდენ მრავალრიცხოვანი ხალხი, ცხადია, არაორგანიზებული და დაურაზმავი იქნებოდა, ამაზე სტრაბონი პირდაპირ მიუთითებს: „მართლაც მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არაორგანიზებული“. ამ შემთხვევაში ორი გარემოებაა გასათვალისწინებელი. პირველი ის, რომ სვანების განსახლების ტერიტორია „კავკასიონის მთების გარშემო“ რთულ სა-

⁴ Л. И. Лавров, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ, X, М.-Л., 1950, с. 77-83; Он же. Карачай и Балкария до 30-х годов XIX в., КЭС, IV, М., 1969. А. И. Робакидзе, Р. Л. Харадзе, К вопросу о сванско-балкарских этно-культурных взаимоотношениях, МНС, Нальчик, 1960; Т. Ш. Мибчуани, Этно-культурные связи горцев Грузии (сванов) с балкарцами и карачаевцами (автореферат канд. дис.), Тб., 1978.

კომუნისტური რეგიონს წარმოადგენდა; მეორეც — სვანებს არ გააჩნდათ სახელმწიფოდ გაერთიანების სისტემა. მართალია, სტრაბონი წერს, რომ მათ ჰყავდათ მეფე და 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო. მაგრამ ეს მეტყველებს მხოლოდ სახელმწიფოებრიობის სუსტ ჩანასახებზე და მოსახლეობის თვითმოქმედი ორგანიზაციის არსებობაზე. ე. ი. ამ დროს სვანეთი შეიქმნება წარმოვიდგინოთ ერთ დიდ ეთნო-პოლიტიკურ გაერთიანებად, სადაც „მეფის“ ხელისუფლება არსებობდა იმდენად, რამდენადაც იგი ტომთა ბელადების ინტერესებს გამომხატველი იყო. როგორც ფ. ენგელსი შენიშნავს, ასეთ ტომთა გაერთიანებას უმაღლესი ხელისუფლება იყო საბჭო⁵. არსებობდა არისტოკრატთა ფენა გვართა და ტომთა ბელადების სახით.

გ. მელიქიშვილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ სტრაბონის ცნობით „სვანების სოციალურ-ეკონომიკური წყობილება გვაროვნულ წყობილებად უნდა მივიჩნიოთ. ის ფაქტიც, რომ სვანებს მთელი მოსახლეობა, სტრაბონის თქმით, მეომრულობით გამოირჩევა და ორასათასკაციანი ლაშქრის გამოყვანა შეუძლია (ბევრად მეტის ვიდრე. მაგალითად, იბერიას), გვაროვნულ წყობილებაზე მიგვითითებს, როდესაც იარაღის მატარებელი ყველა მამაკაცი გამოდის სალაშქროდ და როდესაც არ არსებობს განსხვავება ხალხსა და ჯარს შორის“⁶.

ამ სტადიაზე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სახალხო კრება (agora) — სვანურად „ლახორ“ (ე. ი. საკრებულო). ამ დროს ნებისმიერი მოზრდილი მამაკაცი მეომრად ითვლებოდა. ცხადია, სტრაბონსაც ეს აქვს მხედველობაში, როცა სვანეთის ლაშქრის რაოდენობას განსაზღვრავს.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: სვანები ლახორ-ს შეკრებას, ყრილობას ეძახიან. ჩვენი აზრით, ამ ტერმინის ფუძე „ხორ“ ბერძნულია და ქვეყანას, ტომს ან ხალხს აღნიშნავს. ამ სიტყვას წინ ერთგვარ სვანური პრეფიქსი ლა- (ქართული სა-ს ნადალი). ლახორ გაგება შინაარსით სახალხო, ტომის, თემის საკ-

⁵ Ф. Энгельс, Происхождение семьи, частной собственности и государства, Соч., т. 21, с. 103-108.

⁶ გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ძვ. წ. II—I საუკუნეებში, სნ, ტ. I, გვ. 481.

რებულო. თვით „ხორ“ სვანისათვის გაუგებარია. ეს ფაქტი ანტი-კურ ხანაში საბერძნეთ-საქართველოს (ამ შემთხვევაში სვანეთის) ახლო ურთიერთობასა და მის ზეგავლენაზე მიგვანიშნებს.

საბჭო, რომელსაც სტრაბონი აკვიწერს, არის სამხედრო ბელადების ხელისუფლება (bule). სამხედრო ბელადებად ითვლებოდნენ გვართა და ტომთა ბელადები. მათ ეკუთვნოდათ უმაღლესი ხელისუფლება. სამხედრო ბელადების საბჭო ითვლებოდა საკანონმდებლო ორგანოდაც⁷.

თუ რა მოვალეობა ეკისრა სამხედრო ბელადს, ამის შესახებ ფრ. ენგელსი წერს: „ბასილევსს, გარდა სამხედრო უფლებებისა, ქურუმისა და მსაჯულის სამსახურებრივი უფლებებიც ჰქონდა; უკანასკნელი არ იყო ზუსტად გარკვეული, პირველი კი მინიჭებული ჰქონდა მას, როგორც ტომის ან ტომთა კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს“⁸. ფ. ენგელსს „ბასილევსი“ (basileia) ესმის როგორც გვარის უზუცესი⁹, რომელიც მხედარობათავარი, მსაჯული და უზენაესი ქურუმიც იყო.

ეს არის პირველყოფილი თემური საზოგადოებრივი ორგანიზაციის რღვევის, სამხედრო დემოკრატიის აყვავებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ჩასახვის პერიოდი. ასეთად წარმოგვიდგება სტრაბონის მიერ დახასიათებული ძვ. წ. II—I სს. სვანეთის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა.

ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ეგრის-სუანეთს საერისთაოს, როგორც ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს, ცხადია სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ელინისტურ სახელმწიფოებთან. ამის დადასტურება უნდა იყოს ის, რომ მხოლოდ სვანეთის სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილია ალექსანდრე მაკედონელის 340-მდე ოქროს სტატერი¹⁰. სვანეთში აღმოჩენილია, აგრეთვე, ალექ-

⁷ К. Маркс, Конспект книги Льюиса Г. Моргана «Древнее общество», т. 1, с. 335-337.

⁸ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 145.

⁹ იქვე, გვ. 146.

¹⁰ სინ, I, გვ. 476.

სანდრე მაკედონელის მცველისა და მხედართმთავრის ლისიმაქეს (ძვ. წ. 361—281) ოქროს სტატერები¹¹. ლისიმაქე ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ (323 წ.) განაგებდა თრაკიას, შემოიერთა ჰელესპონტიც. ძვ. წ. 306 წელს იგი სხვა დიადოქების მსგავსად მეფედ გამოცხადდა.

ალ. მაკედონელისა და ლისიმაქეს ოქროს სტატერები ნანახია, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: ქობულეთ-ფიჭვნარში, ვანში, ზუგდიდის მიდამოებში, გულრიფშში. ქუთაისში აღმოჩენილია ალ. მაკედონელის ტეტრადრაქმა. ლისიმაქეს ოქროს სტატერები ნაპოვნია, აგრეთვე, გულრიფშში, ეკში¹².

ბერძენ ავტორთა ცნობები ჰქონდა ალბათ მხედველობაში პროფ. ჰუკო შუხარდტს, როცა წერდა, რომ სვანური ენა გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მთიანეთში: «С севера отделяется Кавказским хребтом от тюркских языков в области которых сванский язык, судя по некоторым данным занимает некогда господствующее положение»¹³.

როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ბერძნულ-რომაული წყაროების მიხედვით, რამდენიმე სხვადასხვა სახელწოდების ტომი იჩენს თავს. ამან განაპირობა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თითქოს მოხდა მთიელი ტომების ბარში ჩამოსახლება¹⁴, მაგრამ ეს არ უნდა ეხებოდეთ სვანურ ტომებს, იმდენად, რამდენადაც მათი განსახლება ამ დროს შავიზღვისპირეთამდე ისედაც დასტურდება.

ნ. ლომოური მთიელთა ბარში ჩამოსახლების თაობაზე ეჭვს გამოთქვამს და წერს: „მაგრამ, ვფიქრობთ, ეს საბუთი მაინცა და მაინც მყარი არ უნდა იყოს. განა ამა თუ იმ ტომის სახელწოდების ამოტივტივება წყაროებში ყოველთვის და უსათუოდ ამ ტომთა ჩამოსახლების, მათი მოცემულ ტერიტორიაზე რეალურად პირველად გაჩენის მაუწყებელია“¹⁵. იქვე ნ. ლომოური ასეთ განმარტებას იძ-

¹¹ სინ, I, გვ. 476.

¹² იქვე, გვ. 476—477.

¹³ Г. Шухардт, О географии и статистике картвельских (южно-кавказских) языков, Тиф., 1899, с. 20.

¹⁴ სინ, I, გვ. 478, 482, 538—539, 540.

¹⁵ ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 17.

ლევა: „ნაშასადამე, კოლხეთის ერთიანი სახელმწიფოს არსებობის ხანაში ძველი წყაროები არ ასახელებს ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალ ტომებს, ყველა მათ სახელს ფარავს პოლიტიკური, კრებითი შინაარსის სახელწოდება — „კოლხები“, „კოლხიდა“. ამიტომ ჩვენ არ ვიცით ვინ მოსახლეობდა ძველიდანვე დიოსკურია-სებასტოპოლისის რაიონში, მის სამხრეთით ან ცენტრალურ კოლხეთში“¹⁶. ე. ი. ნ. ლომოურის აზრით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ტომების სახელები იფარებოდა კოლხების სახელით. მეცნიერი იქვე განაგრძობს: „ერთი სიტყვით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან ანტიკურ წყაროებში ჩნდება დასახლება აფშილების, აბაზგების და სანიგებოს (ჩრდილოეთ კოლხეთში), ლაზების (ცენტრალურ კოლხეთში), ჰენიოხებისა და ზიდრიტების (სამხრეთ კოლხეთში) ჯერ კიდევ არ არის საბუთი იმისათვის, რომ აღნიშნულ ტომთა აქ ჩამოსახლება ვივარაუდოთ“¹⁷.

სვანური ტომების დასავლეთ საქართველოს ბარში განსახლებასთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო ფაქტი და მოსაზრება ეკუთვნის გ. მელიქიშვილს¹⁸.

ძვ. წ. III—I სს. სვანეთის მდგომარეობაა ასახული XI ს. ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაშიც. ლეონტი მროველი ქართველი ერის თავგადასავალს მოგვითხრობს უძველესი დროიდან ახ. წ. V ს-მდე. მისი ცნობები სვანეთზე მით უფრო საინტერესოა, რომ ისინი სტრატონისეულ მონაცემებს ადასტურებენ. ცხადია, ქართველი ისტორიკოსი ეყრდნობოდა მასალას, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ლეონტი მროველის პირველი ცნობა სვანეთის შესახებ ძვ. წ. III საუკუნეს ასახავს. იგი მიმოიხილავს ქართლის მეფე ფარნავაზ

¹⁶ ნ. ლომოური, ვერისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 17.

¹⁷ იქვე, გვ. 18, შტრ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 83

¹⁸ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 86; მოსივე, Наименование города Фезиса... ВДИ, 1966, № 1, с. 85-86; მოსივე, საქართველოს კავასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 63; მოსივე, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ძვ. წ. II—I სს., სინ, I, გვ. 481 და სხვ.

I-ის ეპოქას. ფარნავაზის დროს არსებული „ეგრისისა და სუანეთის“ საერისთაო, რომელიც მან შემოიერთა და ერისთავად მისი მომავალი სიძე ქუჯი დასვა.

მაშასადამე, ძვ. წ. III საუკუნეში სვანეთს განაგებს ერისთავი. სტრაბონის ცნობითაც სვანებს ჰყავდათ მეფე. რაც ამ ფაქტის სისწორეს ადასტურებს.

„ეგრისისა და სუანეთის საერისთაო მოიცავდა მდ. რაონსა და ლაღიძვას შორის მდებარე ტერიტორიას“¹⁹.

ფარნავაზის დროს „ეგრისისა და სუანეთის“ საერისთაოს მოსახლეობა მეგრულ-სვანური უნდა ყოფილიყო. თუმცა გასათვალისწინებელია ლეონტი მროველის შემდეგი ცნობაც: „მაშინ ამან საურმაგ წამოიყვანა იგინი (იგულისხმებოან დურძუკები — ჩეჩენ-ინგუშთა წინაპრები, საურმაგის დედულები — თ. მ.) ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი და რომელნიმე მათგანი წარჩინებულ ყვნა, და სსუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“²⁰. საურმაგ ფარნავაზის ძე ქართლის მეორე მეფე იყო.

„დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“, ნიშნავს, რომ ეგრისი სუანეთია.

ლეონტი მროველის ამ ცნობას იქვე არშიაზე ასეთი კომენტარიც გააჩნია: „ეგრისი სუანეთია“. ამდენად, ისტორიული ეგრისის ტოპონიმიც დღემდე რომ უამრავ სვანურ გეოგრაფიულ სახელწოდებას ინახავს, წერილობითი ცნობებითაც გამართლებულია.

მაშასადამე, ძვ. წ. III საუკუნეში ეგრისის მოსახლეობა ძირითადად სვანურენოვანი უნდა ყოფილიყო. ისინი ჯერ კიდევ არ არიან კოლხებში (ზანურ ტომებში) ასიმილირებულნი. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეგრისელებში თავდაპირველად სვანები იგულისხმებოდნენ. შემდგომ, როცა ეგრისელი სვანების ასიმილაცია მოხდა ზანურ ნიადაგზე, მათ თვით არაეგრისელმა სვანებმა მისცეს სახელი „ზანარ“ (ზანები), ხოლო „მემგრელ“, „მეგრელი“, „ეგრისელი“ ამ ტერიტორიაზე მოსახლე ზანების სახელად იქცა ყვე-

¹⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24, დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 113.

²⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 27.

ლა დანარჩენი არასვანური მოსახლეობისათვის. ამაზე შეტყველებს შემდეგი გარემოებაც, კერძოდ, სვანები დღესაც მეგრელების მიმართ ხმარობენ ტერმინს „მგზან“—ზანელი. ალბათ იმიტომ, რომ ეგრისელი სვანების ეთნიკური გაქრობის შემდეგ დასავლეთ საქართველოს მთიელებმა დაეიწყებას მისცეს სახელწოდება „მგმგრელ“, ე. ი. მეგრელი (ეგრისელი), ე. ი. „მგმგრელს“ სვანები მეგრელებს დღემდე იმიტომ არ ეძახიან, რომ ეს არ იყო მათი თავდაპირველი სახელწოდება, ამ ტერმინში სვანთა გარკვეული ნაწილიც იგულისხმებოდა, მაგრამ როცა ბარის სვანები ზანურ მოსახლეობაში გაითქვიფნენ და გაზანდნენ, ტერმინი „მგმგრელ“ („მეგრელი“) დაეიწყებას მისცეს. გაზანებული სვანების მიმართაც აქედან სვანები ხმარობდნენ იმავე ტერმინს, რასაც ადრე ზანურ-ჰანური ტომების მიმართ — „ზანარ“ (ზანები). ისტორიაში არაერთი ანალოგიური შემთხვევა დასტურდება.

მაშასადამე, დღევანდელი მეგრელების ფორმირება სვანური ეთნოსუბსტრატის ნიადაგზე მოხდა. ასევე ზანური ეთნოსუბსტრატის საფუძვლად დაედო დასავლეთ საქართველოს სხვა ქართველებს: აჭარლების, გურულების და ნაწილობრივ იმერლების ფორმირების პროცესს.

ანტიკურ ხანაში რომ ეგრისში ზანურ-ჰანური მოსახლეობა არ იგულისხმებოდა, ეს ჩანს კლავდიოს პტოლემეაიოსის ცნობიდანაც: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზეკით მდებარე ადგილებში მანრალეები და ეკრი(კ)ტიკის ქვეყნის მცხოვრებნი“²¹. მკვლევართა აზრით „მანრალი“ მეგრელს უნდა ნიშნავდეს, ხოლო „ეკრიტიკე“ — ეგრისს²². აღნიშნული ცნობის მიხედვით მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განსახლებულა არიან ლაზები და მეგრელები, ხოლო მათ ზევით „ეკრიტიკის ქვეყნის მცხოვრებნი“, რომლებიც, ჩვენა აზრით, სვანებს უნდა გულისხმობდეს.

ანტიკურ ხანაში ეგრისის ტერიტორიაზე სვანური მოსახლეობის არსებობასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას გვაწვდის რო-

²¹ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, გვ. 45.

²² აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გვ. 136—137.

შაველი მწერალი პლინიუს უფროსი (ახ. წ. 23—79). ის წერს, რომ „მდინარე ხობისი კავკასიონიდან სვანებზე ჩამოდისო“ (VI, 14)²³. ე. ი. ხობისწყალი მოედინებოდა სვანეთის, ანუ ისტორიული ეგრისის ტერიტორიაზე, მაგრამ რომელი ავტორები ეგრისის ნაცვლად ხმარობდნენ სვანეთს, აკი ნ. ბერძენიშვილიც შენიშნავდა, რომ „მეგრულგლახდებოდა ხობისწყლის სვანეთი“²⁴. უფრო მეტიც, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეგრისში სვანური მოსახლეობა ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამდე უნდა არსებებულიყო. მეცნიერი წერს, რომ „ბარის სვანეთმა ვერ გაუძლო ბარის ფეოდალური ურთიერთობის შემოტევას“²⁵... მისივე სიტყვით ბარის „მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ სვანური მოღვმისააი არიან. განსაკუთრებით სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი და ეს მომენტი გვიან წარმოშობილი არ არის, არამედ უძველესი დროიდან მოდის“²⁶.

ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები იმის შესახებ, რომ სვანეთის მიწაზე სკვითები გადაიანო²⁷, ჩანს გულისხმობს, მისიმიანეთს ან ეგრისის ტერიტორიას. სკვითების შემოსევას დასავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა ახ. წ. III საუკუნეში²⁸. რამდენადაც სკვითები განსახლებული იყვნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (ნაწილობრივ იმიერკავკასიის სტეპებში)²⁹, ამდენად მათი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შემოსვლა უნდა მომხდარიყო აზოვისზღვისპირეთიდან ან სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან ქლუხორის ყველაზე მოსახერხებელი და ხელსაყრელი უღელტეხილით მისიმიანეთზე გაოვლით. ამიტომ მენანდრეს (ახ. წ. VI ს.) ზემოთ მოტანილ ცნობაში იმის შესახებ, რომ სკვითები სვანეთის მიწაზე გადაიანო, უნდა იგულისხმებოდეს მასიმიანეთი (კოლორის ხეობა), ან

²³ იხ. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1973, გვ. 32.

²⁴ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 149.

²⁵ იქვე, გვ. 426.

²⁶ იქვე, გვ. 427.

²⁷ გეორგიკა, ტ. III, გვ. 221.

²⁸ ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. I, თბ., 1979, გვ. 215.

²⁹ Б. Н. Грахов, Скифы, М., 1971, с. 13-33; А. П. Смирнов Скифы, М., 1966; Б. В. Техов, Скифы и материальная культура Центрального Кавказа в VII—VI вв. до н. э., в кн.: «Скифия и Кавказ», Киев, 1980, с. 219-258.

ისტორიული ეგრისის ტერიტორია. აქვე არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს პტოლემეაოსის (ახ. წ. II ს.) ცნობას იმის შესახებ, რომ დღევანდელ გაგრის სექტორში ცხოვრობდნენ „სუანო-კოლხები“ (იხ. ზემოთ). ამ საკითხით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა, ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა პროფ. თ. ყაუხჩიშვილის ასეთი დასკვნა: „სუანო-კოლხები ნიშნავს კოლხ სვანს, ე. ი. იმ სვანს, რომელიც კოლხია, ე. ი. ტომით სვანია, მაგრამ ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც კოლხიდაში შედის“³⁰.

საკურადღებოა ის ფაქტი, რომ მეგრელთა დიდ ნაწილს დღემდე შეჰპოვია ხსოვნა თავისი სვანური წარმომავლობისა³¹.

ევოლუციური ურთიერთობის პირობებში ადგილი ჰქონდა მთა-სა და ბარს შორის ეთნიკური მიმოქცევის პროცესებს, რომელიც ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ამაზე აშკარად მიგვანიშნებენ სვანურ-მეგრული გვარ-სახელები. ასე მაგალითად, XIII საუკუნის „სუანეთის სულთა მატთანეს“ მიხედვით სვანეთში მცხოვრები გვართა უმრავლესობა დღეს იქ უკვე არ გვხვდება. ესენია: კვარაცხელიანი, აფაქიანი, კვირკველანი, ჭარჩიანი, მოსიანი. მანიანი, ლაშხიანი და სხვა მრავალი³². სამაგიეროდ ისინი დღეს მრავალრიცხოვანი გვარებია და ცხოვრობენ ძირითადად სამეგრელოში (კვარაცხელია, აფაქიძე, კვირკველია, ჭარჩავა, მოსია, მანია, ლაშხია...).

სერგი მაკალათიაც მიუთითებს სვანეთიდან გამოსულ ისეთ გვარებზე, როგორცაა პაპასქირი, ქარდავა, კვარაცხელია, ცქვიტია და სხვ³³. სვანეთ-სამეგრელოს ეთნო-კულტურული ურთიერთობის საკითხი საგანგებო შესწავლის ღირსია, საამისოდ მდიდარი მასალა არსებობს, რისთვისაც ნაწილობრივ ს. მაკალათიასაც მიუქცევია ყურადღება³⁴.

როგორც დავინახეთ, ქართველი ისტორიკოსი, ლეონტი მროველი, სვანებს ეგრისელებსაც უწოდებს („ეგრისი სუანეთია“). ჩვენი

³⁰ თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 161.

³¹ ს. ჭანაშია, შრომები, ტ. III, გვ. 15.

³² პ. ინგოროყვა, სვანეთის ისტორიული ძეგლები, ნაკვ. II, თბ., 1941.

³³ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 243—244.

³⁴ იქვე, გვ. 324—325.

აზრით, ბერძენი ავტორები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში მოსახლე სვანების მიმართ ჩანს ხმარობდნენ ისევე ძველ სახელწოდებას — ჰენიოხები. როგორც ზემოთაც მივუთითეთ ფლავიუს არიანე არსად სვანებს არ იხსენიებს. თუ პლინიუსის დროს ახ. წ. I ს. მეორე ნახევარში ხობის მდინარე სვანეთზე გადიოდა, ან სტრაბონის დროს სვანები დიოსკურიამდე ცხოვრობდნენ, 50—60 წლის განმავლობაში მათი უკვალოდ გაქრობა წარმოუდგენელია, მითუმეტეს, რომ ახ. წ. II—VII სს. სვანთა ეთნიკური ჩკუფი კიდევ არსებობდა გაგრის ზონაში. ჩვენი აზრით, სწორედ ამ ევროსელ სვანებს ბერძენი ავტორები ჰენიოხებს უწოდებენ. ჰენიოხებს არიანეც ასახელებს³⁵.

არიანე ჭერ კოლხებს ასახელებს, შემდეგ კი ჰენიოხებს. კოლხების ქვეშ ცხადია იგულისხმებიან ზანური ტომები, ხოლო ჰენიოხებში, ჩვენი აზრით, ზანების ჩრდილოეთით მოსახლე სვან-ევროსელები უნდა ვიგულისხმეთ.

სვანების დაბასათებისას სტრაბონს, როგორც ჩანს მხედველობაში ჰყავდა ჰენიოხებიც, ბარის სვანურ ტომთა გაერთიანება, რომელთა შავი ზღვის სანაპიროზე დასავლეთისაკენ წაწევა განაპირობა კოლხეთის სამეფოს გაძლიერებამ. ამაზე მივვანიშნებს ტოპონიმიკური მასალაც. თუ ამ ტერიტორიაზე მოსახლე ჰენიოხები სვანურენოვანი ხალხი არ იყო, საიდან უნდა გაჩენილიყო ამ დღემდე შემორჩენილი სვანური გეოგრაფიული სახელები?

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სტრაბონის ცნობებით, სვან-ჰენიოხთა განსახლებას კავკასიონის მთებიდან ზღვისპირეთამდე ადგილი ჰქონდა დაახლოებით ძვ. წ. II—I საუკუნეებში. მაშასადამე, ამ საუკუნეებში სვანები კვლავ ფლობდნენ ე. წ. ევროსის ტერიტორიას.

სტრაბონის ცნობის სისწორეს ასაბუთებს კლავდიუს პტოლემემაიოსი (ახ. წ. II ს.), რომელიც გაგრის ზონაში ასახელებს სუანოკოლხებს³⁶. თუ კლავდიოს პტოლემემაიოსი ცდება, მაშინ როგორ გავიგოთ VII ს. სომხეთის გეოგრაფიაში დაცული ცნობა იმის შეს-

³⁵ ფლავიუს არიანეს მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961, გვ. 93.

³⁶ ნ. ლ. მ. ო. უ. რ. ი., კლავდიოს პტოლემემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, გვ. 44.

სახეზე, რომ იმავე გაგრის ტერიტორიაზე ცხოვრობენ აგრეთვე სვანები³⁷. დღევანდელი გაგრა ჰენიოხთა განსახლების ტერიტორიაში შედიოდა. თვით გაგრა სვანური სიტყვაა „გაკრა“-დან უნდა იყოს ნაწარმოები. სხვა ახსნა მას არ მოეპოვება (იხ. თავი V).

: მაშასადამე, ქართული წყაროების ეგრისელები (რომელშიაც ანტიკურ ხანაში ბარის სვანები იგულისხმებოდნენ) ბერძენ ავტორებთან მოხსენიებული ჰენიოხები უნდა იყვნენ.

რაც შეეხება თვით გეოგრაფიულ სახელწოდებას „ეგრისი“, ჯერჯერობით მისი ეტიმოლოგია დადგენილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მასზე არაერთ მეცნიერს გაუმახვილებია ყურადღება.

საგულისხმოა, რომ უმწერულ მითოლოგიაში დასტურდება ტერმინი „ენგურა“. ქართულმა, კერძოდ სვანურმა, უმწერული ელემენტი საკმაო რაოდენობით შექონა (იხ. ქვემოთ). ენგური და ეგრისი ალბათ ერთი ფუძე სიტყვიდან ნაწარმოები ტერმინებია.

: ახ. წ. I საუკუნის შემდეგ ბერძნულ წყაროებში ჰენიოხების მოხსენიება წყდება, მათი განსახლების ტერიტორიაზე ბერძენი ავტორები ასახელებენ სანიგებს (იხ. ზემოთ, „ჰენიოხები“). სანიგებში მკვლევართა ერთი ნაწილი გულისხმობს სვანებს, მეორე ნაწილი — ზანებს და მესამე — აფხაზთა წინაპრებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა იპოლიტე რომაელის (ახ. წ. III ს.) ცნობა, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „სვანები, ეგრეთწოდებული სანიგები, რომლებიც გადაჭიმული არიან ვიღრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის აფსაროსი (და სებასტოპოლისი), ჰაპსოსის ნავსადგური და მდინარე ფაზისი“³⁸.

როგორც ჩანს, ავოლიტე რომაელის ცნობა მომდინარეობს ძველი ტრადიციიდან, როცა ჰენიოხების განსახლება მოიცავდა აფსაროსიდან (თანამედროვე გონიო, კოროხის შესართავი) სებასტოპოლისამდე (დღევ. სოხუმი) ტერიტორიას.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა სანიგების მეორენა-

³⁷ С. Т. Еремян, Армения по «Ашхарацуиц»-у, Ереван, 1963, с. 101 (на армян. языке); К. П. Патканов, Из нового списка географических приписываемой Мавсею Хоренскому, ЖМНП, март, 1883, с. 29.

³⁸ გეორგიკა, ტ. I, თბ., 1961, გვ. 20.

რი სახელწოდება ს ა ვ ნ ე ბ ი, რომელსაც იპოლიტე რომაელი ხმა-
რობს. იგი ფონეტიკური წყობით ახლოს დგას ტერმინთან ს ვ ა-
ნ ე ბ ი.

ბერძენი და რომაელი ავტორები სატომო სახელ „სვანებს“
სხვადასხვა ფორმით გადმოსცემენ. ასე მაგალითად, სტრაბონი სვა-
ნებს „სოანებს“ უწოდებს, კლავდიოს პტოლემეისი „სუანებს“.
იპოლიტე რომაელი „ს ა ვ ნ ე ბ ს“.

იპოლიტე რომაელის „სვანებ“-ში სვანები რომ უნდა იგულისხ-
მებოდნენ, ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ ერთ-ერთი
სვანური თქმულების მიხედვით ოდესღაც ზემო სვანეთის სოფელ
ლახირში მცხოვრებთ, აგრეთვე ეწოდებოდათ „სვანები“³⁹.

სვანეთში მცხოვრები სვანები იგივე სანიგები უნდა იყვნენ, ამ-
ზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ აქ XIII ს. ცხოვრობს გვარი სანი-
გიანი⁴⁰.

ხომ არ არიან სვანები თუ სანიგები დასავლეთ საქართვე-
ლოს შავიზღვისპირეთიდან შედარებით გვიან გადასული სვანთა
ერთ-ერთი ტომი?

XII—XIII საუკუნეებში სანიგები ქაშაგთა (ყაბარდოელთა)
მეზობლადაც მოიხსენიებიან⁴¹.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ საუკუნეებში ჩრდილოეთ
კავკასიაში სვანთა გარკვეული ნაწილის განსახლება მეცნიერულად
დასაბუთებულია⁴².

დ. მუსხელიშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით საგულსხმო
მოსაზრებას გთავაზობს. ის წერს: „თუ ჩვენ გავიხსენებთ. რომ
არიანესთან აფსილებს და აბასკებს ჩრდილო-დასავლეთით ემეზობ-
ლებოდა სანიგთა ტომი, ხოლო სომეხ გეოგრაფთან კი აფხაზთა
ჩრდილო-დასავლეთ მეზობლად სვანები გვევლინებიან, მაშინ მოსა-
ზრება, რომ „სომხური გეოგრაფიის“ სვანები იგივე სანიგები უნდა

³⁹ სვანური პროზაული ტექსტები, თბ., 1939, გვ. 21—23.

⁴⁰ პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

⁴¹ „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, ქც, I, გვ. 49.

⁴² იხ. ლ. ლავროვის, ალ. რობაქიძის, რ. ხარაძის და
თ. მიხუანის დასახ. ნაშრომები.

სუენენ, სავსებით რეალური განდება“⁴³. თუ რამ გამოიწვია და როდის მოხდა მათი ადგილის გადანაცვლება დასავლეთის მიმართულებით, ამის შესახებ დ. მუსხელიშვილი ასეთ პასუხს იძლევა: „ბუნებრივია, თუ ამ მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესს ჩვენ ეგრისის სამეფოს წარმოშობას დაუკავშირებთ, რისი ერთი მნიშვნელოვანი ეტაპიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, II ს-ის მეორე ნახევარში უნდა დამთავრებულიყო“⁴⁴.

ეგრისი პირველადია, როგორც გეოგრაფიული სახელი. ხოლო აქიდან ნაწარმოები ქართული ეგრისელნი, ანუ მე-ეგრელი (იგივე ეგრელი) და ზანური მარგალი-მერმინდელი. „მეგრელი“, რომ რომელიმე ზანური ტომის სახელი ყოფილიყო, იგი სვანთა მეხსიერებაში ისევე შემორჩებოდა, როგორც „ზანი“ („ზანარ“). სვანები დღევანდელ მეგრელთა წინაპრებს იცნობენ მხოლოდ და მხოლოდ ზანების სახელით. „მეგრელი“ სვანისთვის უცხოა და მან სვანურ ლექსიკაში დღემდე ვერ მოიკიდა ფეხი. ისტორიული ეგრისის მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები, თვით ეგრისის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრის სახელწოდება „ოდიში“ სვანურია და ისეთივე წარმოშობისაა, როგორც ზემო სვანეთში ერთ-ერთი სოფლის სახელი „ადიში“ (ე. ი. იელნარი). ოდიში დღემდე წარმოადგენს იელნარ ადგილს, რასაც სვანეთის ადიშზე ვერ ვიტყვით. მაშასადამე, ეს გეოგრაფიული სახელი ეგრისიდან არის იქ გადატანილი (იხ. ზემოთ).

ცხადია, რომ ეგრისში მცხოვრები სვანების მატერიალური კულტურა დღევანდელის ანალოგიური უნდა ყოფილიყო. სვანური ტიპის კოშკების ნანგრევები აქ დღემდეა შემორჩენილი. ასეთთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ზუგდიდის რაიონში ე. წ. ჭაქვიჩის ციხე, რომელიც წენ-წყლიდან ორი კილომეტრითაა დაშორებული. ს. მაკალათია, რომელსაც აღუწერია ის ციხე, წერს: „ჭაქვიჩის ციხის კოშკები სვანური ტიპისაა“⁴⁵. ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეგრისის თავდაპირველი მოსახლეობა სვან-ჰენიოხები

⁴³ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 98--99.

⁴⁴ იქვე, გვ. 99.

⁴⁵ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 234.

იყენენ. ბოლო ეგრისის სამხრეთით მდებარე ოლქი (მდ. რიონის ქვემო დინებისა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის) ზანებით იყო დასახლებული და მას სახელი ეგრისელმა სვანებმა მისცეს. ამ მხარეს ეწოდებოდა „ლაზიკა“. ეს სვანური სახელი მას შერჩა ბოლომდე. ლაზანი(კა) სვანურად საზანოს ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ივ. ჭავჭავიძე წერდა: „თვით სახელი ლაზიკა ლაზნიკას მაგიერ (სრული ფორმა იქნებოდა ლა-ზან-იკა) სწორედ „ზანი“-სა, ანუ „ზანიკა“-საგან უნდა იყოს ნაწარმოები; მხოლოდ თავში სვანური ქვეყნაერების აღმნიშვნელი თავსართი „ლა“ უზის; მაშასადამე, ლაზიკა „საზანოს“ ანუ სამეგრელოსა ნიშნავს, თვით ტომობრივი სახელწოდება „ლაზი“ აქედანვე უნდა იყოს წარმომდგარი“⁴⁶.

რაც შეეხება „კა“, „კე“ დაბოლოებებს, მას ივ. ჭავჭავიძე ასე განმარტავდა: „ამ შემთხვევაში საკვეცი „კე“ ჩვეულებრივი ეროვნების აღმნიშვნელი საკვეცია, ისეთივე, როგორც ზემოაღნიშნული „ხი“ არის“⁴⁷.

ამ მხარეს ლაზიკას უწოდებენ ბერძენი ავტორები დაწყებული პროკოფი კესარიელიდან (ახ. წ. VI ს.).

ზანაბ-თანდათან ეუფლებოდნენ სვან-ეგრისთა ტერიტორიას.

რაც შეეხება „მაკრონი“-ების, „მეგრელებ“-თან გაიგივებას, ჩვენი აზრით, ეს მოჩვენებითია. თუ „მეგრელი“ მომდინარეობს სიტყვიდან „ეგრისი“, მაშინ რა შუაშია აქ ბერძნული „მაკრონი“⁹ (ბერძ. „მაკრო“ დიდს ნიშნავს)⁴⁸. ბერძნებს შეეძლოთ „მეგრელი“ ან „მარგალი“ თავიანთ ენაზე „მაკრონალ“ „მოენათლათ“ და არა პირუტყუ⁴⁹.

ლაზიკის სვანურ წარმოშობას ისიც ადასტურებს, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში იგი ცნობილია ეგრისის სახელწოდებით. ეგრესელებისათვის (ე. ი. როცა იგი სვანებით იყო დასახლებული)

⁴⁶ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 405.

⁴⁷ ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 405.

⁴⁸ იქვე, გვ. 404—405.

⁴⁹ სხვათა შორის „მეგრე“ სვანურად „მსხელს“ ნიშნავს (მდრ. ბერძ. „მაკრო“ — დიდი). არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ბერძნული „მაკრო“, სვანური „მეგრე“ და ტერმინი „მეგრე-ლი“ ერთი წარმომავლობის სიტყვები იყოს.

კი ლაზიკა ეგრისი არ არის, ის სხვა მხარეა, საზანოა, მის სამხრეთით მდებარე ქვეყანაა. რომელებსა და ბერძნებისათვის კი პირუტყუ, მათ, რადგანაც უფრო ლაზიკასთან უჩანთ კონტაქტები, ამ სახელით იცნობენ მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს.

რადგან ლაზიკა რომაელთა გავლენის სფეროს წარმოადგენს, მთელი უსავლეთ საქართველოს ლაზიკად გამოცხადება მათი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს. ლაზიკას ისინი ეხმარებიან პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვებაში.

ლაზიკის, ანუ ეგრისის სამეფომ თავის ძლევა მოსილებას კიდევაც მიაღწია. დასავლეთ საქართველოს ბარში მოსახლე სვანების ასამილაცია ზანურ ეთნიკურ ნიადაგზე ამ დროს ალბათ მეტი ინტენსივობით წარიმართა.

ამრავალ, წარმოიშვა ე. წ. ლაზიკის სამეფო. თუ ლეონტი მროველის ცნობა ვირწმუნეთ (რომელიც ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობებზე ნაკლებ სარწმუნო არ უნდა იყოს), მაშინ ლაზიკის სამეფოს წინ უსწრებდა „ეგრისისა და სუანეთის საერისთაო“. როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ეს საერისთაო შეიქმნა ჯერ კიდევ ძვ. წ. III—II სს. ქართლის პირველი მეფის ფარნაოზის დროს (ქც. I, გვ. 27). ეს საერისთაო ქართლის სახელმწიფო ხელისუფლების ორიენტაციას ატარებდა ვახტანგ გორგასლის დროსაც, ე. ი. ახ. წ. V ს-ში. ქართლის სამეფოს დასუსტების შემდეგ „სუანეთისა და ეგრისის“ საერისთაო ლაზიკის სამეფოს შემადგენელ ნაწილად იქცა, „ეგრისისა და სუანეთის“ საერისთაოს რომელიღაც ნაწილი ლაზიკის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა ალბათ უფრო ადრე, კერძოდ, ახ. წ. IV საუკუნეში, ლაზიკის სამეფოს შექმნის გარიყრაზე. შესაძლოა ეს იყოს ე. წ. ხობის სვანეთი, ან რომელიმე სხვა რაიონი. ეს ფაქტი ბიზანტიის დიპლომატიამ მისი მოქიშპე ირანის წინაშე ისე გაზვიადებულად წარმოადგინა, თითქოს სვანები ლაზებს ხარკს უხდიდნენ და სხვ. მაგრამ ამ შემთხვევაში არანაკლები არ-გუპუნტები გააჩნია ირანის დიპლომატიასაც, მათი მტკიცებით სვანები ყოველთვის თვითთავადნი იყვნენ და არასოდეს ლაზებს არ ემორჩილებოდნენ (იხ. ქვემოთ). ეს ფაქტი უნდა ასახავდეს „ეგრისისა და სუანეთის“ საერისთაოს მდგომარეობას ახ. წ. VI საუკუნემდე. შემდგომ ეგრისი ლაზიკამ დაიქვემდებარა.

ამდენად, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეგრისის სამეფო ახ.

წ. IV ს-ში წარმოიშვა, არასწორად გვეჩვენება. IV ს-ში ლაზიკის სამეფო წარმოიშვა და არა ეგრისის. დასუსტებული ეგრისის საერისთაო მან შემოიერთა. მისი დასუსტება ქართლის დასუსტებამ გამოიწვია.

„სუანეთისა და ეგრისის“ საერისთაო, რომელიც ლეონტი მროველის ცნობით ძვ. წ. III საუკუნიდან არსებობდა, კოლხეთის სამეფოს არსებობის დროსაც (ძვ. წ. VI—II სს.) ალბათ ცალკე ეთნო-პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც ფორმალურად კოლხეთის გაერთიანების ქვეშ იგულისხმებოდა. ამაზე მივყავართ იმის შესახებ, რომ კოლხები და მათ ზემოთ (ე. ი. ფაზისის ჩრდილოეთით) მცხოვრები ტომები — აბჯქარს უგზავნიდნენ სპარსეთის მეფეს⁵⁰. აქ გარკვევითაა ნათქვამი — კოლხები და მათ ჩრდილოეთით მოსახლე ხალხი. კოლხების ჩრდილოეთით მოსახლე ხალხში, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს გ. მელიქიშვილი, ცხადია იგულისხმებიან სვანები (სვან-ჰენიოხები). მაშასადამე, ჰეროდოტემ ძვ. წ. V ს-ში, კოლხეთის სამეფოს არსებობის დროს, იცოდა, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა სხვა ტომთა გაერთიანებაც, რომელიც აგრეთვე ირანის მოხარკე იყო. მაგრამ მათი სახელწოდებანი იფარებოდა კოლხებისა და კოლხეთის ზოგადი სახელით⁵¹. ძველი კოლხეთის სახელმწიფო შედგებოდა ცალკეული ტომებისაგან. იგი შინაგანად მონოლითურ გაერთიანებას არ წარმოადგენდა. კოლხეთის სამეფოში შემავალი ტომები ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას, თანდათან იქცეოდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებად — „სკეპტუხიებად“. ეს სკეპტუხიები „აერთიანდებდნენ კოლხეთის სამეფოში შემავალ ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებს“⁵².

ამგვარად, „სუანეთისა და ეგრისის“ საერისთაო არსებობდა ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნიდან. სტრაბონის ცნობითაც სვანებს

⁵⁰ ჰეროდოტე, ისტორია, თბ., 1975, გვ. 227.

⁵¹ ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 15.

⁵² შ. ინაძე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიებათა საკითხისათვის, შპ. ბ. XXVI, № 6, 1961, გვ. 783—789; ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 15—16.

ამ დროს ჰყავთ ბასილევსი. წყაროებში ლაზების მოხსენიება მხოლოდ ძვ. წ. I საუკუნიდან გვხვდება⁵³. ლაზიკის სამეფოს ჩამოყალიბება კი ახ. წ. IV საუკუნიდან იწყება⁵⁴.

ახ. წ. IV საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულს ქართული წყაროები ეგერისს უწოდებენ, ხოლო რომაელი და ბიზანტიელი მწერლები — ლაზიკას, ლაზების სამეფოს. ეგერისის ანუ ლაზეთის სამეფო გარკვეულ პერიოდში მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს და ძველი კოლხეთის მემკვიდრედ გამოდის⁵⁵. რამდენადაც გამაერთიანებლის როლში ლაზები გამოდიან, ამდენად აღნიშნულ გაერთიანებას მოჰყვა სვანურ-ზანური ტომების კონსოლიდაცია ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ.

შიდა ეგერისი VI საუკუნეშიც რომ ძარითადად სვანთა დასახლების რეგიონს წარმოადგენდა, ამიტომ იქცა იგი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების საცილობლად. არა გვგონია ირან-ბიზანტიის ბრძოლა ყოფილიყო მხოლოდ იმ სვანეთისათვის, რომელიც დღემდე შემოგვრჩა. ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებში მდებარე სვანეთს არც ტერიტორიით და არც სტრატეგიული თვალსაზრისით არ შეიძლება მიენიჭოთ ის მნიშვნელობა, რასაც იმდროინდელ სვანეთს ირანი და ბიზანტია ანიჭებდნენ. ამ დიდი იმპერიების საცილობელი სვანეთი უნდა ყოფილიყო შიდა ეგერისის საერისთაო დღევანდელი ლეჩხუმ-სვანეთის, რაჭისა და კოდორის სათავეებში მოსახლე ერთ-ერთი სვანური ტომის — მისიმიანების ჩათვლით. ეს ტერიტორია წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტს, ამ ტერიტორიაზე გადიოდა ყველა მნიშვნელოვანი გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამიტომ ამ მხარისაკენ ბრძოლა ღირდა თავგანწირვად. მის ხელში ჩაგდებაზე დიდად იყო დამოკიდებული ამიერკავკასიაში გაბატონება.

სუანეთისა და ეგერისის საერისთაოში ჩანს შედიოდა „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული თაკუერი. თაკუერი დღევანდელი

⁵³ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მემონის „პერაქლის ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ, მსკი, ნაკვ. 34, 1962, გვ. 145—146.

⁵⁴ ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

⁵⁵ იქვე.

ლენსუმის (ცაგერის რაიონი) ძველი სახელწოდებაა⁵⁶. თაკუერს პირველად ლეონტი მროველი მოიხსენიებს ქართლის მე-18 მეფე აბაზასის ეპოქასთან დაკავშირებით⁵⁷. აბაზასი მეფობდა დაახლ. ახ. წ. II ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისში⁵⁸.

თაკუერლებმა ანუ დღევ. ლენსუმლებმა სვანური ენა თითქმის მე-19 საუკუნემდე შემოინახეს. თვით მხარის სახელწოდება „თაკუერ“ - ი მომდინარეობს სვანური სიტყვისაგან „თაკუ“ (ბაწარი). -ერ, აგრეთვე, სვანური სუფიქსია. „თაკუერ“ ნიშნავს „ბაწარას ხეობას“ (შდრ. „ბაწარას ხეობა“ პანკისში). ასეთი გეოგრაფიული სახელის წარმოშობა დაკავშირებულია გეაროვნული წყობის დაშლასა და სამეზობლო თემის წარმოქმნასთან: «Родовая община перестала быть экономической необходимостью и распалась, уступив место территориальной «соседской» («верви»)»⁵⁹.

უ. ენგელსი სამეზობლო თემის არსს ასე განმარტავდა: «Исходящимся до того в общем владении пашини и луга стали подвергаться разделу... Между возникшими теперь отдельными домашними хозяйствами, сначала на время, позднее раз навсегда, тогда как леса, выгоны и воды оставались общими»⁶⁰.

მე-18 ს. ქართველი გეოგრაფოსისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვითაც ლენსუმს თაკუერს უწოდებდნენ. მისივე ცნობით, თაკუერის სახელი ვრცელდებოდა რაჭაზეც⁶¹. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ წინათ „თაკუერია“ საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლენსუმისა, ხოლო შემდეგ სახელი „რაჭა“ შემოიღეს და „თაკუერი“ კი ლენსუმს უერჩა⁶². ტერმინი „ლენსუმი“ შესაძლოა მომდინარეობს ამ მხარის მეორენაირ სახელწოდებისაგან — სკუმია⁶³, რომელსაც შემდგომ დაერთო — ლე მაწარმებელი პრეფიქსი. რაჭის ტერიტორია დღემდე ინა-

⁵⁶ ივ. ჯავახიშვილი, თბ., ტ. II, თბ., 1983, გვ. 52.

⁵⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 57.

⁵⁸ ქს. IV, გვ. 67—68.

⁵⁹ История СССР, т. I, М., 1982, с. 49—50.

⁶⁰ Маркс К., Энгельс Ф. Соч. 2-е изд., т. 21, с. 140.

⁶¹ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 748.

⁶² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

⁶³ გეოგრაფია, II, გვ. 96, შენ. 2; სინ, I, გვ. 557—558.

ხავს სვანურ გეოგრაფიულ სახელებს. თვით მხარის სახელწოდება „რაჰა“, ა.ე. შანიძის მტკიცებით, აგრეთვე სვანურია და მომდინარეობს ტერმინიდან „რატმა“, ე. ი. რატისეული, რატიანთა სამფლობელო“⁶⁴ (იხ. ზემოთ).

ყველა ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, იმაზე მეტყველებს, რომ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ზემოთ დასახლებული რეგიონები ახ. წ. VI საუკუნემდე სუანეთის საერისთაოს შემადგენელი ნაწილი იყო ეგრისთან ერთად.

ახ. წ. IV საუკუნის სვანებზე ცნობას გვაწვდის ბერძენი ავტორი მენანდრე (VI ს.). ეს ცნობა დაკავშირებულია ბიზანტიასა და ირანს შორის სვანეთის გამო არსებულ ხანგრძლივ დავასთან. მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ერთ-ერთი მოლაპარაკება 562 წელს გაიმართა. ამ მოლაპარაკების მასალებიდან ბევრი რამ ირკვევა სვანეთის მდგომარეობის შესახებ VI საუკუნემდე. რადგან მოწინააღმდეგე მხარეები მოლაპარაკების დროს ერთმანეთს შეახსენებდნენ ხოლმე ამ ქვეყნის მდგომარეობას წარსულში. აი, რას ეუბნება ბიზანტიის წარმომადგენელი პეტრე ირანელ დიპლომატ ზიქს: „სვანეთი რომაელებისა იყო და რომაელები სვანებს მბრძანებლობდნენ“⁶⁵.

ზიქი პეტრეს ასეთ პასუხს აძლევს: „სვანები თვითთავადნი იყვნენ და არასდროს კოლხების ძალაუფლებას არ ექვემდებარებოდნენ“⁶⁶.

პეტრე ირანის მეფე ხოსროსთან მოლაპარაკების დროს ამბობს: „...თუ ჩვენ უკვე ლაზიკის უფალნი გავხდით, სვანეთიც მოგვემატოს, ვინაიდან, ვინც განმგებულს პელობს, ნუთუ მისი არ უნდა იყოს ხელქვეითიც“. ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს ის სინამდვილე, რომ სვანეთი ლაზიკის გაერქვლებდა, მისი ტერიტორიის მოსაზღვრე, ე. ი. ამაში უნდა იგულისხმებოდეს ქართული წყაროების ეგრისი და არა კავკასიონის მთის კორწოხეებში ჩაქარგული სვანეთი. პეტრე შემდეგ განაგრძობს „არც ლაზები და არც თვით სვანები არ მიიჩნევენ საღაოდ, თითქოს სვანეთი წინათ ლაზთა ქვეშევრდომი

⁶⁴ ა.ე. შანიძე, ხალხური ეტიმოლოგია ლიტერატურაში, თურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1979, № 4, გვ. 86—88.

⁶⁵ გეორგიკა, ტ. III, თბ., 1936, გვ. 213—214.

⁶⁶ იქვე, გვ. 215.

არ უოფილიყო, არც იმას, რომ სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება“. პეტრე ამ სიტყვების დამთავრებისთანავე ხოსროს საბუთით უმტკიცებს, რომ სვანეთის განმგებლები ლაზთა მეფეების მიერ ინიშნებოდნენ⁶⁷.

ამგვარად, ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ სვანები თვითთავადნი და დამოუკიდებელნი იყვნენ, ხოლო მეორე მხარე სვანთა ლაზიკაზე დამოკიდებულებას ასაბუთებდა. ცხადია, რომ ამ დიპლომატიურ ორთაბრძოლაში ორივე მხარე აჯარბებდა. მაგრამ მეტ ჭეშმარიტებას ალბათ პეტრეს სიტყვები შეიცავენ. მისი მტკიცებით სვანეთი ლაზთა ქვეშევრდომი იყო და სვანეთის მმართველსაც ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუფლება. თუმცა ეს აზრი ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებს იმის თაობაზე, რომ „ეგრისისა და სუანეთის“ მმართველს ქართლის მეფე ნიშნავდა. ახ. წ. V საუკუნეშიაც შიდა ეგრისისა და სუანეთის ერისთავს ქართლის მეფე ნიშნავდა. რომელს დაუჭეროთ? ბიზანტიის დიპლომატიას, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა ირანის შაჰი იმაში, რომ სვანეთი ლაზიკის ქვეშევრდომი იყო, თუ XI ს. ქართველ ისტორიკოსებს, ლეონტი მროველსა და ჯუანშერს, რომლებიც ერთსა და იმავე ცნობებს გვაწვდიან სუანეთისა და ეგრისის საერისთაოს არსებობის შესახებ ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. V ს. ჩათვლით. მათი უწყებით სუანეთისა და ეგრისის საერისთაო ქართლის სამეფოს ორიენტაციას იცავდა. ქართველ ისტორიკოსებს ალბათ ამის დამამტკიცებელი ფაქტებიც მოეპოვებოდათ.

ივენი აზრით, პეტრეს მხედველობაში აქვს ეგრისის სვანეთი, რომელიც ლაზიკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ლაზიკის სამეფო ხელისუფლებას ცნობდა და ყოველივე ამის გამო იგი მოწყდა დანარჩენ სვანეთს, თანდათან დაუქვემდებარდა ეთნიკურ ასიმილაციას. უფრო მოგვიანებით ასეთი ბედი ეწია თაკუერს (ლეჩხუმს), ზემო რაჭასა და ზემო იმერეთს, კოდორის ხეობაში კი მისიმიანეთს.

ეგრისის გარდა დანარჩენ სვანეთთან ბიზანტიას ალბათ სუსტი კონტაქტები ჰქონდა, რაც მათ შორის მყარი კავშირითიერთობის გარანტიას არ იძლეოდა. ეს იცოდა ირანის შაჰმა და ამიტომ სვა-

⁶⁷ გეორგიკა, გვ. 219.

ნეთს ლაზიკის ქვეშევრდომად არ მიიჩნევედა, იგი მას დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად სცნობდა. ხოსრო შემდგომშიაც უსაბუთაებდა ბიზანტიის დიპლომატიას სვანეთის დამოუკიდებლობას. იგი პეტრეს ეუბნება: „როდესაც მე დავიჭირე სკანდები და სარაპა (იგულისხმება სკანდა და შორაპანი, დღევ. ზესტაფონის რაიონში — თ. მ.) და ლაზიკე, თქვენ არ გითქვამთ, რომ მაშინ სვანეთი თქვენ ქვეშევრდომთა რიცხვში გყავდათ. აქიდან ცხადია, რომ ისინი ლაზების ქვეშევრდომნი არ ყოფილან“⁶⁸.

პეტრე კი თავსას ასაბუთებდა: „წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს, ტყავებს და სხვა რამესაც, ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდააცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავდროს ის წერილობით აცნობებდა რომელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან ვიდრე თქვენი პაპის პეროზის და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე“⁶⁹.

აქ ბიზანტიის მეფე თეოდოს I უნდა იგულისხმებოდეს, რომელმაც 379—395 წლებში მოღვაწეობდა. ერთმანეთს ემთხვევა ლეონ I-ის (457—474 წწ.) და პეროზის (458—481 წწ.) მოღვაწეობის წლებიც.

ე. ი. სვანეთი ლაზიკის ქვეშევრდომი ყოფილა IV ს. ბოლო წლებიდან. ეს სარწმუნოც არის. რადგან ლაზიკა ამ დროს ვაძლიერდა. მაგრამ სვანეთი, რომელიც მის ქვეშევრდომობას აღიარებდა, ეგრისის სვანეთი უნდა ყოფილიყო, იგივე მერმინდელი სამეგრელო.

ზემოთ მოტანილი ცნობიდან ირკვევა, რომ: ა) სვანებს პყავდათ მთავარი, რომელიც, აგრეთვე, სამხედრო სარდალიც იყო; ბ) მთავრის ტახტი ყოველთვის უნდა სჭირიდა სვანს⁷⁰; გ) სვანეთის მთა-

⁶⁸ გეორგიკა, ტ. III, გვ. 222—223.

⁶⁹ იქვე, გვ. 224.

⁷⁰ სხვათა შორის ეს წესი ეგრისში (შემდგომ ოდიშში) ბოლომდე იქნა დაცული, სამთავროს განაგებდნენ სვანური წარმოშობის დალიანები (იხ. ქვემოთ).

ვარს აწელისუფლებდა ლაზიკის მეფე ბიზანტიის იმპერიის სელისუფლებასთან შეთანხმებით და ეგზავნებოდა მთავრობის ნიშნები.

ამ მოლაპარაკებამ ორივე მხარისათვის უნაყოფოდ ჩაიარა. სვანეთის გამო დავა ისევ გაგრძელდა.

ბერძნული წყაროს ცნობა (პეტრეს სიტყვები) იმის შესახებ, რომ სვანეთს ჰყავდა მთავარი, რომელიც აგრეთვე სამხედრო სარდალიც იყო, ჩვენი აზრით გულისხმობს სვანეთისა და ეგრისის მთავარს. ამას ადასტურებს ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობა იმის შესახებ, რომ „შიდა ეგრისსა და სუანეთს“ ახ. წ. V საუკუნეში ჰყავდა ერთი ერისთავი, სახელად სამნალირ⁷¹. მაგრამ, პეტრეს სიტყვით სვანეთის ერისთავს (სარდალს) ლაზიკის მეფე ნიშნავს, ჭკ-ის ცნობით კი, ქართლის მეფე. ეს ფაქტი პეტრეს მტკიცებას საეჭვოს ხდის. ე. ი. V ს. კვლავ არსებობს ეგრის-სვანეთის საერისთაო და მას კვლავ ერთი მთავარი განაგებს. ამდენად საგულისხმოა, რომ ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით ეგრისსა და სუანეთს ძვ. წ. III საუკუნიდან ერთი ერისთავი ჰყავდათ, ე. ი. იგი ერთ საერისთაოდ ითვლებოდა.

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, კერძოდ. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, ეგრის-სუანეთის საერისთაო ქართლის მეფის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ბერძნული წყაროების მიხედვით კი — ლაზიკის, ლაზიკა კი ბიზანტიის ქვეშევრდომი იყო. ბიზანტია ლაზიკის განმგებელს ყოველნაირად აქეზებს და ხელს უწყობს, რათა სვანეთი მისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. ქართული წყაროები კი გვაუწყებენ, რომ ეგრის-სუანეთის საერისთაო ქართლის მეფის ორიენტაციას იცავდა.

ყოველივე ამას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ბერძნული წყაროების სვანეთი და სვანეთის მთავარი არის იგივე „შიდა ეგრისისა და სუანეთის“ საერისთაოს მთავარი, რომელიც, როგორც ჩანს, ყოველთვის უნდა ყოფილიყო სვანი, რამეთუ ამ საერისთაოს მოსახლეობა ძირითადად სვანური იყო და მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდა (როგორც ეს სტრაბონის ცნობითაც დასტურდება). ამიტომ ხოსროს განცხადებაში ნაწილობრივი სიპართლე

⁷¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.

მანც ჩანს იმის თაობაზე, რომ „შიდა ეგრისისა და სუ-სუეთის“ საერისთაო თავიდან ლაზიკაზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. პეტრე, ბიზანტიის იმპერიის წარმომადგენელი, და სხვა ბერძენი ავტორებიც, რომლებიც წერენ, სვანეთი ლაზიკის ქვეშევრდომი იყო, გამოდიან პოლიტიკური ინტერესებიდან, რამდენადაც ლაზიკა მათი გავლენის სფეროს წარმომადგენს, ამდენად უნდათ სვანეთსაც გადააფარონ მზაკვრული ხელი. იმ საბაბით, თითქოს იგი ყოველთვის ლაზიკას ემორჩილებოდა.

რამდენადაც შიდა ეგრისისა და სუანეთის საერისთაო ქართლის მეფის ორიენტაციისა იყო, ამდენად მას ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ ლაზიკასთან უთანხმოებაც შეიძლება ჰქონოდა, ეს ფაქტი კიდევაც დასტურდება ისტორიკოს პრისკე პანიონელის (V ს.) ცნობით, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს, და სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (? ლაზთა სარდლის) წინააღმდეგ. სპარსელებს უნდოდათ მის წინააღმდეგ ეოპათ იმ სიმაგრეების გულისათვის, რომლებიც სვანებს წაერთვა“⁷². თუ რომელ სიმაგრეებზეა აქ ლაპარაკი, ამის გარკვევა ძნელია, რადგან ბერძენი ავტორი ამის თაობაზე არაერთარ კონკრეტულ ცნობას არ იძლევა. მაგრამ ჩვენი აზრით, ეს სიმაგრეები დღევანდელ სვანეთის ტერიტორიაზე არ მდებარეობდა.

ს. კაკაბაძე, რომელიც ეხება ვახტანგ გორგასალის ეპოქას, წერს: „ქართველი ხალხის სვანური კილო ფესმოკიდებული იყო, ესლანდელი ზემო და ქვემო სვანეთის გარდა, ოდიშის (სამეგრელოს) ჩრდილოეთით მთიან მხარეებში, ლეჩხუმში და ნაწილობრივ რაქაში, სადაც ამ დროს უკვე შემოქრილად ჩანს ქართული კილოც. გარდა ამისა, სვანურ კილოზე ლაპარაკობდნენ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთიდან საკმაოდ ვრცელ ფართობებზე“⁷³.

ავტორს „კილოში“ ენა აქვს ნაგულისხმევი. სამეგრელოს ბარში ამ დროს ზანურთან სვანური მოსახლეობაც რომ უნდა არსებულიყო, ამაზე მიგვიჩვენებს ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა: „ჩე შონა“ (გალის რაიონის მთიანი მხარე), „უჩა შონა“ (სოფელი ზუგ-

⁷² გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 261.

⁷³ ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 3.

დღეს რაიონში), „შონიათი“ და მრავალი სხვა ე. ი. ზანური მოსახლეობის გვერდით ჯერ კიდევ შემორჩენილია სვანური დასახლებები, რომელსაც ზანებმა თავიანთ ენაზე სახელებიც შეარქვეს (უჩა შონა, ჩე შონა და ა. შ.).

როგორც ჩანს, ამ დროს (ე. ი. V ს.) სვანეთი ლაშთა ქვეშევრდომობას არამც თუ აღიარებს, არამედ სასტიკ ბრძოლასაც ეწევა მის წინააღმდეგ, რომლის მიზეზიც ლაზიკის რომაული ორიენტაცია იყო. ლაზიკისა და რომის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ სვანთა ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და პოლიტიკური ძალმომრეობის უგულვებელყოფისაყენ იყო მიმართული. სვანები მარცხდებიან, კარგავენ ციხე-სიმაგრეებს, მამასადაძმე, ტერიტორიის გარკვეულ ნაწილსაც. ე. ი. ლაზები სვანეთის შემოსაერთებლად მოხერხებულად იყენებენ ბიზანტიის სამხედრო ძალებს. სვანები ამის გამო აუჭანყდნენ ლაზიკის (ეგრისის) მთავარ სამნაღარს და, როგორც ჩანს, დახმარებისათვის მიმართეს ვახტანგ გორგასალს. ვახტანგ გორგასალი ამ დროს სპარსეთთან კეთილდამოკიდებულებაშია (ვახტანგი დედით სპარსელია. მისი პირველი ცოლიც სპარსეთის ერთ-ერთი მაზრპანის ასული იყო).

ბერძნულ წყაროებში ვახტანგ გორგასლის პიროვნება არ არის დირსეულად შეფასებული, რამდენადაც მას ჩრდილავს სპარსელთა ძლიერება. სანამდვილეში კი ვახტანგ გორგასალი ქართული სამთავროების გაერთიანება-შემომტკიცებით უდიდეს ეროვნულ საქმეს აკეთებდა და მთელს ამიერკავკასიაში თავისი სახელმწიფო ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად აქცია. მ. ლორთქიფანიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ნახევრად ლეგენდარული ფარნავაზის შემდეგ ვახტანგ გორგასალი ერთ-ერთი ქართველი მეფეა, რომელმაც განახორციელა საქართველოს უდიდესი ნაწილის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და კავკასიის მთიანეთის დამორჩილება“⁷⁴. თვით ბერძნებიც მასთან შერიგებას ამჯობინებენ. კონსტანტინეპოლში ჩასულ ვახტანგ გორგასალს ცოლად აძლევენ საიმპერატორო გვარის ქალს. მას ზავის თანახმად დაუთმეს სამცხე, შავშეთ-კლარჯეთი და ეგრისი აფხაზეთის ნაწილითურთ, სახელდობრ, ქვეყანა ეგრის-

⁷⁴ მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 50.

წყალსა (ღალიძგასა) და კლისურას (კელასურს) შორის, როგორც ცოლას მზითვად ბოძებულთ. „და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქვეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“⁷⁵.

ამგვარად, ეგრისის უდიდესი ნაწილი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში გაერთიანდა, მათ შორის სვანეთიც⁷⁶.

სწორედ ამ აქტში ჩანს სვანებსა და ვახტანგ გორგასალს შორის კავშირუბრთიერთობის არსებობა. ცხადია, სპარსეთი თავისი ინტერესებისათვის იბრძოდა, კერძოდ თავის გავლენის ქვეშ მოექცია სვანეთი, რომლის ხელშიაც იყო დასავლეთ საქართველოს სექტორში კავკასიონის უღელტეხილები. ვახტანგ გორგასალსაც თავისი პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა. ის ცდილობდა სპარსეთის მასშტაბზე თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, ე. ი. ეგრის-სვანეთის საერისთაო ქართლის მმართველობისათვის დაემორჩილებინა. სპარსეთიც ამ გზით სვანეთის ხელში ჩაგდებას თავისი პოლიტიკის გამარჯვებად მიიჩნევდა.

ბერძენთაგან განაწყენებული სვანები ვახტანგ გორგასლის მხარეზე ჩანან. ს. კაკაბაძე ამასთან დაკავშირებით წერს: „სვანების ტომს ამ დროს, როგორც მოხსენებული იყო, ეკავა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია — ეხლანდელი ზემო და ქვემო სვანეთის გარდა რაჭა და ლეჩხუმი და კიდევ ცალკე მხარეები კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. სვანეთის ამდროინდელი მთავარი თავის წინამორბედებთან მსგავსად ეგრისის ერისთავ-მეფეს ემორჩილებოდა და აძლევდა მას მცირე ხარკსაც. სვანების მთავარს ხელთ ჰქონდა ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელი (მამისონის უღელტეხილი), ხოლო ამ გადმოსასვლელით ადვილად შეიძლებოდა ჩრდ. კავკასიის მრავალრიცხოვან მომთაბარეთაგან გადმოეყვანათ ჯარები და ამით დაექვერდნენ არა მარტო ეგრისს, არამედ აღმ. რომის იმპერიის კეთვილ პროვინციებსაც მცირე აზიაში. სწორედ ამ მიზეზით სპარსელები დაინტერესებულნი იყვნენ, რათა სვანები გადადგომოდნენ ეგრისისა და აღმ. რომის იმპერიასა და მათ მიკედლებოდნენ. ამის მისაღწევად სპარსელები ეცდებოდნენ გამოეყენებიათ ვახ-

⁷⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 177.

⁷⁶ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 386.

ტანგაც, თუმცა მას სულ სხვა მიზანი უნდა ჰქონოდა, სახელდობრ: სვანეთის (ეგრძესთან ერთად) ამა თუ იმ სახით პოლიტიკურად ქართლთან დაკავშირება. ასეთ შემოქმედებათა გავლენით სვანეთის მთავარი მახარა აუჯანყდა ეგრისის ახალ მთავარს სამნალირს. მას ზურგს უმაგრებდნენ ქართველები და სპარსელები ქართლიდან. სამნალირმა სთხოვა დახმარება ჯარით აღმოსავლეთ რომის იმპერიას. ეს ჯარი მას მალე მოუვიდა კიდეც. ამის საწინააღმდეგოდ ქართლიდან დაიძრა ქართველების და სპარსელების ჯარი. მაგრამ ამ დროს ქართლს ჩრდ. კავკასიიდან შემოესივნენ სანაგურები.⁷⁷ და მათი მოკავშირე მომთაბარე ტომები და ქართველ-სპარსელებმაც ეგრისზე ლაშქრობას თავი დაანებეს (467 წ.).⁷⁸

ამის შემდეგ სამნალირმა გაილაშქრა სვანების წინააღმდეგ. სვანებს სპარსელთა დამხმარე ჯარი გაუგზავნა ვახტანგმა (468 წ.).⁷⁹ „დასავლეთ საქართველოში სვანების მხარეზე 467—468 წლებში უმთავრესად იბერიელები იბრძოდნენ ვახტანგის მეთაურობით“, — წერს ა. ბოგვერაძე⁸⁰. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მ. ლორთქიფანიძე⁸¹. ე. ი. ის, რაც ირანის სახელით ხორციელდებოდა, ხდებოდა ვახტანგ გორგასლის უშუალო მონაწილეობით თუ ინიციატივით⁸². სამნალირს ეხმარებოდნენ ბერძნები. როგორც ჯუანშერი იუწყება, ვახტანგმა სამი წელი მოანდომა ეგრისის დამორჩილებას⁸³.

საყურადღებოა ერთი ფაქტიც, კერძოდ, ვახტანგ მეფის ზედწოდებასთან დაკავშირებით ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მკე-

⁷⁷ „სანაგურები“ ჰუნთა ერთ-ერთი ტომია.

⁷⁸ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 39.

⁷⁹ იქვე, გვ. 39—40.

⁸⁰ ა. ბოგვერაძე, პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო კრებული, 1976, გვ. 197.

⁸¹ მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 46—47.

⁸² დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ერთადერთი საკითხები, თბ., 1977, გვ. 211.

⁸³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 157.

ლი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნიაჲცა მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი“ და სხვ.⁸⁴

ვახტანგის ჩაბალახზე თუ ლითონის მუზარადზე მგლისა და ლომის გამოსახვა ფრიად საინტერესო პარალელებს პოულობს ქართველთა უძველეს წარმოდგენებში. მაგ., სვანეთში დაცული ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, მველს მიეწერება ზებუნებრივი ფიზიკური ძალა და მოხერხებულობა, ჭკუა, მიხვედრილობა, არაჩვეულებრივი მხედველობა, მოვლენათა წინასწარ განჭვრეტის უნარი. სვანებს მიაჩნდათ, რომ მველს ჰქონდა მაგიური თვისება, რომლითაც ის ეხმარებოდა და მფარველობდა ადამიანებს, რითაც ხსნიდნენ ისინი მგლის კბილის ამულეტის თვისებასა და მნიშვნელობას⁸⁵. ნიშანდობლივია ლომის გამოსახულებაც. ლომი, აგრეთვე სიძლიერის სიმბოლოა. აღსანიშნავია, რომ სვანების სატომო დროშა ლომს გამოსახავს. თუ ვახტანგ გორგასლის ჩაბალახი სვანური რწმენა-წარმოდგენების ნიადაგზე იყო გაკეთებული, ეს ლეგენდარული ქართველი მეფის სვანურ ყოფაში ღრმად ჩახედულობასა და მის ამ ხალხთან ახლო ურთიერთობაზე მიგვანიშნებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თუ ისეთი დიდი იმპერიებისათვის, როგორც ირანი და ბიზანტია იყო სვანეთი საცილობელ ობიექტს წარმოადგენდა, იგი მით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ქართლის განმგებლისათვის, რომელსაც საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მიზანი ამოძრავებდა.

არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სვანებს სატომო დროშა „ლეომ“ (ლომი) ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს გააჩნდათ, როგორც ძლიერებისა და ქედმოუხრელობის სიმბოლო.

როგორც სვანეთის, ასევე ლაზიკის მოსახლეობაც, ჩანს, ვახტანგის მხარეზე ყოფნას არჩევდა. ერთი მხრივ, ალბათ აქანაც განაპირობა ვახტანგ გორგასლის გამარჯვება ბერძნებზე⁸⁶. ამის შემდეგ ვახტანგ გორგასალსა და ბიზანტიას შორის ხდება შერიგება.

⁸⁴ იქვე, გვ. 180.

⁸⁵ В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовые графическое искусство, с. 44; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

⁸⁶ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც, კერძოდ, ქართული წყაროების მიხედვით ვახტანგ გორგასალის (დაახლ. 423—484 წწ.) დროს ეგრისისა და სუანეთის მთავრად დასახელებულია სამნალირი⁸⁷. ბერძნული წყაროების მიხედვით ამ დროს ლაზიკის მეფე იყო გუბაზი⁸⁸. გამოდის, რომ ცალკე მთავარი ჰყავს ამ დროს ეგრის-სუანეთს და ცალკე კიდევ ლაზიკას⁸⁹, რომელსაც მეფესაც უწოდებენ ხოლმე.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეგრის-სუანეთი ცალკე ეთნო-პოლიტიკურ ოლქს, ანუ საერისთაოს წარმოადგენდა, ლაზიკა კიდევ ცალკე სამეფოს. პირველი ვახტანგ გორგასალის გავლენას დაუმორჩილდა, მეორე კი — ბერძნების.

ჩვენი აზრით, სამნალირი არის შიდა ეგრისისა და სუანეთის საერისთაოს მთავარი, როგორც ეს ქართულ წყაროებშია მითითებული. ხოლო მახარა, ეგრის-სუანეთის საერისთაოს რომელიღაც კუთხის განმგებელი უნდა იყოს. მემატიანის ცნობით დასავლეთ საქართველოში ქართლის მეფეს ორი ერისთავი ჰყავდა: შიდა ეგრისისა და სუანეთის (სამნალირი) და არგვეთისა და თაკუერისა (მაკუერი)⁹⁰. ნიშანდობლივია, რომ თაკუერი (დღევანდელი ლეჩხუმი) კი არ არის სუანეთის საერისთაოსთან გაერთიანებული, არამედ ეგრისი. ლეჩხუმი რომ V საუკუნეში სვანურენოვანი იყო, ეს საკვლეო არაა. ლეჩხუმი სვანურენოვანი იყო ჯერ კიდევ შარდენის საქართველოში მოგზაურობის დროს, ე. ი. XVII საუკუნეში. ფრანგი მოგზაური წერს, რომ ლეჩხუმი „ეს არის სვანებით დასახლებული სამთავრო კავკასიის მთებში“⁹¹. მაშასადამე, ორივე საერისთაო მთლიანად თუ არა ნახევრად მაინც სვანურენოვანია (შიდა ეგრისი და სუანეთი, არგვეთი და თაკუერი).

ე. ი. მახარა არც შიდა ეგრისისა და სუანეთის ერისთავია. არც არგვეთისა და თაკუერისა. მაშასადამე, იგი, ჩანს, ქვემო ან უკმო სუანეთის განმგებელია. თვით შიდა ეგრისის ტერიტორიაზე ამ

⁸⁷ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.

⁸⁸ შდრ. ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. I, თბ., 1979, გვ. 275—279.

⁸⁹ შდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

⁹⁰ ქც, I, გვ. 185.

⁹¹ შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 248.

დროს მეგრულთან სვანური მოსახლეობაც უნდა არსებებულყო. ეგრისისა და სუანეთის საერისთაოს ერთიანობის საფუძველიც სწორედ ამ ფაქტს უნდა ემყარებოდეს.

ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგ ქართლის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ქართლში მოისპო მეფობა; დაწყარდა სპარსელების ბატონობა, რომლებმაც აქ თავიანთი მახზბანი (ოლქის მმართველი) დასვეს. ქართლის სახელმწიფო მოღვაწეები ეგრისს აფარებდნენ თავს. თვით ვახტანგიც 484 წელს ირანელებთან დამარცხების შემდეგ ეგრისში გაიხიზნა⁹². ამან საგონებელში ჩააგდო აღმოსავლეთ რომის იმპერიის მთავრობა, მას ეშინოდა, რომ სადაცაა სპარსეთი ეგრისის ხელში ჩაგდებამაც მოიწადინებდა. ეგრისის მეფე თვითონაც ცდილობდა სპარსელები რომაელების წინააღმდეგ გამოეყენებინა.

სვანეთი აღმ. რომის ხელისუფლების უკმაყოფილი იყო. ამით სარგებლობს სპარსეთი.

პრისკე პანიონელის ცნობიდან ჩანს, რომ სვანების დახმარება უნდოდა სპარსეთს, რადგან სვანეთის განდგომა ლაზიკისაგან სპარსეთისათვის უაღრესად ხელსაყრელი მომენტი იყო. მაგრამ, როგორც ირკვევა, სვანები ზომიერ პოლიტიკას იცავდნენ, სპარსეთის გამოყენებას ერიდებოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მასაც დიდმპყრობელური ინტერესები ამოძრავებდა. ამით გაგულიანებული სპარსეთის მეფე ჰორმიზდა⁹³ სვანეთის წინააღმდეგ ლაშქარს აგზავნის ბარამის სარდლობით. თეოფილაქტე სიმოკატტა ამის შესახებ წერს: მერვე წელს მეგრიკის ავტოკრატორობისა სპარსელთა მეფის ჰორმიზდას მიერ სვანეთის წინააღმდეგ იგზავნება სპარსელთა სტრატეგოსი ბარამი ბარბაროზთა ლაშქრითურთ. და რადგან სპარსელები მოულოდნელად თავს წარმოადგნენ, ხალხი გამოფხიზლდა დაუდევარი ძილისაგან. სვანეთი ხომ საშინლად იბარკვე-

⁹² მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

⁹³ ეს უნდა იყოს სპარსეთის მეფე ჰორმიზდა IV, რომელიც მოღვაწეობდა 579—590 წწ. მას ბრძოლა უხდებოდა ბაზანტიის, ხაზარების, თურქეთისა და სხვადასხვა რელიგიური მიმართულებების წინააღმდეგ. იგი შეთქმულებაში ჩამოაგდეს ტახტიდან და დააბრმავეს. ტახტზე დასვეს მისი შვილი ხორმიზ II, (590—628 წწ.).

ბოდა. უბედურება აუტანელი იყო: ყურისმგდებელ სტრატეგოსს მოკლებული იყო და მომავლისაგან ობლად შთენილი, რადგან ამ დროს აღმოსავლეთში ომი იყო გაჩაღებული“⁹¹.

ამ ლაშქრობის შესახებ ცნობას იძლევა თეოფანე ჟამთაღმწერელიც: „სპარსელთა მეფემ პორმიზდამ სარდლად ბარამი დანიშნა და დიდძალი ჯარით სვანეთის წინააღმდეგ გაგზავნა. ბარამი მოულოდნელად დაეცა სვანეთს, მას შემდეგ რაც თურქები სპარსელების მიერ იქნენ დამარცხებული“⁹².

როგორც ჩანს, სვანეთი ბარამის ლაშქრობამდე ბიზანტიამ დაიპყრო⁹³, რამაც სპარსეთის მეფის წყრომა და სვანეთზე სასწრაფოდ ლაშქრობის მოწყობა განაპირობა.

ბიზანტიის მიერ ხელმეორედ დაპყრობილი სვანეთი (შიდა ეგრისის ტერიტორიაზე) ალბათ კარგავს ყველა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს, რომლის დაბრუნება შემდგომშიაც ვერ შესძლო არახელსაყრელი პოლიტიკური მოვლენების განვითარების გამო. სვანეთს ტერიტორია დროთა განმავლობაში იზღუდებოდა, მცირდებოდა და, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენაშნაძე, „მეგრელგლეხდებოდა“; ნაწილიც ქართიზაციის პროცესს დაექვემდებარა.

თეოფილაქტე სიმოკატტას ცნობიდანაც ჩანს, რომ ეს არის ეგრისის სვანეთი, არადა ძნელი წარმოსადგენია დღევანდელ სვანეთში ჯარით მოულოდნელი შეჭრა და მისი გაძარცვა. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, სვანეთს საერთოდ არ განუცდია მტერთა შემოსევები. დღევანდელი სვანეთი საუკუნეების განმავლობაში შეუბღალ-ვად ინახავდა საქართველოს ბარიდან იქ გადახვეწილ დიდძალ განჯს, ძვირფას ხელნაწერებს. მათი გაძარცვა ვერც ერთმა მომხდურმა ვერ მოახერხა. ამიტომ, სპარსელთა მოულოდნელი თავდასხმაც ბარის სვანეთზე — ეგრისზე უნდა მომხდარიყო.

⁹¹ ტეოფილაქტე, IV, ნაკვ. I, თბ., 1941, გვ. 21.

⁹² იქვე, გვ. 34, 88.

⁹³ იქვე, გვ. 33; იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ი. ბერძენიშვილის სვანეთის ხელმეორედ აღება ბიზანტიელების მიერ, ტფ., უნ. შრომები, ტ. VII, 1938. ეს ფაქტი ეწინააღმდეგება მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს სვანეთში არასოდეს შეედწიოთ უცხო დამპყრობლებს (შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1975, ტ. VIII, გვ. 438).

მავრიკი ბიზანტიის კეისარის მეფობის მერვე წელი 589/590 წლებს ემთხვევა. ე. ი. სვანეთის წინააღმდეგ სპარსელებმა ამ წლებში მოაწყვეს ლაშქრობა.

იგივე თეოფილაქტე სიმოკატა გვაცნობებს, რომ საბოლოოდ ბარამის ლაშქრობა სვანეთზე მარცხით დამთავრდა. ირანის მეფემ ამ დამარცხების გამო პატივი აპყარა ბარამს, ბარამმა ამის გამო აჯანყება მოუწყო პორმიზდს⁹⁷.

მუშასადამე, VI საუკუნეში სვანეთი (ქართული წყაროების „შიდა ეგრისისა და სუანეთის“ საერისთაო), როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა.

საგულისხმოა, რომ ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ცენტრის არქეოპოლისის⁹⁸, ქართული წყაროების ციხე-გოჯის (სენაკის რაიონი) ტერიტორიაზე დღემდე გვხვდება სვანური წარმოშობის ტოპონიმები (იხ. ზემოთ).

ამგვარად, ლაზიკის სამეფოს შექმნამდე (ახ. წ. IV ს-დე) არსებული ეგრისისა და სუანეთის საერისთაოს ძირითად მოსახლეობად ზანურთან ერთად სვანურიც უნდა ჩაითვალოს. ამაზე მიგვანიშნებს ლეონტი მროველის („ეგრისის სუანეთია“), პეროდოტეს, სტრაბონის, პლინიუსის („მდ. ხობი სვანეთზე მიედინება“), კლავდიოს პტოლემეაოსის (გაგრის ზონაში სუანო-კოლხების ხსენება), „სომხეთის გეოგრაფიის“ და სხვა ცნობები ისტორიული შიდა ეგრისის ტერიტორიაზე სვანთა განსახლების შესახებ. წერილობით ცნობებს ამ საკითხთან დაკავშირებით განამტკიცებს ამ რეგიონში დღემდე შემორჩენილი სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელები. სვანური ციხე-კოშკების ნანგრევები (მაგ., ქაქვიჩის...), ფოლკლორული მასალა და სხვ.

ახ. წ. V საუკუნიდან შიდა ეგრისის სვანური მოსახლეობა განიღვინა ასიმილაციას ზანური ეთნიკური მასის ნიადაგზე. მიუხედავად ამისა. მთელ რიგ ცალკეულ რაიონებში სვანური მოსახლეობა აღრეულ შუა საუკუნეებშიც არსებობდა (იხ. „სომხეთის გეოგრა-

⁹⁷ შესაძლოა ამ დროს იყოს სოფ. კალის წმ. კვირიკეს ეკლესიაში შემონახული V—VI სს. სპილენძის სასანური სურათი (იხ. კ. მაჩაბელი, სვანეთის საგანძურებიდან, თბ., 1982, გვ. 59, 63—64).

⁹⁸ Д. А. Мухомелшвили, К вопросу о центре эгрисского царства, в кн.: «Кавказ и Средиземноморье», Тб., 1980, с. 135-138.

ფია“), რასედაც ზოგიერთი ტომონიმიც აშკარად მიგვანიშნებს (როგორცაა: ჩეშონა, უჩაშონა, შონიათი, შონი ტობა და სხვ.).

მეცნაერთა აზრით, ოდიშის თავდაპირველი ერისთავებიც სვანური წარმოშობისანი იყვნენ⁹⁹, გვარად ბელიანები, შემდგომ მათი გვარი დადიანთ შეიცვალა. სვანები არიან წარმოშობით გურიის მთავარი გურიელებიც. 1361 წელს სვანეთის ერისთავი ვარდანძე, რომელმაც აჯანყება მოაწყო, მეფემ შეიპყრო და გურიის ერისთავად დასვა. დ. ბაქრაძე და ექ. თაყაიშვილი ფიქრობენ, რომ ამ ვარდანძის შთამომავალნი უნდა იყვნენ გურიის მთავარი გურიელებიც¹⁰⁰. სვანი ვარდანძეები ფარჯიანთა საგვარეულოდან უნდა ყოფილიყვნენ¹⁰¹.

აღბათ, თავდაპირველად ოდიში სამეგრელოს ერთ-ერთი კუთხის სახელი იყო, რომლის ერისთავებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში თანდათან მიაღწიეს წარმატებას. ეს ერისთავები ვარდანძე-დადიანები უნდა ყოფილიყვნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება; იგი წერს: „მე კარგა ხანს შეცდომით ვფიქრობდი, რომ ძველი ვარდანძე-დადიანები, ეს სვანთა ერისთავები, ხობის აუზიდან იყვნენ, რომ ამ რეგიონმა გვიანამდე შემოინახა-მეთქი სვანეთის სახელი, ე. ი მას შემდეგაც-მეთქი, რაც ამ აუზში ფეოდალური ურთაუთობა შემოვიდა. ექვთიმე თაყაიშვილის შრომამ „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“ ეს ჩემი ვარაუდი უსარგებლო გახადა. ამ ნაშრომიდან უდავოდ ჩანს, რომ ეს ვარდანძეები ჭობის ზიდამოებიდან კი არ არიან წარმოშობით, არამედ თავისუფალი სვანეთის შუაგულიდან და შესაძლებელია, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი ფიქრობს, ისინი ჭერ კიდევ ბიზანტიის მფლობელობის დროის მთავრების ჩამომავალნიც კი იყვნენ.

დღეს ამ ჩემი თვალსაზრისისას საჭირო არაა ვარდანძეებთან

⁹⁹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 362, 428.

¹⁰⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 281. Д. Бахрадзе, Археологическое путешествие по Грузии... СПб. 1878, გვ. 109, 111, 112, 261, 269, 264, 335; ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია..., გვ. 25; გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 46.

¹⁰¹ შტრ. გ. გასვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45—46.

ზობელობა. სვანეთის სამხედრო დემოკრატიის ბელადთაგან ერთი ვინმე სხვაზე წარჩინებული, სრულიად ბუნებრივად შეიძლებოდა სამხედრო დემოკრატიის სვანეთის და ფეოდალური ბარის მეფის მოსაშუალებე ყოფილიყო... ეს „ერისთავი“ ბარის მებატონე ერისთავი კი არ იყო გლეხებით, მონასტრით, არამედ სვანეთის უძლიერესი ხატის მმოსავის (ბარელი მეფის) ხელისუფალი, რომლის ხელი მეტად მცირედ ჰგავდა რომელიმე ბარის ერისთავის ხელს. აქ მთაში მას ისევე ბელადად და არა ექსპლოატატორად უყურებდნენ... ის ფეოდალური ერისთავი შემდეგ გახდა, როცა სვანთა ერისთავობა დატოვა და დადიანი ან გურიელი გახდა“¹⁰².

გვარ „დადიანის“ წარმოშობისა და მნიშვნელობის საკითხი ფართოდ აქვს განხილული თ. ბერაძეს ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, ამიტომ აქ შევეხებით მხოლოდ მისი სვანური წარმომავლობის საკითხს. დადიანის გვარი პირველად მოიხსენიება თამარ მეფის პირველ ისტორიკოსთან, სადაც ნათქვამია, რომ ოდიშის ერისთავი არის ბედიანი¹⁰³. ბედიანები ამჟამადაც ცხოვრობენ მესტიის რაიონის სოფ. წვირშიში. ქართული წერილობითი ცნობების მიხედვით დადიანები იგივე ბედიანები არიან.

საინტერესოა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის მიერ ეკატერინე II-სადმი გაგზავნილ წერილში დაცული ცნობა, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „პირველთაგან დადიანი ჩვენი თავადი ყოფილა, გვართ სალიძე და ჩვენთა მამა-პაპათა მეფეთათვის, გულითადად და ერთგულად უმსახურებიათ. მათცა ერთგულად მსახურებისათვის აღუმალლებიათ და ოდიშის დადიანობა მიუციათ, ესე იგი არს მანდატურთ-უხუცესობა, ეშვიკალასბაშობისა“¹⁰⁴.

აქ ჩვენს ყურადღებას იმსახურებს გვარი სალიძე, რომელიც იმერეთის დადიანი ყოფილა იქ ბაგრატიონთა გამეფებამდე (აღნიშნული ცნობის მიხედვით დადიანი ტიტულია). აღსანიშნავია, რომ ჯუანშერის ცნობით ვახტანგ გორგასალის დროს (ახ. წ. V ს.) სვანეთის ერისთავი ყოფილა სამნალი¹⁰⁵. თამარ მეფის უცნობი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ისტორიანი და აზმანი შარა-

¹⁰² ნ. ბერაძე ი შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 428.

¹⁰³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33—34.

¹⁰⁴ А. Цагарели. Грэмты, т. 2, вып. I, с. 63.

¹⁰⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 185.

ვანდელთანი“ ერთ ადგილას სვანეთის დიდებულ ვარდანიძეებთან ერთად ასახელებს საღირისძეებს: „და სრულყვეს მოკვლელთა სვანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელისაჲთა მოღება და დადება ხრმლისა“¹⁰⁶. XIII ს-ის „სვანეთის სულთა მატიანეში“ ზემო სვანეთის სოფ. ცხუმარში ცხოვრობს გვარო საღირელიანი¹⁰⁷. აღნიშნულ სოფელში დღესაც ცხოვრობენ საღლიანები.

ჩვენეი აზრით, საღიძე, სამნალირი, საღირის ძე, საღირელიანი და საღლიანი ერთი და იგივე გვარი უნდა იყოს, ე. ი. ერთი ფუძიდან, ეპონიმიდან გამომდინარე.

ამ ფუძიდან მომდინარე ჩანს იმერეთში შემორჩენილი გვარი საღირაშვილი¹⁰⁸.

ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ სვანთა ერისმთავრობას ეგრისში (ოდიშში) უძველესი ტრადიცია გააჩნია.

ეპიტრი ბაქრაძე წერს: „თუ გავითვალისწინებთ, რომ დადიანების პირველი დინასტიის წარმოშობა დღემდე უცნობია, რომ ერთი და იგივე სახელი მამია ძველ დროში გვხვდება მხოლოდ გურიისა და სამეგრელოს მფლობელთა გვარეულობებში, და ბოლოს წარწერებში და საბუთებში სამეგრელოს მთავარი თავს უწოდებს დადიან გურიელს, ხოლო გურიის მფლობელი გურიელ დადიანს, ჩემი პირადი აზრით შეიძლება დაეუშვათ, რომ როგორც გურიელის, ისე დადიანის პირველი დინასტია მომდინარეობს ერთიდაიგივე ვარდანიძეთა გვარეულობიდან, რომლებიც სვანეთის ერისთავები იყვნენ უკვე საქართველოს მეფის გიორგი II დროს“¹⁰⁹.

აუკ შემთხვევები, როცა სხვადასხვა გვართა წარმომადგენლები დადიანები ხდებოდნენ. ისინი გვარ დადიანსაც ატარებდნენ და შთავრის ტიტულსაც. ასეთები იყვნენ: ბეღია, გოშუა (გოშუანი?),

¹⁰⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 27.

¹⁰⁷ პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. I, თბ., 1941, გვ. 142.

¹⁰⁸ იმერეთიდან გადმოსახლებული საღირაშვილები დღეს ცხოვრობენ სოხუმის რაიონის სოფ. ზემო ბირცხაში.

¹⁰⁹ Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Грузии, გვ. 268—269; თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული, III, თბ., 1967, გვ. 151.

ლიბარტელიანი, ვილაჟე, ჩიქოვანი¹¹⁰. აქედან ბოლო მთავარი ჩიქო-
ვანი ლეჩხუმიდან იყო.

ჩიქოვანების გვარიც სევანური წარმოშობისა უნდა იყოს (ჩიქო-
იანი//ჩაქქუანი//ჩიქვანი, რაც შემდეგ რუსულის გავლენით გახდა
ჩიქოვანი). 1704 წლიდან ჩიქვანები გადადიანდნენ და შემდეგ ამ
საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ ოდიშის მთავრები. პირ-
ველი ჩიქვანები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ
ასპარეზზე გამოჩნდნენ, იყვნენ კაცია და მისი ძმა. ამ უკანასკნელმა
პყონდილობა ჩაიგდო ხელში¹¹¹.

გვარი დადიანი უნდა მომდინარეობდეს „დად“ სევანური სიტყ-
ვისაგან. „დად“ ოჯახის უფროსის, საპატრიარქო პიროვნების
სინონიმი იყო სევანებში. იგივე ფუძე უპეცს საფუძვლად „დადეშ-
ქელიან“ გვარსაც. XIII ს. „სევანეთის სულთა მათიანეში“ არის
გვარი „დადისა“, „დადისშვილი“, რაც სევანურად იქნება „დადიანი“,
და „დადის ძე გელა“ ანუ დადიშგელიანი, ე. ი. გელა დადის ძის
შთამომავალი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მეგრულ-
ლად „დადი“ მამის ან დედის დას, ხოლო კანურად — მამის დასა
და დედის დას ეწოდებოდა¹¹².

დღემდე მხოლოდ სევანურმა შემოინახა -ანი სუფიქსის მნიშვნე-
ლობაც. -ანი ქართული ეული-ს ბადალია და აღნიშნავს წარმომავ-
ლობა-ვინაობას. მაგალითად, დადის შთამომავალი სევანურად იქნე-
ბა დადი-ანი. ე. ი. დადისეული (შღრ. გორგობიანი-გიორგაძე და
ა. შ.).

ამდენად, არასწორად მიგვაჩნია გვარი დადიანი ს შესახებ
გამოთქმული შემდეგი მოსაზრებანი:

ა) ისინი დადიანებად იმიტომ იწოდებოან, რომ ძველად მომთა-
ბარეობდნენ და რადგანაც სალები არ ჰქონდათ, ცხოვრობდნენ

¹¹⁰ კ. ბოროდინი, სამეგრელო და სევანეთი, 1934, გვ. 2, შენ. 1.

¹¹¹ ზარდენის მოგზაურობა, შენ. 248, გვ. 390—391; ს. მაკალათია, სამეგრე-
ლოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 112.

¹¹² Н. Я. Мзрр, Яфетические элементы в языках Армении, У,
ИАН, 1913, с. 176, 171; ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენის ისტორია, ტ. I,
თბ., 1960, გვ. 92.

კარვებში¹¹². ე. ი. აღნიშნული ავტორი ამ გვარის ახსნას იძლევა ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე — დადიან (ХОДЯТЬ. БРО-ДЯТЬ).

მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს პატრიარქი დესიფეოსი: „მათ წინაშედგოდა ეწოდება დადიანი, ე. ი. მორბენალი, რადგან სამეგრელო სწორი ქვეყანაა“¹¹⁴.

გ. შარდენის მიხედვით, „დადი“ სპარსული სიტყვაა, და ნიშნავს სანართლიანობას, რომელი სიტყვისაგანაც მომდინარეობს გვარი „დადიანი“¹¹⁵.

ვ. ბატონიშვილის მიხედვით, დადიანობა მოხელეობასთანაა დაკავშირებული. მისი აზრით, „დადიანი“ მხოლოდ ცოტნე დადიანის შემდეგ გადაიქცა ილიშის მთავრის ტიტულად¹¹⁶. სანამდვილეში დადიანს ილიშის მთავრად მოიხსენიებს ჯერ კიდევ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი, თუმცა აქ იგი დადიანი კი არა ბედიანია¹¹⁷, მაგრამ ეს ბედიანი შემდგომ დადიანია, ანუ დადიან-ბედიანი.

ბატონიშვილი მიიჩნევს, რომ „დადიანობა“ არზრუმის ვოენის ლეზბერნატორობას ნიშნავდა¹¹⁸.

ღიუბუა დე მონპერეს აზრით, დადიანობა მეფის მწოდეს ნიშნავს¹¹⁹. ამ საკითხთან დაკავშირებით მარი ბროსე აღნიშნავს: „სამეგრელოში არის სოფელი „დადი და დადის ციხე, რომელმაც მისცა სახელწოდება პატარა მდინარეს ენგურის დასავლეთით, რომელიც ერთვის ზღვას. თუმცა არ არის ცნობილი ეს ადგილი წყაროებიდან, და არც ის, რომ დადიანები აქ ისხდნენ. მაგრამ ქართველი ერისმთავრებისა და ეპისკოპოსთა წოდებანი, რომლებიც რეზიდენციის ადგილიდან იწარმოება (ჯაყელი, მაწყვერელი, ბედიანი-

¹¹² ასეთი მოსაზრებისა იყო პიეტრი დელა ვალე. იხ. Г. Казбеки, Итальянцы о Кавказе, Кавказ, 1867, № 41.

¹¹³ М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, СПб., 1847, с. 27.

¹¹⁴ ე. შარდენის მოგზაურობა, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

¹¹⁵ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 20—21.

¹¹⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33—34.

¹¹⁷ იოანე ბატონიშვილი, კრებული საქართველოს თავადაზნაურთა შთამომავლობის შესახებ, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, 3729.

¹¹⁸ Frideric Dubois de Montperz, Voyage a'tour de Caucase... t. I, Paris, 1839. გვ. 34.

ბედიიდან და სხვ.) მიგვიჩივებენ, რომ დადიანი დადის ციხედა-
ნაა“¹²⁰. შავრამ მ. ბროსემ სამეგრელოში მოგზაურობის დროს ასე-
თი დასახელების ციხე ვერსად ვერ ნახა, რადგან, როგორც სამართ-
ლიანად აღნიშნავს თ. ბერაძე, ასეთი სახელის მატარებელი არც
ციხე და არც ტოპონიმი არ გვხვდება¹²¹.

მ. ბროსემ შემდგომ ეს მოსაზრება შეცვალა და დადიანობა თა-
ნამდებობად მიიჩნია, რომელიც, მისი აზრით, წარმომდგარია სპარ-
სული სიტყვიდან — დად და სომხური სიტყვიდან — დათაგორ—
მსაჯული¹²².

რუსი მოხელე კ. ბოროზდინი, რომელიც წლებას განმავლობაში
ციხევრობდა და მსახურობდა სამეგრელოში, დადიანობას ტიტულად
მიიჩნევდა. იგი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ გადადიანდენ ისეთი
გვარები, როგორცაა ბეღია, გოშუა, ლიპარტელიანი, ქილაძე, ჩი-
ქოვანი...¹²³

გვარი დადიანი მართლაც გადაიქცა ტიტულად და, ჩვენი აზრით,
ეს იმ ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს, რომ სვანური „დად“
(აქიდან „დად-ლ“ და დღემდე სვანურში არსებული მამაკაცის სა-
კუთარი სახელი „დადულ“) საუკეთესოს, წარმატებულს, აღზვევ-
ბულს ნიშნავდა.

პ. ინგოროყვა, მ. ბროსეს მსგავსად, აღნიშნულ გვარის წარმო-
შობას უკავშირებს სარეზიდენციო ადგილის სახელწოდებას¹²⁴.
მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი სახელი ადგილის,
მდინარის თუ ციხის სახელწოდებად სამეგრელოს ტერიტორიაზე
არსად არ გვხვდება. თ. ბერაძე, პ. ინგოროყვას მოსაზრებასთან და-
კავშირებით, შენიშნავს, რომ „იან სუფიქსის დახმარებით ადგი-
ლის სახელიდან გვარი არ იწარმოება“¹²⁵. ამიტომ, ბ ე დ ი ა ადგი-
ლის სახელიდან ბედიან გვარს წარმოშობა, თ. ბერაძის აზრით, გა-
მორიცხებულია. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნულ სუფიქსთან და-

¹²⁰ M. Brossé, Histoire de la Georgie, ნაწ. I, Sp. 1848, გვ. 386.

¹²¹ თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

¹²² მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, 1900, გვ. 166.

¹²³ კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ. 2. შენიშვნა I.

¹²⁴ პ. ინგოროყვა, რუსთაველიანის ეპილოგი, თბზ., კრებული, ტ. I,
თბ., 1963, გვ. 641.

¹²⁵ თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

კავშირებით წერს: „დასამტკიცებელია დებულება იწარმოება თუ არა ქართულად ადამიანის გვარის სახელი (საგვარეულო სახელწოდება) გეოგრაფიული პუნქტის (დაბის, ციხის) სახელიდან „იან“ და „ან“ სუფიქსით. თუ ამ სუფიქსის ქართულ ბუნებას გავითვალისწინებთ, ზემოთ დასმულ კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ“¹²⁶.

მაგრამ თუ ამ სუფიქსის სვანურ ბუნებას გავითვალისწინებთ, მაშინ პ. ინგოროყვა მართალია. „იან“ და „ან“ სუფიქსი დღემდე სვანეთში, რაჭაში და ლეჩხუმში შემორჩა. იგი ამჟამად მხოლოდ სვანურად გაიზარება. არაერთი სვანური გვარია ნაწარმოები ადგილის სახელიდანაც. მაგალითად: ცხუმიანი—ცხუმიდან, მსავიანი—სავი-დან (დღევანდელ ბალყარეთის ტერიტორიას სვანები ოდიტ-განვე უწოდებდნენ სავ-ს), მობეჩიანი—ბეჩოდან (აკ. შანიძის აზრით, ამ გვარიდან ჩანს ნაწარმოები მიბჩუანი)¹²⁷ და ა. შ. ეს ფაქტიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბედიანი ადგილის სახელისაგან ნაწარმოები სვანური გვარია, რომლის წიაღშიც იშვავ დადი-ს კულტი, შემდგომ „დადიანი“-ს ამოსავალი რომ გახდა.

თ. ბერაძე უარყოფს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს დადიანების მოღვაწეობა დაკავშირებული იყოს ანისის მფლობელობასთან. მისი აზრით, ესენი დადიანები კი არა, არამედ შადადიანები არიან¹²⁸, რომელთა დინასტიის ხელშიც ანისი იყო. ამიტომ შანზე დადიანი, რომელსაც შადადიანში გულისხმობენ, არარეალური პიროვნებაა.

პირველი დადიანი, რომლის არსებობა ეჭვს არ იწვევს, არის ივანე დადიანი¹²⁹, რომელიც ბაგრატ IV (1020—1072) დროს მოღვაწეობდა, ე. ი. XI ს-ში. შემდეგია ვარდან დადიანი, გიორგი III (1184 წ. გ.) დროინდელი მოღვაწე და ა. შ.

თ. ბერაძის აზრით, დადიან-ბედიანი ერთ პიროვნებას უნდა გუ-

¹²⁶ ნ. ბერაძე ნიშვილი, ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 342.

¹²⁷ გ. ქუშმბურიძე, ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი, თბ., 1975, გვ. 85.

¹²⁸ თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

¹²⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 300.

ლისხმობდეს¹³⁰. ცოტნე დადიანის დროს (XIII ს.) ოდიშის ერისთავია ვინმე ბედიანი¹³¹. თ. ბერაძეს აზრით, ბედიანი სახელია და არა გვარი¹³². საინტერესოა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ცნობა: 1259 წელს დავით რუსუდანის ძემ მონღოლთა ბატონობას ვერ გაუძლო და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ორი წლის შემდეგ (1261 წ.) მას დავით ულუც მიჰყვა. იგი დავით რუსუდანის ძემ კარგად მიიღო. მალე მდგომარეობა შეიცვალა. დასავლეთ საქართველოში დიდებულთა ნაწილმა დავით გიორგის ძის გამეფება გადაწყვიტა: „მაშინ ეზრახნეს კახაბერის-ძესა რაჭის ერისთავს კახაბერსა, ქვაბულის-ძეთა, ფარჯანიანთ სარგისს. რათა ლაშას ძე დავით ყონ მეფედ, რომელნი ერჩდეცა, და იქნა ვანდგომილება ლიხთ-იმერით, და რომელნივე წარმოუდგეს ლაშას ძესა, და რომელნივე რუსუდანის ძესა. ეგრეთვე დადიანი ბედიანი ჯუანშერის ძე, დადგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა, რამეთუ იყო ესე ბედიანი კაცი წარმატებული ყოვლითა ზნითა, უხვ უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებითა. ამან დააწყო ოდიში, რომელ მპარავი და ძვრისმოქმედი არა იპოვებოდა. და სუანნი განიყვნეს ორად“¹³³. ესე ამთაღმწერელის აღნიშნული ცნობა ძალიან საინტერესოა. ამ ცნობის მიხედვით სვანეთის ერისთავი სარგის ფარჯანიანი (ფარჯანიები დღესაც ცხოვრობენ მესტიის რაიონის სოფ. ლატალში). სარგის ფარჯანიანი სვანეთის ერისთავ ვარდანიძეების ჩამომავალი უნდა იყოს. როგორც ცნობიდან ჩანს, სარგის ფარჯანიანი, რაჭის ერისთავი კახაბერი და ქვაბულის ძე ულუ დავითს მიემხრნენ, ოდიშის ერისთავი დადიანი ბედიანი ჯუანშერის ძე დავით ნარინის მხარეს იკავებდნენ. ე. ი. დასავლეთ საქართველოში („ლიხთ-იმერით“) დიდებულნი ორად ვაიყვნენ, ზოგი ულუ დავითს მიემხრო და ზოგიც დავით ნარინს. იქვე ვკითხულობთ: „და სუანნი განიყვნეს ორად“.

ისმის კითხვა, რატომ დასჭირდა ამთაღმწერელს მოეტანა ასეთი ცნობა, თუკი სვანეთს ამ დროს მხოლოდ ერთი ერისთავი ჰყავდა (სარგის ფარჯანიანი)? საქმე ისაა, რომ სვანეთს ამ დროს ორი

¹³⁰ თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

¹³¹ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 195, 215.

¹³² თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

¹³³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 243.

ერისთავი ჰყავდა, ერთი მათგანი ბედიანია (დადიანი ბედიანი ჭუანშერის ძე) და არა რომელიმე სხვა, რადგან, აღნიშნული ცნობის მიხედვით, დასახელებული დიდგვაროვნებიდან ბედიანი სარგის ფარჯანიანის საპირისპირო მხარეს იჭერს, ე. ი. მიემხრო დავით ნარინს. სხვანაირად გაუგებარი ზღბა ქამთალმწერლის ცნობა „სუანნი განაყენეს ორად“. ბედიანი ამ დროს ოდიშის ერისთავია. ქამთალმწერელი მას კარგად ახასიათებს. გამოდის, რომ ოდიშის სამთავროში ჯერ კიდევ იგულისხმებოდა სვანეთის რომელიღაც ნაწილი¹³⁴. ჩვენი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორია, ე. ი. ბედიან-დადიანი XIII საუკუნეში არა მარტო მეგრულთა, არამედ ნაწილობრივ სვანთა ერისთავიცაა, ე. ი. ოდიშის სამთავრო XII—XV სს. მოიცავდა სამეგრელოს, სამოქალაქოს და ნაწილობრივ სვანეთს.

ზემოთ მოტანილ ცნობაში „დადიანი ბედიანი ჭუანშერის ძე“ გაიგება ასე: გვარია დადიანი, სახელი — ბედიანი და მამის სახელი ჭუანშერი. თავდაპირველი გვარი დადიანებისა, როგორც დავინახეთ, იყო ბედიანი, „დადი“ ბედიანის ზედსახელი იყო, როგორც წარჩინებულის და თვალსაჩინო პიროვნების, აკი ქამთალმწერელი ბედიანს, ანუ უკვე დადიანს. გვიხასიათებს, როგორც წარმატებულს ყოვლისა ზნითა, რომ იგი იყო დიდად გავლენიანი, უხვი, მოწყალე და გონიერი. „დადი“ ბედიანთა რომელიღაც წინაპრის სახელიც შეიძლება ყოფილიყო. ეს სახელი გარკვეულ სოციალურ ნიადაგზე იმდენად გაკულტდა, რომ გვარტიტულადაც იქცა, რომლის შედეგადაც მიჩქაღლულ იქნა „ბედიანი“, დროთა განმავლობაში ზღბა სხვადასხვა გვარების გადაღიანება, რამაც განაპირობა ბედიანთა ერთი ნაწილის მოწყვეტა დადიანთა სამთავრო ტიტულის იურიდიული უფლებებისაგან. მათ უშუალო შთამომავლად უნდა ჩაითვალოს სვანი ბედიანები.

¹³⁴ ო. ს. ოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, „მამუხილველი“, ტ. 2, 1951, პ. ინგოროყვა, რუსთაველიანის ეპილოგი, თხზ. კრ. ტ. 1, თბ., 1963; ნ. ბერძენიშვილი, ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენის გამო, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964; ი. ჭავჭავაძევილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 170—171; თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1967, ტ. III.

ძნელია იმის დადგენა, თუ რომელ საუკუნეში მოხდა დასავლეთ საქართველოს ბარში სვანურენოვანი მოსახლეობის სრული ასიმილაცია ზანურენოვანი ეთნიკური მასის ნიადაგზე. შესაძლოა, საკათხის ასეთნაირი დასმა არც იყოს სწორი, რამდენადაც სვანეთსა და სამეგრელოს შორის ეთნიკური მიმოქცევის პროცესებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ამის მთავარი მიზეზი იყო მიწების უკმარისობა, სისხლ-მესისხლეობის ინსტიტუტის არსებობა, ქორწინებითი აქტები და სხვ. ყოველივე ეს მთისა და ბარის მონათესავე ხალხებს შორის ეთნო-კულტურული კონტაქტების მუდმივობას განაპირობებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, სამეგრელოს ბარში სვანური ენის გავრცელების არეალი ლოკალურ ხასიათს ღებულობდა. სვანთა განსახლების ტერიტორია კი ოდიშის სამთავროს ტერიტორიის ორგანულ ნაწილად იქცეოდა.

**არგონავტების აია-კოლხეთში მოგზაურობის
საკითხისათვის (სვანური მასალის მიხედვით)**

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ათეულობით გეოგრაფიული სახელი დღევანდელი სამეტყველო სვანური ენის მეშვეობით ადვილად ამოსაცნობია, მაშინ ამ ტერიტორიაზე სვანური ტომების ინტენსიური განსახლების უახლოეს მიჯნად ძვ. წ. VIII—VI საუკუნეები უნდა ჩაითვალოს, ხოლო საწყის პერიოდად ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული. როდესაც ნავარაუდევია სვანური ენის საერთო ქართული ფუძეებიდან დიფერენციაციის დაწყება.

ამგვარად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ კი რიონის აუზში სვანური მოსახლეობის არსებობა დაახლოებით ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებში მაინცაა სავარაუდებელი. შემდეგ სვანთა ჩრდილოეთისაკენ გადაადგილება ხანგრძლივი პროცესი ჩანს.

ძვ. წ. VIII საუკუნიდან, დღეს მიღებული მოსაზრების თანახმად, იწყება ქართული ენის ზანური დიალექტის ცალკე ენად ჩამოყალიბება.

ამდენად, ზანურ-სვანური ტომების ენობრივი და ეთნიკურ-ფორმირება, ცხადია, ხდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქართლური, ხოლო ჩრდილოეთიდან სვანური ტომების ნათესაურ-მეზობლური კონტაქტების პირობებში.

შესაძლოა, ერთი მხრივ, ამ გარემოებამაც განაპირობა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ზანური ტომები ყველაზე ადრე (ძვ. წ. VI ს.) ქმნიან სახელმწიფო გაერთიანებას, რაც მათ გარკვეულ პრიორიტეტს ანიჭებს.

ზემოთ მოტანილი მასალა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფაზისამდე (დღევ. ფოთი) სვანთა განსახლებას ადგილი ჰქონდა თვით პეროდოტეს დრომდე (ე. ი. ძვ. წ. V ს-მდე). ეს თარიღი თუნდაც ძვ. წ. VIII ს-მდე გადავწიოთ, მაინც პასუხის გაცემას მოითხოვს ერთი უაღრესად საინტერესო საკითხი, კერძოდ, თუ არგონავტების მოგზაურობას აია-კოლხეთში რეალური საფუძველი გააჩნია, მაშინ იგი ასახვას უნდა პოულობდეს სვანური მასალის მიხედვითაც.

მითუმეტეს, რომ არგონავტების მოგზაურობის თარიღად მიჩნეულია დაახლოებით ძვ. წ. XIV—XIII სს., ე. ი. დრო როცა რიონის აუზი ჯერ კიდევ სვანთა განსახლების რეგიონს წარმოადგენდა.

სვანურ მასალაში არგონავტების მითთან დაკავშირებული ფაქტების გამოვლენა, ერთი მხრივ, ამ ლეგენდადქეული მოგზაურობის რეალობის დასაბუთებას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა ეთნიკური ვინაობის საკითხის დადგენას შეუწყობს ხელს.

პირველი ბერძენი ავტორი, რომელიც არგონავტების საკითხს ეხება პომპროსია. მართალია, „ილიადასა“ და „ოდისეაში“ კოლხეთს არ ვხვდებით, მაგრამ პომპროსი იხსენიებს არგონავტების მითთან დაკავშირებულ ეპიზოდებს. „ოდისეაში“ ერთგან ნათქვამია: „ზღვისგამკვეთი ყველასათვის ცნობილი არგო“ (XII, 69). პომპროსის პოემებში მოხსენიებულია არგონავტების თქმულების პერსონაჟები, მთელი რიგი გეოგრაფიული პუნქტები¹. „ოდისეაში“ დასახელებულია კუნძული აიაია, საიდანაც მზე ამოდის („სადაც ჰელიოსი აღმასვლას იწყებს“). ჩვენი აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს ის აია, რომელიც შემდგომ აია-კოლხეთის სახელით დამკვიდრდა ბერძნულ ლიტერატურაში.

პომპროსი არსად არ იხსენიებს მედეას, მაგრამ „ოდისეაში“ მოხსენიებულია მერმეროსი. არგონავტების თქმულების მიხედვით მერმეროსი მედეას ვაჟია.

როგორც ჩანს, მედეას სახელი ბერძნულმა ლიტერატურამ შემდგომ დააჰკვიდრა. ცნობილია, რომ მედეას სახე პირველად კინეტონთან (ძვ. წ. VIII—VI სს.) ვხვდებამ² (მისი ცხოვრების ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი). მაინც საინტერესოა, პომპროსის პოემებსა და მიხედვით ვინ შეიძლება მივიჩნიოთ მედეას პროტოტიპად? „ოდისეაში“ მოახსენიება ჰელიოსისა და პერსეს მრისხანე ვაჟი აიეტის და მისი გრძნეული და აიაიელი კირკე. სწორედ კირკე შეიძლება იყოს მედეას პროტოტიპი. მას პომპროსი გრძნეულს უწოდებს, რომ ის აიეტის დაა, ცხოვრობს აია-ში. მამასადა-

¹ ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 15—19.

² იქვე, გვ. 23.

მე. ჰომეროსის აი ა ი ა ეს არის აიეტის სამფლობელო ა ი ა.

ბერძენ ავტორთაგან არგონავტების თქმულების თავდაპირველ ვარიანტებთან ჰომეროსს ყველაზე უფრო მიუწვდებოდა ხელა, რამეთუ იგი ყველაზე ადრინდელი ავტორია. ამიტომ მეცნიერული არგუმენტირებისათვის ჰომეროსის პოემები შედარებით უფრო სანდოა.

ამგვარად, ჰომეროსის მიხედვით არსებობს აიეტი და აიას ქვეყანა.

აი ა-კოლხეთის მოსასლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხის გარკვევისას ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ გარემოებას: აი ა სვანებში ძველად მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ღვთაება იყო. სვანებმა იცოდნენ ამ ღვთაების დღის აღნიშვნა, რასაც „აი ა მიშლადელ“ („აიას კვირა“) ეწოდებოდა. ამასთან დაკავშირებით აკად. გ. ჩიტაია წერს, რომ „კვირა ითვლებოდა მიწის ღვთაების დღედ, რაც კარგად ჩანს სვანური სიტყვათშეხამებისაგან აი ა მიშლადელ, რომელიც აღნიშნავს აიას კვირა დღეს, სადაც აი ა მიწათმოქმედების ღვთაების სახელია“³.

აიას ღვთაება ქვემო სვანეთში დღემდე არ არის მივრჩეული. ერთ სვანურ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„აია, ბაია და ლინჩალი,
ლინჩალის მშვიდობით ჩაეაროს,
თანაფა მშვიდობით მოსულიყოს“.

ამ ლექსში ჩამოთვლილი ღმერთებიდან აია, ბაია, უძველესია. „ლინჩალი“ იგივე ლი-ნ-ჭანი (ჭანობის დღესასწაული. შდრ. ჩანიშ//ჭანიშ) უნდა იყოს, ხოლო თანაფა უკვე ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული, ე. ი. ყველაზე გვიანდელია. ასე ჩანს ეს ლექსშიც. აია და ბაია უძველესია და შუმერულიდან მომდინარე უნდა იყოს. „ჭანობა“ (ლინჩალი, ჩანიშ//ჭანიშ) უნდა ასახედეს სვანთა წინაპრების ოდესღაც ჭანიეთში ცხოვრებას.

როდესაც ამ ლექსს ამბობენ, ხელში პური უკავიათ, რაინულისაც

³ Г. С. Читая, Земледельческие системы и пахотные орудия в Грузии. Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952, с. 103; Т. К. Микеладзе, К вопросу о периодизации истории древней Колхиды. Вопросы древней истории, Тб., 1973, Сб. IV, с. 131-132.

შუაში ხერელი აქვს, მასში ნელ-ნელა ყრიან ფქვილს და ზემოთ მოტანილი ტექსტის წამღერებით ილოცებიან. სვანეთში სახლთ-ანგელოზის, კერიის, მიწის კულტი გვიანობამდე იყო შემორჩენილი.

ვფიქრობთ, რომ ეს რელიგიური წესი მიწის ღვთაებასთან. აიასთან, არის დაკავშირებული. მიწისა და მიწათმოქმედების ღვთაების აიასა და კოლხეთის ძველი სახელწოდების აიას ურთიერთ-მიმართებათა შესახებ წერს პროფ. თ. მიქელაძე⁴.

მართლაც, რომ საოცარი დამთხვევაა: ა ი ა — ძველი სვანური ღვთაება და ა ი ა — ძველი კოლხეთის სახელწოდება. ხომ არ მიგვანიშნებს ეს იმაზე, რომ თავდაპირველად ძველი აიას-კოლხეთის მკვიდრი სვანური ტომებიც იყვნენ?

სვანური წარმართული რიტუალის მიხედვით, მელია-ტელეფიასადმი მიძღვნილ ღღესასწაულზე დაკლავდნენ ხარს ან ცხვარს და ტყავს ჩამოკიდებდნენ მუხაზე⁵ (მუხა წმინდა ხედაა მიჩნეული).

არგონავტების მოგზაურობის დროს აიას ქვეყანა ხეთების ძლიერი სახელმწიფოს კულტურულ ზეგავლენას განიცდიდა. სვანთა ყოფა-ცხოვრებაში ამ ზეგავლენის კვალმა დღემდე მოაღწია, რაც აიას ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკვანძს რამდენადმე ნათელს ხდის.

არგონავტებზე თქმულების პერსონაჟებიდან ჩვენთვის საინტერესოა მედეას ნახევარ ძმა აფსირტე (იგი მამიდანაა მედეას ძმა). სოფოკლე (496-406 წწ.) უნდა იყოს პირველი ავტორი, რომელთანაც მედეა ჩვილ ძმას — აფსირტეს აიეტის სასახლეში ჰკლავს. იმავეს იმეორებს ლოგოგრაფოსი ფერეკიდე (ძვ. წ. V ს.) თავის „თეოგონიაში“ (VII). მერმინდელი გადმოცემებით აფსირტე ვაეკაცობის ასაკში იღუპება. აფსირტეს ნოკვლის შემდეგ არგონავტები მოტაცებული საწმისით ზღვაში გადიან. თქმულების სხვა ვარიანტებით აფსირტე კოლხთა მღვდარ ფლოტს სარდლობს, მედეამ ვითომ მოსალაპარაკებლად მიიტყუა ტაძარში, სადაც ჩასაფრებულმა იაზონმა მახვილით განგმირა. აფსირტეს სახელს უკავში-

⁴ თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი-ღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 191.

⁵ Дж. Рухадзе, Некоторые аграрные обряды в Западной Грузии, Материалы грузинской этнографии, VI, с. 75.

რებენ ციხე-სიმაგრე აფსაროსს, რომელსაც თანამედროვე სარფთან აიგივებენ. ბერძენი მოგზაური არიანე (ახ. II ს.) ამასთან დაკავშირებით წერს: „ამბობენ, რომ ადგილი აფსაროსი ძველად აფსირტედ იწოდებოდა. აქ აფსირტე მედეას მიერ იქნა მოკლული და კიდევ აჩვენებენ (აქ) აფსირტეს საფლავს. შემდეგ ეს სახელი დამახინჯებულ იქნა მეზობელი ბარბაროსების მიერ, როგორც სხვა მრავალი დამახინჯებული“⁶. სინამდვილეში ამ სახელის არც თუ დიდ ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე. და თუკი, როგორც არიანე შენიშნავს, აფსირტე აფსაროსად დამახინჯდა, ეს მეზობელ ბარბაროსებს კი არა, ბერძნებს მიეწერება, რადგან დაბოლოება „ოს“//„სი“ ბერძნული ენისათვის არის დამახასიათებელი (შდრ. გიენოსი, პიპსოსი, სებასტოპოლისი და სხვ.). მასასადამე, აფსირტე ადგილობრივი სახელია და არა ბერძნული.

აფსირტე//აფსარტ სვანურ ლვთაება აფსასტ-ს მოგვაგონებს⁷. აფსასტ-ის კულტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სვანურ ლვთაებათა პანთეონში (იხ. თავი VI, აფსასტ).

~~აფსასტი დალის ღვდას ფაჩხხ.~~ სვანური თქმულების მიხედვით ამირან⁸ დალისა და მონადირე დარჯელანის შვილია.

არგონავტების მოგზაურობასთან დაკავშირებით, სვანეთისადმი განსაკუთრებული ინტერესი ტიმ სევერინმაც გამოხატა თავის წიგნში. რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოუგზავნა ო. ლორთქიფანიძეს. მასში ვკითხულობთ: „...თუ ძალიან არ შეწუხდებო. ეგებ გამომიგზავნოთ სვანეთში, კალაში ნაპოვნი ბრინჯაოს ფიგურის ფერადი სლაიდი, აგრეთვე გვიანდელი ბრინჯაოს ხანის უსაველეთ საქართველოს და სვანეთში ოქროს მოპოვების ადგილთა რუკები“⁸.

„მოთ...ოქროს საწმისზე“ რომ სვანეთთანაა დაკავშირებული, ამის შესახებ უშუალოდ მიუთითებენ ბერძენი ავტორები: სტრაბონი (ქვ. წ. 64, ახ. წ. 24), პლინიუსი (ახ. წ. 23—79), აპიანე (ახ. წ. 90—170). სტრაბონი წერს, რომ სვანები საუკეთესონი

⁶ ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (თარგმანი, გამოკლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეკელიძისა), თბ., 1961, გვ. 35, 50, 61.
⁷ ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, I, თბ., 1974, გვ. 57—58.

⁸ ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი.

არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ. ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და უძვერიათ კავკასიონის მწვერვალები, რომელიც დიოსკურიის წემით არის. ჰყავთ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი, კრებენ ლაშქარს 200 000 კაცის რაოდენობით და ამასთანავე ამბობენ, „რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვთ, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ (ოქროს) დახვრეტილი ვარტლებით და ბანჯგვლიანა ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე“⁹.

პლინიუსის ცნობით, კოლხეთში მეფობდა აიეტის შთამომავალი სავლაკე, რომელმაც მრავალი ოქრო და ვერცხლი მოიპოვა სევანთატომში და საერთოდ თავის ოქროს საწმისებით სახელგანთქმულ სამეფოში¹⁰.

აპიანე „რომის ისტორიის“ XII წიგნში („მითრიდატეს ომების ისტორია“) წერს: „კავკასიონიდან (გამომდინარე) მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. გარშემო მცხოვრებლები ნაკადში ხშირმატყლოვან ცხვრის ტყავებს დებენ და მათზე შეკავებულ ქვიშას აგროვებენ. სწორედ ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც“¹¹. ცხადია, რომ აიეტის დროინდელი სევანეთი რიონის, ცხენისწყლისა და ენგურის აუზებს მთლიანად მოიცავდა.

დასავლეთ საქართველოში ოქროთი მდიდარი მხარე მხოლოდ სევანეთია. იქ თვითნაბად ოქროს დღემდე პოულობენ ძველ კანიონებსა და სოფელ იელის მიდამოებში. სევანური გადმოცემით, სოფელ ჭუბერში მთის ერთ ფერდობზე მიწისქვეშა სასახლეა, რომელიც ოქროთია სავსე, მაგრამ მას ვერაფერ ვერ აგნებს. ამ ადვილს სევანები „სალ ჭუბერიშს“ (?) ეძახიან.

გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სევანების მიერ რიონ-ცხენისწყლისა და ენგურის სათავეების ათვისება ლითონის,

⁹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 19, 126.

¹⁰ აკ. ურუშაძე, დასახ. შრომა, გვ. 103.

¹¹ აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია (გამოსცა თ. ყაუხჩიშვილმა), თბ., 1959, § 103; აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

უპირველეს ყოვლისა, ოქროს მოპოვებასა და მეტალურგიის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ოქროს თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სვანურ ზეპირსიტყვიერებაში. სვანეთში ოქროს მოპოვებისა და წარმოების დიდი ტრადიცია არსებობს. ერთ-ერთი სვანური გადმოცემით ლეჟხვარას მთაზე მიწისქვეშა ქვის სალოცავი იდგა, სადაც ოქროს ჯაჭვით ოქროს ვერძი იყო დაბმული¹². სვანეთის ოქროს შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა მოპყავს ბ. კოვალევსკის¹³.

ცხვარი სვანებში ტოტემური ცხოველი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალა. ასე მაგალითად, მესტიის რაიონის სოფ. კალაში ნაპოვნია შუა ბრინჯაოს ხანის ქინძისსთავზე მოცემული ცხვრის რქების სტილიზებული გამოსახულება¹⁴. უფრო გვიან, ძვ. წ. I ათასწლეულის არქეოლოგიურ ძეგლებში ნაპოვნ ბრინჯაოს „ცხვარჩიტებში“ შედარებით უფრო რეალისტურადაა გამოსახული ვერძის თავი და ფრინველის ტანი. იმავე კომპლექსებში დიდი რაოდენობით ვხვდებით ცხვრის ქანდაკებებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ სოფ. მულახში ოქროს მადიებლებმა 1940 წელს გვიანი ანტიკური ხანის სხვა ნივთებთან ერთად ოქროსაგან ჩამოსხმული ვერძის ქანდაკებაც იპოვეს¹⁵. სხვა ცხოველებთან ერთად, ცხვრის პლასტიკური გამოსახულებებით არის შემკული სვანური კერა („კერაა“)¹⁶. სვანებში ცხვარი რომ ტოტემური ცხო-

¹² О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида (миф и археология), Тб., 1979, с. 99.

¹³ Б. Ковалевский, Страна снегов и башен. Сванетия, Л., 1930, с. 186-190.

¹⁴ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, ტაბ. XIII—7; შ. ჩართოლანი, სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური მასალის შუქზე, კრებ: სვანეთი, თბ., 1977, გვ. 86.

¹⁵ შ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

¹⁶ შ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XII, XVIII, XIX.

ველი უნდა ყოფილიყო, ამის შესახებ საყურადღებო მასალები და დაკვირვებები აქვს ივ. ჭავჭავიძე, ვ. ბარდაველიძეს, მ. ჩართოლანს, შ. ჩართოლანს¹⁷.

ყოველივე ეს ლეგენდარული აია-კოლხეთის მდიდარი სულიერი კულტურის გადმონაშთია.

არგონავტების მოგზაურობის ხანას განეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ სოფ. ლებთან, ბრილის სამაროვანში ჩანახი ბრინჯაოს ცხვრის გამოსახულებანი, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებით¹⁸. ცხვრის გამოსახულებიანი ნივთები შემდგომი ხანის არქეოლოგიურ მასალაშიც არაიშვიათად დასტურდება. ცხვრის ოქროს ავეაროზი აღმოჩნდა არმაზის ხევის არქეოლოგიური გათხრების დროს¹⁹ და სხვ. ცხვარი ფიგურირებს მთელ რიგ ქართულ და მსოფლიოს სხვა ხალხთა თქმულებებში. ზღაპრებსა თუ ლეგენდებში²⁰. ამ შემთხვევაში საყურადღებოა სვანეთში მოარული თქმულება „ლამარიას ვერძი და წმინდა გიორგი“. თქმულების მიხედვით წმინდა გიორგიმ (ჯგერაგმა) ლამარიას შეცდენა განიზრახა, მაგრამ ვერ მოახერხა. მაშინ გაბრაზებული ჯგერაგი დევს თხოვს კალასა და უშგულს შორის ენგურის გადახიდვას. რათა ლამარია და მისი ხალხი წყალში ამოეხრჩო. ლამარია შევლას დიდ ღმერთს თხოვს. დიდი ღმერთი („ხოშა ღერბეთ“) ლამარიას შეახსენებს, რომ ამ საქმეში ჯერ ვერძი გამოიყენოს. ლამარიამ გაუშვა თავისი ვერძი, რომელმაც კლდე გაანგრია და ხალხი ამოხრჩობას გადაარჩინა²¹.

ცხვარი მსოფლიო ხალხების წარმოდგენაში სიმდიდრის, დოვ-

17 ივ. ჭავჭავიძე, ქართული წარმართული პანთეონის წარმომოხიბველები, ქართული ერის ისტორიის შესავალი, თბ., 1951, გვ. 192; ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალწლის ციკლი, თბ., 1929, გვ. 7; მ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 185; შ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—87.

18 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, მცხეთა, თბ., 1955, ტ. I, გვ. 56.

19 იქვე, გვ. 56.

20 რ. ცანავა, ოქროს საწმისი, მუხა, გველეშაპი არგონავტების მითსა და ქართულ ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი, XIV, თბ., 1984, გვ. 93—98.

21 რ. ცანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

ლათის, პარაქის, კეთილდღეობის, სინათლის სიმბოლოა. ამდენად „ოქროს საწმისიანი“ მხარე მდიდარ და მზიან სამეფოს გულისხმობს²².

აიეტის ოქროთი მდიდარი სამეფოს ქვეშ კოლხეთი იგულისხმებოდა. რომლის მთავარი ქალაქი შაშის ალბათ ქუთაისი იყო. სვანები მას ქუთააშ-ს უწოდებენ. ამ ტოპონიმს სვანური ენის ნიადაგზე ხსნიან შემდეგნაირად: „ვილაც მდიდარ ქუთას მპართელობაში შედიოდა იგი. აქედან წარმოსდგა „ქუთაისი“. პეტრე ჭაბუკიანის აზრით, სახელი სვანური წარმოშობისაა“²³, „ქუთააშ“ სვანურად მართლაც ნიშნავს ქუთას სამფლობელოს. მაგრამ ვისაც სვანური კარგად ესმის, მისთვის „ქუთააშ“ სიმდიდრის სინონიმაა. ყველაზე მდიდრულ კერძად სვანებში ითვლება ქუთა//ქუთა, რაც ყველიან (და არა ხაქოიან) პურს ჰქვია. ქუთ სიმდიდრის სინონიმა და მას გარკვეული ადგილი უკავია სვანურ ფოლკლორშიც. აქედან ქუთააშ მდიდარ ქალაქს, მხარეს ან ქვეყანას ნიშნავს.

მამასადამე, ოქროთი მდიდარი აიეტის სამეფოს ქვეშ ის მხარე და ხალხი უნდა იგულისხმებოდეს, რომელმაც აიას კულტი გვიანობამდე შემოგვინახა.

სვანეთთან დაკავშირებულია არა მარტო მითი „ოქროს საწმისის“ შესახებ. არამედ მითი პრომეთე-ამირანზეც. ეს მითი დაახლოებით 3500 წლის წინ შეიქმნა, ე. ი. არგონავტების ლაშქრობის წინარე ხანაში. პრომეთეს ქართული ორეულია ამირანი. ამირანი კი სვანურ მითოლოგიაში ნადირთა და მონადირეთა მფარველი ქალღმერთის დალისა და მონადირე დარჯელანის შვილია. გავიხსენოთ, რომ სვანური ფოლკლორული მასალის მიხედვით დალის შვილია, აგრეთვე აფსასტი. როგორც აღვნიშნეთ, აფსასტი და აფსირტი ერთი წარმოშობისა უნდა იყოს. როგორც ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს „ტიეს“ (აეტეს, აფსირტეს) ბოლოსართი ბერძნულში

²² შტრ. В. Я. Пропп, Исторические корни волшебной сказки, Л., 1946. с. 273; О. М. Фрейндлерберг, Миф и литература древности, М., 1978. с. 538.

²³ პ. ჭაჭანიძე. წყალტუბოს რაიონის ტოპონიმები, ურნ. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1976, № 3, გვ. 113.

აღნიშნავს წარმოქმნილ მასალას. მაგალითად. პოლის — „ქალაქი“, ხოლო პოლიტეს — „მოქალაქე“, ხაონიტეს — „ხაონიელი“. აეტის — „აიელი“²⁴.

სევანური ფოლკლორული მასალის მიხედვით ამირანი და აფსასტი მშვიდი არიან, ქალღმერთი დალის შვილები. ამირანი ქართულ (სევანურ) ეთნიკურ წიაღში იშვა და შემდეგ ფართო გავრცელება პაოვა მეზობელ მხარეებშია. ამას გვიდასტურებენ ბერძენ ავტორთა ცნობებიც.

ამირანის მთა. სადაც ეს მითური გმირია მიჯაჭვული, არაერთგან დასტურდება საქართველოში, მაგრამ მათ შორის ყველაზე უძველესი უნდა იყოს ფასის მთა რიონის სათავეებში, ისტორიული სევანეთის ტერიტორიაზე. ამ მთას ბერძენი ავტორები ამირანტოს უწოდებენ (ე. ი. ამირანის მთა). აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიონებში ვკითხულობთ, რომ ამირანის (ამარანტოს) არა მარტო მთა არსებობს კოლხეთში. არამედ ქალაქიც: „ამარანტოსი ქალაქია პონტოში. ხოლო, როგორც (ფინეისი) ამბობს, კოლხეთის მთებია. რომელთაგანაც მდინარე ფაზისი ჩამოედინება... ამარანტები („ამარანტა“) რომ კოლხთა მთებია. ამას კტესია მოგვითხრობს მეორე წიგნში“²⁵. იმავე სქოლიონებში დასახელებულია ამირანის ტომი, ანუ ამარანტების ტომი: „ამარანტები ტომია ბარბაროსული კოლხებს ზემოთ ხმელეთზე, საიდანაც ფაზისის ნაკადები მოექანებოდა“²⁶. ამ ცნობებიდან აშკარად ჩანს. რომ კოლხეთის ზემოთ მოსახლე ხალხს ამარანტებს უწოდებდნენ. ე. ი. ამირანის ტომს. რომლის ადგილსამყოფელი ისტორიული სევანეთის არეალს არ სცლდება.

საგულისხმოა, რომ „ამირანული ბალახის“ არსებობაც მხოლოდ სევანური ფოლკლორული მასალით დადასტურდა²⁷. 1966 წელს სევანეთში ჩაწერილი მასალის მიხედვით „ამირანულ ბალახს ოსრაახუმის მსგავსი ფოთლები აქვს, თიბავენ, თორემ იზრდება

24 ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძენი საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 13.

25 აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 324—325.

26 იქვე, გვ. 331.

27 მ. შენგელია, ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ., 1981, გვ. 56—59.

მაღალი, თეთრი ყვავილებით, მწიფდება ხელად და თესლს იყრის, იზრდება ყველგან, სადაც ნოყიერი მიწაა. თვითონ ბალახი ტკბილია, ძირებს ხმარობენ სამკურნალოდ, კარგია ფილტვებისათვის, აწყნარებს ტკივილს, საქონლის საკვებად არის ძალიან კარგი, ხარობს ზაფხულში... „ამირანულ ბალახს“ ხმარობენ სისხლის დენის ღეროს. ხარშავენ მთლიანად წყალში, ძირს, ღეროს, ყვავილს, ავადმყოფს აძლევენ 100 გრამს ერთ სმაში დღეში 6-ჯერ. ამირანულ ბალახს აქვს ოთხკუთხა ლერო. ღეროს ადამიანიც ჭამს, ტკბილი არის ძალიან²⁸. ეს არის იგივე „არგონაეტიკაში“ მოხსენებული „პრომეთეს ბალახი“, „პრომეთეს წამალი“, რომელიც ბერძენ ავტორთა გადმოცემით კავკასიონის ქედზე ხარობდა და მას აიეტის ასული მედეა ჰკრებდა ჯადოსნური წამლების შესამზადებლად. მ. შენგელია ამასთან დაკავშირებით წერს: „თვით ამირანის ეპოსის ერთ-ერთ ვარიანტში და სხვა ფოლკლორულ მასალებში ფიქსირებული არ არის ამირანული ბალახის არსებობა. სვანურ ფოლკლორში კი, სადაც ამირანის ყველაზე ძველი ვარიანტებია გავრცელებული და ჩაწერილი, „ამირანული ბალახის“ არსებობა მეტად მნიშვნელოვანია“²⁹. ისტორიული სვანეთის ტერიტორიაზე ამირანის მთის, ამირანის ტომისა და „ამირანული ბალახის“ არსებობა აიას ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის გარკვევის არგუმენტად უნდა ჩაითვალოს.

მაშასადამე, პრომეთე-ამირანი დალის შვილია. დალი კი სვანურ ღვთაებათა პანთეონიდანაა: ამირანის მთა და ამირანის ტომი ისტორიული სვანეთის ტერიტორიაზე ფიქსირდება, ე. ი. პრომეთეზე ბერძნულმა მითმა კავკასიის ხალხებიდან თავდაპირველად ქართულ (სვანურ) ეთნიკურ წრეში ჰპოვა ასახვა, რაც ძველი ბერძნული სამყაროს ქართველურ ტომებთან მჭიდრო ეთნო-კულტურული ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს.

ამირანი საერთო ქართული წარმართული ეპოსის მითოლოგიური გვირგვინია. „ამირანიანი“ კი ქართველი ხალხის ეროვნული ნაწარმოებია, რომელშიაც მისი შემქმნელი ხალხის ფილოსოფიური შეხედულებანი და ინტელექტუალური წვდომის ფართო პორიზონტია წარმოდგენილი.

²⁸ მ. შენგელია, ძეგლი ქართული მედიცინის ისტორიიდან, გვ. 56.

²⁹ იქვე, გვ. 57.

ამგვარად, უძველესი ბერძნული ფოლკლორული ნიმუშების „პრომეთეა“ და „ოქროს საწმისის“ შესახებ არსებული მითების სვანურ ეთნიკურ სამყაროსთან გარკვეული კავშირურობის საგულისხმო ფაქტები შორეულ წარსულში აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთში სვანური ტომების ხანგრძლივი მოსახლეობისა და პოლიტიკური ძლიერების მანიშნებელი უნდა იყოს. /

ამგვარად, ისტორიული წერილობითი წყაროების არქეოლოგიური, ლინგვისტური და ფოლკლორული მასალის შეჯერებით ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ: ა) არგონავტების ლაშქრობის დროს, ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებში, აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთში არსებობდა ქვეყანა (სამეფო), რომელსაც აი ა ერქვა:

ბ) ე ა//ა ი ა ლეთების კულტი კავკასიის ხალხებიდან გვიანობამდე მხოლოდ სვანებმა შემოინახეს, ადრე აია-ს კულტი მეგრელებშიაც უნდა არსებულებოდა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული ქვეყნის მოსახლეობას არგონავტების ლაშქრობის ხანაში ქართული (სვანურ-ზანური) ტომები წარმოადგენდნენ.

ბეცნიერებაში აღიარებული დათარიღების თანახმად, ქართველური ენების დიფერენციაცია უნდა დაწყებულიყო ძვ. წ.-ის XIX ს. დასაწყისში, როცა საერთო ქართულ ფუძე ენას სვანური გამოეყო. ძვ. წ. X—VIII საუკუნეებში ცალკე ენად უნდა ჩამოყალიბებულიყო ზანური. მაშინ დასავლეთ საქართველოში, არგონავტების კოლხეთში მოსვლის დროს, ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებში, დამოუკიდებელი ენა სვანური უნდა ყოფილიყო და არა ზანური. მაგრამ ამ ბოლო დროს ქართველური ენების დიფერენციის საწყის პერიოდად აღიარებულია ძვ. წ. III ათასწლეული, რაც ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება.

არგონავტების კოლხეთში მოგზაურობასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი სვანური გადმოცემა, რომელიც 1978 წლის საფხულში ზემო სვანეთის სოფ. ლენჯერში (ქაშუეთი) 81 წლის პავლე ფილფანის ძე ფილფანისაგან ჩავიწერეთ. აი, ეს გადმოცემა: „ერთ დროს, შორეულ წარსულში სოფელ ლატალს გასაჭირი დაუდგა, რამდენჯერ არ გაუშვებდნენ საქონელს ჰარაშის ქალაქში, ანუ ანდერიანში, შინ ერთიც არ ბრუნდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ავესოთ მოთმინების ფიალა და სოფელმა კრება

მოიწვია („ლუზრობ ანსყე“); კრებაზე დაადგინეს, რომ თითოეული ოჯახი თითო ხარს ან ძროხას გაიღებდა, ოღონდ გველეშაპის მომრევი ვინმე გამოჩენილიყო. ჰარაშის ჭალაში სოფლის სახირს თურმე გველეშაპი ჭამდა, რომელიც ანდერიაანის დიდ მინდორში უზარმაზარ მუხას შემოხვეოდა.

არავინ გამოჩენილა გველეშაპის მომრევი. მაშინ ხალხს შველა ცნობილ მონადირე კახან ჩამგელიანისათვის უთხოვია. კახანს უთქვამს: „ხარი და ძროხა მე არ მინდა, ოღონდ თუ გველეშაპი მოვკალი, ლახოშდის „სგიმის“ (მეავე წყლის) დამლევი პირველად ჩვენი საქონელი იყოსო. გარდა ამისა, ხალხმა უნდა შემოიღოს ერთი კათხა ჩემს სახელზეო. როგორც ჩანს, კახანმა სიმდიდრეს პატივი და სამარადისო დიდება არჩია. ამ პირობით კახანი გველეშაპის მოკვლას კისრულობდა. ხალხი დიდა სიამოვნებით დათანხმებულა ასეთ პირობაზე. მაშინ კახანს უთხოვია; ერთი კარდალა შავი ძროხის რძე ამოეტანათ და დაედგათ ლანწვალის მთაზე; მას თან უნდა წაჰყოლოდა მისი ძმა ჯახუ; თუ ხალხი გველეშაპის მოკვლის სანახაობით დაინტერესდებოდა, კახანი მათ უფლებას აძლევდა შორიანლო მალღობებიდან ეყურებიანათ; კახანი თუ გადაჩებოდა, მისი ძმა ჯახუ ლანწვალის მთაზე რძით სავსე კარდალასთან უნდა დახვედროდა ახალი სათადარიგო ტანსაცმლით.

კახანის ყველა თხოვნა დაუკმაყოფილებიათ. კახანი თავის საქმეს შესდგომია. იგი ანდერიაანის მინდორში წასულა, სადაც გველეშაპი ბინადრობდა. გველეშაპი შუადღისას თურმე იძინებდა. ეს კახანს სცოდნია. კახანი მძინარე გველეშაპს მიახლოვბია, მიწიდან ყურამდე მისი ტანის სიმაღლე თვალით გაუზომია. სამსაფეხურიანი კიბე ყოფილა საჭირო. იგი თვითონვე დაუშნადებია. ამის შემდეგ კახანს კარგად დაუსვენია. ერთ დღეს, როდესაც გველეშაპს ეძინა, კახანი მისულა მასთან, კიბე მიუდგამს, ასულა ბოლო, მესამე საფეხურზე, იქიდან კისერზე გადასულა, შენდევ რაც ძალი და ღონე ჰქონია მშვილდ-ისარი მოუხიდნია და მოწინაღული ისარი შიგ ყურში სამჯერ უსროლია. შემდეგ კახანი გველეშაპის ზურგიდან გადმომხტარა და გამოქცეულა. დაღლილ-დაქანცული ლანწვალის მთაზე ამოსულა, სადაც თავისი ძმა ჯახუ დახვედრია. ჯახუს კახანი რძეში დაუბანია და ტანსაცმელი გამოუცვლია.

ასე რომ არ მოქცეულიყო, კახანი მოიწამლებოდა და მოკვდებოდა.

გველეშაპს გაუბრძოლია. მისი შხუილ-კივილისა და შფოთიანობისაგან თურმე დედამიწა იძროდა. ხეს მოშვებია და მინდორში სიგრძეზე გაწოლილა. კახანი და ჯახუ ლანწვალის მთიდან დიდნას უყურებდნენ თურმე სიკვდილთან მებრძოლ გველეშაპს. კახანი მეორე დღეს, შუადღისას, როცა გველეშაპს ეძინა, კვლავ ჩასულა მასთან. მამაც მონადირეს მისთვის ისევ სამჯერ უსროლია. მესამე დღესაც ასე მოქცეულა. ამჯერად გველეშაპი არც კი განძრუულა. კახანი როცა დარწმუნებულა, რომ გველეშაპი უკვე მკვდარი იყო, ეს ამბავი სოფლისათვის უხარებია. მთელი სოფელი შეკრებილა. ხალხის სისარულს საზღვარი არ ჰქონია. კახანისათვის გამარჯვება მიულოცავთ. შემდეგ ანდერიანში წასულან, გაუთხრიათ დიდი საფლავი და გველეშაპი შიგ ჩაუგდიათ, ხემოდან მიწა და ქვები დაუყრიათ.

ლატალს ლხინი გადაუხდია. სოფელი ლახოზში კახანისათვის უჩუქნიათ. კახანიც იქ დამკვიდრებულა. სოფელს „ლახოზში“ იმის მერე შერქმევია. ანდერიანის ველი ლატალელების კუთვნილებად გამოცხადებულა, რადგან გველეშაპის მკვლელი ლატალელი იყო. ხალხმა კახანის კათხა და სადღეგრძელო ტრადიციად დაამკვიდრა, რაც ლატალში დღემდე ძალაშია. გვიანობამდე კახანის სადღეგრძელოს ლენჯერშიაც სვამდნენ. კახანის შთამომავალი ჩამგელიანები სოფ. ლახოზში დღემდე ცხოვრობენ“.

ანდერიანის მინდორი შედარებით უფრო ვრცელია. ამიტომ ლატალსა და ლენჯერში მასთან დაკავშირებული ეპითეტებიც არსებობს, ამბობენ ხოლმე: ანდერიანის ხელა ყური გაქვსო; ანდერიანის ხელა მიწის ნაკვეთი გიკირავსო და სხვ.

გადმოცემის ჩაწერის დროს იქვე ათიოდე სხვა მამაკაციც იჭდა. ისინი პ. ფილფანის ნათქვამს კვერს უკრავდნენ. როდესაც მთხრობელს ვკითხე, თუ რა იყო იმ ხეზე, რომელსაც გველეშაპი დარაჯობდა, მიპასუხა — არაფერი ვიციო. 76 წლის ცნობილმა ოქრომჭედელმა ბესო იასონის ძე უდესიანმა დაუმატა, რომ იმ ხეზე იდოო „უცხვ ლაიო“. სხვებმა თქვეს, რომ იმ ხეზე განძი იყოო. არავის უთქვამს ოქროს საწმისო, მაგრამ მათ მიერ დასახელებული საგნების ცნება ოქროს საწმისის ცნებას უახლოვდება. მართალია,

„უცხე ლაირ“ სიტყვასიტყვით უცხოურ წიგნს ნიშნავს, მაგრამ სვანური გაგებით იგი ძვირფას წიგნს ეწოდება. ხოლო „განძს“ სვანები ოქროს ან ვერცხლს ეძახიან.

კახანის კათხასთან დაკავშირებით ძველი სვანური სადღეგრძელოებითაც დავინტერესდით. მათი თქმით, ძველად სვანეთში მხოლოდ შვიდი სადღეგრძელო ილეოდა და შვიდივე ჩამომითვალეს: მაღალი ღმერთის („ხოშა ღერბეთ“), მთავარანგელოზის („თარინ-გზელ“), წმ. გიორგის („ჯგრწგ“), „სარვა საყანის“ (ამის შესახებ გარკვევით ვერაფერი ვერ მითხრეს), კახანის (მის სახელზე საგანგებო კათხა გააჩნდათ); წმ. მარიამის („ლამარია“) და „ჩაარინგ“ (იგი სიუხვისა და დოვლათის სახელზე ილეოდა. სიტყვას ვერ ჩსნიან).

როგორც ვხედავთ ამ გადმოცემასა და „არგონავტიკის“ კავკასიურ ვარიანტს შორის სიუჟეტურ შეხვედრებს აქვს ადგილი. ამ თვალსაზრისის გარკვევის მიზნით მივმართეთ კონკრეტულ ანალოგიებს:

გადმოცემის მიხედვით, ჰარაშის ჭალაში უზარმაზარ მუხას გველეშაპი³⁰ შემოხვეოდა; იმავეს ვკითხულობთ ნაწარმოებშიც: „წმინდა ჭალაკის ბილიკს დაადგნენ და ფეხაქრეფით წაეიდნენ წინა, რათა ეპოვათ უზარმაზარი ბებერი მუხა, რომლის თავზედაც ოქროს საწმისი ეკიდა მაღლა, შესახედავად ღრუბელს რომ ჰგავდა“³¹. წმინდა ჭალაკის ეპითეტით არესის ჭალის მოხსენიება იქ ოქროს საწმისის არსებობით უნდა იყოს განპირობებული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ოქროს საწმისი ოქროზე მეტია, წმინდა განძია.

მთხრობელი ყოველთვის გველეშაპს ამბობდა. პოემაშიც უმე-

³⁰ გველეშაპი ბოროტი ძალის განსახიერებაა მსოფლიო მითოლოგიაში, ამის შესახებ იხ. რ. ცანავეა, ოქროს საწმისი, მუხა, გველეშაპი არგონავტების მითსა და ქართულ ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი, XIV, თბ., 1984, გვ. 104--107.

³¹ აპ. როდოსელი, არგონავტიკა (თარგმანი და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა, რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი აკაკი ურუშაძისა), თბ., 1975, გვ. 159.

ტესწილად გველეშაპი იხმარება: გადმოცემაში გველეშაპის მოკვლის თადარიგს ორი პიროვნება ასრულებს. ნაწარმოებშიც ორი პიროვნებაა ამ საქმეში ჩაბმული, კერძოდ იაზონი და მედეა.

გადმოცემის მიხედვით, გველეშაპი ყოველთვის შუადღისას იძინებდა. ნაწარმოებში კი მას მედეა აძინებს: „...სამსალის სუნმა საზარელ ურჩხულს ძილი მოკვარა დაუძლეველი... კვლავ გაიშალა ურიცხვი რგოლი ფორეჯებიან გველეშაპისა, და დაკლავნილი მისი სხეული მთელი ჭალაკის სიგრძეზე გაწვა“ (გვ 160)³².

პოემაში იაზონი მძინარ ურჩხულს ოქროს საწმისს პარავს, იგი არ კლავს მას. მითის მეორე ვარიანტში იაზონი კლავს ურჩხულს: „მაგრამ იაზონმა არ იცოდა რა იყო შიში, მან ორივე ხელით მალა აღმართა მახვილი და კისერზე სამჯერ დაჰკრა უჩხულს. უკანასკნელი დარტყმის დროს სამივე თავი მოსცილდა სხეულს“³³.

არესის ველზე ხარების მოხსენიებასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლატალელები და ლენჯერლები ხარებს გაზაფხულიდან შემოდგომამდე პარაშის მიდამოებში ტოვებენ მწყემსის გარეშე. ამ ხნის განმავლობაში ველურ და მდიდარ ბუნებაში პირუტყვი იმდენად ლაღდება და უდიერდება, რომ მას შიშით გარეული ნადირიც ვერ ეკარება.

გადმოცემაში ნათქვამია, რომ კახანმა ხალხს უფლება მისცა შორიახლო გორებიდან ეყურებინათ გველეშაპის მოკვლისათვის. ნაწარმოებშიც, თითქმის ანალოგიურ ფაქტთან გვაქვს საქმე. აიეტი და მისი ხალხი ადის არესის ჭალაში საგმირო საქმის საყურებლად: „არგონაეტებმა ნახეს გემიდან კოლხი ხალხი და მრისხანე მეფე: კოლხნი კავკასიის კლდეებზე იღგნენ“ (გვ. 151).

გადმოცემის მიხედვით, კახანს მოწამლული ისრები ჰქონდა. პოემაშიაც იგივე მეორდება: „ამასობაში მედეასაგან დარიგებულმა ეზონის შეიღმა გახსნა თავისი „პრომეთეს ფესვი“, გრძნეულ ქალწულის ჯადოსნური წამალი, ფრთხილად წაუსვა მძიმე შუბლახვარს, წაუსვა თავის ფარსა და ხმალსა“ (გვ. 151).

წარსულში სევანები რომ ისრებს რაღაც წამალს უსვამდნენ, ამის

³² აქაც და ქვემოთაც ვიმოწმებთ ავ. როდოსელის „არგონატიკას“, თბ., 1975.

³³ ვ. ლ. უსპენსკევი, ოქროს საწმისი, თბ., 1968, გვ. 76.

შესახებ სრულიად გარკვევით გვაუწყებს სტრაბონი (ძვ. წ. 64, ახ. წ. 24): „...სვანები (ისრის) წვერებისათვის წამალს ხმარობდნენ და საოცრად იტანჯებოდნენ მისი სუნისა გამო მოუწამლავი ისრებით დაჭრილებიც კი“³⁴. როგორც „არგონავტიკის“ ავტორი გვამცნობს, ამ წამალს „პრომეთეს ფესვი“ ეწოდებოდა. სვანების გადმოცემით, ეს წამალი იელის ყვავილისაგან მზადდებოდა.

პოემაში იაზონის მეგობარი კადმოსის მიერ მოკლული გველეშაპის ჯადო-კბილები მისცა მათ აიეტმა, რომელიც არესის ველზე უნდა დაეთესათ. ეს გველეშაპი კადმოსს სწორედ არესის ჭალაში მოუკლავს, რის შემდეგაც იქვე დამკვიდრებულა. აი, როგორ იკითხება ეს ეპიზოდი პოემაში:

„ეს გველეშაპი აონიისა არესის წყაროს იცავდა უწინ.
სახელოვანი კადმოსი მაშინ ევროპას თავის დას დაქებდა
და ოგაგიის მთებს მისულმა იმ შორეულ და უცხო მხარეში
არესის წყაროს დარაჯად მდგარი ის ზარდამცემი ურჩხული მოკლა.
იქვე დამკვიდრდა მაშინ კადმოსი, რადგან იქ დაწვა ის წმინდა ძროხა,
რაც აპოლონმა მისცა უმისნა—სადაც გაჩერდეს, იქ დასახლიო. (გვ. 149).

ეს ეპიზოდი მრავალმხრივია საინტერესო. მითის მიხედვით, სადაც ძროხა დაწვებოდა, კადმოსი იქ უნდა დაფუძნებულყო. სვანეთის ზოგიერთ დასახლებასა და ეკლესიის დაარსებას ანალოგიური საჩხული უდევს საფუძვლად. პოემის მიხედვით კადმოსმა ურჩხული მოკლა არესის ჭალაში, აონიის ველზე. გადმოცემის მიხედვით კახანმა გველეშაპი მოკლა პარაშის ჭალაში, ანდერიაანის ველზე; პოემის მიხედვით გველეშაპი არესის წყაროს დარაჯობდა. გადმოცემის თანახმად კი—პარაშის მიმდებარე ლახოშდის მეაგე წყალს; კახანის პირობაში უპირველეს ყოვლისა ნათქვამია, რომ ლახოშდის წყაროს დაღვეის უფლება პირველად მათი ოჯახის საქონელს ჰქონებოდა (საქონელი, რომელიც მეაგე წყალს სვამს განსაკუთრებით სუქდება). ნაწარმოების მიხედვით კადმოსი ურჩხულის მოკვლის შემდეგ იქვე მკვიდრდება. კახანიც იქვე. პარაშის მიმდებარე სოფელ ლახოშდში დამკვიდრდა, რომელიც გველეშაპის მოკვლისათვის აჩუქეს მას.

არანაკლებ საინტერესოა იაზონისა და კახანის მოქმედების

³⁴ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 19, 126.

ზოგიერთი სიუჟეტური დამთხვევები. მაგალითად, იაზონმა რქე მოითხოვა, რომელიც არგოსმა მოუტანა: „რქეც მოუტანა, დანარჩენი კი გემზე აიღო და გაიმზადა“; კახანმაც შავი ძროხის რქე მოითხოვა: იაზონმა რქე ანკარა წყაროში იბანავა და „შეიმოსა შავი საჩოსით“. კახანმა კი რქეში იბანავა და ტანისამოსი გამოიცვალა.

პოემისა და გადმოცემის სიუჟეტური დამთხვევები და მათი შედარებითი ანალიზი მით უფრო საგულისხმოა, რომ „არგონავტიკის“ კავკასიური ვარიანტი დაკავშირებულია კოლხეთის იმ ნაწილთან, სადაც ოქრო მოიპოვებოდა.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც. ჰარაშის ჰალაში, ანდერია-ნის მინდორის მახლობლად ერთ ადგილას „დავა ნაფცხუარ“ (ადგილი, სადაც დევი ფარცხავდა), ხოლო მის მომიჯნავე მთას „დალა ნაცხენიალ“ (ადგილი, სადაც დალი თმებს ივარცხნიდა) ეწოდებოდა. გადმოცემის მიხედვით. მაღალ მთაზე, რომელსაც „დალა ნაცხენიალ“ ჰქვია, დალი თმებს ივარცხნიდა; მისთვის დევს მოუკრავს თვალი. სილამაზით განთქმული დალისათვის თავი რომ მოეწონებია, მინდორში ქვების ფარცხვა დაუწყია. ისე თავგანწირვით ფარცხავდა თურმე, რომ საღამომდე ქაფად ქცეულა.

საგულისხმოა შემდეგი ფაქტიც. გადმოცემაში სამი ციფრია გაკულტებული: სამსაფეხურიანი კიბე, სამი დღე ებრძოდა კახანი გველუშას: სამ-სამჯერ ესროდა ყოველდღე. ვ. და ლ. უსპენსკების „ოქროს საწმისშიც“ ანალოგიური ფაქტი მეორდება: „ურჩხულის სამი თავი სამ კლდესავით ეგდო ქერცილიან თათებზე“. ან კიდევ: „იაზონმა მაღლა აღმართა მახვილი და კისერზე სამჯერ დაჰკრა ურჩხულს“ (გვ. 76).

რა შეიძლება ითქვას გადმოცემაში მოხსენიებულ ტოპონიმებისა და გეარსახელების შესახებ? აღნიშნული გეოგრაფიული სახელები დღესაც გვხვდება. ისინი სვანური ენის საფუძველზე აიხსნება. ჰარაშ სვანურად ნიშნავს ადგილს, სადაც რალაციის დაყრა მოხდა. ჰარა დაყრას ჰქვია, ხოლო — ამ სვანურში კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია. ეს ტოპონიმი შეიძლება მეორენაირადაც აიხსნას, კერძოდ, ჰარ-ამ გეოგრაფიულ სახელში ფუძე უნდა იყოს „ჰარი“ (ი ხმოვანი -ამ სუფიქსის დართვის შედეგად შეიკვე-

ცა), რაც საბას განმარტებით არის „ქართ შერისხვა“ (იხ. ზენოო).
-აშ სვანურში კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია. „პარაშ“ მაშინ
ნიშნავს „ხართშერისხვის ადგილს“. როგორც ზემოთაც აღვნიშ-
ნეთ, პარაშში ზაფხულობით ხარებს უშვებდნენ შემოდგომის დად-
გომამდე.

ანდერიანის მინდორთან დაკავშირებით მ. ჩართოლანი წერს:
„ანდერიანი შიის გზაზე, სადაც ქვების გროვაა, მთაში მიმა-
ვალი კაცი ილოცება და წკნელს დებს“³⁵. სწორედ ამ ქვების გრო-
ვაზე ამბობენ, რომ იგი გველუშაპის სასაფლაოა. ტოპონიმი სახე-
ცვლილია, მაგრამ ეს ცვლილება არსებითი ხასიათის არ არის.

კახანის გვარია ჩამგელიანი. როგორც ითქვა, ეს გვარი
დღემდე ცხოვრობს ლახოშდში. სიტყვა „ჩამგენ“ სვანურად ჩაცი-
ლებას ნიშნავს. იქნებ აქედან იყოსო ნაწარმოები ეს გვარი? კახანის
გამცილებელ-ჩამცილებელი იყო მისი ძმა ჭახუ. თუ ეს ასეა, მაშინ
კახანისა და ჭახუს ეპონიმური გვარი ანდერიანი შაუნდა ყო-
ფილიყო, რომელიც აღნიშნული შემთხვევის შემდეგ ალბათ გეო-
გრაფიულ ცნებად იქცა.

როგორც გადმოცემაშია ნათქვამი, ლახოშდ სოფელს შეერ-
ქვა მის მერე, როცა იგი გველუშაპის მოკვლისათვის კახანს აჩუქეს.
„ლახოშდ“ სვანურად საუფროსოს ნიშნავს.

საინტერესოა თვით კახანის სახელი. მეცამეტე საუკუნის „სუა-
ნეთის სულთა მარტიანეში“ ლატალში ცხოვრობს გვარი კახიანი,
ამჟამად ეს გვარი მხოლოდ მულახში გვხვდება, მაგრამ ისინი კახა-
ნის შთამომავლებად არ თვლიან თავს.

ლანწვალ ამჟამადაც ჰქვია იმ მთას, საიდანაც, გადმოცემის
მიხედვით, ჭახუ კახანს უწევდა დახმარებას. ტოპონიმი ასე დაიშ-
ლება: ლა-წვალ. ლა- სვანურში მაწარმოებელი სუფიქსია, ქართულ
სა-ს ბადალი. „წვალ“ ძირში ლა- პრეფიქსის დართვის შემდეგ
მოხდა ა ხმოვნის რედუქცია. ნაწვალ, ანუ ნაწვარ სვანურად
შესაწევარს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, კახანისათვის შესაწე-
ვარს მართლაც ამ მთაზე მოუყარეს თავი (შავი ძროხის ერთი კარ-
დალა რბე, გამოსაცვლელი ტანისამოსი და ა. შ.).

³⁵ მ. ჩართოლანი, ჩხუდანი — სვანური სახლის კერპი, სვანეთი. თბ.,
1977, გვ. 137.

არგონავტიკიდან საყურადღებოა ერთი ადგილიც: კერძოდ, როცა მედეას თავისი და ქალკიოპე შვილების გადარჩენას თხოვს:

„... მაგრამ ცასა და მიწას გაფიცებ, რომ რასაც ახლა მოისმენ ჩემგან, ჩვენ შორის დარჩეს და, ჩემი დარდის თანაზიარი იყავი შენცა“ (გვ. 136). ცისა და მიწის დაფიცების ტრადიცია სვანეთში დღემდე ძალაშია. აი, როგორი კომენტარი აქვს ამ ადგილს სქოლიოში გაკეთებული: „აპოლონიოსი გარკვევით გვიმოწმებს, კოლხთა მთავარი, უზენაესი და უსაშინლესი საფიცარი ურანოსი და გვა ყოფილად დასაბამიდან, ე. ი. ცა და მიწა. ეს ფაქტი შინაარსითაც და ეტიმოლოგიურადაც ისევ უძველეს ქართულში — სვანურში დასტურდება: გიმ-გეა, ღმერთების დედათა დედა; „გიმი ლამზურ ღერმეთ (ღერბეთ) — მიწის სალოცავი ღმერთი — დღემდე მტკიცედ შემორჩენილი წარმართული საფიცარია. ამას ემატება მეორე მნიშვნელოვანი დეტალი: ცასა და მიწას სვანი ერთად ფიცულობს ხოლმე: „დეცეგამი ლამზურლო“ — ცისა და მიწის მადლმა. ამით დასტურდება კოლხური ფიცის პოპულარობაც ძველ საბერძნეთში“ (ხაზი ყველგან ჩვენია — თ. მ.).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გადმოცემის მიხედვით ხეზე თითქოს „უცხვ ლაირ“ — 'უცხოური წიგნი' ინახებოდა. ამ შემთხვევაში „ხრისოგრაფიული“ დამწერლობის ნიმუშთან შეიძლება გვქონდეს საქმე. „ხრისოგრაფიული“ ქართული მწიგნობრობის არქაული ეპოქის შესახებ საგულისხმო ცნობა აქვს ახ. წ. II—III საუკ. ავტორს ხარაქს პერგამელს, რომელიც წერს, რომ „ოქროს საწმისი“ ეს არისო „ოქროს დამწერლობა“, ანუ „ხრისოგრაფია“. ე. ი. განსაკუთრებული ხელოვნება წერისა ოქროს ასოებით. წესები ოქროს ასოებით წერისა აღწერილი იყო ტყავებზე, და რომ არგონავტებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურესო საბერძნეთიდან კოლხეთში ³⁶. ამ თვალსაზრისთან

³⁶ ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების ოქმულებაში, თბ., 1964, გვ. 447.

დაკავშირებით საინტერესოა, რომ ეგვიპტური წარმოდგენების მიხედვით ოქროს ერკემალს ენაცვლება „ჯადოსნურა წიგნი“, რომელიც ინახება მეფის ასულთან ან თვით ხელმწიფესთან³⁷.

ამგვარად: ჩვენი აზრით, ზემოთ მოტანილი მასალა, არგონაუტების აია-კოლხეთში შესაძლო მოგზაურობის სასარგებლოდ მეტყველებს.

³⁷ ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 273.

თ ა ვ ი V

აღმოსავლეთ შავი ზღვის სპირიტის უპველსი მოსახლეობის საკითხისათვის ტოპონიმიკური მასალის უშუალო

წარსულში სვანური ტომების დღევანდელთან შედარებით ფართო განსახლების შესაძლებლობის სისწორე ბევრად არის დამოკიდებული ტოპონიმიკური კვლევა-ძიების შედეგებზე: როგორც ცნობილია, ტოპონიმი დიდხანს ცოცხლობს. მისი ისტორია უსწრებს დამწერლობის წარმოშობას. მასში უხილავი შემოქმედის ფუნჯით არის აღბეჭდილი ამა თუ იმ დასახლების ზოლში მცხოვრები ხალხისა თუ ტომის ნაკვალევი. ამიტომ იგი ისევე ძველი და გამძლეა, როგორც თვით ენა, უფრო მეტიც, ამა თუ იმ ხალხის ენა შეიძლება მოკვდეს, ეთნოსის ჩაქრობასთან ერთად, მაგრამ სიცოცხლეს განაგრძობს ტოპონიმი, როგორც „მიწის ენა“. საუკუნეების განმავლობაში ტოპონიმის თავისებური გააზრება და დეტერმინინაცია ცვლის მის თავდაპირველ მნიშვნელობას და ახალ შინაარსს აძლევს მას¹, ამიტომ ტოპონიმის ახსნა ძალიან ფაქიზი საქმეა და დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა, ამა თუ იმ ენის მეშვეობით შესაძლებელი ხდება მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების ამოცნობა, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი კომპონენტისა მაინც. ასეთი ფაქტის მიგნებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განსახლების შესწავლის თვალსაზრისით².

¹ ალ. ლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 7—10, В. А. Якулович, Общая топонимика, Минск, 1968, с. 3.

² ტოპონიმებზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოუახსენებთ პროფ. ილ. ონიანს და აწ განსვენებულ პროფ. მ. ქალდანს.

მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების ანალიზისა და არქეოლოგიური მასალის გათვალისწინების შემდეგ პროფ. თ. მიჭელაძე მიდის შემდეგ დასკვნამდე: „თუ გადავხედავთ დასავლეთ საქართველოს დღემდე ცოცხალ ტოპონიმებს, შესამჩნევი გახდება არა მარტო სვანური სახელების კვალი, რაც ერთ დროს აქ სვანურენოვანი მოსახლეობის ხანგრძლივ ბინადრობაზე მიგვითითებს, არამედ დროთა ვითარებაში ამ მოსახლეობის მიმართებაც...

ამრიგად, სვან ტომთა კვალს აშკარად გადაეგლება თვალი რიონის აუზში, შესართავიდან თითქმის სათავეებამდე, ენგურსა და ცხენისწყალს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, რამდენადმე აღმოსავლეთითაც ცხენისწყლის ხაზიდან, თვით ენგურის ხეობაში, რომლის ზემო წელი დღესაც მათ უკავიათ და ჩრდილო დასავლეთით მერმინდელ აფხაზეთში, ისტორიული ცხუმის მიდამოებში. მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა აღნიშნული მიწა-წყალი ჩაითვალოს სვანურენოვანი მოსახლეობის თავდაპირველი ბინადრობის ადგილად. თუ სვანური ონომასტიკონი დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სვანურენოვანი მოსახლეობის არსებობის მაჩვენებელია, უფრო ადრეული ნიშნები, რომლებიც სვანურ ენასა და ეთნოგრაფიასა დალექილი, ნათლად მიუთითებს იმაზე, საიდანაც ეს მოსახლეობაა მოსული“³.

თუ ჩვენ მიერ გამოვლენილ სვანურ ტოპონიმიკურ მასალას გავითვალისწინებთ, მაშინ სვანური ტომების განსახლების არეალი კიდევ მეტი ტერიტორიის მომცველია. მდ. ჭოროხის სეობიდან გაგრა-ბიჰვინთის სექტორამდე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორია მოფენილია სვანური წარმოშობის ტოპონიმებით.

სვანებს სახელწოდებით „სლან“ პირველად ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64 — ახ. წ. 24 წწ.) მოიხსენიებს. მაგრამ ამ დროს სვანთა განსახლება დასავლეთ საქართველოში სვანური გეოგრაფიული სახელების გავრცელების ტერიტორიას მთლიანად ვერ მოიცავს. ცხადია, რომ სტრაბონამდელი ავტორები სვანებს გულისხმობენ სხვადასხვა ტომთა სახელების ქვეშ.

³ თ. მიჭელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 11, 12.

ამჯერად ტოპონიმების მაგალითზე შევეცნობთ აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთში სვანთა განსახლების ნაკველევს⁴.

1. სვანურენოვანი ტოპონიმები

ბ ა თ უ მ ი — აჟარის ასსრ დედაქალაქი. ბათუმსა და მის მიდამოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ეს ადგილები ადამიანის მიერ ათვისებული იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნაზე.

ბათუმის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მრავალი აზრია გამოთქმული⁵. ძვ. ბერძნები ამ პუნქტს „ბათუსის“ (Bathus) სახელით იცნობდნენ. იგი პირველად მოხსენიებულია არისტოტელესთან (ძვ. წ. 384—322 წწ.). მომდევნო ხანის ბერძენი და რომაელი ავტორები ამ სახელით მხოლოდ მდინარეს იხსენიებენ. „ბათუს“, როგორც მდინარეს, პლინიუს უფროსი (23—79 წწ.) იხსენიებს მდ. აფსაროსის ჩრდილოეთით⁶. არიანე „ბათუსს“ ჭოროხიდან (აკამფსისიდან) ჩრდილოეთით 75 სტადიონზე (12—13 კმ), ხოლო კინტრიშიდან (აკინასე) სამხრეთით 90 სტადიონზე (18—20 კმ) ათავსებდა⁷, რაც დაახლოებით აწინდელ ყოროლისწყლის მიდამოებზე მიუთითებს. ბათუმის შესახებ ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ფსევდო არიანეც (ახ. წ. V ს.)⁸. პროფ. ი. სიხარულიძის მოსაზრებით ბათუმი უნდა არსებულებოდა ძვ. წ. V—IV საუკუნეებიდან⁹. გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც¹⁰.

⁴ ჩვენ მიერ გამოვლენილი ტოპონიმები ღრმა მეცნიერულ ანალიზს მოითხოვს.

⁵ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ა. ინაიშვილი, ბათუმის ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ.69—75.

⁶ Pl, NH, IV, 12.

⁷ ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961, გვ. 37.

⁸ ანონიმი, იხ. ფლავიუს არიანე, გვ. 85.

⁹ ი. სიხარულიძე, ბათუმის უძველესი ისტორიის ახალი არქეოლოგიური მასალები, გაზ. „საბჭოთა აჟარა“, 1961, 9/VI, № 112.

¹⁰ ა. ინაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69—75.

ბათუმს, როგორც დასახლებულ პუნქტს, პირველად ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პინარეტოსი (ახ. წ. XIV ს.) მოიხსენიებს¹¹. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ტერიტორია ადრე დასახლებული არ იყო.

არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული ბათუმის, როგორც გეოგრაფიული სახელის, წარმომავლობის შესახებ. ამ საკითხს ერთ-ერთმა პირველმა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა უძღვნა სპეციალური გამოკვლევა. მან შენიშნა, რომ „VI საუკუნის ბერძნული წყაროები აგვიწერენ ქალაქ პეტრას, როგორც ლაზეთის უმნიშვნელოვანეს ქალაქს, მიუვალ ციხე-სიმაგრეს და ეკონომიკური ცხოვრების მთავარ ადგილს, ამავე დროს, კრინტსაც არ სძრავენ ქალაქ ბათომზე. ცხადია, აქედან შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ შემდეგი დასკვნა: 1) ან ნავსადგური და ქალაქი ბათუმი VI საუკუნეში არ არსებობდა, ან 2) იგი არსებობდა, ხოლო ბერძნებმა მას უწოდეს „პეტრა“¹². აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ბერძნული „პეტრა“ რომელიც ადგილობრივი სახელის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, მსგავსად ჰიპოს — ცხენისწყლისა, არქეოპოლის — ნოქალაქევისა, როდოპოლის — ვარდციხისა. აკად. ს. ყაუხჩიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პეტრა ბათომი უნდა იყოს. ბათომი ისეთი ნაწარმოები სახელია, როგორიცაა ბორჯომი, წრომი, თორთომი და სხვა, ე. ი. — რომ სუფიქრიანი; ხოლო ძირი, აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, უნდა „ენათესავებოდეს სევანურ სიტყვას „ბაჩ“, რომელიც ქვას ნიშნავს (შეადრ. „პეტრა — ქვა“) ¹³.

ეს თვალსაზრისი გაიზიარა და ახალი საყურადღებო საბუთებით შეამაგრა ა. ინაიშვილმა, რომელიც ასკვნის, რომ ბათუსი ამ ხეობის უძველესი სახელწოდებაა. იგი წარმოშობით სევანურია (მი-

¹¹ მიქელ პინარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 40.

¹² ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის. აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1950-51, გვ. 17.

¹³ გეორგიკა, II, გვ. 105, შენ. 1.

სი ძირი „ბათუ“ ქვას აღნიშნავს). შემდეგ ეს სახელწოდება ქართულ-ზანურმა ყოროლ/ნ-მა შეცვალა. ამ უკანასკნელის „ყორ“ ძირიც ქვას აღნიშნავს¹⁴.

ა. ინაიშვილის მტკიცებით ბათუსი და ყორ-ოლ-ი ერთი და იმავე საგნის — ქვის სახელს უკავშირდება. ბათუ ძველია, წარმოშობით სვანურია და ქვას ნიშნავდა, ყოროლი ქართულ-ზანურია და მისი ძირი ყორიც ქვასვე აღნიშნავს (ყორე ეწოდება მშრალად ნაგებ ქვის კედელს). ა. ინაიშვილი შენიშნავს, რომ მდ. ყორალის ხეობა თავისი ქვიანობა-კლდიანობით ამ მხარის ყველა მდინარეს აღემატება¹⁵. თვითონ მდინარე გამოდის მაღალი სალი კლდის სახით წარმოდგენილი. კა-ყორ-ნ-იის მთის ერთი კლდოვანი განშტოებიდან¹⁶. ამ ხეობაში თითქმის ყველა ტოპონიმს ქვის ან კლდის სახელთან მიეყავართ. ა. ინაიშვილი ყოროლის ხეობაში ქვის სახელთან დაკავშირებულ სხვა სვანიზმებსაც ადასტურებს. ერთ-ერთი ასეთი ტოპონიმიცაა ლე-ბაჩ-ა. სვანურია ამ სახელის მორფოლოგიური სამოსელიც: ლე-ა და ძირი „ბაჩ“ (ქვა). მეორე სახელი: ბ ა ჩ ი შ ი. მის სვანურობას იგივე „ბაჩ“ ძირი ადასტურებს, „ოლონდ უნდა ითქვას, — შენიშნავს ამასთან დაკავშირებით პროფ. მ. ქალდანი, — რომ ლე-ბაჩ-ა და ბაჩიში ტოპონიმები შედარებით გვიანდელი ეპოქის ტოპონიმებია, იმ დროისა, როცა სვანური ენის ფონეტიკურ სისტემაში მარტივი თ უკვე აფრიკატ ჩ-დ არის მოდიფიცირებული. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სვანურენოვანი მოსახლეობა ამ რეგიონში დიდხანს არსებობდა“¹⁷. ბათ-ომ, ბათუ-ის ტოპონიმთა სახელდება რომ მოტივირებულია ქვის ან კლდის სახელით, ამის საილუსტრაციოდ პროფ. მ. ქალდანი იშველიებს ბერძენ ისტორიკოს პროკოფი კესარიელის (ახ. წ. VI ს.) ბათომის („პეტრას“) ადგილმდებარეობის ასეთ დახასიათებას: „ქალაქი პეტრა მიუვალაია ჯერ ერთი ზღვის მხრით, მერე ციცაბო კლდე-

¹⁴ ა. ინაიშვილი, ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, აქარული დიალექტის ადგილობრივი ლექსიკა, I, 1976, გვ. 79.

¹⁵ ა. ინაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

¹⁶ იქვე, გვ. 79.

¹⁷ „ბათუმის“ ეტიმოლოგიის საკითხს ცნობილმა ენათმეცნიერმა პროფ. მ. ქალდანმა მიუძღვნა წერილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა პროფ. ი. სიხარულიძემ ჟურ. „ჭოროხში“ (1983, № 2, გვ. 84—87).

ებით, რომელიც იქ ყოველმხრით არის აღმართული. აქედან არის, რომ მას ეს სახელწოდება ზედა წილად¹⁸ (იგულისხმება „პეტრა“ — ქვა, ქვიანი). მ. ქალდანი იქვე განაგრძობს: პროკოფი კესარიელის ეს ცნობა იმის თაობაზე, რომ ნავსადგურის ეს სახელი „პეტრა“ (ქვა) ციცაბო კლდეების გამო ზედა წილად, მარტო ბერძნულ სახელს გულისხმობს, თუ იმ ქართველურ სახელს, რომლის თარგმანსაც შეიძლება ბერძნული „პეტრა“ წარმოადგენდეს, არ ვიცით. შეუძლებელი არაა, რომ ბერძნებს ამ ნიშანდობლივი ადგილმდებარეობისა გამო დამოუკიდებელივაც შეერქმიათ ეს სახელი ამ ციცაბო კლდოვან მიდამოებში გაშენებულ ნავსადგურისათვის და ასევეა შესაძლებელი, რომ ქართველურ ენაზეც მოტივირებული ყოფილიყო ნავსადგურის სახელწოდება და აქედან ეთარგმნათ ბერძნებს¹⁹.

„ბათუმის“ ეტიმოლოგიის საკითხს სპეციალური წერილი უძღვნა პროფ. ი. სინარულიძემ²⁰, რომელმაც აკად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ წამოყენებული დებულების გამო გამოთქვა შემდეგი ვარაუდი: „ბათ“ ფუძის ქართულ ნიადაგზე ახსნის ეს ცდა საინტერესოა, თუმცა „ბაჩ“-თან დაკავშირებას დაბრკოლებას უქმნის სვანურ-ქართული ენების ბგერათმეცნიერების კანონზომიერება“. მეცნიერი იქვე განაგრძობს: „ამგვარი მოსაზრება მაშინ იქნებოდა უპრობანო-უცილობელი, რომ „ბაჩ“-ის შესაპირისპირებელ ფუძეში „ო“-ს ნაცვლად „ქ“ გვქონოდა, რომელიც სვანური „ჩ“-ს ქართულ შესატყვისად არის ცნობილი, ანდა „ბათ“-ის ნაცვლად სვანურ შესატყვისში „შდ“ კომპლექსი რომ ყოფილიყო“²¹.

პროფ. მ. ქალდანი ღრმა მეცნიერული მსჯელობის შედეგად უცილობელს ზღის ბათუმის სვანური წარმომავლობის ვერსიას და აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

1. ნავსადგური ბათუმის ბათ ძირს გენეტიკური კავშირი

¹⁸ პროკოფი კესარიელი, გეორგიკა, II, გვ. 85; მ. ქალდანი, კვლევა ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, ყურ. „კოროზი“, № 2, 1983, გვ. 85.

¹⁹ მ. ქალდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

²⁰ ი. სინარულიძე, ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „საბჭოთა აქარა“, 1958, № 79, გვ. 3.

²¹ ი. სინარულიძე, დასახ. ნაშრომი და მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, ბათუმი, 1959, გვ. 87.

უნდა ჰქონდეს სვანურ ბაჩ-თან. ბათ და ბაჩ ორივე სვანური ენის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. მათ შორის, ბათ ძველია, ბაჩ გვიანდელი, ქართულ-ზანური თ სვანურში შდ-ს რომ იძლევა, თვითონ ეს ფაქტიც კმარა ფუძე ქართველური თ-ს რთული შედგენილობის საბუთად. ამ რთული შედგენილობიდან რომელიღაც ქრონოლოგიურ კრილში, ჩანს, თუ კომპლექსის გამოყვანაც შეიძლებოდა, რამაც სვანურში აფრიკატი ჩ მოგვცა.

2. მართალი ჩანს აკად. ს. ყაუხჩიშვილის ის ძირითადი დებულება, რომ ბერძნული პეტრა ქართველური ბათ სიტყვის თარგმანს წარმოადგენდა, რადგან ეს ბათ ან კლდეს, ან ქვას აღნიშნავდა ქართველურ ენებში.

3. ბათ და ბაჩ სახელთა ა ე-საგან მიმდინარეობს ორივეგან. ეს ე (ბეჩ) დღემდე დაცულია სვანური ენის უუმლაუტო დიალექტში — ლაშხურში. ე-ა ცვლილებას განაპირობებდა ის უმარცვლო უ, რომელიც ფუძეენისეული ლ სუფიქსის ფონეტიკური შესატყვისია სვანურში.

4. ამგვარად, ბათ სახელი არის დღევანდელი სვანური ბაჩ სახელის უძველესი არქეტიპი, ხოლო ბეთ (>ბეთშ) — ბეჩ²².

სავსებით ვიზიარებთ აკად. ს. ყაუხჩიშვილის და პროფ. მ. ქალდანის მოსაზრებას, რომ პეტრა ქართველური ბათ სიტყვის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. ეს ადასტურებს წარსულში ამ მხარეში ქართველური მოსახლეობის არსებობას მანამდე, ვიდრე იქ ბერძენი მოახალშენეები გაჩნდებოდნენ.

ამგვარად, ბათ უმ ტოპონიმი სვანური წარმოშობისაა და აღნიშნავს ქვიან ან კლდოვან ადგილს. ბათუმის სვანური წარმომავლობას ვერსიას კიდევ უფრო განამტკიცებს აღნიშნულ რეგიონში სხვა გეოგრაფიული სახელები, რომელთა ახსნა მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით ხდება შესაძლებელი (იხ. ქვემოთ).

22 მ. ქალდანი, დასახ. ნაწრომი, გვ. 86.

ამდენად, არადამაჯერებელია მოსაზრება იმის შესახებ, რომლის ბათომი ქანური წარმომავლობის იყოს და საფლობ ან კონკო მიწას ნიშნავდეს²³.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არანაკლებ საყურადღებოა ტობონიმი „ყოროლ“. როგორც ა. ინაიშვილი აღნიშნავს, ყოროლის ხეობას წარსულში ალბათ ბათუმის ხეობა ეწოდებოდა²⁴. როგორც ზემოთ დავინახეთ, „ყოროლ“ ტობონიმს ქართულ-ზანური წარმოშობისად მიიჩნევენ, რამდენადაც „ყორე“ მშრალად ნაგებ ქვის კედელს ეწოდება.

ჩვენი აზრით, იგი სვანური წარმოშობისაა. სვანურად („ყორ“-კარი) „ყოროლ“ — შემოსასვლელს, ამ შემთხვევაში ზეკარს აღნიშნავს. ანალოგიური ტიპისაა გეოგრაფიული სახელი „ყოროლდაშ“ მდ. ცხენისწყლის სათავეებში (ქვემო სვანეთი). ყოროლდაში მართლაც არის შემოსასვლელი, ზეკარი ერთი მხრივ ქვემო სვანეთიდან ზემო სვანეთში და პირუკუ — ზემო სვანეთიდან (უშგულიდან) ქვემო სვანეთში.

ამდენად, „ყოროლ“ ტობონიმიც სვანური ენის ნიადაგზე შეიქმნება აიხსნას.

ყოროლის ხეობაში გვხვდება ისეთი გეოგრაფიული სახელიც, როგორცაა „ღე-ბაჩ-ა“, რაც ასევე სვანური წარმოშობისა ჩანს და ნიშნავს, ქვიანს.

ცხადია, რომ ადრე ხეობის სახელი ბათა (ბაჩა), ბათუმი ნოვეიანებით დასახლებული პუნქტის სახელად იქცა. ეს დასახლებული პუნქტი, რომლის სახელიც თანდათან ჩამოყალიბდა ფორმით „ბათუმი“, ცნობილი ნავსადგური ხდება. შუასაუკუნეებში „ბათუმი“ სახელი ბერძნებმა მიამსგავსეს თავიანთ სიტყვას Βαθύς (ღრმა). ლათინური რუკის ავტორმა იგი ლათინურად გადათარგმნა და უწოდა altus (ღრმა). „Portus altus“ ს. ყაუხჩიშვილს ესმის,

²³ ი. ჯყონია, სიტყვის კონა, 1910, გვ. 5.

გათბრების საფუძველზე, გვ. 74.

²⁴ ა. ინაიშვილი, ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, აჭარული დიალექტის

არა როგორც „ღრმა ნავსადგური“, არამედ, როგორც „ნავსადგური ალტუსი“²⁵, ხოლო ნ. ლომოური მას განმარტავს როგორც „ჩველი ქალაქი“²⁶.

ადრეანტიკურ ხანაში ბათუმის ტერიტორიაზე ინტენსიური დასახლება ჩანს, რაც დასტურდება იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით. „ბათუმს, როგორც ჩანს, აკრავდა არაერთი გორა-სამოსახლო, რომლებიც ბათუმთან ერთად ადრეანტიკურ ხანაში კოლხური გაერთიანების რომელიღაც ტომის შემადგენლობაში შედიოდნენ“²⁷. სპეციალისტების დასკვნით, აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადრეანტიკურ ხანაში აქ უკვე ზის გვარის ან ტომის ბელადი. როგორც ჩანს, ბათუმი იმ დროისათვის გარკვეულ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ხელი მიუწვდებოდა ზღვასთან, ნაოსნობასთან და საერთოდ გარე სამყაროსთან. აღსანიშნავია, რომ ბათუმის გორა-ნამოსახლარი ყოროლისწყლის ხეობაში მოკლე, მაგრამ დასასახლებლად მოხერხებული ხეობის ჩამკეტია ზღვის შესართავთან²⁸. სწორედ ამიტომაც უნდა შერქმეოდა ამ ადგილს „ყოროლ“ (კარბჭე, კიშკარი).

ჩვენი აზრით, სვანური წარმომავლობის უნდა იყოს აგრეთვე შემდეგი ტოპონიმები:

ჩ ხ უ ტ უ ნ ე თ ი — სოფელია ბათუმის რაიონის აქარის აღმართის ს/საბჭოში. ტოპონიმის ძირი სვანური ჩანს. სვანურად „ჩხუტ/ჩხუტულ“ ნიშნავს კენჭს. მაშასადამე, ქართული -ეთ და-

25 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, გვ. 22.

26 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 105.

27 ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ბათუმის უძველესი ისტორიისათვის არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე, გვ. 75.

²⁸ იქვე.

ბოლოების დართვის შემდეგ მიღებული ჩხუტულეთი//ჩხუტუნეთი ნიშნავს კენჭიან ადგილს. „ჩხუტელ“ ჰქვია, აგრეთვე, ერთ სოფელს ცაგერის რაიონში.

იმავე ძირისაგან არის ნაწარმოები ტოპონიმი ლანჩხუტი (ლანჩხუთი), რომელსაც ქვემოთ შევხვებით.

ჩხუტუნეთის თავდაპირველი სახელი შეიძლება იყო ჩხუტნიერ. რადგან -ეთ დაბოლოება -ერ სვანური სუფიქსის ქართიზებული ფორმაა. ანალოგიური სახელწოდება სვანეთში არაერთგზის გვხვდება.

აჭარაში არის ზედა ჩხუტუნეთი და ქვედა ჩხუტუნეთი.

კ ა ხ ა ბ ე რ ა — სოფელია ბათუმის რაიონში. მესტიის რაიონში მცხოვრები სვანი კახბერიძეების გადმოცემით მათი შორეული წინაპარი სვანეთში მოსულია კოროხის მხრიდან. შესაძლოა ამ გვარის წარმოშობას საფუძვლად დასდებოდა ხსენებული გეოგრაფიული სახელი.

სვანი კახბერიძეების ეპონიმური სახელია „კახბერა“.

ლ ა კ ლ ა კ ე თ ი — (ადგილი ქვემო აჭარაში). თუ აღნიშნულ ტოპონიმში კ ბგერის ნაცვლად ადრე ჰ გვქონდა, მაშინ იგი სვანური წარმოშობის ჩანს, მითუმეტეს, რომ პრეფიქსი ლა-, აგრეთვე. სვანურია. სვანურად „ლა-ქალაქ“ — ნიშნავს საქალაქოს, ე. ი. ადგილს, სადაც ადრე ქალაქი იყო. ანალოგიური ტოპონიმი გავგაჩნია ქვემო სვანეთში — „ქალაქოლ“, რომელსაც საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა ალ. რობაქიძემ²⁹.

ლ ა ჩ ა - ტ ყ ე — (ადგილი ქვემო აჭარაში)³⁰. „ლაჩა“ სვანურად ირემს ჰქვია. ტოპონიმი სვანურ-ქართულ სიტყვათა გაერთიანებით არის მიღებული. „ლაჩა-ტყე“ — ნიშნავს ირმის ტყეს, სწორედ ადგილს.

ლ ე ჩ ხ უ მ ი — (ადგილი ქვემო აჭარაში) „ლეჩხუმ“ ტოპონიმს სპეციალისტები სვანურის ნიადაგზე ხსნიან და ნიშნავს რცხილნარ

²⁹ ალ. რობაქიძე, სვანური „ქალაქო“-ის საკითხისათვის, „მოამბე“, 1962, № 3.

³⁰ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათუმი, 1958, გვ. 9, 18.

ადგილს³¹. მთელი ლეჩხუმის (ცაგერის რაიონი) ტოპონიმთა ძირითადად სვანურად ახსნას ექვემდებარება და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ლეჩხუმელთა წინაპრები, ცხადია, ლაპარაკობდნენ სვანური ენის ერთ-ერთ დიალექტზე. შესაძლოა ტოპონიმი „ლეჩხუმ“ სამხრეთიდან იყოს გადატანილი გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში მოსახლეობის მიგრაციის პროცესთან დაკავშირებით. წარსულში დღევანდელი ცაგერის რაიონში „ლეჩხუმ“-ი ალბათ მიკროტოპონიმი იყო, რომელიც შემდგომ მთელი კუთხის სახელად იქცა.

ა ი ა — (ადგილი ქვემო აჭარაში) „აია“ სვანებში მიწის ღვთაებას ეწოდებოდა (შდრ. „აია-კოლხეთი“).

„აია“ მოხსენებული არის ჰომეროსის „ოდისეაში“. „ოდისეას“ შეათე სიმღერაში მოთხრობილია ოდისეესის მოსვლის ამბავი კუნძულ აიაზე, სადაც ცხოვრობს ქალღმერთი კირკე, აიეტის და (X, 133—139)³². აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კუნძულს ბერძნები უწოდებდნენ ნახევარკუნძულსაც, ანუ ადგილს, რომელიც მოქცეული იყო მდინარესა და ზღვას შორის, ან ზღვასთან, მდინარის შესართავთან (იხ. ВДИ, № 1, 1947, с. 282, прим. 6).

ჰომეროსის შუასაუკუნოვანი კომენტატორები მარჩიელობდნენ იმის შესახებ, თუ სად მდებარეობდა ჰომეროსის კუნძული აია — ტირენიაში (შუა იტალია) თუ კოლხეთში³³. შემდგომმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ „აია“ კოლხეთში მდებარეობდა. აკი ჰეროდოტეც წერს, რომ არგონავტებმა „გასცურეს გრძელი ხომალდით აია-კოლხეთში და მდინარე ფასისისაკენ“³⁴ და ა. შ. ოდისეაში არგონავტების მითთან დაკავშირებით მოხსენიებულია სახელები: აია, აიეტი. ორივე სახელი კოლხეთთანაა დაკავშირებული. აია-ქვეყნის, მხარის აღმნიშვნელი ჩანს, ხოლო აიეტი — აიას ქვეყნის მეფის სახელია. აიეტი ადგილობრივი, კოლხური სახელი ჩანს, მითუმე-

³¹ თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი-ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 11.

³² В. В. Л а т у ш е в, SC, გვ. 300; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

³³ ლ ა ტ ი შ ე ე ვ ი, გვ. 304.

³⁴ Herod, I, 23.

ტეს, რომ ახ. წ. VI ს-ში კოლხეთში ცნობილი იყო ისტორიული პიროვნება, წარჩინებული კოლხი, რომელსაც აეტი ერქვა³⁵.

არგონავტების მითთან დაკავშირებით საყურადღებოა სვანური გადმოცემა³⁶.

აია (Aia) ურარტულ პანთეონში ქალღმერთია³⁷. ნ. მარის აზრით, აია ხალხური მიწის ღვთაებაა და მიწას, ქვეყანას აღნიშნავს³⁸. სვანეთში „აია მიშლადელ“ „აიას — კვირადღეს“ უნდა ნიშნავდეს (იხ. Г. Чугая, Земледельческие системы и пахотные орудия в Грузии, «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952; с. 103).

გ ვ ა ლ ა — (ადგილი ქვემო აჭარაში) სვანურად „გოლაჲ“ ფერდობს აღნიშნავს. „გვალ“ და „გოლა“ ერთი და იგივე უნდა იყოს.

გ ვ ი მ ბ რ — (ადგილი ქვემო აჭარაში), „გვიმბრ“ სვანურად გვიმრას ეწოდება³⁹ (შდრ. გვიმბრალ).

ღ ე რ ე — (ადგილი ქვემო აჭარაში) არაა აუცილებელი თურქულს დაუყავშიროთ. „ღერე“ სვანურად ნიშნავს თოვლ-ყინულს. მდინარე ან ღელე, რომელიც თოვლ-ყინულით არის დაფარული, იწოდება ღერე-დ რუსული глетчер ვერ გამოდგება ღერე-ს ასახსნელად.

შ ა ჩ ვ ი ბ ო ლ ო — (ადგილი ქვემო აჭარაში), აგრეთვე, სვანური წარმოშობისა ჩანს, რადგან სვანურად „შაჩვიბ“ ნიშნავს ქვედას. „შაჩვიბ“-ს (სიტყვიდან „ჩუბე“ — ქვედა) სვანები უწოდებენ სახლის ქვედა სართულს. „შაჩვიბოლ“ აღნიშნული ტერმინის სვანური წარმოებაა (კნინობითი ფორმა). ასეთივე ფორმითაა ნაწარმოები სვანური სიტყვები: ჟაბოლ, ჩვაბოლ და სხვ. (ე. ი. აღმოსავლეთი, დასავლეთი).

კ ა ჩ ა თ ი — (ადგილი ქვემო აჭარაში) ნაწარმოები უნდა იყოს სვანური სიტყვისაგან „კაჩა“ — აღმართი. -თი შემდგომ შექცნილი ქართული დაბოლოებაა. კაჩათი, ე. ი. აღმართი.

³⁵ გეორგიკა, ტ. III, 1936, გვ. 63.

³⁶ თ. შიბჩუანი, პარაშის საიდუმლოება, გაზ. „ახალი სვანეთი“, 19 და 22 მაისი, 1979, № 59, 60.

³⁷ Г. А. Мелликишвили, Напри-Урарту. Тб., 1954, с. 371.

³⁸ Н. Я. Марр, Избранные работы, V, с. 220.

³⁹ ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 165.

კერკეტაშ — (ადგილი ქვემო აჭარაში), აგრეთვე სვანურა
ენის ნიადაგზე პოულობს ახსნას. სვანურად „კერკეტ“ ნიშნავს არა-
ნორმალურს, არასრულყოფილს, უჭკუოს, ტყიურს. სულხან-საბა
ორბელიანის „სიტყვის კონაში“ გვხვდება სიტყვა „კერკეტონი“,
რომელიც ასეა განმარტებული: კაცნი ღამის მცველნი, ბოროტად
მავალთა შემპყრობელნი⁴⁰. სვანური „კერკეტ//კვრჯეტ//კვრჯე“ ქარ-
თულ „ქერქეტ“ სიტყვის სინონიმად შეიძლება გამოდგეს: სიტყვა
„ქერქეტ“ — საშასთან არ გვხვდება. „ქერქეტ“ სიტყვა იხმარება
უძთავერესად ქართული ენის გურულ კილოში. ამგვარად, „კერკე-
ტაშ“ სვან. — კერკეტთა ადგილსამყოფელი ტოპონიმის სვანურ
წარმომავლობაზე მიგვანიშნებს — აშ სუფიქსიც.

კოჯორი — (ადგილი ქვემო აჭარაში) ნაწარმოები უნდა იყოს
სვანური „კოჯარ“ (კლდეები) სიტყვისაგან. შდრ. ტოპონიმი კო-
ჯორი-ი, რომელიც, მკვლევართა აზრით, სვანური წარმოშობისაა⁴¹.
„კოჯ“ სვანურში კლდეს ჰქვია, — არ კი წარმომავლობა-ვითარებისა
და მრავლობითობის აღმნიშვნელია. „კოჯორ“ ტოპონიმი ფართოდ
გავრცელებულია და ამიტომ მასთან დაკავშირებით გამოთქმულია
სხვა მოსაზრებებიც (იხ. მ. გეგეშიძის დასახ. ნაშრომი).

„კო“ სიტყვის მნიშვნელობისა და მისი მიმართების შესახებ
ქართულ (კლდე) და მეგრულ (კირდა, კირდე) შესატყვისებთან
განხილული აქვთ თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს⁴².

პროფ. თ. მიქელაძე აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით
წერს: „...თვით შიდა ქართლის ზოგ ტოპონიმშიც კი მოისმის სვა-
ნურის გამოძახილი. ასეთთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს სახელწო-
დება კოჯორი, რომელშიც თავს იჩენს სვანური კლდის აღმნი-
შნელი სიტყვა „კოჯ“⁴³.

⁴⁰ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 165 (297);
მისივე, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 365.

⁴¹ შდრ. მ. გეგეშიძე, კოჯორი, კვეკასიის ხალთა ისტორიის საკითხე-
ბი, თბ., 1966, გვ. 190—209; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის
საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 313.

⁴² თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და
აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 95, 96.

⁴³ თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი-
ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 10.

მკვლევარი ჯ. გვასალია „კოჯორ“ ტოპონიმთან დაკავშირებით წერს: „სვანურის ნიადაგზე შეიძლება აიხსნას „კოჯორი“. თბილისთან მდებარე კოჯორის გარდა არის მეორე ტოპონიმი კოჯორი — დიდი ლიხვის სათავეებში ერთ-ერთი მთის სახელწოდება (როკის ხეობა). „კოჯ“ სვანურად ნიშნავს კლდეს, ხოლო -ორ სუფიქსია, რაც უნდა იყოს ექვივალენტი სვანურში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი არ//ერ სუფიქსებისა“⁴¹.

ნ ა დ ა ბ უ რ ი (ადგილის სახელწოდება ქვემო აჭარაში) დაიშლება ასე: ნა-დაბ-ურ-ი, სადაც ფუძე-სიტყვაა „დაბ“, ნა-პრე-ფიქსია, -ურ დაბოლოება და -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი.

აღნიშნული ტოპონიმი სვანური ენის მონაცემების გათვალისწინებით ადვილად აიხსნება „ნა-დაბურ“ — სვანურად ნიშნავს ნაყანვე ადგილს. ნა-პრეფიქსი სვანურშიაც ისეთი მნიშვნელობით იხმარება როგორც ქართულ-ზანურში. „დაბ“ სვანურად ყანას ნიშნავს, ხოლო „ნადაბ“ ნაყანვეს. იგივე სიტყვა შეიძლება გამოითქვას ფორმით „ნადაბურ“ (მდრ. „ნადაშდურ“, „ნაცხეკ-ურ“ და ა. შ.).

ქვემო აჭარაში აღნიშნული სიტყვიდან მომდინარე ტოპონიმები სხვაც გვხვდება: ნადაბური წვერი, ნადაბური ღელე.

ნ ა ჭ ი ა რ (ადგილი ქვემო აჭარაში) ტოპონიმში შეიძლება დავინახოთ სვანური სიტყვა „ნაჭა“ — ჯაჭვი. -არ, როგორც ადვინიშნეთ, მრავლობითობის აღმნიშვნელია. ამგვარად, „ნაჭიარ-ი//ნა-ქარ“ ნიშნავს ჯაჭვებს, ან იგი ჯაჭვისნაირ ადგილებს უნდა გულისხმობდეს. „ნაჭა“ მეგრულშიც იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორითაც სვანურში.

უ ჩ ხ ი თ ი — (სოფელია ქვემო აჭარაში), „ურჩა“ სვანურად წვიმას ნიშნავს. „ურჩითი“ წვიმიან ადგილის მნიშვნელობით შეიძლება გავიაზროთ. იქვეა ადგილები რომელთა სახელებია უჩხითური, უჩხი.

ამგვარად, ქართული -ით, -ეთ დაბოლოებები უნდა შენაცვლებოდა სვანურში იმავე მნიშვნელობის -ამ, -ემ სუფიქსებს. ე. ი. მოხდა სვანური ტოპონიმის ნაწილობრივი ქართიზაცია და ეს არ-

⁴¹ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, მეცნიერება, თბ., 1983, გვ. 165—166.

ცაა გასაკვირი, რაც მთავარია ტოპონიმს შენარჩუნებული აქვს სვანური ძირი „უჩხა“ (წვიმა), რაც მისი ამოცნობის საშუალებას იძლევა.

ცხემნა — სოფელია ქედის ს/საბჭოში (ქედის რაიონი). სვანურად „ცხამ“ ერთგვარ ბალახს ჰქვია, რომელსაც ქართულად ღვარძს ეძახიან. იგი მომწამლავი თვისების მქონე მცენარეა. ტოპონიმ „ცხემნას“, ჩვენი აზრით, საფუძვლად უძევს სვანური სიტყვა „ცხამ“. „ცხამ“ სოფელს ჰქვია საჩხერის რაიონში, რომელიც აგრეთვე სვანური წარმოშობის უნდა იყოს.

გ უ რ ი ა

ლეკურა — ღელე (სკვირდიმს ერთვის) ნატანების ს/საბჭოში. ერთი გააზრებით ეს ტოპონიმი თითქოს ნაწარმოებია „ლეკ“, ან „ლეკური“ სიტყვისაგან. მაგრამ ეს სახელი რამდენადაც ღელეს (წყაროს) ჰქვია, ამდენად ასეთი ახსნა საეჭვოდ გვეჩვენება.

თუ მოცემულ ტოპონიმს სვანური ენის ნიადაგზე გავიაზრებთ, უფრო დამაჯერებელ პასუხს მივიღებთ, კერძოდ „ლეკურა//ლაკურა“ სვანურად ნიშნავს წყალს, რომლის გადაგდება (კალაპოტის შეცვლა) შეიძლება. წყლის გამოყენების მიზნით მოსახლეობა ასეთ ხერხს ხშირად მიმართავს ხოლმე. ლეკურა//ლაკურა ამ შემთხვევაში სარწყავად სახმარ წყალს ნიშნავს.

სკვირდიმ — ღელეა ნატანების ს/საბჭოში. „სკვირ“ („სგვირ“) სვანურად ტოტემოჭირლ და კანგაცლილ ფართო ფოთლოვანი მცენარეებისაგან გამზადებულ შეშას ჰქვია, რომელსაც საზამთროდ ინახავენ ტყეში. „სკვირდიმ//სგვირდიმ“ ასეთი შეშისაგან გაკეთებულ კონებს ჰქვია. კანგაუცლელი შეშა მალე ლპება, კანგაცლილი კი შრება, ხმება და დიდხანს ინახება. ხსენებულ ღელეში ასეთი საშეშე მასალის დამზადება ადვილი შესაძლებელი იყო.

ამდენად, „სკვირდიმ“ ნიშნავს „სკვირ//სგვირ“ შეშის დასამზადებელ ადგილს.

კოჭორ — გორას ჰქვია შრომის ს/საბჭოში (ოზურგეთის რ-ნი). „კოჯ“ ტოპონიმის შესახებ მსჯელობა გვქონდა ზემოთ (იხ. კო-

უორი) და აღვნიშნეთ, რომ იგი სვანურია და ნიშნავს კლდეს. „კო-
ჯორა“ წარსულში ალბათ კლდოვანი გორა იყო და ამიტომაც მი-
იღო ასეთი სახელი.

ლაშურა — ღელე შრომის ს/საბჭოს ტერიტორიაზე. იმავე
სახელს ატარებს ღელე გურიანთის ს/საბჭოს ტერიტორიაზე
(ორივე ოზურგეთის რაიონშია). „ლაშურა“ სვანურად მაწყენარს
(წყალს) ნიშნავს.

ნაურიალი — ძველი სასაფლაო შრომის ს/საბჭოში. ასეთ
სახელს ატარებს, აგრეთვე, ნაეკლესიარი ღრმა ღელის ს/საბჭოში
და სამაროვანი გურიანთის ს/საბჭოს ტერიტორიაზე. სასაფლაოდ,
ნაეკლესიარად თუ სამაროვნად ეს ადგილი შესაძლოა იქცა უფრო
გვიან, ვიდრე იგი ხსენებულ გეოგრაფიულ სახელს მიიღებდა.
თუმცა ამას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.
ერთი შეხედვით „ნაურიალი“ თითქოს ურეების (ებრაელთა) ნამო-
სახლარს ნიშნავს, მაგრამ ასეთ ადგილას ქრისტიანული ეკლესიისა
თუ სასაფლაოს არსებობა დაუშვებელი უნდა ყოფილიყო. ეს
პრინციპი ქრისტიანული რელიგიის მორალიდან გამომდინარე ქეშ-
მარცხებაა, რომელსაც მართლმორწმუნე ყოველთვის იცავდა.

ასეთი ვითარება კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღებულ ტოპო-
ნიმს სხვა ახსნა მოეუძებნოთ. აღნიშნული ტოპონიმი თავისუფლად
აიხსნება სვანური ენის მეშვეობით. სვანურად „ნაურიალი“-ი ჰქვია
ადგილს, სადაც მსხვილფეხა საქონლის დამაკების აქტი სრულ-
დება.

ურეკი-ი სოფელია ოზურგეთის რაიონში. ზ. ჭუმბურიძე ამ ტო-
პონიმს ასე განმარტავს: „წინათ ბატონები სანადიროდ რომ წავი-
დოდნენ, ტყეში მარეკებს დაგზავნიდნენ ნადირის დასაფრთხობად
და გამოსარეკად, თვითონ კი მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდე-
ბოდნენ და ასე ნადირობდნენ. ურეკი ერქვა ისეთ ტყეს, სადაც ასე-
თი არ ხერხდებოდა, ე. ი. სადაც მარეკებით ნადირობა შეუძლე-
ბელი იყო ხშირი, გაუვალი ტყის გამო. ურეკში უღრანი ტყე დიდი
ხანია აღარაა, მაგრამ ადგილს კი ეს სახელი შერჩა“⁴⁵. სვანურად
„ურეკ//ურაკ“ უვნებელყოფილ ადგილს ნიშნავს, ანუ უვნებლად
გადარჩენილს.

⁴⁵ ზ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

მ ე რ ი ა — სოფელია ოზურგეთის რაიონში, „მერი“ სვანურად მოთიბვის შემდეგ მოსულ ბალახს ჰქვია, ხოლო „მერე“ სვანურად ღრუბელს ეწოდება. „მერე“ რამდენიმე ადგილს ჰქვია გურიასი, კერძოდ: გურიანთის ს/საბჭოში სათეს ადგილს, სუფსის ტერიტორიაზე — ქალას, ლაითურის ს/საბჭოში — ტყეს („ჯავახიას მერე“) და ა. შ.

ჩვენი აზრით, ტოპონიმების „მერე“ და „მერია“-ს ამოსავალია სვანური სიტყვები „მერე“ და „მერი“.

ლ ა ი თ უ რ ი — სოფელია ოზურგეთის რაიონში. ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიაც არ არის დადგენილი. სვანურად „ლაითური“ სასიცხო ადგილს ნიშნავს. შესაძლოა წარსულში აქ ცხელი თერმული წყლები ყოფილიყო, რომელთაც სამკურნალო თვისება გააჩნდათ. არა და უბრალოდ ეს ადგილი შედარებით უფრო მზიანი, ანუ სიცხიანია.

ლ ე გ უ რ ი — ჰქვია ტყეს ცხემლისხიდის ს/საბჭოში (ოზურგეთის რაიონი). სვანურად „გურ“ ეწოდება საგაზაფხულო რბილ ხორბალს (უფხოს)⁴⁶. ლე-სვანური პრეფიქსის დართვის შემდეგ მიღებული ტოპონიმი ნიშნავს ადგილს, სადაც საგაზაფხულო ხორბალი ითესებოდა.

მ შ ე უ რ უ შ ი — ეწოდება სოფლის კუთხეს ხიდისთავის ს/საბჭოში (ჩოხატაურის რ-ნი).

ეს ტოპონიმი ახლოს დგას სვანურ სიტყვასთან „მულმურიშ// მულმურილიშ“, ეს ერთგვარი ბალახის სახელია, რომელსაც ქართულად ფარსმანდუკს ეძახიან.

კ ა ლ ა შ ა — ლელეს ჰქვია, რომელიც მდ. გუბაზოულს ერთვის მარცხენა მხრიდან. ასეთ სახელს გურიაში არაერთი ადგილი ატარებს. ზემოთ მსჯელობა გვექონდა „კალაშ“ ტოპონიმზე. ანალოგიური წარმოშობისაა დასახელებული გეოგრაფიული სახელიც, ოღონდ განსხვავებას აქ იძლევა ა დაბოლოება. თუ „კალაშ“ სვანურად კალოიანს ნიშნავს, „კალაშა“ ნიშნავს ადგილს, რომელიც ეკუთვნის „კალაშში“ მოსახლეებს.

ლ უ გ უ ბ ა — ლელე იმავე ხიდისთავის ს/საბჭოს ტერიტორიაზე. სვანური ენის მეშვეობით ეს ჰიდრონიმიც ადვილად აიხს-

46 ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 165.

ნება. სვანურია პრეფიქსი ლუ-, რომელიც ერთვის ისეთ სიტყვებს, როგორცაა: ლუბაქე (მეტიჩარა), ლუ-წვილე (გათხოვილი), ლუ-ბელე (გაბერილი), ლუფულე (აფუებული) და სხვ. გუბ ნიშნავს გუბებს, დაგუბებულ წყალს. ასე მაგალითად, მულახის ს/საბჭოში (მესტიის რაიონი) ერთ-ერთი სოფლის—ღვებრას შუაგულში მოჩუხჩუხე წყაროს გუბ-ს უწოდებენ. გუბ საუცხოო სასმელი წყალია. მიუხედავად იმისა, რომ იგი დაგუბებული არ არის, მას მაინც ეწოდება გუბ. შესაძლოა წარსულში იგი სოფლის შუაგულში ვუბებს ქმნიდა და აქედან მიიღო ეს სახელწოდება.

რაც შეეხება ლუგუბასწლეულს, მას თავისუფლად შეიძლება ეს სახელწოდება დარქმეოდა.

ქოროშა — ჰქვია მდ. გუბანოულის მარჯვენა შენაკადს. სვანური ენის მეშვეობით ეს ჰიდრონიმი ისევე აიხსნება, როგორც კალაშა (იხ. ზემოთ). სვან. ქოროშა-სახლეულისა.

ბერეჟიანი (ბერეჟიანის ნაქონი ადგილი) — იმავე სასოფლო საბჭოშია, როგორც ჩანს, „ბერეჟიანი“ გვარი იყო, რომელსაც ეს ადგილი ეკუთვნოდა. ამ გვარს საფუძვლად უდევს სვანური სიტყვა „ბერეჟ“.— რკინა მართალია, სვანეთში ამჟამად ასეთი გვარი აღარ გვხვდება, მაგრამ ნიშანდობლივი ფაქტია, რომ XIII საუკუნის სვანეთში, სოფ. ლახამულაში, ცხოვრობს გვარი სახელდებით — რკინისა⁴⁷. შესაძლოა, ეს გვარი უკვე ქართველები ფორმა იყოს ბერეჟიანისა. ამასთანავე, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ბერეჟიანის მეზობლად მდებარე სოფელში ერთ ადგილს ჰქვია სარკინია. ბერეჟიანები ამჟამად ცხოვრობენ თბილისსა და საქართველოს სხვა რაიონებში.

ბერეჟოული — სოფელია ჩაისუბნის ს/საბჭოში (ჩოხატაურის რ-ნი). იგივე სახელი ჰქვია ერთ-ერთ ყანას ამ სოფელში. ამ ტოპონიმშიაც „ბერეჟ“ სვანური სიტყვაა ამოსავალი. ეს ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ წარსულში იმ ადგილას რკინის მოპოვება ან დამუშავება ხდებოდა⁴⁸.

როგორც ჩანს, სვანები ძველი მელითონეები არიან. სვანეთში

47 პ. ონგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, 11, თბ., 1941, 83-120.

48 იხ. Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, დასახ. ნაშრ. გვ. 710.

რკინის მოპოვებასა და წარმოებას ადგილი ჰქონდა სოფ. კუბერსა და სხვა ადგილებში. როგორც ჩანს, სვანეთიდან რკინის ნაწარმი, ან თვით რკინა, გაჰქონდათ შორეულ ქვეყნებშიაც. ასე მაგალითად, სვანურში რკინის სახელისაგან უნდა იყოს ნაწარმოები ასირიული „ბერკილუ“ (რკინა), ასევე ებრაულში რკინის აღმნიშვნელი სიტყვა „ბარზალ“. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ასურეთისა და პალესტინის ტერიტორიაზე რკინის წარმოებას არ მისდევდნენ, რამდენადაც იქ ეს მადანი არ მოიპოვებოდა, იგი მათ კავკასიიდან შემოჰქონდათ.

სირია-პალესტინასთან სვანეთს რომ რაღაც გარკვეული ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, ამაზე მიგვანიშნებს სვანეთში შემონახული ვერცხლის ბარძიმი, რომელიც ახ. წ. V ს. განეკუთვნება⁴⁹ (ინახებოდა ს. უშგულის ყიბიანის „ლამარიას“ ეკლესიაში), სირიული ბრინჯაოს საცეცხლური⁵⁰. ამ ე. წ. სირიულ-პალესტინურ ძეგლებს ასახელებს აკად. გ. ჩუბინაშვილი სვანეთში შემონახული უცხოური წარმოშობის ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლების ჩამოთვლისას: „В Сванети имеется определенное количество предметов, завезенных как с Востока, так и с Запада. Можно отметить относительно большое количество т. н. спиро-палестинских кадильниц из бронзы с фигурными композициями раннехристианского периода (часть их находится в музеях Тбилиси и Местии, а большая — по селам)“⁵¹.

კ. მაჩაბელი წერს, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანულ ცენტრებში შექმნილი ლიტურგიკული ნივთების არსებობა საქართველოში, ამ შემთხვევაში სვანეთში, სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, თუ გავითვალისწინებთ ქართული ქრისტიანობის აღმოსავლურ წარმომავლობას, უძველეს კავშირს სირიისა და პალესტინის კულტურ-

49 კ. მაჩაბელი, სვანეთის საგანძურიდან, თბ., 1982, გვ. 65—73.

50 იქვე, გვ. 77.

51 იქვე, გვ. 78; იხ. „ძეგლის მეგობარი“, № 31—32, 1973, გვ. 99.

რულ ცენტრებთან⁵². როგორც ცნობილია, V ს-ში იერუსალიმში პეტრე ქართველმა ააგო ე. წ. იბერთა მონასტერი. VI ს. ლაზთა მკვიდრთაც აუშენებიათ თავიანთი სავანე პალესტინაში⁵³ და ა. შ. საფიქრებელია, რომ პალესტინის ქართულ სავანე-მონასტრებში სვანეთიდან წასული ბერებიც მოღვაწეობდნენ.

კავკასიაში რკინის ყველაზე დიდი წარმოება, ჩანს, რაჭა-სვანეთის ტერიტორიაზე იყო. ჭუბერში აღმოჩენილია რკინის გამოსადნობი ღუმელები, რომელიც დათარიღებულია IX—X სს⁵⁴. ანალოგიური ღუმელები აღმოჩენილია რაჭაში, სოფ. წედისში⁵⁵.

მართალია, ჭუბერში რკინის სადნობი ღუმელები დათარიღებულია IX—X სს., მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იქ რკინის წარმოება უფრო ადრე არ უნდა ყოფილიყო.

რკინის წარმოებას სვანური ტომები, ჩანს, მისდევდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მათ განსახლებას ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ზოლში. მითუმეტეს, რომ აღნიშნულ რეგიონში აღმოჩენილია რკინის სადნობი სახელოსნოს ნაშთები, რომელიც დათარიღებულია წინა ანტიკური ხანით. ეს ადგილებია: ჭიხანჯური (ქობულეთიდან 15—20 კმ-ზე ჩრდილო დასავლეთით), ლეღვა (ქობულეთის რაიონი), ჭარნალი (ბათუმის რ-ნი)⁵⁶. აღნიშნული ფაქტები მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას, რომ გურიის ტერიტორიაზე დღემდე შემონახულ „ბერეჟ“ (რკინა) ტოპონიმი ოდესღაც აქ მოსახლე სვანთა ტომების მელითონეობის ტრადიციასთან არის დაკავშირებული. ეს ტრადიცია სვანებს ბოლომდე გაჰყვათ. გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვანთა მიგრაცია დასავლეთ საქართველოს ბარიდან მთიან მხარეებში რკინის და საერთოდ ლითონის მოპოვებასთან უნდა იყოს დაკავშირებული-

⁵² კ. მაჩაბელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—87.

⁵³ იქვე, გვ. 88; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზ., ტ. I, თბ., 1979, გვ. 338.

⁵⁴ И. А. Грдзелишвили, Железо-плавильное производство в древней Грузии, Тб., 1964, с. 99-101.

⁵⁵ იქვე, გვ. 104—105.

⁵⁶ იქვე, გვ. 38—52.

ლი 57. ბ. კოვალევსკი წერს: „Вся Малая Азия не имеет и не имела железа и получила его с севера, т. е. с Кавказа. Значит, сваны являются одним из этих поставщиков из древнейших металлургов“⁵⁷.

ბ. კოვალევსკის აზრით, „ყოზანის კულტურა“ შესაძლოა სვანთა შემოქმედების ნაყოფი იყოს, საიდანაც ისინი მცირე აზიის ხალხებსაც ამარაგებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მცირე აზიის დასახელებულ ხალხებში დამკვიდრებული რკინის სვანური სახელი „ბერეუ“ გაუგებარი რჩება⁵⁸. ბ. კოვალევსკის დროს ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი ჩრდილოეთ კავკასიის მთის ზოლში სვანთა ვანსახლების ფაქტი, მეცნიერის აზრი მით უფრო საგულისხმოა.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიის ხალხებიდან რკინის კულტი ყველაზე მეტად სვანებშია გაბატონებული. მკვლევრები სვანურში რკინის სახელიდან ნაწარმოებად თვლიან ბერეუიანს. ბერეუიანი იყო ამირანის მამა, ქალღმერთ დალის ქმარი;

სვანები ახალი მთვარის დანახვისას პირში რკინას იღებენ (ყერძოდ დანას), რათა გულიც ისეთი მაგარი ჰქონდეთ, როგორიც რკინაა.

სვანეთში მჭედლის მოკვლისათვის გადასახდელი საზღაური აზნაურის „წორის“ ტოლფასი იყო.

რკინის წარმოებით ცნობილი არის მთის რაჭა (სოფლები დები, გლოლა და ქიორა), რომელიც XVI ს-ის დასაწყისამდე სვანეთის შემადგენელი ნაწილი იყო. 1503 წელს სვანები იძულებული გახდნენ ეს მთიულეთი სისხლის საფასურში მიეცათ თავადი ჯადარძეებისათვის⁵⁹.

57 მ. ჩართოლანი, ხალხური მეტალურგიის ძეგლები დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1982, გვ. 24.

⁵⁸ Б. Ковалевский, Страна снегов и башен. Сванетия, Л., 1930, с. 189.

⁵⁹ იქვე, გვ. 189.

⁶⁰ დაწერილებით ამის შესახებ იხ. С. И. Рехвиашвили, Рачинские кузнецы, „Советская этнография“, № 2, 1975, с. 94—98; მისივე, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953; პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 31—37.

სოფ. ღები ვანსაკუთრებით განთქმული იყო მკედლური ხე-ლოვნებით. აქ მკედლები ოდითგანვე ვანსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ.

აღსანიშნავია, რომ სვანებში არსებობს მითი მკედელ შავხანზე. მითური მკედელი შავხანი არის ციური ჯაჭვისა და უფსკრულზე გადადებული რკინის ხიდის ვამკედავი, მკედელთა თაობების მამამთავარი, გმირი, ნახევრად ღმერთი, დევების მქლეტელი. იგი რკინის ხიდს ჰედდა, მასზე კაცი გადადიოდა, დევი კი ძირს ვარდებოდა. ერთმა დევმა გრდემლი დაჰკრა მძინარეს და დააკოჭლა (კოჭლა ბერძენთა მკედლობის ღმერთი ჰეტესტოსიკ)⁶¹. სვანეთში კარგი მკედელი შავხანის სახელს ატარებდა.

არ არის გამორიცხული, რომ ძველი ქართველური ტომი—ხალიბები სვანთა ერთ-ერთი ტომი ყოფილიყო. ამ ტომმა თვით ბერძნულ ენას ასესხა ფოლადის სახელი „ხალიბს“. ხალიბურ-ხალდურ-მოსწიკური თუ ტიბარენული ლითონის ნიმუშები ნაპოვნია ბიბლოსში, კვიპროსზე, ბალკანეთში. „ხალიბ“ სახელს უკავშირებენ „ხალდე“ ტერმინსაც. კავკასიის ხალხებიდან „ხალდე“ დღემდე მხოლოდ სვანეთში შემორჩა, როგორც გეოგრაფიული სახელი (სოფელი ხალდე მესტიის რაიონშია) და როგორც სიტყვა სვანურად „ლხლდემე მახელჯაჲარ“ — ფოლადისმაგვარ ვაჟკაცებს ნიშნავს.

სვანების რწმენით რკინა ავსულებს ანადგურებს. თუ ადამიანს ან საქონელს სხეულის რომელიმე ნაწილი დაუსივდებოდა, მასზე რკინას (დანას) უსვამდნენ. ამდენად, სვანების რწმენით რკინას მაგიური ძალა ჰქონდა. აი რას წერს ბ. კოვალევსკი ამასთან დაკავშირებით: „Если у коровы нарывається вымя, то нарыв обводят железом, или стальным предметом.“

Вместе со всеми грузинами сваны представляют себе небо железным, окованным звездами⁶².

ჩველ ბავშვს (ბიჭს) როცა აკვანში პირველად აწვევდნენ, მას რკინის ნაჭერს ჩაუდებდნენ ხოლმე, რათა რკინასავით მაგარი გული გამოჰყოლოდა. სისხლის „წორში“ რკინა ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი იყო.

61 ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 525.

62 Б. Ковалевский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 189.

აღსანიშნავია, რომ რაკველები ერთ-ერთი ლითონის სახელ-დ ზნარობდნენ სიტყვას „შანარ“⁶³, რაც, ჩანს, სვანთა სატომო სახელ-თან არის დაკავშირებული:

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აღრეული რკინის ხანაში (ძვ. წ. XI—VI სს.) ადგილი ჰქონდა სვანთა განსახლებას. როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში, პეროდოტეს ცნობების მიხედვით, კოლხთა განსახლების ჩრდილო საზღვარი ფაზის-რიონის სექტორზე გადიოდა⁶⁴. როგორც გამოკვლეულია, რკინის წარმოების ცენტრები აღრეულ რკინის ხანაში გვხვდება მდ. ჭოროხიდან დიდი კავკასიონის ქედამდე⁶⁵.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: ს. მერხეულში ნანახია კრემაციული სამაროვანი და რკინის იარაღები. ეს სამაროვანი დათარიღებულია ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით⁶⁶. კრემაციული სამაროვანი აგრეთვე ნანახია მესტიის რაიონის სოფ. ჭუბერში (ლარილარში). რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. VI—IV სს⁶⁷. ჭუბერის კრემაციულ სამაროვანში ნანახია რკინის იარაღები, რომლებიც პარალელურს პოვლობენ მერხეულის, ნიგეზიანისა და პალუტურის რკინის იარაღებთან⁶⁸.

მერხეული სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელია და მომდინარეობს სიტყვიდან „მერხელ“ (ჰინჭარი). შესაძლოა ძვ. წ. VI—IV ს. მერხეული შედიოდა სვანთა განსახლების არეალში.

⁶³ მ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

⁶⁴ პეროდოტე, ისტორია, ტ. I—II, თბ., 1975, 1976, I, 2, 104, II, 104, 105, III, 97, IV, 37, 40, VII, 79.

⁶⁵ Л. А. Хухутайшвили, К хронологии колхидско-халибского центра древнежелезной металлургии, в сб.: «Вопросы древней истории», V, 1977, с. 119.

⁶⁶ Г. Г. Шакалдзе, М. В. Барамидзе, Могильник в Мерхеули. Археологические исследования в Грузии в 1969 г., Тб., 1971, с. 125, 126, 230, 231.

⁶⁷ მ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი. საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 300—318.

⁶⁸ Г. А. Лордкипанидзе, Колхида VI—II вв. до н. э., Тб., 1978, с. 59.

საინტერესოა, რომ ძვ. წ. VI—IV სს. სამაროვნებში რკინის იარაღებია ნანახი, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სჰანიბი უძველესი მეტალურგები უნდა ყოფილიყვნენ.

ო. ლორთქიფანიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „Очаг жалкообработывающего производства VI—IV вв. до н. э. обнаружен в Сванети (в области Чубери)“⁶⁹.

ეთნოგრაფ ლ. ბოჭორიშვილს ჩაწერილი აქვს სვანეთში უკანასკნელ ხანებამდე ცხვრის ტყავეებით ოქროს მოპოვების შესახებ არსებული ხერხი⁷⁰.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოქროს საწმისის შესახებ არსებული მითი დაკავშირებულია ენგურის სათავეებში უძველესი დროიდან ცნობილ ოქროს მოპოვების სინამდვილესთან. სვანეთში მართლაც არის ნაპოვნი ჩამოსხმული ოქროს ვერძები. ერთი მათგანი დღესაც ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ოქროს მოპოვება ენგურის ხეობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც მიმდინარეობდა. აცში, სოფ. იელის მახლობლად, ნანახია ოქროს თვითნაბადი ზოდები. ჰარაშის ჭალაში ოქროს დღემდე პოულობენ. აქ კანიონებში ახლაც ჩანს ნაგვირაბალები. საიდანაც ოქრონარევი სილა გამოჰქონდათ. სვანეთშია ჩაწერილი არგონავტიკის ადგილობრივი ვარიანტი, რომელიც ბევრ საინტერესო ფაქტზე მიგვანიშნებს⁷¹.

ოქრო მრავალ სვანურ თქმულებაში, ლექსა თუ სიმღერაშია ნახსენები, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილ უძველეს სვანურ ჰიმნში „ლილე“:

„ხარები გყავდა დათქმული,
რქები ჰქონდათ ოქროსი...
ზღუდე გერთყა ოქროსი
ოქროს სამკაულით სავსე“ და სხვ.

საგულისხმოა, რომ სვანურად ფულს დღემდე უწოდებენ „თეთრს“.

⁶⁹ О. Лордкипанидзе, Древняя Колхида (Миф и археология), Тб., 1979, с. 81.

⁷⁰ Л. Бочоришвили, Злотокузнечество в Сванети, САИГ, УП, № 5, 1956, с. 285 О. Лордкипанидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

⁷¹ თ. მიბჩუანი, ჰარაშის საიდუმლოება, გაზ. „ახალი სვანეთი“, 19, 22 მაისი, 1979, № 59—60.

სვანეთის ოქროთი დაინტერესებული იყვნენ ცარიზმის ხელისუფლების დროსაც. ასეთები იყვნენ გეოლოგი შოსტაკი (1902 წ.), ბანისლავსკი, ფრანგი კასტენგი, თავადი შერვაშიძეები, ვინგენშტეინი და სხვა. რომლებიც ცდილობდნენ ოქროს საბადოების აღმოჩენას ენგურის სათავეებში. ცხადია, მათ ამისკენ ბერძენი ავტორების ცნობები უბიძგებდათ.

ბ. კოვალევსკის ჭუბერში უნახავს ვინმე ივანე დევდარიანი⁷², რომელსაც იქ ნაპოვნი ოქროს მონეტა ჰქონია: „Эта находка оказалась далеко не единственной в Чубере и в Хайшском районе, золотые с чекапом Александра Македонского и Римской империи монеты поддерживали древнюю славу о чуберском золоте“⁷³.

სვანეთში ფართოდ გავრცელებული გადმოცემა არსებობს ჭუბერის მიწისქვეშა დარბაზებში შემონახული ოქროს განძის შესახებ, რომელსაც ადამიანი ვერაფრით ვერ აგნებს. იგი ცნობილია სალ-ჭუბერიშის განძის სახელწოდებით.

სვანეთში ჩაწერილია მეორე გადმოცემა იმის შესახებ, რომ თითქოს ლაყვარას მთაზე ქვის სალოცავი იდგა მიწისქვეშა საწყობით, რომელშიაც ოქრო ინახებოდა, მასში ოქროს ჯაჭვით ოქროს ვერძი იყო დაბმული⁷⁴.

1928 წელს ჭუბერში კვლავ უნახავთ ოქროს ოთხკუთხა ზოდი, რომელზედაც ყოფილა ნახატი „ქრისტე ქალის კაბაში“. ეს ქრისტეს ბიზანტიური ტანსაცმელია (მოსასხამი?). ოქროს ეს ნაჭერი 400 მანეთად მიუყიდიათ ვინმე სომეხი ვაჭრისათვის⁷⁵.

ნიშანდობლივია, რომ სვანურად „შიბ“ ჰქვია შარვლის დასაჭერ ზონარს. შიბ არის ცისა და მიწის შემაერთებელი ოქროს ჯაჭვი. „ცას ვები ოქროს შიბითა“, — ამბობს ხევსურული ლექსი.

ყოველივე ეს მრგვანიშნებს იმაზე, რომ სვანები უძველესი მე-

72 რომელიც ავტორის თქმით, ამ სოფლის პირველ მოსახლედ ითვლებოდა აქ იგი დასახლებულა 1890 წელს.

73 К о в а л е в с к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

74 იქვე, გვ. 186—190.

75 დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

ტალურგები. იყენენ და კავკასიის მთიანეთში მათი დამკვიდრების მიზეზიც შეიძლება, ლითონის მოპოვებასთან იყოს დაკავშირებული.

ჩხუტური — ტყეს ჰქვია ჯუმათის ს/საბჭოში (ოზურგეთის რაიონი)⁷⁶. ამ ტოპონიმის ძირი „ჩხუტ“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანურად კენქს ნიშნავს. ჩხუტურ-ი — ე. ი. კენქნარი ადგილი (შდრ. ჩხუტელ—სოფელი ცაგერის რაიონში).

ბერეყიანის ტყე — სოფ. ზემო მამათის ტერიტორიაზე (ლანჩხუთის რ-ნი).

ლაშხეთი — ერთ-ერთ ფერდობს ჰქვია სოფ. მამათის ტერიტორიაზე. ლაშხეთი ჰქვია ქვემო სვანეთის ერთ კუთხეს. არსებობს სვანური ენის ლაშხური დიალექტი⁷⁷.

ამ ტოპონიმის ძირია „ლაშხ“, რაც სვანურად ნიშნავს სანახშირეს, ე. ი. ადგილი, სადაც შეშას წვავდნენ ნახშირისათვის. ლაცნობილი სვანური პრეფიქსია, ქართული სა-ს ბადალი, ხოლო „შხ“ (ლა-პრეფიქსის დართვის შედეგად ხმოვანი ი შეიკვეცა) — ნახშირი.

აღნიშნულ ტოპონიმში დაბოლოება -ეთ ქართულია. სვანეთში გვხვდება ანალოგიური ხასიათის ქართულ დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელები: ქაშუეთი, არცხელი, მურშკელი და სხვ., სადაც -ეთ და -ელ სუფიქსები ქართულია.

შესაძლებელია ქვემო სვანეთის ერთ-ერთი კუთხის სახელწოდება ლაშხეთი გურიის ლაშხეთიდან მომდინარეობდეს, ე. ი. გადმოტანილია სამხრეთიდან ხალხთა მიგრაციის შედეგად.

ლაზნაურა — დაბლობ ადგილს ეწოდება სოფ. კაპრუანში (ლანჩხუთის რ-ნი). ამ ტოპონიმში ყურადღებას იქცევს სვანური პრეფიქსი ლა-. ტოპონიმი ასე დაიშლება: ლა-ზნა-ურ-ა. ფუძეა „ზნა“, რომელსაც ლა- პრეფიქსის დართვის შედეგად და-

⁷⁶ აჭარისა და გურიის ტერიტორიაზე სვანურენოვანი ტოპონიმები ამოკრფილია: საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1966; ი. სიხარულიძე, ზემოთ დასახელებული ნაშრომი; მისივე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, IV, თბ., 1971, გვ. 74—154; მისივე, ჰანეთი, ბათუმი, 1977.

⁷⁷ იხ. სვანური პროზაული ტექსტები, ლაშხური კილო, IV, თბ., 1979.

კარგული აქვს ხმოვანი ა, ე. ი. მოხდა ფუძეში ხმოვნის რედუქცია. ამგვარად, ფუძე აღნიშნავს კუთხის სახელწოდებას — ზ ა ნ ა. სვანები ზანას//ზანს სამეგრელოს მხარეს უწოდებენ. აქაც საქმე გვაქვს ტოპონიმის სვანურ წარმოებასთან: ლაზან//ლაზანა სვანურად ისტორიულ სამეგრელოს აღნიშნავს, ე. ი. საზანო. რაც შეეხება -ურ დაბოლოებას, იგი მერმინდელი, ქართიზებული ფორმაა.

აღნიშნული ტოპონიმი საყურადღებოა იმით, რომ იგი მიგვანიშნებს ისტორიულ წარსულზე, როცა დღევ. გურიის ტერიტორია მართლაც იყო საზანო, ახლანდელი გაგებით სამეგრელო. მართალია, „ლაზანა (ურა)“ დღემდე მიკროტოპონიმის სახით შემორჩა, მაგრამ იგი აშკარა ნაშთია იმ მხარის, ქვეყნის სახელწოდებისა, რომელსაც სვანები იცნობდნენ ლაზან-ის ანუ ლაზიკის//ლაზეთის სახით. ეს. ცხადია, იმ პერიოდზე მიგვითითებს, როცა დღევანდელი გურიის ტერიტორია ზანურმა მოსახლეობამ დაიკავა, სვანთა გარკვეული ნაწილი ზანებში იქნენ ასიმილირებული. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს რომ „სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუპყრიათ, ისინი კი კავკასიის უღელტეხილზე მოუქწყვედევიათ; დაპყრობილ სვანებს მეგრული შეუთვისებიათ; მაშასადამე, მეგრელებსა და სვანებს შორისაც ნარევი ტომი უნდა გაჩენილიყო. ამას პტოლემეს ცნობაც ამტკიცებს; თავის გეოგრაფიაში იგი სვან-კოლხების (სუანო-კოლხოე) ტომს ასახელებს; ამავე ნარევ ტომს სომხების ისტორიკოსი ფაუსტი ბიზანტიელიც იხსენიებს (III, 7)⁷⁸. ივ. ჯავახიშვილი აქვე ეხება პლინიუსის ცნობას იმის შესახებ, რომ მდინარე ხობი სვანეთის მიწაზე მიედინებოდა და ა. შ.

ლ ე მ ბ უ რ ა — ფერდობს ჰქვია მამათის ს/საბჰოში (ლანჩხუთის რაიონი). აღნიშნულ ტოპონიმში სვანურია პრეფიქსი ლე- და ფუძე — „მუბრა“, რომელიც სვანურად ნიშნავს ბნელს. ლე-ს დართვის შემდეგ რედუქცია განუცდია ფუძეში არსებულ უ ხმოვანს.

78 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 429.

ამგვარად, „ლემბურა“ სვანურია და ნიშნავს ბნელ ადგილს.

ბ ე რ ე უ ლ ა — სათესი ადგილი იმავე ს/საბჭოში. იხ. ბერე-
ჟოული.

ლ ა ფ რ ა ნ ა — სოფელია იმავე ს/საბჭოში. ლა- ცნობილი-
სვანური სუფიქსია. ტოპონიმის ძირი ფრ უნდა მომდინარეობდეს
სვანური სიტყვისაგან „ფერი“ (ხმელი, გამხმარი). -ან დაბოლოება,
აგრეთვე დღემდე სვანურში შემონახული სუფიქსია. ლაფრა-ან-ა-
სე. სახმობ ადგილს ნიშნავს.

კ ო ჯ ო რ ა — გორა დიდი ვანის ს/საბჭოში (ჩოხატაურის რ-ნი).
გურიაში გორასა და ბორცვს ბევრგან ჰქვია ასეთი სახელი და
მით უფრო საგულისხმოა, რომ იგი უნდა მომდინარეობდეს სვა-
ნური სიტყვიდან „კოჯარა“ (კლდეები). იხ. კოჯორა.

ლ ე ფ ს ო უ რ ა — ღელე საქამიასერის ს/საბჭოში (ჩოხატაურ-
ის რ-ნი). სვანურად „ლუფსორა“ დაწყვეტილ ადგილს ეწოდება.
აღნიშნული ტოპონიმის სვანურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს
ლე- პრეფიქსიც.

ლ ე შ ნ ა რ ი — ღელე ზემო ხეთის ს/საბჭოში (ჩოხატაურის
რაიონი). „ლუშნარი“ სვანურად მსხმოიარეს (ტყეს) ნიშნავს.

ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი — რაიონული ცენტრი. ტოპონიმი სვანური
წარმოშობისაა და ნიშნავს საკენჭე ადგილს. სვანურ წარმოშობი-
სად თვლიდა მას აკად. ს. ჯანაშია⁷⁹. თავიდანვე მას ეწოდებოდა
არა „ლანჩხუთ“, როგორც ახლა წერენ, არამედ „ლანჩხუტ“⁸⁰. აჭ
მოხდა ბრძოლა ლევან დადიანსა და სვიმონ გურიელს შორის
(XVII ს.) „შეიყარა დადიანმან ლევან ჯარი და მიუტყდა ლანჩ-
ხუტს“⁸¹....

ტოპონიმი ასე დაიშლება: ლა-ნ-ჩხუტ-ი, სადაც ლა-სვანური
მაწარმოებელი პრეფიქსია, სა-ქართული პრეფიქსის ბადალი; ნ
ბგერა ფუძეშია განვითარებული ისე, როგორც ზოგიერთი სხვა
სვანურ გეოგრაფიულ სახელებში, კერძოდ: ლა-ნ-ჩვალ, სადაც ლ-

79 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 146, შდრ. აღ. ჯლონ-
ტი, ისევ ტოპონიმების შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 1974, № 6 (3 იანვარი).

80 ქც, II, გვ. 419.

81 იქვე, გვ. 419.

პრეფექსია, ნ ფუძეშია განვითარებული, „ჩვალ“ მეწყერს ნიშნავს, ხოლო ლანჩვალ—სამეწყერ ადგილს. ლანჩვალ სოფელს ჰქვია დაბა მესტიაში.

ლანჩხუთის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე სუფსა. მკვლევართა აზრით, „სუფსა“ ჩერქეზული წარმოშობის ჰიდრონიმად არის მიჩნეული, რამდენადაც მასში გამოყოფენ „ფსა“ კომპლექსს⁸².

ამ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიაზე დაკვირვება ახსნის სხვა საშუალებასაც იძლევა. კერძოდ, სვანურად „სუფ“ საკრებულო ადგილს ნიშნავს. აქედან „სუფ“ დასახლებულ ობიექტსაც შეიძლება ეწოდოს (ეს დასტურდება დღევ. სვანეთის მაგალითზე). ჰიდრონიმში „სუფსა“ საბოლოსართი შესაძლოა წარსულში შა-ს ფორმით იხმარებოდა, ე. ი. ქართულ ენობრივ სამყაროში შა-გადაიქცა (სა-დ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სვანური შ ქართულში ს-დ გადაიქცევა (მაგ. სვან. „შუან“ — სვანეთი და ქართ. „სვანეთი“, ქართ. „ს-თავვი“ და სვან. „შდღგრ“ და ა. შ.). მაშინ ამ ჰიდრონიმის თავდაპირველი ფორმა ასე წარმოგვიდგება: ს უ ფ შ ა, რაც სვანურად სუფელთა დასახლებას ნიშნავს, ე. ი. იმ ხალხის საცხოვრებელი ადგილი, რომელთაც ეკუთვნით საკრებულო—სუფ. ძველად სვანები სუფში იწვევდნენ „ლალხორს“ (ყრილობას, კრებას) და იქ წყვეტდნენ ყველა საჭირობოროტო საკითხს. აკად. ა. შანიძე ანალოგიურად ხსნის გეოგრაფიულ სახელს რაჭა. მისი აზრით, იგი წარმოსდგება სვანური სიტყვისაგან „რატშა“, ე. ი. რატისეული, რატი სკუთენილი⁸³.

ფ ა ზ ი ს ი

ფ ა ზ ი ს ი დღევანდელი ფოთის სახელწოდების ბერძნული ფორმაა. ფაზისს პირველად მოიხსენიებს ბერძენი მწერალი ჰესიოდე (ძვ. წ. VIII ს.) თავის ცნობილ ნაწარმოებში „თეოგონია“.

⁸² იე. ჭავჭავიძე, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 45.

⁸³ ა. შანიძე, ხალხური ეტიმოლოგია ლიტერატურაში, ქურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1979, № 4, გვ. 86—88.

პესიოდე ამბობს, რომ არგონავტები ფაზისის საშუალებით შენაგ-
დნენ (კოლხეთში)⁸⁴. სახელწოდება „კოლხეთი“ ბერძნულ მწერ-
ლობაში ჩნდება ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებიდან. არგონავტების
აქ მოგზაურობის დროს ამ მხარეს აია-ს ქვეყანა ეწოდებოდა (იხ.
ზემოთ). საგულისხმოა, რომ პეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობების
მიხედვით ძვ. წ. V ს-ში კოლხები მოიხსენიებიან მხოლოდ ფაზის-
რიონის ხაზამდე⁸⁵. ამ დროს ფაზისსა და კავკასიის ქედს შორის
ცხოვრობს რომელიღაც სხვა დამოუკიდებელი მოსახლეობა, რო-
მელიც, აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, სვან-პენიოხები უნდა იყუ-
ნენ⁸⁶.

აკად. გ. მელიქიშვილი რიონის აუზის, კერძოდ, ანტიკური
ხანის ფაზისის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხის გასარ-
კვევად ღრმა ლინგვისტურ და ისტორიულ ფონზე განიხილავს
ბერძნული წარმოშობის გეოგრაფიულ სახელს ფ ა ზ ი ს ი⁸⁷.

გ. მელიქიშვილის აზრით, სახელწოდება ფაზისი ადგილობრივი
წარმოშობისაა და უკავშირდება დღევანდელ ფოთის სახელს. მეც-
ნიერს ბერძნული ფ ა ზ ი ს ი ს ამოსავალ ფორმად მიაჩნია
ადგილობრივი სახელი, რომელსაც სვანურ- წარმოშობისად თვლის,
რასაც შემდეგნაირად ასაბუთებს: როგორც ცნობილია, ქართულ-
მა და სვანურმა ენებმა ხმოვანი ბგერისათვის შეინარჩუნეს
ძველი საერთო ქართულისათვის დამახასიათებელი მდგომარეო-
ბა, მაშინ, როცა ზანურში ხმოვნებმა ტრანსფორმაცია განი-
ცადეს (კერძოდ სვანური „ა“ და ქართული „ა“ მეგრულში „ო“-დ
გადადის. მაგალითად, აშირ-ასი-ოში და სხვ.), მაგრამ ქართულ-
ზანურ „თ“-ს სვანურში კანონზომიერად შეესატყვისება „შდ“.
მაგალითად, ქართ. ა თ ი, ჭ ა ნ. ვ ი თ, მეგრ. ვ ი თ და სვან. ი ე შ დ.
ქართ. თ ა გ ვ ი, ჭ ა ნ. მ თ უ გ ვ ი, და სვან. შ დ უ გ; ქართ. ო თ-

⁸⁴ აკ. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ.,
1964, გვ. 191.

⁸⁵ პ ე რ ო დ ო ტ ე, ისტორია, თბ., 1975—1976, ტ. I—II, გვ. 1, 2, 104; II,
104, 105; III 97, IV 37; V 79.

⁸⁶ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959,
с. 309; Его же. Наименование города Фазиса и вопрос об этническом
составе населения древней Колхиды, ВДИ, 1966, № 1, с. 85-86.

⁸⁷ იქვე, გვ. 82—86.

ხ ი, ქ ა ნ. ო თ ხ ო, მე გ რ. ო თ ხ ი და ს ვ ა ნ. ვ ო შ თ ხ; ქ ა რ თ.-
მ ე გ რ.-ქ ა ნ. ხ უ თ ი და ს ვ ა ნ. ვ ო ხ ი შ დ; ქ ა რ თ. თ ხ ი ლ ი, მე გ რ.-ქ ა ნ.
თ ხ ი რ ი, და ს ვ ა ნ. შ დ ი ხ; ქ ა რ თ. და თ ვ ი, ქ ა ნ. მ თ უ თ ი, მე გ რ.
თ უ ნ თ ი და ს ვ ა ნ. და შ დ და ა. შ.

აქედან, აკად. გ. მელიქიშვილის დასკვნით, ძველბერძნული ფა-
სი დის ამოსავალი უნდა ყოფილიყო ამ ადგილის სვანური სახელ-
წოდება ფაშდ, რომლის ქართული ფორმაა ფათ, ხოლო მეგ-
რული — ფრთიან ფუთი⁸⁸.

მაშასადამე, ფოთის ძველი სახელწოდების დადგენით შესაძ-
ლებელი ხდება ამ რეგიონის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური
ვიწარობის გარკვევა. როგორც აკად. გ. მელიქიშვილი დასკვნის:
აქედან ცხადი ხდება, რომ აქ სვანურენოვანი მოსახლეობა არსე-
ბობდა ძველბერძნული კოლონიის დაარსების დროს, ე. ი. ძვ. წ.
VIII—VI საუკუნეებში⁸⁹.

სვანური „შდ“ კომპლექსი სპეციალისტებს (გ. როგავა, გ. კლი-
მოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი) თავდაპირველ საერთო ქარ-
თულ მოვლენად მიაჩნიათ, მაგრამ ბერძენი კოლონისტების აღმო-
სავლეთ შავიზღვისპირეთში მიღწევის დროს (ძვ. წ. VIII—VI სს.)
ქართველური ენები უკვე დიფერენცირებული იყო და ამდენად
მაშინ იგი მხოლოდ სვანურის კუთვნილებას წარმოადგენდა. მა-
შასადამე, ბერძნებს იგი მხოლოდ სვანურენოვან მოსახლეობისაგან
შეეძლოთ გადაეღოთ⁹⁰. შემდეგ აკად. გ. მელიქიშვილი იშველიებს
ისტორიულ წერილობით წყაროებსა და სხვა ტოპონიმიკურ ერთე-
ულებს დასავლეთ საქართველოს ბარში ძველად სვანურენოვანი
მოსახლეობის არსებობის დასასაბუთებლად. იქვე მეცნიერი შე-
ნიშნავს, რომ ამ დროს ძველ ბერძნულ სამყაროში ცნობილი

⁸⁸ შდრ. გეორგიკა, IV, გვ. 140.

⁸⁹ იქვე, გვ. 85; შესაძლოა ანალოგიური წარმოშობის იყოს ზესტაფონის
რაიონში ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება ფუთი.

⁹⁰ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

„კოლხების“ განსახლება უნდა ვეძიოთ მდ. რიონის შესართავის სამხრეთით⁹¹. სვანთა ფართო განსახლების კონცეფციას აკად. გ. მელიქიშვილი ბოლომდე იცავს⁹².

აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, შესაძლოა „ფაზისი“, ადრე მდ. კოროხის სახელწოდება, შემდეგ გადმოტანილი იქნა მდ. რიონის სახელწოდებად⁹³. „კოროხი“, აგრეთვე სვანური წარმოშობისაა და იგი ერთ-ერთი ხეობის სახელად სვანეთშიაც გვხვდება. ჩვენი აზრით, ყოველივე ეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარსულში სვანური ეთნოსის მოძრაობასა და მიმოქცევის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს.

აკად. გ. მელიქიშვილი შენიშნავს, რომ ძველად სვანები უეჭველად გაცილებით მეტ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებული, ვიდრე შემდგომ. ამაზე მეტყველებენ, როგორც ისტორიული წყაროების ცნობები, ასევე დას. საქართველოს ტოპონიმის ანალიზი, რომელიც სვანურ სახელებს ავლენს არა მარტო მთიან, არამედ კოლხეთის ბარის ნაწილშიც⁹⁴. მეცნიერი იქვე შემდეგს წერს: „Если под геннохами следует подразумевать преимущественно жившие в данной области сванские племена, то определенное значение приобретает свидетельство Гераклида Понтийского (IV—III вв. до н. э) о том, что на Фазисе первоначально жили гениохи („О государстве“, XVIII, 218). Возможно, сванские племена, на самом деле, были вытеснены из этих районов западногрузинскими племенами лишь в сравнительно позднее время (еще позже их теснят также и абхазо-адыгские племена)“⁹⁵.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა მთლიანად ადასტურებს ამ მოსაზრებას, თუნდაც ის ფაქტი, რომ ახ. წ. VII ს. „სომხეთის გეოგრაფიაში“ დაცული ცნობის მიხედვით სვანური მოსახლეობა ჯერ

⁹¹ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

⁹² იხ. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 50—68; მისივე, ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი, „საქ. ისტ. ნარკვ.“, ტ. I, თბ., 1971, გვ. 341.

⁹³ Г. А. Мелликишвили, К истории древней Грузии, с. 218.

⁹⁴ იქვე, გვ. 93.

⁹⁵ იქვე.

კიდევ არსებობდა შავი ზღვის სანაპიროებზე, კერძოდ: ვაგრის სექტორში (იხ. ქვემოთ).

აქად. გ. მელიქიშვილის მიერ ფაზის ბერძნული ფორმის ადგილობრივ ნიადაგზე ახსნას სავსებით ეიზიარებთ, მაგრამ არ გამოვრიცხავთ ამ ტოპონიმის წარმოშობის მეორე ვარიანტსაც, კერძოდ, სვანურ ტექსტებში დასტურდება ერთგვარი ბალახის სახელად ფაზ, რომელიც ყოველნაირ შინაგან ტკივილებს არჩენს, მაგრამ იგი იშვიათად თუ სადმე ხარობს⁹³. „ფაზ“ ბალახის სახელისაგან „ფაზიშ“ ტოპონიმის წარმოშობა ადვილი შესაძლებელია, მითუმეტეს, რომ „-იშ“ სვანურში კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსია. რომელიც არაერთ გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს. ბალახისა თუ მცენარეების სახელებისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები აგრეთვე უცხო არ არის სვანურ სინამდვილეში. ასე მაგალითად, „სგვირიშ“ ჰქვია სოფელს ჭუბერის სას. საბჭოში (მესტიის რაიონი). „სგვირ“ სვანურად ფართოფოთლოვანი მცენარის ტოტებს ეძახიან; „კვარიც“ სოფელს ეწოდება ლენტეხის სას. საბჭოში. „კვარი“ სვანურად „ასკილს“ ნიშნავს; „წანაშ“ (სოფელი ლენტეხის რაიონში) მომდინარეობს სვანურში ერთგვარი ბალახის სახელისაგან „წანი“ და ა. შ.

ამგვარად, სვანურად „ფაზიშ“ ნიშნავს ადგილს, სადაც გავრცელებულია სამკურნალო თვისების მქონე იშვიათი ბალახი ფაზ. (მედეაც ხომ ბალახებისაგან ამზადებდა წამლებს?!). „ფაზიშ“ გეოგრაფიული სახელი ბერძნებს ადვილად უნდა ეწარმოებინათ თავიანთ ენაზე, რადგან, ჩანს, იგი მიამგვანეს მათ ლექსიკაში არსებულ სიტყვას „ფაზანოა“-ს (ხობობი“). რამდენადაც ბერძნულში „შ“ ბგერა არ არსებობს, ამდენად „ფაზიშ“ ტოპონიმი კანონზომიერად აწარმოეს „ფაზის“ ფორმით.

ასევე დასაშვებად მიგვაჩნია დღევანდელი ფოთის მეგრული წარმოება „ფუთ“, მომდინარეობს არა „ფაზის“ ტოპონიმისაგან, არამედ სვანურ ღვთაებათა პანთეონში არსებული სახელისაგან „ფუშდ“. ფუშდ-ის სახელზე ეკლესიები დღემდე მხოლოდ სვანეთშია ცნობილი. მეგრული „ფუთ“ (ასე ეძახიან ისინი ფოთს), რომ „ფუშდ“ (ვარიანტები: ფუსდ, ფუსტ) სახელისაგან უნდა მომ-

⁹³ სვანური პროზაული ტექსტები, IV, თბ., 1979, გვ. 255.

დინარეობდეს, ამის დასაბუთებლად მიგვაჩნია სვანური „შღ“ კომპლექსის მეგრულში „თ“-დ გადასვლა, რომლის შესახებაც ზეგნით გვქონდა მსჯელობა (მაგ. სვან. იე შ დ, მეგრ. ვით, სვან. შღიზ, მეგრ. თხარი და სხვ.), ე. ი. სვანური „ფუშღ“ მეგრულში მოგვეცემს „ფუთ“-ს.

ამ აღგილის სახელად „ფუთი“ დადასტურებულია ნიკორწმინდის XI ს. სიგელში. ასევე სომეხი ისტორიკოსი ლევონდი ფოთს უწოდებს ფუთ-ს⁹⁷.

„ფუშღ“ სახელისაგან ფუთ//ფოთ-ის წარმომავლობა ოდესღაც აქ აღნიშნული კულტის არსებობაზე მიგვანიშნებს. ფუშღ, იგივე ფუსღ ან ფუსტ ტერმინს უკავშირებენ ხეთების სამეფოს ხატუსასის მმართველის სახელს „ფაუსტ“⁹⁸. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ სვანები ფუსღ//ფუსტს ეძახდნენ აგრეთვე მეფეს, მთავარს. ან თავაღს.

3. ინგოროყვა „ფუსტასა“ და „ფოთს“ შორის პარალელს ავლებს, მაგრამ, როგორც ჩანს, არ იცოდა სვანებში ფუსტის კულტის არსებობის შესახებ⁹⁹.

„ფუსტ“ სახელისაგან არის ნაწარმოები ეთნონიმი ფუსტელნი, რომელთა შესახებაც ცნობებს ვხვდებით ბერძენ ავტორებთან: თეოდოსი განგრელთან (ახ. წ. VII ს.) და ეპიფანე კონსტანტინეპოლელთან (ახ. წ. VIII ს.)¹⁰⁰. ისინი მისიმიანეთში ასახელებენ ციხესიმაგრე ფუსტას, ხოლო მისიმიანებს ზოგჯერ ფუსტელებს ეძახიან. მისიმიანები, რომლებიც მდ. კოდორის სათავეებში ცხოვრობდნენ, სვანთა ერთ-ერთ ტომადაა მიჩნეული¹⁰¹. ფუსტ-ის კულ-

⁹⁷ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965, II, გვ. 51.

⁹⁸ იხ. რ. გორდეზიანი, „ფაზისის“ ეტიმოლოგიისათვის, თსუ შრომები, (140), ჰუმანიტარული მეცნიერება, თბ., 1971, 181. Г. А. Меликишвилн. Возникновение Хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии, ВДИ, 1965, № 1, с. 8—9; მისივე, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, „საქართველოს ისტ. ნარკვ“. ტ. I, გვ. 22—23; თ. მიქელაძე, ძიებანი..., გვ. 20.

⁹⁹ 3. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 156, 229.

¹⁰⁰ გეორგიკა, IV (I), 1941, გვ. 38, 57.

¹⁰¹ ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი, თსუ შრომები, ტ. I, 1936.

ტი, რამდენადაც დღემდე მხოლოდ სვანეთშია შემორჩენილი, კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის მისიმიანების სვანურ წარმომავლობას. მეორე მხრივ, ამას მხარს უჭერს მდ. კოდორის ხეობაში გავრცელებული სვანურენოვანი გეოგრაფიული სახელები, მათ შორის თვით ამ კუთხის ძველი სახელწოდება და ა.ლ.

ამდენად, შესაძლოა ფოთის ტერიტორიაზე მოსახლე სვანებს გააჩნდათ ფუსტის სახელობის საკულტო ნაგებობა, რომლისგანაც შემდეგ ამ ადგილმა მიიღო სახელი ფუთი, იგივე ფოთი.

რიონი

რიონი თავიდანვე მდინარის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ფაზისი მას ბერძნებმა უწოდეს, თუმცა ეს გეოგრაფიული სახელიც ადგილობრივი წარმოშობისაა. „ფაზიშ“ ტერმინი ბერძნებმა ადვილად აითვისეს, რადგან იგი დაუკავშირეს ფონეტიკურად მსგავს ბერძნულ „ფაზანოზს“ (ხოხობი).

„რიონ“ სახელს ინდო-ევროპული წარმოშობის ჰიდრონიმად მიიჩნევენ და შესაძარებლად იშველიებენ მდინარეთა სახელებს— რაინ//რეინ¹⁰².

მართალია, აქ სიტყვათა მსგავსებას აქვს ადგილი, მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული ჰიდრონიმის ახსნა გვეცა— და იმ ხალხის ენაზე, რომელთა განსახლების არეალსაც რიონის ხეობა წარმოადგენდა.

აღნიშნული ჰიდრონიმი ადვილად იხსნება სვანური ენის მონაცემებით სვანურად „რიენ//რივენ“ ნიშნავს წყალუხვს¹⁰³. სწორედ აქედან ჩანს ნაწარმოები ჰიდრონიმი რიონ-ი, ეს ფაქტი ოდესღაც რიონის აუზში სვანთა განსახლების დამადასტურებელია. რიენ//რივენ-ს სვანები ხშირად მდ. ენგურის მიმართაც ხმარობენ იმ გაგებით, რომ ისიც წყალუხვი და ბობოქარია.

¹⁰² გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის საკითხისათვის, გვ. 230; *Л. Н. Асатиани. К этимологии грузинских гидронимов Rioni и Aragwi, в кн.: «Ономастика Кавказа». Орджоникидзе, 1980, с. 96—102.*

¹⁰³ იხ. სვანური პროზაული ტექსტები (ბალს ქვემოური კილო), II, თბ., 1957, გვ. 241—242.

ეს სიტყვა სევანურში ახალი გაჩენილი არ არის და თუ იგი ინდოევროპულშიც დასტურდება, ეს სულაც არ უშლის ხელს იმის მტკიცებას, რომ აღნიშნული გეოგრაფიული სახელი სევანთა რიონის აუზში მოსახლეობის დროს იყოს გაჩენილი. ქართველურ ენებში ინდოევროპულ სიტყვათა არსებობის არაერთი ფაქტი დასტურდება, მაგრამ, როგორც გ. მელიქიშვილი შენიშნავს, ისინი მაინცდამაინც არც ერთი იმ ინდოევროპული ენის გზით არ უნდა იყოს შემოსული, რომელთა მატარებელ ხალხებთან ქართველ ტომებს ახლო ურთიერთობა სქიანდა ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ წარსულში (ბერძნები, სპარსელები, სომხები, სკვითები, სარმატები, ალანები, თრაკიელები ან ურიგიელები და ხეთურ-ლიკურთა ჯგუფის ხალხები მცირე აზიაში)¹⁰⁴.

სამტრედიის რაიონი

ჯ ე ჯ ი კ ო ჯ რ ა — მთა სოფელ ოფეთის ტერიტორიაზე. ჯეჯი//ჯოჯი//ჯოჯილ მამაკაცის საკუთარი სახელია სევანებში. „კოჯრა“ სევანურად კლდოვანს ნიშნავს.

ხ უ მ ფ რ ა ლ ი — ტყეს ჰქვია სოფელ გორმალას ტერიტორიაზე. სევანურად „ხუმფრალ“ შვერილებს აღნიშნავს. „ხუმფრალ“, ე. ი. შვერილებიანი, ქიშხიანი ფერდობი, აღმართი, მთა ან კლდე. სახელი „გორმალაც“ იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ოდესღაც მაღალი გორა იყო.

აბაშის რაიონი

ნ ა კ ა — (საყანე სეფიეთის ს/საბჭოში) „ნაკ“ სევანურად ვაკეს ნიშნავს, ხოლო ნაკარ — ვაკეებს, დაბლობ ადგილს.

კ ო დ ო რ ე — (ადგილი გეზათის ს/საბჭოში). კოდორე არის „ტყიანი, მაგარი მიწა, უნაყოფო“. ასეთი მიკროტოპონიმები სოფელში სხვაც გვხვდება. კოდორე ჰქვია ადგილს ნაესაკაოს ს/საბჭოშიც. აღნიშნულ ტოპონიმთან დაკავშირებით ასეთი გადმოცემაა

¹⁰⁴ გ. მელიქიშვილი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, სი5. 1, გვ. 346, 347, 351.

ჩაწერილი: „ღარიბი ხალხი — კოდორები ჩამოსახლებულან“¹⁰⁵. იმავე რაიონში გვხვდება ადგილის სახელწოდებები: კოდორქალაქი, კოდორფონი და ა. შ.

ისმის კითხვა — ხომ არ იგულისხმება ამ კოდორებში კოდორის ხეობიდან გადმოსახლებული ხალხი?

აღსანიშნავია, რომ კოდორის ხეობაში მცხოვრები სვანი მისი-მიანები VII ს. შემდეგ წყაროებში არ მოიხსენიებიან, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აღნიშნულ ხეობაში მათ VIII საუკუნემდე არ უცხოვრიათ. მისიმიანთა გარკვეული ნაწილის გადასვლა ნავარაუდევია მეზობელ მხარეში — ყუბანის სათავეებში, სადაც სვანთა განსახლების კვალი დღემდე ჩანს (მატერიალური კულტურის, გეოგრაფიული სახელთა, გადმოცემების, გვარ-სახელებისა და წერილობითი ცნობების სახით). მეორე ნაწილი მისიმიანებისა ბალს ქვემო სვანეთში, კუბერის ხეობაში შეიძლება გადასულიყო. მესამე ნაწილი ალბათ აფხაზურ ნიადაგზე იქნა ასიმილირებული. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ კოდორელ მისიმიანთა ნაწილი სამეგრელოს ბარში არ ჩამოსახლებულიყო, სადაც ამ დროს შესაძლოა ჯერ კიდევ აქა-იქ არსებობდა სვანური მოსახლეობა.

კოდორის სათავეებში, სადაც მისიმიანები მოსახლეობდნენ, ერთ დასახლებულ პუნქტს კა დ ა რ ეწოდება. აღნიშნული ტოპონიმი სვანურია და ნიშნავს მშრალს. კ ა დ ა რ ი, აგრეთვე, ადგილს ჰქვია აბაშის რ-ნის ს/საბჭოში. აბაშის ხსენებული სოფელიც კოდორის ხეობის სოფ. კადარის მსგავსად ქვიანია. ასეთ სახელს აბაშის ს/საბჭოში კიდევ ატარებს ერთი ადგილი, რომელიც აგრეთვე ქვიანია. საფიქრებელია, ხომ არ მომდინარეობს თვით სახელწოდება კოდორი სვანური სიტყვისაგან „კადარ“, რომელ სახელსაც ატარებს სოფელი აღნიშნული მდინარის სათავეებში?

კოდორის ხეობაში სოფ. კადარი მდებარეობს ლათას ს/საბჭოს ტერიტორიაზე. ლათა, აგრეთვე სვანურია და გასაყოფ ადგილს ნიშნავს. შესაძლოა ამ ტოპონიმის შინაარსი მართლაც ასახავდეს ოდესღაც მისიმიანთა გაყოფის ფაქტს.

თუ ლათა-დან მოხდა მისიმიანთა გაყოფა, მაშინ ცხადია მოსახ-

¹⁰⁵ გ. ელიავა, აბაშისა და გეგუქორის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1977, გვ. 19, 27, 39, 51, 63, 57, 52, 64.

ლეობის გარკვეული რაოდენობა ადგილზეც უნდა დარჩენილიყო. ამ დარჩენილმა მოსახლეობამ ჩანს დაუმკვიდრეს ამ ადგილს სახელი ლათა (გასაყოფი). შემდგომ ეს ლათელი მისიმიანები აფსილებში ტუნდა ასიმილირებულიყვნენ.

მისიმიანთა აყრა თავიანთი დედა-ბუდიდან უნდა განეპირობა წერ ბიზანტიელთა, ხოლო შემდეგ არაბთა შემოსევებს.

ჭობარ — (წყემის ს/საბჭოშია) სვანურად ჭობარ//ჭუბარ წაობიან ადგილს ჰქვია. „ჭუბერ“ სოფელს ჰქვია მესტიის რაიონში.

ლანწრული — (ადგილი მარანის ს/საბჭოში) ეს ტოპონიმი მოგვაგონებს სვანურ სიტყვას „ლანწრალ“.

„ლანწრალ“ სვანურად სასიმწარო ადგილს ნიშნავს. ტოპონიმი „ლანწრული“ „ლანწრალ“ სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს.

სვანურში არსებობს მეორე სიტყვაც, რომელიც აღნიშნულ ტოპონიმთან ფონეტიკურ მსგავსებას ამჟღავნებს. ეს არის სიტყვა „ლანწრა“, რაც ნიშნავს საბედისწეროს, ე. ი. საბედისწერო ადგილი.

ჩვენი აზრით. სვანური „ლანწრალ ან „ლანწრა“ „ლანწრული გეოგრაფიული სახელის ამოსავალი უნდა იყოს.

სენაკის რაიონი

ზუგუ — საძოვარი სოფელ გეჯეთში. „ზუგუ“ სვანურად ბორცვს ჰქვია. შესაძლოა ზუგ-დიდის თავდაპირველი სახელიც მასვე უკავშირდებოდეს.

ლახორე — ადგილს ჰქვია. ეს უნდა იყოს სვანური ლახორ//ლახორ, ე. ი. საკრებულო ადგილის აღმნიშვნელი. სვანურად „ლახორ“ კრებას, ყრილობას ნიშნავს. ლახორე//ლალხორე სვანური ტოპონიმიდან უნდა მიგვეღო ოდნავ ტრანსფორმირებული ლე-ხორე.

ხობის რაიონი

დროთა განმავლობაში სვანეთის საზღვრები იცვლებოდა. „სვანთა საერისთავო ოდნავადაც ვერ მოიცავს ძველ სვანეთს“, —

წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი¹⁰⁶. XV—XVII ს. სვანეთი კარგავს „მთიულელს“ (სედა რაჭა), ადრე კიღევ სხვა მხარეებს. ნ. ბერძენიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს: „ფეოდალურ ურთიერთობას ნაზიარები სვანეთი კარგავდა „სვანობას“, ქართველგლეხდებოდა — ზედა რაჭა, ლეჩხუმი, მეგრელგლეხდებოდა — ხობისწყლის სვანეთი“¹⁰⁷.

„ბარის სვანეთმა ვერ გაუძლო ბარის ფეოდალური ურთიერთობის შემოტევას და ის „გაქართველდა“, მთა გადაურჩა ამ შემოტევას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ მთა ჩაკეტილი იყო“¹⁰⁸. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით. ბარის „მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ სვანური მოდგმისანი არიან. განსაკუთრებით სამეგრელო, რაჭა. ლეჩხუმი და ეს მომენტი გვიან წარმოშობილი კი არ არის. არამედ უძველესი დროიდან მოდის“. მკვლევარი შენიშნავს: „მდინარე ხობი რომ სვანეთზე მიედინება. ეს ბერძენ მწერალს დაუცავს“. ალბათ მხედველობაში ჰყავს პლინიუსი (23—79 წწ.), რომელიც წერს, რომ მდინარე ხობისი კავკასიონიდან სვანებზე ჩამოდის¹⁰⁹. ნ. ბერძენიშვილი იქვე განაგრძობს: „ხობის წყლის მარჯვენა სანაპიროს ტოპონიმიკაც ხომ საოცარ სიმრავლეს ავლენს სვანური ტოპონიმებისას. ხოლო ასეთ კონტექსტში დადიანებს მიერ ხობის მონასტრის აპოჩემება შეიძლება შემთხვევითი გარემოება არ იყო“¹¹⁰. დადიანები ნ. ბერძენიშვილს სვანური წარმოშობისად მიაჩნია¹¹¹.

ხობის რაიონში სვანური ტოპონიმების გამოვლენის საქმეში ჩვენს გამოკვლევას სისრულის პრეტენზია არა აქვს. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

¹⁰⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975, გვ. 149.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 426.

¹⁰⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975, გვ. 427.

¹⁰⁹ იხ. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1973, გვ. 32.

¹¹⁰ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 431.

¹¹¹ იქვე, გვ. 428, 362.

ყორათი — (სოფელი შუა-ხორგის ს/საბკოში). „ყორა“ სვანურად კარს ჰქვია. ყორათი-ათ სუფიქსის დართვის შემდეგ გაიზარება როგორც ზეკარი, შემოსასვლელი (იხ. ყორალი).

ხეთა — სოფელი. სვანეთში, დაბა მესტიაში ერთ სოფელს ეწოდება ლეხთაგ, რომელიც ასე დაიშლება: ლე-ხეთ-აგ, ლეხ-თაგი, რაც სვანურად ნიშნავს ხეთების დასახლებას. სვანეთის ლეხთაგი და სამეგრელოს ხეთა ერთი წარმოშობის ტოპონიმებია; ორივე გეოგრაფიული სახელი ინახავს ხეთების აღმნიშვნელ სიტყვას (მთლად ნათელი არ არის სვანურ ლეხთ-აგ ტოპონიმში -აგ დაბოლოების მნიშვნელობა. შესაძლოა იგი შუმერულიდან მომდინარე ელემენტია. -აგ შუმერულში გვხვდება ღვთაებათა და პირთა სახელების დაბოლოებად, მაგალითად ნუნმეთ-აგ და სხვ. შუმერულში -აგ ნიშნავს „შემკულს“). სვანური სიტყვა „ხეთ“ („ფიცხი“) ხეთების აღმნიშვნელი ტერმინია.

ჩვენი აზრით, ხობის ხეთადან არის ნაწარმოები სვანეთის სოფლის სახელი ლეხთაგ, ე. ი. ხეთადან გადასულებმა იქ თავიანთ დასახლებას ასეთი სახელი უწოდეს, ამაზე მიგვანიშნებს ლე-პრეფიქსი, რომელიც ერთვის აღნიშნული სოფლის სახელს.

ცხადია, რომ არც სამეგრელოში და არც სვანეთში ხეთების დასახლებას არ უნდა ჰქონოდა ადგილი, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ტოპონიმები სვანებში ხეთური ეთნიკური ელემენტის არსებობაზე მიგვანიშნებენ.

სვანურში ხეთური ელემენტის არსებობაზე მიგვანიშნებს შემდეგი ფაქტებიც: პროტოხეთურში ამინდის, ელვა-ჰექსის ღმერთს ერქვა ტარო (ტარუ). აქიდან უნდა მომდინარეობდეს ქართული სიტყვა ტაროსი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „ამინდის მსგავსი მოგზაურთათვის, კეთილი დარი თუ ბოროტი ზღვასა, თუ კმელეთზე შეხუდეს“ (იხ. ქვემოთ—ტარუ, ფუსტ).

გოლა — ანუ წინა გოლა ეწოდება ერთ სოფელს ხეთის ს/საბკოში. სვანურად „გოლა“ ფერდობ ადგილს ნიშნავს. სოფ. წინა გოლაში ასეთი მიკროტოპონიმი ალბათ რომელიმე ფერდობს აღნიშნავდა. შემდგომ ამ მიკროტოპონიმის გეოგრაფიული არე უფრო გაფართოვდა და ბოლოს სოფლის სახელადაც კი იქცა.

ზუგდიდი — სვანურ-ქართულ სიტყვათა შეერთების შედეგად მიღებული ტოპონიმი უნდა იყოს. სვანურად „ზუგ“ — ბორცვს ნიშნავს, „დიდი“ ქართული სიტყვაა, ე. ი. დიდი ბორცვი. თუ რამ განაპირობა ასეთი სახის ტოპონიმის წარმოშობა, ანელი სათქმელია.

ტოპონიმ „ზუგდიდის“ განმარტებას საგანგებო გამოკვლევა უძღვნა პროფ. შოთა მესხიამ¹¹². დიდძალი ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ შ. მესხია მიდის იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირველად ამ ადგილის სახელი უნდა ყოფილიყო არა „ზუგდიდი“, არამედ „ზუბდიდი“. მაგრამ „ზუბ“ ტერმინი მისთვის გაურკვეველია. შრომის დასასრულს იგი წერს: „ცხადია, ინტერესს იწვევს თვით „ზუბის“ შინაარსისა თუ მნიშვნელობის გარკვევა; დასავლეთ საქართველოში ასე გავრცელებული ზუბ-ი ზუფ-ი იქნება დასავლურ-ქართული ეთნიკური ტერმინიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი იყოს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისათვის დამატებითი საგანგებო კვლევა-ძიებაა საჭირო“¹¹³.

„ზუბი“ სოფლის სახელებად გვხვდება ხობისა და ცაგერის რაიონებშიც, სადაც დიდი რაოდენობით დასტურდება სვანური გეოგრაფიული სახელები, რამეთუ ამ რეგიონების მოსახლეობა ისტორიულ წარსულში სვანურენოვანი იყო. ამიტომ „ზუბ“-ი სვანური „ზუგ“-ის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. უმწიკვლო ფორმით იგი მხოლოდ „ზუგდიდ“ ტოპონიმმა შემოინახა.

„ზუგდიდ“ ტოპონიმის ახსნა სვანური ენის მეშვეობით უცდარაოლივერ უორდროპს მის მიერ 1911 წელს გამოცემულ „ინგლისურ-სვანურ ლექსიკონში“¹¹⁴.

¹¹² შ. მესხია, „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“, კრებულში: „ორიონი“ (მოდუნილი აკ. შანიძის 80 წლის იუბილისადმი), თბ., 1967, გვ. 244—250.

¹¹³ იქვე, გვ. 250.

¹¹⁴ English-Svanetian Vocabulary by Oliver Wordrop, Journal of the Royal Asiatic Society, London, July, 1911, 589-634 pp.

მარტვილის რაიონი

ლ ა ს ი ა — ტყე ვედიდში (ტალერის ს/საბჭო). მესტიის რაიონის იფარის ს/საბჭოს ტერიტორიაზე ერთ ხეობას ჰქვია „ლ ა ს ი ი ლ“ (ლასილ, სადაც დაბოლოება -ილ კნინობითის გამომხატველია სვანურში). ჩენი აზრით, „ლასია“ და ლასი-ილ ერთი და იმავე წარმოშობის ტოპონიმებია. ტოპონიმის შინაარსი ჩვენთვის გაურკვეველია. სვანურში არსებობს სიტყვა „ლასიმ“, რასაც წვიმაში თუ თოვაში, ანუ უამინდობის დროს თავშესაფარს ეძახიან. სვანეთში „ლასილ“ ხეობის სახელად გვხვდება; მარტვილის რაიონშიც „ლასია“ ტყეს ჰქვია. ასეთ ადგილებში თავშესაფარი ყოველთვის მოიძებნება, ამიტომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ლასია//ლასილ სვანური „ლასიმ“ სიტყვისაგან მომდინარეობდეს.

ლ ა ხ ვ ა შ ი ა — ლელეს ჰქვია კიწიაში. იგი უნდა მომდინარეობდეს სვანური სიტყვისაგან „ლახვამ“, რაც მთიან მხარეს ნიშნავს. სვანურად „ლახვ“ — მთას ნიშნავს.

ლ ე ბ ა რ დ ე — (მდინარე, მთა და კურორტი) ტოპონიმი სვანური წარმოებისაა და ასე დაიშლება: ლე-ბარდ-ე. ლე-ა სვანური კონფიქსია, ხოლო „ბარდ“ სუროს ჰქვია, ე. ი. ლებარდე ნიშნავს სუროიან ადგილს.

ლ ე ბ ა ჩ ე — (სოფელი მარტვილის რაიონში) „ლებაჩე“ სვანურად ქვიან ადგილს ნიშნავს (იხ. ზემოთ „ლებაჩე“).

ე ც ა ნ ე-ც ა ნ ა თ ი — (უბანი ნახუნაოს ს/საბჭოში), ე. ი. ცანეზის, ცანაეების უბანი. ცან, წან, წანარ სვანური ან შესაძლოა სვანურ-ზანური ნარევი ტომი იყო. აღნიშნული ტოპონიმის ძირია „ცან“.

კ ა დ ა რ ი — (ქვიანი ადგილი დოშაყეს ს/საბჭოში) „კადარ“ სვანურად მშრალს ნიშნავს. ე. ი. მშრალი ადგილი. მართლაც და ადგილი, რომელიც „კადარ“ სახელს ატარებს, ყველგან მშრალი და ქვიანია¹¹⁵.

¹¹⁵ გ. ე ლ ი ა ე ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 142, 154, 169.

ხუბუერი — (უბანი სოფ. კიწიაში) ტოპონიმის სვანურ წარმოებაზე მიგვანიშნებს -ერ დაბოლოება. ენგურის ხეობაში ერთ სოფელს, აგრეთვე „ხუბერი“ ეწოდება.

რობუ — ხრამს ჰქვია გურძემის სას. საბჭოში. სამეგრელოში მსგავსი ტოპონიმები სხვაგანაც გვხვდება. რობუ. რობლ სვანეთში ჰქვია ჩაღრმავებულ ადგილებს. იგივე მნიშვნელობით იხმარება იგი მეგრულში.

ღვაბრა — (ღელე სალხინოს სას. საბჭოში) „ღვებუ“ ჰქვია ერთ ადგილს გაქედლის სას. საბჭოში. მესტიის რაიონში არის სოფელი „ღვებრა“. ღვებრა//ლობრა სვანურად ნიშნავს სკებს, ადგილს სადაც სკებია.

მუზერა — ეწოდება სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთის ტყიან ზოლს. „მაზერ“ სოფელს ჰქვია მესტიის რაიონში. „მუზერა“ და „მაზერ“ ერთი წარმოშობის უნდა იყოს, მაგრამ ჯერჯერობით მათი ეტიმოლოგია ჩვენთვის გაუგებარია. თუ აღნიშნულ ტოპონიმებში -ერ-ა და -ერ სვანურ სუფიქსებს გამოვყოფთ, მაშინ ფუძეში მუზ-ა და მაზ-ი საკუთარ სახელებს მივიღებთ. ასეთ შემთხვევაში მუზერა და მაზერ სვანურ შინაარსს ღებულობს და ნიშნავს ადგილებს, რომელიც ეკუთვნოდათ მუზას ან მაზის. მუზა და მაზი საკუთარი სახელები სვანეთში დღესაც გვხვდება. წარსულშიაც ეს სახელები მხოლოდ სვანეთშია ფიქსირებული¹¹⁶.

ტალერი — (სოფელი მარტვილის რაიონში) გ. ელიავას განმარტებით ამ სოფლის სახელი მომდინარეობს ფულის ერთეულის სახელისაგან „ტალერი“. მის მიერ ჩაწერილი ვადმოცემის მიხედვით ამ ადგილას ბანკი ჰქონიათ უცხოელ ვაჭრებს: ბერძნებს. თათრებს, ფრანგებს. ისინი ქვიბიასა და ტეხურის ხეობებში ხეტყის დაშინადებას მისდევდნენ. მუშებს საზღაურს ფრანგული ფულით ტაერათი (სწორია ტალერი) უხდიდნენ¹¹⁷.

ღელის ერთეულის სახელწოდებად ტალერი ცნობილია და

¹¹⁶ ს. ლონტი, ქართული საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 107, 107.

¹¹⁷ გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

იგი იხმარებოდა გერმანიაში 1884—1907 წლებში, ავსტრიაში — 1925, ეთიოპიაში — 1950, იემენის არაბთა რესპუბლიკაში — 1965 წლებამდე¹¹⁸. ეს იყო ვერცხლის მონეტა.

თუ აღნიშნული სოფლის სახელი ხსენებული ფულის ერთეულისაგან მომდინარეობს, მაშინ ეს ტოპონიმი მე-19 საუკუნეზე ადრე არ უნდა გაჩენილიყო.

ტ ა ლ ე რ გეოგრაფიული სახელის ახსნა შეიძლება ქართულ ნიადაგზეც. „ტალა“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „მოგზაურთ დარაჯა ღამით“. ამ „ტალა“ სიტყვიდან მომდინარეობს მესტიის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელი ლ ა ტ ა ლ ი (ლა-ტალი). „ტალერ“ სვანური -ერ დაბოლოებით აგრეთვე ნიშნავს სადარაჯო ადგილს, სათვალთვალო პუნქტს.

ჩხოროწყუს რაიონი

კ ა ლ ა შ ი — ტბა და მდლობი მუხურში. მსგავსი ტოპონიმები გვხვდება გურიასა და სვანეთში¹¹⁹. ტოპონიმი სვანური წარმოშობისაა და ნიშნავს კალოიან ადგილს.

ლ ა ხ ა რ ხ ა — სათიბს ჰქვია სოფ. ახუთში. სვანურად „ლა-ხარხა“ სახერხ ადგილს აღნიშნავს, ე. ი. სადაც მოწყობილია სახერხი, ან სადაც ხერხავდნენ შუშას და ა. შ.

მ ო ლ ა რ ი — ადგილს ჰქვია ჭოღაში. „მოლარ“ სვანურად მოლიანს ნიშნავს. ადგილის სახელად სვანეთშიაც გვხვდება „მოლარ“ ან „მოლიერ“.

წალენჯიხის რაიონი

ბ ა ჩ ა შ ი წ ყ უ რ გ ი ლ ი — წყარო მიქავას სახ. საბჭოში. „ბაჩ“ სვანურად ქვას ჰქვია. „ბაჩაში წყურგილი“ — ქვიანეთის წყარო, ან უბრალოდ ქვის წყარო, ე. ი. ქვიდან გამომდინარე.

გ ვ ა ნ დ რ ა — მთა, საძოვარი წალენჯიხაში. ასეთ სახელს ატარებს ერთ-ერთი მთა აფხაზეთის სვანეთში, სადაც წარსულში

¹¹⁸ В. В. Зварич, Нумизматический словарь, Львов, 1979. с. 163-165.

¹¹⁹ ვ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 141.

მისიმიანთა სევანური ტომი იყო განსახლებული. „გვალდ“ — მთა მესტიის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე (შდრ. გვანდ-რა// გვალდ). ტერმინი გაუგებარია.

ლ ა რ ა — სოფელი ჯგალის სას. საბჭოში. „ლარა“ სევანურად სათიბს ჰქვია.

ლ ა ფ თ ა რ ა — ლელე ობუჯში. „ლაფთარ“ სევანურად თმის საჩეჩ ადგილს ნიშნავს.

ლ ა ღ ვ ა შ ი ა — ლელე ჯვარში. ეს ტოპონიმი ასე დაიშლება: ლა-ღვაშ-ი-ა, სადაც სევანურია პრეფიქსი ლა- და ფუჟე — „ღვაშ“ (ჯიხვი). „ლაღვაშია“ სევანურად ნიშნავს საჯიხვეს.

ლ ა ჩ ა ხ ვ ა — ლელე მიქავაში. „ლაჩახვა“ სევანურად საძოვარს ნიშნავს.

ლ ე ჟ ა — უბანი ნაკიფუს სას. საბჭოში. „ლეჟა“ სევანურად აღმოსავლეთს ნიშნავს, ამ შემთხვევაში აღმოსავლეთის უბანი. მსგავსი ტოპონიმები სევანეთშიაც ბევრგან გვხვდება. მაგალითად, „ლეჟა ლახვ“ — აღმოსავლეთის მთა, „ლეჟა უბან“ — აღმოსავლეთის უბანი და სხვ. (შდრ. გვარი ლეჟავა).

ლ ე ხ ა მ უ ლ ა — ადგილი მუჟავაში. ზემო სევანეთში ერთ სოფელს ლახამულა ჰქვია და ნიშნავს საღორიას. ლეხამულა და ლახამულა ერთი და იმავე შინაარსის მქონე ტოპონიმი უნდა იყოს.

ლახამულა სევანეთის აღნიშნულ სოფელს ერქვა XIII საუკუნეშიაც. იმავე ენგურის ხეობაში ერთ სოფელს ჰქვია „ხუდონ“-ი (აქედან: ხუდონჰესი), რაც ალანურია და ღორების ჯალას ნიშნავს. ლახამულას ჩრდილოეთის მხარეზე სევანეთიდან იმიერკავკასიაში ერთ-ერთ გადასასვლელსა და მთას „დონღუზორუნი“ ჰქვია, რაც თურქულ ენაზე აგრეთვე ღორების სადგომ ადგილს ჰქვია. ერთმანეთის მომიჯნავე ამ გეოგრაფიული ობიექტების სახელებში სამივე ენაზე რატომღაც ღორის სახელი ფიგურირებს.

ნ ა კ ი ა ნ ი — სოფელი ჩხოროწყუში. „ნაკ“ სევანურად ვაკე და ნაკიანი—ვაკიანი (ადგილი).

მ ა ლ ი შ ი — ადგილი მუჟავაში. „მალში“ სევანურად ერთგვარ ფრინველს ჰქვია. მაშასადამე, „მალში“ — ადგილი, სადაც ეს ფრინველი გვხვდება.

ტოპონიმური თვალსაზრისით, აფხაზეთი ჯერ კიდევ კარგად შესწავლილი არ არის, თუმცა ამ საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია, მათ შორის ყველაზე უფრო სრულყოფილად შეიძლება მივიჩნიოთ პროფ. შ. ინალ-იფას საგანგებო გამოკვლევა შიძღვნილი აფხაზეთის ტოპონიმისადმი¹²⁰.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გეოგრაფიულმა სახელებმა, რომელთა ახსნა სვანური ლექსიკური ნორმების გამოყენებით ადვილად შეიძლება, ამასთანავე, მათი ეტიმოლოგიის დადგენა აფხაზური ენის მეშვეობით არ ხერხდება, რაშიც გვარწმუნებს შ. ინალ-იფას აღნიშნული გამოკვლევა.

იმ შემთხვევაში, თუკი ტოპონიმის ახსნა შესაძლებელია ორივე — სვანური და აფხაზური ენის მეშვეობით, უპირატესობას ვანიჭებთ აფხაზურს. აფხაზეთის ტოპონიმიაში აფხაზურის გარდა რომ არააფხაზურიც გვხვდება, ამის შესახებ შ. ინალ-იფა წერს: „В топонимике Абхазии и во всякой другой имеются наслонения разных эпох и разной этно-племенной принадлежности, что, в частности, служит выражением передвижений и инфильтрации разных племен и этнических групп на данной территории“¹²¹.

გალის რაიონი

ღუმურიში — სოფელი. ღუმირ//ღუმურ სვანურად ნაძვს ჰქვია. აქიდან „ღუმურიში“, ე. ი. ნაძვნარი. პროფ. შ. ინალ-იფა ამ ტოპონიმთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ გადმოცემის მიხედვით მას ადრე ეწოდებოდა „გუმრიფშ“¹²² („ღუმრიფშ“).

ღვაში გვერდი — სოფელი საბერიოს სას. საბჭოში. სვანურად „ღვაშ“ ჯიხვს ჰქვია. „გვერდი“ კი მეგრული სიტყვაა და ნახევარს ნიშნავს. შესაძლოა ეს ადგილი მონადირეთათვის ნანადირევის გასაყოფი ადგილი იყო.

მეგრულ-სვანური წარმოშობის ტოპონიმების არსებობა შესაძლოა მეგრულ-სვანურ ნარევ ტომზე მივანიშნებდეს. როგორც

¹²⁰ Ш. Д. Инал-Ифа. Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, 1976, с. 373-388.

¹²¹ იქვე, გვ. 375.

¹²² შ. ინალ-იფა, დასახ. ნაშრომი, გვ. 379.

ცნობილია, კლავდიოს პტოლემეაიოსის (II ს. ახ. წ.) ცნობით არსებობდა სუანხო-კოლხური ტომი¹²³, რომელსაც იგი დღევანდელ გაერის ტერიტორიაზე ათავსებს.

ლ ა კ ა დ ა — ჰქვია მდ. კოდორის ხეობიდან მთელ აფხაზეთისა და სამეგრელოს მთის ტყიან ზოლს. „ლაკადა“ სვანური წარმოშობის ტოპონიმია და ნიშნავს სანაჯახეს.

ტ ო გ ო ნ ი — სოფელი აჩიგვარის სას. საბჭოში. სვანურად „ტოგან//ტუგენ“ ჰქვია ქვიტკირის სახლის ქვედა სართულის (მაჩუბის) კედელში საგანგებოდ ამოჭრილ ადგილს, რომელშიაც აწყობდნენ სამეურნეო იარაღებს. წარსულში შეიძლება სხვა დანიშნულებაც ჰქონდა. საბას განმარტებით ტოგუნი არის „მაღალი საჯდომი მოვლებული“.

ლ ა ბ გ ა — საძოვარი ფახულანდის ტერიტორიაზე. „ლაბგა“ სვანურად სამაგრ ადგილს ჰქვია.

ლ ა კ ბ ა რ ა შ ი — ადგილია მზიურის სას. საბჭოში. აღნიშნულ ტოპონიმში ლა—აშ სუფიქსები სვანური კომფიქსია. ფუძე იმდენად დამახინჯებულია, რომ მისი ამოცნობა არ ხერხდება.

ლ ა ჯ ი მ ო ნ ი — ტყე საბერიოს სას. საბჭოში. აღნიშნულ ტოპონიმში ლა- სვანური პრეფიქსია, „ჯიმონი“ ჩვენთვის გაურკვეველია. „ჯიმ“ სვანურ-მეგრულად მარილს ჰქვია. შესაძლოა ლაჯიმონი სამარილე ადგილს ნიშნავდეს. ჩვენი აზრით ტოპონიმი ასე უნდა დაიშალოს: ლა-ჯიმ-ონ-ი.

ც ა ნ ა შ — საძოვარს ჰქვია ფახულანდის ტერიტორიაზე. აღნიშნული ტოპონიმი ცან//წან//წანარ ეთნონიმიდან უნდა მომდინარეობდეს (იხ. ზემოთ).

ოჩამჩირის რაიონი

ტ ა მ ი შ — სოფელი. აღნიშნულ ტოპონიმში სვანურია ფუძე — „ტამ“ (შიმშილი) და სუფიქსი — იშ¹²⁴. „ტამიშ“ სვანურად გაიგება საშიმშილე, უმოსავლიანო ადგილის შინაარსით. გადმოცემით ტამიში მართლაც ყოფილა უმოსავლიანო ადგილი.

¹²³ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელ-წიქვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

¹²⁴ შ. ქალღანე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67—69.

ტოპონიმი „ტამიშ“ აღნიშნულია XIV—XV საუკუნეების იტალიურ რუკებზე, ნ. დადიანის ქც-ში (გვ. 46)¹²⁵. 1654 წელს იტალიის ქ. ნეაპოლში გამოვიდა იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის წიგნი „აღწერა კოლხიდისა, რომელიც ეხლა იწოდება სამეგრელოდ“, სადაც ლაპარაკია ამ ქვეყნის წარმოშობის, ზნე-ჩვეულებისა და ბუნების შესახებ, მასში მოთავსებულია ოდიშის სამთავროს რუკა. აღნიშნული რუკა და მასზე მოცემული გეოგრაფიული ობიექტების შესახებ გამოკვლევა გამოაქვეყნა თ. ბერაძემ¹²⁶. ამ რუკის მიხედვით სოფ. ტამიშთან დგას სვანური ოთხკუთხა კოშკის მსგავსი ძეგლი, რომელსაც სათამაშია ეწოდება. აი რას წერს ვ. ჩერნიავესკი ამ კოშკის შესახებ: „Квадратный массивный замок суживается кверху, входа не имеет, по углам снабжен контрфорсами. Вокруг остатки фундаментальной стены замыкает бывший квадратный двор. Стены замка из галша. Сообщение его с внешним миром производилось через подземный ход или через невысокую стену посредством особых лестниц“¹²⁷.

ამ კოშკის ნანგრევები ახლაც დგას, მაგრამ არა ტამიშთან, არამედ სოფელ ახალი კინდლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დღესად „სათამაშის“ კოშკს ეძახის.

დღევანდელი ახალი კინდლის მკვიდრნი აქ ჩამოსახლებული არიან ლეჩხუმიდან და სამეგრელოს მთიანი რაიონებიდან მიძღინარე საუკუნის 30—40-იან წლებში. მათი გადმოცემით ადრე ამ ტერიტორიაზე ლაზები ცხოვრობდნენ. რამდენიმე ლაზური ოჯახი მათი აქ ჩამოსახლების პირველ ხანებშიაც ცხოვრობდა.

საინტერესოა თვით სოფლის სახელწოდება „კინდლი“, რომლის

¹²⁵ შდრ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. II, ქართული თარგმანი, თბ., 1973, გვ. 70; გ. ანჩაბაძე, XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობები საქართველოს შესახებ (გ. ფუთურაძის პუბლიკაციის გამო), მაყნე (ისტორიის... სერია), 1974, № 3, გვ. 148—155.

¹²⁶ თ. ბერაძე, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, მაყნე (ისტორიის... სერია), 1971, № 3, გვ. 148—155.

¹²⁷ В. Чернявский, Записки о памятниках Западного Закавказья, исследование которых наиболее настоятельно, Пятый арх. съезд в Тифлисе, с. 19.

ახსნის ხალხური ვერსიაც კი არ არსებობს. ამ გეოგრაფიულ სახელთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა შ. ინალ-იფამ, რომელიც წერს: საინტერესოა, რომ ასურეთის მეფე ტიგლათ-ფლისერ I (1114—1076 წწ.) იმ 23 „ქვეყანას“ შორის, რომელსაც ის ჩამოთვლის, სადღაც მდ. ჰოროხის აუზში ასახელებს კინდარის. შ. ინალ-იფას აზრით, კინდარის ასოცირებული ფორმა შეიძლება იყოს კინდლი¹²⁸.

ახალი კინდლის ტერიტორია რომ ძველთაგანვე დასახლების ობიექტი უნდა ყოფილიყო, ამაზე მეტყველებს თვით ე. წ. „სათამაშის“ კოშკის არსებობაც.

ო. ბერძის მოსაზრება, რომ გეოგრაფიული სახელი „ტამიშ“ შეიძლება ამ კოშკის სახელისაგან (სათამაშის) მომდინარეობდეს, არ უნდა იყოს სწორი. უფრო მოსალოდნელია პირუტყუ, კოშკის სახელი მომდინარეობდეს ადგილის სახელისაგან.

შ. ინალ-იფა თავის ნაშრომში ეხება აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხს და მათ შორის არაერთგან იხსენიებს ტამიშსაც, მაგრამ მის ახსნას არსად არ იძლევა¹²⁹.

ლ ა ბ რ ა — სოფელი ტამიშის მახლობლად. შ. ინალ-იფა ტოპონიმ „ლაბრას“ ხეტების მეფის სახელწოდება „ლაბარა“-ს უკავშირებს¹³⁰. ვფიქრობთ, რომ ეს ნაკლებ სარწმუნოა.

„ლაბრა“ სვანურად ნიშნავს დაბნელების ადგილს. გადატანითი მნიშვნელობა: უბედურების ადგილი, მზის დაბნელების ადგილი.

ლ ა გ უ ა შ — მდინარეს ჰქვია კინდლის დასავლეთის მხარეზე, ტოპონიმი ასე დაიშლება: ლა-გუა-აშ, რაც ნიშნავს გუას კუთვნილ ადგილს, სვანურია ლა-აშ კონფიქსი და საკუთარი სახელი გუა¹³¹.

მ ო ჭ ე - ი სოფელია ოჩამჩირის რაიონში. ეს ტოპონიმი მოგვაგონებს სვანურ სიტყვას „მოჭე“, რაც მიწის ზვინს აღნიშნავს. „მღწეარ“-ს (მრავლობითშია) თხუნელების ან ვირთხების მიერ გაღწეულად ადგილს უწოდებენ.

ანონ-ში იხსენიებს მოჭეს და წერს: „ზიგანიდან ტარსურის წყლამდე (რომელსაც ამჟამად მოჭი ეწოდება) არის 120 სტადი-

¹²⁸ შ. ინალ-იფა, დასახ. ნაშრომი, გვ. 143—144.

¹²⁹ შ. ინალ-იფა, დასახ. ნაშრომი, გვ. 101, 174, 248, 249, 376, 379.

¹³⁰ შ. ინალ-იფა, დასახ. ნაშრომი, გვ. 143—144.

¹³¹ ალ. ლონტი, ქართული საკუთარი სახელები, გვ. 69.

ონი, ანუ 16 მილიონი¹³². არც ეს ცნობაა სწორი. ტარსურა ნოჭვის წყალი არ არის. მოქვის შემდეგ იგივე ავტორი ასახელებს ლაგუმფსას. თუ ლაგუმფსა ცხენისწყალია, მაშინ მოქვის შემდეგ მდინარეს მართლაც დღემდე ეწოდება ცხენისწყალი. ეს ცხენისწყალი სოფ. კოჩარაზე მოედინება და დღევანდელ ს. ცაგერის დასავლეთით უერთდება ზღვას. მაშინ აქ იგულისხმება არა ქვემო სვანეთის მდინარე ცხენისწყალი (სწორია ცანის წყალი), არამედ პატარა მდინარე ცხენისწყალი (ოჩამჩირის რაიონში). მოქვი დას. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. აფხაზთა მეფემ ლეონ III (957—967 წწ.) „აღაშენა ეკლესია მოქვსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ“¹³³.

კერკენ — სოფელი კვიტოულის სას. საბჭოში. „კერკეტ“ სვანური ენის ლენტეხურ დიალექტზე ნიშნავს გაუტეხელს, მაგარს. ანტიკური ხანის ავტორთა ნაშრომებში, დაახლოებით ანავე ტერიტორიაზე, იხსენიება ხალხი, რომელთაც კერკეტები ეწოდებოდათ¹³⁴, მათ ჩერქეზებთან აიგივებენ¹³⁵. ჩერქეზთა განსახლების გვალი შეიმჩნევა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტოპონიმშიც¹³⁶. „კერკეტ“ ტერმინი, რომ დღემდე შემოინახა სვანურმა ენამ, ეს სვანთა კერკეტებთან ახლომეზობლობის შედეგი უნდა იყოს. სვანურში მსგავსი წარმოშობის სხვა სიტყვებიც დასტურდება. ასე მაგალითად, სვანურად ჩაფსკენილ კაცს „ლ-ჯჟქე“-ს ეძახიან, რაც მომდინარეობს სატომო სახელიდან „ჯიქი“. ასეთივე წარმოშობისაა სვანური სიტყვა „მუსხულ“-სუსხიანი, გულოვანი, „მუსხულ“-„მესხ“ ტერმინიდან მომდინარეობს და ა. შ.

ლაშკინდარ — ადგილს ჰქვია ტყვარჩელსა და აკარმარას შორის, მდ. ღალიძგის მარცხენა სანაპიროზე. აქ შენიშნულია ძველი სამლოცველოს ნანგრევების ნაშთი.

¹³² გეორგიკა, ტ. II, 1965, გვ. 6.

¹³³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 270.

¹³⁴ გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 112 და ა. შ.

¹³⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 273, და შემდგ.; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 137 და წინდგ.

¹³⁶ იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 80, 82, 87-90, 303, 307, 308, 364.

აღნიშნულ ტოპონიმში სვანურია ლა—არ კონფიქსი (ლა-შკინდ-არ), სვანური ჩანს ფუძეც, მაგრამ დროთა განმავლობაში დამახინჯებულა. ჩვენი აზრით, აღნიშნული ტოპონიმის თავდაპირველი ფორმის აღდგენა შეიძლება, თუკი ფუძეში „შკინდ“-ის მაგვირად ჩავსვამთ „შკიდ“ ელემენტს, რომელიც მიღებულია სვანური სიტყვისაგან მ-შკიდ (მქედელი). მაშინ, ლა-შკედ-არ სვანურად ნიშნავს სამქედლოს.

გულრიფშის რაიონი

ა გ ი შ ი — სოფლის სახელია ოქტომბრის სას. საბჭოში. „აგიშ“ სვანურად ნიშნავს სამკვიდრო ოჯახის ფუძე ადგილს.

აღსანიშნავია, რომ ურარტუს სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, ძვ. წ. VIII ს., ხალდეველთა მეფე არგიშდი-ს (ძვ. წ. 786 — 764 წწ.) სახელი აკად. ნ. მარმა სვანური ენის ნიადაგზე ახსნა შემდეგი მნიშვნელობით: „არგიშ“ — სახლი და „დი“ — დედა (არგიშ-დი); ე. ი. „სახლის დედა, სახლის უფროსი“¹³⁷. ამის შესახებ ბ. კოვალევსკი წერდა: „Только с помощью сванского языка удалось установить, что самое имя царя Аргишти с сванским „Глава дома“¹³⁸.

ჩვენ არ შევჩერდებით იმაზე, თუ რამდენად სწორია მარისეული კონცეფცია არგიშდ//არგიშთ სახელის ახსნის საკითხში, მაგრამ საყურადღებოა, რომ მეცნიერმა მოიშველია სვანური მასალა.

გ ე რ გ ე მ ი შ — სოფელი აზანთის სას. საბჭოში. ეს ისეთივე წარმოშობის ტოპონიმია, როგორც არის „ბარამიშ“ (იხ. ქვემოთ).

„გერგემიშ“ ტოპონიმში -იშ სვანური სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ გვრჩება ფუძე-სიტყვა „გერგემ“, რომელიც სვანურად წმ. გიორგის კულტს აღნიშნავს, ხოლო „ლიგერგი“ — სვანურად გიორგობაა. წმ გიორგის კულტი სვანებში (ქართველებში) წარმართულ რელიგიურ სამყაროდან მოდის. სვანური „ჩგრჰგ“ აგრეთვე წმ. გიორგის აღნიშნავს.

ლ ა რ ა — ადგილს ჰქვია იმავე აზანთის ტერიტორიაზე. ლარა//ლარე სვანურად სათიბს ჰქვია. აზანთა უძველესი დასახლების

¹³⁷ Н. Я. Марр, Из поездок в Сванетию (летом 1911—1912), «ХВ», т. II, вып. СПб, 1913, с. 29.

¹³⁸ Н. Ковалевский, Дахаб. ნაშრომი, გვ. 91—92.

ადგალია. დოღმენების გარდა აქ ნანახია რკინის ცულები, საყურეები, ბრინჯაოს საჭკაულები, ქინძისთავეები და სხვა, რომელიც III—IV სს. არის დათარიღებული. იქვეა ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც V—VI სს. განეკუთვნება¹³⁹.

ახანთაში ერთ მთას ჰქვია ბათ¹⁴⁰, რაც აგრეთვე უნდა მომდინარეობდეს სვანური სიტყვიდან ბაჩ—ქვა (შდრ. ბათუმი, იხ. ზემოთ).

მერხეული — სოფელია გულრიფშის რაიონში. არც ეს ტოპონიმიც დღემდე ახსნილი. იგი უნდა მომდინარეობდეს სვანური სიტყვიდან „მერხელ“ — ქინძარი, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე.

მოქანჯელო ლამბერტის მიერ 1654 წელს გამოქვეყნებულ რუკაზე მდ. კოდორის დასავლეთის მხარეზე დასახელებულია სოფელი ეკლესიით. ამ სოფელს ჰქვია მარცხული. თ. ბერაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს შეიძლება იყოს დღევ. მერხეული. როგორც თ. ბერაძე შენიშნავს, მარცხული რამდენჯერმეა მოხსენიებული საეკლესიო საბუთებში¹⁴¹.

ბაბუშერა — სოფელია. ეს ტოპონიმიც სვანური წარმოების ჩანს, რამეთუ „შერა“ ქართველური ენებიდან მხოლოდ სვანურში გვხვდება და საკუთრების ფორმას გამოხატავს. (შდრ. ლეუშერი, ცხუქუშერი). მაგალითად, „ბაპშერა“ — ე. ი. ბაპიანთ („ბაპ“ — სვანურად მღვდელს ჰქვია, ბაპშერა კი მიბჩუანების ერთ შტოს ეწოდება), გაგიშერა (საკუთარი სახელისაგან — გაგი), ავლაუშერა (საკ. სახელისაგან „ავლათ“, „ავლათშერ“ ნავერიანების ერთ შტოს ეწოდება) და ა. შ.

ამგვარად, „ბაბუშერა“ ტოპონიმი სვანურად ნიშნავს ბაბუს სამფლობელო ადგილს. სვანურად „ბაბა“ მამას ეწოდება, ხოლო ბაბუ — ბაბუას.

ლაქადა — (იხ. თავი II).

ფუსტა — ახანთის ტერიტორიაზე ერთ ადგილს ჰქვია. „ფუსტა“, ანუ მისი აფხაზური წარმოება „აფუსტა“ მომდინარეობს

¹³⁹ Ю. Н. Воронов, В мире археологических памятников Абхазии, М., 1978, с. 148-150.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 147.

¹⁴¹ თ. ბერაძე, დაახ. ნაშრომი, გვ. 153.

კავკასიის ხალხებიდან დღემდე მხოლოდ სვანეთში შემორჩენილი ღვთაებისაგან „ფუსტ“, რომლის სახელობის ეკლესიები გვხვდება როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში (იხ. თავი VI).

აჟარის სახ. საბჭო (ისტორიული მისიმიანეთი)

ხ ვ ა რ ა — ჯარჯ — აფხაზეთის სვანეთიდან (ანუ დალიდან) კუბერში (მესტიის რაიონი) გადასასვლელს ჰქვია. „ხვარა“, „ხუარა“ სვანურად რღვევას ნიშნავს. „ჯარჯ“ კი გადასასვლელს ჰქვია.

ბ ა რ დ ღ ვ ი ნ ა კ რ ა ვ — მთაა. ბარდღუ — კაცის სახელია, ხოლო სიტყვა „ნაკრავ“ ნიშნავს ადგილს, სადაც კარავი იდგა.

ს გ გ მ ჳ რ — სოფელია საკენში. სგიმ სვანურად მჟავე წყალს ეწოდება.

ყ ვ ჳ ნ — მთა და საძოვარი სოფ. საკენში. ამ ხეობით გადადიოდნენ როგორც ზემო სვანეთში (სოფ. კუბერში), ისე ყარაჩაში. ეს სიტყვა სვანურში ორი მნიშვნელობით იხმარება: ყ ვ ა ნ ჰქვია ხელსაწყოს, რომელსაც ცელის საკვერავად იყენებდნენ: აგრეთვე, ღორის მსხვილ ნაწლავს, რომელშიაც ქონგარეულ სისხლს ასხამდნენ, შემდეგ ორივე მხრიდან მაგრად შეკრავდნენ ძაფებით: მოხარშავდნენ და ჭამდნენ მხოლოდ ქალები. ყ ვ ა ნ ა XIII ს. ერთ დასახლებულ პუნქტს ეწოდებოდა სვანეთის ქედის ჩრდილო კალთაზე უ ს გ უ რ ი ს მეზობლად. ყვან კავშირშია ალბათ ყვანასთან. ყ ვ ა ნ შესაძლოა ზანიზში იყოს (ყონა-ყანა).

ნ ა ჩ ვ ჳ ლ — ტყე საკენის ტერიტორიაზე. ტოპონიმი სვანურად ნიშნავს ნამეწყარალს, ნაშვავებს.

ლ ე თ კ ე რ — ტყე ნაჩლუარში. „თეკრა“ სვანურად შიდალი მთის ბოყვს ეწოდება, ე. ი. საბოყვე ადგილი, ბოყვნარი.

წ გ რ გ ნ ი - ტ უ ბ რ ა — ღელე საკენის ტერიტორიაზე. ტოპონიმი სვანურია და ნიშნავს წითელ ღელეს.

შ ი ყ ე რ — ტყე-გორაკი. აქ არის ძველი ეკლესიის ნანგრევები. ადგილობრივთ ამ ადგილას ვერცხლის ჭვარი უპოვიათ, რომელიც

იმთავითვე მიწისათვის მიუბარებიათ. შიყ სვანურად ზურგს ჰქვია. ერ- ბოლოსართი მრავლობითობის აღმნიშვნელია. შიყეერ — ე. ი. ფერდობი, ზურგის მხარეები.

ხასანი ტტიბ — ხასანის ღელე, რომელიც ღვაღვასა და სგემარს შორის მდებარეობს.

იარლუცნესგა — სოფელი აჟარის სას. საბჭოში. ტოპონიმი სვანურია და ნიშნავს: ორწყალს შუა, შუა მდინარეთი.

თვეთნე იწრნი „ბუტკა“ — თეთრი და წითელი „ბუტკა“ (ფარდული). გადმოცემის მიხედვით ეს ტოპონიმი მე-19 საუკუნიდან მომდინარეობს, როცა კოდორის ხეობის სათავეებში ქლუხორის უღელტეხილზე გავლით საფაიტონო გზა გადიოდა. ახლა ამ ხეობას ჰქვია „კლიჩ“ (ძახილი), რომლის სამხრეთ თავშესაფარში ტურისტული ბაზაა. „თვეთნე იწრნი ბუტკა“ აღნიშნული გზის საგუშაგოები ყოფილა.

ნამშიხვარ — ჭიუხვი „კლიჩის“ ხეობაში. ამჟამად მას გოვლაურის მთა ეწოდება, რომელიც 1951 წელს დაარქვეს სვანებმა, სვანეთ-აფხაზეთში მყოფ საქართველოს სახალხო პოეტ გიორგი ლეონიძის საპატივცემლოდ¹⁴². „ნამშიხვარ“ სვანურად ნახანძრალს ნიშნავს.

ხოშა ლეკვცირ — „ხოშა ლეკვცირ“ ჭიუხვს ჰქვია „კლიჩის მხარეში“. სვანურად ნიშნავს დიდ საჯიხვეს.

ჩაჩნარე ნაშდულ — იქვე მთა-ჭიუხვი. სვანურად ტოპონიმი ნიშნავს: ჩაჩნების ნამარხი (?). ტოპონიმის წარმოშობის მიზეზს ვერ განმარტავენ.

ჯალდე ლაკვცირ — ჭიუხვი „ჩაჩნარე ნაშდულის“ გაგრძელებაზე. სვანურად — ხალდეველთა საჯიხვე.

ნაჰარ — მთა „კლიჩის“ ხეობაში. აქ არის დაახლოებით 50

¹⁴² თ. მიბჩუანი, პოეტის უცნობი ლექსი და გოვლაურის მთა, წიგნ.: „სამშობლო მისი ლექსის სახელი“, თბ., 1977, გვ. 305—307.

მეტრიანი წყალვარდნილი. ნაპარის უღელტეხილით აფხაზეთ-სვანეთიდან (დალიდან) გადადიან ყარაჩაში (აულ უშგულანში). ნაპარ სვანურად ნაყარს ნიშნავს (НАЦИП, ОТВАЛ).

მეგრე ბაჩ — საძოვარი ნაპარის გაგრძელებაზე ქლუხორის უღელტეხილის მხარეზე. სვანურად — მსხვილი ქვა.

ბეგინაი ლეკეციო — სოფელი აყარის სას. საბჭოში. ნიშნავს ბეგინას საჯიხვს.

ტუბრჭშალ — მდინარე და დასახლებული პუნქტი. სვანურად — ლელეში მცხოვრებლები.

პეტრე ქვაბილარ — სანადირო მთა. სვანურად პეტრეს ქვაბულები.

ბაგრატი ლახულდ (სათიბი მთა), მთა იქვე.

ტობოლწარ — მთა-საძოვარი. სვანურად — ტბორები.

ტულაი კოჯოლ — სვანურად ექოიანი კლდე.

დარჯული ვარჯ — სვ. დარჯუს გადასასვლელი. მთა, რომელიც ჩუბეხევის (ზემო სვანეთშია) ტერიტორიას ესაზღვრება.

ბეროლე ნალზიგე — სვ. ბერების ნასახლარი. ადგილი მრამბის ხეობაში. გადმოცემის მიხედვით, აქ უკრაინიდან ჩამოსულ ბერებს უცხოვრიათ.

ლაშხრე ნადჭეშ — სვ. ადგილი, სადაც ლაშხელები დაილუპნენ. გენწვიშის ტერიტორიაზეა. აქ ლაშხელები (ქვემო სვანელები) დალუპულან ხე-ტყის დამზადების დროს.

თათრალე ნაყწარ — ტყე გენწვიშის ტერიტორიაზე. ტოპონიმი სვანურია და ნიშნავს ადგილს, სადაც ყავარი გამოხადეს თათრებმა.

ტობა ნაკწარ — ტყე გენწვიშში. სვანურად — ტბის ვაკე ადგილები.

ზემოთ ჩამოთვლილი ტოპონიმები ისტორიული მისიმიანეთის ტერიტორიაზე გვხვდება. მისიმიანეთის მდებარეობა და საზღვრები მოცემული აქვს დ. მუსხელიშვილს¹⁴³. მისიმიანთა ვი-

¹⁴³ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 120—123.

ნაობის საკითხს ცალკე შევეხებით, ამიტომ, აქ აღარ შევჩერდებით (იხ. ზემოთ).¹⁴⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოდორის სათავეებში გვხვდება ისეთი სვანური წარმოშობის ტოპონიმები, რომლებიც მისიმიანთა იქ მოსახლეობის ხანას უკავშირდება. ეს ტოპონიმებია: გენწვიშ, ფუსტა, ლათა და სხვა (იხ. ზემოთ).

სოხუმის რაიონი

ც ხ უ მ ი — ძველი ქართული წყაროების მიხედვით დღევანდელ სოხუმს ეწოდებოდა. მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ ეს ტოპონიმი მიღებულია სვანური სიტყვისაგან „ცხუმი“ — რცხილა¹⁴⁵. მესტიის რაიონის ერთ სოფელს ჰქვია „ცხუმარ“ (ცხუმ-არ), რაც ნიშნავს რცხილებიან ადგილს.

აფშილეთის ქალაქ „ცხუმის“ მოხსენებას ვხვდებით ჯუანშერთან. ჯუანშერის ცნობით მურვან ყრუმ „შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი“¹⁴⁶. ცხადია, რომ ასეთი სახელწოდება ამ ადგილისა მოდიოდა უფრო ადრინდელი ხანიდან.

„ცხუმი“ მოიხსენიებს მეორე ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველიც, რომლის ცნობითაც ანდრია მოციქული შევიდა აფხაზთა ქვეყანაში და „სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდება „ცხუმი“¹⁴⁷. ე. ი. უწინ სევასტოპოლი ეწოდებოდა.

ბერძნულ წყაროებში მას ეწოდება დიოსკურია და სებასტოპოლისი. სებასტოპოლისი, ცხადია, ბერძნულია. დიოსკურია ძველბერძნულ წყაროებში გვხვდება ჯერ კიდევ ძვ. წ. IV საუკუნიდან. დაახლოებით ორი ათასი წლის წინ დიოსკურია სტიქიური თუ რაღაც მიზეზის გამო დანგრეულია. მისი ნანგრევები ნაწილობრივ ზღვითაა დაფარული.

შემდგომ ამ ადგილას მდებარე ქალაქს უწოდეს სებასტოპო-

¹⁴⁴ კოდორის სათავეებში ჩვენ მიერ შეკრებილ სვანური წარმოშობის ტოპონიმებს სისრულის პრეტენზია არა აქვს.

¹⁴⁵ გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და... გვ. 50—68; მისივე, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, სინ. ტ. I, გვ. 341.

¹⁴⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 235, 338.

¹⁴⁷ იქვე, გვ. 42, 43.

ლისი, რაც იგივე სევასტოპოლია და ნიშნავს „სებასტის ცახეს“. სებასტო ან სევასტი ბერძნული სახელია და ღირსეულს ან ღიღებულს ნიშნავს. ამიტომ სევასტოპოლი ანუ სებასტოპოლი შეიძლება ითარგმნოს როგორც „ღირსების ქალაქი“ ან „ღიღი ღირსების ქალაქი“.

ძველი ბერძენი ავტორების განმარტებით დიოსკურია მას დაერქვა იმის გამო, რომ აქ, კოლხეთში, იმოგზაურეს ძმებმა — ტყუპებმა („დიოსკურებმა“) არგონავტების მითიური ლაშქრობის დროს. ეს ძმები იყვნენ კასტორი და პოლიდევეკე, რომლებმაც თითქოსდა დააარსეს ეს ქალაქი. ასეთი ვერსია ნაწილობრივ გაზიარებულია¹⁴⁸.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი ეს ტოპონიმი ქართველურ ნიადაგზე უნდა აიხსნას. ასე მაგ., ი. ორბელს დიოსკურიის ამოსავალად მიაჩნდა ქართული წყაროების ცხუმი, რომელსაც იგი უკავშირებდა ქართულსავე სიტყვას „ტყუმი“, რომელიც ბერძნებს თავიანთ ენაზე უნდა ეთარგმნათ¹⁴⁹. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, ლეჩხუმი (სადაც ძირია ცხუმ//ჩხუმ) ნიშნავს „ტყულების ქვეყანას“ და ა. შ. მაგრამ ლეჩხუმი სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს („ცხუმ“ ძირიდან) და ნიშნავს რცხილნარ ადგილს¹⁵⁰.

3. ინგოროყვა დიოსკურიას ამოსავლად ქართული ტყუმი მიაჩნდა და მას უკავშირებს დიოსკურების ბერძნულ ლეგენდას¹⁵¹.

აღნიშნულ ტოპონიმზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქმული აქვთ ს. ჯანაშიას, ლ. სოლავიოვს, თ. მიქელაძეს, ი. შენგელიას. უფრო ადრე პ. უსლარს და ა. შ. ამ ავტორთა მოსაზრებანი თავიანთ ნაშრომებში მიმოხილული აქვთ ზ. ანჩაბაძეს¹⁵², თ. მიქელა-

¹⁴⁸ Д. И. Гулла. История Абхазии, т. I, Сухуми, 1925. Приложение второе, с. 272.

¹⁴⁹ И. А. Орбели. Город близнецов «Диоскуриас» и племя возниц «непихоид» — ЖМИП, № XXXIII, 1911, V, с. 202.

¹⁵⁰ მ. ალავიძე, რაქულ-ლეჩხუმური ტოპონიმიკური მასალები, ქუთაისი, 1958, გვ. 151; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 105.

¹⁵¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 146—147.

¹⁵² З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии. М., 1964, с. 150-153.

ძეს და სხვებს¹⁵³. ყველა ეს მოსაზრება ერთმანეთისაგან თითქმის ბევრად არ განსხვავდება. უფრო საგულისხმო და ყურადსაღები მოსაზრება გამოთქმული აქვს თ. მიქელაძეს. ის ცდილობს დიოსკურიასში დაინახოს ქართველური დია, რაც ადვილად შესაძლებელია. ამ დებულების გასამტკიცებლად მეცნიერს მოაქვს უაღრესად საგულისხმო ფაქტები, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავრცელებულ ღმერთთა დედის კულტი, არიანეს (ახ. წ. II ს.) მიერ ფაზისში დამოწმებული ქალღმერთის (ფასიანეს) ქანდაკება, ფრიგიულ ღმერთთა დედის კიბელას კულტი, სტეფანე ბიზანტიელის ცნობა იმის შესახებ, რომ „მეტროპოლისა, (ფრიგიის ქალაქი), დაფუძნებულია ღმერთთა დედის მიერ“. ამავე სახელწოდების ქალაქებია ფრიგიაში, ლიდიაში, თესალიაში, აკარნანიაში, დორიებში, მოსინიკებში, სკვითიაში, ეგებანზე. ზემო თესალიაში¹⁵⁴.

ამგვარად, დია სვანურსა და ჰეგრულში დედის მნიშვნელობით იხმარება, ასევე ქართულში — დია-სახლისი, დიაკეული, დია-დედა (დიდედა). იგი დღემდე შემორჩენილი სიტყვაა, რომლის კულტიდან გამომდინარე ქალაქების სახელწოდებები ისტორიულად მრავლად დასტურდება. მით უფრო უსათუო უნდა იყოს აღნიშნული სახელწოდების მეორე ნახევრის „სკური“ სიტყვის ადგილობრივი წარმომავლობა. თ. მიქელაძე ჩამოთვლის უამრავ გეოგრაფიულ სახელს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომლებიც „სკურ“ სიტყვას შეიცავენ¹⁵⁵.

„სკურ“ სიტყვის მნიშვნელობის გაგება დღემდე ვერ მოხერხდა. შესაძლებელია, აღნიშნულ ტოპონიმში ნახმარ სიტყვას „სკურ“ არაფერი საერთო არ ჰქონდეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებულ „სკურ“ ტერმინთან (როგორცაა: სკურჩა, მელესკური, სკურდიდი, სკურდა, სკურია, ხამისკური, ოლასკური...)

სვანურში არის სიტყვა „სგურ“-ი, რაც ჯდომას, საუფლოს

¹⁵³ შტრ. Л. Соловьев, Дноскурня, Севастопольск, Цхуми, ТАГМ, I, 1947, с. 104.

¹⁵⁴ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

¹⁵⁵ იქვე, გვ. 107—109.

ნიშნავს. ამ შემთხვევაში „დიასგური“ გაიგება, როგორც დედის საჯდომი ადგილი, დედაქალაქი, მითუმეტეს, რომ ასეთი შინაარსის მატარებელი ქალაქები, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბევრგან დასტურდება. სვანური „დიასგური“ — დედის საჯდომი ალაგი, შესაძლოა უკავშირდებოდეს ქართულ წარმართულ ღვთაებას — ადგილის დედას. ადგილის დედა იყო ამა თუ იმ ადგილის მკვიდრთა და მის სამფლობელოში მოსული უცხო კაცის მფარველი. არის მოსაზრება, რომ იგი ადრე ნაყოფიერების ღვთაებადაც ითვლებოდა. ადგილის დედა, რომელიც ადრე მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, გვიანობაძღე შემოინახა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. საერთო ქართულია დია-ც (სვან. მეგრ. დია-დედა და ქართული დია-სახლისი, ანდა: სვანური „ხოშა დედე“ და ქართული „დი-დედა“).

ადგილის დედა უმთავრესად ქალების, მონადირეების, ბავშვებისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მფარველად ითვლებოდა. ქრისტიანული რელიგიის ზეგავლენით ადგილის დედა ღვთისმშობლის კულტს დაუკავშირდა. ადგილის დედა ანუ „დედა ღვთისმშობლის“ სამლოცველო თუ ნიში თითქმის ყოველ სოფელში იყო ¹⁵⁶.

ასეთი სამლოცველო თუ ნიში უნდა არსებულებოდა იმ დასახლებულ ადგილას, რომელსაც „დიოსკური“ ანუ დიასკური ეწოდებოდა.

ამგვარად, დიასგური//დიასკური ძველქართული ტერმინი ჩანს და ნიშნავს ადგილის დედას, ფუძის ანგელოზს, რასაც მეგრელები „ნერჩი ბატენს“ და აფხაზები „აჟაპარა“-ს ეძახდნენ¹⁵⁷.

ე. ი. ძველად საქართველოში ამა თუ იმ ადგილს, გორის, ხევის ღვთაებას „დია“ ანუ „დედა“ ერქვა¹⁵⁸.

„რადგან „დიასგური“ მსგავსებას ამჟღავნებს ბერძნულ „დიოს-

¹⁵⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 — ფშავი, თბ., 1974; ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 88—93.

¹⁵⁷ ივ. ჭავჭავაძის, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

¹⁵⁸ იქვე.

კუთხან“ („ტყუბი“), ამიტომ ბერძნებმა იგი თავიანთ მითიურ გმირებს დაუკავშირეს (შდრ. სვან. „ფაზიშ“ და ბერძ. „ფაზან“).

საგულისხმოა ისიც, რომ დიოსკურიას ადრე აი ა ეწოდებოდა¹⁵⁹. აი ა მიწისა და მიწისქვეშეთის წყალთა ღვთაება იყო, რომლის კულტი სვანეთში დღემდე არსებობს.

დიოსკურიის მახლობლად ალბათ მიკროტოპონიმის სახით არსებობდა ცხუმი, რომელიც შემდგომ მაკრო ტოპონიმად იქცა. მსგავს ფაქტზე უნდა მიგვანიშნებდეს დღევ. ქ. სოხუმის აღმოსავლეთით მდებარე ტყუბუნ ტოპონიმის დღემდე არსებობა.

ტყუბუნი ქართულ „ტყუპ“ სიტყვიდან მომდინარედ მიაჩნიათ. რაც ნაკლებ სარწმუნოა, მითუმეტეს, თუკი „დიოსკურიის“ „ტყუპ“-თან დაკავშირება გამოირიცხა. „ტყუბუნ“ არის სვანური „ტყუბულ“, რაც სოკოს ნიშნავს. ანალოგიური წარმოშობისაა ქ. ტყიბული (იმერეთის ტერიტორიაზე სვანური ტოპონიმები სხვადასხვა ბევრი გვხვდება). ტყუბუნი//ტყიბული სვანურად გაიგება როგორც სოკოიანი ადგილი.

ისტორიული დიოსკურია — ცხუმის ტერიტორიაზე სვანთა განსახლება ანტიკურ ხანაში ეკვს არ იწვევს. სვანური სიმღერა „ქრისტეს ზღვაზე დაველოცოთ“ სვანთა განსახლების ძველ ვითარებას უნდა გამოხატავდეს¹⁶⁰.

ლ ე ჩ ქ ო ფ — ქ. სოხუმის ერთ-ერთი უბანი. ეს ტოპონიმი სვანური წარმოშობისაა და ნიშნავს ქაობიან ადგილს. ლეჩქოფი (სიტყვიდან: „ლეკყობ“) მართლაც არის ქაობიანი ადგილი, თუნიცა, ამჟამად იქ უკვე ქალაქის კეთილმოწყობილი მასივია გაშენებული და ამდენად ტოპონიმმა ძველი შინაარსი დაკარგა.

სვანური ენის ნიადაგზე ხსნიდა მას აკად. ნ. კეცხოველიც¹⁶¹.

ზ ე მ ო ლ ე მ ს ა, შ უ ა ლ ე მ ს ა — 1948 წლის 3 სექტემბრამდე ეწოდებოდა ამჟამინდელ სოფელ ზემო წყაროს¹⁶². მესტიის რაიონის ლენჯერის სას. საბჭოში ერთ სოფელს აგრეთვე „ლემსია“

¹⁵⁹ გეორგიკა, III, გვ. 277.

¹⁶⁰ ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 446.

¹⁶¹ ნ. კეცხოველი, წმინდა საუნჯე, „ძველის მეგობარი“, თბ., 1955,

V, გვ. 49.

¹⁶² საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1966, გვ. 301.

ჰქვია. „ლემსია“ ეწოდება ერთ საყანე ადგილს მულახის სას. საბ-
ჭოში (სოფ. ღვებრა). ამ ყანაში მოწეულ მოსავალს სოფელი ახ-
მარდა მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებს.

„ლემსია“ სვანური წარმოების ტოპონიმი და მომდინარეობს
სიტყვიდან „მესია“. ლე- სვანური პრეფიქსის დართვის შემდეგ
„ლემსია“ გაიგება სამესიე-ს შინაარსით, ე. ი. ადგილი, რომელიც
მესიას (ქრისტეს) ეკუთვნის. ამ ადგილზე უნდა ყოფილიყო ან სამ-
ლოცველო ან სათიბი და ყანა. აქ მოწეული მოსავალი ხმარდებო-
და ღმერთების ლოცვა-კურთხევის ცერემონიას. ჩვენი აზრით,
ეს ფაქტი გვაროვნული წყობის ტრადიციებს უკავშირდება, როცა
არსებობდა საერთო სათემო სახნავ-სათესი, ტყე, საბალახო და
ა. შ.

გულაუთის რაიონი

ქ ა ბ ნ ა — სოფელს ჰქვია. „უაბნა“ სვანურად აღმოსავლეთის
უბანს (სოფელს) ნიშნავს. ასე მაგ., ზემო სვანეთში თავისუფალ,
ანუ „უბატონო სვანეთს“ „უაბარს“ (აღმოსავლეთისას) ეძახდნენ,
ხოლო მის დასავლეთით მდებარე სადადეშქელიანო სვანეთს „ჩვა-
ბარს“ (დასავლეთისას).

ოთხარის სას. საბჭოში მეორე სოფელს დღემდე ჰქვია
სვანური სახელი „ბაჩა“ (ქვიანი). სვანურად „ბაჩ“ ქვას ჰქვია (იხ.
ზემოთ „ბათუმი“).

ბ ა რ მ ი შ — სოფელს ჰქვია იქვე, სადაც მდ. მკიშთა მიედ-
ნება. ტოპონიმი სვანური წარმოშობის ჩანს და ასე დაიწლება:
ბარმ-იშ, ან კიდევ: ბარ-მ-იშ. მასში ძველი სვანური ღვთაების
სახელი იმალება. სვანეთში დღემდე არსებობს სალოცავი ბარ-ბარ,
რომლის გენეზისის საკითხს შესანიშნავი შრომა მიუძღვნა პროფ.
ვ. ბარდაველიძემ¹⁶³. ბარბარ სვანური ღვთაება (აქედან: წმ. ბარ-
ბალო) მომდინარეობს შუმერულის რელიგიურ სამყაროდან. აღსა-

¹⁶³ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტო-
რიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარი), თბ., 1941, მისივე, Древнейшие религиоз-
ные представления и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб.,
1957, с. 194, 195, 220; ე. ვირსალაძე, ბარბოლ-ბარბარი ქართულ ფოლ-
კლორში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVI, № 2, 1955.

ნიშნავია ის ფაქტი, რომ ორასამდე სიტყვა-ტერმინს სვანურსა და შუმერულში პარალელები ეძებნება. ამ მიმართულებით კვლევებიდან კიდევაც მიმდინარეობს¹⁶⁴.

„ბარმიში“-ის ანალოგიურია სვანური ტერმინები: „ჰერია-მ-იშ“ („ჰერია“ — გაურკვეველია, თუმცა ბუნდოვანი წარმოდგენა მასზე მაინც აქვთ, როგორც ღვთაებაზე), „დემდი-მ-იშ“ (დემდ//დომ-დულ სვანურად მთვარეს ჰქვია) და სხვ.

ბ გ ა რ დ ვ ა ნ ი — სოფლის სახელია ჯირხვის სას. საბჭოში. შ. ინალ-იფა ამ ტოპონიმზე არაფერს ამბობს. ამ სახელწოდებაში უცნაურად გამოიყურება წინსართი ბ (ბ-გარდვაში). სვანურად ახსნას ექვემდებარება გარდვანი (გარდ-ანი) ანუ იგივე „ქართვანი“ (ასეთ სახელს ატარებს ერთი სოფელი ბეჩოს სას. საბჭოში, მესტიის რაიონი). სვანურად „გარდ“ და „ქართ“ ნიშნავს შემო-ლობილ ადგილს¹⁶⁵, აქედან გარდ//ქართ სვანურად ლახტის სათამაშო წრეხანსაც ეწოდება. ლახტი საერთო ქართული საყმაწვილო თამაშია, რომელიც წარმოადგენს გამაგრებული ადგილის დაცვის ინსტენირებას. სხვათა შორის სიტყვა „ლახტ“ ქართველური ენებიდან მხოლოდ სვანურის მეშვეობით პოულობს ახსნას. „ლახტ“ წარმოსდგება სვანური სიტყვისაგან „ლახვტა“ — ამოსაწყვეტი ადგილი, ანუ საბრძოლო ადგილი, ლა-ხვტა ტერმინში ლა- პრეფიქსია, „ხვტა“ ფუძე სიტყვაში, ლა- პრეფიქსის დართვის შედეგად, ამოვარდნილია ა ხმოვანი. „ხვტა“ (ლა-ხვტა- ლახვტა) სვანურად წყვეტას, ამოწყვეტას ნიშნავს.

ამგვარად, გარდვანი//ქართვანი ნიშნავს გამაგრებულ ადგილს. -ან სვანური სუფიქსის შესახებ ზემოთ გვეყონდა საუბარი¹⁶⁶; ამდენად მასზე აქ არ შევჩერდებით.

ჩ ი რ ხ ვ ა — სოფელია ანუბვის სას. საბჭოში. „ჩირხა“ სვან. მთის ბროლს, ანუ თეთრ ქვას ეწოდება.

მ ი უ ს ე რ ა — სოფელი და აგარაკი მუგუძირხვის სას. საბჭოში.

¹⁶⁴ თ. მიბჩუანი, ქართულ-შუმერული პარალელები, აღმნახი „რაწა“. სოხუმი, 1983, № 1, გვ. 276.

¹⁶⁵ შდრ. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, სინ, I, გვ. 340.

¹⁶⁶ იხ. აგრეთვე, ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 34.

შ. ინალ-იფას ამ ტოპონიმთან დაკავშირებით მოჰყავს ვადმოცემა იმის შესახებ, რომ აფხაზები მიუსერაში გადმოსული არიან აბისინიიდან: „Рассказывают, что некогда жители Абиссинии, совершившие преступления, ссылались в район современной Мюссеры (по-абхазски Мсера, Гудаутский район.). Пункт, где их высаживали, называется „местом наблюдений за кораблями (Ббапшира)“¹⁶⁷.

სევანურად „მუსერ“-ა თოვლიან ადგილს ნიშნავს. ამ სიტყვაში „მუს“ (თოვლი) და -ერ წარმომავლობა-ვითარების აღმნიშვნელი სუფიქსია.

მიუსერა ზღვისპირას აღმართული გორაკია, რომელიც ზამთარში შედარებით უფრო თოვლიანია.

გაგრის რაიონი

გ ა გ რ ა — საკავშირო მნიშვნელობის ზღვისპირა კლიმატური კურორტი. შ. ინალ-იფა კასკურ (კაშგურ), ხეთურ და აფხაზურ ეთნოგრაფიულ სახელებში ცდილობს გამოყოს -რა სუფიქსი და ჩამოთვლის შემდეგ ტოპონიმებს: აფხაზურში — გაგ-რა, აჩანდარა, ატა-რა, აჩიგვა-რა; კასკურში: დახა-რა, პარ-პა-რა; ხეთურში: ხაისა-აცცი, არიფსა (?)¹⁶⁸.

თუ მხოლოდ -რა სუფიქსი საკმარისია რაიმე ლექსიკური პარალელების გამოვლენისათვის ხსენებულ ხალხთა ენებში, მაშინ -არ, -ერ და -რა სუფიქსები უფრო მეტად დამახასიათებელია სევანური ენისათვის. მესტიის რაიონში გვხვდება -რა სუფიქსზე დაბოლოებული მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები (მაგ. ბოგშერა, ბენიერა, ბაძგნიერა, გუშარა, გინდურა, გულიდარა, გორგვდარა, გონარა, დეფნარა, დევრა, დუსარა და მრავალი სხვ.).

გაგრა წყაროებში პირველად მოხსენებულია XIV ს.-ში. აქ აღამიანის კვალი პალეოლითის ხანიდან შეიმჩნევა¹⁶⁹. ზღვისპირას შემორჩენილია IV—V სს. ციხის ნანგრევები. ციხის ტერიტორიაზე

167 შ. ინალ-იფა, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

168 იქვე, გვ. 140, 378.

169 საქართველოს ისტორია, ლექსიკონი (შემდგენელი რ. მეტრეველი), თბ., 1979, გვ. 174.

დგას ტლანქად დამუშავებული ქვის კვადრებით ნაგები VI—VII სს. სამეკლესიანი ბაზილიკა. ასეთი უგუმბათო სწორკუთხა ტაძრები განსაკუთრებით დამახასიათებელია სვანეთისათვის.

გაგრა, როგორც გეოგრაფიული სახელი, აუხსნელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებას აღნიშნულ ტოპონიმთან დაკავშირებით. მისი აზრით „გაგრიფშ“ აფხაზურად ნიშნავს „გაგის წყალს“. გაგი ადამიანის საკუთარი სახელია. მისგანვე უნდა იყოსო მიღებული სახელწოდება გაგრა¹⁷⁰. ჩვენი აზრით, ტოპონიმი უნდა მომდინარეობდეს სვანური სიტყვისაგან „გაკრა“, რაც ნიშნავს ნიგვზნარს. სვანურად „გაკ“ — ნიგოზი, ხოლო -არ, -ერ, -რა, სუფიქსებზე ზემოთ გეჭონდა საუბარი.

აღნიშნული ტოპონიმის სვანური წარმომავლობის ვერსიას სარწმუნოს ხდის გეოგრაფოსისა და ასტრონომის კლავდიოს პტოლემეაიოსის (ახ. წ. II ს.) ცნობა, დღევანდელი გაგრის ზონაში იგი ასახელებს ე. წ. „სუანო კოლხებს“¹⁷¹. კლავდიოს პტოლემეაიოსის ცნობის სისწორეზე უნდა მიგვანიშნებდეს VII ს.-ს „სომხეთის გეოგრაფიაში“ დაცული ერთი უწყება, სადაც ნათქვამია, რომ დღევ. ბიჭვინთამდე (დასავლეთიდან) ცხოვრობდნენ სვანები: „Между булгарамн и Понтийским морем селятся племена гашков и кутов, и (затем) суани до приморского города Питиунта народа авазов. Здесь проживают апшилы и апхазы до приморского своего города Севастополя и отсюда до реки, называемой Дракон, что (по-армянски) значит Вишап и которая течет из страны Аланской и отделяет абхазов от страны Егер“¹⁷².

¹⁷⁰ ზ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

¹⁷¹ Е. Ломоносов, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

¹⁷² С. Т. Еремян, Армения по «Ашхарацуйи»-у, Ереван, 1963, с. 101; Он же, Опыт реконструкции первоначального текста «Ашхарацуйи»-а. Историко-филологический журнал, 1973, № 2, Ереван (оба на армянском языке), с. 263—264. XVIII ს. ოსმალთა მოგზაური ეველია ჩელები გაგრ-ს „კაკრა“-ს უწოდებს, რაც სვანურ „გაკრა“ სიტყვასთან უფრო ახლოს დგას (ეველია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თბ., 1973, გვ. 70).

აფხაზეთის ტერიტორიაზე სვანური წარმოშობის ტოპონიმების დღემდე შემორჩენის ფაქტი, აქ შორეულ წარსულში სვანური ეთნიკური ელემენტის არსებობაზე მიგვანიშნებს, რომელიც მკვიდრ, აფხაზთა წინაპარ მოსახლეობასთან განაგრძობდნენ თანა-არსებობას საბოლოო ასიმილაციამდე. სვანურში აფხაზურ-ადი-ლეური ენობრივი ელემენტის გაჩენაც ამ ფაქტს უნდა უკავშირ-დებოდეს.

2. ქართულ-ზანური წარმოშობის ზოგიერთი ტოპონიმის საკითხისათვის

დასავლეთ საქართველოს ბარში შორეულ წარსულში სვანთა განსახლების მათუწყებელი ქართულ-ზანური წარმოშობის ტოპონი-მები შედარებით გვიან უნდა გაჩენილიყო, ე. ი მაშინ, როდესაც აქ ზანურ-ქართული მოსახლეობა კარბობდა, მაგრამ ჯერ კიდევ შე-მორჩენილი იყო სვანური ეთნიკური ელემენტი, რომელიც დროთა განმავლობაში სრულ ასიმილაციას დაუქვემდებარდა ზანურ-ქარ-თულის ნიადაგზე. რიონ-ფაზისის სექტორის სამხრეთით ეს პრო-ცესი ძვ. წ. V—III საუკუნეებში უნდა დასრულებულიყო, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე იგი ძვ. წ. V საუკუნეში უნდა დაწყებულიყო.

არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთში ასეთი გეოგრაფიული სახელების ნაწილი შედეგი იყოს მთიდან ბარში მოსახლეობის მიგრაციისა, რომელიც საუ-კუნეების განმავლობაში ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ამის მი-ზეზე იყო ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში მიწების უკმარი-სობა, სოსხლ-მესისხლეობის მავნე ჩვეულების არსებობა და სხვ.

ა. ეს ტოპონიმები:

სვანეთი ჰქვია მთიან მხარეს მერიის ს/საბჰოში, სოფელ ნანონასტრეცში (ქედის რაიონი)¹⁷³.

¹⁷³ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათუმი, 1958, გვ. 64. აღნიშნული ნაშრომიდან გვაქვს აკრეფილი ქვემო რა-ქის უანარჩენი სვანურენოვანი ტოპონიმებიც.

ძნელია იმის დადგენა, თუ რამ განაპირობა ასეთი გეოგრაფიული სახელის გაჩენა. შესაძლოა იგი ანტიკური ხანის გადმომცხილი იყოს?

ს ვ ა ნ ი ვ რ ი — უბანი სოფ. წონიარისში, ზეარეს ს/საბჭო (ქედის რაიონი). აღნიშნულ ტოპონიმშიც ძირია „სვანი“. გაურკვეველია „ვრ“ კომპლექსი.

ც ხ მ ო რ ი ს ი — სოფელია ქედის რაიონში. ამავე სახელს ატარებენ სოფლები საჩხერისა და ონის რაიონებში, სადაც სვანური წარმოშობის ტოპონიმები სხვაც გვხვდება.

ცხომარ//ცხუმარ მესტიის რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფლის სახელია, რაც მომდინარეობს სვანური სიტყვისაგან ცხუმრა (რცხილა). ცხომორში — ე. ი. რცხილნარი ადგილი. ასე ხსნიან სოხუმის ძველ სახელწოდებასაც — ცხუმი¹⁷⁴.

ამგვარად, ცხომორისი//ცხომორიაში სვანურ ნიადაგზე ახსნას ექვემდებარება და გაიგება რცხილნარის მნიშვნელობით.

ე. გაბლიანი ბათუმის მახლობლად ასახელებს ტოპონიმს ვულედი. იგი მას უკავშირებს ლენტეხის რაიონში ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებას — გულიდა¹⁷⁵.

ბათუმის ოლქში ე. გაბლიანი ასახელებს მეორე ტოპონიმსაც — მურგუში, რომელსაც აიგივებს ლენტეხის რაიონში მდებარე სოფლის სახელთან — მურგუში¹⁷⁶ (ამჟამად ამ სოფელს მარგვიშს ეძახიან).

სვანის ქედი — სერი კონკკათის ს/საბჭოში (ოზურგეთის რაიონი).

ს ვ ა ნ ი ს წ ყ ა რ ო — იმავე სოფელშია.

თ ე თ რ ო ს ვ ა ნ ი — ტყესა და ყანას ჰქვია სოფ. გაგურში, აკეთის ს/საბჭო (ლანჩხუთის რ-ნი). იმავე ს/საბჭოში ასეთ სახელს ატარებს ერთ-ერთი ზეგანი. გალის რაიონის მთიან ზოლსაც „ჩეშონა“ (თეთრი სვანეთი) ეწოდება (იხ. ქვემოთ). ალბათ ესეც წო-

174 იხ. გ. მელიქიშვილი, ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი, სინ., ტ. 1, 1970, გვ. 341.

175 ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, გვ. 20.

176 იქვე, გვ. 20.

რეულ წარსულში არსებული რეალობის გამოძახილია. „თეთრი სვანეთი“ ამ ტყიან და მთიან ადგილებს ალბათ იმიტომ ეწოდებოდა, რომ მაღალ ადგილებზე ჩვეულებრივ თოვლი დიდხანს ძევს.

შონაული — სათეს ადგილს ჰქვია სოფ. ვანის ტერიტორიაზე (ჩოხატაურის რ-ნი). აღნიშნული ტოპონიმის ძირია „შონა“ (სვანი, სვანეთი). ტოპონიმი მეგრული წარმოებისაა. ჩვენი აზრით, ეს ტოპონიმი გაჩნდა ჯერ კიდევ იმ შორეულ წარსულში, როცა ამ ტერიტორიაზე მეგრულ-სვანური მოსახლეობა არსებობდა. ამაზე მეტყველებს ის, რომ ტოპონიმი მეგრულია და ნიშნავს სვანეთს. მეგრულენოვანი მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე უდი ხანია არ არსებობს.

სვანის ტყე — სათესი ადგილი ლანჩხუთის რაიონის სოფ. ავა-რაკში. როგორც ჩანს წარსულში ამ ადგილას ტყე იყო.

ჩეშონა — ადგილი წყემის ს/საბჭოში. „ჩეშონა“ მეგრულად „თეთრ სვანეთს“ ნიშნავს. ვაზის ერთგვარ ჯიშს „ჩეშონური“ ეწოდებოდა¹⁷⁷. ასეთ სახელს ხსენებულ ს/საბჭოში ატარებს კიდევ ერთი ადგილი.

ქვიშონა — საყანე ადგილი აბაშასა და მის მიდამოებში. იმავე სახელს ატარებს მდინარე და სოფელი გალის რაიონში (იხ. ქვემოთ). ტოპონიმი ასე დაიშლება: ქვი-შონა. ამ ტოპონიმში „შონა“ სვანს (სვანეთს) აღნიშნავს, გაურკვეველია „ქვი“ კომპონენტის მნიშვნელობა.

ჩეშონა — ადგილი სუჯუნის ს/საბჭოში. იგივე სახელი ჰქვია ერთ მომალლო ადგილს კეთილარის ს/საბჭოს ტერიტორიაზე. როგორც ზემოთ მიუთითეთ, „ჩეშონა“ მეგრულად თეთრ სვანეთს აღნიშნავს.

უჩაშონა — ადგილია სოფ. ეკაში. „უჩაშონა“ მეგრულად შავ-სვანეთს ნიშნავს. როგორც ჩანს „შონა“ ძველი ფორმაა. „შონეთი“ კი ახალი.

ბიასაშონი — სოფელია ბიის ს/საბჭოში. საშონიო ამ შემთხვევაში ნიშნავს შონიების საცხოვრებელ ადგილს, მაგრამ

¹⁷⁷ გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

თვით გვარი შონია ეთნონიმური წარმოშობისაა და მიგვანიშნებს მის სვანურ წარმომავლობაზე. „შონი“ მეგრ. — სვანი. შონიები გამგვრელებული სვანები არიან.

დადეშქელიანეფიშ ნაოხეამო — (დადეშქელიანებს ნასალოცავი) ადგილი ორსანტიაში. გასარკვევია, თუ რატომ და როდიდან ჰქონდათ ეს სალოცავი დადეშქელიანებს.

უჩა შონა — სოფელი ახალსოფლის ს/საბჭოში. ტოპონიმი მეგრული წარმოშობისაა და ნიშნავს შავ სვანეთს. აქ მცხოვრებ ჭურღულიების გვარში ასეთი გადმოცემა არსებობს: ჭურღულიების წინაპარი შორეულ წარსულში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულა და აქ დასახლებულა. იგი წარმოშობით სვანი ყოფილა. რადგან ჭურღულიები სხვებთან შედარებით უფრო შევევრემანები იყვნენ. ამიტომ მათი დასახლებისათვის „უჩა შონა“ შეუტრქმევიათ¹⁷⁸. გადმოცემას არ შემოუწინავენ ცნობა ჭურღულიების თავდაპირველი სვანური გვარის შესახებ.

აღნიშნულ გადმოცემას გააჩნია რეალური საფუძველი. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, დღევანდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე წარსულში ადგილი ჰქონდა სვანთა განსახლებას¹⁷⁹.

შონი ფონი — ტყეს ჰქვია სოფ. გაჭედილთან. მას ალ. დლონტი ასე განმარტავს: „სვანის ფონი“.

ჩეშონა — ადგილი მარტვილში, ე. ი. „თეთრი სვანეთი“.

შონტობა — ადგილი გაჭედილთან. ე. ი. „სვანის ტბა“. დღეს აქ ტბა აღარ არის¹⁸⁰.

შონური — გეგეჰქორის რაიონში ეწოდებოდა ვაზის ერთგვარ ჯიშს, რომელსაც ამჟამად ოჯალეშს ეძახიან¹⁸¹. აღნიშნული ტერმინი უნდა მომდინარეობდეს იმ დროიდან, როცა დღევანდელი მარტვილის რაიონის ტერიტორიაზე სვანთა განსახლებას ჰქონდა ადგილი.

შონური, როგორც „ოჯალეშის ჯიშის ვაზი“, ცნობილია ნაჯისაოს ს/საბჭოშიაც. „შონური“, ე. ი. სვანური.

¹⁷⁸ ეს გადმოცემა ჩაგვაწვრინა პროფ. ო. ჭურღულიამ.

¹⁷⁹ თ. შიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1996.

¹⁸⁰ გ. ელიაეა, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

¹⁸¹ ალ. დლონტი, ტოპონიმიური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 95.

ჩე შონა — (თეთრი სვანეთი) მარტვილის სადაბო საბჭო-
ში ერთ-ერთი ადგილის სახელწოდებაა. გ. ელიავა „ჩეშონასა“ და
„უჩაშონას“ ასე განმარტავს; თეთრი სვანური და შავი სვანური¹⁸².
ცხადია, გ. ელიავას ამ შემთხვევაში ყურძნის ჯიშები აქვს მხედ-
ველობაში, მაგრამ ასეთი სახელები თავდაპირველად ალბათ გეო-
გრაფიულ ობიექტებს ერქვა, ისე როგორც ზუგდიდის რაიონში
ერთ სოფელს ჰქვია „უჩაშონა“, ხოლო გალის რაიონში მთიან მხა-
რეს კი „ჩეშონა“. მარტვილის სადაბო საბჭოშიაც ერთ ადგილს
„შონურა“ ჰქვია, რომელსაც გ. ელიავა ასე განმარტავს: „ადგილი,
სადაც სვანური იყო მალღარზე მიშვებული“¹⁸³. ანალოგიურადაა
ახსნილი „შონა/შონური“¹⁸⁴. „შონურა“ ფართოდ გავრცელებული
ვაზის ჯიშში ყოფილა მარტვილის რაიონში.

ჩე შონა — ადგილს ჰქვია ხუნწის ს/საბჭოში, რაც, ცხადია,
მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქ ოდესღაც სვანური მოსახლეობა არსე-
ბობდა. იგივე სახელი ჰქვია ერთ ადგილს ინჩხურის ს/საბჭოში.

შონურა — ადგილს ჰქვია იმავე ს/საბჭოში.

შონა ჰაე — (სვანის ჰალა) იმავე ს/საბჭოშია. იქვე გვხვდე-
ბა მიკროტოპონიმი შონა (სვანეთი).

სვანური — ადგილი იმავე ს/საბჭოში.

შონური — (სვანური) ადგილი ნახუნაოს ს/საბჭოში.

ჩე შონა — (თეთრი სვანეთი) ადგილი გაჭედლის ს/საბ-
ჭოში.

ჩე შონა — ადგილი კურზეს სას. საბჭოში.

უჩაშონა — ადგილი სოფელ კიწიაში.

შონიში გოხორი — (სვანის ნასახლარი) ადგილს ჰქვია
თამაკონის სას. საბჭოში.

ლეშონე — სოფელი ნაფიჩხოვოს სას. საბჭოში. „ლეშონე“
მეგრული წარმოშობის ტოპონიმია და ნიშნავს სასვანოს. რომ
გვქონდეს „ლეშონე“, მაშინ იგი გაიგივდებოდა, როგორც საშო-
ნიო, ე. ი. შონიების გვარის კუთვნილი ადგილი.

¹⁸² გ. ელიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 104, 110, 111, 117, 123.

¹⁸³ იქვე, გვ. 100.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 110.

შონიათი — ადგილი კოლაში. პროფ. ალ. ლლონტი მას ასე განმარტავს: „ადგილი, სადაც სვანები ცხოვრობდნენ. შონი—სვანნი“¹⁸⁵.

უჩა შონა — უბანი ყულისკარში (ორჯონიკიძის სას. საბჭო). „უჩა შონა“ — შავი სვანეთი.

ჩეშონა — ტყე ჩხოროწყუსთან. „ჩეშონა“ — თეთრი სვანეთი.

გეშონა — გალის რაიონის მთიან ზოლს ჰქვია, სადაც ძველი ნამოსახლარებისა და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევების კვალი დღემდეა შემორჩენილი. როგორც ზემოთაც მივუთითეთ, „ჩეშონა“ მეგრულია და ნიშნავს თეთრ სვანეთს.

შონიშ დიხა — ტყეს ჰქვია დიხაზურგის სას. საბჭოში. ტოპონიმი მეგრულია და ქართულად ნიშნავს სვანის მიწას.

უაშქელიანიშ დიხა — საყანე ადგილს ჰქვია თავილონის სას. საბჭოში. „დადეშქელიანის მიწა“ წარსულში ალბათ დადეშქელიანებს ეკუთვნოდათ. აღსანიშნავია, რომ სვანეთის ერისთავები საქართველოს მეფეებს დიდ წყალობაში ჰყავდათ. შემთხვევითი არ უნდა იყოს XI—XV საუკუნეებში სვანთა ერისთავების უდიდესი გავლენა, მით უმეტეს, მათდამი საქართველოს მეფეთა მიერ დასავლეთ საქართველში (გურია-სამცხეში) დიდი ტერიტორიების წყალობა, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციების გაგის და სხვათა მმართველად დასმა. ყოველივე ეს, პირველ რიგში, სვანეთის საერისთაოს ძლიერებით და დიდი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი¹⁸⁶.

გალის რაიონში დადეშქელიანების მიერ მიწის ფლობა შესაძლოა იქ შორეულ წარსულში სვანთა განსახლების ფაქტს უკავშირდებოდეს. ანალოგიურია დადეშქელიანების მიერ ჩრდილოეთ კავკასიელ ბალყარელებისა და ყარაჩაელებისაგან ბაეის აღება, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთ ეკავათ ოდესღაც სვანთა განსახლების ტერიტორია.

¹⁸⁵ ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

¹⁸⁶ გ. გასკვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 46.

ნ ა ო ნ ი — მდინარე გალის ტერიტორიაზე. აღნიშნული ტოპონიმი ასე დაიშლება — ნი-შონი, სადაც გაურკვეველია ნი- ელემენტის რაობა, ხოლო „შონი“ მეგრ. სვანს ნიშნავს.

ქ ე ი შ ო ნ ა — სოფელი ოტობაიას სას. საბჭოში. ამ ტოპონიმშიაც გაურკვეველია „ქვი“ ელემენტი.

ქ ა ქ უ ჩ ე ლ ა — რუ ლუმურიშის სას. საბჭოში. სვანებში ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ სიმღერას, აგრეთვე, „ბუბა ქაქუჩელა“ (ძია ქაქუჩელა) ჰქვია¹⁸⁷. სვანური სიმღერის ტექსტის შინაარსის მიხედვით ქაქუჩელა სტუმარი ჩანს, რომელიდაც სვანურ ოჯახში. მასპინძელი ცდილობს თავის სტუმარს პატივი სცეს და ასიამოვნოს. შესაძლოა ეს ქაქუჩელა სამეგრელოდან ყოფილიყო. სვანებში ასეთი საკუთარი სახელი არ არსებობს. ქაქუჩა, ქაქუჩია ცნობილია სამეგრელოში. ქაქუჩელა გვხვდება ლეჩხუმშიაც¹⁸⁸. ძნელია იმის გარკვევა, თუ რატომ დაერქვა რუს ქაქუჩელა.

3. სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადაბანილი გეოგრაფიული სახელწოდებები

ვერ კიდევ ნ. მარი შენიშნავდა, რომ სვანებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიგრაციის დროს სხვადასხვა კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად გეოგრაფიული სახელებიც გადაჰყონდათ¹⁸⁹.

ამასთანავე, ისტორია გვიჩვენებს, რომ ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ წინააღმდეგობას უწევს ძალდატანებით ასიმილაციას. ენის გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით. ამ დებულების დადასტურებაა სვანური გეოგრაფიული სახელების შემონახვის ფაქტი უძველესი დროიდან დღემდე, აი, ეს ტოპონიმებიც:

ჭ ო რ ო ხ ი — მდინარე აჭარაში, რომელიც სათავეს თურქეთში იღებს. სვანეთში ჭოროხის ხევი რომ ოდესღაც დასახლებული

¹⁸⁷ იხ. სვანური პოეზია, თბ., 1939, გვ. 248—249; ქართული ფოლკლორი, IV, თბ., 1974, გვ. 84.

¹⁸⁸ ალ. ლ ო ნ ტ ი, ქართული საკუთარი სახელები, გვ. 133.

¹⁸⁹ Н. Я. М а р р, Из поездков в Свантию (летом 1911—1912 гг.), с. 31.

ადგილი უნდა ყოფილიყო, ამაზე მიგვანიშნებს ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა ნაგებობათა საძირკვლების არსებობა, აგრეთვე ისიც, რომ ძველად სვანი მონადირეები ლოცვის დროს მოიხსენიებდნენ „შუამან-ჭოროხის წმინდანებს“¹⁹⁰. უშგულის მკვიდრს, პოეტს ტ. ჩარქსელიანს ლექსიც კი მიუძღვნია თავისი სოფლის ამ უმშვენიერესი კუთხისათვის¹⁹¹. „ჭოროხ“ ტერმინი ნაწარმოები უნდა იყოს სვანური სიტყვისაგან „ჭურ“ (მერცხალი) და გაიზარება, როგორც „სამერცხლე“¹⁹². ჭოროხის ხევი ჰქვია ადგილს ცენასა და ხესხოს ხეობაში (უშგულის სას. საბჭო)¹⁹³.

ძველ ბერძნულ მწერლობაში მდ. ჭოროხს აფსარია ან აკამფსისი (რაც ბერძნულად „უდრეკს“, „მედგარს“ ნიშნავს) ეწოდება. ძველ სომხურ გეოგრაფიაში მას იოჰ, ვოჰ ჰქვია, ხოლო ქართულად კაკამარს ეძახდნენ. XVII ს. თურქი მოგზაური ეველია ჩელები მას ჭოროხ-ჭურუხს უწოდებს¹⁹⁴.

მწერალი გ. შატბერაშვილი თავის „თვალადურ ლექსიკონში“ განმარტავს, რომ მოჭოროხებულს ეძახიან „ადიდებული მდინარის ან დიდი ნიაღვრების მოტანილი ქვა-ღორღით, ნარიყით, ქვიშა-სილით მოფენილ ადგილს“.

ჩვენი აზრით, „მოჭოროხებული“ „ჭოროხ“ ჰიდრონიმის ასახსნელად ვერ გამოდგება, მაგრამ ცხადია, რომ იგი ჭოროხიდან მომდინარე სიტყვაა. ტოპონიმში „ჭოროხი“ დაბოლოება „ხი“ ძველი ქართული (ურარტული?) უნდა იყოს.

კ ა ლ ა შ ი — ადგილი ქვემო აჭარაში. „კალამ“ სვანურად ნიშნავს კალოიან ადგილს, ე. ი. სადაც კალოს მავგარი დავაკებებია. „კალამ“ სოფელს ჰქვია მესტიის რაიონის ეცერის ს/საბჭოში.

¹⁹⁰ ბ. ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1964, გვ. 37.

¹⁹¹ ტ. ჩარქსელიანი, თეთრი მთები, თბ., 1980, გვ. 12.

¹⁹² ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925.

¹⁹³ ალ. რობაქიძე, სვანური ქალაქოლ-ის საკითხისათვის. „საზოგ. მეცნ. განყ. მოამბე“, 3, 1962, გვ. 222.

¹⁹⁴ ეველია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბ., 1971, გვ. 92, 94, 95, 100, 135, 320, 321, 324, 327, 330, 331, 333.

აღნიშნული სოფელი მოიხსენიება XIII ს. სვანეთის სულთა მატეანეში¹⁹⁵. მაშინ ამ სოფელში ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: მეჭვარიანი, მუშკუდიანი, ხაზალიანი (შდრ. ხაზალია), კვირკველიანი (შდრ. კვირკველია), ლურმუთიანი, უბილიანი (შდრ. უბილავა), აფაქიანი (შდრ. აფაქიძე), აშხიანი, ადაჯანი, ქარჩიანი (შდრ. ქარჩავა). დღეს არც ერთი ამ გვართაგანი სოფ კალაშში არ ცხოვრობს და არც საერთოდ ზემო სვანეთში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვარ უბილიანს, რომლისგანაც უნდა მომდინარეობდეს სვანური გვარი ვიბლიანი.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სვანეთში სოფლის სახელი კალაშ სამხრეთიდან იყოს იქ გადატანილი.

კალ, აგრეთვე, სოფლის სახელია მესტიის რაიონში, იგივე სახელს ატარებს ერთ-ერთი მთა იმავე რაიონის ლენჯერის ს/საბჰოს ტერიტორიაზე. „კალ“ (სვ. კალო) არის ამოსავალი. როგორც ზემოთ ითქვა, კალაშ ტოპონიმისა. -აშ სუფიქსი, რომელიც თან ახლავს სვანურ გეოგრაფიულ სახელებს (მაგ., კიჩხელდამ, კვარამაშ, ჭოლაშ, კალგრდამ, ლავლადამ, ლადევალამ და სხვ.) ბევრი გვხვდება სვანეთის ტერიტორიაზე.

კალაშ — ხევი, ადგილის სახელწოდებაა ქვემო აჭარაში. აღნიშნული ტოპონიმის პირველი კომპონენტი „კალაშ“. როგორც აღვნიშნეთ, სვანურია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ შორეულ წარსულში „კალაშ“ მთელი ხევის სახელწოდება ყოფილა.

ლაშხეთი — ერთ-ერთ ფერდობს ჰქვია სოფ. მამათის ტერიტორიაზე. ლაშხეთი ჰქვია ქვემო სვანეთის ერთ კუთხეს. არსებობს სვანური ენის ლაშხური დიალექტი¹⁹⁶.

ამ ტოპონიმის ძირია „ლაშხ“, რაც სვანურად ნიშნავს სანაბ-შირის, ე. ი. ადგილი, სადაც შეშას წვავდნენ ნახშირისათვის. ლანობილი სვანური პრეფიქსია, ქართული სა-ს ბადალი, ხოლო „შის“ (ლა- პრეფიქსის დართვის შედეგად ხმოვანი ი შეიკვეცა) — ნახშირი¹⁹⁷.

195 ვ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. II, თბ., 1941, გვ. 141.

196 იხ. სვანური პროზაული ტექსტები, ლაშხური კილო, IV, თბ., 1979.

197 „ლაშხ“ ტოპონიმიდან უნდა იყოს ნაწარმოები გვარები: ლაშხია, ლაშხიშვილი...

აღნიშნულ ტოპონიმში დაბოლოება -ეთ ქართულია. სვანეთში გვხვდება ანალოგიური ხასიათის ქართულ დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელები: ქაშუეთი, არცხელი, მურშკელი და სხვ., სადაც -ეთ და -ელ სუფიქსები ქართულია.

შესაძლებელია ქვემო სვანეთის ერთ-ერთი კუთხის სახელწოდება ლაშხეთი გურიის ლაშხეთიდან მომდინარეობდეს, ე. ი. გადმოტანილია სამხრეთიდან ხალხთა მიგრაციის შედეგად.

ო ღ ი შ ი — ძველი სამეგრელოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი. ამ გეოგრაფიული სახელით არაერთი მკვლევარი დაანტერესებულა და გარკვეული მოსაზრებაც წამოუყენებია. ასე მაგალითად, ვ. ბატონიშვილის აზრით, სახელწოდება ოდიში შემდეგნაირად წარმოშობილა: „განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყოდინ: „ოდეში იყო მე ქუეყანა იკი ჩუენი, და ისახელნენ აწამდე ესრეთ“¹⁹⁸.

მ. ჯანაშვილი თვლის, რომ „ოდეში უნდა აღნიშნავდეს ოტიის ქვეყანას, ან კიდევ დასახლებულ ქვეყანას—ოდა-სახლი“¹⁹⁹.

ამის შესახებ ნ. მარი წერს: „С другой стороны, та же тема с десибилляцией, но без абхазского префикса а-и с перебоем д в ш именно di (<dig) сохранилась в географическом термине (O-di//<O-dis) названни ныне собственной Мингрелии“²⁰⁰.

ს. კაკაბაძის აზრით, სიტყვა ოდიშიში შემონახულია იქ მოსახლე ტომის დიზერების სახელი, ტომი დიზერი შემდეგ გაქრა, მაგრამ მისგან დარჩა გეოგრაფიული სახელი მეგრული თავსართით ო-დი-ში (დიშ//დიშ²⁰¹). „ოდეში თითქოს სკილაქის მიერ დიზერებისათვის ნაჩვენები ტერიტორიის ჩრდილოეთით თუ ჩრდილო დასავლეთით

¹⁹⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 776.

¹⁹⁹ Царев:ч Вахушти, География Грузии, Тиф., 1904, с. 223, прим. 592.

²⁰⁰ Н. Я. Марр, О языке и истории абхазов. Л., 1938.

²⁰¹ დიზ-ერ ეთნონიმში -ერ დაბოლოება სვანურია (შდრ. წან-არ-ები). ამ ეთნონიმიდან შესაძლოა მომდინარეობდეს გეოგრაფიული სახელი „დიზ“ (სოფელი ხაიშის ს/საბჭოში, მესტიის რაიონი).

ჩანს. ალბათ III საუკ. ქრისტეს წინ, ტომი დიზერი იკავებს ისტორიული ოდიშის ტერიტორიას, რის შესახებ ხსოვნაში შემდეგ დარჩა ამ გეოგრაფიული ტერმინის სახით²⁰².

თ. ბერაძეს ოდიში მეგრული ღვთაების სახელი ოდისაგან ნაწარმოებლად მიაჩნია. „ოდიში“ — მეგრული ნათესაობითი ბრუნვაა, „ოდიში“, ე. ი. ოდის კუთვნილი რამ, მაგალითად: ქვეყანა ოდიში, ოდის ქვეყანა²⁰³.

თ. ბერაძე ყველა ამ ეტიმოლოგიურ ვერსიას უარყოფს. იგი მამოძიძელს „ოდიში“ გეოგრაფიულ სახელთან დაკავშირებულ მდიდარ მასალას, მაგრამ აღნიშნული ტოპონიმის წარმოშობის შესახებ საკუთარი მოსაზრებებისაგან თავს იკავებს²⁰⁴.

არც ერთ მკვლევარს „ოდიში“ გეოგრაფიული სახელის ახსნა სქანური ენის მეშვეობით არ უცდია.

ჩვენი აზრით, „ოდიში“ მიკრო ტოპონიმი უნდა ყოფილიყო, ე. ი. იგი შედარებით უფრო მცირე გეოგრაფიული არეალის ნომცველი იყო, რომლის მასშტაბები დროთა განმავლობაში თანდათან ფართოვდებოდა რაღაც გარკვეული მიზეზის გამო. ჩვენს ამ მოსაზრებას ადასტურებს შემდეგი გარემოება: XVIII ს. დასაწყისში შედგენილ ერთ რუკაზე ოდიში ჰქვია ტერიტორიას მდ. ხოხსა და აბაშას წყალს შორის²⁰⁵. ფრანგი დე ლილის მიერ 1766 წელს შედგენილ რუკაზე ოდიში მოთავსებულია ანაკოფიასა და ილორს შორის²⁰⁶. თითქმის იგივე მდებარეობა უკავია მას ბურნაშოვის მიერ შედგენილ რუკაზე²⁰⁷. გიულდენშტედტის (XVIII ს.-ის

202 ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრივი გენეზისის საკითხი, საისტორიო მოამბე, № 1, თბ., 1924, გვ. 65.

203 თ. ბერაძე, ოდი-ოდიში-ოდოია, „მნათობი“, 1952, № 12.

204 თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, „საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კრებული“, III, თბ., 1967.

²⁰⁵ Географическая карта, заключающая часть Кавказских гор... ЦГВИА, ф. ВУА 20520.

²⁰⁶ Carte générale de la Géorgie et de l'Arménie, ЦГВИА, ф. ВУА, 675.

²⁰⁷ Генеральная карта грузинских царств... ЦГВИА, ф. 2014.

70-იანი წლები) ცნობით ოდიშზე მიედინებიან შემდეგი მდინარეები: აბაშა, ჩუერი, ტეხენი, ოჩხომური, ხობის წყალი, ჭანის წყალი, ენგური²⁰⁸.

გერმანელი მეცნიერი იაკობ რეინეგსი (1744—1793 წწ.), რომელიც ერეკლე II-ის კარზე მოღვაწეობდა 1773—1783 წლებში, ოდიშის შესახებ წერს: „ამ პროვინციისათვის სახელი ოდიში არ არის უცხო. ყველა განათლებული მეგრელი მარწმუნებდა, რომ ეს სახელი მათი ერთი კუთხის სახელწოდებაა. და ეს სახელი მან მიიღო ქალაქ ოდიშისაგან, რომლის ნანგრევები ჯერ კიდევ 50 წლის წინათ გამოუცნობი ეყარა შავი ზღვის სანაპიროზე“²⁰⁹.

იგივეს ადასტურებს მარი ბროსე (1802—1880 წწ.) — ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი. იგი წერს, რომ ოდიში, ოდიშარნი ეწოდება სამეგრელოს დასავლეთ ანუ ზღვისპირა ნაწილის მოსახლეობას²¹⁰.

ოდიში სამეგრელოს ერთ-ერთ კუთხედ მიაჩნდა ი. ყიფშიძესაც, რომელიც წერს: „Одиш — часть Мингрелии“²¹¹.

ხალხური გადმოცემის მიხედვით ოდიში ეწოდებოდა სამეგრელოს იმ ნაწილს, რომელიც მოთავსებულია ენგურსა და ტეხურს შორის²¹².

თ. ბერაძის აზრით, ოდიში სამეგრელოს ერთ-ერთი კუთხის სახელი იყო, რომლის ერისთავებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში თანდათან მიაღწიეს წარმატებას, გაათავსეს თავიანთი სამფლობელო და მთავრები გახდნენ. ამ საერისთაოს სახელი შემდეგდროინდელ სამთავროზეც გავრცელდა და მას ოდიში ეწოდა²¹³. თ. ბერაძე ასეთ დასკვნამდე მიდის: „გვიანფეოდალურ

²⁰⁸ გიულენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1964, გვ. 321.

²⁰⁹ J. Reinegs, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus, Спб., 1977, S. 25.

²¹⁰ M. Brosset, Chronique Georgienne, Paris, 1831, p. 3.

²¹¹ И. Кипшндзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914, с. 227.

²¹² თ. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

²¹³ იქვე, გვ. 149.

ხანაში. სამეგრელო, როგორც პოლიტიკური ერთეულის გამომხატველი სიტყვა არ არსებობდა. სამეგრელო მეგრელებით დასახლებულ ქვეყანას ნიშნავს, ხოლო ოდიშის სამთავრო ფეოდალური საერისთაოს ბაზაზე ჩამოყალიბდა და მის წარმოშობას ტომობრივი პრინციპი არ დასდებია საფუძვლად²¹⁴.

ამგვარად, ოდიში, წარსულში სამეგრელოს ერთ კუთხეს ერქვა.

ჩვენი აზრით, „ოდიში“ ისეთივე წარმოშობისაა, როგორც არის „ადიში“ (სოფელი მესტიის რაიონში). „ადიშ“ ტოპონიმს დაკარგული აქვს 3 თავსართი. სვანები დღესაც ამ სოფელს „ჰადიშ“-ს უწოდებენ. სვანურად „ჰად“ ჰქვია ერთგვარ მცენარეს, რომელსაც ქართულად იელი, მეგრ. იბლი (იელი, ელი, ეი, ელიშ, კოკა) ეწოდება (одурь кавказская).

სვანური „ჰადიშ“ მეგრულმა ენობრივმა სამყარომ შეცვალა „ჰოდიშით“, რადგან მეგრულისათვის დამახასიათებელია ა-ს ო-თი შეცვლა (მაგ. სვან. აშირ, მეგრ. ოში, ქართ. ასი; სვან. ლაჯვამ და მეგრ. ოხვამე — სალოცავი და სხვ.).

დროთა განმავლობაში 3 ბგერა აქაც ჩამოცილდა აღნიშნულ გეოგრაფიულ სახელს და დღემდე მოაღწია ფორმით ოდიშ-ი.

მომსადამე, ოდიში ნიშნავს იელნარს. ქ. ზუგდიდის ტერიტორიაზე ეს მცენარე დღესაც გვხვდება.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ზემო სვანეთში სოფლის სახელწოდება ადიში (აქედანაა მიღებული „ადიშის ოთხთავი“) დასავლეთ საქართველოს ბარიდან იყოს იქ გადატანილი.

ამგვარად, ჩვენი აზრით, ოდიში თავდაპირველად სვანური სამთავროს რეზიდენციის სახელი უნდა ყოფილიყო. აქ ზანური ეთნიკური მასის მომქალაქრების შემდგომ ოდიში ფართო პოლიტიკური ერთეულის გამომხატველ ცნებად იქცა.

მუჟავა — სოფელი წალენჯიხის რაიონში. პროფ. მ. ქალდანის სამართლიანი შენიშვნით ეს ტოპონიმი სვანურია. იგი მას აიკვებებს ზემო სვანეთის სოფელ მუჟალ-თან. მუჟავა//მუჟალ ნიშნავს სამჯვოს. მ. ქალდანის აზრით სვანეთის სოფლის სახელი მუჟალ სამეგრელოდან არის იქ გადატანილი, მით უმეტეს, რომ იგი

²¹⁴ ი. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

სულაც არ არის სამზეო, სამაგიეროდ სამზეოა სამეგრელოს მუჯავა²¹⁵. ე. ი. მოხდა გეოგრაფიული სახელის მექანიკური გადატანა.

ნაკიფუ — სოფელი წალენჯიხის რაიონში. სვანეთში ერთ სოფელს ჰქვია „ნაკიფარ“, რაც ნიშნავს: „ნაკ“—ვაკე და „იფარ“ — იფნარი (მრავლ. რ) „ნაკიფუ“ სვანურად ასევე ნიშნავს: „ნაკ“ — ვაკე და „იფუ“—იფანი. შესაძლოა, ზემო სვანეთის სოფლის სახელი „ნაკიფარ“ აქედან იყოს გადატანილი. ტოპონიმის ახსნა შესაძლებელია მეგრული ენის საშუალებითაც, მაგ., „კიფუ“ მეგრ. — კანაფი, „ნაკიფუ“ — ნაკანაფარი.

ლანჯერი — ადგილი სოფ. მუხურში. მესტიის რაიონში ერთ სოფელს აგრეთვე „ლენჯერი“ ჰქვია. ე. გაბლიანის აზრით, „ლენჯერი“ წარმოსდგება სიტყვისაგან „ლექპერი“, ე. ი. სამუხე ადგილი²¹⁶ („ჯიპრა“ — მუხას ჰქვია).

ტოპონიმში შეიძლება გამოვეყოთ მეგრული სიტყვა „ლანჯი“ (იფანი) და სვანური სუფიქსი -ერ, რომელიც მრავლობითობისა და წარმომავლობა-ვინაობის აღმნიშვნელია. ამ შემთხვევაში ლანჯერ//ლენჯერ მეგრულ-სვანური წარმომავლობის ტოპონიმია და ნიშნავს იფნარ ადგილს. თუ ეს ასეა, მაშინ სვანეთში სოფლის სახელი „ლენჯერი“ დღევანდელი გალის რაიონიდან ჩანს იქ გადატანილი.

ღვაში გვერდი — სოფელი საბერიოს სას. საბკონში. სვანურად „ღვაშ“ ჯიხვს ჰქვია. „გვერდი“ კი მეგრული სიტყვაა და ნახევარს ნიშნავს. შესაძლოა ეს ადგილი მონადირეთათვის წინააღირების გასაყოფი ადგილი იყო.

მეგრულ-სვანური წარმოშობის ტოპონიმების არსებობა შესაძლოა მეგრულ-სვანურ ნარევე ტომზე მიგვანიშნებდეს. როგორც

215 მ. ქალღანი მუე — მეე — ძირისაგან ნაწარმოებ ტოპონიმის საკითხისათვის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XXII, თბ., 1959, გვ. 219—222.

216 ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, გვ. 46.

ცნობილია, კლავდიოს პტოლემეაიოსის (II ს. ახ. წ.) ცნობით არსებობდა სუანო-კოლხური ტომი²¹⁷, რომელსაც იგი დღევანდელ გაგრის ტერიტორიაზე ათავსებს.

ა ა ც ი — სოფლის სახელია გუდაუთის რაიონში. ა ა ც-ი ეწოდება ერთ ადგილს მესტიის რაიონის სოფ. იელის ტერიტორიაზე.

ტოპონიმი ა ა ც-ი განუმარტავია. სვანურ ენაზე მისი ახსნა არ ხერხდება.

შ. ინალ-იფას აზრით, ეს ტოპონიმი უნდა უკავშირდებოდეს ა ა ც ი-ხაიასის სამეფოს სახელწოდებას²¹⁸. ეს სამეფო მდებარეობდა მდ. ჭოროხის მიდამოებში.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ჭოროხი, ბათუმი და მთელი რიგი სხვა გეოგრაფიული სახელები აჭარის ასსრ-ის ტერიტორიაზე სვანური ენის საფუძველზე აიხსნებიან, რაც შორეულ წარსულში ამ რაიონში სვანური მოსახლეობის არსებობას ადასტურებს. მაშინ ა ა ც ი-ის სამეფოსთან²¹⁹ მათი მეზობლობა უსათუოა და ამ უცნობი ტოპონიმის აფხაზეთისა და სვანეთის ტერიტორიაზე დღემდე არსებობაც ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამასთანავე, როგორც შ. ინალ-იფა შენიშნავს, ა ა ც ი-ხაიასის მეზობლად ცხოვრობდნენ აფხაზურ-ადიღეური ტომების წინაპარი კასკები (აქიდან სვანური სატომო სახელი „ქაშაგ“ და „ქაშგარ“, რომელსაც ხმარობენ ყაბარდოელთა მიმართ), ქართული წყაროების „ქაშგანი“. ეს ერთ-ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ აფხაზთა და სვანთა წინაპარ ტომებს ისტორიული წარსულის მთელ რიგ მონაკვეთებში ერთი მეორის მეზობლად უცხოვრიათ, რამაც განაპირობა მათში მთელი რიგი ლექსიკური ერთეულების შეხვედრები.

შესაძლოა აფხაზეთისა და სვანეთში ა ა ც ტოპონიმის გაჩენა უკავშირდებოდეს ა ა ც ი-ის სამეფო სახელწოდებას, მაგრამ ცნულია იმის თქმა, სვანებმა იგი უშუალოდ მდ. ჭოროხის მიდამოებიდან

217 ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, წაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

218 შ. ინალ-იფა, დასახ. ნაშრომი, გვ. 124, 128—129, 141.

219 იხ. რეცენზია: Т. В. Гамкрелидзе, Г. Г. Гиоргадзе, Э. А. Менабде на книгу А. Гегие «Малая Азия», ВДИ, 1961, № 3, с. 154; ა. გოციყვას „მცირე აზია“, პირველად გამოვიდა 1933, ხოლო მეორედ 1957 წელს.

წაიღეს სვანეთში, თუ შემდგომ მოხდა აფხაზეთის სოფ. ააციდან მისი იქ გადატანა.

ამგვარად, თუ ზემოთ განხილულ ტოპონიმიკურ მასალას ანგარიშს გავუწევთ, მაშინ იგი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სვანური ტომების ფართო და ხანგრძლივი განსახლების რეალურ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

თუ აღნიშნული ტოპონიმების გაიენის ქვედა თარიღად სვანური ენის საერთო ქართული ფუძიდან გამოყოფის თარიღს მივიჩნევთ, ხოლო ზედა თარიღად „სომხეთის გეოგრაფიაში“ დაცულ ცნობას გავუწევთ ანგარიშს, მაშინ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სვანური ტომების განსახლებასა და მოძრაობას ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოებით ძვ. წ. XIX საუკუნიდან ახ. წ. VIII საუკუნემდე. ეს პერიოდი მოიცავს არა მარტო პროტოკოლხური, არამედ კოლხური კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდსაც, ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ სვანურ ტომებს ერთ-ერთი უპირველესი როლი უნდა შეესრულებინათ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი კულტურის შექმნის საქმეში.

თუ არგონაეტების აია-კოლხეთში (რიონის აუზში) მოგზაურობას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი (და ეს სვანური მასალითაც დასტურდება, იხ. თავი IV), მაშინ მათთვის მასპინძლობა აქ მოსახლე სვან-ჰენიოხებსაც უნდა გაეწიათ.

როგორც ჩანს, ანტიკურ ხანაში ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობები სვანთა ფართო განსახლებისა და მრავალრიცხოვნების შესახებ ისტორიული სინამდვილის ასახვას უნდა წარმოადგენდეს.

სულიერი კულტურის ისტორიიდან

სვანეთი მიმზიდველია როგორც განუმეორებელი, იშვიათი ბუნებით, ისე მდიდარი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებით. არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც ალბათ იშვიათია ასეთ მაღალმთიან ზონაში¹ ისეთი დახვეწილი, მაღალი გემოვნების არქიტექტურული სტილის ნაგებობები, როგორიც აქ გვხვდება. სვანურ კოშკებს ალტაცებაში მოჰყავდა და მოჰყავს გამოჩენილი მეცნიერები, მოგზაურები, მწერლები: „სვანური კოშკები თავისი დროისათვის ტექნიკის ისეთივე მწვერვალი და ადამიანის გენიის ისეთივე სასწაული იყო, როგორც ჩვენი მეოცე საუკუნისათვის ადამიანი — სულ ახალ-ახალი ნაბიჯებით ზეცაში“, — წერდა 1969 წელს გამოჩენილი საბჭოთა მწერალი კ. სიონოვი².

სვანური კოშკების მშენებლობის ტრადიცია ძველი ცივილიზაციების წიაღში უნდა ვეძიოთ.

ცხადია, რომ ასეთი მაღალი სამშენებლო ხელოვნების შემქმნელი ხალხის სულიერი მისწრაფება სიმძლევებს ეძებდა. წარმართული სარწმუნოების შემდეგ ასეთ ნიადაგად ქრისტიანული რელიგია იქცა, რომელმაც იქ IV—V საუკუნეებში მოიკიდა ფეხი. სვანეთმა შემოინახა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური ხელნაწერება, რომელთაგან ყველაზე ძველი, ადიშის ოთხთავი, IX საუკუნეშია გადაწერილი. დღეისათვის ზემო და ქვემო სვანეთში შემორჩა 227 ეკლესია, 400 კოშკი. მარტო სოფელ ლენჯერში 31

¹ სვანეთის სოფელი უშუალოდ ევროპაში ყველაზე მაღალი დასახლებაა.

² К. Симонов, Самолеты над башнями, газ. «Правда», 3.VIII.1969.

ეკლესია და 30 კოშკია, მულახში — 23 ეკლესია და 66 კოშკი და ა. შ. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და მის ფილიალებში ათასობით ძვირფასი ექსპონატია. შემონახულია კედლის მხატვრობის მრავალი ძეგლი, რომლებიც X—XVII სს. განეკუთვნებიან. მეცნიერთა აზრით, სვანეთი იყო კულტურის დიდი კერა, იქ არსებობდა ხელოვნების საკუთარი სკოლები³.

სვანური მოსახლეობის სულიერი და მატერიალური კულტურა ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მასზე არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევაც არსებობს.

ამ თავში შევეხებით მხოლოდ სვანეთში დღემდე შემორჩენილ წარმართული რელიგიური კულტების ერთ ნაწილს, რომლებიც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ საუკუნეების მიღმა შეისისხლბორცა. ნაწილმაც სიმღერებში, ჰიმნებსა თუ სახალხო დღესასწაულებში ჰპოვა ასახვა. ინტერესს ამ კულტებისადმი უფრო აცხოველებს ის, რომ მათ ძველი მცირე აზიის ამა თუ იმ ცივილიზებული ხალხის სულიერ სამყაროში უჩანთ ფესვები. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხადყოფს ძველი მცირე აზიის მთელ რიგ ხალხებთან ქართველთა ეთნო-კულტურული კავშირების არსებობის შესაძლებლობას.

ამასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ ძველ შუამდინარულ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც შინაარსითა და ფონეტიკური წყობით მსგავსებას ამჟღავნებენ დღევანდელ სვანურ სამეტყველო ენაში არსებულ მთელ რიგ სიტყვებთან, რომელთა უმეტესი ნაწილი სხვა ქართველურ (ქართლურ-ზანურ) ენებს არ შემოუნახავს.

1. ძველი შუამდინარულ-ქართველური ლექსიკური შეხვედრების საკითხისათვის

იყო ცდები შუმერული ენის შედარებისა სხვადასხვა ენებთან, მათ შორის კავკასიურ, კერძოდ, ქართულ ენასთან (მ. წერეთელი,

³ იხ. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971; ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; კ. მაჩაბელი, სვანეთის საგანძურებიდან, თბ., 1982; Н. А. Аладашвили, Г. В. Алибегашвили, А. И. Волская, Живописная школа Сванети, Тб., 1983 и др.

ნ. მარი) ⁴. მიუხედავად ქართულისა და შუმერულის გარკვეული სტრუქტურული ნათესაობისა, ვერ იქნა გამოვლენილი ამ ორ ენას შორის ძირითადი ლექსიკური ფონდის სისტემატური მსგავსება⁵. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მიმართებით მაქსიმალურად არავის გამოაუყენებია ერთ-ერთი უძველესი ქართველური ენის — სვანურის ლექსიკური მარაგი.

ცნობილი-შუმეროლოგი ვ. ქრისტიანი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ შუმერულსა და კავკასიურ ენებს შორის ანალოგიები და შესატყვისები იმდენად ბევრია და საგულისხმო, რომ ძნელია ეპკვი მივიტანოთ შუმერულისა და კავკასიურ ენათა გენეტიკურ ნათესაობაზე ⁶. შუმერულ ენას იბერიულ-კავკასიურ ტიპს აკუთვნებს ნ. ხოლმერი ⁷.

ქართველურსა და შუმერულს შორის მსგავსებას ხედავს ზ. კიკნაძე ⁸.

⁴ M. V. Tsereteli, Eine kleine Bemerkung zur Frage der Vorfahrn der Georgien, Revue Karvelologie, № 23, Paris, 1957, გვ. 12; Н. Я. Марр, Кавказоведение и абхазский язык. Современная летопись. Новая серия, I, XIII, № 5, 1916, ს. 14; ჯ. შარაშიძე, კ. თოფურია, შუმერები და მათი კულტურა, ეურ. „ციცქარი“, 1973, № 2, გვ. 121.

⁵ წერეთელი დიდად მოწადინებულნი ყოფილა ქართულ-შუმერული პარალელების დაძებნისა და ამისათვის ბევრი დროც დაუხარჯავს, მაგრამ სასურველი შედეგისათვის მანაც ვერ მიუღწევია (იხ. მ. წერეთელი, სუმერული და ქართული, კრებ. „გვირგვინი“, 1912; იგივე ნაშრომი 1914—1916 წლებში ინგლისურ ენაზე გამოვიდა; 1959-60 წლებში ეს ნაშრომი შევსებული სახით გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ეურნალში „ზედი ქართლისა“). ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ქართველური ენობრივი მასალის არასრულყოფილად გამოყენება უნდა ჩაითვალოს.

⁶ ჯ. შარაშიძე, ძველი შუამდინარეთი (შუმერი და აქადი) ძვ. წ. IV—III ათასწლეულში, წიგნში: „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“ (რედაქტორი გ. მელიქიშვილი), თბ., 1971, გვ. 55—57; რ. გორდენიანი; წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 40—53.

⁷ ვ. ქრისტიანი, Die Sprachliche Stellung des Summerischen. „Babylonica“, 12, 1931-1932.

⁸ H. Holmer, ibero-caucasien asa linguistic type, Studia linguistica, I, 1974; Т. А. Дектерева, Пути развития современной лингвистики, I, М., 1961, с. 46.

⁹ ზ. კიკნაძე, Шумеро-картвельские языковые параллели, Вопросы древней истории, Тб., 1973, с. 66.

ი. დიაკონოვის აზრით, შუმერულის დაკავშირების ცდები იყო თითქმის ყველა ენათა ოჯახთან, მაგრამ შუმერულის ნათესაური კავშირი ჭერჯერობით არც ერთ ენასთან დადგენილი არ არის⁹.

ბ. კუფტინი მიუთითებდა, რომ კავკასია წარმოადგენს წინა აზიური კულტურის სამყაროს და რომ ძვ. წ. III ათასწლეულში უფრო ახლო ურთიერთობა ჩანს შუმერებთან და ელამთან, ვიდრე მცირე აზიასთან¹⁰.

ამ ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ საკმაოდ მკიდრო ურთიერთობა ჩანს ძველი მცირე აზიის ხალხებთანაც¹¹.

როგორც ცნობილია, შუმერებმა შუამდინარეთში შექმნეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია, ამიტომ შემთხვევით არ უწოდა ს. კრამერმა თავის წიგნს „ისტორია იწყება შუმერში“. შუამდინარეთში შუმერული ენა რელიგიისა და მეცნიერების ენად რჩება ძვ. წ. II—I ათასწლეულებამდე.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით შუმერები ხმელთაშუაზღვისა და ბალკანურ-კავკასიურ ევროპეიდურ რასას ეკუთვნიან. ეს ფაქტიც იძლევა იმის უფლებას, რომ შუმერულ და ქართველურ ენებში პარალელები ვეძიოთ.

თუ სვანური ლექსიკური ფონდის მდიდარ სალაროში ჩავიხედოთ და ღრმად ჩავუყვირდებით თითოეული სიტყვის შინაარსს, დავრწმუნდებით, რომ მასში ჩანს არა მარტო ძველი ქართული ენის ძირები, არამედ მცირე აზიის ქართველთა მონათესავე ხალხების ენის ელემენტები და თვით ამ ხალხების გარკვეული ნაწილის სატომო სახელები, რომლებიც დროის ხანგრძლივ მანძილზე ჩვეულებრივ სიტყვებად ქცეულან. ამ ფაქტების გამოსავლინებლად სვანური ენის ღრმა ცოდნასთან ერთად საჭიროა სვანური ყოფის, ზნე-ჩვეულებებისა და მთელი მისი სულიერი სამყაროს საფუძვლიანი ცოდნა. ამდენად, ქართველურ ენებში სვანური ენა

⁹ Н. М. Дьяконов, Язык древней Передней Азии, М., 1967, с. 83.

¹⁰ Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. მეზეუმის მოამბე, ტ. XII, თბ., 1944, გვ. 86.

¹¹ ი. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 231 (იქვე იხ. მითითებული ლიტ-რა).

ის ჰოგრიტია, რომელიც საუკუნეებისა და ათასწლეულის მიღმა წავახედებს და დღემდე შეუცნობელის შეცნობის საშუალებას მოგვცემს.

ქართველური ენებიდან შუმერული ენობრივი ელემენტი ძირითადად რომ სვანურში დადასტურდეს, ეს არცაა გასაკვირი, რადგან სვანური იბერიულ-კავკასიურ ენებში ერთ-ერთი უძველესია, ხოლო იბერიულ-კავკასიური ენები ნარჩენია ენათა დიდი ოჯახისა, რომელიც მცირე აზიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზს მოიცავდა. როგორც ირკვევა, საკითხი იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა გენეტური კავშირისა ძველი ცივილიზაციის შემქმნელ ტომებთან სამეცნიერო ლიტერატურაში დადებითად წყდება, როგორც კულტურულ-ისტორიულ, ისე წმინდა ლინგვისტურ ფონზე¹². მკვლევართა აზრით, შუმერული ენის მსგავს მკვდარ ენასთან ქართულის გენეტური ნათესაობის მტკიცებას რომ შეუდგეთ, საჭიროა ჯერ ხელთ გვექონდეს თვითონ საერთო-ქართველური ფუძე-ენის ძირითადი ფონდის თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით აღდგენილი სტრუქტურა იმ სახით, როგორც იგი არსებობდა, ვთქვათ, ძვ. წ. III ათასწლეულში მაინც, თუ ადრე არა¹³. ამის შემდეგ შუმერული ენა მკვდარ ენად ითვლება და მის აღვილს აქადური იკავებს¹⁴.

საჭიროა ქართველური ენების ლექსიციდან შეირჩეს ისეთი მასალა, რომელიც ასახავს ამ ენების განვითარების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპს. მკვლევართა აზრით, „ამ მხრივ ძალზე საინტერესოა სვანური ენის მასალა, რომელმაც, როგორც ცნობილია, უფრო მეტად შეინარჩუნა არქაული ფორმები, ვიდრე ზანურმა ან ქართულმა“¹⁵.

12 ა. უ რ უ შ ა ძ ე, ბერძნული ენის ისტორიის ზოგი საკითხი, Историко-филологические разыскания, I, თბ., 1980, გვ. 197; შდრ. რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985.

13 ჯ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, შუმერები და მათი კულტურა, თბ., 1983, გვ. 32.

14 Н. Е. Гельсн, Опыт изучения письма, М., 1982, с. 68 (перевод с английского).

15 ჯ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, ე. თ. ფ. უ რ ი ა, შუმერები და მათი კულტურა, ქურნ. „ცისკარი“, 1973, № 2, გვ. 125.

აღსანიშნავია, რომ ადრებრინჯაოს ხანაში საქართველოში გავრცელებული ცულები გენეტიურად ძველ შუმერულ ცულებს უკავშირდებიან, მაგრამ ქმნიან ადგილობრივ ვარიანტს, შემდეგ, უფრო გვიან, აქედან ფართოდ რომ ვრცელდება ჩრდილოეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ ევროპასა და დუნაისპირა ქვეყნებში¹⁶. იგივე შეიძლება ითქვას სვანურ და საერთოდ ქართულ კომპურა ანსამბლების შესახებ, რომელიც პარალელებს პოულობს ძველი შუამდინარეთის კომპურა არქიტექტურასთან. აი რას წერს ამასთან დაკავშირებით არქიტექტურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი მ. ჯანდიერი: „არ შეიძლებოდა კომპები სვანეთში მხოლოდ შუა საუკუნეებში გამოჩენილიყო, ვინაიდან საქართველოს ისტორიულ არენაზე ეს ფორმა არსებობდა უკვე III ათასწლეულის დასაწყისში ჩვერამდე. 1000 წლის მანძილზე ანტიკური ავტორები არაერთხელ აღწერდნენ მსგავს ნაგებობებს ამიერკავკასიის და კერძოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე. კომპურა სახლები მოიხსენიება სვანურ ეპოსში ამირანის შესახებ, რომელიც წარმოიშვა II ათასწ. შუა პერიოდში ჩვ. ერამდე“¹⁷. მეცნიერი იქვე განაგრძობს ფაქტების დასახელებას და ამბობს, რომ „არქაული და კლასიკური პერიოდების (2800—2600 წწ. ჩვ. ერამდე) სამი შუმერული პიკტოგრაფიული ნიშანი სვანურ ნაგებობებთან შედარებისას... ახლებურად იქნა წაკითხული“¹⁸. საყურადღებოა შემდეგი დაკვირვებაც: „გამაგრებული საცხოვრებლის წარმოშობის, განვითარებისა და გაქრობის ისტორიაში ქრონოლოგიურ ცვლილებათა ფართო დიაპაზონი პარალელს პოულობს გმირულ ეპოქათა ეპოსში, სხვადასხვა ხალხში განსხვავებულ პერიოდებში რომ იქმნებოდა. ასევე შუმერების

¹⁶ თ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 122; თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ძველ კოლხეთის კულტურა, თბ., 1972, გვ. 9.

¹⁷ მ. ჯ ა ნ დ ი ე რ ი, მთიანი საქართველოს კომპურა საცხოვრებლის ძველი სამყარო, ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1982, № 10, გვ. 70.

¹⁸ იქვე, გვ. 74; ტექსტში მითითებულია შუმერული კომპურა სახლების პიკტოგრაფიული ნიშნები.

„გმირული საუკუნე“ მიეკუთვნება III ათასწ. პირველი მეოთხედის ბოლოს ჩვ. ერამდე; სვანური ეპოსი ამირანის შესახებ ჩნდება II ათასწ. შუა პერიოდში ჩვ. ერამდე“¹⁹.

მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ რამდენიმე შუმერულ-ქართული (სვანური) სიტყვა, რომლებიც თავისი სტრუქტურული აგებულებითა და შინაარსობრივი თვალსაზრისით ახლოს დგანან ერთმანეთთან.

შუმ. მარ/მარუმ.

შუმერულში „ავილუმი“ („აველუმი“) თავისუფალ და სრულუფლებიან მოქალაქეს ეწოდება, ანუ იგივე თავისუფალი მეთემე გლეხია. ავილუმი აქადური სიტყვაა და „კაცს“ ნიშნავს. იგი უკავშირდება საერთო სემიტურ ძირს „აუვალ“, რომელიც აღნიშნავს „პირველს, მეთაურს“. თავდაპირველად იგი, ჩანს, შეესაბამებოდა პირს, რომელსაც ეკირა წამყვანი მდგომარეობა ტომში ან ოჯახში. ავილუმის შვილს ეწოდებოდა მარ (მარუმ) (სიტყვასიტყვით „ჯეიშვილი“). სწორედ ეს ტერმინი არის ჩვენთვის საყურადღებო, რადგან სვანურში მარე ნიშნავს კაცს. როგორც ვხედავთ, ტერმინები მარ//მარუმ და მარე ფონეტიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით ახლოს დგანან ერთმანეთთან. აღსანიშნავია, რომ სვანური მარე თავისი სტრუქტურული აგებულებით სრულიად განსხვავდება იმავე შინაარსის მქონე ქართულ-მეგრული კაცი და კოჩი-საგან.

მარე სვანურში ძირითადად კაცის აღმნიშვნელი სიტყვაა, მაგრამ იგი მღვდრობითი სქესის მიმართაც იხმარება ისევე, როგორც ქართული კაცი. მაგალითად, სვანურად იტყვიან: „ზურალ-მარე“ — „დედაკაცი, „ლოყ-მარე“, „მამაკაცი“. ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა ეს ტერმინი ძველ ბაბილონში, სადაც „კაცის ასულს“ ეწოდებოდა მარატ ავილუმ.

როგორც აღვნიშნეთ, ავილუმი „პირველს, მეთაურს“ ნიშნავს და იგი სემიტური ძირიდან (აუვალ) მომდინარეობს. სწორედ სემიტურში აღნიშნავდა იგი პირველს, მეთაურს. როგორც ჩანს, მისი ეს ძველი შინაარსი გადმოდის ავილუმის ვაეიშვილზე, ე. ი. მარ//მარუმზე. ჰამურაბის კანონების მიხედვით, შუამდინარეთში გლეხკაცის ფართოდ გავრცელებული ტერმინია ავილუმი.

¹⁹ იქვე, გვ. 79—80.

ამ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ძველ შუამდინარეთში მარე//მარუმ იხმარებოდა არა ზოგადი სახით, მსგავსად ავილუმისა, არამედ ამ სახელს მხოლოდ გარკვეული ნაწილი ატარებდა. მაშასადამე, მარე//მარუმ ავილუმისაგან რაღაცით განსხვავდებოდა, თუმცა სოციალურად ისიც გლეხთა კატეგორიას ეკუთვნოდა.

საინტერესოა, რომ ქართულში გაგვაჩნია მარე ტერმინის შემცველი სიტყვა — სამარე, სადაც სამარე-მაწარმოებელი პრეფიქსია, ხოლო მარე ფუძე-სიტყვაა. სამარე, ე. ი. კაცის საფლავი, ძვალთშესალავი, სამარხავი, აკლდამა, სამარტვილე, ყორღანი.

როგორც ჩანს, წარსულში ტერმინი მარე კაცის აღმნიშვნელად ქართულშიაც იხმარებოდა, მაგრამ იგი დღემდე მხოლოდ სვანურმა შემოინახა. ამ მხრივ საყურადღებოა მეორე ქართული ტერმინი — ქმარი, სადაც, აგრეთვე მარე შეიძლება შევნიშნოთ (ქ-მარი, ე. ი. ქალის კაცი, მეუღლე).

ნ. ბერძენიშვილი წერს: „საფლავი“ და „სამარე“ მოწმობს, რომ ქართული (სუფიქსი სა) უნდა იყოს იქ იმ დროს, როცა დამარხვა ქვევრში ხდებოდა“²⁰.

შუმ. გურუშ

შუმერულში თავისუფალი მეთემე გლეხის რომელიღაც დაბალი სოციალური ფენის აღმნიშვნელი ტერმინია გურუშ. სხვათა შორის, ამ ტერმინით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა და არაერთი გამოკვლევაც არსებობს მასზე, რომელთა ავტორები არიან ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები: ვ. სტრუვე, ნ. ნიკოლსკი, ა. ტიუმენევი, ი. დიაკონოვი, უცხოელი ავტორებიდან ისეთი ცნობილი ორიენტალისტები, როგორიც არიან: ლ. ოპენჰე-

²⁰ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 57.

იმი, ა. ფალკენშტეინი, კ. ობერჰუბერი, ა. სალონენი, ჰ. ფაგულა, თ. იონესი, ი. სნიდერი, ი. შლიხტერი, ი. გებლი, ლ. ლეგრენი, ა. დაიმელი, გ. ჰაკმანი და სხვ.

გ უ რ უ შ ი ს ცნებაში ზოგიერთ მკვლევარს ესმის მუშა მამაკაცი, ზოგს დაქირავებული მუშა, ზოგსაც ყმა ან მონა²¹.

არც ერთს ამ ავტორებიდან სვანური ენისათვის არ მიუმართავს. სვანურად სიტყვა გ უ რ უ შ (ლუ-გურუშე) მოდღურულს ნიშნავს.¹

ამგვარად, შუმერული სიტყვა გ უ რ უ შ დღემდე მხოლოდ სვანურმა ენამ შემოინახა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ ხერხდება იმის დადგენა, თუ კონკრეტულად ვინ იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ — მუშა მამაკაცი, დაქირავებული მუშა, ყმა თუ მონა. მაგრამ ერთი რამ ცხადია, გ უ რ უ შ ი რომელიღაც უმდაბლესი სოციალური წრის წარმომადგენელია.

შუმ. ლ უ გ ა ლ

შუმერულში ლ უ გ ა ლ ი მმართველს, მეფეს ეწოდება. იგი ახლოს დგას სვანურ სიტყვასთან ლ უ გ ა ვ — ღონიერი. იგი შინაარსობრივი და ფონეტიკური თვალსაზრისით ასევე ახლოს დგას მეორე სვანურ სიტყვასთან — ლ უ ქ ა ლ — ქებული, დიდებული.

შუმ. შ უ მ ე რ

მეცნიერებისათვის დღემდე უცნობია, თუ რას უწოდებდნენ თავიანთ თავს შუმერები. მათ მრავალრიცხოვან წარწერებში ასეთი რამ არაა შემონახული. ამ წარწერებში ჩვეულებრივ ვხვდებით გამოთქმებს: „ქალაქ ურის შვილები“, „ქალაქ ლაგაშის შვილები“ და ა. შ. მით უფრო საგულისხმოა, რომ თვით სახელწოდება შ უ მ ე რ სვანური ენის ნიადაგზე ახსნას ექვემდებარება. შ უ მ ე რ სიტყვაში ფუძე უნდა იყოს შ უ მ, რაც სვანურად მყუდროს, ან „მოსვენებას“ ნიშნავს. სვანურად იტყვიან ხოლმე „შ უ მ მაყრ“ — მოსვენება მომეციო, ან დამასვენეო, ხოლო -ერ დაბო-

²¹ ქ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, გურუშის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის საკითხისათვის აქადის დინასტიის ხანაში (ძვ. წ. XX:IV—XIII სს.), „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 232—266 (იქვე იხ. ლიტ-რა ამ საკითხთან დაკავშირებით); იხ. აგრეთვე Д.ж. Ша р а ш е н и д з е, Мегары древней Месопотамии, ВДИ, 1984, № 4, с. 98—113.

ლოება სვანურში მრავლობითობისა და წარმოქმნილობა-ვინაობის აღმნიშვნელი სუფიქსია. ამგვარად, შუშმერ სვანურად იქნება მყუდრო ადგილი (შდრ. ბერძნ. ათონი — მყუდრო ადგილი).

როგორც ცნობილია, შუშმერების თავდაპირველი სამშობლო შუამდინარეთი არ იყო, რომ ისინი ინდოეთიდან, კერძოდ მდ. ინდის ხეობიდან უნდა გადმოსახლებულიყვნენ, სადაც თან უნდა გამოჰყოლოდათ საკუთარი ცივილიზაცია, რომელიც შუამდინარეთში კიდევ უფრო განავითარეს, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ძველი ინდური ანუ სანსკრიტული ენის ელემენტები გვხვდება ქართულშიაც, მათ შორის სვანურში. რადგან ტერმინი „შუშმერი“ სვანურად „მყუდროს“ ნიშნავს. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ შუშმერებს მათი ახალი დასახლების ადგილისათვის ასეთი სახელი ეწოდებინათ. ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ახალი საცხოვრებელი ადგილი ძველთან შედარებით უფრო მყუდრო, მშვიდობიანი და წყნარი აღმოჩნდა მათთვის. ან შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს რომელიმე ბუნებრივ მოვლენასთან. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ მსოფლიოს ყველა ხალხისათვის ცნობილი მითი წარღვნის შესახებ წარმოიშვა შუამდინარეთში.

გ უ თ ი ე ბ ი

შუამდინარეთის ერთ-ერთი მეფის ნარამსუენის (ძვ. წ. 2290—2254 წწ.) მოღვაწეობის წლებში აღმოსავლეთიდან ქვეყნის სიღრმეში შემოჰკრა დაიწყეს ზაგროსის მთიანეთის მცხოვრებმა მომთაბარე ტომებმა გ უ თ ი ე ბ მ ა. შუამდინარეთში მათ თითქმის ასი წელი იბატონეს. გაურკვეველია გუთიების ეთნიკური ვინაობა. არსებობს მოსაზრება, რომ ისინი ხურო-ურარტულ ტომებსა და კავკასიურ სამყაროს უნდა ენათესავებოდნენ. საგულისხმოა, რომ სვანურმა ენამ დღემდე შემოინახა ამ ეთნონიმიდან ნაწარმოები სიტყვა — ლგ-გუთე (ახმანი, ზორზონი, აყლაყუდა). ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ გუთიები ისტორიული არენიდან მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულში გაქრნენ.

ბ ა ბ ი ლ ო ნ - ი

ლენტეხის რაიონის ერთ სოფელს ბ ა ბ ი ლ ი ჰქვია. ხომ არ არის იგი ძველი ბაბილონის ასოცირებული ფორმა? ბევრი სხვა ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ ხალხს, ამა თუ იმ ახალ ადგილზე

დამკვიდრებისას, თან გადაჰქონდა ძველი დასახლების — მხარის, სოფლის თუ ქალაქის სახელი. შესაძლოა ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ბაბილონ//ბაბილ ფაქტთან დაკავშირებითაც. ბაბილონი აღმოცენდა იქ, სადაც მდინარეები ტიგროსი და ევფრათი ყველაზე უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. აქადურ ენაზე ბაბილი „ღვთის ჭიშკარს“ ნიშნავს. სვანურად ბ ა ბ ი ლ ი არ აიხსენება (აღბათ ამ ტერმინიდან მომდინარეობენ: ბაბი, ბაბილ, ბაბილინე, ბაბლუანი). სირიულში ბაბილ „აჭანყებულს“ ნიშნავს.

შუმ. ქ ა დ ი ნ გ ი რ ა

შუმერები ბაბილონს ქ ა დ ი ნ გ ი რ ა ს უწოდებდნენ, რაც აქადურის პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ამ სახელის ბერძნული ფორმაა (შდრ. აქადური „ბაბილი“). ე. ი. ქ ა დ ი ნ გ ი რ ა შუმერულად ღვთის ჭიშკარს ნიშნავს. ქ ა დ ი ნ გ ი რ ა ჩანს ორი კომპონენტისაგან შემდგარი ტერმინია, რადგან ის ნიშნავს „ღვთის ჭიშკარს“, რომელიც შუმერულში ორი სიტყვით უნდა გამოითქვას აგრეთვე. მაშინ იგი ასე უნდა დაიშალოს: „ქ ა დ - ი ნ - გ ი რ .“ იგი შეიძლება სვანურ მასალას დაეუკავშიროთ, კერძოდ, ქ ა დ სვანურად რომელიღაც ღმერთის სახელზე საგანგებოდ გამოცხვარ ცხიმიან პურს ჰქვია. ხოლო აღნიშნული ტერმინის მეორე კომპონენტი იმით არის საინტერესო, რომ იგი სვანეთის მდინარის სახელწოდებაა.

შუმ. ე ნ გ უ რ // ი ნ გ ი რ

სხვათა შორის ი ნ გ ი რ , ე ნ გ უ რ შუმერულ მითოსში დამოუკიდებელი სახითაც გვხვდება: „უთუსეული ე ნ გ უ რ ი ს სახლი“, ე. ი. მზისეული ენგურის სახლი. ან კიდევ:

„ოდეს აასუსკენ, განუნისკენ მივდიოდი,
ოდეს ერედუკენ მივდიოდი,
ოდეს ე ნ გ უ რ ი ს კ ე ნ მივდიოდი...“

ე. ი. „უთუსეული ენგურის სახლი“ (მზისეული ენგურის სახლი), რომელსაც აქვს ღვთის საკადრისი ზღაპრული სახლი. ე. ი. ქ ა დ ი ნ გ ი რ ტერმინში ქ ა დ რომელიღაც ღვთაების სახელია, ხოლო ე ნ გ უ რ ი ს ქვეშ იგულისხმება ზღაპრული სახლი, თუ ჭიშკარი. ამდენად ქ ა დ ი ნ გ ი რ ღვთის ჭიშკარის ცნებით გაიგება.

შუმ. უ თ უ

შუმერულში მზეს (თუ მზის ღვთაებას) ეწოდებოდა უ ი უ, ხოლო სვანურში ათ უ ცხელს ნიშნავს (შდრ. ქართ. „ცხელი“ და მეგრ. „ჩხე“).

ნიცირი

გილგამეშის ეპოსის მიხედვით წარღვნის შემდეგ უთნაფიშ-დიმი (ბიბლიური ნოე) მიაღვა ნიცირის მთას, ანუ ბიბლიის მიხედვით არარატის მთას. საგულისხმოა, რომ არარატის მთის შუამდინარული სახელი ნიცირი მოგვაგონებს სვანურ სიტყვას ნე-ცი რ ი//ლე ც ი რ ი (წართხალი), ე. ი. მთა, სადაც იზრდება წართხალი, წართხალის მთა. წართხალს მნიშვნელოვანი გამოყენება ჰქონდა. ის მთებზე ხარობს. სვანები მას დღესაც იყენებენ საჭმელად, რადგან იგი სამკურნალო თვისების მქონე მცენარეა.

აქად. შარ

შარ აქადურად მეფეს ერქვა. სვანურში სიტყვა მეფე ან ბატონი არ არსებობს, მაგრამ შემორჩა სიტყვა შარ. იტყვიან ხოლმე: „შარ ამხილ“ — შარი მომიტანაო, ე. ი. თავი მომაბეზრაო. ამგვარად, შარ სვანური გაგებით მობეზრებას, მომბეზრებელს აღნიშნავს. შესაძლოა შარ შორეულ წარსულში სვანურშიაც მეფეს ან ბატონს აღნიშნავდა, რომელიც შემდგომ მომბეზრებლის, აუტანელის სინონიმად იქცა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ნებისმიერი ხალხისათვის ბატონი თუ მეფე მოსაბეზრებელი იყო.

შუმ. თუ

შუმერულად თუ ნიშნავს შობას, დაბადებას, ხოლო სვანურად იგივე აქტი აღინიშნება სიტყვით ლი-თ უ-ე, სადაც ლი- პრეფიქსია, ხოლო -ე დაბოლოება ამ შემთხვევაში შედგენილი შემასპენლის ზმნური ნაწილია.

შუმ. მელა

შუმერულში არსებობდა ტერმინი მე-ლა მ. ზ. კიკნაძე ამ ტერმინთან დაკავშირებით წერს, რომ სიტყვა „ბრწყინვალეა“, ან „ელვარება“ სავსებით ვერ გამოხატავენ იმ თავისებურ შინაარსს. რაც უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი შუმერულ ტერმინში მე-ლა მ. ზ. კიკნაძის სიტყვით, მელა მი იმგვარი რიგის მოვლენათა შო-

რის იყო შერაცხილი, რომელნიც ღვთაებისა და საერთოდ თეოსფეროს წინაშე რელიგიურ შიშს, მოწიწების გრძობას იწვევდა.

საგულისხმოა, რომ სვანურად მ გ ლ ა მ ცეცხლის აღს ნიშნავს. იმავე მნიშვნელობით ჩანს იგი შუმერულში. აი, როგორ განმარტავს შუმერულ მ ე ლ ა მ ს ზ. კიკნაძე: „არქაული პიკტოგრაფია ამ კომპოზიტიური სიტყვის პირველ მარცვალს ლამ-, რომელიც ჩვეულებრივ იკითხება როგორც ი ზ ი, „ცეცხლი“ წარმოადგენს, როგორც თვალნათლივ ვხედავთ რაღაც ბირთვის, შუქის გამომსახველს. სიტყვაში მ ე ლ ა მ უნდა იგულისხმებოდეს რაღაც ბუნებრივი კერა ცეცხლოვანი თუ სხივური ენერგიისა, საიდანაც მთელ სამყაროს ეფინება ბრწყინვალება“²².

ამგვარად, სვანური მ გ ლ ა მ ი (ქართ. აღი) და შუმერული მ ე ლ ა მ ი, როგორც შინაარსობრივი, ისე ფონეტიკური თვალსაზრისითაც ერთი და იმავე ცნების გამომხატველია.

შესაძლოა ცეცხლათყვანისმცემლობის რიტუალიც მ ე ლ ა მ-თან იყოს დაკავშირებული. ეს არის ე. წ. „ლამპრობა“ (სვანურად „ლიმპა-რი“), რომელიც იწყება თებერვლის პირველ რიცხვებში, ანუ უძღვების კვირის კვირიაკეს და გრძელდება კვირის სამშაბათამდე. სამი საზოგადოების — უშგულის, კალის და იფარის გარდა, ეს დღესასწაული ყველგან იცოდნენ სვანეთში, — გვაუწყებს ცნობილი ეთნოგრაფი ბ. ნიჟარაძე („თავისუფალი სვანი“). სვანური „ლამპარი“ („ლამპრობა“) რომ შუამდინარულ სინამდვილეში უნდა იღებდეს სათავეს, ამას სხვა ფაქტიც გვაფიქრებინებს რომელიც ამ დღესასწაულის რიტუალში შეინიშნება. მოვუსმინოთ ისევ სვანეთის ბლალოჩინს, ეთნოგრაფ ბ. ნიჟარაძეს (1852—1919 წწ.): „დღესასწაული იწყება კვირის დილას; საღამოს თითოეული ოჯახი ანაუკას წინათვე დაეყილს და ცხვენს ქვეშ გამხმარ არყის ხისაგან ვაკეთებულს ლამპრებს ერთს დიდს ლამპარს წაიღებს მოსახლე ადგილობრივს ეკლესიაზედ, თითო მომცრო ლამპარს ყოველს მის მიცვალბულთ საფლავზედ და ერთსაც, რომელიც სიდიდით ყველა ლამპარზე მეტია — კ ა ლ ო შ ი. ხალხის რწმენით, საფლავზედ დანათებული ლამპრები გზას უნათებენ იმათ მიცვალბულთა საფლავის, როდესაც იგინი ამიერ ქვეყნიდან მიემგზავრებიან; კალო-

²² ზ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88—89.

ზედ დიდი ლამპარი არის დანიშნული „სუნდუქე დეცეშ-სთვის“. ეს „სუნდუქე-დეცეშ“²³ ხალხის აზრით არის ცის ღმერთი, რომლის ხელთ არის ყვავილის მოვლენა ქვეყანაზედ და ამისათვის ლამპრის ანთების დროს ხალხი ეხვეწება მას, რომ მან მშვიდობიანად მოავლინოს ყვავილი და ბავშვები არ დახოცოს. ადგილობრივ ეკლესიაში მიტანლის ლამპრით სვანი სთხოვს ეკლესიას; ააშოროს მას და მის ოჯახში მყოფთ თვალის ტკივილი... ამგვარად ლამპრები იცის ხალხმა 2-ს თებერვალს, მირქმას (სვანურად სვიმნობ-სვიმენობა). განსხვავება იმაშია, რომ ამ დღეს დილით ყოველი მოსახლე ერთს დანიშნულს ადგილს, უფრო ხშირად სოფლის შუაგულს, მიიტანს თითო კონა შეშას. შეშის კონებს ერთიმეორეზედ თივის ზვინის მსგავსად დააწყობენ; ქვედად ცეცხლს მისცემენ და ერთიანად დაიწვის ის შეშის ზვინი. შეშის დაწვის დროს ოჯახებიდან მოიტანებენ სამ-სამ ყველიან პურებს ხონჩაზედ დადებულს. ერთი სოფლის მოხუცთაგანი ცალ-ცალკე მოსახლის რიცხვზედ შეალოცებს ხონჩიან ამ პურებს“²⁴.

ზემოთ მოტანილი სვანური ლამპარობის აღწერილობიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სამი ლამპრიდან ერთ-ერთი ყველაზე დიდის, ცის ღვთაების სახელობის ს უ ნ დ უ ქ ვ-დ ე ც ე შ ლამპრის სახელწოდება. როგორც ვხედავთ, სვანურმა შემოინახა ცის ღვთაების სახელი ს უ ნ დ უ ქ (მდრ. ძველბაბილონური ღვთაება „მარდუქ“), რომელიც, ჩანს, შუმერულია.

შუმ. ნ უ ს ქ უ

შუმერულში ცეცხლის ღვთაებას ეწოდებოდა ნ უ ს ქ უ. ხოლო სვანურად თვით ცეცხლს ჰქვია ნ ე მ ე ს ქ უ//ლ ე მ ე ს ქ უ. ფონეტიკურად ერთმანეთის მსგავსი ეს სიტყვები ერთში ცეცხლს აღნიშნავს, სოლო მეორეში ცეცხლის ღვთაებას (მდრ. ქართ. „ცეცხლი“, მეგრ. „დაჩხირ“).

შუმ. გ უ ბ

²³ „დეც“ სვანურად ცას ჰქვია. „სუნდუქე“ გაუგებარია, მის განმარტებას არც ბ. ნიჟარაძე იძლევა (იხ. ქვემოთ „სუნდუქე“).

²⁴ ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 59—60.

შუმერულად ერთ ადგილას „დგომას“ ეწოდება გუბ. ქართულად, და მათ შორის სვანურად გუბ, გუბე გაუმდინარ, ერთ ადგილას მდგარ წყალს ჰქვია.

ა დ ა ბ ი

სამხრეთ შუამდინარეთში ერთ ოლქს ერქვა ად ა ბ ი. სვანურად დ ა ბ ჰქვია ყანას. ამ ტერმინიდან უნდა წარმოსდგებოდეს ქალაქური ტიპის დასახლების ქართული სახელი დ ა ბ ა. ივ. ჭავჭავიძის აზრით, დ ა ბ ა თავდაპირველად ქვეყნის, შუმდეგ კი სოფლის ცნებით გაიგებოდა¹²⁵.

ამგვარად, არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ად ა ბ-ის ასოცირებულ ფორმას წარმოადგენს სვანური დ ა ბ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ ად ა ბ მიჩნეულია არაშუმერულ ტოპონიმად, მსგავსად ისეთი გეოგრაფიული სახელებისა, როგორც არის ი დ ი გ ი ნ ა (ტიგროსის ძველი სახელწოდება), მ უ რ ა ნ უ ნ ი (ევფრატის ძველი სახელწოდება), ასევე ქალაქები: უ რ ი, ქ ი შ ი და ნ ი ფ უ რ ი.

ა შ გ ა ბ

არაშუმერულ სიტყვად მიაჩნიათ ა შ გ ა ბ („დაბალი“, ტყავის გამოყვანი). სვანურად ა შ გ ა ბ ნიშნავს ტყავზე ბალანის, ბეწვის, თმის გაძრობას.

შუმ. გ ე შ თ უ

შუმერულში გ ე შ თ უ ნიშნავს ყურს, ხოლო სვანურში ყურს ჰქვია შ დ ი მ.

შუმ. ა დ ა პ უ

შუმერულში ბრძენს აღნიშნავდნენ სიტყვით ა დ ა პ უ, რომელიც გვაგონებს სვანურში მღვდლის სახელს ბ ა პ უ.

შუმ. ე ზ ე ნ

შუმერულში ე ზ ე ნ დღესასწაულს აღნიშნავდა, ხოლო სვანურში ე ზ ე რ — ე. ი. კარგი, შესანიშნავი, ბრწყინვალე.

შუმ. გ უ ზ ა

²⁵ ივ. ჭავჭავიძის, ქართული ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 14—15.

„ტახტი“ შუმერულად იქნება გ უ ზ ა, ხოლო სევანურად ლი-გ უ-ზ ა ნიშნავს მოხვექას, მისაკუთრებას, დაუფლებას რაიმესი.

შუმ. თ ი

შუმერული „თი“ ნიშნავს ცხოვრებას. სევანურში „ლი-თი“ მკას ნიშნავს, ხოლო „ლი-თუე“ — დაბადებას, შობას (შდრ. რუს. житье — ცხოვრება და жатва — მკა, ე. ი. პურის მკა), „თე“ სევანურად თვალს ნიშნავს. თვალი, თვალის სინათლე ცხოვრების სინონიმური გაგებით შეიძლება იქნეს ასოცირებული. რაც შეეხება ლი-პრეფიქსს სევანურ სიტყვებში: „ლითი“, „ლი-თუე“ გამო-ნაკლისს შემთხვევას არ წარმოადგენს, იგი დღევანდელ სევანურ ენაშიც ფართოდ გამოიყენება.

შუმ. ქ ა ლ- ან ქ ა ლ-ლა

შუმერულში ფასდაუღებელი ასე გამოითქმის: „ქალ-ან-ქალ-ლა“. სევანურში იმავე შინაარსის მომცველია სიტყვა „ლ-ქალ“. ორივე ენაში ფუძე სიტყვაა „ქალ“. ამ ტერმინთან დაკავშირებით საგულისხმოა მეორე გარემოებაც: რიტუალური კვერი, რომელსაც სევანები ახალ წელს აცხოებენ, თხელი, მრგვალი და მრავალქიმიანი ლავაში იყო. მას მზის ღვთაების სახელი „ქალ-ბაბაი“ ეწოდებოდა. საგულისხმოა, რომ აქაც „ქალ“ ძირი შეინიშნება, რაც, ჩვენი აზრით, შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

შუმ. ხ ა რ-ი

შუმერული „ხარი“ იმავს ნიშნავს, რასაც ქართული ხარი, (შდრ. სევან. „ჯან“ და მეგრ. „ხოჯი“).

შუმ. ქ უ შ.

„ქუშ“ შუმერულად ამოხვეწას, ქოშინს, კვნესას ნიშნავს. სევანურად „ლი-ქუშ-იელ“ მთქნარებას აღნიშნავს (შდრ. ქართ. „ქოშინი“. მეგრ. „ქაშუა“-კვნესა).

შუმ. ბ ა რ

შუმერულად „ბარ“ დაბლობს ან უდაბნოს ნიშნავს. ქართველურ ენებშიაც „ბარი“ დაბლობის, ვაკე ადგილის მნიშვნელობით იხმარება.

შუმ. ნ უ

„ნუ“ შუმერულში აღნიშნავს უარყოფას — არ, არა. ასეთივე მნიშვნელობით იხმარება იგი ქართველურ ენებში.

შუმ. ფ ე შ

„ფემ“ შემერულად ამოსუნთქვას ნიშნავს. სვანურად „ფემ// ფაწ.“ დალლას აღნიშნავს; აქედან „ეამ-ფაწ“ დავილაღე, „ლი-ფემ“ — დალლა და ა. შ. *ლჷემ-ზჷენჯჷ.*

შემ. ი რ ნ ი ნ ი

„ირნინი“ შემერულში ბრწყინვალეების, სიკაშკაშის, სინათლის ღვთაება აყო. ამ ტერმინთან ახლოს დგას სვანური სიტყვა „ირ-პი“ — თენდება: „რღჷა“ სვანურში განთიადის, ცისკრის ჰიმნია და მას დღემდე მღერიან, როგორც სინათლის საგალობელს.

შემ. მ ი უ შ ა რ

„მიუშარ“ შემერულში წვრილმანი ღვთაების შინაარსითაა ცნობილი. სვანურში „მუშარ“ კვირა დღეების ციკლს აღნიშნავს (მრ. რიცხვში). ე. ი. სვანურშიც „მუშარ“ მრავლის, წვრილმანის შინაარსით გაიაზრება.

შემ. მ უ რ ი მ

„მურამ-მე-ბალათი“ შემერულში კის მსახურ წვრილმან ღმერთს აღნიშნავს²⁶. შემერულ „მურიმ“-თან მსგავსებას ამჟღავნებს სვანური სიტყვა „მორელ“—ჭა. შემერული „მურიმ“ და სვანურა „მორელ“ ფონეტიკურად და შინაარსობრივად ერთმანეთის იდენტურია ჩანს.

შემ. ღ ა

შემერულში „ღა“ ნიშნავს სოლს, ხოლო სვანურში იგივე საგნის აღმნიშვნელია სიტყვა „თალ“.

შემ. უ დ უ

შემერულში „უდუ“ ცხვარს ეწოდებოდა. სვანურში „დუხ“ ვერძა. ერკემალს ჰქვია (მდრ. უ-დუ და დუ-ხ). ორივე ენაში „დუ“ ფუძე სატყვა ჩანს.

შემ. ვ ი ნ

შემერულში „გინ“ ფეხს აღნიშნავდა. ვფიქრობთ, იგი უკავშირდება სვანურ „ლი-გინ-ე-ს („დგომა“), ე. ი. ფეხზე დგომა. ლი- სვანური პრეფიქსია²⁷.

²⁶ E. Unger, Babylon, Berlin-Leipzig, 1931, S. 259, № 7.

²⁷ Г. А. Климов, М. Е. Алексеев, Типология кавказских языков, М., 1980, с. 84.

შუმ. გაცი

შუმერულში „გაცი“, „კასი“ მდოგვის სახელად იხმარებოდა. სვანურში ამ ტერმინთან სიახლოვეს იჩენს სიტყვა „გვაწი“, რაც აგრეთვე ერთგვარი ბალახის სახელია, რომელსაც ქართულში მწყერფხვა, ხოლო მეგრულში ჭყორტოტი ჰქვია. სვანურში „გაც“ ტერმინთან იდენტურობას ამჟღავნებს მეორე სიტყვა „კიც“ (ქართ. კენკეშა, მეგრ. ჭურია).

შუმ. ქუნგალ

შუმერულში ღუმიან ცხვარს „ქუნგალ“ ეწოდებოდა, რაც მოგვაგონებს სვანურ სიტყვას „ქუინლუმგენე — პირუტყვი. საქონელი“ (სიტყვასიტყვით „სულდგმული“).

შუმ. შუბ//სუბ

შუმერულში „შუბ//სუბი“ წოლას ან დაცემას აღნიშნავდა. სვანურში „სუბი“ ცეკვას ნიშნავს. საგულისხმოა, რომ ქართული ცეკვის ილეთები მიწაზე დაცემასაც შეიცავს, ამიტომ ადვილი შესაძლებელია სვანური „სუბი“ მომდინარეობდეს შუმერული სიტყვიდან „სუბი“.

შუმ. იერე

შუმერულში მონას ეწოდებოდა „იერე“ ან „ერე“. სვანურშიც „იერე“ ან „ერე“ ნიშნავს ვილაცას. თავისუფალ მეთემე გლეხებთან შედარებით მონა მართლაც იყო ვილაცა. სიტყვაში „ვილაცა“ ჩანს დამცირება, დამდაბლება.

შუმ. ლაგალ

შუმერულში „ლაგალ//ლაგარ“ ღვთის მსახურთა გვარს აღნიშნავდა. ფონეტიკურად მოცემული ტერმინი ახლოს დგას სვანურ სიტყვასთან „ლჯალ“ — სანაქებო, საუცხოო, დიდებული. ღვთის მსახურეულთა გვარი სანაქებო გვარი უნდა ყოფილიყო.

შუმ. დილი-დილუ

ქართულში არის მისამღერი „დილი-დილი-დელა“, რომლის შინაარსობრივი მნიშვნელობა გაუგებარია. იგი უნდა მომდინარეობდეს შუმერული სიტყვიდან „დილი-დილუ“, რაც ნიშნავს თათო-თითოდ. ქართული სიმღერის მადღმა იგი ათასწლეულებში ამოატარა და ლირიკული ჰანგების მუსიკალურ დანამატად აქცია.

შუმ. სუ//შუ

„ს უ//უ უ“ შუმერულში ხელს ერქვა. აქედან, ჩანს, მონდიან-რეობს სვანურში ხელის აღმნიშვნელი სიტყვა „ში“ (შდრ. ქაოთ. „ხელი“, მეგრ. „ხე“).

შუმ. ს ა ტ უ

„სატუ“ შუმერულში შიშველს (მთას) აღნიშნავს. სვანურში იმავე მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „სათიაჲ“. „სათია ლახვ“ სვანურად შიშველი მთა.

შუმ. დ ი

შუმერულში „დი“ დიდის მნიშვნელობით იხმარებოდა; „დი-გრაჲა“ შუმერულში დედა-ღმერთს ეწოდებოდა. „დი“ სვანურა-დაც დედას ჰქვია (შდრ. მეგრ. „ღია“, ქართ. „დე-და“). შუმერული „დი“ უცვლელადაა შემორჩენილი ქართულ სიტყვაში „დი-დეჯა“, ე. ი. ბებია.

შუმ. ჰ ა //ზ ა

შუმერულში „ე-სიგ-გა“ ნიშნავს აგურის სახლს. სვანურში „ხვაჲ“, აგრეთვე მრავალს აღნიშნავს (შდრ. ქართ. მრავალი და მეგრ. ბრელი).

შუმ. ე-სიგ-გა

შუმერულში „ე-სიგ-გა“ ნიშნავს — აგურის სახლს. სვანურში „მეზიგა“ მოსახლეს ეწოდება. ფუძე-ძირი შუმერულსა და სვანურში არის სიგ//ზიგ.

„ლა-ზგ-ა“ სვანურად საცხოვრებელს ნიშნავს. ამ ტერმინს ნ. მარი უკავშირებს ლურსმულ დამწერლობაში მოხსენებულ as!-ს —სახლი²⁸.

სვანურ ციხე-სახლს, რომელიც „გუბანდისა“ და „სვანირის“ სახელითაა ცნობილი, „ლაზგა მურყვამ“ ეწოდება (ე. ი. „საცხოვრებელი კოშკი“) ²⁹.

აქად. და დ უ

„დადუ“ აქადურ ენაზე სიყვარულს ნიშნავდა. შუმერებში იგი საკუთარ სახელადაც იხმარებოდა. საგულისხმოა, რომ XIII ს. სვანურ გვარსახელებში გვხვდება „დად, დადისა, დადისშვილი,

²⁸ Н. Я. Марр, Из поездок в Сванию (летом 1911-1912 гг.). XV. т. II, вып. I, СПб., 1913, с. 23.

²⁹ ა. ქალდანი, კოშკების სამყაროში, თბ., 1978, გვ. 77.

დადიშგელა“ (აქედან დად-იშ-გელანი, ე. ი. დადის ძე გელა, შდრ. დად-ია-ნი). „დადუ“ სვანურში ოჭახის უფროსის, საპატივცემულო ადამიანის აღმნიშვნელად იხმარებოდა.

ამკვარად, „დადუ“ შუმერული გზით უნდა იყოს ქართულში მოღწეული. სვანური სიტყვა „დად-ილ“ (კინობითი ფორმაა) ნიშნავს ძვირფასს, საყვარელს. ეს უკანასკნელი კი შინაარსობრივად ცხადედ ემთხვევა აქადურ „დადუ“-ს (შდრ. აფხ. „დად“.)

შუმ. ბ ა უ

„ბ ა უ“ მიწათმოქმედების მფარველი ღვთაება იყო. აღსანიშნავია, რომ ბასკები თავიანთ თავს „ბაუ-შინს“-აც უწოდებენ ხოლმე. რაც ბაუს შვილს ნიშნავს.

საფურადღებოა, რომ სვანები ბაუ-ს უწოდებენ საქონლისათვის მოწყობილ მთის საზაფხულო სადგომებს. ბაუ-ს სვანები მიწურ სახლსაც ეძახიან. ასეთი გაგებით არსებობს ეს სიტყვა ყარაჩა-ბარჯარლებშიც, რაც სვანურიდან შესული ჩანს.

აქად. ბ ა ა ლ ი

ბ ა ა ლ ი (აქად. „ბატონი“, „უფალი“) აქადური პანთეონის ღმერთების, კერძოდ, ენლილისა და მარდუქის სახელწოდებაა. შუამდინარეთიდან უნდა იყოს იგი გადასული ბერძნულში, სადაც ზეესთან გაიგივებული მარდუქი იხსენიება სახელით „ბელოს“. ფინიკიურ და უგარიტულ მითოლოგიასა და რელიგიაში ბაალი მოკვარი ღმერთის სახელია.

აღსანიშნავია, რომ სვანეთში ერთ ქედს ჰქვია ბალი („ბალ ზაგარ“). აქედან წარმოსდგება გამოთქმა ბალს ქვემო და ბალს ზემო სვანეთი. ბალ ტოპონიმი სვანურ ენაზე არ აიხსნება.

შუმ. ქ ი

შუმერული „ქი“ („გი“). ბერძნული „გეა“ და ძველქართული ქ-ღმერთი „გა“ ერთი წარმოშობის ჩანს (შდრ. გაცი და გაიმ) და განასახიერებს დედამიწას. თუმცა „ქი“ არ მიაჩნიათ შუმერული ენის კუთვნილებად. სვანურად „გიმ“ დედამიწას ეწოდება. სვანეთში შემორჩა ძველი ქართული საკულტო სიმღერა, რომელიც ქიწის ნაყოფიერების სადიდებელს წარმოადგენს³⁰.

შუმ. გ ე შ უ ა

³⁰ იხ. ვურ. „საბჰოთა ხელოვნება“, 1960, № 2, გვ. 108.

გ უ შ ე ა (შუმ. ღმუილა ღმერთი) იშთარის ზედწოდება. სიტყვა „გაშუ“ ბომბორა დიდი ძაღლის სახელად იხმარება სვანურში. გა-შუ-ს ზოგჯერ უშნო ადამიანსაც ეძახიან. შესაძლოა სვან. „გაშუ“ შუმერული „გუშეა“-ს ტრანსფორმირებული ფორმა იყოს.

შუმ. გალ-ი

სიტყვა „ქალი“ შესაძლოა მომდინარეობდეს შუმერული „გალ“-იდან, რომელიც აგრეთვე, ქალს აღნიშნავს. შუმერული „ერეშქა-გალი“ ნიშნავს: „დიდი მიწის დედოფალი“. ამ ფორმაში („ერეშქა-გალი“) — „ერეშ“ დიდს ნიშნავს, ხოლო „ქა“ („ქი“) — მიწას, „გალი“, როგორც აღვნიშნეთ — დედოფალს. საგულისხმოა, რომ „ქაირა“ სვან. ნიშნავს „სამყოფს“. ხომ არ არის იგი „ერეშქა“-ს სახეშეცვლილი ფორმა?

შუმ. ნანა და გალ

„ნანაგალ“ (ნანა-გალ) სვანური ენის ბაალს ქვემოურ დიალექტზე დედუღეთს აღნიშნავს. საგულისხმო ის არის, რომ ამ სიტყვაში ორი შუმერული ქალღმერთის სახელია გაერთიანებული—ნანა და გალ. სვანურად „ნანაგალ“ რომ დედუღეთს ეწოდება, ამაში მატრიარქატის მოტყუარა ჩანს, რომელიც შესაძლოა შუმერულ სინამდვილეში იღებდნენ სათავეს.

შუმ. მამი

მამი შუმერთა ქალღმერთი, „კაცთა მშობელი საშო“. შდრ. ქართ. „მამა“, „მამი“. (შდრ. мать—დედა).

შუმ. ნი და ბა

ნი და ბა შუმერულში ყანების, ნათესების ქალღმერთია. ყანას სვანურად „დაბ“ ჰქვია. ნი-დაბა სიტყვაში „დაბა“ ელემენტი სვანურ „დაბ“-ს (შრ. რ. „დაბარ“) მოგვეგონებას. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ შუმერულშიც და სვანურშიც იგი ყანის სახელს უკავშირდება (შდრ. ქართ. „დაბა“). „ნი“ თავსართიანი ტოპონიმიც გვსვდება, მაგალითად, ნიშონი — გალის რაიონში (შდრ. ნი-კაპი, ნიკუზალი...), ნიგოეთი და სხვ. „ნი“ ელემენტს განმარტება სჭირდება.

ქალდეკ

ქალდეკ ერთ მხარეს ეწოდებოდა შუამდინარეთში, იგი მღებარეობდა ბაბილონის სამხრეთით. ქალდეველები ადგილობ-

რევა, მკვიდრი მომსახლეობა იყო. ქალდეა ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის ქვეყნად ითვლება. უცხოელმა ორიენტალისტმა ევლმა მას საგანგებო ნაშრომიც კი უძღვნა³¹.

არ არის გამორიცხული ქართველთა ეთნო-კულტურული კავშირის არსებობის შესაძლებლობა ქალდეელებთან. ამაზე მიგვანიშნებს თვით ტერმინი ქალდეა, რომლის შესახებაც არაერთი მოსახრება არსებობს. საგულისხმოა, რომ სვანეთში ერთი სოფელი დღემდე ატარებს ანალოგიურ სახელს — ხ ა ლ დ ე. სვანებში შემორჩა ძველი ქართული სიმღერა ქალდეს ქვეყნის შესახებ: ამ სიმღერას „იავ ქალდი“ ჰქვია. სიმღერის ტექსტის შინაარსი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში ჩამოთვლილია ის ადგილები (მხარე, ქვეყანა), სადაც კი სვანთა წინაპრებს უცხოვრიათ. მათ შორის პირველად დასახელებულია ქალდეა. სიმღერის ტექსტის მიხედვით ქალდეში მუდამ შუშპარი იყო (ცეკვა-სიმღერა), ე. ი. იქ ზედნიერად ცხოვრობდნენ. ქალდეს ქვეყით ქვიანი ადგილია, ქვიანი ადგილის დაბლა მზიანი მხარეაო და ა. შ. შემდეგ სვანთა წინაპრებს ცხოვრება მოუხდათ ზღვისპირეთში, სადაც ყურძენი ხარობდა და ღვინო ბლომად ჰქონდათ, შემდეგ უფრო ჩრდილოეთით გადმოინაცვლეს და რაჭაში დაესახლნენ („ეხლა რაჭაც ჩვენია, ჩიტიც მოგვიწველია“ და სხვ.), ე. ი. იმდენი გასაქირი აქვთ ნანახი, რომ ჩიტიც კი მოგვიწველიაო. ეს შესაძლოა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათი დასავლეთ საქართველოს მთიანეთში დასახლება აქლებით ხასიათს ატარებდა.

შუმ. ხ უ ბ ე რ-ი.

ხ უ ბ უ რ-ი შუმერულში აღნიშნავდა ქვესკნელის მდინარეს, რომელიც უნდა გადალახოს გარდაცვლილის სულმა მკვდართა სამეფოში შესასვლელად.

საგულისხმოა, რომ მდინარე ენგურის ხეობაში ერთი სოფელი თითქმის ამის ანალოგიურ სახელს ატარებს, მას ჰქვია ხ უ ბ ე რ-ი. ტოპონიმი დღემდე არ არის ახსნილი.

შუმ. ლ ა ხ ა მ უ

³¹ Л. В у л и н, У р х а л д е е в, М., 1961.

ხუბერის ზემოთ ერთ სევანურ სოფელს „ლახმულდ“ ჰქვია, აღნიშნულ ტოპონიმში „ლდ“ დაბოლოება სევანურში კინობითი ანუ მოფერებითი ფორმის აღმნიშვნელია.

თუ „ლახმულდ“ გეოგრაფიულ სახელს ჩამოვაშორებთ „ლდ“ დაბოლოებას, მივიღებთ „ლახმუ“-ს, რომელშიც ხ და მ თანხმოვნებს შორის „ლდ“ ფორმანტის დამატების შედეგად დაკარგულ „ა“ ხმოვანს თუ აღვადგენთ, მას დაუბრუნდება პირვანდელი ფორმა — ლახამუ. ლახამუ შემერთა ერთ-ერთი ღვთაების სახელი იყო.

ვასათვალისწინებელია მეორე გარემოება, „ლახამ“ (აქედან — „ლახმულდ“) სევანურად „სალორიას“ მნიშვნელობით გაიგება, მაგრამ სევანებისათვის ამ სოფლის სახელწოდებით გაგება უცხოა, ამასთანავე, მათ არც ღვთაება ლახამუ-ს ხსოვნა შემორჩათ.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა შუამდინარული ლექსიკური ერთეულების ის სევანური შესატყვისები, რომლებიც ამ მიმართულებით დღემდე მეცნიერულ მიმოქცევაში არ ყოფილა. მეტი ანალოგიების მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ რამდენადაც ამჯერად ჩვენი ძირითადი მიზანია სევანეთში ძველი მცირეაზიური კულტების დღემდე არსებობის ფაქტზე მსჯელობა, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ მედიცინის ისტორიის მკვლევარს მ. შენგელიას შემერულთან შესადარებლად გამოყენებული აქვს ასევე უაღრესად საგულისხმო სევანური მასალა³².

მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, შემერებში განვითარებული იყო მედიცინა და ფარმაცოლოგია. სამედიცინო ცოდნა შემერებში აღმოცენდა დაკვირვებისა და პრაქტიკული გამოცდილების ნიადაგზე, ამიტომ ისინი ავადმყოფობის განკურნებისათვის არ მიმართავდნენ შელოცვებსა და სხვა „მაგიურ“ საშუალებებს. შერული მედიცინის მეცნიერული მნიშვნელობაც ამით არის განპირობებული.

1889 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრები აწარმოა ნიფურში (დღევ. ერაყის ტერიტორიაზე, ბაღდადიდან 160 კმ-ზე). როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ნიფური შემერთა რელიგიური და კულტურული ცენტრი ყოფი-

³² მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970.

ლა. აქ აღმოაჩინეს ძვ. წ. III ათასწლეულის ფარმაცოლოგიური რეცეპტები, რომლებიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უძველესი სამედიცინო დოკუმენტებია.

რამდენადაც ქართულსა და შუმერულში დადასტურებულია ლექსიკური პარალელიზმი, ამდენად იგივე მოვლენა არაა გამორიცხული მედიცინის დარგში. სწორედ ამ მასალას შეისწავლის მ. შენგელია.

თუ რით შეიძლება იყოს გამოწვეული ქართველურ ენებში ძველშუამდინარული ენების ლექსიკური ერთეულების არსებობა, თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ასეთ პასუხს იძლევიან: ერთ შემთხვევაში ფონეტიკურად და შინაარსობრივად მსგავსი სიტყვების წარმოშობა რამდენიმე სხვადასხვა ენაში შეიძლება შემთხვევით ხასიათს ატარებდეს. თუ ეს შემთხვევითი ხასიათისაა, მაშინ ასეთი ნიშნებისა (სიტყვებისა) და მათი მატარებელი ენების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება.

რაც უფრო მეტია მსგავსი სიტყვები ორ სხვადასხვა ენაში, იგი მით უფრო კარგავს შემთხვევითობის ხასიათს. მაგრამ ორ ან რამდენიმე ენაში ნიშანთა (სიტყვათა) ფორმალური სემანტიკური მსგავსების ყველა სახე არ შეიძლება სესხების შედეგით იყოს გაჩენილი. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება გარემოცვის შედეგითაა გამოწვეული. მეორე შემთხვევაში იგი შეიძლება მომდინარეობდეს ადამიანთა მოღვაწეობის საწყისი ფორმიდან, ე. ი. ბაზისიდან, რომელიც საერთოა რომელიმე ენობრივი სისტემისათვის³³.

რ. გორდენზიანი, რომელიც ეხება შუმერულ-ქართველურ ლექსიკური შეხვედრების საკითხს, დაასკვნის, რომ „ეს შეხვედრები უნდა აიხსნას იმ სავარაუდო სამხრეთ-აღმოსავლეთ-ანატოლიური ენების გავლენით, რომელთაც ნეოლითის განმავლობაში წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდათ მცირე აზიაში. სწორედ ან ენების მატარებელ ტომთა, ალბათ უკვე საკმაოდ დიფერენცირებულითა, გადასახლებებს მოჰყვა შედეგად შუმერული, ქართველურ-

³³ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. I, Тб., 1984, с. XXV—XXVI.

რი და სხვა მრავალი იმ ენისა თუ ენათა ჯგუფის ფორმირება, რომელთაც მეტად თუ ნაკლებად გამოვლენილი ე. წ. მდიდერანული ნიშნები ახასიათებთ³⁴.

რამდენადაც შუმერულ-ქართველური ლექსიკური შეხვედრების კვლევა დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, ამდენად ჯერ რაიმე დასკვნის გამოტანა ნაადრევად გვეჩვენება.

2. სვანეთში შამორჩენილი ძველი მცირეაზიური

კულტავის საპითისნათვის

ს უ ნ დ უ ქ

სვანების რწმენით „სუნდუქ დეცეშ“ („ცის სუნდუქი“) ერთ-ერთ უმაღლეს ღვთაებად იყო მიჩნეული. მის სახელზე ხარებს ასუქებდნენ.

„დეც“ სვანურად ცას ნიშნავს. „სუნდუქ“ თავისი ფონეტიკური სტრუქტურით ახლოს დგას ძველ ბაბილონურ მთვარის ღვთაების სახელთან მ ა რ დ უ ქ. ეს ტერმინი ორი სიტყვისაგან შედგება და დაიშლება ასე: მ ა რ, რაც ნიშნავს ძეს და ა დ უ ქ — ქარიშხალი, ე. ი. ძე ქარიშხლისა. რადგან ს უ ნ დ უ ქ სვანურში ახსნას ვერ პოულობს, ცხადია, რომ მასში ძველბაბილონური შინაარსი ძევს. კერძოდ დ უ ქ/დ უ ქ ვ (სადაც — ვ ფონემა სვანური დანამატი ჩანს), როგორც აღვნიშნეთ, ქარიშხალს ნიშნავს. ს უ ნ ეკვგარეშეა, რომ აგრეთვე ძველბაბილონური სიტყვაა, მაგრამ კონკრეტულად რას ნიშნავს, ამის თქმა ძნელია.

მ ა რ დ უ ქ ი ძველ ბაბილონელებს წარმოდგენილი ჰყავდათ ფრთოსანი ადამიანის მსგავს არსებად. ანალოგიურ ვითარებასთან უნდა გვეკონდეს საქმე ცის ღვთაება ს უ ნ დ უ ქ-თან დაკავშირებითაც.

³⁴ რ. გორდეზიანი, წინაერძნული და ქართველური, თბ., 1935, გვ. 51.

1939—1946 წლებში ბაალს ზემო სვანეთში შეკრებილი მასალი-
ბიდან „სუნდუქ“ („სუნდუქვ“) „დეცემ“ შესახებ ვკითხულობთ
შემდეგს:

„სუნდუქ დეცემ“ სვანების რწმენით დიდად ძლიერ ღვთაებად
იყო მიჩნეული.

სვანებს ამ ღვთაების ისე ეშინოდათ, რომ როცა მკითხავეისაგან
რაიმე ნიშანი იქნებოდა, მის სახელზე ხარებს შეულოცავდნენ
ხოლმე. როცა ხარს დაკლავდნენ, მაშინ ეხვეწებოდნენ: „დიდება
ცის სუნდუქვს, შენგნით მოვლენილი სენი ამორე მლოცველი ოჯა-
ხის ყველა წევრს“.

ცის სუნდუქის სახელზე შელოცვილ ხარს სუნდუქვამს არქ-
მევდნენ და მისი უღელში შებმა დღიდან სუნდუქის სახელზე გა-
პიროვნებისა, ვიდრე დაკლავდნენ, არავის არ შეეძლო“³⁵.

ბ. ნიქარაძე ერთგან „სუნდუქ დეცემ“-ს ასე განმარტავს: ლამ-
პარი ცისა³⁶. ე. ი. სუნდუქ-ის ცნებაში ის ცის ლამპარს ანუ ცის
ღმერთის სახელზე განკუთვნილ ლამპარს გულისხმობს.

ღვთაება „სუნდუქ“ იხსენიება ერთ სვანურ სიმღერაში, რო-
მელსაც „ერთლა-ქერთლა“ ჰქვია:

„ერთლა-ქერთლა, ქერთლამაზი,
ფერი ფითქი ფერიანი.
ეულული-მეულული,
მალაე ლახშემ გაგიშხანქა,
ეჯა სედო სუნდუქვალ,
ქან დაგრა, ქვან დაგრა,
გაზაქ ჩემსა, გაზაქ ბურდუხ,
გესნი გესნი ბარდუხვალ“.³⁷

ლექსში ზოგიერთი სიტყვების შინაარსი გაუგებარია: (ქერთლა,
გაზაქ ბურდუხ, ბარდუხვალ), მაინც იგი „სვანური პოეზიის“ შემკ-
რებთ (ა. შანიძეს, ვ. თოფურის, მ. გუჯეჯიანს) ასე უთარგმნიათ:

³⁵ სვანური ენის ქრესტომათია, თბ., 1978, გვ. 21. შდრ. ბ. ნიქარაძე, ისტო-
რიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 59—60.

³⁶ ბ. ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964,
გვ. 228.

³⁷ სვანური პოეზია, I, თბ., 1939, გვ. 354.

ერთლა-ქერთლა, ქერთლაძი,
მიწის გამხეთქი ფერიანი,
ეულული-მეულული,
შაშვემა შემოსძახა გაგიმიდან. 38
ის შენ ხომ არა (ხარ), სუნდუქვალ,
ზემოთ სიკვდილი, ქვემოთ სიკვდილი; 39

სიმღერა ჩაწერილია სოფელ ლენჯერში. ამ სიმღერაში „სუნდუქ“ კონობიზ ფორმაშია ნახმარი — „სუნდუქვალ“.

ჩვენი აზრით, „სუნდუქ“ ისეთივე წარმოშობისაა, როგორც შემერული ღვთაება მარდუქ.

„სუნდუქი“ რომ უძველესი კულტია, ამას ისიც ადასტურებს, რომ სვანებმა კონკრეტულად არაფერი იციან მისი ფუნქციების შესახებ, მაშინ, როცა წარსულში იგი ერთ-ერთ ყველაზე უზენაეს ღვთაებად მიაჩნდათ. სუნდუქისადმი შესაწირიც აღმატება სხვა დანარჩენი ღვთაებებისადმი დადგენილ შესაწირებს.

ჩვენი აზრით, სუნდუქ სვანურში შემერულიდან მოდულულ ელემენტად უნდა ჩაითვალოს. თუ როგორ და რანაირად, ამაზე პასუხის გაცემა ჭერჯერობით ძნელია.

ტ ა რ უ

სვანეთში იცოდნენ რელიგიური დღესასწაული, რომელიც ეძღვნებოდა ღვთაება ტარუ-ს. კონკრეტულად არც ამ ღვთაების ფუნქციების შესახებ იციან რაიმე, რაც მის შორეულ წარმომავლობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მიუხედავად ამისა, ყოველი წელაწადის გაზაფხულზე (აპრილ-მაისში) ერთ ოთხშაბათს ეძახდნენ „ტარი ჯგამა“-ს (ე. ი. ტარის ოთხშაბათი). იმ დღეს უქმობდნენ და სანლიდან არაფერს გასცემდნენ. „ტარი ჯგამა“ საქონლის გამრავლებას ეძღვნებოდა. იმ ოთხშაბათ საღამოს ოჯახი დიდ პურს გამოაცხობდა. ოჯახის უფროსი („მახვში“) მას პირუტყვის სადგომში ვაიტანდა და იქ ღმერთს შეულოცავდა საქონლის მომრავლებასა და

38 „გაგიშ“ სოფელს ჰქვია ჩრდილოეთ კავკასიაში, ბახსანის ხეობაში, ყაზარღო ბალყარეთის ასსრ.

39 სვანური პოეზია, I, გვ. 355.

მწვიდობიანობაზე. შემდეგ ამ პურს ოჯახში რამდენი სულიც იყო იმდენ ნაწილად დაჭრიდნენ და ყველას გაუნაწილებდნენ. პურის ეს ნაჭერი მხოლოდ საქონლის სადგომში უნდა შექმულიყო...

- ✓ ჩვენი აზრით, „ტარუ“ ხეთური ღვთაებაა. ხეთურ ღვთაებათა პანთეონში „ტარუ“ ვეგეტატიური ღვთაების ტელეფინუს მამას ერქვა. საგულისხმოა, რომ სვანურში არსებობს რელიგიური ხასიათის რიტუალი ე. წ. „მელია-ტელეფია“⁴⁰. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხეთური მითი ტელეფინუზე, მისი გამქრალი და დაბრუნებული ღვთაების შესახებ, პარალელს სვანურ წარმართულ „მელია-ტელეფიას“ რიტუალთან პოულობს. ეს რიტუალი ბუნების გამოღვიძება-აღორძინებას ეძღვნება და შედის სვანურ რელიგიურ ღვთაებათა ციკლში — „მურყვამობა-კვირიაობა“⁴¹. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ხეთური მითის მიხედვით მსხვერპლშეწირვა ხდება ღვთაება ტელეპინუს სახელზე. შეწირული ცხოველის ვერძის ტყავს კიდებდნენ მარადმწვანე ხე აია-ზე. ხეთების რწმენით ყოველივე ეს მოსავლიანი წლის, სიმდიდრისა და ადამიანთა გამრავლების მომასწავებელი იყო⁴².

ამ შემთხვევაში საყურადღებოა აგრეთვე, მარადმწვანე ხის სახელწოდება აია, მასზე ცხვრის (ვერძის) ტყავის ჩამოკიდების ტრადიცია, და რომ ყოველივე ეს მოსავლიანობისა და სიმდიდრის მომასწავებელი იყო.

- ✓ როგორც ცნობილია, აია ერქვა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს. ისტორიულ კოლხეთს, სადაც არგონავტებზე არსებული მითის მიხედვით ერთ დიდ მუხაზე (მუხა წმინდა ხედაა მიჩნეული) ოქროს ვერძი ეკიდა. ღვთაება აია-სადმი რწმენა სვანეთში დღემდე შემორჩა. აია უძველესი ღვთაებაა, რომლის კულტი შორეულ წარსულში მთელ კოლხეთში უნდა ყოფილიყო გაბატონებულ.

ამასთანავე საყურადღებო ფაქტია, რომ სვანური წარმართული

⁴⁰ Н. А. Бендукидзе, Хеттский миф о Телефину и его сванские параллели, Вопросы древней истории, Сб. IV, Тб., 1973. с. 95-100.

⁴¹ ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 62—76; В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и сц. ядовсое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

⁴² Н. А. Бендукидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 96—97.

რიტუალის მიხედვითაც „მელია-ტელეფიასადმი“ მიძღვნილ დღესასწაულზე დაკლავდნენ ხარს ან ცხვარს და ტყავს ჩამოკიდებდნენ მუხაზე⁴³.

აღსანიშნავია, რომ „ტელეფინუსი“ ხეთებში ვეგეტატიური ღვთაება იყო. სვანეთში, სადაც მელია-ტელეფიას რიტუალი გვიანობამდე არსებობდა, ცოცხალ სამეტყველო სიტყვას წარმოადგენს „ტელეფი“ (ქართ. ღოღო, რუსულად Шиваль дикий крупнолистный Rumex). სხვათაშორის ძველ კოლხეთში, იქ, სადაც მდ. ცხენისწყალი მდ. რიონს უერთდება, არსებობდა ე. წ. ტ ე ლ ე ფ ი ს ი ს ციხესიმაგრე⁴⁴. სვანური „ტელეფი“ და „ძველი კოლხეთის ციხე-ქალაქის სახელი „ტელეფისი“ ერთი წარმოშობის ჩანს და გვიდასტურებს ამ ტერიტორიაზე ხეთური ელემენტის მატარებელი სვანური ეთნიკური მასის არსებობას გარკვეულ ისტორიულ ხანაში.

ხეთურ-სვანური პარალელები შემთხვევით ხასიათს არ უნდა ატარებდეს. ძვ. წ. II—I ათასწლეულში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე სვანურ ტომებს, ჩანს, მჭიდრო ეთნო-კულტურული კონტაქტები აკავშირებდათ ხეთების სახელმწიფოსთან.

ამგვარად, სვანურ ღვთაებათა პანთეონში „ტარუ“ ხეთური ღვთაების არსებობას სარწმუნო ნიადაგი მოეპოვება.

არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ტარუ//ტარი იგივე შუამდინარული (შუმერული) ღვთაება „თარი“ იყოს. შუმერებში უპირველესი ღვთაება იყო ან-თარ. ან შუმერულში ნიშნავს ცას. ან-თარ, ე. ი. ცის „თარი“, ცის ღვთაება, ან ციური ღვთაება. საგულისხმოა, რომ ქართულში, კერძოდ მეგრულში გვიანობამდე შემორჩა რელიგიური რწმენა „ჟინი ანთარი“, რაც ზენა ანთარს ნიშნავს. „ანთარ“ შუმერებში მართლაც აღნიშნავს ზენას, ზეციურს. ხევსურებშიაც სწამდათ იგივე ღვთაება, მას იქ „ანატორს“ ეძახდნენ, ხოლო აფხაზებში იგი ცნობილია „აითარი“-ს სახელწოდებით⁴⁵.

⁴³ Дж. Рухадзе, Некоторые аграрные обряды в Западной Грузии. Материалы грузинской этнографии, VI, с. 75.

⁴⁴ გეორგიკა, III, გვ. 38, შენ. 2.

⁴⁵ ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 115—116.

აღსანიშნავია სხვა ფაქტიც, კერძოდ, შუამდინარულ მთაწარეში ცნობილია ე. წ. „არალი“, რაც ქვესკნელს ეწოდებოდა. ჩვენი აზრით, „არალი“ ასოციაციას იწვევს ისევე ქართული ხალხური სიმღერის მისამღერთან: „თარი არალი“. ამ მისამღერში შემორჩენილია შუმერული ღვთაება „თარი“ და იმავე შუამდინარულში დადასტრებული „არალი“, რომელიც „ქვესკნელს“ ეწოდებოდა. შუამდინარულში მისი ეპითეტებია „დიდი ქალაქი“, „დიდი მიწა“, ან „უკან მოუქცეველი ქვეყანა“. სხვათა შორის ქართულშიც არის ასეთი თქმა: „არდაბრუნდის ქვეყანა“, ან კიდევ „მარადიული ქალაქი“, რომელშიაც იგულისხმება საიქიო, იმქვეყნიური მუდმივი ცხოვრება.

➤ რამდენადაც „თარი“ შუმერულში ცის ღვთაებად გაიზარებოდა („ანთარი“), ხოლო „არალი“ ქვესკნელს აღნიშნავდა, ქართული მისამღერი „თარი არალი“ ალბათ უნდა გავიგოთ შინაარსით: „ცისა და ქვესკნელის მეუფე“.

➤ აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც, კერძოდ ის, რომ შუმერებში „თარ“ ღვთაება განსჯის, ხალხის ბედის გადამწყვეტის ფუნქციის შემსრულებელია. ეს ჩანს შემდეგი ფაქტიდან: შუმერულად „ნამთარ“ განსჯას, ბედის გადაწყვეტას ნიშნავდა. რაოდენ პარადოქსადაც არ უნდა გვეჩვენოს, სვანურშიაც „ნალთარ“ განსჯილს ნიშნავს.

➤ ამგვარად, შუმერული „ნამთარ“ და სვანური „ნალთარ“, როგორც შინაარსობრივი, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით ერთმანეთის იდენტური ჩანს. ორივეგან ფიგურირებს შუმერული ღვთაების სახელი „თარ“ („ნამ-თარ“, „ნალ-თარ“).

ფუსდ//ფუსტ

ფუსდ-ს სვანურ ღვთაებათა პანთეონში ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი უკავია. კავკასიის ხალხებიდან ფუსტის სახელობის ეკლესიები მხოლოდ სვანეთში გვხვდება. გარდა სვანებისა

კავკასიის არც ერთ სხვა ხალხში ეს ღვთაება არაა ცნობილი. ფუსდ//ფუსტ სვანების გაგებით ნიშნავს უფალს, ბატონს, ქვეყნის გამგებელს, მთავარს, თავადს და ა. შ.⁴⁶.

აკად. ს. ჯანაშია „ფუსდ“ ცნებას აიგივებდა ქართულ უფალთან, რაც, მისი აზრით, ფეოდალს, ბატონს, სიუზერენს, მთავარს გულისხმობს⁴⁷.

სვანურ ფუსდ-ის წარმომავლობის თაობაზე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა აკად. გ. მელიქიშვილმა. მისი აზრით ძვ. წ. II ათასწლეულში მცირე აზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის (შემდგომში ხეთების სამეფოს დედაქალაქის) ხატუსასის მმართველის ფ ა უ ს ტ ი ს სახელი ასოციაციას იწვევს სვანურში ღვთაება ფ უ ს ტ ი ს სახელთან⁴⁸.

ფუსდ-ს უფალის მნიშვნელობით ხსნის, აგრეთვე, პროფ. გ. გასვიანი. ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ასეთი სვანური ეპოქემები: „ფუსნა ბუასდ“ (უფლარს სასუფეველი), „ფუსნა ლემზირ“ (უფლის კვერი), „ფუსდ ბარბალ“ (უფალი ბარბალე)⁴⁹ და სხვ.

სვანურში ფუსტის (ფუსდი) ერთ-ერთი ხეთელი მმართველის ფაუსტის სახელისაგან მომდინარეობას ისიც გვაფიქრებინებს, რომ სვანები მთავარ დადუშქელიანს ეძახდნენ ფუსტს. ბატონის აღმნიშვნელად სვანებს სხვა სიტყვა არ მოეპოვებათ. მეფის, ბატონ-

⁴⁶ Т. Дадешкеллиани, Материалы для этнографии и истории Сванетии, к. Кавказского с.б. хелნაწერთა ინსტიტუტი, 284, ფურც. 35; ბ. ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1969, გვ. 222, ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, გვ. 20—21; Д. Маргиани, Сванетия — Некоторые черты быта, СМОПК, вып. X, 1890, с. 72; М. Завадский, Сванско-русский словарь, СМОПК, вып. X, 1890, с. 59. А. И. Стоянов, Образцы сванской народной поэзии, СМОПК, вып. X, 1890, с. 59.

⁴⁷ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 131, 135.

⁴⁸ Г. А. Меликшвили, Возникновение Хеттского царства и проблемы древнейшего населения Закавказья и Малой Азии, ВДИ, 1965, № 1, с. 8—9; მისივე, ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I, თბ., 1970, გვ. 342—343.

⁴⁹ გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 22—23.

ნის, მთავრის აღმნიშვნელად სვანების მიერ სვანურში დადასტურებულია ფუსტ შესაძლოა მართლაც მომდინარეობდეს ძველი ხეთური ტრადიციებიდან.

როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში, ფაუსტი თანდათან გაკულტდა და უფლის სინონიმად იქცა. ყოველი წლის მაისის თვეში ქვემო და ზემო სვანეთში ფუსტის სახელობის ეკლესიებში გვიანობაზე აღნიშნავდნენ ამ ღვთაებისადმი მიძღვნილ სახალხო დღესასწაულს. ამ დღისათვის სვანები მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ. ეკლესიაში იკვლებოდა საგანგებოდ მოვლილი ხბოები. ხალხი ამ დღესასწაულს ძველ დღესასწაულს ეძახდა⁵⁰. იგი მართლაც ძველი უნდა იყოს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ხალხს კონკრეტულად არ ახსოვს ამ ღვთაების ფუნქციები. ეს ჩანს იმ ზოგადი შინაარსის მქონე ფრაზაშიც, რომელსაც სვანები წარმოთქვამდნენ ფუსტზე ლოცვის დროს: „ღმერთო, შენ შეგვეწიე, გვაშორე ავი დროება, კარგ ზაფხულს მოგვასწარი“⁵¹. ამის შემდეგ დაკლავდნენ საკლავებს, მოხარშავდნენ ხორცს, გამოაცხობდნენ. ან გამოცხობილ და შინიდან მოტანილ კვერებსა („ღემზირსა“) და არაყს ვაპოიტანდნენ, ეკლესიის ეზოში სუფრას გაშლიდნენ, ღმერთს ერთხელ კიდევ ახსენებდნენ (არც მიცვალებულთა სულებს იღიწყებდნენ) და შემდეგ იწყებოდა ლხინი, ამას მოსდევდა ცეკვა-თამაში, სიმღერა, სპორტული შეჯიბრებები ცხენოსნობაში და ა. შ.

ფუსტის სახელობის ეკლესიებია მესტიის რაიონის სოფ. ლეხთაგში, უშგულში, მულახში, ლენტეხის რაიონის სოფ. ფაყში და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, მესტიაში იმ სოფელს, სადაც ფუსტის ეკლესია დგას, ეწოდება ლეხთაგ, რაც ასე დაიშლება: ლე-ხეთ-აგ. ტოპონიმი ლე—აგ სვანური კონფიქსია.

„ხეთ“ ძირში ლე- პრეფიქსის დართვის შედეგად შეკუმშულია ა ან ე ხმოვანი. „ხეთ“ (იგივე „ხათ“ ან „ხეთ“) ხეთებს ნიშნავს. აქლენად, „ლეხთაგ“ ტოპონიმი გაიაზრება, როგორც ხეთე-

⁵⁰ სვანური ენის ქრესტომათია, თბ., 1978, გვ. 294—295; სვანური პროზაული ტექსტები, III, თბ., 1967, გვ. 66—68.

⁵¹ სვანური ენის ქრესტომათია, გვ. 294—295.

ბის უბანი, დასახლება. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ თვით „ფესტი“ ხეთური წარმოშობის კულტი ჩანს. ე. ი. ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სალოცავსაც და სოფელსაც დღემდე ხეთური სახელი შემორჩა. საყურადღებოა ისიც, რომ „ხეთ“ სვანურად გულოვანს ნიშნავს. სვანურში, სხვათა შორის, არაერთი ეთნონიმური წარმომავლობის სიტყვა მოიპოვება. ასე მაგალითად, სვანურად „ფილიკვაჟ“ ჰქვია ნავს. იგი უნდა მომდინარეობდეს პირველ მენავეებად ცნობილი ხალხის თუ ქვეყნის სახელწოდებიდან — ფინიკია. „ლ-ჯგქე“-ს სვანურად ჩაფსკვილ კაცს ეძახიან. იგი უნდა მომდინარეობდეს ეთნონიმიდან „ჯიქი“ და ა. შ. ხეთურ-სვანური პარალელებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, „კორ“, რაც ხეთურად დედამიწას, ხოლო სვანურად — მიწას აღნიშნავს; „ბერეჟ“ — რკინას ეწოდება ორივე ენაში და სხვ.

VII—VIII საუკუნეების ბერძენ ავტორთა ნაწერებში ვხვდებით ცნობებს დასავლეთ საქართველოში მოსახლე ფუსტელების შესახებ⁵². ფუსტას ციხე-სიმაგრე თუ სამლოცველო დადასტურებულია ისტორიულ მისიმიანეთში (იხ. ზემოთ).

ამდენად, ბერძნული წყაროების ფუსტელებად უნდა მივიჩნიოთ ფუსტეს კულტის მატარებელი ხალხი — სვანები.

ამგვარად, სვანური ფუსტის ხეთურ სამყაროდან წარმომავლობის ვერსია სარწმუნოდ გვეჩვენება.

ა ი ა

ა ი ა ძველად სვანებში მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ღვთაება იყო. აია-ს ღვთობას აღნიშნავდნენ კვირა ღღეს, რომელსაც „აია-მიშლადელს“ (აიას — მზის ღღეს)⁵³ ეძახდნენ (იხ. ზემოთ, თავი III, გვ. 360—361).

ანტიკური ხანის ავტორების აზრით, აია ეწოდებოდა კოლხეთის სანეჟოსა და დედაქალაქს (ჰეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი), ძველი ბერძენი მწერლები ცდილობდნენ დაედგინათ ამ მითური ქალაქის ადგილმდებარეობა. მათი აზრით, ქ. აია მდებარეობდა ზღვიდან მოშორებით, ფაზისის ნაპირზე (პლინიუსი, სტეფანე ბი-

⁵² გეოგრაფია, IV, თბ., 1941, გვ. 44—57.

⁵³ სვანურად „მიე“ მზეს ჰქვია. აქედანაა ნაწარმოები „მიშლადელ“ — კვირა ღღე, ანუ სიტყვისიტვით მზის ღღე.

ზანტიელი), ან ზღვის ნაპირზე ქ. ფაზისის ჩრდილოეთით (კლავდიოს პტოლემეაიოსი). ნიკანორ ალექსანდრიელი აია-ს დიოსკურიასთან აიგივებდა⁵⁴.

აია, როგორც ჩანს, ძველი კოლხური ღვთაება იყო. ამ მხარის სახელწოდება აია-კოლხეთიც აქედანაა მიღებული.

აია კოლხეთში შუმერულ-ურარტული გზით უნდა შესულიყო. ✓ აია ძველი შუამდინარული ღვთაებაა. ტექსტებში იგი იხსენიება შამაშის საცოლედ ან ცოლად. „შამაშ“ ღვთაების ხსოვნა სვანებმა დღემდე შემოინახეს (იხ. ქვემოთ). შამაშისადმი მახვეწარი არც ქალღმერთ აია-ს ივიწყებდა: „ყოველ წელიწადს, გმირო მეონარო შამაშ და აია, ჩემს კეთილ საქმეთ სიხარულით მოჰხედავდეთ“⁵⁵. გილგამეშის ეპოსში აია გმირის მეოხეა შამაშის წინაშე; შუმერული ღვთაება ნინსუნას ვედრებაში შამაშის მიმართ ნათქვამია: „საცოლე აიამ უშიშრად მოგაგონოს, ანდო გილგამეში ღამის მზმილავებს“⁵⁶. ღამით ცაზე აია ცვლის შამაშს და ანათებს ვითარცა „დედოფალი წითლად მბრწყინავი ვარსკვლავისა“, დილით კი მზესთან შეხვედრისას საღამით ხვდება და გუნებას უკეთებს შამაშს: „აია, საყვარელი მეუღლე შენი მოგესალმოს“⁵⁷.

აია შემკულია შუამდინარულ სიყვარულის ქალღმერთას იაშთარის ეპითეტებით: „სიამეთა და შვებათა ქალბატონი“, „სიყვარულის დედოფალი“, რაც მას აკავშირებს ნაყოფიერების კულტთან და ამ ბუნების ღვთაებათა წრეში შეჰყავს. ამასვე მოწმობს მისი გაიგივება „დედა ცხვართან“⁵⁸.

ხამურაბის კანონების პროლოგში მოხსენებულია აიას კულტი. იქ ერთგან ნათქვამია, რომ ხამურაბი არის „კანონიერი მეფე. შამაშის მორჩილი, ძლიერი, სიფარის⁵⁹ საძირკველის განმამტკიცებ-

⁵⁴ აქ. უ რ უ შ ა ძ ქე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, გვ. 103, 230 და სხვ.; ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, გვ. 45.

⁵⁵ ხ. კ ი კ ნ ა ძ ქე, შუამდინარულა მითოლოგიის ლექსიკონი, თბ.: 1964, 33. 10.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ იქვე, გვ. 10.

⁵⁸ იქვე, 33. 10.

⁵⁹ ქალაქი ჩრდილოეთ შუამდინარეთში, ახლანდელი აბუ-ჰაბა.

ლი, აი ის საფლავის მწვანით შემოსველი, ამშენებელი ე-ბარის⁶⁰ ტაძრისა, მსგავსად ცათა სასუფეველისა“⁶¹. ზ. კიკნაძეს ეს ადგილი ასე აქვს თარგმნილი: „ყურისმგდებელი ძლიერი შამაშისა, სიპარ-ქალაქის განმამტკიცებელი, მწვანით შემოსველი აიას საქორწინო სახლისა...“⁶².

აია-ს კულტი ურარტულშიაც დასტურდება⁶³. აკად. ნ. მარის აზრით, აია ხალდური ღვთაებაა და იგი მიწას ან ქვეყანას აღნიშნავდა⁶⁴. ცხადია, რომ ეს ძველი შუამდინარული ღვთაება დროთა განმავლობაში ამა თუ იმ ხალხში ფუნქციებს იცვლიდა, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია მთელი რიგი სხვა კულტებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, აია სვანეთში მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ქალღვთაება იყო. სვანეთში გვიანობამდე შემოიჩინა მიწის ლოცვა. მიწის სალოცავს სვანურად „ლაგამ“ ჰქვია. რომელიც პატარა სოროს წარმოადგენს და ბრტყელი ქვებით არის მოფენილი. ამასთან დაკავშირებით კ. ანდლულაძე 1915 წელს წერდა, რომ სვანებს აქვთ ერთი დღესასწაული, „ახალ-კვირად“ წოდებული, რომელიც აღდგომის პირველ კვირას იციან.

ამ დღესასწაულზე იკრიბებოდნენ მხოლოდ „ჯვარდაწერილი დედაკაცები“. დანიშნულ ადგილს ისინი პურის ცომს და ყველს ამოიტანდნენ და „ტაბლებს“ (კვერებს) გამოაცხობდნენ. სამ დიდ კვერს იქვე სწირავდნენ ღვთისმშობელს, სამ პატარა კვერს—ცოტა მოშორებით, იმ ადგილას, რომელსაც სვანები „ლამზირს“ (სალოცავს) ეძახდნენ. ეს იყო მიწის სალოცავი. ამ ადგილას სორო იყო ვაკეთებული, რომელიც მოფენილი იყო ბრტყელი ქვებით. აქ მისვლა შეეძლო მხოლოდ სამ ხნიერ ქალს, რომლებიც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ ხალხში. ისინი დანარჩენ ქალებს სამ-სამ პატარა კვერს, თითო ნატეხ წმინდა სანთელსა და პატარა ნაკვერჩხალს გამოართმევდნენ და დიდი მოკრძალებით გაემარჯებოდნენ ამ სოროსაკენ. მისვლისთანავე ისინი მოწიწებით საძვკერ

⁶⁰ ტაძარი შამაშისა, მზისა და მართლმსაჯულების ღმერთისა.

⁶¹ ი. ლოდიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 25.

⁶² ზ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

⁶³ Г. А. Мелникшвили, Папри-Урарту, Тб., 1954, с. 370.

⁶⁴ Н. Я. Марр, Избранные работы, V, с. 220.

მუხლს მოიყრიდნენ, შემდეგ სანთლის ნატეხებს ნაკვერჩხალზე დაყრიდნენ. ერთი დედაკაცი შეუბერავდა. თუ სანთელს მოეკიდა და ალი აეშვა, ეს კარგის მომასწავებელი იყო, ე. ი. ლოცვა გამარჯვებულია. მაშინ სამივენი მუხლმოყრით, ტაბლებით ხელში ლოცულობდნენ, ღვთაებას ევედრებოდნენ და სთხოვდნენ მამაკაცთა სიმრავლეს. ლოცვის შემდეგ კვერბებს („ლემზერალს“) სორიში ჩააწყობდნენ და ზედ დიდ ლოდს გადახურავდნენ. ამას კვერბების ანუ „ტაბლების“ („ლემზერალი“) „დაკრძალვა“ ჰქვია. მერე სამჯერ მუხლს მოიყრიდნენ და უკან ბრუნდებოდნენ, სადაც დანარჩენი ქალები მათ პირქვე დამხობილნი, ხმაამოუღებლივ უცდიდნენ. მლოცველი სამი ხნიერი ქალის მოსვლისთანავე ადგებოდნენ და ეტყოდნენ „გაგმარჯვებით მიწის სალოცავის ლოცვაო“. მოსულები კი პასუხობდნენ: „თქვენც გაგმარჯვებითო“. მერე დაჯდებოდნენ, თითო კვერს შესკამდნენ და ერთმანეთის ლოცვითა და კოცნით წამოვიდოდნენ სახლებში⁶⁵.

სვანეთში სახლთანგელოზის, კერიის, მიწის, ანუ ადგილის კულტი გვიანობამდე იყო შეძორჩენილი. მარიამობის დღეს სოფელ უშგულში, ეკლესიის გვერდით იკრიბებოდნენ სოფლის ქალები (ოჯახიდან თითო ქალი). წინასწარ შეგროვილი პურის ფქვილისა და ყველისაგან აცხობდნენ პურებს. ამისათვის საგანგებოდ მართავდნენ კერებს („ბაჩა კერაჲ“ — ქვის კერა). ქალები იმდენ პურს გამოაცხობდნენ, რამდენი სულიც იყო თითოეულ ოჯახში. ამ პურებს კალოს „ლემზირებს“ („კალა ლემზირ“) უწოდებდნენ. ერთ

✓ სელმეტ ლემზირსაც გამოაცხობდნენ; მას მ ა ჩ ა ლემზირი ეწოდებოდა (სიტყვის მნიშვნელობას ვერ განმარტავენ). ამ ლემზირს (მასას) სოფლის ბარაქიანობისათვის შეავედრებდნენ და მიწაში საგანგებოდ გაკეთებულ ხვრელში („ოჟულ“, — არც ამ სიტყვის მნიშვნელობა იციან) ჩადებდნენ. ხვრელი ქვით იყო დახურული ისე, რომ იგი შეუძინველი რჩებოდა გარეშე პირთათვის.

ანალოგიური წესი სრულდებოდა იმავე სოფელში ჰ გ ლ ი შ ი ს დღესასწაულზე. აქაც პურს („ლემზირის“, — ე. ი. შესანახს) მიწას

⁶⁵ კალონიკე ან დღეულაძე, სვანეთი, „სახალხო ფერცელი“, 1915 წ. 1 ივლისი, № 320, გვ. 2.

შეავედრებდნენ: დაიჩოქებდნენ, პირით აღმოსავლეთისაკენ და ილოცებოდნენ, წმ. მარიაჰმ ევედრებოდნენ მოსავლიანობის გადიღებას....⁶⁶

ეს რელიგიური წესი მიწის ღვთაება აია-სთანაა დაკავშირებული, რომლის ფუნქციები დროთა განმავლობაში წმ. მარიაჰმ დაეკისრა⁶⁷. ამავე აზრისაა აკად. ივ. ჯავახიშვილი⁶⁸.

საკითხავია, აია ძველი სვანური ღვთაება და აია ძველი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სახელწოდება, ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ თავდაპირველად ე. წ. აია-კოლხეთის მკვიდრნი აია-ს კულტის მატარებელი სვანური ტომები იყვნენ?

აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ მასალაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ „მიწის სალოცავი“ ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი ღვთაებაა, მდებარებითი სქესის, რასაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ქალებს შეეძლოთ, ისიც მარტო ჯვარდაწერილ დედაკაცებს. ეს ღვთაება, წარმართული რწმენის თანახმად, დედამიწის სახით არის წარმოდგენილი, ქრისტიანული რელიგიის სამოსელში იგი „ღვთისმშობლად“ არის მიჩნეული. ამაზე ის მიგვანიშნებს, რომ „მიწის სალოცავისათვის“ განკუთვნილი კვერებიდან სამ დიდ „ტაბლას“ ღვთისმშობელს სწირავდნენ⁶⁹.

მიწის ლოცვა შორეულ წარსულში საერთო ქართული ხასიათის უნდა იყოს. ალბათ აქედან მომდინარეობს ისეთი ქართული სიტყვები, როგორცაა „დედამიწა“, რაც ახლა მთელი ქვეყნიერების აღმნიშვნელია (земля, земной шар). წარსულში იგი ალბათ „მიწის დედას“, მიწის ქალ-ღვთაებას აღნიშნავდა. ფშავ-ხევსურებისათვის „ადგილის დედა“ ერთგვარი სალოცავი იყო⁷⁰. ძველ კოლხეთში ამ „ადგილის დედას“ ანუ მიწისქვეშეთის ღვთაებას აია ერქვა, რაც დასტურდება სვანური ეთნოგრაფიული მასალით. აიას,

66 მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 188—189.

67 შდრ. მ. მაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, კრებ. სვანეთი, 1977, გვ. 36.

68 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 91.

69 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979, გვ. 131.

70 იქვე, გვ. 132.

ანუ მიწის ღვთაების ფუნქციები ქრისტიანულ რელიგიაში წმ. მარიამს ეკისრება, რომელსაც სვანები „ლამარიას“ ეძახიან (იხ. ქვემოთ). წარმართული კულტების ადგილი ქრისტიანულმა კულტებმა დაიკავეს, ქრისტიანული რიტუალების, ლოცვის შესრულება ხდებოდა ძველი, წარმართული კულტების ადგილზე, საკულტო ქვებთან ან ხეებთან და ა. შ. როგორც ზემოთაც გვქონდა საუბარი, აია ხეთებში მარადმწვანე ხეს ეწოდებოდა, რომელზედაც ვერძის ტყავს კიდებდნენ. ასევე კიდებდნენ ძველი სვანური წესით ვერძის ტყავს მუხანზე.

ტერმინი „კოლხეთი“ ბერძნულ წყაროებში ჩნდება ძვ. წ. VIII—VI სს. მაგრამ ბერძენმა ავტორებმა იცოდნენ, რომ კოლხეთს არგონავტების იქ მოგზაურობის დროს (ძვ. წ. XIV—XIII სს.) აია ერქვა და ამიტომ ისინი ამ მხარეს კანონიერად აია-კოლხეთს უწოდებენ.

კოლხეთის პირველი მოხსენიება გვხვდება ასურეთის მეფის ტიგლათფლისერ I-ის (ძვ. წ. 1115—1077 წწ.) წარწერაში. ასურეთის მეფე თავის თავს ეძახის „ნაირის ქვეყნების დამპყრობელს თუმედან ვიდრე დაიანნიმდე, (აგრეთვე) კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე“⁷¹. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი „კილხი“ სახელს „ხაზნი“-ს სახით კითხულობს⁷². გ. მელიქიშვილი მას „კილხი“ სახელად მიიჩნევს და უკავშირებს „კოლხი“ ტერმინს⁷³.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში კოლხეთის მოხსენიება XII—XI სს. დასტურდება. კოლხთა ეს გაერთიანება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ტერიტორიაზე არსებობდა. ე. ი. ძველი კოლხეთი უნდა ვიგულოთ სადღაც მდ. ჭოროხის სამხრეთით. სამხრეთ-აღმოსავლეთის შავიზღვისპირა კილხის (კოლხის, კოლხეთის) ქვეყნის მოსახლეობა ამ დროს ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა⁷⁴. აია ამ კოლხეთის ჩრდილოეთით

⁷¹ გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 369.

⁷² იქვე, გვ. 369 (სქოლიო), მისივე, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 183—184.

⁷³ გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს..., გვ. 369—370.

⁷⁴ იქვე, გვ. 386—390; მისივე, К истории древней Грузии, с. 185.

მდებარე მხარის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რომლის ტერიტორიაზეც შემდგომ მოხდა სამხრეთიდან პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრების გადანაცვლება, რის შედეგადაც ძვ. წ. VI საუკუნეში აქ შეიქმნა კოლხეთის მეორე სამეფო. მაშასადამე, აიაკოლხეთის ქვეშ, ჩვენი აზრით, იგულისხმება ღლევეანდელი დასავლეთ საქართველოს ბარი, აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი.

ძვ. წ. VIII საუკუნეში კოლხას ქვეყანა მოიხსენიება ურარტულ მეფეთა წარწერებში⁷⁵.

ბერძენი ავტორებიდან კოლხეთს პირველად ევმელოსი (ძვ. წ. VIII ს.) იხსენიებს თითქოსდა არგონავტების მითთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტის სამართლიანობაში ეჭვია მიტანილი. აი, რას წერს ამის თაობაზე პროფ. თ. ყაუხჩიშვილი: „მთლად ნათელი არაა, ევმელოსი (ძვ. წ. VIII ს.) და კარკინოსი (დაახ. VII—VI სს.) საკლთრივ არგონავტთა თქმულებას ეხებოდნენ, თუ მხოლოდ ისეთსავე ცნობებს შეიცავდნენ ამ მითის შესახებ, როგორსაც ზემოთ დასახელებული ნაწარმოებები“⁷⁶ (მხედველობაშია: ჰომეროსი, ჰესიოდე, კინაფთონი, — თ. მ.). ძვ. წ. VIII საუკუნიდან ბერძენ ავტორთა ნაშრომებში კოლხეთის თემა თანდათან პოულობს ასახვას.

ამგვარად, კოლხეთის მოხსენიება ძვ. წ. XII საუკუნეზე ადრე არ გვხვდება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი მანამდეც არ არსებობდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ საუკუნეებში ძველი კოლხეთის სამეფო ძლიერი პოლიტიკური ერთეული უნდა ყოფილიყო⁷⁷.

ძვ. წ. VIII საუკუნეში მცირე აზია კიმერიელთა თავდასხმების ობიექტი ხდება, რის გამოც, ალბათ დასაბამი ეძლევა იქ მოსახლე ქართველი ტომების თანდათან ჩრდილოეთისაკენ წამოწევის. როგორც ჩანს, ამერიიდან კოლხები აიას ქვეყანაში შემოჭრასა და დამკვიდრებას იწყებენ, სადაც ძვ. წ. VI საუკუნეში ახალ სამეფოს აარსებენ. კოლხთა ეს სამეფო უფრო ძლიერი პოლიტიკური ერთეული ხდება.

⁷⁵ УХН, 155 с; 155 Дст. 1-44.

⁷⁶ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

⁷⁷ გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, სინ. ტ. I, გვ. 371 და შემდ.

თუ ევმელოს კორინთელის ცნობა კოლხეთზე საეჭვოა, მაშინ პირველი ბერძენი ავტორი, რომელიც კოლხეთს ახსენებს და ვრცლად გადმოგვცემს არგონავტების თქმულებას, არის საგუნდო ლირიკის უდიდესი წარმომადგენელი პინდარე (ძვ. წ. VI—V სს.). ამიერიდან კოლხეთის თემა უშუალო კავშირშია არგონავტების თქმულებასთან, მაგრამ ეს არის არა უბრალოდ კოლხეთი, არამედ აიას კოლხეთი, მაშასადამე, არსებობდა სხვა კოლხეთიც, რომლის შესახებაც მათ გაგონათ. მაგრამ იგივე ავტორები იუწყებიან, რომ ოქროს საწმისი გაიტაცეს სწორედ აია-კოლხეთიდან, ე. ი. იმ კოლხეთიდან, რომელსაც მათ მიუსწრეს ბერძენთა კოლონიზაციის პერიოდში.

ამგვარად, სამხრეთ შავიზღვისპირეთში მდებარე კოლხეთი, რომელიც ძვ. წ. XII—VIII სს. იხსენიება, არ არის ის კოლხეთი, რომელმაც არგონავტების მითში ჰპოვა ასახვა. ამ დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძლიერია ხეთების სამეფო, რომელიც არგონავტების მითში საერთოდ არ ფიგურირებს, მაშინ, როდესაც მთელ ამ ტერიტორიაზე იგი თავისი ძლიერებით აღემატებოდა სხვა დანარჩენ სამეფოებს. ხეთების სამეფოს კულტურული ზეგავლენა შეიმჩნევა ამ დროინდელ აია-ს მხარის მოსახლეობაზე (იხ. ზემოთ: ტარუ, ფუსტ).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებაში ორგვარი აზრი არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი არგონავტების თქმულებას უკავშირებს სამხრეთით მდებარე კულხას გაერთიანებას, მეორე კი — ჩრდილოეთით, ისტორიულ აიას ტერიტორიაზე, ფაზის-რიონის აუზში მდებარე კოლხეთს. ჩვენც იმ თვალსაზრისისა ვართ, რომ არგონავტების მოგზაურობას აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უსათუოდ ჰქონდა ადგილი, ოღონდ მაშინ ეს მხარე ცნობილი იყო აიას ქვეყნის სახელწოდებით. ასე სწამდათ ეს ბერძენ ავტორებსაც.

ქართველ ტომთა განსახლების არეალი, ამავე დროს, მოიცავდა მცირე აზიის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილსაც. ქართველურ ტომებს ამ დროს, ე. ი. ძვ. წ. III—II ათასწლეულში, როგორც ჩანს, მკიდრო ეთნოკულტურული კონტაქტები ჰქონდათ ეგეოსის აუზის მოსახლეობასთან. ე. ი. ბერძნული ტომები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობას უნდა გასცნობოდნენ ჯერ კიდევ

მიკენური კულტურის ეპოქაში. ამის დამადასტურებელია ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში აქაელების მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ათვისების ცდა⁷⁸.

მაშასადამე, აია ეს არის სამხრეთით მდებარე კოლხეთის სამეფოს გაგრძელება ჩრდილოეთით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რომელსაც აია-კოლხეთი ეწოდებოდა და თავისი განმგებელი ჰყავდა.

ასეთად არგონავტების აქ მოგზაურობის დროს გვევლინება აიეტი.

აია-კოლხეთის ეთნიკური შემადგენლობა ქართული იყო. კოლხთა ჩრდილოეთისაკენ წამოწევა და მათი დასახლება ხდებოდა ქართულ ეთნიკურ სამყაროში.

აიას ქვეყანა, ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებში (ალბათ უფრო ადრეც და გვიანაც) ქართული ტომებით დასახლებულ რეგიონს რომ წარმოადგენდა, ამაზე აქ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალაც მეტყველებს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე გამოვლენილია თავისებური მატერიალური კულტურა, რომლის შემქმნელად ერთი რომელიღაც ხალხი ითვლება. ეს კულტურა თარიღდება ძვ. წ. II—I ათასწლეულით. გ. მელიქიშვილი ეყრდნობა ჰეროდოტეს ცნობებს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფაზისსა (დღევ. ფოთი) და კავკასიის მთებს შორის არსებობდა რომელიღაც დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეული, ჰენიოხ-სვანების⁷⁹. გ. მელიქიშვილს მხედველობაში აქვს ჰეროდოტეს ცნობა სპარსელთა მიერ დახარკულ ქვეყნებს რომ ეხება: „... კოლხებმაც დაიწყეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიის მთამდე“⁸⁰. ჰეროდოტეს ცნობების მიხედვით, კოლხების განსახლების ჩრდილო საზღვარი რიონ-ფაზისის ხაზამდე აღწევდა.

⁷⁸ А. В. Урушадзе, Страна волашеишцы Медси, в Сб.: «Кавказ и Средиземное море», Тб., 1980, с. 22.

⁷⁹ გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 68.

⁸⁰ ჰეროდოტე, ისტორია, I, თბ., 1975, გვ. 227 (III—97).

ამდენად, კოლხეთის ჩრდილოეთით მოსახლე ხალხი (ფაზისიდან კავკასიონამდე) უნდა ყოფილიყვნენ სვან-ჰენიოხები, რომელთაც კოლხებივით სპარსეთის მეფესთან საჩუქრები მიჰქონდათ.

ჰეროდოტე კოლხეთში ნამყოფი იყო⁸¹ და ამიტომ მის ამ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ადრე სვანური ტომების განსახლების ტერიტორია რიონ-ფაზისის ხაზს ალბათ სამხრეთითაც სცილდებოდა. ამაზე მეტყველებენ მდ. ჭოროხის ხეობიდან ცენტრალური კავკასიონის ქედამდე დღემდე შემორჩენილი ათეულობით ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელთა ახსნა მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით ხდება შესაძლებელი.

როგორც გ. მელიქიშვილი შენიშნავს, ჰენიოხ-სვანები უნდა ყოფილიყვნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველაზე უძველესი მოსახლე ქართველური ტომები. ამ აზრს სამართლიანად იცავს თ. მიქელაძე⁸².

საყურადღებოა, რომ ვ. ალენი ჰენიოხთა სახელს აია-სა და ჰაია-ს სახელებს უკავშირებს. მისი აზრით „ჰენიოხი“ მიღებული უნდა იყოს აია და ჰაია სიტყვისაგან, რაც ნიშნავს: „აქ თვითონ“, „ჩვენი მიწა“⁸³ (აია ხომ მიწის ღვთაებაა). ეს არც თუ ისე უპერსპექტივო თეზაა. აღსანიშნავია, რომ ჰომეროსი „ოდისეაში“ წერს: აია მღებარეობს იქ, სადაც მზე ამოდისო („სადაც ჰელიოსი აღმასვლას იწყებს“). ე. ი. აია მზის ამოსვლის ქვეყნად იყო ცნობილი ჰომეროსის დროს და ალბათ მანამდეც. როგორც ჩანს, აიელებიც თავიანთ თავს „მზის ამოსვლის ქვეყნის“ მკვიდრებად თვლიდნენ. როგორც ზემოთაც მივუთითეთ, აია შუმერულ ეა-დან უნდა მომდინარეობდეს. შუმერებიც თავიანთ თავს „მზის ამოსვლის მხარეს მღებარე ქვეყნიდან“ მოსულებად თვლიდნენ. სპეციალისტთა ნაწილის აზრით, შუმერები შუამდინარეთში ინდის ხეობიდან უნდა გადმოსულიყვნენ. ნიშანდობლივია, რომ ბასკებშიაც ანალოგიური რწმენაა მათი „მზის ქვეყნიდან მო-

81 ჰეროდოტე, ისტორია, I, გვ. 10.

82 თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16—20.

83 იქვე, გვ. 19.

სულოზის“ შესახებ, რასაც ნიშნავს მათივე საკუთარი სახელწოდება ე უ ს კ ა ლ დ უ ნ. როგორც ჩანს, სვანების წარსულის მნიშვნელობა სცილდება მცირე აზიის საზღვრებს. ნ. მარი, რომელიც ხაზს უსვამს სვანების როლს პირენეის მოსახლეობის ეთნო-კულტურის ისტორიაში, წერდა: „...Сваны один из народов, стоящих половиной своей природой, для него основной, в ближайшем родстве с басками“⁸⁴. ეს მოსაზრება მან არაერთხელ გაიმეორა⁸⁵. სვანურსა და ბასკურს შორის მართლაც საგულისხმო პარალელები დასტურდება⁸⁶.

ა. რობაკიძე აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით დასძინს: ზემოთ თქმული ერთხელ კიდევ იმ დიდი მნიშვნელობის დადასტურებაა, რომელიც სვანეთისა და სვანების შესწავლას ენიჭება არა მარტო კავკასიის ხალხების ეთნო-კულტურის, არამედ მთლიანად ევროპის ისტორიის შესწავლაში⁸⁷.

ო. ლორთქიფანიძის აზრითაც, არგონავტები ოქროს საწმისისათვის აია-ში გაემგზავრნენ. აია-ს ქვეყანა კი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარეობდა⁸⁸. საბერძნეთიდან აია-კოლხეთში არგონავტების მოგზაურობა რომ რეალურ საფუძველს მოკლებული არაა, ეს ცხადყო ცნობილი ინგლისელი მეცნიერის, ექსპერიმენტული არქეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ტიმ სევერინის მიერ 1984 წელს მითის სარეკონსტრუქციო მოგზაურობამ.

ადვილი შესაძლებელია აია-საგან იყოს ნაწარმოები ამ მხარის მოსახლეობის სახელწოდება ჰ ე ნ ი ო ხ ი, რომელსაც შეიძლება ასეთი სემანტიკური განვითარების გზა გაეარა: აიახი//აიოხი//პაიოხა//ჰენიოხი, სადაც დროთა განმავლობაში ა ი ა ტერმინი უძველესი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ჰ-ნ-ხ ფორმანტებით უკიმოსა, რის შედეგადაც მივიღეთ იმ ხალხის აღმნიშვნელი ცნება,

⁸⁴ Н. Я. Марр, Из поездок в Сванию (летом 1911—1912 гг.), X в. т. II, вып. I, СПб, 1913, с. 113.

⁸⁵ Н. Я. Марр, Избранные работы, т. I, Л., 1933, с. 169; Его же, Избранные работы, т. IV, Л., 1937, с. 3-52.

⁸⁶ თ. მიბჩუანი, ბასკების წარმოშობის საკითხისათვის, აღმანახი „რიფა“, 1977.

⁸⁷ А. И. Робакидзе, Сванети, Тб., 1984, с. 5.

⁸⁸ თ. ლორთქიფანიძე, მითიდან რეალობამდე, გაზ. „კომუნისტი“, 14. X. 1984, № 238.

რომელსაც აია-ს ქვეყანა ეკუთვნოდა. სვანურში -ხი დღესაც კუთვნილების აღმნიშვნელია. მაშასადამე, ჰენიოხი ნიშნავს ეა//აია-ს ხალხს.

ამგვარად, აია კოლხეთის ძველი სახელწოდებაა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავენ ს. ყაუხჩიშვილი, ა. ურუშაძე, თ. მიქელაძე და სხვ. სწორედ ამ აიას ქვეყანაში გვხვდება თავისებური მატერიალური კულტურა, რომელიც აქ დამოუკიდებელ ეთნიკური მასის არსებობაზე მიგვანიშნებს ძვ. წ. II—I ათასწლეულებში⁸⁹. თ. მიქელაძე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის გამორკვევის მიზნით ფართოდ მიმოიხილავს ლინგვისტურ, არქეოლოგიურ, წერილობით მასალებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ რიონის აუზის უძველესი მოსახლეობა სვანები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო შემდგომი — ზანურენოვანი ხალხი⁹⁰.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობდა აიას ქვეყანა, სამეფო, რომელსაც ძველი ბერძენი ავტორები აია-კოლხეთს უწოდებდნენ. ყველაზე ადრინდელი ავტორი, ვინც აიას იხსენიებს, არის ჰომეროსი. იგი მას უწოდებს კუნძულს, მხარეს, ქვეყანას, (როგორც აღვნიშნეთ, ჰომეროსთან სახელწოდება „კოლხეთი“ საერთოდ არ გვხვდება). დანარჩენი ავტორები უფრო გვიან ცხოვრობდნენ და ამდენად არცაა გასაკვირი, თუკი ისინი აიას ხან ქვეყანას და ხანაც ქალაქს უწოდებენ. სავსებით მართალია აკ. ურუშაძე, როცა შენიშნავს, რომ აია ქალაქად მოხსენებულა არგონაუტების სქოლიოებში, ანტიკური და ბიზანტიური ხანის ზოგიერთ ავტორთან, რამაც ხელი შეუწყო შეცდომის დამკვიდრებას ლიტერატურაში და აია ქალაქად მიიჩნიეს⁹¹. აღნიშნული ხანის ბერძენი ავტორები ხშირად დიდ შეცდომებსაც უშვებდნენ, განსაკუთრებით გეოგრაფიული პუნქტების მდებარეობის განსაზღვრაში. ავიღოთ თუნდაც აბ. როდოსელის „არგონაუტიკა“. მართალია, აბ. როდოსელმა ეს მითი ყველაზე მაღალმხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებად აქცია, მაგრამ იგი ასეთ გეოგრაფიულ შეუსაბამისობასაც

⁸⁹ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 190. აპოლონიოს როდოსელი, არგონაუტიკა, თბ., 1975, გვ. 208, (შენ. 10).

⁹⁰ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 183, 184.

⁹¹ აპოლონიოს როდოსელი, არგონაუტიკა, 3. 208, შენ. 10.

უშეებს: მღ. ლიკე მღ. არაქსს რომ დაშორდება, მერე მღ. ფაზისში ჩადის. შემდეგ ეს ორი მდინარე ერთ კალაპოტში მიედინება-ო⁹². მღ. ფაზისი შავ ზღვას უერთდება, ხოლო მღ. არაქსი სომხეთ-აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიედინება, უერთდება მტკვარს და კასპიის ზღვაში ჩაედინება.

ამგვარად, აი ა თავდაპირველად ქვეყნის სახელად იხმარებოდა. თუ აიას ქვეშ ქალაქი იგულისხმება, ეს იგივე ქუთაისი (კ ვ ტ ე ის ი) უნდა იყოს. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ აიას სახელობის საკულტო ნაგებობებიც (ან ციხესიმაგრის კომპლექსი) არსებობდა (შდრ. „ფუსტი“, ფუსტელნი და ციხესიმაგრე „ფუსტა“). ვერც ერთი ბერძენი ავტორი კონკრეტულად ვერ უთითებს, თუ სად მდებარეობდა ქალაქი აი ა, რა ერქვა იმ ქალაქს იმჟამად და სხვ., რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათ ჰქონდათ არა კონკრეტული, არამედ ზოგადი ცოდნა-წარმოდგენა შორეული წარსულის აი ას ქვეყნის შესახებ.

შ ა მ ა შ

„შამამ“ ძველი სვანური საფერხულო სიმღერაა. „რერა“ ამ სიმღერის რეფრენია, რომლის დამატებისას იგი კარგავს ბოლო შ ხმოვანს და წარმოითქმება ასე: „შამარერა“ ნაცვლად „შამაშრერა“-სი. ტექსტი ამ სიმღერისა ასეთია:

„შაიმა შამარერა ჰორი ჰორირა,
შაიმა შამარერა
ჰოი ჰო ჰოი — რერა
ჰორი ჰორირა. ჰოი ჰორი
ჰორი ჰორირა. შაიმა შამარერა ჰორი
ჰო! ჰო-რი
ჰორირა, შაიმა შამარერა შარა შამარე, ჰო
რა, ჰო“. 93

სვანები ამ სიმღერის ტექსტის განმარტებას ვერ იძლევიან, მიუხედავად ამისა, ეს სიმღერა, რომელიც ფერხულის დროს სრულდება, დიდად პოპულარულია.

⁹² იქვე, გვ. 159, შენ. 211—212.

⁹³ სვანური პოეზია, I, თბ., 1939, გვ. 266.

საგულისხმოა, რომ შამაში ძველ შუამდინარეთში (აქადში) მზის ღმერთს ეწოდებოდა. შუმერული წარმოშობის მისი იდეოგრაფია გამოხატავს ამომავალ მზეს. შამაშ-ს მეორე ადგილი უჭირავს შუამდინარული პანთეონის მეორე ტრიადაში. იგი ითვლება სინის ძედ და იშთარის დად. მისი ღვთაებრივი ცალია აია (იხ. ზემოთ). როგორც შამაშისადმი მიძღვნილი ჰიმნებიდან და მითოლოგიური პასაჟებიდან ჩანს, იგი წარმოდგენილი ჰყავთ ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილ ღვთაებად, რაშიც ისინი ხედავენ სამართლიანობისა და სიკეთის განსახიერებას. გილგამეშის ეპოსში იგი არის მთავარი გმირის მფარველი, მისი გამჩენიც კი (გილგამეშის დედა ნინსუნა შამაშს ეუბნება: „შვილად მომეცი გილგამეში...“).

შამაშის (მზის) ყოველდღიური ამოსვლა ცარგვალზე სიმბოლურად წარმოსახავს ქაოსის ძალების განადგურებას. ცარგვალზე თავისი ხილული მოძრაობის დასრულების შემდეგ, შამაში ჩადის ქვესკნელში და იქ ანათებს. აქადურ პანთეონში მას მიეკუთვნება უპირატესად სამართლიანობის ღმერთის სახელი. ხამურაბის კანონთა პროლოგში შამაშია ის ღმერთი, ვისგანაც იღებს მეფე კანონებს და ვისი სახელითაც უნდა შესრულდეს კანონი⁹⁴.

შამაშის კულტის მთავარი ქალაქები იყო ლარსა და სინდარი. შამაშის ემბლემაა: მირგვალში ჩახატული მზის სხივები და წყლის ჭავლები ერთმანეთის მონაცვლეობით.

შამაშის გამოსახულება: მთებს შორის ამომავალი, რქიანი ტიარით თავზე; მხრებიდან ამოსული სხივებით; ხელში დაკბილული, მორკალული მახვილით⁹⁵.

ჩვენი აზრით, სწორედ შუამდინარული შამაში ფიგურირებს უძველეს სვანურ სიმღერაში „შაიამა შამარერა“. ეს, როგორც ჩანს, მზის საგალობელი ჰიმნია. საგულისხმოა, რომ „შამაშ-რერა“, „რერა“, აგრეთვე, მზის ღმერთის სახელია ეგვიპტურში. უფრო ნეტიც, ბერძენი ავტორები შენიშნავენ, რომ ქალაქ ფასისტან მდგარი ქალღმერთი ყველაზე უფრო რეას გავსო. რეა ანუ კუბელეკებელე, როგორც ვარაუდობენ, მცირე აზიის მთავარი ქალღმერთი

94 ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, გვ. 54—55.

95 იქვე, გვ. 55—56.

უნდა ყოფილიყო⁹⁶. „რი-რა“, „რე-რა“, „რა-მაიშა“ დღევანდელი სვანურისათვის გაუგებარი სიტყვები სხვა სვანურ სიმღერებშიაც გვხვდება (ასე მაგალითად „ჰო-რი-რა, რი-რა“, „ვოსა რე-რა“⁹⁷ და ა. შ.). ყველგან რა, რე, რი მზის (თუ მზის ღვთაების) აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ამგვარად, „შამა-რე-რა“ უნდა გავიგოთ, როგორც წარმართული მოწოდება მსგავსად ქართულში დამკვიდრებული გამოთქმისა: „მზე შინა და მზე გარეთა, მზევ შინ შემოდის!“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინში „შამა-რე-რა“ მზის გასამაგებელი მოძახილია.

სვანური სიმღერა „შამაია შამარერა“ რომ უძველესია, ამაზე მეტყველებს ტექსტის ლაკონიურობა. ფაქტიურად მთელი ტექსტი აგებულია ერთ სიტყვაზე — მზის (შამაშის, იგივე რა-ს) სახელის რამდენჯერმე გამეორებაზე. რომელსაც წამღერებით ასრულებენ.

ამგვარად, სვანური საფერხულო სიმღერა „შამარერა“ მზის საგალობელი ჰიმნია და მომდინარეობს ძველი შუამდინარული კულტურის წიაღიდან.

ლილე

ლილე უძველესი სვანური სიმღერაა. მას მზის საგალობელს უწოდებენ, მაგრამ „ლილეს“ არც ერთ ვარიანტში მზე არ მოიხსენიება. სიტყვა „ლილე“ სიმღერის რეფრენია, რომლის შინაარსი დღემდე გაურკვეველია, ამიტომ შესაძლოა ამ გაუგებრობიდან მომდინარეობდეს მისი მზის საგალობელ ჰიმნად გამოცხადების ტრადიცია, რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ არის. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მზის საგალობელი ჰიმნი უნდა ყოფილიყო „შამარერა“, რომელშიაც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ცნობილი მზის ღვთაებების სახელთა სამმაგი მოძახილია. მსგავსი რამ „ლილე“-ში არ დასტურდება. თუ „ლილე“-ს ტექსტს ჩაუუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ „ლილე“ უნდა ყოფილიყო უმაღლესი, მათ შორის მე-

⁹⁶ საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 97; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 677.

⁹⁷ სვანური პოეზია, I, გვ. 266—267.

საქონლეობისა და მიწათმოქმედების ღვთაება. „ლილეს“ ტექსტის ვარიანტებში ვხვდებით წვრილი და მსხვილფეხა საქონლის მოხსენიებას:

„... შენი შესაწირი ხარები,
რქები ჰქონდათ ოქროსი,
დაბულრაობენ ქედ-ქედ...
შენი შესაწირი ვერძები,
რქები ჰქონდათ დაგრეხილი,
დახტოდნენ ქედ-ქედ“.⁹⁸

ან კიდევ: „საძირკველთან ირემი გეწვათ,
(ციხის) ქონგურს შევარდენი გერტყა;
ზღუდე გარტყია ოქროსი,
სახლი გედგა უზადოდ აგებული“ და ა. შ.
(იქვე, გვ. 315).

ამგვარად, ლილეს ტექსტში ფიგურირებენ ოქრორქიანი ხარები, ვერძები, ირემები, ვაცები, არჩვები, შუნები, უსხვიაები (საგანგებოდ ნასუქი ხარი; იხ. ზემოთ: სუნდუქ).

„ლილეს“ ტექსტში ბევრი სიტყვა დღევანდელი სვანურისათვის გაუგებარია.

რამდენადაც ტექსტის მიხედვით „ლილე“ უზენაესი ღვთაებაა, რომელიც ერთნაირად მფარველობს გარეულ თუ შინაურ ცხოველებს, შრომას, მშვიდობას და ა. შ. ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი შესაძლოა მომდინარეობდეს ანალოგიური ფუნქციების შემსრულებელი შუმერული ღვთაებიდან, რომელსაც ენ-ლილ ეწოდებოდა. ენ-ლილი (შუმ. „უფალი ჰაერისა და სივრცის“) უზენაესი ტრიადის მეორე წევრია შუამდინარულ პანთეონში. ენ-ლილის ტაძარი იდგა ქ. ნიფურში, რომელსაც ეწოდებოდა ექური („სახლი—მთა“. შდრ. სვან. „ქორ“—„სახლი“).

მითის მიხედვით ენ-ლილმა გაამორიშორა ერთიმეორისაგან ცა და მიწა და თავისი „ოქროს ცულით“ გადაკვეთა მათი შემაჯავში-

⁹⁸ სვანური პოეზია, I, გვ. 314—315; ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, I, თბ., 1974, გვ. 232.

რებელი „კიპლარი“, თავად ჩადგა რა მათ შორის. ამიტომ იგი მთასავით არის აღმართული ცასა და მიწას შორის და ეწოდება „ქვეყნის გამვრცობი უფალი“, რაც შეესატყვისება მისი სახელის შინაარსს („უფალი სივრცე“). ენ-ლილი ითვლებოდა კაცობრიობის ღმერთად, შუმერული ხალხის ეროვნული ერთიანობის ღვთაებად. მას ყოველ მნიშვნელოვან ქალაქში ჰყავდა თავისი ნაცვალი. ენ-ლილის შვილთა შორისაა: დადი, შამაში და სხვ.⁹⁹ (შამაშის შესახებ ზევით გვექონდა მსჯელობა).

ლილეს სვანურ ტექსტში გაუგებარი სიტყვების გარკვეული ნაწილის ახსნა, ძველშუამდინარული ლექსიკის მეშვეობით ხდება შესაძლებელი.

როგორც აღვნიშნეთ, ლილე შეიძლება შუმერულ ღვთაებად ენლილს დაუკავშირდეს. თავდაპირველად იგი იყო „მეუფე ჰაერისა, მეუფე ქარებისა“, ხოლო მოგვიანებით მიწის ღვთაების ფუნქციებიც შეიძინა. ენ-ლილის მამა იყო ან (სიტყვასიტყვით: „მალ-ლა“, „ცა“). ენ-ლილმა თანდათანობით დაიჭირა ანის ადგილი. ენ-ლილი კეთილ და ღმობიერ ღმერთად ითვლებოდა. მას მიაწერდნენ ქალაქების, მცენარეთა სამყაროს შექმნასა და რაც მთავარია, სამიწათმოქმედო იარაღების — თოხისა და გუთნის გამოგონებას.

სვანური „ლილეს“ სწორედ ღვთაებაა, რომელსაც აკისრია ადამიანისათვის ერთ-ერთი ყველაზე სასიცოცხლო ფუნქცია — მესაქონლეობა, მონადირეობა და მიწათმოქმედება. აი, სვანური „ლილეს“ უძველესი ვარიანტი, რომელშიაც ხაზგასმულია გაუგებარი სიტყვები:

„პოი, ლილე, ვო!
ისგვანი დიდაბო.
რი ღ გ ე ა-ი-ში ლ ე და,
ოი-დილი, ლილელი
ვოი, დილ-ვო, ლილე, და,
დიდაბი, დიდაბო.
თარნგზელ არს-ი და-ი,
ვოი დილ ვოი, და.

⁹⁹ ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, გვ. 24—25, ზემოთაღ მიუვითეთ, რომ დადი როგორც შუმერებში, ასევე ქართველებში (სვანებში) საკუთარ სახელადაც იხმარებოდა.

დიდაბი, დიდაბიო.
არგვე-ია, ზერსიდანი,
ოი, დი-ვო, დიდაბ,
ლილგოია შილედ.
ოქრეში-სამკალიო,
რინგოია, შილედო,
ოი დილ-ვო ი დიდაბ“.

ჰოი, ლილე, ვო!
დიდება შენდა,
რიგვია შილედა,
ოი, დილი, ლილეო!
ვოი, ლილ-ვო, ლილე, და,
დიდება, დიდება.
თარნგულარს-ი და-ი,
ვოი დილ ვოი, და.
დიდება, დიდება.
არგვე-ია, ზერსიდანი-ი,
ოი, დიე-ვო, დიდაბ,
ლილგოია შილედ
ოქროს სამკაულიანო,
რინგოია, შილედო,
ოი, დილ ვო ი დიდება.

როგორც დავინახეთ, ტექსტში სიტყვების უმეტესობა გაუგებარია. სვანური ენის არც ერთ დიალექტზე არ აიხსნება: ლილე, რილგვა, შილედა, დილო, დილი, არგვე, ზერისდანი, რინგოია, ლილგოია, თარნგულ. ამათგან შუმერულის მეშვეობით ჯერჯერობით შეგვიძლია ავხსნათ მხოლოდ შემდეგი ტერმინები: ლილე, დილო (დილი), დილ, თარნგულ. მაგრამ ვიდრე მათ ახსნას შევეუდგებოდეთ, მოვიტანთ „ლილეს“ ზემოთ მოცემული სვანური ტექსტის დღემდე ცნობილ თარგმანს:

ჰოი, ლილე, ვოი!
შენ გადიდებთ, მზეო,
ყველანი ჩვენ,
ოქროს სხივებიანი,
ოქროს სამკაულით სავსე,
გადიდებთ, გადიდებთ შენ!

(იხ. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 21. VIII, 1969.).

როგორც ვხედავთ, ეს თარგმანი სწორი არ არის, იგი ხელოვნ-

ნურია. როგორც აღვნიშნეთ, მზეს სევანურად „მე“—ს ეძახიან, რომელიც საერთოდ არ გვხვდება „ლილეს“ სევანური ტექსტის არც ერთ ვარიანტში (იხ. სევანური პოეზია, I, 1939, გვ. 312—317). საგულისხმოა, რომ მზე არც ენლილის შუმერულ სახობტო ჰინში მოიხსენიება. აი, მისი ქართული თარგმანი:

ბრძენო მეუფეო, ვინ იცის ნება შენი?
ძღვეამოსილო, ექურის ბატონო,
მთებში შობილო, ქართა მეუფეო,
ცათა საბეკენი გიჰირავს შენი
ცათა გასალები გიჰყრია შენი!
ბატონო, დიდებულო, მამის გამირთაგმირო,
ექურის მეუფეო, მტერთა შემმუსვრელო,
გუთანს რომ უძღვები. ეს შენ ხარ შენ, ენლილ!

ენ-ლილის მამის ანის მეუღლე იყო ქალღმერთი ქი („მ-ჩა“, შდრ. სევან. „გიმ“—„მიწა“), ენ-ლილი თავისი დედ-მამის ფუნქციების შემსრულებლად გვევლინება, ე. ი. იგი „ცისა და მიწის მეუფეა“. ზემოთ მოტანილი ტექსტიდან ჩანს, რომ ენ-ლილი არის მიწათმოქმედების ღვთაებაც. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს სიტყვები: „გუთანს რომ უძღვები, ეს შენ ხარ, ენ-ლილ!“

რადგან ენ-ლილი თავისი მამის ფუნქციების შემსრულებელიც იყო და ცისა და მიწის განმგებლად გვევლინება, ამიტომაც მის სახელს („ლილ, ლილე“) წინ ერთვის შუმერულში მმართველის ტიტულის აღმნიშვნელი სიტყვა „ენ“ („ენ-ლილ“). სევანურ ტექსტში „ლილეს“ ვარიანტად, აგრეთვე, იხსენიება „ლილ“ (შდრ. ენ-ლილ) შემდეგ კონტექსტში: „ვოი, ლილ, ლილე, და“. ლალ-ე სიტყვაში ე დაბოლოება ბრუნვის ნიშანია.

მაშასადამე, სევანური „ლილ//ლილე“ მომდინარეობს შუმერული ღვთაების „ენ-ლილის“ სახელისაგან.

სევანური ტექსტის „დილ“ (სიმღერაში „ლილე“) შუმერულად ნიშნავს „თითოს“. „დილი-დილი“ შუმერულად იქნება „თითო-თითოდ“ (შდრ. ქართულში მისამღერი: „დილი-დილი-დელა“). ამდენად, ტექსტში ნახმარი „ოი, დილ, ლილეო!“ შეიძლება ასე გავიგოთ: „ოი, ერთადერთო, ლილეო!“

„ლილეს“ ტექსტში იხსენიება „თარნგზელ“. „თარნგზელ“ მთავარანგელოზის შინაარსით არის გაგებულნი, რაც ხელოვნურობის

ელფერს ატარებს. როგორც ჩანს, „თარნგზელის“ ფუნქცია ქრისტიანულმა ეკლესიამ მთვარანგელოზს დააკისრა. სინამდვილეში „თარ-ნ-გზელ“ შუმერული ღვთაება „თარ“-ს უნდა უკავშირდებოდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება წარმართული ხანის სიმღერაში „თარნგზელის“ მოხსენიების გამართლება, მითუმეტეს, რომ არც „თარ“ და არც „გზელ“ მთავარანგელოზის პირდაპირ თარგმანს არ წარმოადგენს. სვანური „თარ-ნ-გზელ“ ეს არის „თარ“-ის ძე, შვილი, პირშვი, ანგელოზი. სწორედ სვანური „გეზალ“ (შვილი) ქართული „ანგელოზის“ სუბსტრატი უნდა იყოს.

„ან-გელოზ“ ქართული სიტყვა ინახავს შუმერულში ცის ღვთაების სახელს -ან.

ამდენად, არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ტერმინი „ანგელოზი“, აგრეთვე შუმერულ სინამდვილეში იღებდეს სათავეს. როგორც აღინიშნა, ან შუმერებში იყო ცის ღვთაება, ენ-ლილის მამა. „ანგელოზ“ უნდა ნიშნავდეს ან-ის პირშვოს, შვილს (გეზალ-ს). ეს „გელოზ“ (გეზალ) ქართულში ასოცირებულ იქნა ღვთაებრივის, წმინდანის სახით, ვითარცა ძე ღვთაებისა, რომელიც შემდგომშიაც „ანგელოზის“ სახელით დამკვიდრდა.

სვანურმა „გეზალ“ სიტყვამ წინ დართული შუმერული ღვთაების სახელი „ან“ დაკარგა ალბათ მას შემდეგ, რაც უმაღლეს ღვთაებათა ტრიადაში უმთავრესი ადგილი დაიკავა „თარ“ ღვთაებამ. „თარ-გეზალ“ (თარ-ნ-ნგელ) წმინდანის რწმენა ხალხის მეხსიერებამ დღემდე გამოატარა. ქრისტიანულმა რელიგიამ მას მთავარანგელოზის ფუნქცია დააკისრა. ასეთი სემანტიკური წიაღსვლისათვის ამ ტერმინების ფონეტიკური მსგავსებაც ხელშემწყობი პირობა აღმოჩნდა.

მთვარანგელოზს ოსები „თარანგელოსს“, ზოლო მოხვევები „თარანგელოსს“ (თარ-ან-გელოზ) ეძახიან. ამ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინი სრულად ინახავს შუმერული ღვთაებების „თარ“ და „ან“-ის სახელებს („თარ-ან-გელოზ“). ეს კი გვაფიქრებინებს, რომ სვანურ „თარ-ნ-გზელ“-ში ნ ფუძეში განვითარებული ბგერა კი არ არის, არამედ იგი „ან“-ის შეკვეცილი ფორმის ნაშთია. ქრისტიანული რელიგიის მეშვეობით შუმერულიდან მომდინარე „ანგელოზი“ სხვა ენების კუთვნილებადაც იქცა.

საგულისხმოა, რომ სვანურში სიტყვა „ანგელოზი“ (სვან. „ანგ-

ლუზ“) ქართულიდან შესული უნდა იყოს, რადგან სვანურში მისი მეორე სახელია „ყწრი“. სვანურად „ყწრი“ ეწოდება, აგრეთვე. ცის კაბადონზე გაეღებულ ფარშავანგის მსგავს მოყვითალო ფერის ცეცხლოვან მასას. ხალხის რწმენით, ადამიანი, რომელიც მას ნახავს, ბედნიერი იქნება. ხომ არ მიგვანიშნებს ესეც შუმერულში ცის ღვთაება ან-ის კულტსა და მის პირმშოზე („ველოზ“—„გეზალზე“)?

ამგვარად, უძველესი სვანური სიმღერა „ლილე“ შუმერული ღვთაება ენ-ლილის ასოცირებული ფორმაა, რომელმაც ჰინის სახით დღემდე მოაღწია.

ბ ა რ - ბ ა ლ

„ბარ-ბალ“ სვანეთში ასტრალური ქალური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებად ითვლებოდა¹⁰⁰. ბარ-ბალ-ის სახელობის ეკლესიები იქ დღემდე შემორჩა. ეს არის იგივე წმ. ბარბალე, რომლის დღეობა 24 დეკემბერს ტარდებოდა.

შუმერებში „ბარა-ბარა“ მზის ღვთაებას ეწოდებოდა. იგივე სახელს ატარებდა მისი სახელობის სალოცავი. ბარ-ბალ ანუ იმავე ბარბალობა ქრისტიანული წმინდანის ბარბალეს კულტის დღეობასთან შერწყმულია ბარბოლ-ბაბარის მზის ღვთაების დღესასწაული, რომელიც მზის მობრუნებას უკავშირდება. წმ ბარბალე, რომელმაც მზის ღვთაების ზოგი ფუნქცია შეითვისა, ითვლებოდა ინფექციური და თვალის სნეულებათა განმკურნებლად¹⁰¹.

ზემოთ გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ შუამდინარეთში მზის ღვთაებას ან მზეს „შამამ“ ეწოდებოდა. შამამი-საგან „ბარა-ბარ“ იმით განსხვავდება, რომ იგი უშუალოდ მზეს არ აღნიშნავს. მაგალითად, „ან-ბარ“ შუმერულად ნიშნავს: „ცეცხლი ციდან“. ან — ცა, ე. ი. ან ცის ღვთაებაა, ხოლო „ბარ“ გაიგება როგორც ცეცხლოვანი მასა, ცეცხლოვანი ელვარება (მზის).

¹⁰⁰ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარი), თბ., 1941.

¹⁰¹ ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, I, თბ., 1974, გვ. 67.

„ან-ბარს“ შემერები ხმარობდნენ მეტეორული რკინის აღსანიშნავად, ანუ ცეცხლოვანი რკინის აღსანიშნავად, რომელიც ციდან ცვიოდა.

როგორც აღვნიშნეთ, წარმართული „ბარა-ბარ“ ქრისტიანულმა სამყარომ წმ. ბარბალეთი შესცვალა. „ბარბალ“ სვანების რწმენით ერთ-ერთი უზენაესი ღვთაებაა, რომლის სახელზე ასუქებდნენ ძროხას ან საფურე ხბოს, რომელსაც „ბარბლაის“ არქმევდნენ¹⁰². იგი შეიძლება ხარი ან ვერძი, ან ვაცი ყოფილიყო. სვანებს შემონახული აქვთ ღვთაებისადმი მიძღვნილი სიმღერა-საგალობელი¹⁰³.

ლ ა მ ა რ ი ა

„ლამარია“ მარცვლეულის ნაყოფიერების, მეწველი საქონლისა და ხელსაქმის მფარველი სვანური ქალღვთაებაა. სვანების წარმოდგენით, ლამარიას ღვთაებათა პანთეონში უკანასკნელი ადგილი ეჭირა. ლამარიას დღეობები ძირითადად ახალი წლისა და ადრე საგაზაფხულო დღესასწაულთა ციკლს ემთხვეოდა.

„ლამარია“ ღვთისმშობელ წმ. მარიამის სახელისაგან უნდა მომდინარეობდეს. ე. ი. სვანური ლა-პრეფიქსი დაიმატა საკუთარმა სახელმა მარიამ და მივიღეთ „ლამარია“ (მ)¹⁰⁴. სვანური პრეფიქსი ლა- ქართული სა-ს ბადალია. მაგრამ სვანურში არ გვაქვს სხვა შემთხვევა, როცა ლა-პრეფიქსი საკუთარ სახელს აწარმოებდეს. ანტიომ არა გვგონია სვანური „ლამარია“ თავიდანვე წმ. მარიამის აღმნიშვნელი ყოფილიყო. ჩვენი აზრით, „ლამარია“ წარმართული რელიგიური კულტის ისეთივე სახენაცვალი ფორმაა, როგორცაა „ბარ-ბალ“ (იხ. ზემოთ). თვით ქართული „მარიამობა“

¹⁰² ბარდაველიძე, ქართული უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 30; მისივე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 126; ლ. ბელუქიძე, სვანურ ავეჯზე მოცემული ზოგიერთი სიმბოლური გამოსახულების შინაარსის ახსნისათვის, კრებ.: სვანეთი, თბ., 1977, გვ. 20—21, შდრ. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ ღვთაებათა კალენდარი, I, თბ., 1936, გვ. 16.

¹⁰³ სვანური პოეზია, I, გვ. 318—319.

¹⁰⁴ ივ. ჭავჭავაძის შვილი, თხზ., ტ. I, თბ., 1979, გვ. 121.

(მეგრ. „მარაშინა“) წარმართულ რელიგიურ სინამდვილეში იღებს სათავეს¹⁰⁵. მარიობა იცოდნენ 15 (28) აგვისტოს, მას სვანურად „ლიმგრეი“-ს ეძახიან¹⁰⁶ (ანუ იგივე „ლამარიობა“)..

ჩაღვან ლამარიას (მარიამობის) რიტუალს ბევრი წარმართული ელემენტი ახლავს, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ისიც უშუალოდ წიაღში იღებდეს სათავეს, მით უმეტეს, რომ უშუალოდ ცნობილია ადამიანის თანმდევი, მფარველი ანგელოზი, რომელსაც „ლამარი“ ერქვა¹⁰⁷.

სვანურა „ლამარია“ და უშუალოდ „ლამარი“ ფონეტიკური თვალსაზრისითაც ძალიან ახლოს დგანან.

როგორც ჩანს, ქრისტიანულმა რელიგიამ წარმართული კულტი თავის ნიადაგზე მოაქცია და ღვთისმშობლის ფუნქციები დააკისრა. ასე მოხდა ძველ საბერძნეთსა და რომში, სადაც არტემიდასა და დიანას სახალხო დღესასწაულები, რომელიც ზუსტად ქრისტიანული მარიამობის დღეს იმართებოდა, შეიცვალა წმ. მარიამის დღესასწაულით.

ლამარია-ა სვანების ძველი რწმენითაც მფარველი ანგელოზი რომ უნდა ყოფილიყო და არა ღმერთი, შესაძლოა ამას განეპირობებინა მისთვის ყველაზე ბოლო ადგილი ქრისტიანულ ღვთაებათა პანთეონში.

და ლ ი

სვანურ ღვთაებათა პანთეონში დალი ნადირთა და მონადირეთა მფარველი ქალღმერთია. იგი ქალის სილამაზისა და მშვენიერების განსახიერებაა. აქვს ოქროს ნაწნავეები და ცხოვრობს მიუვალ კლდეებში. წარმართული კულტებიდან დალს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია. იგი მატრიარქატის ეპოქის დროინდელია, რომელიც ფართოდ აისახა სვანურ ხალხურ პოეზიასა და მითოლოგიაში. აწ გამქრალი სვანთა ერთ-ერთი ტომის მისიმიანების განსახლების ადგილს მდ. კოდორის ხეობაში დღემდე შემორ-

¹⁰⁵ ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, II, თბ., 1975, გვ. 8.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 228.

¹⁰⁷ ს. კაკნაძე, დასახ. ნაწრომი, გვ. 35.

ჩა აღნიშნული კულტის სახელწოდება დალ. ახ. წ. VIII საუკუნის შემდეგ მისიმიანები წყაროებში უკვე არ მოიხსენიებიან. როგორც ჩანს, დალის კულტს მათში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. სვანეთში ამ კულტის მოსახლე გეოგრაფიული სახელები სხვაგვარად გვხვდება („დალი თანად“, „დალია კოჯარ“ და ა. შ.).

დალი მაცდურია. კლდის დედოფალი მონადირეებთან ინტიმურ კავშირს ამყარებს; ზოგჯერ სიყვარულს ძალით ახვევს თავს ილპიურ ზონაში გამოჩენილ ქაბუკებს. დალმა შურისძიება იცის, ვინც პირობას არ უსრულებს, ის იღუპება, ამიტომ სვან მონადირეებს დალების დიდი შიში აქვთ. დალი განსაკუთრებით მდიდრადაა ასახული საწესჩვეულებო პოეზიაში, ეპოსსა და უძველეს ხელოვნებაში (თრიალეთური ვერცხლის თასი) ¹⁰⁸.

„დალის კულტი და მისი ამსახველი სიტყვიერება მონადირეთა შორის ჩამოყალიბდა ოთხიათასი წლის წინათ. დროთა განმავლობაში ამ ღვთაებამ მკვეთრი ცვლილებები განიცადა: კეთილი არსებიდან ბოროტ ალამდე დავიდა. ეს ევოლუცია მატრიარქატის პატრიარქატით შეცვლასა და კაცღვთაებათა ინსტიტუტის შექმნასთან არის დაკავშირებული“ ¹⁰⁹.

მითის მიხედვით დალი ამირანის მშობელია. ქართული ეპოსის ამირანი ბერძნული პრომეთეს ორეულია. მაშასადამე, მითს ამირანის შესახებ ძველბერძნული კულტურის სამყაროსთან უჩანს ფესვები. ამიტომ არის, რომ ამირანის სახის შესწავლა დიდი ხანია მსოფლიო პრობლემად იქცა ¹¹⁰.

თუ ამირანზე არსებული მითის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ დალი ამირანზე უხნესი კულტია, რადგან იგი მისი დედაა.

¹⁰⁸ ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, IV, გვ. 121.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ სვანური პოეზია, I, თბ., 1939; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, III—IV, 1964; ხალხური სიბრძნე, III, 1964; ბ. ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I—II, 1962-64; ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1950; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947; ელ. გორასაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964; ქართული ხალხური პოეზია, I, მითოლოგიური ლექსები, თბ., 1972; მისივე ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.

ძველი ბერძენი და რომაელი ავტორები ამირანის (ამირანტოს) მთას ასახელებენ მდ. ფაზისის (რიონის) სათავეებში, რომელიც წარსულში სვანთა განსახლების არეალს წარმოადგენდა.

საგულისხმოა, რომ სვანურად „დალ“ დედოფალს ჰქვია, ხოლო „დალოდ“ — დედოფალს. მართალია, სვანურში არსებობს სიტყვა „დედფალ“ („დედოფალი“), მაგრამ იგი იქ ქართულიდან შესული ჩანს. მანამდე დედოფლის აღმნიშვნელი სიტყვა დალ უნდა ეოფილიყო. მაშასადამე, დალს სვანთა შორეული წინაპრები იცნობდნენ, როგორც დედოფალს, რომელიც სილამაზისა და მშვენიერების განსახიერება იყო, რისთვისაც დროთა განმავლობაში გააკულტეს. სვანეთის სინამდვილეში ანალოგიური შემთხვევა გვაქვს ღვთაება ფუსტთან დაკავშირებითაც (იხ. ზემოთ).

მაინც სად ვეძიოთ დალის, როგორც კულტის წარმომავლობის ფესვები? თუ მითების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ასეთი სურათი იქმნება: დალი ამირანის დედაა. ამირანი იგივე ბერძნული პრომეთეა. პრომეთემ ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ხალხს მისცა. ამისათვის ზევსმა პრომეთე დასაჯა, კავკასიონის ქედს მიაჯაჭვა. მაგრამ რატომ მაინც და მაინც კავკასიონის ქედს? მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ შორეულ წარსულში ქართველთა მონათესავე ხალხი ცხოვრობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და დასავლეთ მცირე აზიაში. დგინდება, რომ ამ ტერიტორიის ძველი ტოპონიმია ბერძნული არ არის, მისი ნაწილობრივი ახსნა ქართველური ენების მეშვეობით ხდება შესაძლებელი¹¹¹. ე. ი. ბერძნები მათ დღევანდელ ტერიტორიაზე მოსული ხალხია. ამას არც ისტორიული მასალა უარყოფს. მანამდე აღნიშნულ ტერიტორიაზე, ძველი ბერძენი ავტორების ცნობებით, ცხოვრობდნენ პელაზგები. სპეციალისტები პელაზგებში ქართველთა მონათესავე ხალხს ხედავენ.

აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ზევსი ბალკანეთში მოსული ხალხის სიმბოლური გამოსახვაა, პრომეთე კი—იქ აღრე მცხოვრები არაბერძნული ხალხისა. ზევსი და პრომეთე ორი სხვადასხვა კულ-

¹¹¹ რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985.

ტურის განსახიერებაა, კერძოდ, ზევსი უფრო დაბალის, პრომეთე — მაღალის. ძველბერძნულ ნაწარმოებებში დაცული ცნობების მიხედვით პრომეთე ზევსზე უხნესია¹¹².

პრომეთე და ამირანი ერთმანეთს ვერ დაშორდება. ამირანში კი ქართველთა მონათესავე ხალხი იგულისხმება, რომელიც ბალკანეთიდან თუ მცირე აზიის დასავლეთის მხრიდან გადმოსახლდა ამიერკავკასიის მთისწინეთში.

თუ ამირანში (პრომეთეში) სიმბოლურად ქართველთა მონათესავე ხალხი იგულისხმება, მაშინ დალი, ამირანის დედა, ამ ხალხის დედაცაა, რაც აღნიშნულ ფაქტს მატრიარქატის ხანას უკავშირებს.

დალის კულტი ალბათ რიონის ქვემო წელზე მოსახლე სვან-პენიოხებსაც გააჩნდათ. საგულისხმოა, რომ არიანეს ფაზისში უნახავს ქალღმერთ ფასიანეს ქანდაკება, რომლის შესახებაც წერს: „ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ღმერთქალ ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რევას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მისი საეარძლის წინ წვანან ლომები და თვით კი ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტრონში“¹¹³. ხომ არ არის არიანესეული ფასიანე იგივე დალი? მითუმეტეს, რომ ლომის კულტი არც სვანებისთვისაა უცხო, სვანთა სატომო დროშა ხომ ლომს გამოსახავს?

ჩვენი აზრით, სვანური ტომების განსახლების ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დალის კულტს წარმართულ ღვთაებათა პანთეონში ალბათ ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეკავა.

ა ფ ს ა ს ტ

სვანეთში ამ ერთ-ერთი უძველესი წარმართული ღვთაების სახელს სხვადასხვანაირად წარმოსთქვამენ. სვანური ენის ბალსზე-მოურ კილოებში მას აფსწსტ, აფსწსდ ან აფსწტ ჰქვია; ლენ-

¹¹² ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 29—34.

¹¹³ ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (თარგმანი, გამოკლევა, კომენტარები ნ. კეჭელაძისა), თბ., 1961, გვ. 39.

ტებურსა და ლახამულურში — აფსად არის მისი სახელი, „რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ ღვთაების სახელი დიდი ხანია ტრიალებს ქართველთა ენობრივ გარემოში“¹¹⁴.

აფსათი ნადირთა და ფრინველთა განმგებელი ღვთაებაა სვანურ მითოლოგიაში. თავისი ფუნქციებით იგი დალს ემსგავსება. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ აფსათი მამაკაცთ ღვთაებაა, ე. ი. უფრო გვიანდელი, ვიდრე დალი. თუ დალი მატრიარქატის დროინდელია, აფსათი უკვე პატრიარქატის ხანის კულტი ჩანს.

ამგვარად, აფსათი დალზე უმცროსია ხნოვანებით. უფრო მეტიც, ერთ-ერთი სვანური ხალხური ლექსის („მონადირე კაცი“) მიხედვით აფსათი დალის შვილია¹¹⁵.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დალი მშობელია ამირანისა. მაშასადამე, ამირანი და აფსათი ორივე დალის შვილებია¹¹⁶.

აფსატი, აფსატი ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებშიაც, კერძოდ ყარაჩა-ბალყარლებსა და ოსებში. იქაც იგი ნადირთა და მონადირეთა მფარველი ღვთაებაა¹¹⁷. მაგრამ ამ ხალხებში მან ისეთი ფართო ასახვა ვერ ჰპოვა, როგორც სვანურ მითოლოგიაში. ამიტომ შესაძლოა, ეს კულტი იქ სვანური გზით შევიდა¹¹⁸.

საკულისხმოა, რომ სახელი აფსატი თავისი ფონეტიკური აგებულებით ახლოს დგას არგონავტების შესახებ არსებულ მითში მოხსენიებულ პერსონაჟთან — აფსირტე.

ზემოთ დასახელებულ სვანურ ხალხურ ლექსში „მონადირე კაცი“, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ვინმე მონადირემ მგელს გამო-

¹¹⁴ ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, IV, გვ. 57.

¹¹⁵ სვანურ პოეზია, I, გვ. 275—276.

¹¹⁶ მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959, გვ. 153—155; ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 89.

¹¹⁷ Л. И. Лавров, Карачай и Балкарня до 30-х годов XIX в. КЭС. IV ч., 1969, с. 108-109.

¹¹⁸ Л. И. Лавров, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX в. КСИЭ АН СССР, вып. X, 1950; А. И. Робакидзе, Р. П. Харадзе, К вопросу о сванско-балкарских этно-культурных взаимоотношениях, МНС, Нальчик, 1960; В. П. Алексеев, Происхождение народов Кавказа. М., 1974, с. 200-203; Т. Ш. Мибчуани, Этно-культурные связи горцев Грузии (сванов) с балкарцами и карачаевцами. Тб., 1978.

სტაცა ჩვილი. ეს ჩვილი დალის მრევლიდან იყო. დალმა ამით დიდად გაიხარა. როცა აფსწთი მოვიდა, იკითხა: „დედავ, აღამიანის სუნი დისო“, დალმა აუხსნა საქმის ვითარება. აფსათმა მონადირე კაცი სექტემბრის ჯიხვებით დაასაჩუქრა¹¹⁹.

ამ ლექსიდან ჩანს, რომ აფსწსტი¹²⁰ დალის შვილია, რადგან აფსწსტი დალის დედას ეძახის.

სვანური თქმულების მიხედვით ამირანიც დალისა და მონადირე დარჯელანის შვილია.

აფსასტი რომ დალის შვილადაა მიჩნეული, ეს იმაზე მეტყველებს, რომ დალი მატრიარქატის დროინდელია, აფსასტი კი პატრიარქატის ხანისა, ე. ი. უმცროსია ასაკით.

აფსასტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სვანურ ლთაებათა პანთეონში.

სვანური ხალხური ლექსის ეს სიუჟეტი არგონავტიკაში ხსენებული ჩვილი აფსირტეს მოტივს გვაგონებს, მით უმეტეს რომ „აფსირტე“ და „აფსატ“ სახელებიც ერთმანეთთან მსგავსებას ამჟღავნებენ. არგონავტებზე თქმულების მიხედვით აფსირტე ადგილობრივია, ე. ი. კოლხია. აფსწტიც (აფსწთი) კოლხია. იგი დღემდე შემორჩა კოლხეთის მთიანეთის მოსახლეობაში, როგორც ნადირთა და ფრინველთა მფარველი კულტი. აიეტის შვილი აფსწთი შესაძლოა მონადირეც იყო. „აფსირტე“ „აფსწტის“ ბერძნული წარმოება უნდა იყოს.

თუ აფსწტი აფსირტე-დან მომდინარეობს, ეს ფაქტი საფუძველს უმაგრებს მითს კოლხეთში არგონავტების მოგზაურობის შესახებ.

ჭ გ გ რ წ გ

„ჭგგრწგ“ სვანურად წმ. გიორგის ეწოდება. მათი ფუნქციებო ერთნაირია. ერთმანეთის იდენტურია მათი იკონოგრაფია და თვით ამ კულტში ასოცირებული შინაარსი.

¹¹⁹ სვანური პოეზია, I, გვ. 275—276; სვანური ენის ჭრესტომათია, გვ. 21.

¹²⁰ აღნიშნული სვანური ლთაების სახელს ეხმარობთ ყველა იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი სვანურ კილოკავებში იხმარება.

წმ. გიორგის კულტი ფართოდ გავრცელებული იყო მთელს საქართველოში, უფრო მეტიც, მას მთელ რიგ ქრისტიანულ ღვთაებებს შორის უმთავრესი ადგილი ეკავა და ყველაზე უფროსად ითვლება, იგი გულყეთილია და ადამიანის მფარველი, ძლიერებით თვით ღმერთსაც კი ჯობნის¹²¹. ქართველი ერი მას ყველაზე მეტ თაყვანს სცემდა: „არც ერთი წმინდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმ. გიორგის სახელობაზეა აშენებული“¹²². თითქმის ყველაზე უმთავრესი ეკლესიები და დღეობები საქართველოში წმ. გიორგის სახელობაზეა. ხალხში გავრცელებული იყო რწმენა, რომ საქართველოში იმდენი წმინდა გიორგის ეკლესიაა და იმდენი წმინდა გიორგია, რამდენიც წელიწადში დღეებია¹²³. აკი, ვახუშტი ბატონიშვილიც წერდა, რომ საქართველოში „... არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანი“-ო¹²⁴.

როგორც ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენაში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი წმინდა გიორგის უკავია, მეორე — ღმერთს—შემოქმედს, მესამე — ელიას¹²⁵.

სვანებიც „ჯგერჯგ“ თაყვანს სცემდნენ და ყველა ღმერთზე ძლიერად მიაჩნდათ¹²⁶.

ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს დიდძალი ქართული ფოლკლორული მასალა წმ. გიორგის კულტთან დაკავშირებით და დაასკვნის, რომ წმ. გიორგიზე ამ შეხედულებებსა და პატივისცემას ქრისტიანობასა და საეკლესიო მოძღვრებასთან არაფერი აქვს საერთო, პირიქით, იგი პირდაპირ არღვევს მას. ამდენად, წმ. გიორგის ძველი, წარ-

121 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 48.

122 იქვე, გვ. 48.

123 იქვე, გვ. 48—49.

124 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 40.

125 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

126 Свяш. Гульбнанин. Краткий очерк религиозно-нравственного состояния сванов, СМОМПК, кн. X, с. 89; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

მართობის დროინდელი, მთავარი ღვთაების ადგილი უნდა ეკავოს. წარმართობის დროინდელი ქართველების მთავარი ღვთაება კი მთვარე იყო. ე. ი. მთვარის კულტი შეიცვალა წმ. გიორგის კულტით, ანუ „ჯგრაგით“. მთვარე ქართველებში რომ მთავარი ღვთაება იყო, ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც ორშაბათის სვანურ-მეგრული სახელწოდება „დოშდ-იშ“ (სიტყვიდან „დოშდულ“ — მთვარე) და „თუთაშ“-დლა“ (სიტყვიდან „თუთა“ — მთვარე). მიუხედავად იმისა, რომ მთვარის კულტის ნაფუძარზე წმ. გიორგი ყველა ღმერთზე უფრო პოპულარული შეიქმნა, მთვარის კულტი მაინც იმდენად ფესვგამჭდარი ჩანს, რომ ზოგი ელემენტი მისდამი რწმენისა დღემდე შემორჩა.

როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, მთვარის კულტი დაიკავა წმ. გიორგემ, რომლის საილუსტრაციოდ მას ბევრი ფაქტი აქვს დასახელებული. მაგრამ საიდან გაჩნდა თვით წმ. გიორგის კულტი, ან რამ განაპირობა მისი გაჩენა?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ წმ. გიორგის კულტის ფორმირება უნდა მომხდარიყო საქართველოში¹²⁷, ქართველთა წინაპრებში.

საყურადღებოა, რომ ქართული ტომების ერთ-ერთი უძველესი განსახლების ტერიტორიაზე — კაპადოკიაში მთვარის ღვთაება იყო მე ნ. სამეცნიერო ლიტერატურაში წმ. გიორგის კულტის წარმოშობას უკავშირებენ სწორედ ამ ქვეყანას¹²⁸. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთვარის ღვთაება მე ნ წმ. გიორგისავით ცხენზეა ამხედრებული.

ამგვარად, მე ნ და წმ. გიორგი ერთმანეთთან ახლოს დგანან არა მარტო ფუნქციურად, არამედ იკონოგრაფიულადაც.

მე ნ ღვთაება მთვარის სახელობის უნდა ყოფილიყო. ეს ფუნ-

¹²⁷ Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, с. 244.

¹²⁸ Е. А. Привалова. Художественное решение двух композиций «Чудеса» св. Георгия в грузинских средневековьях, «Вестник отд. общественных наук АН ГССР», 1963, № I, с. 181.

ქციები შემდეგ გადადის წმ. გიორგიზე. ივ. ჯავახიშვილს ბევრი მაგალითი მოჰყავს, როცა წმ. გიორგისადმი მიძღვნილი რიტუალები დაკავშირებულია მთვარის ღვთაების რიტუალებთან¹²⁹.

პროფ. ს. მაკალათია კი შენიშნავს, რომ წარმართულ საქართველოში წმ. გიორგის წინამორბედი უნდა ყოფილიყო მირსა ანუ მითრა¹³⁰. ამასთან დაკავშირებით ს. მაკალათიას მოჰყავს უაღრესად საგულისხმო მასალა, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. აღნიშნული მასალებისა და პარალელების მიხედვით დასტურდება, რომ წმ. გიორგისადმი მიძღვნილი რიტუალები მზის ღვთაების რიტუალებს უკავშირდება. მითრა მზისა და სინათლის ღვთაებაა, რომლის სახელზე აშენებული ტაძარი ნანახია ტრაპეზუნტში, დღევ. ბოზტოპესთან. აქ მდგარა მითრას სკულპტურული გამოსახულება, მაგრამ როდესაც ტრაპეზუნტიდან ახალი ქრისტიანული რელიგიის ქადაგება დაიწყო, მითრას სკულპტურა ტაძრიდან ძირს გადმოუგდიათ. ამის შემდეგ კი ადგილობრივი მოსახლეობა ქრისტიანულ რჯულზე მოუქცევიათ¹³¹.

სალოცავ მითრას ნანგრევები პირველი მსოფლიო ომის დროს დაუთვალიერებიათ ფ. უსპენსკისა და F. Cumont-ს.¹³²

მითრა ძველად ქართველებში ფართოდ გავრცელებული კულტი ყოფილა. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ანტიკურ ხანაში ტრაპეზუნტის ტერიტორია ქართველურ ტომთა განსახლების არეალში შედიოდა.

მითრაიზმმა ადრეულ ქრისტიანობის რწმენასა და იდეოლოგიას გარკვეული კვალი დააჩნია. ქურუმთა მოძღვრების თანახმად, სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე თან სდევს მიწაზე ჩამოსვლა ღმერთ მითრასი, რომელიც სათავეში უდგას ციურ ლაშქარს. წმ.

¹²⁹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49—59.

¹³⁰ С. Макалатия, Культ Джеге Мисарони в древней Грузии, Тб., 1938 და სხვ.; მისივე, მითრას კულტი საქართველოში, საქ. მეზ. მოამბე, ტ. 111, 1926, გვ. 161—194.

¹³¹ А. Панапандопуло-Керамевс, Сборник источников по истории Трапезунтской империи, ч. I, СПб, 1897, с. 8-11.

¹³² Г. Ф. Дундуа, Взаимоотношения римского мира с восточным Причерноморьем и некоторые вопросы колхского пантеона, в сб.: «Историко-филологические разыскания», I, Тб., 1980, с. 44.

გიორგისთან სიახლოვე ამ ასპექტშიაც ჩანს — მითრა ლაშქარს უდგას სათავეში, ე. ი. იგი მეომარია, მეომარია წმ. გიორგიც, ანუ „გვგრპვ“.

მითრანიზმი, საკმაოდ გავრცელებული რელიგიაა რომაულ სამყაროში, იგი ქრისტიანობის ყველაზე სერიოზული მეტოქეც იყო. ქრისტიანობის გამარჯვება მითრანიზმზე აიხსნება იმით, რომ ადრეული ქრისტიანობის შემქმნელებმა არა მარტო დაძლიეს მითრანიზმისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობა, არამედ გადმოიღეს ამ უკანასკნელისაგან ის ელემენტები, რომლებიც ყველაზე მეტად იყო ეპოქის შესატყვისი.

აღმოსავლური კულტებისა და ლეგენდების გავლენით არის წარმოშობილი მითი მარიამის მიერ ქრისტეს უბიწოდ წარმოშობის შესახებ¹³³.

რა მასალა გაგვაჩნია მითრას კულტთან დაკავშირებით?

ბიჭვინთის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად აღმოჩენილია 1400 მონეტა. ბიჭვინთა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს სსრ კავშირში ერთადერთია, სადაც ასეთი დიდი რაოდენობის მონეტებია ნანახი. ისინი განეკუთვნებიან გვიანანტიკურ და ადრებიზანტიურ ხანას, კერძოდ, ძვ. წ. II ს. და ახ. წ. I—IV სს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ კლავდიუს პტოლემეაიოსის (ახ. წ. II ს.) ცნობით, აღნიშნულ ხანებში ბიჭვინთა-გაგარის სექტორში სვანოკოლხების განსახლებას ჰქონდა ადგილი¹³⁴. ამ ფაქტის ნათელყოფა თვით გეოგრაფიული სახელი გაგრა, რომელიც სვანური „გაკრა“ (ნიგვზნარი) სიტყვისაგან ნაწარმოები ჩანს.

მაშასადამე, მითრას გამოსახულებიანი მონეტები სვანებისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, უფრო მეტიც, მათ უშუალო კავშირურთიერთობა უნდა ჰქონოდათ ტრაპეზუნტთან, შავიზღვისპირეთის სხვა ხალხებთან ერთად.

სოხუმ-ბიჭვინთის ტერიტორიაზე ნაპოვნი 328 მონეტიდან 192-ზე გამოსახულია ღვთაება მითრა.

¹³³ ა. ი. რაკიტოვი, ქრისტიანობის წარმოშობა, პოპულარული ლექციები ათეიზმში, თბ., 1969, გვ. 161.

¹³⁴ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

როგორც აღვნიშნეთ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ მითრა ტრაპეზუნტის უმაღლესი ღვთაებაა, რომელიც მზისა და სინათლის ღმერთია.

გ. დუნდუას აზრით, მითრა ბერძნული წარმოშობის არ უნდა იყოს. თუ რამ განაპირობა ელინისტურ ქალაქ ტრაპეზუნტში ამ კულტის წინა პლანზე წამოწევა, ამის შესახებ მსჯელობა მოცემულია გ. დუნდუას დასახელებულ ნაშრომში. მისი აზრით, ამ ქალაქის ძირითადი მოსახლეობა კოლხები უნდა ყოფილიყვნენ. ეს, გ. დუნდუას მართებული შენიშვნით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტრაპეზუნტში მითრას კულტის უპირატესობისათვის ეთნიკური საფუძველიც არსებობდა, მით უმეტეს, რომ მცირე აზიის სხვა ელინისტურ ქალაქებში მითრას კულტის არსებობის არავითარი კვალი არ ჩანს¹³⁵.

მონეტები, რომელზედაც მითრაა გამოსახული, მოტანილია ტრაპეზუნტიდან. სხვა ქალაქებისა და სახელმწიფოების მონეტებში მათ პარალელები არ მოეძებნებათ.

თავდაპირველად მონეტებზე გამოსახულია მითრას ბიუსტი, რომელსაც ფრიგიული სხივოსანი ქუდი ახურავს. ახ. წ. მე-2 საუკუნის შემდგომ მონეტებზე მითრა გამოსახულია ცხენზე მჯდომარე. მოგვიანო ხანის გამოსახულებებს ემატება ნაყოფიერების ხე, ზოგჯერ მათ გარს გველი ახვევიათ. გველი დედამიწის სიმბოლური გამოსახულებაა. შემდგომ ეტაპზე მითრას უჩნდება თანამგზავრი ანგელოზის, ხშირად მტაცებელი ფრინველის სახით, თავზე ვარსკვლავით და ა. შ.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მითრა-ცხენოსანი, რომელიც ტრაპეზუნტის III ს. მონეტაზეა გამოსახული, პირდაპირი გაგებით მითრა კი არ არის, არამედ სინკრეტული ღვთაებაა, რომელიც აერთიანებდა მითრას (მზე, სინათლე) და კაპადოკიური ღვთაება მენას (მთვარის ღვთაება) ფუნქციებს. ასეთი ვარაუდის

¹³⁵ Г. Ф. Дундуа, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43.

საფუძველს ისიც წარმოადგენს, რომ მითრა ცხენზე მჯდომარე იშვიათადაა გამოსახული, ხოლო მენსათვის ეს ჩვეულებრივი პოზია¹³⁶.

გამომდინარე აქედან — მითრამ, როგორც ჩანს შეცვალა ნენა¹³⁷.

მენას გამოსახულებისათვის დამახასიათებელი იყო მთვარის ნამგლისებური მოხაზულობაც. ასეთი გამოსახულება მითრას არ დაჰყვა, ე. ი. ეს ელემენტი დაიკარგა. ეს არცაა გასაკვირი, მით უმეტეს, რომ იგი ყველა გამოსახულებაში მენასაც არ ახლავს. ერთი ასეთი ეგზემპლარი შემონახულია ბრიტანეთის მუზეუმში, ე. წ. ფრიგიულ მონეტების კატალოგში. გამოსახულებაზე ცბენოსან მენას ნახევარმთვარის წრე არ ახლავს¹³⁸.

მენას ადგილს რომ თანდათან მითრა იკავებდა, ეს კარგად ჩანს კიდევ ერთი გემმადან, რომელიც ბერლინის მუზეუმში ინახება. მასზე მითრა გამოსახულია ისე, როგორც ტრაპეზუნტის მონეტებზე — ცხენზე მჯდომარე, მაღლა ვარსკვლავით, უკან ნამგლისებური მთვარით. მითრა აქაც სინკრეტულ ფორმაში წარმოგვიდგება. ის თავის თავში აერთიანებს მენას კულტსაც, კერძოდ მთვარის, მზისა და ვარსკვლავთა ღვთაებებს.

როგორც აღვნიშნეთ, მითრას კულტი გავრცელებული იყო ძველ საქართველოში. მითრას კულტის დღესასწაული ტარდებოდა თებერვალში. ძველ ქართულ წარმართულ კალენდარში ამ დღესასწაულს ეწოდებოდა „თთუკვიპრაქნისაჲ“¹³⁹. ნიშანდობლავი ფაქტია, რომ სვანეთში თებერვალში ტარდებოდა ლამპრობა („ლიმპარი“). ამ დღესასწაულზე ასხენებდნენ „ჯგჯრწგ“-საც (წმ. გიორგის) — „ჯგჯრწგ“ ლიმპარიშ“ („ლამპრობის წმ. გიორგი“). საქართველოში მთვარის თაყვანისცემის კვალი მკაფიოდ ჩანს წმ. გიორგისადმი მიძღვნილ ხატობებში („ნაციხურობა“, „ლამპრობა“, თეთ-

¹³⁶ F. Cumont, *Textes et monuments relatifs eux mysteres de Mithra*, t. 1, s. 189, 6, 3; გ. დუნდუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 44—45.

¹³⁷ გ. დუნდუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

¹³⁸ B. M. Cat, *Prugia*, ტაბ. XXV, გვ. 45—46, №№ 9—10, ტაბ. VI, № 7.

¹³⁹ П. Ингороква, *Древнегрузинский языческий календарь*. Вестник гос. музея Грузии, т. VI, 1931, с. 438.

რიგორგობა)¹⁴⁰. აკად. შ. ამირანაშვილი არმაზის თეფშებზე. გამო-
სახულ ცხენს მითრას კულტს უკავშირებს¹⁴¹. ყველა ასეთი თეფ-
ში ნანახია საქართველოს ტერიტორიაზე.

ამგვარად, მითრას კულტი ქართული (კოლხური) წარმოშობის
უნდა იყოს, ხოლო ქალაქ ტრაპეზუნტის მონეტები ქართულ ნუ-
მიზმატურ ძეგლებს უნდა განეკუთვნონ¹⁴².

მაშასადამე. მენა — მთვარის ღვთაება მითრას წინამორბედი
იყო. ცხენოსანი მითრა კი წმ. გიორგის („ჯგერჯგის“) წინამორბე-
დია. დროთა განმავლობაში ოდნავ ტრანსფორმირებული ძველი
კულტის ფუნქცია შინაარსობრივად მდიდრდება. ასტრალური
ღმერთები (მთვარის, მზის, ვარსკვლავების) ქრისტიანული რელი-
გიის წიაღში თავს იყრიან წმ. გიორგის („ჯგერჯგის“) ცნებაში, რო-
მელიც ბოროტ სულთა წინააღმდეგ მებრძოლ გმირად გვევლინება.
ამაზე მიგვანიშნებს წმ. გიორგის რიტუალებში მთვარისა და მზის
რიტუალების გადმონაშთის არსებობა.

კიდევ ერთი საკითხი გვაინტერესებს: ბერძნულ-რომაულ და
მცირეაზიურ სამყაროში ძველად ფართოდ გავრცელებული მით-
რას კულტი ხომ არ არის მიდასის ორეული?

მიდასი ფრიგიის ნახევრად ლეგენდარული მეფე იყო (ძვ. წ.
VIII—VII სს.). ასირიულ ტექსტები ძვ. წ. VIII საუკუნეში მას
მითასს უწოდებენ.

მითი მიდასის შესახებ შემდეგი შინაარსისაა: მიდასმა განსაჯა
აპოლონისა და ჰანის მუსიკალური შეჯიბრება და გამარჯვება ჰანს
არგუნა. ამის გამო აპოლონმა მიდასს ვირის ყურები ამოუზარდა,
რომელსაც დიდის გაჭირვებით მალაედა მეფე ფრიგიული ქუდით.
ამ მითის სხვა ვარიანტებიც არსებობს¹⁴³.

¹⁴⁰ ივ. ჭავჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49—59; В. В. Бардавел-
лидзе, Древнейшие религиозные верования...

¹⁴¹ Ш. Я. Амيرانашвили, Две серебряные чаши из раскопок
Армази (Грузия), ВДИ, 1950, № 1, с. 91-101.

¹⁴² ივ. დუნდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 46; შტრ. მითოლოგიური
ლექსიკონი (შემდგენელი ნ. გაფრინდაშვილი), თბ., 1972, გვ. 201—202.

¹⁴³ თ. ვ. დიდიანი, მეტამორფოზები, თბ., 1980, XI, 92, 152, 173; ნ. ა. კუ-
ნი, ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მოთხები, თბ., 1965, გვ. 80—81, 343;
მითოლოგიური ლექსიკონი (შემდგენელი ნ. გაფრინდაშვილი), თბ., 1972, 200—
201 და სხვ.

მითის ამ ვარიანტში ჩვენთვის საინტერესოა „ფრიგიული ქუდი“. როდესაც ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა მითრას მონეტებზე გამოსახულებების შესახებ, აღვნიშნეთ, რომ თავდაპირველ გამოსახულებებზე მას ეხურა ფრიგიული სხივოსანი ქუდი. „ფრიგიული ქუდის“ ცნება თავდაპირველად მიდასის სახელთანაა დაკავშირებული. როგორც აღვნიშნეთ, მიდასი მეფეა, ნახევრად ლეგენდარული. ადვილი შესაძლებელია, მითრას კულტი სწორედ მიდასის ლეგენდადქცეული სახელიდან მომდინარეობდეს. მიდასი/მითასი და მითრა სახელებშიც დიდი მსგავსება ჩანს, რაც ანგარიშგასაწევიანაა.

ასეთ მოსაზრებას უჭერს მხარს შემდეგი გარემოებაც: მითრა ცნობილია მცირე აზიაშიც და საბერძნეთ-რომშიც: საბერძნეთში ძვ. წ. მეხუთე საუკუნიდან, რომში კი პომპეუსის (ძვ. წ. I ს.) დროიდან. როგორც ცნობილია, ფრიგიელები მცირე აზიაში საბერძნეთიდან (ბალკანეთიდან) არიან შემოსული დაახლოებით ძვ. წ. XII საუკუნეში, ე. წ. „ზღვის ხალხების“ შემოსევების დროს. მცირე აზიაში ისინი აარსებენ თავიანთ სამეფოს, რომელსაც შემდგომ ფრიგია (მუშქების) სამეფო ეწოდება. მუშქები ქართველური ტომია, რომელთა წრიდანაც უნდა ვიგულისხმოთ მესხები და სვანები (იხ. ზემოთ). ფრიგიელები ინდოევროპული მოდგმის ხალხია, რომელთა გაერთიანებაშიც მოხვდნენ მუშქები. სწორედ მცირე აზიის ხალხებში (მათ შორის ირანელებში) და საბერძნეთ-რომის ინდოევროპელებშიც აქიდან უნდა გავრცელებულიყო მიდასის — ფრიგიის ნახევრად ლეგენდარული მეფის სახელი. მიდასიდან მომდინარე მითრას კულტი მუშქების მეშვეობით უნდა გავრცელებულიყო მცირე აზიის ხალხებში, მათ შორის კაპადოკიელ ქართველურ ტომებშიც.

სხვათა შორის მითები მითრასა და ჯგერჯგის შესახებ სიუჟეტურ სიახლოვესაც ავლენენ. ასე მაგალითად: ლეგენდის მიხედვით მითრამ დაიჭირა ღვთაება ორმუზდისაგან შექმნილი პირველი არსება — ხარი, ოქროს ხანჯლით დაკლა და ღმერთს შესწირა. შეწირული მსხვერპლის დაღვრილი სისხლიდან სასარგებლო, ნაყოფის-

მომცემი მცენარეები აღმოცენდა და ამის შემდეგ დედამიწა ნაყოფისმომცემი გახდა. შემდეგ მითრა ცად ამალდა და იქედან მფარველობდა ადამიანებს¹⁴⁴.

სვანური ლეგენდა „ჯგერჯგე“, რომელიც ა. ბარდაველიძეს 1935 წელს ჩაუწერია სოფ. ლატალში (იენაშში) 110 წლის ძაბუ ზვინთელანისაგან, ასეთი შინაარსისაა: „ძველად საქონელი ერთ-ჩლიქიანი იყო. ერთხელ ჯგერჯგემა ფუსდს უთხრა — ხარს აპეურს შევაბამ და თუ მან ეს აპეური გაწყვიტა, ხარი ისევ შენი საკუთრება იყოს. მაგრამ მან თუ აპეური ვერ გაწყვიტა, მაშინ ხარი მე დამრჩესო. ფუსდმა თანხმობა განაცხადა და თან გაიფიქრა — განა შესაძლებელია, რომ ხარმა ეგოდენ წვრილი აპეური ვერ გაწყვიტოს?! და თუ მან ეს ვერ შეძლო, მაშინ ასეთი ხარი აბა მე რალად მინდაო. ჯგერჯგემა ხარს აპეური შეაბა. ზევს ეწვალა ხარი, მაგრამ ვერ გაწყვიტა. განრისხებულმა ფუსდმა მას თავისი მიჯვრა¹⁴⁵ დაარტყა და ჩლიქი ორად გაუპო. ჩლიქაყოფილი ხარები იმ დღიდან გაჩნდნენო“¹⁴⁶.

ამრიგად, სვანური ლეგენდის მიხედვით ჯგერჯგემა ხარს აპეური შეაბა და ფუსდის¹⁴⁷ საყვარელ ცხოველს დაეპატრონა. ასე ასახავს ლეგენდა მიწათმოქმედების განვითარების ისტორიაში გადამწყვეტ მომენტს¹⁴⁸.

მამასადამე. ფრიგიული ღვთაება, თუ ლეგენდარული მეფე, მიდასი მუშქების ეთნიკურ წრეში მითრას კულტად უნდა ჩამოყალიბებულიყო. მითრას ქართულმა ეთნიკურმა სამყარომ უფრო კეთილშობილური ფუნქციები დააკისრა, როცა იგი მას წმ. გიორგის სახელით მოველინა, ანუ უფრო სწორად, როცა იგი კოლხურმა ტომებმა წმინდანად („ჯგეგედ“) იწამეს.

როგორც ვიცით, ბერძნები ქართველებს გეორგიანს უწო-

144 მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 201—202 (შემდგენელი ნ. გაფრინდაშვილი).

145 მიჯვრა — რკინისწვეტებიანი საბრძოლო ჯოხი.

146 ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 157—158.

147 ფუსდი — ერთ-ერთი უმაღლესი ღვთაება სვანურ ღვთაებათა პანთეონში (იხ. ზემოთ).

148 ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

დებდნენ, რაც მიწის მუშას გულისხმობს. ზემოთ მოტანილი ლე-
გენდები მითრასა და სვანური „ჯგერჯგის“ შესახებ სწორედ მიწათ-
მოქმედებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ შესაძლებელია ბერძ-
ნულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იცოდა, რომ მითრას
კულტი ქართული სინამდვილიდან იყო აღმოცენებული, რომელიც
ხალას ღრმად ჰქონდა შესისხლხორცებული. ამიტომ იმ მიზნით,
რომ ეს კულტი ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების დრო-
საც გამოეყენებინა, მან ის არამც თუ უარყო, არამედ ქართულად
მონათლა და „გეორგიან“ (აქედან „გიორგი“) უწოდა მას და მის მ-
ატყველ ხალხსაც. ქრისტიანული რელიგიის მესვეურებმა „გეორ-
გიან“ ანუ შემდგომ წმ. გიორგი (მეგრ. „ჯგევე“—წმინდანი, სვან.
„ჯგერჯგ“ — წმ. გიორგი) ბოროტი ძალის წინააღმდეგ მებრძოლად
და ხალხთა მფარველად აღიარეს. ამით მისი ფუნქცია კიდევ უფ-
რო გააკეთილშობილეს, რათა ხალხის გულებში უფრო ადვილად
გაეკაფა გზა და ღრმად გაედგა ფესვები.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად წმ. გიორგის კულტი
ჩრდილოეთის ხალხებსა და ქვეყნებში უნდა გავრცელებულიყო სა-
ქართველოდან.

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ წმ. გიორგის სვანური
სახელი „ჯგერჯგ“, რომლის ეტიმოლოგია დღემდე გაურკვეველია.
ჩვენი აზრით, „ჯგერჯგ“ გიორგიდან ნაწარმოები არ ჩანს. გიორგი
სვანურადაც გიორგია (ან კიდევ: გიო, გიე, გიერგ, გივარგი). რად-
გან მითრას კულტი კოლხურ ეთნიკურ წრეში უნდა წარმოშობი-
ლიყო. ამდენად „ჯგერჯგ“ ზანური (მეგრული) ენის კუთვნილება
ჩანს. მეგრულად „ჯგევე, ჯევე, ჯეპე“ ეწოდება წმინდანს: „ჯგევე
მარიამი“ (წმ. მარიამი), „ჯგევე გიორგი“ და სხვ. ზოგჯერ კი წმ.
გიორგის მნიშვნელობით იხმარება¹⁴⁹.

მაშასადამე, „ჯგევე“ მეგრულად წმინდანს ნიშნავს. უფრო
მეტრად: „ჯგერაგუნა“ სამეგრელოში ფუტყრის სალოცავი იყო, რომ-
ელსაც ამაღლებას ასრულებდნენ. „ჯგერაგუნა“ შესდგება ჯგერ-
აგუნასაგან, რაც ნიშნავს წმ. აგუნას, ჯგერ, ჯგვიარგ, გევე და სხვა
ნიშნავს წმინდანს, აგრეთვე გიორგის“¹⁵⁰.

¹⁴⁹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941,
გვ. 217.

¹⁵⁰ იქვე, გვ. 317.

მაშასადამე, ჯგერაგუნა და ჯგვიარგ სიტყვიდან არის ნაწარმოებები სვანურში ოდნავ ტრანსფორმირებული ტერმინი „ჯგერაგ“. 151

ამდენად, ჯგერაგ ნიშნავს წმინდანს. მართლაც და ჯგერაგ-ის ხსენებისას სვანები არასოდეს უმატებდნენ სიტყვას „წმინდა“ („წყელიან“), ე. ი. არ ამბობდნენ „წმინდა გიორგი“-ს („წყელიან ჯგერაგ“), არამედ უბრალოდ ჯგერაგ. ეს ფაქტიც ამ ტერმინის მიჯარულ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს.

როგორც ჩანს, ჯგერაგ სვანურში თავდაპირველად წმინდანის მნიშვნელობით იხმარებოდა, რომლის ქვეშაც გულისხმობდნენ წმ. გიორგის.

შესაძლოა ჯგერაგ ტერმინთან იყოს კავშირში მეორე სვანური სიტყვა „ლეჯირ“ — საკურთხი, სადაც ლე- სვანური მაწარმოებელი სუფიქსია, ხოლო ფუძესიტყვა „ჯირ“ (მეგრ. კარგი?), იგივე ჯერ/ჯგეგეს უნდა უკავშირდებოდეს. „ლიგერგი“-ში (დღეობა წმ. გიორგის სახელზე, აპრილში ტარდება) უკვე კარგად ჩანს სახელი გიორგი (გერგი).

გეგე მეგრულში გიორგის სინონიმია, მაგრამ გაურკვეველია ჯასო, რომელიც ამ სიტყვას თავში უზის. შესაძლოა ჯ-ჯა--ჯი-ჯიხა ხის კულტის მანიშნებელი იყოს (შდრ. აფხაზ. აჯ—მუხა, სვან. ჯი.ჰრა, ჯირა—მუხა), მაგრამ ეს საგანგებო კვლევის საქმეა.

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ „ჯგერაგის“ კულტმა სვანებში ფეხი მოიკიდა კოლხეთის სამეფოს (ძვ. წ. VI—II სს.) არსებობის ხანაში, რადგან იმჟამინდელი სვანეთი კოლხეთის ნაწილს წარმოადგენდა და მისი მდიდარი კულტურის აქტიური შემოქმედი იყო.

ნიშანდობლივია ისიც, რომ „კოლხური თეთრის“ ერთ მხარეზე ხარის თავია გამოსახული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხარი მთრასა და „ჯგერაგის“ კულტებთან კავშირშია და მიწათმოქმედების მომენტს ასახავს. ეს საკულტო ხარი უნდა იყოს ე. წ. „უხსვაჲ“, რომელსაც სვანები საგანგებოდ ასუქებდნენ და მერე ღმერთს

151 ა. შანიძე, სვანური კულტის ტერმინი ჯგერაგ, ჟურ. „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 1973, № 2, გვ. 108—118.

სწირავდნენ. ტერმინი „უხხვაჲ“ ჯერჯერობით გაურკვეველია. მართალია აფხაზურში გვხვდება სიტყვა „უაშხო“, მაგრამ მისი მნიშვნელობა ჩანს სულ სხვაა¹⁵².

სვანებმა არამტოუ გარკვეული წვლილი შეიტანეს კოლხური კულტურის შექმნასა და განვითარებაში, არამედ ამ კულტურის ჩამოყალიბებისათვის გარკვეულწილად ნიადაგიც უნდა მოემზადებინათ, რამეთუ ქართველური ტომებიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პირველმოსახლეებად სვანური ტომები ითვლებიან. ყოვლად შეუძლებელია საუკუნეების მანძილზე მათი აქ მოსახლეობის დროს კულტურულ განვითარებას ადგილი არ ჰქონებოდა. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64—ახ. წ. 24) მითს „ოქროს საწმისის“ შესახებ ოქროთი მდიდარ ენგურის ხეობას, ანუ სვანეთს უკავშირებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ოქროს საწმისის“ მითის კავკასიური ვარიანტის საუკეთესო ნიმუში სვანეთმა შემოინახა¹⁵³.

კოლხური კულტურის ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელების მესვეურებიც სწორედ სვანთა წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყველა მნიშვნელოვანი გადასასვლელი (მათ შორის ქლუხორის) ანტიკურ და ადრეულ შუასაუკუნეებში სვანების ხელში იყო. ამაზე მიგვანიშნებს მენანდრეს (ახ. წ. VI ს.) ცნობაც: სვანები „ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიან“¹⁵⁴. გარდა ამისა, იმიერკავკასიის მთის ზოლში მდ. თერგისა და ყუბანის სათავეებს შორის ანტიკური ხანიდან სვანთა განსახლება, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ექვს არ იწვევს.

¹⁵² Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории абхазов, с. 146-162.

¹⁵³ თ. მიზიხუანი, პარაშის საილუმოება, გაზ. „ახალი სვანეთი“, 19—22 მაისი, 1979.

¹⁵⁴ „გეორგია“, ტ. III, გვ. 221.

„ლიჩნინში“ ძველი მცირეაზიური რელიგიური კულტების რიგს არ განეკუთვნება.

მესტიის რაიონის სოფელ ჰადიშიდან 4—5 კმ-ს მოშორებით, მინდორში დგას წმ. გიორგის სახელობის ქვის ძველი ეკლესია, რომელსაც „ჯგვრავ ჩანში“-ს ეძახიან, რაც ნიშნავს: წმ. გიორგი ჩ ა ნ ი შ ი ს ა. აქ წელიწადის ერთ დღეს, აგვისტოს პირველ რიცხვებში (1—5-მდე) აღინიშნება რელიგიური დღესასწაული „ლიჩნინში“. სვანეთის სხვა სოფლებში ასეთი დღესასწაული არსად არ იციან, მას მხოლოდ ჰადიშელები აღნიშნავენ. ამ დღესასწაულის მოთავედ გამოდიან ჰადიშელი ავალიანები და ქალდანები, მართალია ამ დღესასწაულზე სვანეთის სხვა თემებიდანაც მოდიან საკლავებითა და სხვა ძღვენი¹⁵⁵, მაგრამ იგი ძირითადად ჰადიშელების დღესასწაულია. სხვა სოფლებიდან უმთავრესად ჰადიშიდან გათხოვილი ქალები და მათი ქმარ-შვილები ესწრებიან. „ლიჩნინში“ ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. ვისაც ვაჟი შეეძინება მიჰყავს ცხვარი, მიაქვს 3—6 მ სიმაღლის მქონე ფიჭვის ან ნაძვის სარი (სვან. „ღვატ“) და მასზე შესაბამელი ფერადი სათავსაფრე ქსოვილი, რომელსაც „ღურშაჲ“-ს ეძახიან¹⁵⁶. ყველა ცდილობს, რომ მისი „ღვატი“ სხვებისაზე უფრო გრძელი იყოს. „ღვატების“ კენწეროებზე ფერადი „ღურშაიების“ ფრიალი ლამაზ სანახაობას ქმნის. ლოცვის დროს ცალ-ცალკე მოიხსენიებენ და დალოცავენ ყველას, ვინც იმ დღეს რაიმე შესწირა წმ. გიორგის ხატს. სამლოცველოებში თავსაფრის შეწირვის ძველი სვანური წესი საერთოდ დამახასიათებელი ჩვეულება იყო¹⁵⁷.

ლიჩნინშიში შესაწირი მიჰქონდათ იმდენჯერ, რამდენჯერაც ვაჟი შეეძინებოდა ოჯახს. ღვატი და ღურშაჲ მხოლოდ პირველ და მეორე ვაჟზე მიაქვთ. მესამეზე ცხვარი მიჰყავთ და ა. შ. თუ ვინმეს მოსულთაგანს არ აქვს ღვატი, მას ძველის გამოყენება შეუძ-

¹⁵⁵ ც. ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსი, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970, გვ. 188.

¹⁵⁶ „ღურშაჲ“ შესაძლოა ქართული „ღროშა“-ს სახენაცვალი ფორმა იყოს.

¹⁵⁷ მ. მაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, სვანეთი, თბ., 1977, გვ. 29.

ლია, ოღონდ სარი მის გვარს უნდა ეკუთვნოდეს. გარდა ამისა, ვაჟის ოჯახს მოაქვს 60-მდე „ლემზირი“ (რიტუალური კვერი) ¹⁵⁸.

მსხვერპლის შეწირვა მზის ამოსვლისთანვე იწყება. სამსხვერპლო პირუტყვი ეკლესიასთან ახლოს იკვლება; პატრონს მხოლოდ მარჯვენა ბეჭი ერგება, დანარჩენი იქვე იხარშება და საერთო პურობის დროს მიწაზე გაშლილ სუფრაზე ნაწილდება. პურობის დაწყებამდე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გულ-ღვიძლის შეწვას და მის საერთო დანაწილებას-შეკვმას ¹⁵⁹.

მსხვერპლის შეწირვის ჟამს ასე დაილოცებიან: „დიდება, დიდება მოგვსლოდეს, ჯგერჯგ! შენ შეეწიე ამ სოფლის მომავალს, წინ წასწიე სოფელი, შენ შეეწიე და ცული ააცდინე, ჯგრაგ! შენ შეეწიე არსენას ოჯახს; ამ ბიჭმა სიბერემდე იცოცხლოს, გაამრავლე მის სახლში ქუდის დამხურავი და ამ-ს მავედრებელი ბევრჯერ მოიყვანე აქ“ ¹⁶⁰. ან კიდევ: „რაც არ უნდა იყოს, ამას ძე არ მისცე, წმ. გიორგი, არ ივარგებს“. ვისაც მეტი შესაწირი მოაქვს, მასზე უფრო მეტს შესთხოვენ ღმერთს და ა. შ. ¹⁶¹

ეკლესიაში შესაწირავად ლემზირების გარდა მიაქვთ არაყი. ეკლესიიდან წმ. გიორგის ხატის გამოსვენების წინ ყველა თაგის ღვატს შეუბამს ღურშაჟს და ღვატებით ხელში ახალგაზრდები ეკლესიის მოშორებით დგებიან ერთ მწკრივად. ეკლესიიდან პროცესის თანხლებით გამოაქვთ ხატი და მიემართებიან დროშებისაკენ.

მსვლელობის დროს მამაკაცთა გუნდი მღერის წმ. გიორგის სადიდებელს და ძველ სვანურ სიმღერებს. სადიდებელი გაისმის სამჯერ. პროცესია ჩერდება დროშებთან და სრულდება ყველა ის წესი, რაც ასე დამახასიათებელია სათემო დღესასწაულებისათვის. შემდეგ იმართება პურობა, ცეკვა-თამაში და სიმღერა ¹⁶².

ლიჩნინში ტარდება აგვისტოს პირველ რიცხვებში, ზუთმბაბთ დღეს. მომდევნო კვირა დღეს („ლიჩნინში მიშლადელ“) დაკლავენ ხარს, რომელსაც ყიდულობენ ლიჩნინშის დღესასწაულზე შემოწირული ფულით. ისევ იმართება ლოცვა, ლხინი და პურობა, ოღონდ ამჯერად მასში მხოლოდ ადიშელები იღებენ მონაწილეობას.

¹⁵⁸ შ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 29.

¹⁶⁰ შ. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—30.

¹⁶¹ სვანური ენის ქრესტომათია, გვ. 16.

¹⁶² იქვე, გვ. 30.

ლიჩნნიშის დღესასწაულს დავესწართ 1978 წლის 3 აგვისტოს. მლოცველად („მემზირ“) გამოყოფილი იყო ძველი სვანური წესების შესანიშნავი მკოდნე, სოფლის რჩეული მახვშითაგანი 70 წელს გადაცილებული პალე ქალდანი. იმ დღეს მან 72 ცხვარი და თიკანი თავის ზედაშეთი და ლემზირით შეულოცა ლიჩნნიშის წმ. გიორგის.

ლიჩნნიშის დღესასწაულმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მას უფრო ხალხური დღესასწაულის იერი ჰქონდა, ვიდრე რელიგიურის. ის სახალხო დღესასწაული იმითაც იყო, რომ აქ იმ დღეს მოვიდნენ არა მარტო სვანეთის სხვადასხვა სოფლებიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდანაც. დიდი ხნის უნახავი ნათესაეების, მეგობრებისა თუ ტოლ-ამხანაგების შეხვედრა დღესასწაულს უფრო მეტ ეშხსა და ზეიმს მატებდა. გულუხვი მასპინძლობის საშუალებას სურსათ-სანოვაგის ხვავრიელობაც იძლეოდა.

რამდენადაც ჩვენ ამ დღესასწაულის სახელწოდება უფრო გვინტერესებს, ამდენად უფრო დაწვრილებით მისი აღწერა, ვფიქრობთ, არ არის საჭირო, მით უმეტეს, რომ ძირითადად მის არსს, დანიშნულებასა და რიტუალებს ხაზი გავუსვით.

ახლა ვცადოთ თვით ლიჩნნიშ ტერმინის განმარტება. სვანები მას ვერ განმარტავენ. უბრალოდ იტყვიან, რომ იგი ვაჟიანობისადმი მიძღვნილი დღესასწაულია.

ეს ტერმინი ასე დაიშლება: ლი-ჩნნი-იშ, სადაც ლი—იშ ცნობილი სვანური კონფიქსია. მაშასადამე, გვრჩება „ჩანი“. „ჩანი“ სვანურად არ აიხსნება. ჩვენი აზრით, აღნიშნული დღესასწაულის სახელწოდებაში ჩ ბგერა თავიდანვე არ უნდა ყოფილიყო, მის ადგილას უნდა მჭდარიყო ჰ. დღესასწაულის სახელწოდებაც უნდა ყოფილიყო ლი-ჰანი-იშ, ჰ, ჩ უკანა ნუნისმიერი ბგერებია და მათი ერთიმეორით შეცვლა ადვილი მოსალოდნელია. სხვათა შორის ქართული „ჰრა“ და სვანური „ლიქჩე“ სიტყვებში პირველიდან მეორეში ჰ-ჩ-დ გადადის, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ჰ-ს გადასვლა სვანურში ჩ-დ კანონზომიერი მოვლენა იყოს. ქართველურ ენებში ასეთი კანონზომიერება არ დადგენილა. არც ლი-ჰანი-იშ-ის ლი-ჩნნი-იშ-ად გადასვლა მიგვაჩნია ამის მაგალითად, იგი უნდა მომხდარიყო შემთხვევით, დროთა

განმავლობაში, რასაც ხელს უწყობდა ამ ბგერების ერთგვაროვნება. ასე მაგალითად, ქართულში ს ბგერას მიდრეკილება ჰქონდა რ-დ ქცეულიყო:

ცელი ქართული	ახალი ქართული
სთვა	რთვა
სთველი	რთველი
სძალი	რძალი
სძე	რძე
სჯული	რჯული ¹⁶³ და ა. შ.

მაშასადამე, ლი-ქანი-იშ უნდა ყოფილიყო ამეამინდელი ლი-ჩანი-იშ ტერმინის თავდაპირველი ფორმა. ამ შემთხვევაში მისი ახსნაც შესაძლებელი ხდება. როგორც ცნობილია ჭანი (მრავლ. ჭანები) ისეთივე ეთნონიმია, როგორც არის ზანი, სვანი. ჭანიეთი დღემდე ეწოდება ერთ მხარეს ოზურგეთის რაიონში.

ჭანიეთში რომ ოდესღაც სვანთა რომელიღაც წინაპრებს უცხოვრიათ, ამაზე მიგვანიშნებს სვანური სიმღერა მონადირე გივერგილაზე¹⁶⁴. თუ ჩავუკვირდებით ამ სიმღერის ტექსტს, მივხვდებით, რომ გივერგილა ცხოვრობს არა დღევანდელ სვანეთში, არამედ სადღაც დასავლეთ საქართველოს ბარში, ზღვასთან ახლოს. სიმღერის ტექსტში ნათქვამია, რომ გივერგილას ჭანიეთის შუაგულში („ჭანგულისგა“) უდგია შუნ-ჯიხვის („კვიცრაშ“) ძვლების კარავი, რომელსაც გადახურული აქვს ჯიხვის („ღვაშშიშ“) ტყავი; რომ გივერგილა კლდეს ფიორს („ფივერს“)¹⁶⁵ არ არჩენს, მინდორს—ირმებს („ლაჩვარს“), ზღვას—თევზებს („ტუზვარს“).

ამგვარად, გივერგილა ცხოვრობს ჭანიეთში, სადაც იგი ნადირობს მთებში—ჯიხვებზე, მინდორში—ირმებზე, ზღვაზე—თევზებზე.

ჩვენი აზრით, ლი-ქან-იშ დღესასწაული ან ხსოვნა იმ პერიოდისა, როცა სვანების ბარში განსახლებას ჰქონდა ადგილი, ან წმ. გიორგის ხატია ჭანიეთიდან აღიშის ხსენებულ ეკლესიაში ამოტა-

¹⁶³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 29.

¹⁶⁴ სვანური პოეზია, I, გვ. 184—187.

¹⁶⁵ ფიორი — (იმერ. გურული) მცირე რამ, ერთი ბეწვა, ნამცეცი.

ნილი. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეს ფაქტი გვამცნობდეს სვანთა რომელიღაც ერთი ჯგუფის ჭანიეთში მოსახლეობას გვიანობამდე. სვანთა ეს ნაწილი დღევანდელ ჰადიშელთა წინაპრები შეიძლება ყოფილიყვნენ. მათი ჭანიეთიდან დღევანდელ ჰადიშის ხეობაში გადასვლა უნდა მომხდარიყო უკვე ქრისტიანული რელიგიის არსებობის ხანაში. ჭანიეთიდან უნდა გადაეტანათ წმ. გიორგის ხატი, რომელსაც შემდგომ ჭანიეთის წმ. გიორგი („ჯგვრაგ ლიჩანიშ“) უწოდეს. რამდენადაც ჰადიში//ადიში ოღიშიდან ნაწარმოები შეიძლება იყოს (იხ. ზემოთ, თავი V), ამდენად, ადიშელთა წინაპრებიც აქედან უნდა იყვნენ იქ გადასული და ლიჩანიშ (ჭანიეთობა) დღესასწაული ამის გამოძახილი უნდა იყოს.

ე. გაბლიანის აზრით, „ჯგვრაგ ჭანიშ“ ეს იყო წმ. გიორგე ჭანიეთისა¹⁶⁶.

სვანეთში მთელი რიგი გეოგრაფიული სახელებიც ხომ დასავლეთ საქართველოს ბარიდანაა იქ გადატანილი (იხ. თავი V).

შესაძლოა „ლიჩანიშ“ ისეთივე სახალხო დღესასწაულის ძველი გადმონაშთი იყოს, როგორცაა ამჟამინდელი მცხეთობა, ალავერდობა და სხვ.

ასე თუ ისე, „ლიჩანიშ“ ტერმინში ფუძე-სიტყვად „ჭანი“ უნდა მივიჩნიოთ.

¹⁶⁶ ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, დვ. 46.

დ ა ს კ ვ ნ ა

1. „შუან“ (სვანეთი) ტერმინიდან უნდა მომდინარეობდეს სატომო სახელი „მუშუან“. ე. ი. პირველადია გეოგრაფიული სახელი და მეორადი — იქ მოსახლე ხალხის სახელწოდება. მუშაწარმოებელი პრეფიქსია. აღნიშნული ტერმინი დღევანდელ სვანეთში უნდა გაჩენილიყო იმ შემთხვევაში, თუ მისი სუბსტრატია „შან“ — ერთგვარი ლითონის სახელი.

2. ჩვენ მიერ მოტანილი წერილობითი, ტოპონიმიკური თუ ლინგვისტური მასალა ადასტურებს, რომ ჰენიოხები, სანიგები, წანარბები და მისიმიანები სვანური წარმოშობის ტომებია.

3. XI ს. ქართველ-ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობა „... დაღოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ ნიშნავს, რომ ეგრისი სუანეთია. ამას ადასტურებს იქვე არშიაზე მინაწერი: „ეგრისი სუანეთია“. ლეონტი მროველის ეს ცნობა ეხება ქართლის მეფეების ფარნავაზისა და საურმაგის ხანას (ძვ. წ. III—II სს.). სწორედ ამ დროს არსებობდა „ეგრისისა და სუანეთის საერისთაო“, რომლის მოსახლეობაც დასახელებული წყაროების მიხედვით სვანურენოვანი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს, აგრეთვე სტრაბონის (ძვ. წ. 64—ახ. წ.—24) ცნობა სვანებზე, რომელიც ძვ. წ. III—II სს. სინამდვილეს უნდა ასახავდეს (ს. ჯანაშია). ლეონტი მროველის ცნობით „ეგრისისა და სუანეთის საერისთაოს“ ჰყავს ერისთავი. სტრაბონის ცნობითაც სვანებს ჰყავთ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი; სტრაბონის ცნობით სვანები ყველაზე ძლიერნი, ყველაზე მრავალრიცხოვანნი და ყველაზე ფართო ტერიტორიაზე განსახლებული ხალხია კავკასიაში. ამაში უნდა იგულისხმებოდეს „ეგრისისა და სუანეთის საერისთაო“, რომელიც გადაჭიმული იყო დღევანდელ რიონსა და ენგურს შორის შავი ზღვიდან იმიერკავკასიამდე.

4. სვანური ეთნოგრაფიული მასალა ერთხელ კიდევ ადასტურებს აია-კოლხეთში არგონავტთა მოგზაურობის რეალობას.

5. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გამოვლენილი ათეულობით სვანური წარმოშობის ტოპონიმი აღნიშნულ ტერიტორიაზე სვანური ტომების განსახლების უტყუარა-მოწმობაა.

ტოპონიმიკური მასალის წერილობით ცნობებთან შეჯერებით დვინდება დასავლეთ საქართველოს ბარში სვანური ეთნიკური ერთეულის არსებობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი შემდეგი თანამიმდევრობით: დღევანდელ აჭარასა და გურიის ტერიტორიაზე ძვ. წ. III საუკუნემდე, ხობისწყლის აუზში — ახ. წ. II და გაგრა-აღლერს შორის VII საუკუნეებამდე ჩათვლით.

6. სვანეთში დღემდე შემორჩა შემდეგი ძველმცირეაზიური წარმართული რელიგიური კულტები: აია, შამაში, სუნდუქ, ლილე, ბარ-ბარ, ლამარია. (შუმერული), ტარუ, ფუსტი (ხეთური), დალი, აფსასტი (?). აღნიშნული კულტების დამკვიდრება სვანთა რელიგიურ ყოფაში, ჩანს, მოხდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სვანური ტომების განსახლების დროს. ნაწილი ამ კულტებისა, შესაძლოა წარსულში საერთო ქართულ მოვლენას მიეწეროს.

ჩვენი აზრით, ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს შორეულ წარსულში ჩართველური ტომების მჭიდრო ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ კავშირების არსებობაზე ძველი მცირე აზიის ცივილიზებულ სამყაროსთან.

შემოკლებათა განმარტება

გეორგია — ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.

ოსე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,

სიონ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები.

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

ქც — ქართლის ცხოვრება.

ВДИ—Вестник древней истории

ЖМНП—Журнал Министерства народного просвещения (1834—1917)

ЗКОРГО—Записки Кавказского отдела русского географического общества

ЗСКОЗХ—Записки Кавказского общества сельского хозяйства

ИАН—Известия Академии наук

ИР—Избранные работы (Н. Я. Марр)

КИАИ—Кавказский историко-археологический институт

КСИЭ—Краткие сообщения института этнографии АН СССР

КЭС—Кавказский этнографический сборник

МАК—Материалы по археологии Кавказа

МНС—Материалы научной сессии (г. Нальчик)

ПСРЛ—Полное собрание русских летописей

РВ—Русский Вестник

САН—Свод археологических источников

СА—Советская археология

СМОМПК — Сборник материалов для изучения местностей и племен

Кавказа

СПБ — Санкт-Петербург

УКН—Урартские клинообразные надписи

ХВ—Христианский Восток

პირთა საძიებელი*

- აბაზასპი 164
 აბულაძე ი. 33
 ავათია სქოლასტიკოსი 129, 134, 139
 ავენიუსი 75
 ალადაშვილი ნ. ა. 290
 ალაიძე მ. 265
 ალბოვი ნ. 98
 ალენი ე. 77, 330
 ალექსანდრე მაკედონელი 149, 150
 ალექსეივი ე. პ. 23, 347
 ალექსეივი მ. ე. 305
 ამირანაშვილი შ. 290, 355
 ანდრეულაძე კ. 323, 324
 ანჩაბაძე გ. 256
 ანჩაბაძე ზ. 48, 49, 82, 84, 130, 265
 აპიანე 66, 67, 73, 74
 აპოლონიოს როდოსელი 197, 202, 321, 332
 არგიშდ I 49, 50
 არიანე 67—71, 73, 75, 76, 82, 85, 94, 156, 192, 211, 346
 არისტოტელე 211
 არქანჯელო ლამბერტი 256, 260
 ასათიანი ლ. 111, 243
 ასფაგურ მეფე 117
 აფაქიძე ა. 195
 აქურგალი ე. 8
 აშოტ კურაპალატი 104

 ბაგრატ IV 184
 ბანისლაესკი 233
 ბარამიძე მ. ვ. 231
 ბარდაველიძე ვ. 173, 195, 267, 269, 316, 341, 342, 355, 357
 ბარტოლდი ვ. 120
 ბასილ კეისარი 104
 ბაქრაძე დ. 11, 92, 178, 180
 ბედოშვილი გ. 113—115
 ბედუციძე ლ. 342
 ბეზარაშვილი ც. 361
 ბენდუქიძე ნ. 316
 ბერაძე თ. 179, 180, 183—186, 256, 257, 283—285
 ბერიძე ვ. 290
 ბერიძე ი. 176
 ბერძენიშვილი ნ. 11, 16, 18, 108—110, 154, 176, 178, 179, 183, 184, 186, 221, 247, 296
 ბოგვირაძე ა. 172
 ბოროზდინი კ. 22, 181, 183
 ბოჭორიშვილი ლ. 232
 ბროსე მ. 106, 182, 183, 284

 ბაბლიანი ე. 97, 123, 274, 276, 278, 280, 286, 319, 365
 გაიუს ველიუს პეტერ კულუსი 60
 გამყრელიძე ალ. 48, 60
 გამყრელიძე თ. 6, 10, 221, 226, 239, 287, 312
 გასვიანი გ. 178, 319
 გებლი ი. 297
 გეგეშიძე მ. 221
 გელოვანი ა. 230, 268
 გენკო ა. 120
 გვასალია გ. 106
 გვასალია ჯ. 95, 111, 115, 116, 120, 227,

* შეადგინა ა. კაკარაეამ

გიგინეიშვილი ბ. 81
გიორგაძე გ. 287
გიორგი I 104
გიორგი II 180
გიორგი III 184
გიულდენშტედტი 11, 283, 284
გობეჯიშვილი გ. 194, 195
გოეცე ა. 287
გოზალიშვილი გ. 67
გორდეზიანი რ. 291, 293, 312, 313,
345

გრაკოვი ბ. ნ. 154
გრძელიშვილი ი. 228
გულბიანი 349
გულია 48, 84, 91, 265
გურიელი სვიმონ 236
გუჯეჯიანი მ. 314

ღადეშქელიანი თ. 319
დადიანი ვარდან 184
დადიანი ივანე 184
დადიანი ლევან 236
დადიანი ნ. 21, 256
დადიანი ცოტნე 182, 185
დავით ნარინი 185, 186
დავით ულუ 185
დაიშელი ა. 297
დანილოვა ე. 23, 91
დევდარიანი ივანე 233
დეიჩმანი ა. 10
დექტერევა ტ. ა. 291
დეშერიევი ი. დ. 30, 95
დიაკონოვი ი. მ. 7—9, 292, 296
დიჩკოვ-ტარასოვი ა. ი. 49, 84
დიონისოს პერიეგეტი 74
დიუბუა დე მონპერე 11, 182.
დუნდუა გ. 351, 353—355

ქეელია ჩელები 256, 272, 280
ეპელოსი 78, 327, 328
ეესევი კესარიელი 84
ეკატერინე II 179

ელიავა გ. 245, 250, 251, 275—277
ენგელსი ფრ. 3, 4, 148, 149, 164
ერეკლე II 284
ერემიანი ს. 7, 9, 100, 107, 157, 272
ეპიტანე კონსტანტინეპოლელი 137

ჰალერიუს ფლავუსი 125
ვარდან დიდი 102, 121, 123
ვახტანგ გორგასალი 117, 169—173,
179
ვახუშტი ბატონიშვილი 11, 20—22,
113, 114, 164, 178, 182, 282, 349
ვინგენშტეინი 233
ვირსალაძე ე. 269, 344
ვოლკოვა ნ. 120, 121, 123, 290
ვორონოვი ი. 260
ვეული ლ. 310

ზავადსკი მ. 319
ზარდალიშვილი გ. 135
ზვარიჩი ვ. ვ. 252

შამარ მეფე 32, 179, 182
თაყაიშვილი ექ. 178
თომა არწუნი 100, 105
თეოდოს I 167
თეოდოსი განგრელი 242
თეოფანე ქამთალმწერელი 176
თეოფილაქტე სიმოკატტა 175, 176,
177
თოფურიკა ე. 291, 293, 314

ივანოვი ვ. 6, 226, 312
ითონიშვილი ვ. 111—113
ინალ-იფა შ. 12, 13, 83, 97, 98, 130,
139—142, 254, 257, 270, 271, 287,
360
იმნაიშვილი ა. 211—213, 216, 217
ინაძე მ. 48, 69, 77—79, 162
ინგოროვუკა პ. 31, 37, 39, 48, 85, 93,
130, 155, 180, 183, 184, 186.

- 226, 229, 242, 252, 258, 265,
281, 354
- იონანე ბატონიშვილი 182
- იონანე დრასხანაქერტელი 101, 105
- იონესი თ. 297
- იოსებ ფლავიუსი 59
- იპიფანე კონსტანტინეპოლელი 242
- იპოლიტე კიპრელი 84
- იპოლიტე რომელი 92, 93, 157, 158
- იულიუს კეისარი 66
- ჰავენიაკი ვ. 8
- კაკაბაძე ს. 30, 107, 108, 120, 169,
171—173, 282, 283
- კალანდაძე ა. 195
- კასტენგი 233
- კეკელიძე კ. 46
- კეცხოველი ნ. 268
- კეჭყაძე ნ. 68, 69
- კვარცია ვ. 12, 22, 23
- კვაზერელი-კობაძე ნ. 49
- კვიციკელია გ. 44
- კიკნაძე 291, 300, 301, 322, 323, 334,
337
- კინაძონი 327
- კლავდიოს პტოლემეაიოსი 89, 90, 93,
94, 99, 111, 116, 117, 124, 153,
155, 156, 177, 255, 272, 287, 322,
352
- კლაროტი II, 120
- კლიმოვი გ. 22, 239, 305
- კოვალევსკი ბ. 194, 229, 230, 233,
258
- კონსტანტინე პორფიროგენი 103
- კოხი კ. II
- კრამერი ს. 292
- კუფტინი ზ. 292
- ლაეროვი ლ. ი. 23, 51, 129, 135, 147
158, 347
- ლამბერტი ა. 139
- ლათინევი ვ. ვ. 219
- ლეგრენი ლ. 297
- ლეონ I 167
- ლეონ III 258
- ლეონტი მროველი 21, 103, 117, 127,
151, 155, 161, 162, 164, 166, 264,
266
- ლისიპაქე 150
- ლიულეი ლ. 137
- ლოდიძე ი. 323
- ლომაშვილი ჯ. 36
- ლომოური ნ. 75, 76, 80, 81, 99, 150,
151, 153, 156, 162, 163, 217, 255,
272, 287. 322
- ლორთქიფანიძე გ. 78, 231
- ლორთქიფანიძე მ. 99, 106, 170, 172—
175
- ლორთქიფანიძე ო. 192, 194, 232, 294,
331
- მაკალათია ნ. 325, 361, 363
- მაკალათია ს. 155, 159, 181, 351, 358
- მარგინი დ. 319
- მარი ნ. 4. 6. 11. 13, 15, 22, 27, 29,
30, 31, 32. 42, 46, 84, 107, 108,
120, 181, 220. 259, 279, 282, 291,
307, 323, 331
- მარკვარტი ი. 106
- მარკუს ანეუს ლუციუსი 66
- მარქსი კ. 3, 4, 149, 164
- მასული 102, 103
- მაყაშვილი ა. 118, 220, 225
- მაჩაბელი კ. 227, 228, 290
- მაკვარიაანი გ. 221, 239
- მელიქიშვილი გ. 8—10, 16, 18, 28,
29, 31. 44. 48.—50, 70, 71, 77, 78,
84, 90. 130, 148, 162, 171, 220,
238—241, 243, 244, 258, 264, 270,
274, 319. 323, 326, 327, 329
- მენანდრე 165, 360
- მესხია შ. 247
- მიბზუანი თ. 11, 21, 26, 42, 44, 66,
77, 93, 101, 106, 108, 109, 118,

126, 129, 136, 147, 220, 262, 270,
331, 347, 360
მითრილატე 54, 57, 66, 67
მიჩიან მეფე 117
მირონსკი 120
მიულერი 51
მიქელ პინარეტოსი 212
მიქელაძე თ. 11, 16—18, 31, 43, 44,
46—48, 78, 79, 116, 122, 190,
191, 210, 219, 221, 242, 265, 266,
330, 332
მკრტუმიანი ა. 121
მუსხელიშვილი დ. 93, 94, 106, 152,
158, 159, 177, 172, 262
ნადარაია მ. 98
ნიკანორ ალექსანდრიელი 322
ნიკოლსკი ნ. 296
ნივარაძე ბ. 119, 280, 301, 302, 314,
319, 344
ნოვოსელცევი ა. 120
ნუცუბიძე შ. 344
ოზენჭუბერი კ. 297
ოვიდიუსი 59, 355
ონიანი აღ. 209
ოპელი 10
ორბელი ი. 48, 49, 84, 265
ორბელიანი სულხან-საბა 33, 38, 221,
248, 252, 255
პაპასკირი ზ. 27
პაპე 90
პაპუაშვილი თ. 104, 105, 121—124, 126
127
პატკანოვი კ. 76, 157
პატრიარქი დისიფოსი 162
პეროზი 167
პეტრე ქართველი 228
პიგულევსკაია ნ. ვ. 13
პიეტრო დელა ვალე 182
პინდარე 328

პლუტარქე 57
პლინიუსი 58—63, 65, 70, 85, 94, 125,
154, 177, 192, 193, 211, 235, 244,
321
პომპეუსი 66, 67, 74
პომპონიუს მელა 58
პრივალოვა ე. 350
პროსკე პანიონელი 169, 175
პროკოფი კესარიელი 160, 213, 214
პროპი ვ. 196
ჟუჩკოვიჩი ვ. ა. 209
რაკიტოვი 352
რეინეგსი ი. 284
რეიტენფელსი ი. 229
რეხვიაშვილი ს. 229
როგავა გ. 239
რობაკიძე ა. ი. 6, 24, 127, 129, 135,
147, 158, 218, 280, 331, 347
რუსთაველი 133
რუხაძე ჯ. 191, 317
სალონენი ა. 297
სარდუს II, 50, 51
საურმაგი 21, 127, 152, 366
სელეზნიოვი მ. 182
სენეკა 58
სიმონოვი კ. 289
სიხარულიძე ი. 96, 125, 211, 214,
218, 234, 273
სმირონოვი ა. პ. 154
სოლოვიოვი ლ. 265, 266
სოლომონ I 179
სოსელია ო. 186
სოფოკლე 191
სნიდერი ი. 297
სვენსერი 11
სტეფანე ბიზანტიელი 266, 321
სტოიანოვი ა. ი. 14, 319
სტრაბონი 53—56, 68, 77, 88, 93, 109,
126, 140, 141, 146—149, 152, 156,

162, 169, 177, 192, 204, 210, 360,
366
ნატრეე ვ. 296

გიულდენშტედტი II, 283, 284
ტეპოვი ვ. ი. 11
ტეხოვი ბ. ვ. 154
ტიგლაფლისერ I 9, 326
ტიუმენევი ა. 296

უბილაეა ე. 131
უდესიანი ბ. ი. 201
უმიაშვილი პ. 344
უნგერი ე. 305
ურუშაძე ა. 45, 48, 58, 74, 75, 79, 82,
153, 189, 193, 197, 207, 238, 293,
322, 329, 332
უსლარი პ. 265
უსპენსკი ე. 203, 205, 351
უშაკოვი პ. 51
უხტანესი 101

შალკეშტეინი ა. 297
ფარნაეაზი 21, 151, 152, 161, 366
ფარსმანი 69, 75
ფაუსტი ბიზანტიელი 235
ფერელიე 191
ფიგულა პ. 297
ფილფანი პ. 199, 201
ფიოდოროვი ი. ა. 23
ფრედენბერგი ო. მ. 196
ფსევდო არიანე 211
ფსევდო სკილაქს კარიადნელი 58, 79
ფხაკაძე 231

შალდანი ა. 307
ქალდანი მ. 61, 95, 136, 142, 209,
213—215, 255, 286
ქრისტიათი ე. 291
ქსენოფონტე 52, 70

ლეკონდი 242

დლონტი :ლ. 46, 209, 236, 251, 257,
276, 273, 279

შაუხნიშვილი თ. 61, 89, 109, 126,
141, 146, 155, 163, 193, 327, 330
ყაუხნიშვილი ს. 11, 47, 81, 89, 130,
137, 176, 196, 212, 214—217, 242,
332, 345, 346
ყიფშიძე ი. 294

შანიძე ა. 35. 165, 184, 237, 259, 314,
364
შარაშენიძე ვ. 291, 293, 297
შარდენი 11, 174, 181, 182
შატბერაშვილი გ. 280
შენგელია ი. 265
შენგელია მ. 197, 198, 311, 312
შლიხტერი ი. 297
შოსტაკი 233
შუხარდტი ჰეგო 150

ჩართოლანი მ. 194, 195, 206, 229,
231, 325
ჩართოლანი შ. 71, 72, 194, 195
ჩარქსელიანი ტ. 280
ჩერნიავსკი ე. 256
ჩიტაია გ. 78, 87, 190, 220
ჩიქობავა ა. 88
ჩიქოვანი მ. 344, 347
ჩუბინაშვილი გ. 227, 350
ჩუბინაშვილი ნ. 39, 40, 41

ცაგარეშვილი ე. 100
ცაგარელი ა. 179
ცანავა რ. 195, 202

ჭერეთელი მ. 4, 291

შაბუკიანი პ. 196
კუმბურაძე გ. 184

კუმბურიძე ზ. 28, 29, 224, 272
კყონია ი. 216

ხაზარაძე ნ. 8, 50

ხარაქს პერგამონელი 8, 88, 207

ხარაძე რ. 129, 147, 158, 347

ხომლერი ნ. 291

ხომტარია ნ. 48

ხუხუტაიშვილი დ. 231

ჰაეახიშვილი ივ. 8, 11, 14, 15, 28,
30, 44, 46, 48, 49, 65, 68, 69, 72,
73, 106, 110, 112, 118, 145, 154,
160, 164, 174, 181, 186, 195, 228,
235, 237, 242, 258, 257, 303, 316,
317, 325, 342, 347, 349, 350, 355

ჯანაშვილი მ. 22, 282

ჯანაშია ს. 8, 11, 13—15, 25, 26, 46,
48, 61, 84, 89, 94, 96, 106, 138,
146, 155, 236, 265, 319, 366

ჯანდიერი მ. 294

ჯაფარიძე ო. 292, 294

ჯაჯანიძე პ. 196

ჯუანშერი 166, 168, 172, 179, 264

ჰაკმანი გ. 297

პერაკლიტე შიტილენელი 58

პერაკლიტე პონტოელი 51, 52

პეროდოტე 9, 16, 52, 145, 162, 177,
178, 219, 231, 238, 321, 329, 330

პესიოდე 237, 238, 327

პომეროსი 87, 189, 190, 219, 327,
330, 332

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თ ა ვ ი I. სვანთა ეთნოგენეზის საკითხისათვის	20
თ ა ვ ი II. კავკასიის ზოგიერთი ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის	48
1. ჰენიოხები	48
2. სანიგები	83
3. წანარები	94
4. მისიმიანები	128
თ ა ვ ი III. ეგრისისა და სვანეთის საერისთაო	144
თ ა ვ ი IV. არგონავტების აია-კოლხეთში მოგზაურობის საკითხისათვის (სვანური მასალის მიხედვით)	189
თ ა ვ ი V. აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის ტოპონიმური მასალის შუქზე	209
1. სვანურენოვანი ტოპონიმები	211
2. ქართულ-ზანური წარმოშობის ზოგიერთი ტოპონიმის საკითხისათვის	273
3. სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადატანილი გეოგრაფიული სახელები	279
თ ა ვ ი VI. სულიერი კულტურის ისტორიიდან	289
1. ძველი შუამდინარულ-ქართველური ლექსიკური შეხვედრების საკითხისათვის	290
2. სვანეთში შემორჩენილი ძველი მცირეაზიური კულტების საკითხისათვის	313
3. ლიწინწმ	361
დასკვნა	366
შემოკლებათა განმარტება	368
პირთა საძიებელი	369

Теймураз Шиоевич Мибчуани

ИЗ ИСТОРИИ ЭТНОГЕНЕЗА, РАССЕЛЕНИЯ И КУЛЬТУРЫ

ЗАПАДНОГРУЗИНСКИХ ГОРЦЕВ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1989

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი

ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი

კორექტორი ე. გონჯილაშვილი

სბ 1611

გადაეცა წარმოებას 03.01.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.04.89

უე 01539. საბეჭდი ქაღალდი № 60×84/16. პირობითი ნაბეჭდი

თაბახი 23,5. სააღრ...საგამომც. თაბახი 19,05

ტირაჟი 5000 შეეკეთის № 464

ფახი 1 მან. 80 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის ქროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028 пр. И. Чавчавадзе, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის ქროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.